ჩემი

კ ა ხ ა ს

ნათელ ხსოვნას



თავი პირველი

იუგურთას ომი

„ნახე, თუ ოქრო რასა იქმს,
კეერ.ხი ეშმაკთა ძირისა".

რუსთაველი



1. ნეპოტიზმი* და კორუფცია*

„რისტეს დაბადებამდე" 122* წელს რომში მოკლეს დიდი დემოკრატი-რეფორმატორი გაიუს სემპრონიუს გრაკხუსი*. მის სიკვდილთან ერთად მოკვდა რომაული საზოგადოების მაღალი დემოკრატიულ-მებრძოლი სულისკვეთებაც: იგი დაეცა, დაქვეითდა, დაკნინდა და დაწვრილმანდა. ოლიგარქია მშვიდად, თვითდაჯერებით, მკერდგაშლით ზეიმობდა გამარჯვებას. ძმები გრაკხუსების იერიშთაგან მუხლმოჭრილი სენატი* კვლავ აიმართა და აღზევდა. იგი ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლიდან თითქოს კიდევ უფრო გამობრძმედილი და გამძლავრებული გამოვიდა. მან ბევრი რამ ისწავლა თვით მოწინააღმდეგე ბანაკის ბელადთაგან. ამიერიდან ოლიგარქია დემოკრატიის წინააღმდეგ მოქმედებდა ისეთივე რადიკალიზმით, როგორითაც ძმები გრაკხუსები ებრძოდნენ სენატს.

რეპრესირებული ოლიგარქები რომში დაბრუნდნენ. ვინც გრაკ-ხუსთა და მათ მიმდევართა მკვლელობისთვის სასჯელს იხდიდა, ან შემდეგში უნდა დასჯილიყო, სენატისაგან ყველამ ამნისტია მიიღო. დემოკრატიის ყველაზე დიდ მტერს, გაიუს გრაკხუსის მკვლელობის ორგანიზატორს, ლუციუს ოპიმიუსს, სენატმა მფარველობის კალ-თა გადაუფარა და უეჭველი სასიკვდილო განაჩენისგან დაიხსნა. ახ-ლა სამართალს მისცეს თვით გრაკხუსების მიმდევრები. დემოკ-რატთა მაშინდელი ლიდერები დაფრთხნენ და სამარცხვინო რენე-გატულ პოზიციებზე გადაბარგდნენ. თურმე ყველანი გრაკხუსთა მძლავრ სხეულებზე მოჭიდებულნი ვაჟკაცობდნენ, ხოლო ამათი სიკ-ვდილის შემდეგ უაღრესად პატარა კაცუნებად იქცნენ. მათ შორის ყველაზე „თვალსაჩინო" გაიუს პაპირიუს კარბონი, გუშინ გრაკხუს-თა „უახლოესი თანამებრძოლი", დღეს მათი ყველაზე დიდი მოსისხ-ლის ლუციუს ოპიმიუსის დამცველის როლში გამოვიდა. მაგრამ მას ეწია ბედი, რომელიც უეჭველად თავს დაატყდება ყოველ რენე-გატს: მის წინააღმდეგ საქმე აღძრეს თვით დემოკრატებმა და ოლი-გარქიამაც სიამოვნებით დაუკრა კვერი მიეთმოეთი პოლიტიკოსის გასამართლებას. როგორც იქნა, კარბონმა გამბედაობა მოიკ-რიბა და თვითმკვლელობით დაიხსნა თავი უფრო უარესი სირცხ-ვილისაგან.

სენატი მოქმედებდა საოცარი ცბიერებითა და ქვეგამხედვარო-ბით. იგი დემოკრატიას ებრძოდა თავისი საკუთარი „ნამდვილი დე-მოკრატიზმით": რაც გრაკხუსთა რეფორმებიდან პოპულარებისათ-ვის* განსაკუთრებით სისხლხორცეული იყო, სენატმა თითქმის ყვე-ლაფერი უცვლელად დატოვა; აგრარული რეფორმით მიღებული მიწები ხალხს არ ჩამოართვეს, — უფრო მეტიც: გაიუს გრაკხუ-სის სიკვდილის შემდეგ კიდევ ორი წელი დარჩა ძალაში მისი მი-წის კანონი. ძალა დაინარჩუნა აგრეთვე ყველა პრივილეგიამ „მხე-დართა წოდებისა"* და ფინანსური პლუტოკრატიისათვის (კანონი სასამართლოს შესახებ, კანონი „პროვინცია აზიის" შესახებ და სხვ.). ისე გამოდიოდა, თითქოს ოლიგარქიას გრაკხუსებთან მთავარ საომარ საგნად პოლიტიკური საჭეთმპყრობელობა ჰქონდა. სენატს არ შეეძლო დაეთმო (და არც დათმო) სახალხო კრების სასარგებ-ლოდ სახელმწიფო მმართველობის სადავეები. ახლა, რეფორმა-ტორ ძმათა განადგურების შემდეგ, სახელმწიფო მბრძანებლობის მთელი „იმპერიუმი"* სენატის ხელში იყო და დანარჩენს, თუნდაც ხალხის „მოხიბვლა-გადმობირების" დემაგოგიურ გზებს, თვითონვე მიაგნებდა. ხოლო შემდგომ, რაღაც ათიოდე წლის მანძილზე, სე-ნატმა ნელ-ნელა, შეფარვითა და შეპარვით გააუქმა ყველა პრივი-

ლეგია, რისთვისაც თავი დასდეს კანონმდებელმა ძმებმა — ტიბერიუს და გაიუს გრაკხუსებმა.

ამგვარად, არისტოკრატულმა ოლიგარქიამ მოახერხა თავისი შეუვალი ძალაუფლების აღდგენა, მაგრამ მისი გარეგანი ბრწყინვალება და სიჯანსაღე მხოლოდ და მხოლოდ სავსებით „გარეგანი“ და ფორმალური აღმოჩნდა. სინამდვილეში, რესტავრირებულ კონსერვატულ-სენატორულ ხელისუფლებაში სულ მალე თავი იჩინა მანამდე გაუგონარმა სულიერმა სიღატაკემ და ზნეობრივმა სიმდაბლემ. არ დარჩენილა არც ერთი ადამიანური სისუსტე, რომლითაც მაშინდელ მმართველ პარტიას თავი არ „ესახელებინოს“. სახელმწიფო ლიდერთა შორის არ ჩანდა კაცი, რომ თავი გამოეცხადებინა თუნდაც აჩრდილად დიად სციპიონთა და უკეთილშობილეს ძმათა გრაკხუსთა. სახელმწიფოს განაგებდა ვიწრო ოჯახური წრე ცეცილიუს მეტელუსებისა. არავითარი ფასი და გასავალი არ ჰქონდა ნიჭსა და ჭკუას. დიდი თუ მცირე მაგისტრატურის ხელში ჩასაგდებად საჭირო იყო მხოლოდ და მხოლოდ ნათესაობა და მოყვრობა ცეცილიუსების ოჯახთან. თხუთმეტი წლის მანძილზე კვინტუს ცეცილიუს მეტელუსის ოთხი ვაჟი, ძმისწულ-დისწულები და სიძეები იყვნენ სახელმწიფოს უმაღლესი მეთაურები. მათ შორის მხოლოდ ერთზე თუ შეიძლება ითქვას, ღმერთს მთლად უნიჭო არ გაუჩენიაო, ხოლო დანარჩენ უნიჭოთაგან არ დარჩენილა არც ერთი, რომელსაც არ მიეღოს კონსულობა* და არ „დაემსახურებინოს“ ტრიუმფი. ამ უნიჭოთა „თაიგულის“ ყოველ წევრს, ცეცილიუსის გვარისა და მასთან მოყვრობის გარდა, აუცილებელ თვისებად თან ახლდა ბოროტი სისასტიკე, აღვირახსნილი გარყვნილობა და უსირცხვილო ანგარება.

ერთი სიტყვით, სციპიონთა და გრაკხუსთაგან შუქმფინარ ქვეყანას შხამიანი მორიელები დაეპატრონნენ.

მათგან საკმარისია ორიოდე სიტყვით დავახასიათოთ ყველაზე ცნობილი, სახელმწიფოს უპირველესი თავკაცი მარკუს ემილიუს სკავრუსი. ამ გაღატაკებულ დიდგვაროვანს ქუდბედად დაჰყოლოდა ცეცილიუსების მოყვრობა (სიძეობა). მთელი მისი ნიჭიერება დროებამის ალღოიან დაყნოსვასა და თავის სიამოვნებათა თარგზე ცხოვრების მორგება-მოსადაკვებაში გამოიხატებოდა. მთელი მისი უნარი სულიერი სიღატაკისა და არმად მოპოვებული სიმდიდრის ოსტატურ დაფარვაში მდგომარეობდა. ახოვანი და პირმშვენიერი პატრიციუსი* ფუყე და უშინაარსო ფილისტერი გახლდათ; პირწყლიანი ორატორი და მხურვალე პატრიოტი. სინამდვილეში სამშობლოს გამცემი და თანამემამულეთა გამყიდველი იყო. სიტყვით ვი-

თომცდა ზნეობრივი სისპეტაკის ეტალონი, საქმით — ხარბი და გაუმაძღარი იყო.

ასეთი იყო მაშინდელი კერპი არისტოკრატიისა, შეუცვლელი „პრინცეპსი სენატისა“ (პირველი სენატორი), მაშასადამე, „პირველი მოქალაქე“ მთელს რომაულ სახელმწიფოში, რომ აღარაფერი ვთქვათ ისეთ „მიწიერ-ადამიანურ“ თანამდებობებზე, როგორიც იყო კონსულობა და ცენზორობა,* რომელთა რწმუნებების ტარებაც „იკადრა“ ამ თავგასულმა, ამპარტავანმა პატრიციუსმა.

ცოდვა იქნებოდა არ გვეთქვა, რომ თანამდებობას ღებულობდნენ ისეთებიც, რომლებსაც ცეციილიუსებთან და სკავრუსებთან ნათესაობა და მოყვრობა არ ჰქონიათ. მაგრამ აქ სისხლით ნათესაობის გარდა იყო „სხვა ნათესაობა“ — ფულისმიერი, ოქრო-ვერცხლი. ყველა ვიგინდარა კარიერისტი, ვისაც ფულის გაღება არ ენანებოდა, ერთბაშად „ნათესავი“ ხდებოდა ცეციილიუს-მეტელუსების ყოვლისშემძლე ოჯახისა.

ერთი სიტყვით, გრაკხუსთა შემდგომ ათი-თხუთმეტი წლის მანძილზე რომში იყიდებოდა ყველაფერი: თანამდებობაც, სინდისნამუსიც, კაცური კაცობაც, ადამიანიც და სამშობლოც.

მაშინდელი რომაული ხელისუფლებისა და ნობილიტეტის საოცარ ზნეობრივ დაცემა-დალპობაზე ნათლად მეტყველებს დიდი დრამატიზმით აღსავსე მოვლენა, რომელიც ცნობილი გახდა „იუგურთას ომის“ სახელწოდებით.

2. ი უ გ უ რ თ ა

მცირე ხნით უკან დავიხიოთ:

როცა დიდმა რომაელმა სარდალმა პუბლიუს კორნელიუს სციპიონმა* გენიალური ჰანიბალი სძლია და მისი სამშობლო კართაგენიც მიწას განართხო, რომის ხელისუფლებამ დამოუკიდებლობა და აფრიკაში „პირველობა“ მიუძღვნა კართაგენის მოსისხლე მეზობელი ქვეყნის, ნუმიდიის* მეფეს, რომაელთა „მოკავშირესა და მეგობარს“, „აფრიკის ლომად“ წოდებულ მასინისას. ეს ამბავი 201 წელს მოხდა. ნახევარი საუკუნის შემდგომ, როცა რომაელები კართაგენს ისევ მიადგნენ ძირფესვიანად ამოსაგდებად, უკვე ღრმად მოხუცებულმა მასინისამ ნუმიდიის სამეფო მემკვიდრეობის გასანაწილებლად მოიწვია კართაგენის კედლებთან ლაშქრად ჩამოსული სციპიონ ემილიანე*, დიდი სციპიონის მემკვიდრე.

სციპიონ ემილიანემ მასინისას ცოცხალს ვეღარ ჩაუსწრო, მაგ-

რამ გარდაცვლილი მეფის ანდერძი აღასრულა და ნუმიდიის სამბრძანებლო მასინისას სამ შვილს ასე გაუნაწილა: უფროს ვაჟს, მიციპსას — ხელმწიფობა უბოძა, შუათანას, გულუსას — მთავარსარდლობა, უმცროსს, მასტანაბალს — უმაღლესი მოსამართლეობა. ბოლოს უმცროსი ძმები დაიხოცნენ და მიციპსა ერთპიროვნულ მბრძანებლად შერჩა ნუმიდიას. მან სციპიონისა და მისი წრის მეოხებით სიცოცხლის დასასრულამდე შეინარჩუნა სახელმწიფოს ერთიანობა და რომთან „მეგობრობა“.

მიციპსას ორი ვაჟი ჰყავდა — ადჰერბალი და ჰიემპსალი. ტახტის მემკვიდრეთა გვერდით მეფე ზრდიდა უმცროსი ძმის, მასტანაბალის შვილს, იუგურთას.

იუგურთა ბავშვობიდანვე აშკარად სჯაბნიდა მეფეწულ-ბიძაშვილებს. იგი დავაჟკაცდა და ნუმიდიელთა წინაშე წარსდგა, როგორც ნამდვილი ახალგაზრდა მასინისა: ტან-ხორცად სრულქმნილი და მშვენიერი, ლომ-ვეფხვებრ უშიშარი და მოქნილი, უებრო მოჯირითე და უდაბნოს თავზეხელაღებული მონადირე, სწორუპოვარი მოისარი და ხელმოუმცდარი მახვილოსანი. თანაც ცბიერი, მზაკვარი, მუხანათი, მჭირდავი და ქვეგამხედვარი.

მიციპსა ხედავდა, რომ მის ვაჟებს ტახტისაკენ მიმავალ გზაზე ავი საფრთხე ელოდებოდა. იგი ცდილობდა, ეხსნა შვილები ამ საშიშროებისაგან. მიუცილებლად საჭირო გახდა იუგურთას განადგურება.

და, აი, როცა სციპიონ ემილიანემ ესპანეთში ნუმანციის წინააღმდეგ გამგზავრების წინ ნუმიდიის მეფეს დახმარება სთხოვა, მიციპსამ სიხარულით მიიღო თხოვნა, — ესპანეთში გასაგზავნად კავალერია გამოყო და მისი სარდლობა „საყვარელ ძმისწულს“ იუგურთას ჩააბარა.

„იქნებ სადმე ესპანელის ხელით ნასროლმა შხამიანმა ისარმა განგმიროს!“ — იმედოვნებდა ნუმიდიის მეფე.

მაგრამ სიკვდილის პირში მიცემული ვაჟკაცის საქმე წაღმა დატრიალდა. იუგურთამ ესპანელებთან ომში ერთბაშად გაითქვა სახელი, როგორც უპირველესმა მეომარმა და გონებაგამჭრიახმა სტრატეგოსმა. ერთ დღეს მიციპსამ სციპიონისგან მიიღო წერილი, რომლითაც იგი, იუგურთას სიკვდილისა და სამძიმარის ნაცვლად, ატყობინებდა მის სივაჟკაცეს, სიმამაცესა და გონიერებას. იუგურთას ასეთი აღზრდისათვის რომაელი მხედართმთავარი დიდ მადლობასაც უძღვნიდა ნუმიდიის მეფეს.

მიციპსა ამ ამბავს სასოწარკვეთილი „სიხარულით“ შეხვდა და, როცა იუგურთა ესპანეთიდან უაღრესად სახელმოხვეჭილი დაბ-

რუნდა და ხალხიც ზეიმით შეხვდა, მეფემ ისღა მოახერხა, ძმისწული თავისი ღვიძლი ვაჟების, ადჰერბალისა და ჰიემპსალის გვერდით, სამეფო ტახტის თანამემკვიდრედ გამოაცხადა.

სულ მალე მოხდა ის, რაც გარდუვალად უნდა მომხდარიყო. მიციპსას სიკვდილისთანავე (118 წ.) ატყდა ბრძოლა ტახტისათვის ძმებსა და ბიძაშვილს შორის. უმცროსმა ძმამ ჰიემპსალმა დაიწყო იმით, რომ გარდაცვლილ მამას აუგად იხსენიებდა „უკანონო" იუგურთას ასეთი „გატოლებისათვის". მას მშობლის წყევლა-კრულვით გული ვერც კი მოეოხებინა, რომ იუგურთასგან მიგზავნილმა მკვლელებმა ის სიცოცხლეს გამოასალმეს (117 წ.).

უფროსი მემკვიდრე, ადჰერბალი, გაფრთხილდა, ჯარები შეკრიბა და დაიძრა. იუგურთაც დაუხვდა.

გაიმართა ბრძოლა ბიძაშვილთა შორის. ადჰერბალი დამარცხდა და რომში მოკურცხლა. იუგურთა დაეუფლა მთელ ნუმიდიურ მემკვიდრეობას. იგი სავსებით უშფოთველად და არხეინად შეუდგა მეფობას. ჭკვიანმა და ცბიერმა ნუმიდიელმა ესპანეთის მიწაზე განლაგებულ სამხედრო ბანაკებში გაიცნო რომაელ მმართველთა, არისტოკრატთა, დიპლომატთა და სამხედრო მოღვაწეთა იმდროინდელი ბუნება. მარტო სციპიონ ემილიანეს პატიოსნება ანგარიშში ჩასაგდები არ იყო.

„რომში ყველაფერი შეიძლება იყიდო, თუნდაც ყოველი რომაელი, თუნდაც მთლიანად თვითონ რომი!" — დაასკვნა და დაარხეინდა ნუმიდიელი მეფე.

ადჰერბალი შესაბრალისი სიტყვებით ცდილობდა სენატის გულის აჩუყებას. მაგრამ რომში ადჰერბალზე ადრე იუგურთას ოქრომ ჩააწრო. იუგურთას სენატი მთლიანად ნაყიდი ჰყავდა. და, აი, დახმარების ნაცვლად, სენატორები ადჰერბალს პირიქით სდებენ ბრალს:

„ჰიემპსალი იუგურთას კი არ მოუკლავს, ნუმიდიელებმა მოკლეს და ისიც სამართლიანად. — მისი სისასტიკისა და თავგასულობისათვის; მერე, შენს წინააღმდეგ იუგურთას კი არ დაუწყია ომი, შენ თვითონ დაესხი მას თავს და იმანაც, იმ „უცოდველმა კრავმა", თავი დაიცვა და მოგიგერია".

სენატში მაინც გამოჩნდა ორიოდე კაცი, რომელთაც იუგურთას ოქრო ვერ მისწვდენოდა. მათ ძლივს ამოიღეს ხმა იუგურთას ასალგმავად და აფრიკაში წესრიგისა და სამართლიანობის აღსადგენად.

ბოლოს სენატმა ჰიემპსალის მკვლელობა სამართლიანად ჩათვალა და დაადგინა ნუმიდიის სამეფოს ორად გაყოფა ადჰერბალსა და იუგურთას შორის. საამისოდ აფრიკაში გაიგზავნა ათკაციანი

კომისია გაიუს გრაკხუსის მკვლელის ლუციუს ოპიმიუსის მეთაურობით.

პატივცემული რომაელი დეცემვირნი* ნუმიდიაში ფეხის შედგმისთანავე იყიდა იუგურთამ. ოპიმიუსმა სისხლიანი ხელები ნუმიდიური ოქრო-ვერცხლით დაიტვირთა და ასეთი სამართალი დაადგინა:

„ამიერიდან დასავლეთი ნუმიდია, ნაყოფიერი და მჭიდროდ დასახლებული ქვეყანა, ეკუთვნის იუგურთას, ხოლო აღმოსავლეთი ნუმიდია, თითქმის მთლიანად მოუსავლიანი, დაუსახლებელი და ცხელქვიშიანი უდაბნო, ქალაქ ცირტასთან ერთად, მიერთვას ადჰერბალს“.

ადჰერბალი დაემორჩილა რომაულ უსამართლობას, იუგურთამ კი არ იქმარა რომაული „სამართლიანობა“. დეცემვირთა კომისიამ ძლივს მოასწრო აფრიკის მიწიდან ფეხის გადგმა, რომ იუგურთამ ჯარი შეუსია ადჰერბალის სამფლობელოებს. მხდალმა მოწინააღმდეგემ ვერ გაბედა ბრძოლად გასვლა და საქმის ბოგვარება ისევ საჩივრებით სცადა. მაშინ იუგურთამ ყოველგვარი საბაბის გარეშე დაიწყო ომი (113 წ.). იგი პირდაპირ დაიძრა ცირტას მიმართულებით. ადჰერბალმა მცირედი გაკენწლავება გაბედა. დამარცხდა და კვლავ ქალაქისაკენ გაიურცხლა. მას სამარცხვინო ტყვეობა და სიკვდილი არ ასცდებოდა, რომ იუგურთას იერიში არ შეეკავებინათ ცირტაში იმ დროს მყოფ რომაელ-იტალიელ ვაჭრებსა და მხედარ-პუბლიკანებს*.

იუგურთამ ცირტას ალყა შემოარტყა. ფულზე გამსუნაგებული იტალიელი ვაჭრები რომაელ სენატორებზე უფრო პატიოსანნი აღმოჩნდნენ და უანგაროდ ეხმარებოდნენ ქალაქის დამცველებს.

ალყა გაჭიანურდა. ადჰერბალმა მოასწრო საჩივრის გაგზავნა რომში. ოქროს ნაზიარები სენატი კვლავ ითრევდა ფეხს. როგორც იქნა, ისევ გამოჩნდნენ რომაელი ელჩები აფრიკაში, მაგრამ იუგურთამ ახლოსაც არ გაიკარა ისინი. ადჰერბალი კი შიკრიკს შიკრიკზე გზავნიდა რომში.

რამდენიმე თვის ბჭობა-ჭრის შემდეგ, როგორც იქნა, შესდგა ყველაზე უფრო „ავტორიტეტული“ კომისია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სახელმწიფოს თავკაცი და მარილი მაშინდელი რომაული მიწისა მარკუს ემილიუს სკავრუსი.

სკავრუსი ხომ მცირეზე ხელს არ გაისვრიდა და იუგურთამაც როდი იძუნწა, მან სენატის პრინცეპსსა და სახელმწიფოს „უპირველეს მოქალაქეს“ დიდძალი ოქრო მიართვა, მის მახლობლებსაც საკ-

მარისად გაალოკვინა და აფრიკიდან ყველანი მაძღარი და გულამსუყებული გაისტუმრა.

რაკი რომიდან არავითარი ხსნა აღარ ჩანდა, ალყიდან მეთხუთმეტე თვეზე ადჰერბალმა იუგურთასგან სიცოცხლის შენარჩუნების პირობა მიიღო და ქალაქი ჩააბარა.

იუგურთასთვის აღთქმას არავითარი ფასი არ ჰქონდა. იგი შეიჭრა ცირტაში და საშინელი ხოცვა-ჟლეტა გააჩაღა. ჯერ თვით ადჰერბალი სასტიკად აწამა და ჯვარზე გალურსმა. მერე მისდგა და ყოველი მოზრდილი მამაკაცი სიცოცხლეს გამოასალმა; არ დაინდო არავინ, არც ნუმიდიელი და არც იტალიელი.

ეს საშინელი ტრაგედია, აფრიკელი მეფის ასეთი თავგასულობა ალბათ დაუსჯელი დარჩებოდა, ალბათ სენატი კვლავ შეეცდებოდა ეხსნა თავისი გულუხვი კლიენტი შურისმგებელი ნემეზიდის ბრჭყალებისაგან, მაგრამ მოთმინების ფიალა აივსო: რომაელი ხალხი ფეხზე დადგა. იგი მუქარით მოითხოვდა თავგასული მეფის დასჯას. განსაკუთრებული სიმკაცრით გამოვიდა მხედართა წოდება, რომელმაც ბევრი თავისი თანაწევრი და თანამოსაქმე დაკარგა ცირტაში.

გაიუს გრაკხუსის სიკვდილის შემდეგ ასეთი მღელვარება არ ახსოვდა რომს. სენატი იძულებული შეიქნა, დაეთმო.

8. ომის დასაწყისი

„იუგურთას საქმეზე“ საგანგებოდ შეიყარა კომიცია, იუგურთას ელჩები — ოქრო-ვერცხლით დატვირთულნი — რომში არ შეუშვეს. მრისხანე სიტყვით გამოვიდა ნიჭიერი და გაბედული სახალხო ტრიბუნი* გაიუს მემიუსი. მან გადაჭრით მოითხოვა იუგურთას წინააღმდეგ ომის გამოცხადება და მისი სასტიკად დასჯა. კრებამ ერთხმად მიიღო მემიუსის მოთხოვნა.

დაიწყო „იუგურთას ომი“ (111—105 წწ.).

კონსული ლუციუს კალპურნიუს ბესტია არმიითა და ფლოტით გაეშურა აფრიკისაკენ. ბესტია ნიჭიერი, გამოცდილი და გაბედული სარდალი იყო, მაგრამ მასში ამ დიდ ღირსებათა მაღლა ხარბი მექრთამე-არისტოკრატის სული იდგა. ბევრი წარჩინებული კონსულს მოხალისედ გაჰყვა ახალ სიმდიდრეთა მოხვეჭის მიზნით. ამ მექრთამეთა ლაშქარს სათავეში ედგა ისევ მარკუს ემილიუს სკავრუსი.

რომაელებმა საომარი ოპერაცია წარმატებით დაიწყეს. ისინი მდინარე ბაგრადის სანაპიროებს აუყვნენ, რამდენიმე ქალაქი და

სხვა დასახლებული პუნქტი ხელთ იგდეს, ზოგიც ბრძოლითა და ზოგიც ნებაყოფლობით. აუარებელი ნაძარცვ-ნატყვევნი დააგროვეს. მავრიტანიის* მეფე ბოკხუსმა, იუგურთას სიმამრმა, კონსულთან ელჩები აფრინა და კავშირი შესთავაზა.

რომაელთა ბანაკში ნუმიდიურმა ოქრომ იელვა. იუგურთამ დროებითი დაზავება ითხოვა, მაგრამ მას აგრძნობინეს, რომ თუ მეტს გაიღებდა, დროებითს კი არა, ნამდვილ ზავსაც მიიღებდა. ბესტიასა და სკავრუსის კარვებში ოქრო-ვერცხლით ჯორკიდებული ნუმიდიელები შევიდნენ. ბოკხუსის ელჩები გაძევებული იქნენ, რადგან მათ ხელცარიელი მოსვლა გაბედეს.

ოქროთი დაზვინული მაგიდის გარშემო ასეთი გარიგება მოხდა: იუგურთა რჩება ნუმიდიის ერთპიროვნულ, განუყოფელ ხელმწიფედ და არავინ პასუხს არ სთხოვს იმ საზარელ მკვლელობათა და ხოცვა-ჟლეტისთვის, რაც მან აფრიკაში დაატრიალა. მას ევალება გადაიხადოს მხოლოდ მცირეოდენი კონტრიბუცია, დააბრუნოს რომაელი დეზერტირები და გადასცეს რომაელებს 30 სპილო. ეს იყო და ეს. ის კი არა და, იუგურთამ სულ მალე ბესტიას ხელქვეითი მეთაურებიც დაქრთამა და მათთვის მიბარებული რომაელი დეზერტირები და სპილოები უკანვე დაიბრუნა.

ბოროტებამ კვლავ გაიმარჯვა. იუგურთა ზეიმობდა. ბესტია და სკავრუსი აურაცხელი ნაქრთამევ-ნაოხარით დაბრუნდნენ რომში.

იუგურთას დაუსჯელობამ და მასთან სამარცხვინო ზავის შეკვრამ შეარყია რომი. ხალხის აღშფოთებას ბოლო არ ჰქონდა. სახალხო კრებამ ისევ მარიუს მემიუსის თაოსნობით დაადგინა: სამართალში მიეცნენ სამარცხვინო ზავის დამდებნი, ხოლო იუგურთა გამოძახებული იქნას დასაკითხავად და პასუხსაგებად. სენატმა ვერ გაბედა წინააღმდეგობის გაწევა. იუგურთას ჩამოსაყვანად გაიგზავნა ლუციუს კასიუსი, რომელმაც მეფეს სენატის სახელით აღუთქვა პირადი ხელშეუხებლობა. იუგურთასაც მეტი არაფერი უნდოდა, ორივე ხელთ ჰქონდა: ხელშეუხებლობის აღთქმა და ოქრო. იგი არხეინად გაემგზავრა რომს.

აი, სახალხო კრებაც — კომიცია. ხალხი ზარდამცემი ღრიალით შეხვდა ბოროტმოქმედის გამოჩენას, მის უტეხ და უჯიათ ნაბიჯს, თავხედურ მიმოხრას, უსირცხვილო და დამცინავ მზერას.

გაიუს მემიუსმა ძლივს დააწყნარა ხალხი. მერე იუგურთას მოსთხოვა, ახლავე, დაუყოვნებლივ მოეხსენებინა რომაელი ხალხისთვის ყველაფერი, რაც ნუმიდიაში დატრიალდა.

და უცებ მოხდა სავსებით მოულოდნელი რამ: როგორც კი მემიუსმა თავისი მოთხოვნა დაასრულა, ერთბაშად წამოიჭრა მეორე

სახალხო ტრიბუნი, გაიუს ბებიუსი, და იუგურთას პასუხს „ვეტო“ დაადო! თურმე ნუმიდიელს მოესწრო ბებიუსის მოქრთამვა! ამნაირად, კომიციამ საქმის ძიების უფლება დაკარგა. ხალხი საშინელი მღელვარებით გავიდა ფორუმიდან. მას ისღა დარჩენოდა, დაეცადა სენატის გადაწყვეტილებისათვის. კვლავ გაბედავს თუ არა „ტვინი რესპუბლიკისა“ ნუმიდიელი ბოროტმოქმედის მფარველობას?

სენატის სხდომაც დიდი აურზაურით ჩატარდა. კონსული სპურიუს პოსტუმიუს ალბინუსი, რომელსაც ნუმიდიაში ომის განახლება და მთავარსარდლობა სწყუროდა, დაჟინებით მოითხოვდა, იუგურთას წართმეოდა ნუმიდიის ტახტი და მის ნაცვლად მეფედ დაესვათ მასივა, მასინისას მეორე შვილიშვილი (გულუსას ძე), რომელმაც ცირტაში დატრიალებულ ტრაგედიას თავი დააღწია და მას შემდეგ რომში ცხოვრობდა. როგორც იქნა, ალბინუსის წინადადება მიიღეს.

სკანდალური ტრაგედია ახალ ფაზაში შევიდა. იუგურთამ შეიტყო სენატის დადგენილება და თვითონაც „შესაბამისი“ გადაწყვეტილება მიიღო: იმ ღამით ნუმიდიის ახალი „მეფე“, ახალგაზრდა მასივა, ქუჩაში ხანჯლებით დაკლეს. მკვლელებიდან ერთი შეიპყრეს და გამოტეხეს, — თურმე იუგურთას მხლებელს ბომილკარს მოუსყიდია იგი. ბომილკარი სასწრაფოდ მისცეს სამართალში, მაგრამ იუგურთა უფრო სწრაფად მოქმედებდა: მან მცველებიც მოისყიდა და ბომილკარი საპატიმროდან გააქცია!

ამაზე უარესი რაღა უნდა მომხდარიყო. ერთმა პატარა ბარბაროსმა ავაზაკმა მსოფლიოს მბრძანებელი რომი ფერხთით გაიგდო და გაიბურთავა. როდემდე უნდა გაგრძელებულიყო ასე! ნუმიდიელი მეფე ლამის რომში, ამ „მსოფლიოს ცენტრშიც“ გახელმწიფებულიყო.

რაკი სხვანაირად ვეღარაფერი მოხერხდა, სენატმა ფიცხელი ბრძანება გასცა:

„იუგურთა დაუყოვნებლივ გაეთრიოს რომიდან, გაუქმდეს მასთან დადებული ზავი და ნუმიდიაში ახალი არმიით გაიგზავნოს კონსული სპურიუს პოსტუმიუს ალბინუსი“.

იუგურთამ რომი დატოვა და წასვლისას ასეთი მრავლისმეტყველი შეფასება დაუგდო „მარადიულ ქალაქს“:

„ოო, გასაყიდო ქალაქო, შენ უმალვე გაიყიდები, როგორც კი შესაფერისი მყიდველი გამოგიჩნდება!“

აფრიკაში საომარი ოპერაციები განახლდა. ალბინუსი მოქმედებდა ზანტად, უშედეგოდ და უსაზმნოდ. ეტყობოდა, ვერც ალბინუსი უცქერდა გულგრილად ნუმიდიური ოქროს ბრჭყვიალს. რომაული არმიაც ზნეობრივად მოიშალა და თავაშვებულობას მი-

ეცა. ის, რაც კართაგენისა და ნუმანციის კედლებთან მდგარ ლეგიონებში ნიშნეულად ჩანდა, ახლა ნუმიდიაში მეომარი ლაშქრისთვის სავსებით დამახასიათებელი შეიქნა: მეთაურთა ღალატი და მექრთამეობა, ჯარისკაცთა თვითნებობა და დეზერტირობა, ქურდობა და მაროდიორობა, ლოთობა და როსკიპთმადევრობა.

ამნაირ არმიებს ებრძოდა იუგურთა ხმლითა და ფულით.

მთელი წელიწადი (110 წ.) უმოქმედობაში გავიდა. წლის მიწურულს კონსული რომში დაბრუნდა მორიგი არჩევნების სახელმძღვანელოდ, ხოლო არმიის სარდლობა თავის ძმას, ავლუს პოსტუმიუსს დაუტოვა.

პოსტუმიუსმა მაშინვე მიიტანა იერიში ქალაქ სუტულზე, სადაც მას იუგურთას საგანძურები ეგულებოდა. ქალაქი მედგრად დაუხვდა მტერს. მცირე შეტაკების შემდეგ იუგურთამ რომაული არმია უდაბნოში გაიტყუა და ღამით, საფრიდან მოულოდნელი კონტრთავდასხმით სასტიკად გაანადგურა (109 წ.). რომაელებმა იარაღი დაყარეს. იუგურთამ დიდსულოვანი გმირის როლი გაითამაშა და მტრებს სიცოცხლე აჩუქა, სამაგიეროდ მოითხოვა: მთელ რომაულ არმიას გადაჯვარედინებულ შუბებს ქვეშ გაევლო, ათ დღეში ნუმიდია რომაელთაგან გაწმენდილიყო და ბესტიას ხელმოწერილი ზავი თავის უფლებებში აღდგენილიყო.

იუგურთას ნება კვლავ აღსრულდა. მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ სუტულთან რომაელთა დამარცხება მისთვის უბრალო, რიგითი ხასიათის გამარჯვება როდი გამოდგა. ამ წარმატებამ იუგურთა აფრიკის მოსახლეობის თვალში „გამათავისუფლებლის“ შარავანდედით შემოსა.

იუგურთა აფრიკის „სახალხო გმირად“ იქცა.

ჩრდილოეთ აფრიკის ყოველი მხრიდან მოდიოდნენ რომაული უღლით დამძიმებული, ან მსგავსი მომავლით შეშინებული ტომები და „გამათავისუფლებელი გმირის“ დროშებქვეშ დგებოდნენ.

ისე ჩანდა, რომი კარგავდა არა მარტო ნუმიდიასა და თავის გარდასულ სახელ-დიდებას, არამედ ეთხოვებოდა ყველაფერს, რაც მან აფრიკაში უსაშინელესი სისხლთათხევით მოიპოვა ადრე — „პუნიკურ ომებში“.

4. „არაჩვეულებრივი მეტელუსი“

ახალმა „ნუმიდიურმა სირცხვილმა“ რომში კიდევ უფრო გაამძაფრა საზოგადოებრივი ბრძოლა — ჭიდილი ოპტიმატებსა* და პოპულარებს შორის. ხალხი ხედავდა, სახელმწიფო აშკარად ეწი-

რებოდა არისტოკრატიის მოღალატურსა და ზნედაცემულ ვნებებს. პოპულარებმა მხედართა წოდების აქტიური მხარდაჭერით მოახერხეს საგანგებო კომისიების შექმნა და სასამართლო პროცესების გამართვა. როგორც იქნა, მოხერხდა ზოგიერთი აშკარა მოღალატის, მექრთამისა და ზნედაცემული ოპტიმატი მოღვაწის განდევნა რომიდან. მაგრამ ბევრი მაინც დაუსჯელი დარჩა. მაგალითად, სკავრუსი არამცთუ თვითონ დაუძვრა სასჯელს, არამედ საგამომძიებლო კომისიაშიც გავიდა და მისი წყალობით კიდევ ბევრ ოპტიმატს შერჩა ღალატი და მექრთამეობა.

მთავარი იყო აფრიკაში რომაული მბრძანებლობისა და პრესტიჟის აღდგენა.

მარცხნაჭამი პოსტუმიუსის ზავი უარყვეს და აფრიკაში საომარი მოქმედების სახელმძღვანელოდ გაგზავნეს კონსული კვინტუს ცეცილიუს მეტელუსი.

ეს იყო ერთადერთი კაცი, რომელიც არაფრით არ ჰგავდა უნიჭო. მოღალატე და მექრთამე თანამოგვარეებს. ეს „არაჩვეულებრივი მეტელუსი“, არისტოკრატულად ქედმაღალი და ამპარტავანი, იყო ნიჭიერი, წინდახედული და, რაც მთავარია, დიდად პატიოსანი.

მეტელუსი აფრიკაში ჩავიდა და თავისი მოადგილე-ლეგატების*, პუბლიუს რუტილიუს რუფუსისა და გაიუს მარიუსის დახმარებით შეუდგა საომარი წესრიგის აღდგენას რომაულ ლეგიონებში. მან მოახერხა მოესპო არმიაში დეზერტირობა, მექრთამეობა, ვაჭრობა, ქურდობა, ყაჩაღობა, ლოთობა და მრუშობა. შეუნელებელი წვრთნითა და სწავლით რომაულ ბანაკებში აღადგინა ძველთაგანვე სანაქებო ბრძოლისუნარიანობა.

იუგურთამ პირველად იგრძნო, რომ მის წინ ახლა ნამდვილი საფრთხე აღიმართა, ფულით დაუძლეველი საფრთხე. ამიტომ მან ამჯერად სავსებით გულწრფელად სცადა რომთან ზავის ჩამოგდება. მაგრამ მეტელუსმა შორს დაიჭირა. მას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა ნუმიდიელი ავანტიურისტის ჩამოგდება და სიკვდილით დასჯა.

რაღა გაეწყობოდა, — რაკი ფულის ჩხრიალითა და დიპლომატიური თაღლითობით აღარაფერი გამოდიოდა, იუგურთას სარდლის ნიჭიერება და მეომრული სიჩაუქეც არ აკლდა და მან მეტელუსის სამკვდრო-სასიცოცხლო გამოწვევა გაბედულად მიიღო.

ნუმიდიელი მეფე თარეშული ომის გზაზე დადგა. იგი გადამწყვეტ ბრძოლას გაურბოდა და რომაელებისათვის უცნობ, უცაცრიელ უდაბნოებში იხიზნებოდა, იქიდან მოულოდნელად გამოიჭრე-

ბოდა. მტერს თავს ესხმოდა და ისევ გაუჩინარდებოდა. რომაელებს ფეხმარდი და გამძლე ნუმიდიური ცხენოსნების დევნაში უწყლო უდაბნოებსა და უსიცოცხლო გორმახებზე სიარული უხდებოდათ.

ერთი ასეთი უმძიმესი ლაშქრობის დროს, როცა წყურვილით ილაჯგაწყვეტილმა რომაელებმა ძლივს მიატანეს მდინარე მუთულს, იქ მათ დაუხვდათ ჩასაფრებული იუგურთა.

სასტიკი, სისხლისმღვრელი ბრძოლა რომაელთა გამარჯვებით დამთავრდა (109 წ.).

დამარცხებულმა მეფემ ისევ უდაბნოებსა და კლდე-ღრეებს მისცა თავი. მეტელუსი მის დევნას მოეშვა და ნუმიდიის სოფელ-ქალაქების აოხრებას, ძარცვასა და მოსახლეობის დატყვევება-დამონებას მიჰყო ხელი. რომაელი სარდალი სპობდა ყველას, ვინც ოდნავი წინააღმდეგობის გაწევას შეეცდებოდა. იუგურთაც შემოტრიალდა და მტრის ახლომახლო დაიწყო თარეში. იგი წვავდა ველ-მინდვრებს, აბინძურებდა და სწამლავდა ისედაც მცირე წყლებს, მოულოდნელად ესხმოდა მტერს, მის აღალს, ჩამორჩენილ ნაწილებსა და ცალკე მეომრებს. რომაელებს ერთი წუთითაც არ შეეძლოთ თვალის მოხუჭვა და ქარის ამოღება.

მეტელუსმა ალყა შემოარტყა ქალაქ ზამას (108 წ.), მაგრამ უშედეგოდ. ქალაქის დამცველები გრძნობდნენ, რომ იუგურთა ახლოს იყო, და თავგანწირვით ებრძოდნენ მტერს. რომაელი სარდალი იძულებული შეიქნა, ალყა მოეხსნა და გამოსაზამთრებლად რომაულ პროვინცია აფრიკაში* გადასულიყო.

მომდევნო წელს (107 წ.) მეტელუსმა იუგურთას განადგურება სცადა თვით იუგურთასეული მეთოდებით. იგი შეუდგა ნუმიდიელი მეფის ახლობელთა მოქრთამვა-გადმობირებას. რომაელი სარდლის კარავში საიდუმლოდ მოიწვიეს იუგურთას უახლოესი მრჩეველი და მისი მარჯვენა ხელი ბომილკარი, სწორედ ის, ვინც მასივას მკვლელობა მოაწყო რომში.

მეტელუსმა ბომილკარს აღუთქვა უხვი ჯილდო და პატიება მის მიერ ჩადენილი ყველა ბოროტებისათვის, ოღონდ გაეცა თავისი მეფე.

ბომილკარი შეუჩნდა იუგურთას და დაარწმუნა კიდეც, რომ სჯობია დამორჩილდეს და შეურიგდეს მტერს, რომლის დამარცხება მას არასგზით არ შეუძლია.

იუგურთა დათანხმდა რომაული სარდლობის მოთხოვნას და ტისიდიაში მდგარ მტრის ბანაკში გაგზავნა 200 000 გირვანქა ვერცხლი, ყველა საბრძოლო სპილო, მრავალი ცხენი, აღჭურვილობა

და 3000 რომაელი დეზერტირი, რომლებიც მის საომარ ძალთა შორის ყველაზე საიმედო ნაწილს წარმოადგენდნენ. რომაელებმა მოღალატე თანამემამულენი წელამდე მიწაში ჩაფლეს და ისრები დაუშინეს. ბოლოს მეტელუსმა მოითხოვა, თვითონ იუგურთა პირადად გამოცხადებულიყო რომაელთა ბანაკში.

იუგურთა მიხვდა, რაც დაემართა: იგი მოატყუეს იმათ, ვინც თვითონ ყოველთვის მიუმცდარად გაუცრუებია და გაუცურებია. გაცოფებულმა მეფემ ბომილკარს საშინელი წამებით მოუსპო სიცოცხლე და გაათკეცებული ენერგიით შეუდგა ბრძოლას.

მთავარი ის იყო, იუგურთა აფრიკელ ხალხებში ავტორიტეტსა და მხარდაჭერას ისევ წარმატებით ინარჩუნებდა. სწორედ მისი წაქეზებით აჯანყდა ქალაქი ბაგა, რომლის მოსახლეობამ მთლიანად გაჟლიტა იქ მდგომი რომაული ციხიონი. რატომღაც სიცოცხლე შეუნარჩუნეს მხოლოდ ციხიონის უფროსს ტიტე ტურპილიუს სილანს.

ორდღიანი იერიშის შემდეგ რომაელებმა ბაგა აიღეს, გაძარცვეს, დაანგრიეს და ხალხი დედაბუდიანად ამოჟლიტეს. სიკვდილს შეჰყარეს ტურპილიუსიც, რომლის ამასწინანდელი გადარჩენა სამშობლოს ღალატად მიიჩნიეს.

იუგურთა ბომილკარის ღალატის შემდეგ აღარავის ენდობოდა და სულ უბრალო განზრახვასაც კი გულში იმარხავდა. იგი მტრისთვისაც და თავისიანთათვისაც სავსებით მოულოდნელად გაიელვებდა ხან აქ და ხან იქ. ადამიანთაგან არავინ იცოდა, საიდან შეჰოუტევდა და საითკენ გაუტევდა. მეტელუსმა მას კიდევ ერთ შეტაკებაში დროშები და აღალი დაატოვებინა, მაგრამ მეორე დღეს იგი სავსებით ხელუხლებელი არმიითა და აღალით მიეშურებოდა თავის თავშესაფარში — ქალაქ თალაში.

მეტელუსმა გადაწყვიტა გამოდევნება. ეს დიდი რისკი იყო. თალა მდებარეობდა უდაბნოებით გარშემორტყმულ ოაზისში. რომაელებმა ტყავის გუდებითა და ხის მათარებით წყალი მოიმარაგეს დ მძიმე გზას დაადგნენ. ბოლოს დიდი ვაი-ვაგლახით მიაღწიეს თალას.

ორმოცდღიანი ალყის შემდეგ რომაელებმა ქალაქი აიღეს, მაგრამ ხელში ჩიტის ნაბდღვენის მეტი არაფერი შერჩენიათ. იუგურთამ შვილებითა და ხაზინის უმეტესი ნაწილით გაქცევა მოასწრო. ქალაქში დარჩენილმა რომაელმა დეზერტირებმა დარჩენილი ოქრო-ვერცხლი და სხვა სიმდიდრე მეფის სასახლეში შეიტანეს, სანადიმო სუფრა გაშალეს, სასახლე ცეცხლს მისცეს და ღრეობა გააჩაღეს. რომაელები თავზარდაცემულნი იდგნენ, ხედავდნენ და ის-

ფენდნენ, როგორ ერთვოდა ხანძრის გრიალს მთვრალი და ჭკუიდან გადასული თანამემამულეების ისტერიული ბღავილი.

როცა მეტელუსს ეგონა, ნუმიდიის დამორჩილებას ვამთავრებო, სწორედ მაშინ ომი უფრო ფართო და სახიფათო გახდა. იუგურთამ ფეხზე დააყენა ნუმიდიის სამხრეთით მცხოვრები გეტულების მრავალრიცხოვანი ტომები. იმავე დღეებში მავრიტანიის მეფემ ბოკხუსმა სიძის დასახმარებლად დაძრა ურიცხვი კავალერია.

ასე რომ, არისტოკრატთა რჩეული, რომელსაც სენატმა ორჯერ გაუგრძელა მთავარსარდლის რწმუნებანი და, ამას გარდა, „არაჩვეულებრივი მეტელუსიც“ იყო, კვლავ ჩაფლავდა. ამ ორი წლის მანძილზე ერთი სერიოზული ბრძოლა მოიგეს რომაელებმა (მდინარე მუთულზე) და ამ გამარჯვებასაც მიაწერდნენ არა არისტოკრატ მეტელუსს, არამედ მის ლეგატს, მდაბიო გაიუს მარიუსს.

ვინ იყო ეს კაცი, რომელსაც ბედმა არგუნა, ეხსნა რომი ამ მრავალწლოვანი სირცხვილისა და თავლაფდასხმისაგან, ვინ იყო იგი, ვინც პოპულარ-დემოკრატთა ხელში უმახვილეს იარაღად იქცა ოპტიმატ-ოლიგარქთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ვინ იყო ხალხის საოცნებო შურისმგებელი გრაკხუსთა კეთილშობილი სისხლის დაღვრისათვის?

5. სოფლელი „ახალკაცი“

გაიუს მარიუსი ერთი უპირველესი და ეთვალსაჩინოესია იმათგან, ვისაც რომში მდაბიო, სოფლური. „უჯიშო“ წარმოშობის გამო, „მეტიჩარა ვიგინდარებს“, ან უკეთეს შემთხვევაში, „ახალკაცს“ (homo novus) უწოდებდნენ.

მასზე ციცერონი ამბობდა:

„სოფლელი კაცია, მაგრამ მთლიანი კაცია“ (rusticanus vir sed plane vir).

გაიუს მარიუსი დაიბადა 157 წელს ლათინურ სოფელ კერეატეში, ქალაქ არპინუმის მახლობლად. იგი იზრდებოდა სოფლური უბრალოების, სიღარიბისა და სიმკაცრის პირობებში. ლაღმა ბუნებამ და მიწასთან ჭიდილმა მას უზომო ფიზიკური ძალ-ღონე და უშრეტი სულიერი სიმტკიცე მისცა. მისთვის თავიდანვე უცხო იყო ურბანისტული სინაზე და სიკოხტავე. მოუხეშავ და გაურანდავ აგრიკოლას (მიწისმუშა) მთელი სიცოცხლის მანძილზე ეზიზღებოდა ყველაფერი, რაც მამლაყინწა და მეტიჩარა არისტოკრატულ „მაღალ წრეს“ სისხლხორცეულ მოდად ჰქონდა მიჩნეული. მას არ მი-

ულია არავითარი განათლება და არასოდეს დამტკბარა ბრწყინვალე ჰელინური ლიტერატურის კითხვით. იგი თავს იმით ინუგეშებდა, ბერძნები რომაელთა მონები არიან და ამიტომ მბრძანებლებს არ შეშვენითო მონათა ენისა და მონა-მასწავლებელთაგან მეცნიერების სწავლა. შემდგომში, როცა სახელმწიფოს მესვეური გახდა და იძულებული იყო, ანგარიში გაეწია თანამემამულეთა „ჰიპოხონდრიებისათვის", ბერძნულ პიესებს ადგმევინებდა, მაგრამ თვითონ არასდროს არ ესწრებოდა მათ. მხოლოდ ერთხელ სცადა თეატრში გამოჩენა, მაგრამ უმალვე, სანამ ხვრინვას ამოუშვებდა, თავს უშველა სახლში გაქცევით. გაურბოდა მაღალ საზოგადოებაში ყოფნას. განსაკუთრებით საცოდავი იყო ქალთა წრეში: მას არ შეეძლო ყოფილიყო მომხიბლავი და ალერსიანი; გაუთლელი სოფლელი ჭირის ოფლში იწურებოდა, დიდი ფეხებით უხეიროდ დაბოტებდა, გრძელ ხელებს უსაზმნოდ იქნევდა, ჯმუხ მხრებს იჩეჩდა, საცრისტოლა თვალებს უემურშეყრილივით ატრიალებდა და ასეთ „უმსგავსო ადგილზე" მოხვედრისათვის თავბედს იწყევლიდა. მაგრამ, როგორც ეტყობა, მისი მიწიერი სიჯანსაღე და სულიერი შეურყვნელობა მაინც ხიბლავდა აფროდიტეს ბანაკის რჩეულთ. სწორედ ამიტომ იყო, რომ მას ცოლად გაჰყვა მაღალი პატრიციანული („ღვთაებრივი") იულიუსის გვარის ქალი, იულია, დიდი იულიუს კეისრის მამიდა.

მარიუსს ძალიან მოსწონდა თავისი გლეხური შთამომავლობა, ღარიბული ცხოვრება, და იტყოდა ხოლმე:

„მამაჩემისგან და პატიოსან კაცთაგან მე ვიწამე, რომ ფუფუნებით ცხოვრება ქალების საქმეა, ხოლო ვაჟკაცებს შრომა ამშვენებს".

გაიუს მარიუსი ომის ღმერთის ფეხთაზე იყო დაბადებული. ბუნებით ჯარისკაცად დაბადებულისთვის სამხედრო ბანაკი სამოთხე იყო, საომარი ყიჟინა — ოლიმპიელთა მხიარული ხარხარი, საჭურვლის ზათქი-ზრიალი — ზეციური სიმფონია. ყველა მუზისთვის ყრუ იყო იგი და მხოლოდ ერთადერთს, სწორედ მუზების მტერს — სამხედრო ხელოვნებას სცემდა თაყვანს. სამკაულად მას არაფერი არ ხიბლავდა საომარი საჭურვლის გარდა.

„სამკაული — ეს იარაღია და არა სხვა რამ მდიდრული ჯოხება", — ამბობდა იგი.

ბან უბრალო ჯარისკაცობით დაიწყო. მაშინ იგი 22 წლისა იყო. ესპანეთში, ნუმანციის კედლებთან, სციპიონ ემილიანეს თვალში მოხვდა ახალგაზრდა მარიუსის გმირობა, — მან ხომ ორთაბრძოლაში განგმირა მამაცი ესპანელი ვაჟკაცი. ამის შემდეგ მთავარსარდალს არ გამოჰპარვია არც ერთი მისი ნაბიჯი, დაკვირვებული, სახ-

რისიანი, გაბედული და შემმართებლური. და როცა ერთხელ სანადიმო სუფრასთან რომელიღაც მლიქვნელმა სციპიონს ჰკითხა, ეყოლება თუ არა ოდესმე რომაელ ხალხს შენისთანა ბელადიო, სციპიონმა უპასუხა:

„დიახ, ეყოლება და შესაძლოა, აი, ეს!“ — და ბეჭზე ხელი დაჰკრა მის გვერდით წამოწოლილ გაიუს მარიუსს.

დიდი მხედართმთავრის სიტყვა მარიუსმა ნამდვილ ღვთაებრივ მინიშნებად მიიჩნია. იგი ამიერიდან კიდევ უფრო დარწმუნდა თავის მაღალ სამხედრო და სახელმწიფოებრივ მოწოდებაში.

119 წელს მარიუსი სახალხო ტრიბუნად აირჩიეს. მან მაშინვე გამოაქვეყნა კანონი სახელმწიფო თანამდებობაზე არჩევნებისას გამეფებული მოქრთამვისა და კორუპციის წინააღმდეგ.

არისტოკრატია გააცოფა „ვიგინდარასა“ ასეთმა პირდაპირმა და შემტევმა გამოსვლამ. კონსულმა ავრელიუს კოტამ მოითხოვა კანონის უკუგდება და სენატში მარიუსის გამოცხადება. მარიუსიც გამოცხადდა და პატივცემულ სენატორთ მაშინვე დაუმტკიცა, რომ ის აქ მოვიდა არა როგორც სამსხვერპლო ცხვარი, არამედ როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ და მოითხოვს, კონსულმა კოტამ სასწრაფოდ უკან წაიღოს თავისი განჩინება, თუ მას არ სურს, ახლავე ციხეში შეაბრძანოს სახალხო ტრიბუნმა გაიუს მარიუსმა.

სენატორებს ენა ჩაუვარდათ. დაბნეული და დაფეთებული ავრელიუს კოტა შველას ითხოვდა. მხოლოდ მეტელუსმა გაბედა მისი გამოსარჩლება. მაშინ მარიუსმა უბრძანა ლიქტორს, მეტელუსი შეეპყრო და ციხეში ჩაეგდო. მეტელუსმა სხვა ტრიბუნებს მოუხმო შემწედ, მაგრამ მათ არც მოისურვეს და ვერც გაბედეს მარიუსის წინააღმდეგ გამოსვლა.

სენატს მეტი გზა აღარ ჰქონდა და დათმო. გამარჯვებულმა მარიუსმა ამაყად გამოაბიჯა კურიიდან*, პირდაპირ სახალხო კრებაზე მივიდა და კანონი ერთმხრივ მხარდაჭერით შეიყვანა ძალაში.

მომდევნო წელს, ედილთა* არჩევნების დროს, ოპტიმატები საშიშ მეტოქეს უფრო ორგანიზებულნი შეხვდნენ. მარიუსი ედილად ვერ გავიდა.

მაგრამ 114 წელს არისტოკრატიამ ვეღარ შეძლო მისი დაკავება. მარიუსმა მიიღო პრეტურა* შორეულ ესპანეთში, სადაც მან კიდევ ისახელა თავი, ვითარცა მამაცმა მეომარმა, ჭკვიანმა პოლიტიკოსმა და პატიოსანმა მოქალაქემ.

გაიუს მარიუსის მეომრული ტალანტი ერთბაშად გაიშალა „იუგურთას ომში“.

ცეცილიუს მეტელუსს მთელი სიცოცხლის მანძილზე სანანებლად დარჩა, რომ ეს „სოფლელი ვიგინდარა“ ლეგატად წაიყვანა აფრიკის ომში. თუ სადმე რაიმე მიღწევა ჰქონია, ყველას მარიუსის სახელს არქმევდნენ. ყველაზე თვალსაჩინო გამარჯვებაც მდინარე მუთულზე აკი მარიუსის დამსახურებად მიაჩნდათ. ყველგან გაისმოდა ქება-დიდება მარიუსის სამხედრო ხელოვნებისა, სიჩაუქისა, ღრმა საზრიანობისა და უბრალო, მკაცრი ცხოვრებისა. ჯარისკაცები სულს ლევდნენ მისთვის, რადგან იგი ყოველ მძიმე ლაშქრობაში, შრომასა და ხიფათში მუდამ მათთან იყო და ჯარისკაცის უმძიმეს ტვირთს ყოველთვის თვითონ ტვირთულობდა.

მეტელუსმა იცოდა, მისი მეომრები სამშობლოში გაგზავნილ წერილებში სწერდნენ: ომის დამთავრებაზე ფიქრიც კი არ შეიძლება, სანამ კონსულად და მთავარსარდლად გაიუს მარიუსს არ აირჩევენო.

ერთ დღეს მარიუსი მეტელუსის კარავში შევიდა.

„რომში მინდა წავიდე, სარდალო“.

„რისთვის?“ — ვითომ არ იცოდა, ისე გაოცებით იკითხა კონსულმა.

„კონსულობისთვის“, — ძლივს ამოღერღა მარიუსმა.

„კონსულობისთვის?!“

„დიახ“.

„მაშასადამე, შენ გადაწყვიტე, ჩვენ დაგვტოვო და რომში კონსულობის საძებრად წახვიდე!“

„დიახ“, — ძლივს იოკებდა ბოღმას მთავარსარდლობას მოწყურებული გუთნისდედა.

მეტელუსმა კარგა ხანს პასუხი არ გასცა.

„იდგეს ფეხზე, იდგეს და იცოდეს, ვის წინაშე დგას თავხედი ვიგინდარა“, — ფიქრობდა მთავარსარდალი.

კარავში მეტელუსის ვაჟი შემოვიდა.

მამამ შვილს თვალი შეავლო, გაეღიმა, მერე უცებ რაღაც მოიფიქრა და მარიუსს ბრაზიანი სიცილით შეაფრქვია:

„განა შენთვის სასახელო არ იქნება, კონსულად ამ ჩემს ვაჟთან ერთად გახვიდე?“

მარიუსს თვალები სისხლით აევსო და სახე სულ გაუშავდა.

საკონსულო ასაკი 43 წელი იყო, მარიუსი ახლა 48 წლისა ხდებოდა. ხოლო მეტელუსის ვაჟს 20 წელიც არ შესრულებოდა. ასე გამოდის. ამ გულზვიად პატრიციუსს რომ ჰკითხოს კაცმა, მარიუსმა 23 წელიწადი კიდევ უნდა დაიცადოს, ეს ლაწირაკი 43 წლისა გახდება. ხოლო მარიუსი 71 წლისა!

მაშასადამე, მარიუსი საიქიოში დაიმკვიდრებს კონსულობას!

ეს დაცინვაზე უარესია და მარიუსი არავის შეარჩენს შეურაცხყოფას!

იგი ბრაზითა და ბოღმით გატენილი გავიდა კარვიდან.

რამდენიმე დღის შემდეგ მარიუსი კი აღარ ითხოვდა, არამედ უკვე მოითხოვდა. მეტელუსიც უფრო დამთბარი ჩანდა, მაგრამ ბოლომდე მაინც არ თმობდა.

წელიწადი იწურებოდა. დეკემბერი ახლოვდებოდა, არჩევნების თვე. მარიუსი უკვე იმუქრებოდა. მეტელუსმა მაინც იმდენი ქნა, ურჩი მოადგილე მხოლოდ მაშინ დაითხოვა, როცა არჩევნებამდე მხოლოდ თორმეტი დღე დარჩენილიყო.

მარიუსმა სამხედრო ბანაკიდან ზღვის პირამდე, ქალაქ უტიკამდე, ერთი კვირის სავალი გზა ორ დღე-ნახევარში გაიარა. გემში ჩაჯდომის წინ ღმერთებს მსხვერპლი შესწირა და ილოცა. სამსხვერპლო ცხოველის შიგნიერზე ამკითხვინა და სიხარულით ფრთები გამოისხა, როცა მკითხავმა ღმერთთათვის საკადრისი წარმატებანი „უწინასწარმეტყველა“.

მეოთხე დღეს იგი რომში იყო.

პოპულარები აღფრთოვანებით შეხვდნენ თავიანთ ბელადს.

მარიუსი პირდაპირ ამბობდა, მთავარსარდლობაზე დახარბებული მეტელუსი განგებ აჭიანურებსო ომს. ხოლო, თუ ომის ხელმძღვანელობას, მას, მარიუსს გადასცემენ, იგი რამდენიმე დღეში რომში ჩამოიყვანს გაბაწრულ იუგურთას.

მარიუსი მარტო მეტელუსს როდი ებრძოდა. იგი გამოდიოდა მთელი მმართველი არისტოკრატიის წინააღმდეგ. ოპტიმატური ოლიგარქიის საწინააღმდეგო მკაცრი ბრალდება იყო მისი სიტყვა სახალხო კრებაზე:

„მე არ მინდა ჩემს სადიდებლად წარმოგიდგინოთ გამოსახულებანი ჩემი წინაპრებისა, რომელთაც დამსახურებული ექნებოდათ დიდი სახელმწიფო თანამდებობანი და ტრიუმფები. მაგრამ მე შემიძლია წარმოვადგინო საპატიო საომარი საჭურველი, საომარი წარჩინებითი ჯილდოები და ჭრილობებით დაჩეხილი ჩემი სხეული. ეს ჭრილობანი სცვლიან ჩემი წინაპრების სახეებს. ესენი წარმოადგენენ ჩემს გვარიშვილობასა და წარჩინებულობას, რაიც მე ოპტიმატთა მსგავსად მემკვიდრეობით როდი მიმიღია, არამედ მე თვითონ საკუთარი ძალით მომიპოვებია აურაცხელი ხიფათით გარშემორტყმულს. ჩემი სიტყვები მოკლებულია სილამაზეს და დახვეწილობას; ლამაზსიტყვაობას მე არაფრად ვაგდებ, რადგან ადამიანის ჭეშმარიტი ღირსება უამისოდაც კარგად გამოჩნდება. მოქნილი

ლაპარაკი ოპტიმატებს სჭირდებათ, რათა ლამაზი სიტყვებით დაფარონ თავიანთი სამარცხვინო საქმენი. არც ბერძნული ლიტერატურაა ჩემთვის ცნობილი: მე არ მქონია მისი შესწავლის სურვილი. რადგან ვხედავდი, რომ მას არ შეეძლო მამაც ვაჟკაცად ექცია თვით მისი მასწავლებლები. მაგრამ მე ვისწავლე იმის გაკეთება, რაიც ყველაზე მეტად სასარგებლოა სახელმწიფოსთვის: მტრის დამარცხება და გულუძვრელობა ყველაფრის წინაშე, გარდა უპატიურობისა; დაძლევა სიცხისა და სიცივისა, უქონლობისა და ჯაფისა: ძილი ცივს მიწაზე. ყველა ამ უნარს მე ჩავუნერგავ ჯარისკაცებს, მაგრამ არ დავუშვებ, რომ ისინი შიმშილობდნენ ჩემი ნადიმობისას, ბოროტად არ გამოვიყენებ მათ ძალებს ჩემი პირადი განდიდებისთვის. აკი ბუნება ყველა ადამიანს ერთნაირად ანიჭებს სიცოცხლეს. მხოლოდ სიმამაცეა ჭეშმარიტი წარჩინება. ჩვენ რომ ახლა შევეკითხოთ ალბინუსის ან ბესტიას წინაპრებს, რომელს ისურვებდნენ თავიანთ შთამომავლებად — ამათ, თუ მე, განა ისინი მე არ ამირჩევდნენ? ასე რომ, განა ოპტიმატებს მე ვძულვარ, ისინი იმავე დროს სიძულვილით უცქერიან თავის წინაპრებს, რომელთაც თავიანთი წარჩინება ჩემებრ მამაცობით მოუხვეჭიათ".

მარიუსი კონსულად გავიდა.

იქვე, კენჭისყრის გარეშე, სახალხო კრებამ მას მიანდო მთავარსარდლობა ნუმიდიის ომში.

კონსული ჯარების შეკრებას შეუდგა სავსებით ახალი, მანამდე გაუგონარი წესებით.

აქამდე სამოქალაქო ლაშქარი იკრიბებოდა ქონებრივი ცენზის მიხედვით, — როგორც ეს დადგენილი იყო ჯერ კიდევ VI საუკუნის მეორე ნახევარში სერვიუს ტულიუსის ცნობილი რეფორმით. მარიუსმა კი არმიაში გაწვევა დაიწყო ყოველგვარი ქონებრივი მდგომარეობის გაუთვალისწინებლად. იგი ჯარში იწვევდა ყველას და ღებულობდა მოხალისეებს, განსაკუთრებით ღარიბ, უღარიბეს და სავსებით უქონელთ — პროლეტარებს და ლუმპენ-პროლეტარებს*. რომ აღარაფერი ვთქვათ „მოკავშირეებზე" (დაპყრობილი იტალიელი ტომები), არმიაში ირიცხებოდნენ მამაცი პროვინციალებიც*. ამიერიდან სახელმწიფოსგან მეომარი ღებულობდა შეიარაღებას, ჯამაგირსა და ჯილდოებს. სამხედრო სამსახური თექვსმეტწლიანი იყო, ესე იგი მარიუსის რეფორმის ძალით, ღარიბ, სავსებით უქონელ რომაელს, იტალიელს, თუ პროვინციალს, ყველას საარსებო წყარო უჩნდებოდა. მით უფრო, რომ სამხედრო ვალდებულების მოხდის შემდგომ ვეტერანი-მეომარი მიწის ნაკვეთსაც მიიღებდა.

ერთი სიტყვით, გაიუს მარიუსმა სამხედრო სამსახური ნივთიე-

რი არსებობისა და, ხშირ შემთხვევაში, გამდიდრების წყაროდ აქ-
ცია. ამიერიდან რომაული ჯარი ჩვეულებრივ შეიარაღებულ მოქა-
ლაქეთა საკრებულოს როდი წარმოადგენდა. წარმოიქმნა განსაკუთ-
რებული ფენა — წოდება, შემდგარი მრავალგვარი წარმოშობისა და
მდგომარეობის ადამიანებისაგან. აქ დაწინაურება ხდებოდა არა
წარმომავლობისა და ქონების მიხედვით, არამედ ნამსახურობისა და
დამსახურების კვალობაზე.

რაც მთავარია, ამიერიდან რომაული არმიის სამშობლო იყო
არა რომი, არამედ სამხედრო ბანაკი; ამიერიდან იგი თავის მბრძა-
ნებლად თვლიდა არა სენატს, არამედ მთავარსარდალს.

ასეთი არმიით ჩავიდა კონსული, რეფორმატორი და მთავარსარ-
დალი გაიუს მარიუსი აფრიკაში. მეტელუსი იქ აღარ დახვედრია.
ბრაზითა და მძულვარებით ყელამდე აღვსილი პატრიციუსი არ და-
ელოდა გამარჯვებული მეტოქის ჩამოსვლას, ჯარები ლეგატ რუ-
ტილიუსს დაუტოვა და თვითონ რომს გაემგზავრა.

მარიუსმა არად ჩააგდო მეტელუსის „გაქცევა", ნუმიდიაში
მდგარი ჯარები ჩაიბარა და საქმეს შეუდგა.

6. „ბედისწერა" სოფლელი კაცისა

მთავარსარდალი კარავში იჯდა და ნუმიდიელი მეფის განადგუ-
რების გეგმას ადგენდა. გონების თვალით ხედავდა თავისი ლეგი-
ონების განრიგებას საომარ ველზე, ხედავდა ყოველ საჯარისო შე-
ნაერთს*, კოჰორტებს, მანიპულებს, ცენტურიებს, კავალერიას, ყო-
ველ სამეთაურო პოსტს.

„აი, ლეგატები... სამხედრო ტრიბუნები...* ცენტურიონები...*
ყველანი ადგილზე არიან... ის კი არა ჩანს... კვესტორი*..."

ლიქტორის შემოსვლამ ფიქრი შეაწყვეტინა.

„კვესტორი გამოცხადდა, მთავარსარდალო!"

„კვესტორი?"

„დიახ. შემოსვლას ითხოვს".

„შემოვიდეს!"

სარდლის წინ წარსდგა ოცდაათი-ოცდათორმეტი წლის კაცი.
არისტოკრატულად მორთულ-მოკაზმული, ახოვანი, წელწვრილი და
მხარბეჭგაშლილი, ქერათმიანი და ცისფერთვალება. თვალებიდან
ერთდროულად გამოუკრთოდა ნიჭიერებაც და თავხედობაც. ფერ-
მკრთალ მოგრძო სახეზე და მაღალ, გონიერ შუბლზე წითელი სვი-

რინგები დაჰყროდა, მაგრამ ეს ოდნავადაც ვერ ჩრდილავდა მის საოცრად მომხიბლავ ეშხსა და იერს.

მარიუსმა ცივი, გოროზი მზერა შეაგება ამპარტავანი პეწით შეპოსულ არისტოკრატს.

„მაშ, შენ ხარ ჩემი კვესტორი და კავალერიის უფროსი?"

„მე ვარ, სარდალო".

„ლუციუს კორნელიუს სულა?"

„დიახ, ლუციუს კორნელიუს სულა", — ამაყად გაიმეორა არისტოკრატმა.

მარიუსი აიმრიზა.

„რატომ დააგვიანდა კვესტორს საომარ ველზე გამოცხადება?"

„მე ჯერ ვერ ვხედავ საომარ ველს".

მარიუსს სახე გაულურჯდა, თვალები სისხლით აევსო.

„ომი მალე დაიწყება", — გამოსცრა კბილებიდან.

„კვესტორიც მიაგნებს თავის ადგილს", — ეს ისე თქვა სულამ, მარიუსმა ვერ გაიგო, კრძალვა იყო ამ სიტყვებში, მუქარა, თუ დაცინვა.

სულამ კი კარგად გაიგო, როგორი ზიზღით თქვა მარიუსმა:

„მე მირჩევნია, საომარ ველზე ჩემი კვესტორი გამოსცემდეს ნივრისა და ოფლის სიმყრალეს, ვიდრე სუნამოსა და ნელსაცხებლის სურნელებას აფრქვევდეს მტერს".

სულა წამსვე მიხვდა, მთავარსარდლის მოთმინება ამოწურულიყო. მან იცის, ასეთ დროს საჭიროა უკან დახევა.

„მაპატიე, იმპერატორო!"

„იმპერატორო?!" — ასეთი ეპითეტებით ხომ მეომრები განადიდებენ თავიანთ სარდალს დიდი ომის მოგების შემდეგ. მაშასადამე, არც ისე ცუდი კაცი ყოფილა ეს უცნაური ახალგაზრდა ოპტიმატი: მან მარიუსს უწოდა „იმპერატორი" მაშინ, როცა მას ჯერ ომი არც დაუწყია.

„მე შევეცდები, ვიყო ღირსეული კვესტორი, კავალერიის უფროსი, ნამდვილი ჯარისკაცი და უერთგულესი თანაშემწე კონსულისა და იმპერატორ გაიუს მარიუსისა!" — დაასრულა სულამ.

მარიუსს თვალებიდან სისხლი გადასწმენდოდა და მის ნაცვლად სიამოვნების ციმციმი ჩასდგომოდა. „სოფლელ კაცს" კეთილი გული გახსნოდა.

„წადი, ყმაწვილო კაცო, გაემზადე, ხვალ ადრიანად ვიწყებთ ლაშქრობას", — ლბილად და თბილად უთხრა მან კვესტორს.

სულამ წამიერი მზერა ესროლა მთავარსარდალს, მერე მდაბლად თავი დაუკრა და გასასვლელისკენ გატრიალდა.

მარიუსმა თვალი გააყოლა ამპარტავანი ნაბიჯით მიმავალ არისტოკრატს. იგი დიდხანს ფიქრობდა ამ კაცზე.

მას გაეგონა ამ ახალგაზრდის ამბავი, მისი უცნაური თავგადასავალი. მაგრამ სწორედ მისი ცხოვრებაა გამოცანა და უფრო ძნელია გამოცნობა, რა სურს, რას აპირებს და რა შესაძლებლობები აქვს ამ კაცს თავის პატივმოყვარულ ზრახვათა აღსასრულებლად.

მაშ, ვინ არის ეს კაცი, რომელმაც კონსულად და მთავარსარდლად აღზევებულ „ახალკაცს“ ნექტარით სავსე ფიალაში უკვე ჩაუგდო ერთი წვეთი საწამლავისა?

ლუციუს კორნელიუს სულა დაიბადა 138 წელს, ძველ არისტოკრატიულ-პატრიციულ ოჯახში. მისი წინაპრები თითქმის არასოდეს არ ბრწყინავდნენ სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეობით. უკანასკნელ ხანებში კორნელიუს სულას გვარი სულ დაკნინდა და დაღარიბდა. ლუციუს სულამ ბავშვობა სიღარიბეში გაატარა. ჭაბუკობისას ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა. ის არაფერს ერიდებოდა, ოღონდ კი ბედისგან აკიდებული ხელმოკლეობისაგან როგორმე თავი დაეხსნა. მომხიბლავი და დარდიმანდი ვაჟკაცი კარგად იყენებდა ქალთა თავშეუკავებელ თაყვანისცემას, მეტადრე, თუ თაყვანისმცემელი სიმდიდრის პატრონი იყო. „რომაელი „დონჟუანი“ დიდხანს ცხოვრობდა ვიღაც მდიდარი როსკიპის ხარჯზე, რომელიც მისთვის მზრუნველი „დედინაცვალიც“ იყო და ვნებიანი სატრფოც. სულას მთელი ცხოვრება თავაწყვეტილი ბოჰემა და ვაკხანალია იყო. მთელს რომში იცოდნენ მისი საეჭვო ურთიერთობანი რომაელი საზოგადოების ფსკერთან, იცნობდნენ მის ღამეულ თავგადასავლებს და „ბნელ საქმეებს“. მისი მეგობრები იყვნენ მსახიობები, ჯამბაზები, ტაკიმასხარები, ქალნი და კაცნი მომღერალნი და მოცეკვავენი, რომელთა შორის თვითონაც მსახიობობდა, ჯამბაზობდა, ლაზღანდარობდა, ცეკვავდა და მღეროდა, ვითარცა დიონისე-ბახუსი, სატირებით გარშემორტყმული.

იმავე დროს სულა იყო თავისი დროისათვის დიდად განათლებული ადამიანი, მახვილგონიერი და ენაწყლიანი. ბრწყინვალედ ფლობდა მაღალ ბერძნულ კულტურას, ლიტერატურას, პოეზიას, ხელოვნებას და ფილოსოფიას. მას ჰქონდა დიდი უნარი ბრძნულად აზროვნებისა. იყო თავდადებული მეგობარი მეგობრისათვის და უაღრესად შეუპოვარი და დაუზოგავი მტრისათვის. იგი ადვილად ითვისებდა ყველაფერს, რაიც სხვისთვის ძნელი დასაძლევი სჩანდა. შეეძლო ადამიანების მოხიბლვა და გულის მოგება. სულ მალე მას ჯარისკაცები შეიყვარებენ, ვითარცა ჭირსა და ლხინში თანაზიარ ჯარისკაცსა და გულუხვ სარდალს. მისი ბუნება ერთდროულად ით-

ვისებდა მძვინვარე შემართებასაც და ჩაუწვდომელ ცბიერებასაც. ამიტომ მასზე მალე იტყვიან:

„სულა ერთდროულად არის ლომიც და მელაც, — აქვს ლომის მძვინვარება და მელას ცბიერება“.

მას საოცრად სწამდა თავისი „ბედის ვარსკვლავისა“, მუდამ სჯეროდა, რომ ყველა საქმეში გაიმარჯვებდა. და მართლაც იგი არასდროს არ დამარცხდება, მოიგებს ყველა საომარ შერკინებას და ყველა პოლიტიკურ ბრძოლას. ამიტომ მას მალე დაერქმევა „სულა ბედნიერი“ (Sulla felix).

აი, ეს „ბედნიერი ლომ-მელა“ შეიქნა მარიუსის მსახვრალი ბედისწერა მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე.

7. იუგურთას აღსასრული

მარიუსმა შეტევა დაიწყო (106 წ.). პირველ წარმატებულ შეტაკებათა შემდეგ მან ჯარები დაძრა ქალაქ კაპსასაკენ, რომლის დაპყრობა გაცილებით ძნელი იყო, ვიდრე თალას აღება წინარე წელს.

კაპსას გარშემო უწყლო, ცხელქვიშიანი და შხამიანი გველებით სავსე უდაბნოები გადაჭიმულიყო. მარიუსმა რამდენიმე ღამეული ლაშქრობით გადალახა ეს ხიფათით სავსე ქვეყანა და მოულოდნელად დაეცა თავს ციხე-ქალაქს. კაპსამ იარაღი დაყარა. ქალაქის ყველა მამაკაცი რომაელებმა გაჟლიტეს, დანარჩენები მონებად გაყიდეს, ქონება გაინაწილეს და ქალაქი ცეცხლს მისცეს.

შემდეგ მარიუსი გაეშურა მდინარე მულუხისაკენ, რომელიც ერთმანეთისაგან ჰყოფდა ნუმიდიას და მავრიტანიას. აქ, მაღალ, კლდოვან მთაზე, აღმართული იყო ძლიერი ციხესიმაგრე, სადაც მხოლოდ ერთადერთი საცალფეხო ბილიკით შეიძლებოდა ასვლა. ამ მიუვალ ციხესიმაგრეს ანდო იუგურთამ თავისი საგანძურებისა და სალაროების დაცვა.

რომაელები დიდხანს უნაყოფოდ ერტყნენ გარს მულუხის ციხესიმაგრეს. ბოლოს, ერთმა ლიგურიელმა, უაღრესად დაოსტატებულმა მთამსვლელმა, ღამით, მტრისგან იდუმალ ერთი რაზმეული აიყვანა კლდეზე. იმავე დროს მარიუსმა წამოიწყო ძლიერი შეტევა ბილიკის გასწვრივ. ციხის დამცველებიც მთელი ძალებით დაუხვდნენ გზაწვრილზე ამომავალ მტერს. მაგრამ მათთვის სავსებით მოულოდნელი იყო ზურგიდან, კლდის მხრიდან თავდასხმა. ორმხრივი დარტყმით დაბნეული ნუმიდიელები სულ ერთიანად მოისრნენ. ციხესიმაგრე მთელი მისი საჭურჭლეებით რომაელებმა დაისაკუთრეს.

მარიუსის დიდებამ ახალ საფეხურზე აინაცვლა.

მულუხის სასაზღვრო სიმაგრის დაცემამ შეაშფოთა მავრიტანიის მეფე ბოკხუსი. მან ახლა უფრო გულდასმით მიუგდო ყური იუგურთასგან მოსყიდულ მრჩევლებს და გადაწყვიტა, ამდენი ყოყმანის შემდეგ საქმიანი დახმარება გაეწია განადგურების პირს მისული სიძისათვის. ეს გადაწყვეტილება სარწმუნო მაშინ გახდა, როცა იუგურთამ ბოკხუსს თავისი სამეფოს ერთი მესამედი აღუთქვა.

ერთ დღეს, როცა რომაელები მულუხიდან წასასვლელად ემზადებოდნენ, მათ მოულოდნელად თავს დაესხნენ ნუმიდიელების, მავრიტანელებისა და გეტულების* მრავალრიცხოვან ცხენოსანთა კორპუსები. რომაელები იბრძოდნენ მათთვის უაღრესად არახელსაყრელ პირობებში, — მოუმზადებელნი და დეზორგანიზებულნი. დაღამებისას მარიუსმა მოახერხა ჯარების გადაყვანა მახლობლად მდებარე ორ დიდ ბორცვზე, მაგრამ იგი ფეხდაფეხ მოდევნებულმა მოწინააღმდეგემ სულ მალე ალყაში მოაქცია.

გვიან ღამემდე გამაყრუებელი ღრიალით ზეიმობდნენ „გამარჯვებას“ აფრიკელები. რომაელთა ბანაკებში სამარისებური დუმილი იწვა. შუაღამისას მოწინააღმდეგის მხარესაც მიწყნარდა ღრიალი. ალბათ ძილმა დაისადგურა წარმატებით გალაღებულ და მტრის „დამარცხება-დაშინებით“ დაარხეინებულ უდაბნოელთა შორის.

და მარიუსმა ნიშანი მისცა. რომაელები ერთბაშად ამოცვივდნენ სანგრებიდან და ზარდამცემი ყიჟინითა და იარაღის ზათქით დაეცნენ ძილს მიცემულ მტრის ბანაკს. სულ მალე ბრძოლის ველი შემზარავ სასაკლაოდ იქცა. აფრიკელთაგან სულ მცირენი გადაურჩნენ რომაული მახვილის მძვინვარებას.

ამის შემდეგ გაიუს მარიუსი გამოსაზამთრებლად გაეშურა ცირტასაკენ. იგი მიდიოდა ფრთხილად, საომარი წყობით. და, აი, ახალთახალი, მრავალრიცხოვანი ჯარით კვლავ გამოჩნდა იუგურთა და ყოველი მხრიდან მიესია რომაულ არმიას.

ცირტას მახლობლად საშინელი სისხლისღვრა გაჩაღდა. იუგურთა იბრძოდა საოცარი სიმამაცითა და თავგანწირულებით. იგი მოწინავე ხაზზე სისხლიანი ხმლით დაჰქროდა და ლათინურ ენაზე გაჰკიოდა:

„ეჰეი, რომაელებო, ტყუილუბრალოდ მაკლავთ თავს! მე უკვე ჩემი ხელით მოვკალი თქვენი სარდალი მარიუსი. აბა, შეხედეთ, ამ მახვილს სწორედ მისი სისხლი სდის!“

მარიუსი მუზარადმოხდილი და სახეგაშიშვლებული მიმოჰქროდა და ეჩვენებოდა ყველას, რომ არავის დაეჯერებინა მისი სიკვდილი.

ბრძოლის სასწორი ქანაობდა. გადამწყვეტ მომენტში თავისი ფლანგიდან კავალერიით მძლავრად შეუტია ლუციუს კორნელიუს სულამ. მან მიმოფანტა მასზე მიტევებული მტრის მხედრობა და დასახმარებლად მიაშურა ლეგიონთა ზურგს, საიდანაც მარიუსს იმ-ქამს უტევდნენ იუგურთა და ბოკხუსი.

სულას შეტევამ ბრძოლის ჩარხი რომაელთა სასარგებლოდ დაატრიალა. აფრიკელები კვლავ დამარცხდნენ.

მარიუსმა გამოსაზამთრებლად ნუმიდიის სატახტოსთან დასცა ბანაკი.

ასეთმა მარცხიანმა შეტაკებებმა მერყეევი და ორჭოფული მავრიტანელი ხელმწიფე აიძულა, დაზავება ეთხოვა. ბოკხუსმა იუგურთასაგან იდუმალად ელჩები აფრინა რომშიც და მარიუსთანაც „კავშირისა და მეგობრობის“ შეთავაზებით. მარიუსს სთხოვდა, მასთან მოსალაპარაკებლად გაეგზავნა სულა, რომლის „თავაზიანობისა“ და „დიდსულოვნების“ ამბავი უკვე სმენოდა მას.

ხანმოკლე ყოყმანის შემდეგ მარიუსი დათანხმდა და სულა მცირე მხედრობისა და ქვეითი ჯარის თანხლებთი გაეშურა მავრიტანიისაკენ.

მეგზურად ჰყავდათ ბოკხუსის ძე ვოლკუსი. ხუთი დღის სავალულის შემდეგ სრულიად მოულოდნელად მგზავრები შეეფეთნენ იუგურთას, რომელსაც თან ახლდა გაცილებით მრავალრიცხოვანი ლაშქარი, ვიდრე სულას. ბუნებრივად ჩაითვლებოდა ფიქრი, რომ ვოლკუსი მოღალატე იყო; რომ მასთან შეთანხმებით იუგურთამ ხაფანგი დაუგო სულას, რომლის ხელში ჩაგდებით მეფეები უფრო მეტის გამოძალვას შეძლებენ მარიუსთან მოლაპარაკების დროს.

რომაელები შიშმა და ბრაზმა შეიპყრო. ზოგი გაქცევას მოითხოვდა, ზოგიც ვოლკუსის მოკვლას და იუგურთასთან შებრძოლებას. მავრიტანელი უფლისწული ცრემლების ღვრით იფიცებოდა, რომ მოღალატე არ იყო, იუგურთას გამოჩენა მისთვისაც გამოცანას წარმოადგენდა, და სიცოცხლის შენარჩუნებას ითხოვდა: თან რჩევას იძლეოდა, პირდაპირ, შიშისა და მორიდების გარეშე გაეელოთ იუგურთას ბანაკზე.

სულამ მართლაც ერთბაშად გადაწყვიტა და სწრაფი, გაბედული ნაბიჯით დაიძრა იუგურთასკენ. გაოცებულმა და გაოგნებულმა იუგურთამ აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. იგი გაშტერებული უცქეროდა მის ბანაკზე გოროზად და უჯიათი ნაბიჯით გავლილ „მგლის შვილებს“.

სულა მშვიდობიანად მივიდა მავრიტანიის მეფესთან და რომ-

თან მშვიდობიანობისა და „კავშირ-მეგობრობის“ აუცილებელ პირობად იუგურთას ჩაბარება მოითხოვა.

ბოკხუსი დიდხანს ყოყმანობდა, აღარ იცოდა, რომელი აერჩია: იუგურთა გადაეცა სულასთვის, თუ სულა — იუგურთასთვის. ჯერ-ჯერობით ორივე მხარეს ჰპირდებოდა და არც ერთს არ უსრულებდა. ბოლოს და ბოლოს, მაინც უნდა გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო, და გადაწყვიტა კიდეც.

ერთ დღეს მან თავისთან დაიბარა იუგურთა და სულა, რომელთაც ცალ-ცალკე აღთქმა მისცა, რომ მოწინააღმდეგეს უეჭველად ჩააბარებდა. როგორც ჩანს, რომის წინაშე შიში უფრო ძლიერი აღმოჩნდა ეროვნულ და ნათესაურ-მოყვრულ გრძნობაზე. როგორც კი იუგურთა გამოცხადდა, ბოკხუსის ნიშანზე მავრიტანელები საფრიდან ამოცვივდნენ, ნუმიდიელს მცველები დაუხოცეს, თვითონ იუგურთა შეიპყრეს და ბორკილდადებული გადასცეს სულას.

მავრიტანიის მეფემ სიძისა და თანამოძმის გაყიდვის საფასურად რომისგან მიიღო ნუმიდიის დასავლეთი ნაწილი. იუგურთას დანარჩენი სამფლობელოები რომაელებმა გადასცეს გაუდას, იუგურთას ნახევარძმას, სნეულსა და გონებასუსტ კაცს.

ასე დასრულდა „იუგურთას ომი“ (105 წ.). გაიუს მარიუსმა ბრწყინვალე ტრიუმფით გაიარა რომის ქუჩები. ტრიუმფატორის ეტლის წინ მოჰქონდათ 3 007 გირვანქა ოქრო, 5 775 გირვანქა ვერცხლი და 287 000 დრაქმა-მონეტა. ნადავლთა შორის უძვირფასესი იყო თვით იუგურთა და მისი ორი ვაჟი. ტრიუმფის დასასრულს ნუმიდიელი მეფედყოფილი გააშიშვლეს, ოქროს საყურეები ყურის ბიბილოებითურთ ჩამოჰგლიჯეს და კაპიტოლიუმის ქვეშ გათხრილ დილეგში ჩააგდეს.

„ოო, ჰერკულესო, რა ცივი ყოფილა შენი აბანო!“ — ცოფიანი სიცილით დაიღრინა სვედავსილმა ულაბნელმა.

ექვსი დღე ებრძოდა შიმშილს იუგურთა. ალბათ, კიდევ დიდხანს გასძლებდა მისი კლდოვანი სხეული სიკვდილთან ბრძოლაში, მაგრამ რომმა აღარ ინება დაეცადა მისი აბუჩად ამგდების ნებისმიერი აღსასრულისათვის. დილეგში ჯალათი ჩავიდა და იუგურთა დაახრჩო.

დიდი იყო „იუგურთას ომის“ დამთავრებით გამოწვეული აღფრთოვანება. გაიუს მარიუსის ნიჭისა და მკლავის სიდიადემ დაარწმუნა პოპულართა პარტია თავის ძალასა და ძლიერებაში. მარიუსის მეთაურობით მას შეეძლო, ახალი დარტყმებით დაესუსტებინა მოპირდაპირე ოპტიმატთა ბანაკი.

მაგრამ არისტოკრატიას არ ეძინა. სენატმა მარიუსი აიძულა,

მოეხსნა ტრიუმფატორის ინსიგნიები,* როცა იგი ისე „გათავხედდა“, რომ სენატის სხდომაზე ძოწეულის ტოგით გამოცხადდა. ოლიგარქია იუგურთას გახადგურებას თავის რჩეულთ. მეტელუსსა და სულას მიაწერდა. სენატმა მარიუსის ჯიბრზე მეტელუსს „ნუმიდიელი“ უწოდა. ხოლო სულამ ოქრომჭედელს ბეჭედი გააკეთებინა, რომელზედაც გამოხატული იყო, როგორ გადასცემდა მას ბოკხუსი შებორკილ იუგურთას. იგივე იყო გამოსახული ოქროს რელიეფზე, რომელიც ბოკხუსმა ძღვნად მიართვა კაპიტოლიუმის ტაძარს. როცა სულა ტრიუმფატორ მარიუსის ეტლს ცხენზე ამხედრებული უკან მოჰყვებოდა, ოპტიმატები ცდილობდნენ, ყველას ყურადღება სწორედ მისკენ მიექციათ, როგორც „ნამდვილი ტრიუმფატორისთვის“, რომელმაც შეიპყრო იუგურთა და დღეს აქ „სხვის ტრიუმფში“ გამოატარა.

მარიუსი ხედავდა, როგორ უწამლავდნენ მას სისხლის ფასად მოპოვებულ ტკბილ ნეტარებას და ახალი სახელ-დიდების მოსახვეჭად ემზადებოდა.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

„დიდი გერმანული საფრთხის“ პროლოგი

„დიდ გერმანულ საფრთხეს“ ჩვენ ვუწოდებთ იმ მოვლენებს, რამაც ახალი წელთაღრიცხვის მე-5 საუკუნეში იმსხვერპლა არა მარტო რომის მბრძანებლობა მაშინდელ მსოფლიოზე, არამედ მისი საკუთარი დამოუკიდებლობაც.

ხოლო ის, რაც აქ განიხილება, — ე. ი. ამბავი, რომელიც ალარიხისა და ოდოაკრის შემოსევებს წინ უსწრებს ხუთ-ნახევარი საუკუნით, — ჩვენ წარმოგვიდგება, ვითარცა პროლოგი და თავფურცელი „მარადიული ქალაქის“ დამხობისათვის ბრძოლის ისტორიისა.

ეს არის გერმანული ტომების, კიმბრებისა და ტევტონების პირველი გამოჩენა რომაული სამყაროს ჰორიზონტზე.

1. „ჩრდილოელ ბარბაროსთა“ პირველი გამოსვლა

მაშინ, როცა სამხრეთში, აფრიკის ცხელ მიწაზე, „იუგურთას ომის“ ხანძარი ინთებოდა, ჩრდილოეთში, თოვლიანი ალპების გადაღმა, მომთაბარე ხალხთა ხშირი მიგრაციები და ადგილმონაცვლეობანი არყევდნენ დედამიწას.

მარიუსს ჯერ კიდევ დამთავრებული არ ჰქონდა ნუმიდიის განადგურება, როცა დუნაის ცენტრალურ მიდამოებში გამოჩნდნენ გერმანული მოდგმის ტომები — კიმბრები, — ახოვანი, ქერათმიანნი და ცისფერთვალებიანი ბუმბერაზნი. ისინი მოდიოდნენ დასასახლებელი მიწების საძიებლად და დასაპყრობად. მოდიოდნენ დედაბუდიანად, ცოლშვილიანად, მთელი ოჯახებით. ურმებზე და

საბარგულებზე გამართულ ჩარდახებში შეხიზნულნი. ბრძოლის საჭიროებისას იგივე ურემ-საბარგულებითა და მთელი აღალით ისინი მრგვალად ჰკრავდნენ თავდაცვის ბანაკს. თავიანთ ბელადად კიმბრები ირჩევდნენ ყველაზე მამაცსა და ღონიერ გოლიათს, რომელიც მუდამ მზად უნდა ყოფილიყო მტრის სარდალთან ორთაბრძოლისათვის. ბრძოლაში ებმებოდნენ მტკიცედ შეკრული წყობით, გამაყრუებელი ღრიალითა და ჰომერული გრუხუნ-გრიალით. წინა მწკრივში მდგარი მეომრები თოკებით იყვნენ ერთმანეთზე გადაბმული, რომ ერთმანეთი გაემაგრებინათ და თან ბრძოლიდან გაქცევაც ვერავის მოეხერხებინა. მთელი მათი საომარი „სტრატეგია“ და „ტაქტიკა“ ემყარებოდა სწრაფ, თავზეხელაღებულ, ელვისებურ შეტევას და, საჭიროების შემთხვევაში, სიკვდილთან გულგრილ შეყრას. კიმბრთა მოხუცი ქურუმი ქალები ტყვედ წამოყვანილ მტრებს თავიანთ ღმერთებს მსხვერპლად სწირავდნენ და მათ სისხლზე მომავალს წინასწარმეტყველებდნენ.

113 წელს კიმბრები ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მოადგნენ ალპებს, გადათელეს ტავრისკებისა და კარნების ოლქები და მიუახლოვდნენ რომაელთა სამფლობელოებს. აქ მათ წინ გადაუდგათ კონსული გნეუს პაპირიუს კარბონი. კიმბრებმა კონსულს აცნობეს, რომ მათ რომთან ომი არ სურთ და მხოლოდ მიწებს ეძებენ დასასახლებლად. კარბონმა მიწებზე უარით უპასუხა, კიმბრებმა მაინც ხელი აიღეს რომაელებთან შებრძოლებაზე და დასავლეთისკენ გასწიეს. მათ წინ მიუძღოდნენ კონსულისგან მიცემული მეგზურები, რომელთაც, მისივე მითითებით, კიმბრები შეიტყუეს ქალაქ ნორეას მახლობლად მოწყობილ საფარში.

ძვირად დაუჯდათ რომაელებს მუხანათობა. კიმბრები იბრძოდნენ საოცარი სიმამაცითა და თავგანწირულებით. საშინელი სისხლისღვრა რომაელთა მარცხით დამთავრდა (113 წ.). კონსულ კარბონის არმია სრული განადგურებისგან იხსნა კოკისპირულმა წვიმამ და ქარიშხალმა, რომელმაც განწირული სამხრეთელები ხელიდან გამოაგლიჯა გავეშებულ ჩრდილოელთ.

გამარჯვებულ კიმბრებს დასავლეთისკენ მიმავალ გზაზე შეუერთდნენ კელტური ტომები, ჰელვეტები და ამბრონები. გადალახეს რაინი და შევიდნენ ნორბანის გალიაში (დღევანდელი სამხრეთი საფრანგეთი), რომელიც 121 წლიდან რომის პროვინციას წარმოადგენდა.

იმავე ხანებში ჩრდილოეთ გალიაში გადმოვიდა მეორე დიდი გერმანული ტომი — ტევტონები. ისინი ჩრდილოეთიდან დაიძრნენ და მდინარე რონას ქვემო წელზე შეუერთდნენ კიმბრებს.

ხუთი წლის მანძილზე კიმბრები, ტევტონები და ზოგიერთი მათი მოკავშირე კელტური ტომები ზედიზედ ამარცხებენ რომაულ არმიებს.

109 წელს მათ წინააღმდეგ გაემგზავრა კონსული მარკუს იუნიუს სილანი, რომელიც მისვლისთანავე დამარცხდა და მისი სამხედრო ბანაკიც მტერს ჩაუვარდა ხელთ.

105 წელს „ბარბაროსებთან" ახალ დიდ ბრძოლაში დაიღუპნენ კონსული ლუციუს კასიუს ლონგინუსი, მისი ლეგატი და არმიის უდიდესი ნაწილი. დანარჩენებმა თავი დაიხსნეს მძევლებისა და ქონების გაცემით და გადაჯვარედინებულ შუბებქვეშ გაძრომით.

რომაელთა ამდენმა მარცხმა გაამხნევა კელტური ქალაქი ტოლოზა. აჯანყებულებმა რომაულ ციხიონს იარაღი აჰყარეს და ბორკილები დაადეს. მაგრამ კონსულმა კვინტუს სერვილიუს ცეპიონმა ტოლოზას მეციხოვნენი მოისყიდა, მათი წყალობით, ერთ ღამეს ქალაქი აიღო და ხელთ აუარებელი სიმდიდრე ჩაიგდო. სულ მალე ეს ნადავლი თვითონ ცეპიონმა და სხვა რამდენიმე დიდი რანგის მეთაურმა მიითვისეს.

მეორე კონსული, მარკუს ავრელიუს სკავრუსი, განადგურდა რაინის მარცხენა ნაპირზე. თვითონ კონსული ტყვედ ჩავარდა და, როცა მან კიმბრებს ქედმაღლურად განუცხადა, ტყუილად ნუ შეეცდებითო უძლეველი რომის წინააღმდეგ ხელის გამოღებას, — გაბრაზებულმა კიმბრთა მეფემ ბოიორიგმა საკუთარი ხელით მოკლა რომაელი კონსული.

ბოლოს, 105 წლის 6 ოქტომბერს, არაუზიოსთან (ორანჟი) მოხდა ყველაზე დიდი კატასტროფა. აქ ორი დიდი რომაული არმია იდგა, რომელთაც სარდლობდნენ ერთმანეთთან უაღრესად მტრულად განწყობილი კონსული გნეუს მალიუს მაქსიმე და პროკონსული კვინტუს სერვილიუს ცეპიონი. კიმბრები თავს დაესხნენ მტრის ბანაკებს და ცალ-ცალკე ორივე რომაული არმია გაანადგურეს. მხოლოდ ათიოდე კაცი გადაურჩა სიკვდილს. 60-90 000 რომაელი და იტალიელი შეეწირა ამ ტრაგედიას. 6 ოქტომბერი რომაულ კალენდარში ამიერიდან „შავ დღედ" აღინიშნებოდა.

რომის იღბალი, რომ გერმანელთა ტომები ამ ძლევამოსილების დღეებში იტალიისკენ აღარ წავიდნენ. კიმბრები ესპანეთისკენ გაეშურნენ, ხოლო ტევტონები — ჩრდილოეთ გალიისაკენ.

რომი შიშმა და ძრწოლამ მოიცვა. „ბარბაროსთა საკითხმა" უარესად გაამწვავა ბრძოლა პოპულართა და ოპტიმატთა შორის. ალპებს გადაღმა დატრიალებული ტრაგედიები კვლავ არისტოკრატული ოლიგარქიის კისერზე იწვა. დემოკრატიას საფუძვლიანად

შეეძლო დაესაბუთებინა თავისი ლიდერის მთავარსარდლად დანიშვნის გონივრულობა, — „ჩრდილოური საშიშროებისაგან“ მხოლოდ მას ერთადერთს შეუძლია იხსნას ქვეყანა, ვინც ახლახან გაწმინდა იგი „სამხრეთული სირცხვილისაგან“.

და, აი, 104 წლის 1 იანვარს გაიუს მარიუსს სწორედ მისი ტრიუმფალური სვლის დღეს შეატყობინეს, რომ იგი მეორედ აირჩიეს კონსულად. ეს არჩევა ისე მოხდა, მარიუსს არც კი დასჭირვებია კომიციის წინაშე წარმდგარიყო თეთრი ტოგით, ვითარცა „კანდიდატი-თეთროსანი“*. დაუსწრებლად არჩევას რომ თავი დავანებოთ, დაირღვა რომის „რესპუბლიკური კონსტიტუციის“ გაცილებით უფრო სერიოზული პუნქტი: არ შეიძლებოდა ერთი და იგივე კაცი კონსულად აერჩიათ ათი წლის მონაკვეთში. მარიუსი კი პირველი კონსულობიდან (106 წ.) ორი წლის შემდეგ მეორედ აირჩიეს სახელმწიფოს უმაღლეს მაგისტრატად და მთავრსარდლობაც უბოძეს ჩრდილოელი ტომების წინააღმდეგ საომრად.

მოხდა კიდევ „უარესი“: 104 წელს არც კიმბრები და არც ტევტონები არ გამოჩენილან საომარ ასპარეზზე და მომდევნო 103 წელს გაიუს მარიუსი მესამედ აირჩიეს კონსულად და მთავარსარდლად.

ბოლოს, რომის რესპუბლიკის ისტორიაში მანამდე სავსებით არნახული ამბავი მოხდა: გაიუს მარიუსს ზედიზედ, — სანამ იგი არ მოსპობს ჩრდილოურ საფრთხეს, — 102 და 101 წლებში კვლავ და კვლავ ირჩევენ კონსულად და მთავარსარდლად! მაშასადამე, ერთი კაცი ხუთი წლის განმავლობაში (106—101 წწ) არის შეუცვლელი უმაღლესი გამგებელი სახელმწიფოსი.

გაბოროტებულ „გულმხურვალე რესპუბლიკელთა“ მოგანგაშე სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის „ტირანია“ ერთი კაცისა და ისიც „უჯიშო“ სოფლელი გუთნისდედისა!..

2. სექსტიუსის წყლები

გაიუს მარიუსი ერთი წელიწადი (104 წ.) იდგა ნორბანის გალიაში, მდინარე რონის ქვემო წელზე. იგი მთელი წლის მანძილზე შეუსვენებლივ წვრთნიდა ჯარს, აჩვევდა მძიმე დაბრკოლებათა გადალახვას, ათხრევინებდა სანგრებს, აწყობდა ღამეულ ლაშქრობებსა და გადასვლებს. მისი ბრძანებითა და პირადი ოფლის ღვრით რომაელებმა მდინარე რონის მარცხენა ნაპირიდან ზღვამდე გათხარეს დიდი არხი. რომლის მეოხებით იწრიტებოდა ზღვის სანაპირო ჭაობები და ადვილდებოდა საქონლის გადატანა იტალიაში.

იზერისა და რონის შესაყარში მარიუსმა ააგო მიუვალი სამხედრო ბანაკი.

102 წლის ზაფხულზე გამოჩნდა ტევტონთა და ამბრონთა ურდო, რომელიც ცდილობდა დასავლეთ ალპების გადალახვით შეჭრილიყო აპენინზე. ისინი დალაგდნენ მარიუსის ბანაკის წინ ფართოდ გაშლილ ველზე და ზავთიან-ზახიანი ხმით ბრძოლად იწვევდნენ რომაელებს.

მარიუსი რამდენიმე დღეს აკავებდა საომრად ანთებულ თანამემამულეებს. მას უნდოდა, მებრძოლებს თვალი შეეჩვიათ ტევტონთა გოლიათური აღნაგობისთვის, ხოლო სმენა — მათი თავზარდამცემი ღრიალისათვის. თან უცდიდა, როდის აივსებოდა პირთამდე რომაელთა საომარი გზნების ფიალა, როდის აიწყვეტდნენ მტრისგან შეურაცხმყოფელი შეძახილებით აღრენილი ლეგიონერები.

ტევტონებმა მოწინააღმდეგის მდუმარება მის სიმხდალედ ჩათვალეს და რომაელთა ბანაკზე იერიში მიიტანეს. მაგრამ ყველა მათი შეტევა უკუგდებულ იქნა. უშედეგო და უმიზნო მსხვერპლის შემდეგ ტევტონებმა მარიუსის ბანაკს თავი მიანებეს და პირდაპირ იტალიისკენ დაიძრნენ. ბრბო ექვსი დღის განმავლობაში მიედინებოდა რომაელთა სადგომის ახლოს. მარიუსის მეომრებს შხამიანი სიცილით შიგ პირში აფრქვევდნენ:

„მალე რომში ვიქნებით და თქვენს ცოლებთან ხომ არაფერს დაგვაბარებდით?!“

როცა ბარბაროსთა ფეხის ხმა და ღრიანცელი მიწყდა, მარიუსმა ბანაკი აჰყარა და მტერს კვალში ჩაუდგა: იგი მიდიოდა ფრთხილი, გულმოდგინე დაზვერვითა და საომარი მწყობრით. იქ, სადაც ტევტონები შეისვენებდნენ, მარიუსიც მახლობლად შედგებოდა და ბანაკდებოდა.

ბოლოს გამოჩნდა რომაული სამხედრო კოლონია „სექსტიუსის წყლები“ (Aquae sextiae), მასილიიდან (მარსელი) ჩრდილოეთით 26 კილომეტრის მანძილზე, აქედან ალპები სულ ახლოს იყო.

მარიუსმა მტერს თავი დაუარა და პატარა მდინარე ცენის ზემოთ, მაღლობზე, ბანაკი დასცა. მოწინააღმდეგე მდინარეს მოადგა და შეჩერდა. რომაელთა გეოგრაფიული პოზიცია მტკიცე იყო, მაგრამ უწყლო. როცა ჯარისკაცებმა უკმაყოფილოდ იკითხეს, წყალი სად ვიშოვოთო, მარიუსმა ხელი გაიშვირა მტრის ბანაკთან ჩამდინარე წყლისკენ და მრავალმნიშვნელოვნად შესძახა:

„აი, იქ! თუნდაც ყოველი წვეთი წყლისა სისხლად დაგვიჯდეს!“

„მაშ, წაგვიყვანე, სანამ ძარღვებში სისხლი ჯერ კიდევ თხიერია და სავსებით არ გაყინულა!“ — დაიღრიალეს ლეგიონებმა.

„ჯერ ბანაკი უნდა გავამაგროთ“, — მშვიდად და მტკიცედ თქვა მარიუსმა.

ბრძოლის დღე მოახლოვდა. მარიუსმა არმიის წინ რამდენჯერმე ჩამოატარა საკაცეზე მჯდარი სირიელი მისანი ქალი მართა, ორმაგ ძოწეულ მანტიაში გახვეული, ხელში ბაფთებითა და გირლიანდებით მორთული შუბით. მისანმა ამცნო რომაელებს: სამსხვერპლო ცხოველის შიგნეული მიუმცდარად გვიჩვენებს, რომ დღეს ღმერთები გამარჯვებას თქვენ გარგუნებენ!

არავინ იცოდა, სწამდა თუ არა თვითონ მარიუსს ამ დედაკაცის „წინასწარმეტყველება“: ეტყობა, მისი ხელშეწყობით, „ღვთაებრივი ავტორიტეტით“, სარდალს სურდა, გამარჯვების რწმენა ჩაენერგა მეომრებისთვის.

მარიუსმა თავისი აღალის მსახურთ და მონებს ნება დართო, მდინარეზე ჩასულიყვნენ წყლის ამოსატანად. ისინი ჩავიდნენ საომარი იარაღით შეჭურვილნი. მტერმაც აღარ დააყოვნა და დაიძრა. 30 000 ამბრონი გამოეყო ტევტონთა ბანაკს. ისინი მოდიოდნენ შეკრული წყობით და მწყობრი ნაბიჯით, ასევე მწყობრად სცემდნენ მახვილებს ფარებზე და ღრიალებდნენ:

„ამბრონები! ამბრონები! ამბრონები!“

მათ შესახვედრად მარიუსის ბანაკიდან გამოვიდა ლიგურთა ჯარი. ლიგურებიც თავის თავს ამბრონთა შორეულ შთამომავლებად თვლიდნენ და ისინიც ისეთივე შეძახილებით შეეგებნენ მოპირდაპირეს.

ამბრონები და ლიგურები თავდავიწყებით ეკვეთნენ ერთურთს. სულ მალე მარიუსმა რომაული ლეგიონებიც დასძრა. ამბრონები სასტიკად დამარცხდნენ. მდინარე მათი გვამებით დაიხერგა და შეიღება. სიკვდილს გადარჩენილებმა თავიანთ ბანაკებს მიაშურეს, მაგრამ მათ აქ მახვილებითა და ნაჯახებით შეეგებნენ მათივე ცოლები, დები, ქალიშვილები და საშინელი წივილ-კივილით უკანვე გარეკეს შემდრკალნი. ისინი, საბრძოლველად შემობრუნებულ მამაკაცებთან ერთად, სუსტი, შიშველი ხელებით ებრძოდნენ შეჭურვილ რომაელთ და წარბშეუხრელად ხვდებოდნენ სიკვდილს.

ამბრონები ქალ-კაციანად და დედაბუდიანად გაიჟლიტნენ. რომაელები თავის ბანაკს დაუბრუნდნენ. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავთ, რადგან ესმოდათ ღრიალი და გნიასი ტევტონთა ჯერ სავსებით ხელუხლებელი ბანაკებისა. რომაელები ტყუილად შიშობდნენ: არც იმ ღამით და არც მომდევნო დღეს ტევტონებს არ უცდიათ შეტევაზე გადასვლა. ამასობაში მარიუსმა მტრის ზურგში, ტყით დაფარულ მაღლობზე, 3 000 მეომარი გაგზავნა კლავდიუს

მარცელუსის მეთაურობით. დანარჩენები სარდალმა ადრე ავახშმა და დაძინებაც უბრძანა.

დილით ადრე რომაელთა 30 000-იანი არმია საომრად გამზადებული იდგა. მარიუსმა პირველი ნიშანი მისცა კავალერიას და ისიც სასწრაფოდ გავიდა ველზე. ტევტონებმა მტრის მხედრობას გვერდი აუქციეს და მაღლობს შეესივნენ. მარიუსმა მეომრებს უბრძანა, სანამ მტერი შუბის სასროლზე არ მოაღწევდა, ხელი არ გამოეღოთ. და როცა ტევტონებმაც მოატანეს, რომაელებმა შუბებისა და სათხედების სეტყვა შეაგებეს. ამას მოჰყვა საშინელი ხელჩართული ბრძოლა. მოწინააღმდეგენი დიდხანს იბრძოდნენ არაჩვეულებრივი თავგანწირულებით. გაიუს მარიუსის საარაკო სიმამაცითა და სიკისკასით ფრთაშესხმულმა რომაელებმა მაღლობიდან ჩარეკეს და ჩაჰკაფეს მტრის ურდო. ტევტონებმა ახლა ველზე სცადეს ბრძოლის გაშლა, მაგრამ სწორედ ამ დროს მათ ზურგში ატყდა საომარი ყიჟინა, — ეს მარცელუსი დაეცა მტერს საფარიდან თავისი 3 000 მეომრით. ტევტონები დამარცხდნენ და დაიფანტნენ. უაღრესად დიდი იყო მათი ზარალი. 100 000 ტევტონი ესვენა ბრძოლის ველზე. მათ შორის ბევრი იყო თვითმკვლელი ქალი და დედათა ხელით დახოცილი ბავშვები. მრავალი ტყვე წამოიყვანეს რომაელებმა. მარიუსის ტყვე შეიქნა თვით ტევტობოდი — ბელადი ტევტონებისა.

მასილიის მცხოვრებლებმა ბრძოლაში დახოცილ ტევტონთა ძვლებით მამულები შემოღობეს: დახოცილთა სიმრავლით, მათი სისხლითა და ხორცით მიწა საოცრად გაპოხიერდა და ასეთ „გასუქებულ“ ნიადაგზე იგივე მასილიელებმა არნახულად მდიდარი მოსავალი მოიწიეს.

რომაელმა მეომრებმა მთელი ალაფი — უამრავი ნადავლი, კარვები, საბარგულები, საჭურველი, სამკაულები, — გმირი მთავარსარდლის წინ დაახვავეს. აქედან მარიუსმა აარჩია, რაც მის ტრიუმფს დაამშვენებდა, დანარჩენები კი სამსხვერპლო კოცონისთვის გაამზადა და მსხვერპლის შეწირვასაც შეუდგა. ყველა მეომარი საზეიმოდ მოკაზმული და გვირგვინით თავშემკული იდგა მწყობრში. მთავარსარდალს ძოწეული ტოგა წამოესხა. ის იყო, მან ზეცისკენ ორივე ხელით აღმართა ანთებული ჩირაღდანი, რომ იმ წუთს გამოჩნდნენ რომიდან ჭენებით მომავალი ცხენოსნები.

საზეიმო მდუმარებაში გაისმა რომაელი ხალხის ახალი გადაწყვეტილება:

გაიუს მარიუსი მომდევნო წლისთვის (101 წ.) მეხუთედ არის არჩეული კონსულად და მთავარსარდლად!

ლეგიონები აღტაცებული ღრიალითა და იარაღის ზათქით შეხ-

ვდნენ მთავარსარდლის ახალ, დამსახურებულ აღზევებას. ლეგატებმა და სამხედრო ტრიბუნებმა დაფნის რტოებით შეუმკეს თავი „რომისა და იტალიის მხსნელს“.

„უცვლელმა კონსულმა“ ანთებული ჩირაღდანი ესროლა სამსხვერპლო კოცონს...

3. ᲕᲔᲠᲪᲔᲚᲘ

ამასობაში კიმბრებმა გადალახეს ნორიკი და ალპების გადასასვლელებით შეიჭრნენ ცისალპიურ გალიაში (დღევანდელი ლომბარდია). აქ მდგარმა მეორე კონსულმა კვინტუს ლუტაციუს კატულუსმა შეძლო მათი შეკავება. იგი გამაგრდა მდინარე ნატიზონის ორივე სანაპიროზე, მაგრამ კიმბრებმა მტერი არად ჩააგდეს. ისინი მდინარეში ისროდნენ უზარმაზარ ლოდებსა და ხის ნამორებს, ხერგავდნენ მას და ღრიანცელით გადარბოდნენ მეორე მხარეზე. ზოგიერთები თოვლიანი ბორცვებიდან ფარებზე დამსხდარნი მოსრიალებდნენ, პირდაპირ წყალში ცვიოდნენ და მდინარეს მხარულით მიაპობდნენ.

შეძრწუნებული რომაელები კონსულს ყურს აღარ უგდებდნენ და ბანაკიდან გარბოდნენ. კატულუსს არ სურდა, მტრისთვის ეჩვენებინა თავისიანთა სიმხდალე, ამიტომ ხელში აიტაცა არმიის დროშა და სასწრაფოდ წინ მოექცა გაქცეულებს; ვითომ თვითონ მიჰყავდა ჯარი სხვა მიმართულებით.

კიმბრები მოედვნენ მდინარე პადუსის (პო) მარცხენა სანაპიროს და დაუბრკოლებლად მიჰყვნენ ხელი მის აოხრებას. კატულუსი პადუსის მარჯვენა სანაპიროზე გადავიდა და იქ დაბანაკდა. მოწინააღმდეგენი ბრძოლის დაწყებას არ ჩქარობდნენ: კატულუსი მარიუსს უცდიდა, კიმბრები — ტევტონებს.

დადგა 101 წელი. მარიუსიც გამოჩნდა. კონსულები შეერთდნენ და საომრად გაემზადნენ.

კიმბრებმა მარიუსს ელჩები მიუგზავნეს.

„ჩვენ და ჩვენი ძმები მოვითხოვთ იმდენ მიწას, რამდენიც დაგვჭირდება“, — განუცხადეს გერმანელებმა რომაელ სარდალს.

„ვინ არიან ეგ თქვენი ძმები?“ — იკითხა მარიუსმა.

„ტევტონები“, — ამაყად განაცხადეს კიმბრმა ელჩებმა.

რომაელებს სიცილი აუტყდათ. მარიუსმა მაშინვე მიახალა:

„თქვენს ძმებზე ნუღარ ზრუნავთ, — მათ ჩვენგან უკვე სამუდამოდ მიირთვეს მიწა“.

როცა რომაელთა ხარხარი დაცხრა, კიმბრებმა რისხვეულად განაცხადეს:

„მაგ სიცილს ტირილად შეგიცვლით ჯერ ჩვენ, კიმბრები, და მერე ტევტონები, როგორც კი ისინი აქ მოაღწევენ!“

„ისინი უკვე აქ არიან და არც ივარგებს ისე წახვიდეთ, გულში არ ჩაეკრათ მათ“.

ეს სთქვა მარიუსმა და გუშაგებს ანიშნა.

გუშაგებმა მაშინვე შემოიყვანეს ტევტობოდი და ბორკილდადებული სხვა ტევტონი ბელადები.

როგორც კი კიმბრებმა შეიტყვეს, რა უბედურებაც სწვევიათ მათ თანამემამულეებს, მაშინვე საომრად გაემზადნენ შურისგებით აღვსილნი.

რომაელთა ბანაკს მცირე ამალით მოადგა კიმბრთა ბელადი ბოიორიგი და მარიუსთან შეხვედრა ითხოვა.

მარიუსიც გაეგება.

ბოიორიგმა იკითხა:

სად და როდის სურს რომაელ სარდალს ბრძოლის დანიშვნა?

მარიუსმა აირჩია მესამე დღე (101 წლის 30 ივლისი), რავდიის ველი, ქალაქ ვერცელესთან.

ბრძოლის ველზე 50.000 რომაელი მეომარი გამოვიდა.

მათ წინააღმდეგ უზარმაზარ სწორკუთხა კარედ დაირაზმა კიმბრების ლაშქარი, რომლის წინა რიგებში მეომრები ერთიმეორეზე თოკებით იყვნენ გადაბმული, რათა ერთმანეთი გაემაგრებინათ და გაქცევის საშუალებაც არავისთვის მიეცათ. განსაკუთრებით საშიში ჩანდა კიმბრთა მხედრობა, სულ 15.000 კაცი, რომელთაც თავსარქმელად, მუზარადებს ზემოთ, პირდაღრენილ მხეცთა ტყავები ჰქონდათ წამოცმული. ისინი აღჭურვილნი იყვნენ ბრწყინვალე იარაღით, დიდი ფარებით და მძიმე მახვილებით, სათხედებით და ბოძალებით, საბარკულებითა და სამკლაურებით.

კონსულებმა ბრძოლის წინ მსხვერპლი შესწირეს და ლოცვა აღავლინეს. მარიუსმა ასი ხარი აღუთქვა ოლიმპიელთ, ხოლო კატულუსმა — ტაძრის აგება. როცა მარიუსს სამსხვერპლო ცხოველის შიგანი მოუტანეს, დახედა და შესძახა:

„გამარჯვება ჩემია!“

მოწინააღმდეგეები გააფთრებით დაეძგერნენ ერთიმეორეს. თავიდანვე აშკარად ჩანდა რომაელთა საბრძოლო უპირატესობა, რკინისებურმა საომარმა ორგანიზებულობამ და გაწვრთნილობამ კვლავ სძლია თავზეხელაღებულ შემართებას. კიმბრთა უმეტესობა გაიჟლიტა. გადარჩენილებმა თავიანთ მოარულ ბანაკებს მიაშურეს. რო-

მაელები მოწმენი გახდნენ უკიდურესად ტრაგიკული ამბებისა: თალხებში გახვეული კიმბრი ქალები ნაჯახებს სცემდნენ ბრძოლიდან გამოქცეულ ქმრებს, ძმებს, მამებს; ღვიძლ შვილებს საკუთარი ხელით ახრჩობდნენ, საქონლის ფეხებში, თუ აღალის ბორბლებში ჰყრიდნენ და წამსვე თვითონაც სიცოცხლეს ისპობდნენ. რომაელებმა იპოვეს კიმბრი ქალი, რომელსაც საბარგულის ხელნაზე ჩამოეხრჩო თავი, ხოლო აქეთ-იქეთ ორი მისი ჩამომხრჩვალი ბავშვი ეკიდა. ბევრ მამაკაცს ხარების რქებზე და ფეხებზე მიუბამს თავი, რომ გამხეცებულ ცხოველებს დაეფლითათ მათი სხეული. დახოცილთა რიცხვი 100 000 აღემატებოდა, 60 000 კიმბრი ტყვედ წამოიყვანეს და მონებად აქციეს რომაელებმა.

ასე დასრულდა პირველ გერმანელ ტომთა განადგურება. მათი სისხლი 550 წელიწადს შეირჩინა რომმა.

თავი მესამე

გრაკხუსთა ეპიგონები

1. მარიუსი, სატურნინუსი, გლავცია

„ცდილობდა, ყოფილიყო ყველაზე მაღლა, მაგრამ არ ცდილობდა, ყოფილიყო ყველაზე უკეთესი“.

პლუტარქე

მარიუსის გენიამ იტალია გადაარჩინა. ლუციუს კორნელიუს სულა ამაოდ ცდილობდა დაემცირებინა მარიუსის ღვაწლი კიმბრების განადგურებაში და მის ადგილზე განედიდებინა თავისი თავი და კატულუსი. ამაო იყო არისტოკრატიის ცდა, შეებღალა და შეეფერხებინა „ახალკაცის“ სწრაფი აღზევება. რომაელმა ხალხმა მარიუსს უწოდა „იტალიის მხსნელი“ და „რომის მესამე დამაარსებელი“ (რომულუსისა და კამილუსის შემდეგ). მარიუსმა გერმანელებზე გამარჯვების აღმნიშვნელი ტრიუმფი კატულუსს გაუნაწილა. მაგრამ ხალხს სამართლიანად სწამდა, მას ერთადერთს ეკუთვნოდა corona triumphalis (სატრიუმფო გვირგვინი). პლებეურ ოჯახებში წესად იქცა, საზეიმო დღეებში მარიუსისთვის პატივი ეცათ. ვითარცა ღმერთისთვის, მსხვერპლი შეეწირათ და ზედაშე ეპკურებინათ.

არისტოკრატიის გააფთრებული წინააღმდეგობა კვლავ დაძლეულ იქნა: გაიუს მარიუსი მეექვსედ გავიდა კონსულად (100 წ.). დემოკრატიამ ამჯერად საკვებით შესაძლებლად ჩათვალა, მისგანვე გაღმერთებული ბელადის მეთაურობით განეახლებინა ძმები გრაკხუსების ნამოღვაწარი, — აგრარული კანონმდებლობანი, კოლონიების დაარსება, იტალიკებისათვის რომაული მოქალაქეობის მიცემა. იგი არ შეუშინდა „რესპუბლიკური“ კანონმდებლობის დარღვევას. კიმ-

ბრების განადგურების დღეს, იქვე, ნაომარ რავდიის ველზე, მარიუსმა თავისი პირადი ნებით, სიმამაცისთვის რომის მოქალაქეობა აჩუქა იტალიკთაგან შემდგარ ორ კოჰორტას. ამის გამო „აყეფებულ“ არისტოკრატიას მან ასეთი პასუხი მიუგდო:

„საომარი იარაღის ზრიალში კანონის ხმა არ ისმის“.

დემოკრატებმა არად ჩააგდეს მეორე კონსული ლუციუს ვალერიუს ფლაკუსი და მარიუსის ნამდვილ მხარდამჭერ მაგისტრატებად გაიყვანეს ლუციუს აპულეუს სატურნინუსი და გაიუს სერვილიუს გლავცია, პირველი — სახალხო ტრიბუნად, მეორე — პრეტორად.

სატურნინუსი და გლავცია, შემტევი, ენერგიული, გონგამჭრიახი პოლიტიკოსები და ენაწყლიანი ორატორები, არისტოკრატიის დაუძინებელი მტრები იყვნენ. მათთან კავშირში გაიუს მარიუსმა კიდევ უფრო მტკიცედ იგრძნო თავი და საბოლოოდ დაადგა გრაკხუსთა რეფორმატორული მოღვაწეობის გზას.

მარიუსის წაქეზებითა და მხარდაჭერით სატურნინუსმა სახალხო კრებას წარუდგინა კანონპროექტი, რომლის მიხედვით აფრიკაში, გალიასა და სხვა პროვინციებში მიწის ნაკვეთები ურიგდებოდათ ვეტერან მეომრებს. ამით კიდევ უფრო ფართო მასშტაბით ცოცხლდებოდა გაიუს გრაკხუსის კანონი კოლონიზაციისა. ამასთან, სატურნინუსის კანონით, იტალიელი „მოკავშირეები“ მიწის ნაკვეთებს ისევე ღებულობდნენ, როგორც რომაელი მოქალაქეები. ეს იყო დიდი ნაბიჯი რომაელთა და იტალიელთა გათანაბრების ათასნაირად დახლართულ გზაზე.

მარიუსი ფიქრობდა, რომ ამ ამოცანის განხორციელებას სახალხო კრება მხოლოდ მას მიანდობდა, რისთვისაც აუცილებელი იქნებოდა მისი ისევ და ისევ კონსულად გაყვანა. ასე რომ, იგი მუდამ, განუსაზღვრელად, ერთადერთი გამგებელი იქნებოდა მთელი სახელმწიფოსი. თუ გაიუს გრაკხუსი სახელმწიფოში პირველკაცობდა სახალხო ტრიბუნის რწმუნებით, გაიუს მარიუსი შეუცვლელად და შეუზღუდველად იხელმწიფებდა მუდმივი კონსულის ინსიგნიებით*. მით უფრო, რომ კონსული არმიის სარდლადაც ითვლებოდა, ხოლო მარიუსს ვერავინ შეედრებოდა მხედართმთავრულ ხელოვნებაში და მისდამი ლეგიონთა ერთგულებაში.

გაიუს მარიუსი სხვა რამეშიც ჰბაძავდა გაიუს გრაკხუსს. იგი ცდილობდა, მდიდარი „მხედართა წოდებისა“ (ფინანსისტები) და უღარიბესი მოსახლეობის გული მოეგო. მან გააფართოვა მხედართა სამოსამართლო უფლებანი. დააწესა საგანგებო ტრიბუნალი, რომელიც ირკვეოდა პროვინციებში ბოროტმოქმედთა საქმეებს:

საგანგებო კომისიით იგი სამართალში აძლევდა სახელმწიფო მოღალატეებს, განსაკუთრებით იმათ, ვინც რაიმე გზით ხელს უწყობდა კიმბრებს. ბოლოს, მარიუსმა დაადგინა ღარიბთათვის იაფფასიანი პურის გაცემა.

მთავარ საბრძოლო საკითხად მაინც სატურნინუსის კანონპროექტი გახდა. სენატი გადაჭრით დადგა მის წინააღმდეგ. მაშინ სატურნინუსის წინადადებით, სახალხო კრებამ მიიღო საგანგებო დადგენილება, რომლის ძალით, სენატიდან ირიცხებოდა ისეთი სენატორი, რომელიც კომიციაზე დამტკიცებიდან ხუთი დღის ვადაში არ დაიფიცებდა ყოველგვარი კანონისადმი ერთგულებაზე. ამან სულ გააცოფა სენატი და ოპტიმატთა პარტია. ისინი სახალხო კრებაზე მტკიცე გადაწყვეტილებით მოვიდნენ, არამც და არამც არ დაეშვათ ვეტერანთა კოლონიების დაარსება და იაფფასიანი პურის დარიგება. მაგრამ ეს გადაწყვეტილება მაშინვე შეიცვალა, როგორც კი ფორუმი მარიუსის ვეტერანი მეომრებით აივსო. კომიციამ კანონი მიიღო. ახლა სატურნინუსმა სენატის კანონისადმი ერთგულების ფიცის დადება მოითხოვა.

მარიუსმა სენატის სხდომა გახსნა და პირველმა, ყველასათვის სრულიად მოულოდნელად, ასეთი ორჭოფული სიტყვა თქვა:

„მე არ დავდებ ფიცს, რადგან... თუმცა ეს კანონი ცუდი არ არის. მაგრამ თავხედობაა, სენატი აიძულო, კანონი მიიღოს არა კეთილი ნებით, არამედ ძალდატანებით“.

მაგრამ მალე გამოირკვა, მარიუსი ამას ამბობდა პოპულართა ყველაზე დიდი მტრის, მეტელუსის გასაბრიყვებლად. მართლაც, როცა მეტელუსმა მარიუსის „გადაწყვეტილებით“ გულმოცემულმა, განაცხადა, რომ იგი სატურნინუსის კანონს ფიცს არ მისცემდა, კონსულმა მარიუსმა სენატის სხდომა დაშალა და საკითხი კვლავ სახალხო კრებაზე გაიტანა. აქ მარიუსმა კანონს ფიცი მისცა. დანარჩენმა სენატორებმაც ვეღარ გაბედეს ფიცზე უარის თქმა. მხოლოდ პატიოსანმა და პირდაპირმა მეტელუსმა თავისი სიტყვა უკან აღარ წაიღო და ფიცზე კატეგორიული უარი გაიმეორა. მისი გადაწყვეტილება ვერ შეარყია ვერც ახლობელთა და მეგობართა რჩევამ და ხვეწნა-მუდარამ, ვერც სახალხო ტრიბუნთა მუქარამ. მან დაასწრო და თვითონ წავიდა ექსორიაში. მეტელუსმა ამ სიტყვებით დატოვა რომი და თავისიანნი:

„თუ საქმე წაღმა მობრუნდება და ხალხიც ჭკუაზე მოვა, მეც მის დაძახილზე მოვბრუნდები, ხოლო თუ ყველაფერი ასე დარჩება, უმჯობესია არასოდეს აღარ დავბრუნდე“.

იგი დასახლდა კუნძულ როდოსზე, ცხოვრობდა ბერძნული ფილოსოფიით გართული და ნუგეშცემული.

ასე მოაშორა გაიუს მარიუსმა არისტოკრატიას ყველაზე დიდი, საიმედო თავკაცი. მაგრამ ამნაირი გზითა და საშუალებებით ბრძოლა ნელ-ნელა ჩრდილს აყენებდა და სახელს უტეხდა დიდების მწვერვალზე აღზევებულ „სოფლელს". საომარი გენიის სამოქალაქო საზოგადოებრივი თავკაცობა უმწიფარი და უგბილი გამოდგა. თურმე მას ცუდად ესმოდა, რომ პოლიტიკური თაღლითობა პოლიტიკური მოღვაწეობის ზნეობას არ ესადაგება. იგი ვერ გრძნობდა, რომ მის უხეშ, გაურანდავ ჯარისკაცურ მხრებს გრაკხუსის დახვეწილი ტოგა ვერ მოადგებოდა. სისხლიანი მარსის ფავორიტი მშვიდი ეირენეს პალმის ქვეშ უპრინციპო და სირცხვილნაჭამი დარჩა. მასზე უკვე ცუდი ხმები დადიოდა. აშკარად ლაპარაკობდნენ, სწორედ მარიუსის წაქეზებით მოკლესო ნონიუსი, რომელიც სატურნინუსს სახალხო ტრიბუნად გასვლაში ეტოქებოდა.

მალე კიდევ უფრო შეირცხვინა თავი.

ერთხელ მარიუსი თავის ბინაში ერთსა და იმავე დროს აწარმოებდა მოლაპარაკებას ორივე მოსისხლე პარტიის, ოპტიმატებისა და პოპულარების ლიდერებთან. ეს ისე ხდებოდა, არც ერთმა მხარემ ამის შესახებ არაფერი იცოდა: ოპტიმატები ერთ ოთახში ისხდნენ, პოპულარები — მეორეში. რაც მთავარია, მარიუსი ამ შემთხვევაში შემრიგებლის როლსაც კი არ თამაშობდა. პირიქით, სახელმწიფოს ეს უმთავრესი გამგებელი, კუჭის აშლილობის მომიზეზებით, ოთახიდან ოთახში მიმორბოდა და ორივე მხარის წაქეზებითა და წასისიანებით სოციალურ და პოლიტიკურ დაძაბულობას კიდევ უფრო ამწვავებდა.

ბოლოს მარიუსმა ეს ორჭოფი მიეთმოეთი იმით დაამთავრა, რომ ყველაზე კრიტიკულ მომენტში თავის მოკავშირეებს უღალატა და სენატორთა პარტიაში გადაბარგდა.

დემოკრატია გააოცა და გააცოფა მარიუსის რენეგატობამ. სატურნინუსი სახალხო კრებაზე მრისხანე სიტყვებით გამოვიდა მის წინააღმდეგ. პოპულართა ბელადებმა გადაწყვიტეს, მარიუსის გარეშე განეგრძოთ ბრძოლა. მათ ერთწლოვან რწმუნებებს ვადა გასდიოდა და ამიტომ ცდილობდნენ, მომდევნო წელს თვითონაც გასულიყვნენ და თავისი მომხრეებიც გაეყვანათ მაღალ მაგისტრატურებზე. სატურნინუსმა მეორედ წამოაყენა თავისი კანდიდატურა სახალხო ტრიბუნის პოსტზე, ხოლო გლავციამ — კონსულის თანამდებობაზე (მიუხედავად იმისა, რომ პრეტორობიდან ორი წლის მანძილზე კონსულად არჩევა, „რესპუბლიკური კონსტიტუციის" მი-

ხედვით, არ შეიძლებოდა). ამას გარდა, სატურნინუსს სურდა, კოლეგა-ტრიბუნებად გაეყვანა ყველა თავისი მომხრე, მათ შორის ერთი გააზატებული მონა, რომელსაც იგი გაიუს გრაკხუსის შვილად აცხადებდა. ასე რომ, სატურნინუსი არ ერიდებოდა არავითარ საშუალებას, ოღონდ კი თავისი გაეტანა. არჩევნების დღეს მისი მითითებით, ტრიბებში იტალიელებიც კი შეერივნენ ხმის მისაცემად.

ამ დღეს კომიცია განსაკუთრებით მღელვარე და ქარიშხლოვანი იყო. რენეგატმაც რენეგატულ გზაზე პირველი ნაბიჯი გადადგა. მარიუსის ბრძანებით სახალხო ტრიბუნობის კანდიდატი, რომელიც თავს გაიუს გრაკხუსის შვილად აცხადებდა, საპყრობილეში ჩააგდეს. სატურნინუსის მოწოდებით, ხალხმა საპყრობილე გატეხა, ტუსაღი გაათავისუფლა და იქვე, იმავე დღეს, სახალხო ტრიბუნად გაიყვანა.

პოლიტიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა კონსულთა არჩევნების დღეს. არისტოკრატიამ გლავციას საპირისპიროდ კონსულის კანდიდატად წამოაყენა გაიუს მემიუსი, რომელიც ადრე იუგურთას გარშემო დატრიალებულ ამბებთან დაკავშირებით, დემოკრატიის ერთ-ერთ ლიდერად ითვლებოდა. ამით სენატს სურდა დაემტკიცებინა თავისი „დემოკრატობა“ და პოლიტიკურ-მორალური „მიუკერძოებლობა“.

მაგრამ სატურნინუსმა მოწინააღმდეგე ბანაკის დემაგოგიას ტერორი დაუპირისპირა. მან რამდენიმე თავზეხელაღებული კაცი შეკრიბა, მემიუსს ქუჩაში მიუსია და ჯოხების ცემით მოაკვლევინა.

არისტოკრატიამ „გრაკხანული ჯანყის“ (seditio gracchana) ქარიშხლიანი სუნთქვა იგრძნო. სატურნინუსის წინააღმდეგ გამოსვლა მხოლოდ ერთ კაცს შეეძლო და ეს კაცი იყო გაიუს მარიუსი. არისტოკრატებმა კარგად აუღეს ალღო „გააზნაურებული მდაბიოს“ პატივმოყვარულ გულისთქმას. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ სატურნინუსი, გუშინ მოკავშირე და მეგობარი, დღეს მარიუსის თვალში საშიში მეტოქე და მოპირისპირე გამხდარიყო.

და აი, სენატმა მოწინააღმდეგე ბანაკის პირმშო მშვენივრად გამოიყენა თვით საკუთარი მშობლის წინააღმდეგ საომრად. სენატმა მარიუსს მისცა მისი საოცნებო საგანი: საგანგებო რწმუნებანი საგანგებო საფრთხის აღსაკვეთავად. გაიუს გრაკხუსის მკვლელის, ლუციუს ოპიმიუსის შემდეგ, ეს მეორე შემთხვევა იყო, როცა სენატმა კონსულს განგაშით შესძახა:

„დაე, ხედავდეს კონსული, რათა რესპუბლიკას არაფერი ევნოს!“ (videat consul, ne quid Respublica detrimenti capiat).

ამგვარად, რომში საალყო წესები გამოცხადდა და გაიუს მარიუსი ახალი საგანგებო დიქტატორული უფლებებით აღიჭურვა.

იმ დღეს (100 წლ. 10 დეკემბერი), როცა ახლად არჩეული ტრიბუნები თავიანთ საქმიანობას უნდა შესდგომოდნენ, სენატორები შეიარაღებულნი დაიძრნენ ფორუმისაკენ. მათ წინ მიუძღოდათ კონსული გაიუს მარიუსი და შუბზე დაყრდნობილი მიხრწნილი მოხუცი მარკუს ემილიუს სკავრუსი. მარიუსმა საომრად მოუწოდა მთელი რომის არისტოკრატიულ ახალგაზრდობას. თავის მხრივ, სატურნინუსმა და გლავციამ თავიანთი ბანაკი გააძლიერეს შეიარაღებული მონებითა და მათგანვე საპყრობილეებიდან გამოშვებული დამნაშავეებით. პოპულართა საბრძოლო აღტყინება იმდენად ძლიერი იყო, რომ სატურნინუსი მეფედ გამოაცხადეს(!).

მოედნებსა და ქუჩებში სისხლისმღვრელი ბრძოლები გაჩაღდა. დემოკრატები დამარცხდნენ და კაპიტოლიუმს შეეხიზნენ, მარიუსმა ალყაში მოქცეულებს წყალი გადაუკეტა. წყურვილმა თავისი გაიტანა, — სატურნინუსმა მარიუსს თხოვნა გაუგზავნა, შეეწყალებინა თავისი ძველი მოკავშირენი და მეგობარნი. მარიუსმა სიცოცხლის შენარჩუნება აღუთქვა. პოპულარებმა იარაღი დაყარეს და მოწინააღმდეგეს ჩაბარდნენ. მარიუსი მართლა ცდილობდა სიკვდილისგან დაეხსნა სატურნინუსი და ყველა მისი მომხრე, მაგრამ როცა ისინი სენატის კურიაში ჩაკეტეს საქმის საბოლოოდ გარჩევამდე და გადაწყვეტამდე, პოპულართა მძულვარებითა და ფანატიზმით გონებადაბნელებული ახალგაზრდა არისტოკრატები კურიის სხვენზე აძვრნენ, სახურავი გადახადეს და ტყვეებს ზემოდან კრამიტი დაუშინეს. სატურნინუსი და გლავცია ქვემოდან შეჰყვიროდნენ, ჩვენ ყველა კანონი მარიუსთან შეთანხმებით შევადგინეთო, მაგრამ მათ აღარავინ უსმენდა. ყველანი ჩახოცეს.

არისტოკრატები ნადიმობდნენ. ვილაცამ სანადიმო სუფრაზე სატურნინუსის თავი შემოაგორა. ეს იყო რაბირიუსი, რომელიც ასეთი გარეწრობისთვის ოცდაჩვიდმეტი წლის შემდეგ (63 წ.) სამართალში მისცა სახალხო ტრიბუნმა ტიტე აციუს ლაბიენუსმა. იგი ასეთი ნაგვიანევი სასჯელისაგან მაშინ დაიცვა ციცერონის ოქროპირობამ.

ასე დაუნდობლად, გაბოროტებით და განუსჯელად დაჟლიტეს ოპტიმატებმა პოპულართა თვალსაჩინო ბელადები. არასოდეს არისტოკრატიას ასეთი დიდი გამარჯვება არ უზეიმია. ამჯერად მან დაამარცხა არა მარტო მოწინააღმდეგე ბანაკი და გაანადგურა მათი ბელადები, არამედ მორალურად დასცა და მიწასთან გაასწორა დემოკრატიის ყველაზე დიდი თავკაცი, სათაყვანო კერპი და საამაყო ემირი, გაიუს მარიუსი.

დემოკრატები მარიუსს თვლიდნენ მოღალატედ, რომელმაც გადამწყვეტ მომენტში მიატოვა თავისი მოკავშირეები და მეგობრები. ის იყო დეზერტირი, რომელიც მოწინააღმდეგის ბანაკში გადაბარგდა. ახლა მარიუსს აღარავინ ედგა მხარში. მისთვის ყველა წრის კარი დაკეტილი იყო. მშობლიური დემოკრატია და მისი ბელადები თავისი ხელით გაანადგურა, ხოლო არისტოკრატია მისთვის მუდამ მოსისხლე იყო და შემდეგშიც მოსისხლედ დარჩა. გულზვიადი არისტოკრატია „სოფლელ უჯიშოს" არასდროს არ ჰპატიობდა შევიწროებას, შეურაცხყოფას, შიშსა და ძრწოლას.

ასე დასრულდა მარიუსის მეექვსე კონსულობა და უთვისტომო ღამურად ქცეულმა გუთნისდედამ არამცთუ კონსულობაზე, სხვა უბრალო მაგისტრატურაზედაც ვეღარ გაბედა თავისი თავის წამოყენება. იგი აღარავის სჭირდებოდა, ყველას თვალში ეჩხირებოდა.

სენატმა ექსორიიდან დააბრუნა კვინტუს ცეცილიუს მეტელუსი, თავისი ჭეშმარიტი ბელადი. ოპტიმატები მას საზეიმო შეხვედრას უმზადებდნენ. მარიუსს არ შეეძლო დასწრებოდა მოსისხლის გამარჯვებას და აზიაში გაეშურა ღმერთებისადმი მიცემული აღთქმის აღსრულების მომიზეზებით. მისი სახლი დაცარიელდა და დაყრუვდა. მარიუსის ისტორიული როლი ჯერ მთლიანად არ იყო ნათამაშევი; დიდებისა და ძალაუფლების ფანატიკურმა სიყვარულმა იგი კვლავ მოიყვანა პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე, მაგრამ ვერ გრძნობდა, რომ მისი ვარსკვლავი უკვე ქრებოდა, იგი იმედს არ კარგავდა და თავისიანებსაც მუცლით მეზღაპრის „წინასწარმეტყველებით" ანუგეშებდა:

„მახსოვს ჩემს სიყმაწვილეში ბედისწერამ კალთაში შვიდბარტყიანი არწივის ბუდე ჩამომიგდო. მისანმა მითხრა, რომ მე შვიდჯერ ვიქნები კონსული... ექვსჯერ ვიყავი და... ერთჯერ კიდევ უნდა ვიქნე... ერთჯერ... ერთჯერ..."

უემურშეყრილივით გაიძახოდა და ვერ ხედავდა, როგორ ახლოვდებოდა მძიმე ღრუბლებით დატვირთული ღამე, რომელმაც საბოლოოდ შეცვალა მისი ცხოვრების შუადღის ბრწყინვალება.

2. მარკუს ლივიუს დრუზუს უმცროსი

ოპტიმატები ჩქარობდნენ. სატურნინუსის კანონმდებლობა სასწრაფოდ გააუქმეს. შემოიღეს წინასწარი საკანონმდებლო სათათბირო, რომელიც ყოველგვარი საშუალებით აბრკოლებდა კანონპროექტთა გატანას სახალხო კრებაზე. ოპტიმატები ტერორისტთა და

ინტრიგებით აიძულებდნენ ხალხს, თანამდებობაზე გასულიყვნენ მხოლოდ არისტოკრატები. ისინი სამოსამართლო ტრიბუნალების საშუალებით სამშობლოდან ერეკებოდნენ და საპყრობილეებში ყრიდნენ დიდსა და პატარა მოწინააღმდეგეს. არისტოკრატია თავ-ვამოდებით ცდილობდა გაეუქმებინა ყველა დემოკრატიული ღონის-ძიება, რომელიც კი რომში გატარებულა გრაკხუსთა დროიდან. და მთლიანად აღედგინა სენატის ძველი, შეუვალი და განუყოფელი ძა-ლაუფლება.

მაგრამ არისტოკრატიის წინსვლას ერთბაშად წინ გადაეღობა პლუტოკრატია (ფინანსური, ქონებრივი არისტოკრატია). სანამ ბრძოლა მიმდინარეობდა დემოკრატიის წინააღმდეგ, ოპტიმატები და მხედართა წოდება ერთი მთლიანი ფრონტით იყვნენ შეკრულნი, მაგრამ ახლა, როცა დაისვა პროვინციების საკითხი, დემოკრატიის საერთო მოძულეთა შორის კვლავ წარმოიშვა განხეთქილება. არის-ტოკრატია, რომელიც მუდამ მტრულად და შიშმორეულად უცქე-როდა პოპულართა პარტიის მემარჯვენე ფრთის, მხედართა წოდე-ბის გამდიდრებასა და გაძლიერებას, მოსარჩლედ დაუდგა შემსყიდ-ველ-პუბლიკანთაგან და ვაჭარ-მევახშეთაგან შევიწროებულ პროვინ-ციალებს. სასამართლოები, რომლებიც გაიუს გრაკხუსის დროიდან მხედრებისაგან შედგებოდა, პროვინციებიდან შემოსულ ყოველ სა-ჩივარს ყოველთვის იმათ სასარგებლოდ წყვეტდნენ, ვისაც უჩიოდ-ნენ. ისინი დაუნდობლად ებრძოდნენ თვით მომჩივანთ და მათ შო-რის იმათაც, ვინც რომის სახელით პროვინციას მართავდა და ვაჭარ-მევახშეთა აღვირახსნილობას ლაგამის ამოდებას გაუბედავდა.

რომის მოწინავე საზოგადოება განსაკუთრებით აღაშფოთა კვინ-ტუს მუციუს სცევოლასა და პუბლიუს რუტილიუს რუფუსის სახე-ლებთან დაკავშირებულმა ამბებმა. ესენი იყვნენ უაღრესად პატი-ოსანი და წარჩინებული რომაელები, რომლებიც პროვინცია აზიის სამმართველოდ იყვნენ წარგზავნილნი. განსაკუთრებით იცნობდ-ნენ რუფუსს, როგორც ნიჭიერ სარდალს, ისტორიკოსსა და იურისტს.

სცევოლამ და რუფუსმა მკაცრი ბრძოლა გამოუცხადეს რომაელ ვაჭარ-მევახშეთა და შემსყიდველ-პუბლიკანთა თავგასულობას აზიაში. ისინი პროვინციიდან აძევებდნენ და სამართალში აძლეკ-დნენ მძარცველებს, ართმევდნენ მათ დატაცებულ და კონფისკაცია-ქმნილ ქონებას და უბრუნებდნენ წინანდელ პატრონთ. სიკვდილით სჯიდნენ განსაკუთრებით აღვირახნილებსა და ურჩებს.

მხედრები აღშფოთებულნი იყვნენ მათ თანამოსაქმეთა ასეთი დევნით და უფრო მეტად იმით, რომ სენატმა მოიწონა აზიის მმარ-

თველთა პოლიტიკა. მათ ვერაფერი შეჰბედეს სცევოლას, როგორც უმაღლეს ქურუმს, და საქმე აღძრეს რუფუსის წინააღმდეგ. სასამართლომ, რომელშიც მხედრები ბატონობდნენ, რუფუსს ბრალად დასდო ცნობილი აზიური ქალაქის სმირნის მოსახლეობის შევიწროება, და დიდი ფულადი ჯარიმა დააკისრა. რუფუსმა არ სცნო თავი დამნაშავედ. იგი სასამართლოს წინაშე დამნაშავის შავი ტოგითაც არ წამდგარა და, რაღა თქმა უნდა, არც შეწყალება უთხოვია სამართლის უღირსი ქურუმებისთვის. ის გაშორდა რომს და გაემგზავრა სწორედ სმირნაში, სადაც მას ხალხი დიდი პატივისცემით შეხვდა, ვითარცა სამართლიან მმართველსა და პატიოსან რომაელს. რუფუსი სიკვდილამდე დარჩა სმირნაში, საისტორიო და იურიდიულ თხზულებათა წერით გართული.

როცა გაიუს გრაკხუსმა სასამართლო ძალაუფლება მხედრებს ვადასცა, თქვა:

„ეს კანონი არის ორლესული, რომლითაც ერთიმეორეს დასჩეხენ გვაროვნული და ფულადი არისტოკრატები“.

ეს წინასწარმეტყველება ახლა უკვე ძალაში იყო შესული. ოპტიმატები და მხედრები „სამოსამართლო ორლესულზე“ ერთმანეთს აწყდებოდნენ. ამას ზედ ერთვოდა სხვა სოციალურ ფენათა და განფენათა საჭირბოროტო საკითხები. სენატი დაჩაგრულ პროვინციალთა დაცვის საბაბით ებრძოდა პლუტოკრატიას; ლუმპენპროლეტარიატი და უღარიბესი მოსახლეობა სიღატაკისა და უქონელობის აღკვეთას მოითხოვდა; უღელდადებული „მოკავშირენი“ მუდარითა და მუქარით ითხოვდნენ მრავალგზის აღთქმულ და მუდამ განუხორციელებელ საოცნებო რომაულ მოქალაქეობას. რესპუბლიკა მრავალ სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ სნებათაგან განკურნებას საჭიროებდა.

ასეთი „მკურნალის“ როლში გამოვიდა წარჩინებული გვარის ახალგაზრდა კაცი, ნიჭიერი, განათლებული, მდიდარი და გაბედული.

ეს იყო მარკუს ლივიუს დრუზუსი, შვილი სახალხო ტრიბუნისა, რომელიც ადრე ოპტიმატთა ბანაკიდან თავგამოდებით ებრძოდა გაიუს გრაკხუსს.

91 წელს დრუზუსი გავიდა სახალხო ტრიბუნად და წამოაყენა რეფორმების მთელი წყება, რასაც ერთსა და იმავე დროს ახასიათებდა კონსერვატიზმიცა და დემოკრატიზმიც. მას სურდა აღედგინა და მხედართა ძალმორეული დაწოლისაგან დაეცვა არისტოკრატიის ძალაუფლება. თანაც. დრუზუსი კარგად ხედავდა სახალხო მასების მხარდაჭერის აუცილებლობასაც. ამიტომ იგი ხალხის გულის

მოსაგებად ცდილობდა გადაეჭრა სამი მთავარი საკითხი: იაფფასიანი პურის დარიგება, მიწების განაწილება და იტალიკ-მოკავშირეთადმი რომაული მოქალაქეობის მიცემა.

დრუზუსმა დაიწყო სასამართლო რეფორმით. მან სასამართლოები დაუბრუნა სენატს, თანაც სენატი დამატებით შეავსო სამასი გავლენიანი მხედრით. მაშასადამე, იგი ცდილობდა თავისი რადიკალური გამოსვლით არ დაეფრთხო და არ გადაეკიდებინა მხედართა წოდება. რაკი არისტოკრატები და მხედრები სენატში უფლებრივად გაათანაბრა, დრუზუსმა ორივე მხრისაგან თავი დამშვიდებულად იგრძნო.

დრუზუსმა ცალკე დააწესა განსაკუთრებული სამოსამართლო კომისია მექრთამე-მოსამართლეთა საქმეების გასარჩევად.

დრუზუსი ითვალისწინებდა უღარიბესი და უქონელი რომაელებისათვის სახელმწიფო ბეღლებიდან უფასო პურის დარიგებას.

დრუზუსის აგრარულ კანონპროექტში წარმოდგენილი იყო მიწების დარიგება და კოლონიების დაარსება იტალიასა (კამპანიის ოლქში) და იტალიის გარეთ (სიცილია).

ასეთ „გულუხვ გაცემათა“ გარშემო ამტყდარ ხმაურში თვითონ რეფორმატორი-ტრიბუნი გაიძახოდა:

„ჩემს შემდეგ აღარაფერი უნდა დარჩეს გასანაწილებელი ჰაერისა და ჭუჭყის გარდა“.

დრუზუსი ჯერ არაფერს ამბობდა მისი რეფორმების ყველაზე სახიფათო ნაწილის შესახებ: იტალიკებისათვის რომაული მოქალაქეობის მიცემაზე. მაგრამ უამისოდაც მის კანონმდებლობას დასაწყისშივე გააფთრებული წინააღმდეგობა შეხვდა. მხედრებს არამც და არამც არ სურდათ შერიგებოდნენ განუყოფელი უმაღლესი სამოსამართლო უფლებების დაკარგვას. დრუზუსის ყველაზე დიდი მტერი, კონსული ლუციუს მარციუს ფილიპე, სახალხო კრებაზე სასატიკი ბრალდებით გამოვიდა. იგი ახალ კანონებს უაღრესად უკანონოდ და სახელმწიფოსათვის მავნეობად აცხადებდა.

საპასუხოდ დრუზუსის განკარგულებით კონსული გალახეს და საპყრობილეში ჩააგდეს (!). კანონები — სასამართლოს, პურის დარიგებისა და კოლონიების დაარსების შესახებ ძალაში შევიდა.

მაგრამ ნამდვილი მოსახდენი ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო. ხმა გავარდა, დრუზუსს კუდი იტალიკებთან აქვსო; მას ფიცი მიუცია, რომ რომაულ მოქალაქეობას მისცემს მოკავშირეებს, ხოლო იტალიკები თავის მხრივ შეფიცული არიან, უკანასკნელი სისხლის წვეთამდე იბრძოლონ დრუზუსის ყოველ ნააზრევთა აღსასრულებლად.

ასე, რომ ვერც დრუზუსმა შეძლო დაეძლია ყოველ რომაელში ჩასახლებული „რომაული ეგოიზმი“, რომელიც ყოველთვის გამორიცხავდა არარომაელისადმი რომაელობის მინიჭების უფლებას. გადამწყვეტ მომენტში, როცა საპატიმროდან გამოსული კონსული მარციუს ფილიპე სენატს გარეკვით და ახალი სენატის მოწვევით დაემუქრა, „რესპუბლიკის ტვინი“ სასწრაფოდ ჩამოშორდა უკვე ხალხის ბელადად ქცეულ დრუზუსს. არისტოკრატია დარწმუნდა, სასამართლოს მონოპოლიის მოპოება მას ძვირად დაუჯდა, — იაფფასიანი პურისა და მიწების დარიგების სახით. დანასისხლად გადაკიდებული არისტოკრატია და პლუტოკრატია კვლავ ერთ ბანაკში მოხვდნენ. დრუზუსის მომხრეები დაფრთხნენ და ჩამონაპირდნენ. ყველაზე ახლობელი და ძლიერი თანამებრძოლი ლუციუს კრასუსი უეცრად მოკვდა. დრუზუსის მთელი კანონმდებლობა გაუქმდა.

მაგრამ „მარადიული ქალაქის“ მესვეურებს დამარცხებული ტრიბუნის სიცოცხლეც აშინებდა და მოსვენებას უკარგავდა. ერთ ღამეს, შინ დაბრუნებულ დრუზუსს, ატრიუმის ზღურბლზე ფეხშედგმულს, ვიღაცამ ზურგიდან ხარაზული დანა დასცა. იგი რამდენიმე საათში გარდაიცვალა. მკვლელი არ უპოვიათ, რადგან... არ უძებნიათ.

წავიდა ამ ქვეყნიდან დრუზუსი, უთვისტომოდ, უპატრონოდ, უმოსარჩლეოდ და მხოლოდ ორიოდე სიტყვა დაუგდო მის თანადროულ მშფოთვარე წუთისოფელს:

„კიდევ როდის ეყოლება რესპუბლიკას ჩემებრი მოქალაქე?“

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

"მოკავშირეთა ომი"

1. როგორ დაიწყო ეს ომი

ტყუილად ფიქრობდნენ, რომ გაიუს გრაკხუსის „ფერმკრთალი აჩრდილი" საფლავშიც უფერულად და უხმაუროდ ჩავიდოდა. დრუზუსის სიკვდილი რომაული მბრძანებლობისთვის საბედისწერო გამოდგა. იგი იქცა ნაპერწკალ-ამფეთქებლად აქამდე პირდახშული მოქმედი ვულკანისა, რომელზედაც აგერ სამასი წელიწადი უშიშრად იდგა მუხლმაგარი რომაული ძუ მგელი*.

დრუზუსის მუხანათურმა მკვლელობამ იტალიელები საბოლოოდ დაარწმუნა, რომ სამართლით, დიპლომატიით, თხოვნით, მუდარითა და მუქარით ვერ დაიდებდნენ წილს ამ ყბადაღებულ რომაულ მოქალაქეობაში. თურმე საჭირო ყოფილა ომი, კაცთა კელა და სისხლის დენა.

იტალიელი „მოკავშირენი", მუდამ რომაელთა ერთგულნი შფოთიან და შიშით აღსავსე ყამთსაბრუნავში, თანამდგომნი თავზეხელაღებული პიროსისა და თავზარდამცემი ჰანიბალის დამხობაში, ჯილდოდ ღებულობდნენ უსამართლო უმადურობას, უგანაჩენო ჩაგვრასა და შევიწროებას. იტალიელთათვის რომაული სამხედრო სამსახური, რომის მსოფლიო მბრძანებლობის შესაბამისად, უფრო და უფრო მძიმე და გამანადგურებელი ხდებოდა. მათი ყოველი ახალი თაობა უწყალოდ ეწირებოდა შორეულ ქვეყნებში სხვისი (რომი) მბრძანებლობის გავრცელებისათვის ბრძოლას. სამართლის მაძიებელი იტალიელის ხმა სამხედრო-საველე სასამართლოს ვერ გასცდებოდა; მას ფიქრიც არ შეეძლო, სიტყვა მიეწვდინა ფორუმზე და მარსის ველზე მბრძანებელი კომიციისთვის. ბრძოლის ველზე დაკლული ან დასახიჩრებული იტალიელის ოჯა-

ხი მძიმე ხარკს უხდიდა რომაულ ხაზინას, ითმენდა გულღრძო რომაელი არისტოკრატის მძარცველობას, დაცინვას, აბუჩად აგდებას, ოჯახური სიწმინდის შებღალვასა და შებილწვას.

გრაკხუსების დროიდან დაწყებული იტალიელთათვის ჟამიდან ჟამზე იელვებდა რომაელებთან გათანაბრების იმედის ნაპერწკალი, რომელიც მაშინვე ქრებოდა, როგორც კი ამ სახიფათო წამოწყების ინიციატორი ეცემოდა. „მოკავშირეებს“ განსაკუთრებული იმედი ჰქონდათ დრუზუსისა, რამდენადაც იგი სენატორული პარტიის წარმომადგენელი იყო და მას ყველაზე მეტადაც შეეძლო დაეყოლიებინა თავისი წრისანი — მმართველი არისტოკრატია. მაგრამ დრუზუსმა საფლავში ჩაიყოლა იტალიელთა საოცნებო იმედები. სენატმა მტკიცედ გამოაცხადა. რომ იგი არასოდეს არ იწონებდა „მტრის ბანაკში გაქცეული“ დრუზუსის გეგმებს. მხედარ-ფინანსისტთა წოდებაც მუდამ მძულვარებით უცქეროდა ლათინებსა და იტალიელებს, რომლებიც მას ხელს უშლიდნენ ვაჭრულ-მევახშურ და სპეკულაციურ ქსელთა ფართოდ გაშლაში. პლუტოკრატიული სასამართლოები დრუზუსის მომხრეებსა და თანამგრძნობლებს ისე უსწორდებოდნენ. როგორც სახელმწიფო დამნაშავეებს. მუდამ მერყეევი და ლერწამივით მოქანავე ლუმპენპროლეტარიატიც მტრული თვალით უმზერდა იტალიელებს: მას არ სურდა. მოზიარე ჰყოლოდა საარჩევნო ხმის ყიდვა-გაყიდვაში, იაფფასიანი პურის ჭამაში და მუქთი სანახაობის ხილვაში.

მშვიდობიან შეთანხმებაზე ფიქრი საბოლოოდ შეწყდა. აპენინზე საშურვლის ელვიანი გაისმა. რომის ფხიზელ სმენას არ გამოჰპარვია არც იტალიური იარაღის ლესვა, არც შიკრიკთა ფრთხილი თქარუნი იტალიურ ქალაქთა შორის.

91 წლის მიწურულში სენატმა შეიტყო, რომ პიცენუმში, ქალაქ ასკულუმში, ხალხი რაღაც საეჭვო სამზადისს მისცემოდა. სასწრაფოდ გაიგზავნა პრეტორი გაიუს სერვილიუსი, რომელმაც ჩასვლისთანავე თეატრში შეჰყარა ხალხი და სასტიკი მუქარით აღსავსე სიტყვით მიმართა. გაცოფებული ასკულუმელები სერვილიუსს მისცვივდნენ და მის ლეგატთან ერთად ნაკუწებად აქციეს. შემდეგ მოედანზე და გაჟლიტეს ყოველი რომაელი. ვინც კი ქალაქში ცხოვრობდა, ან შემთხვევით იქ მოხვედრილიყო.

ასკულუმის ინციდენტი სიგნალი გახდა მთელი იტალიის აჯანყებისა. აპენინს ერთბაშად მოედო ომის ხანძარი. პირველნი დაიძრნენ უმამაცესი მარსები („მარსების ომი“), რომელთაც მიჰყვნენ სამნიტები, პელიგნები, მარუცინები, ფრენტანები... ნიჭიერი და მამაცი კვინტუს პომპედიუს სილონის ხელმძღვანელობით შეიქმნა იტა-

ლიელთა კავშირი. ცენტრი იყო ქალაქ კორფონიუმში, რომელსაც სახელი გამოუცვალეს და „იტალია“ დაარქვეს. ეს „ნამდვილი იტალია“ უნდა ყოფილიყო მთელი იტალიის ცენტრი, ხოლო ტიბრზე მდებარე „უკიდეგანო ქალაქი“ უეჭველად უნდა დამხობილიყო.

რომის წინააღმდეგ აჯანყებული ახალი სახელმწიფო ორგანიზაცია მთლიანად რომაულ ყაიდაზე ჩამოყალიბდა. მის სათავეში იდგა სენატი (ხუთასი სენატორით), სახალხო კრება და ორი კონსული; ჰყავდათ ყველა დანარჩენი მაგისტრატებიც რომაული სახელწოდებითა და ინსიგნიებით. ჭრიდნენ სამოკავშირეო ფულის მონეტას, რომელზეც გამოხატული იყო სამნიტთა და საბელთა ტოტემი — ხარი, რომელიც ფეხებითა და რქებით ჰქელავდა მისგანვე ძირს დანარცხებულ მგელს.

მთის მეომარ ტომთა გამოსვლას მაშინვე შეუერთდნენ ცენტრალური და სამხრეთ იტალიის მცხოვრებნი, აპულიელები და კალაბრიელები. იქმნებოდა არმიები და სახალხო ლაშქარი; წესდებოდა სამოკავშირეო-სამხედრო სალაროები. საომრად შემართულ ხალხს სათავეში უდგნენ პომპედიუს სილონის მსგავსი ნიჭიერი სარდლები და მამაცი მეომრები: გაიუს ვიდაცილიუსი, გაიუს პაპიუს მუტილუსი, პონტიუს ტელეზინუსი, ტიტე ლაფრენიუსი, გაიუს პონტილიუსი, მარიუს ეგნატიუსი, კვინტუს პოპედიუსი, მარკუს ლამპონიუსი და ვეტიუს სკატონი.

რომის ერთგულებას ჯერ ისევ ინარჩუნებდნენ ეტრურია, უმბრია და იტალიის ბერძნული ქალაქები.

რომი მიხვდა, რა საფრთხეც წამოიმართა მისი მბრძანებლობისა და არსებობის ჰორიზონტზე. უძლეველი ჰანიბალის დაძლევა მან მხოლოდ იმის წყალობით შეძლო, რომ იტალია მაშინ რომის ერთგულ მოკავშირედ დარჩა. ახლა კი იგივე იტალია თვით ამდგარიყო თავისი უმადური მბრძანებლის წინააღმდეგ. დადგა დრო, როცა რომს უნდა დაემტკიცებინა ბრძოლის უნარი უიტალიოდ, თუნდაც თვით იტალიის წინააღმდეგ. მან ორასი წლის წინ დაიპყრო ეს ქვეყანა, ახლა კვლავ უნდა გაიმეოროს იგივე სისხლიანი ისტორია უფრო სწრაფად და უფრო სასტიკად.

საერთო რომაული ეგოიზმი მხარში ამოუდგა რომაულ პატრიოტიზმს. შეწყდა ყოველნაირი მტრობა და მოსისხლეობა. სენატის ბრძანებით შეწყდა ყოველგვარი პოლიტიკური პროცესი. ოპტიმატები და პოპულარები შერიგდნენ, შეკავშირდნენ და მხოლოდ სამშობლოსათვის თავდადება დაიტოვეს სამეტოქეოდ. ერთი მიზნით, ერთნაირი გატაცებით მიდიოდნენ საომარ ველზე ორივე ბანაკის მეთაურნი: მარიუსი და სულა, კატულუსი და რუფუსი. ყოველი რო-

მაელი, რომში და იტალიის ყოველ კუთხეში, იარაღს ისხამდა და ბრძოლაში მიდიოდა. სენატმა დასახმარებლად მოუხმო ჩრდილოეთიდან გალებს, სამხრეთიდან ნუმიდიელებს; საზღვაო ძალები გამოიწვია აზიიდან და საბერძნეთიდან. ვერცხლის რომაულ არწივთა ქვეშ 100 000 მეომარი იდგა. მათ სათავეში ედგათ მამაცი და ნიჭიერი კონსულები, ლუციუს იულიუს კეისარი და პუბლიუს რუტილიუს ლუპუსი.

არანაკლები ძალებით დაუხვდნენ მტერს მოკავშირენი. მათ კონსულებად და მთავარსარდლებად აირჩიეს კვინტუს პომპედიუს სილონი და გაიუს პაპიუსი.

დაიწყო სამწლიანი „მოკავშირეთა ომი“ (91—88 წწ).

2. ომის მსვლელობა

თავდაპირველად ყველა საომარ უბანზე აჯანყებულები იმარჯვებდნენ. სამნიტებმა და მარსებმა გაიუს პაპიუსის სარდლობით უკუაქციეს ლუციუს კეისარი; ინსურგენტებმა რომაელებს ხელიდან გამოჰგლიჯეს დიდი ციხესიმაგრეები და ქალაქები: ვენაფრუმი, ეზერნიუსი, კალერნიუსი, პომპეი, ჰერკულანუმი, სტაბია, გრუმენტუმი და ნოლა. პაპიუსის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს ნოლას ციხიონის უფროსი. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს კამპანია. ამაო გამოდგა კეისრის საომარი ხელოვნება და სიმამაცე, რომაელებმა ვერ დაიბრუნეს ეს უაღრესად ნაყოფიერი ქვეყანა. შემდეგ სამნიტებმა აიღეს ქალაქი ვენუზიუმი, სადაც ცხოვრობდა ნუმიდიელი იუგურთას ვაჟი ოქსინთე, რომელიც აღტაცებით შეხვდა მამის მოსისხართა შურისმგებლებს. როცა კეისრის ბანაკში მყოფმა ნუმიდიელებმა სამნიტთა შორის ძოწითმოსილი ოქსინთე დაინახეს, აღტაცების ყიჟინა წასცდათ. აფრიკელთა ერთგულება რომაელთათვის უკვე საეჭვო გახდა და ისინი წამსვე დაითხოვეს ბრძოლის ველიდან.

ხელმარცხიანად იბრძოდა მეორე კონსულიც, პუბლიუს რუტილიუს ლუპუსი, რომელსაც მოადგილეებად ჰყავდა გაიუს პერპერნა და გაიუს მარიუსი. მდინარე ტოლენთან მომხდარ სისხლისმღვრელ ბრძოლაში ლუპუსი სასტიკად დაამარცხეს მარსებმა, რომელთაც მეთაურობდა ვეტიუს სკატონი. დამარცხებულმა კონსულმა თავი მოიკლა, რომაელთა არმიის დიდი ნაწილი ბრძოლაში დაიღუპა, დანარჩენები მარსებმა მდინარეში შერეკეს და შიგ ჩაახრჩვეს. 60 000 რომაელი ემსხვერპლა ამ ბრძოლას. არმიის ერთი ნაწილი

ძლიეს იხსნა დაღუპვისაგან გაიუს მარიუსმა. მან ხელახლა შემოიკრიბა დაფანტული ჯარები და თვითონ გადავიდა შეტევაზე. მარიუსმა ორ დიდ ბრძოლაში დაამარცხა მარსები, მაგრამ გამარჯვების ფინალი კვლავ მისმა მოსისხლემ დაისაკუთრა. მარიუსისაგან უკუქცეულ ინსურგენტებს გზა გადაუჭრა და ერთიანად ამოჟლიტა სამხრეთ იტალიაში მოქმედმა ლუციუს კორნელიუს სულამ.

უშედეგოდ იბრძოდა ქალაქ ასკულუმთან გნეუს პომპეიუს სტრაბო (შემდგომში ცნობილი პომპეუსის მამა). მან უსაზმნოდ გაპიანურებული ალყა მოხსნა და მალე თვითონვე ალყაში მოქცეული ძლივს გამოიხსნეს თანამემამულეებმა.

ომის პირველი წლების (91—90 წწ.) მარცხიანმა მსვლელობამ სულიერად შეარყია ქვირიტთა (ასეც უწოდებდნენ თავის თავს რომაელნი) სამყარო. როცა რომში კონსულ ლუპუსისა და სხვა მაღალ სამხედრო მეთაურთა გვამები მოასვენეს, ყველა მაგისტრატმა სახელმწიფო ინსიგნიები მოიხსნა და ყველა რომაელმა სამგლოვიარო თალხი ჩაიცვა. მაგრამ რომმა გლოვის ცრემლი მალევე მოიწმინდა და სარევანშო მახვილს უფრო მტკიცედ ჩასჭიდა ხელი, გამოიტანეს და საომარ ხარჯად აქციეს ტაძართა საგანძურები; შეწყვიტეს იაფ ფასებში პურის დარიგება; სამხედრო სამსახურში იწვევდნენ ქუდზე კაცს.

მაინც ვერ იქნა და ვერ შეძლო რომმა ბრძოლის სასწორის თავის მხარეზე გადაძლევა. იტალიელთა გამარჯვებებმა რომისადმი ეტრურიისა და უმბრიის ერთგულებაც შეარყია. ზოგიერთი ქალაქი აჯანყებულებს შეუერთდა. ამას ზედ დაერთო ახალი გრანდიოზული საშიშროების ჩამოწოლა აღმოსავლეთის ჰორიზონტზე: რომის აზიურ სამფლობელოთა საზღვრებთან „აღმოსავლელი ჰანიბალი“ — მითრიდატე პონტოელი იყო მომდგარი. საჭირო იყო რაღაც დათმობაზე წასვლა და რომმაც დათმო.

90 წლის ბოლოს კონსულმა ლუციუს იულიუს კეისარმა გაატარა კანონი, რომლის ძალით, რომაული მოქალაქეობა ეძლეოდა იმ მოკავშირე იტალიელებს, რომლებიც აქამდე ერთგულებას უწევდნენ რომს. ეს კანონი, რასაკვირველია, საზღვარს უდებდა აჯანყების შემდგომ გავრცელებასა და გაფართოებას. 80 წლის დასაწყისში სახალხო ტრიბუნებმა, მარკუს პლავტიუს სილვანუსმა და გაიუს პაპირიუს კარბონმა კიდევ ახალი კანონი გაატარეს: რომის მოქალაქეობა ეძლეოდა ყველა იტალიელს, რომელიც ორი თვის ვადაში წარმოადგენდა საამისო თხოვნას. მართალია, ახალი მოქალაქენი ნაწილდებოდნენ არა ყველა 35 ტრიბაზე (ოლქი), არამედ 8 ტრიბაზე, მაგრამ ამ ღონისძიებასაც რომაელთა სასარგებლოდ მალე დიდი შედეგი უნდა გამოეღო.

რომაელთაგან „რომაული მოქალაქეობის“ ნაწილობრივმა დათმობამ დაასუსტა იტალიელთა აჯანყება. ლათინები, ეტრუსკები, უმბრები და ბერძნები უფრო გულმოდგინედ ამოუდგნენ გვერდში რომს, რომელსაც ვერაფერი დააკლო ვერც უკანასკნელ ხანებში განახლებულმა შინასოციალურმა აშლილობამ.

სენატმა გაიუს მარიუსს მაინც არ აპატია მისი „მდაბიორობა“. იგი შეაშფოთა კიდეც სამოცდახუთი წლის მოხუცის ხელახალმა ფრთისგაშლამ, — მან ხომ რამდენჯერმე დაამარცხა აჯანყებული მარსები! ამ გამარჯვებით მარიუსმა გააქარწყლა რომში მოარული ანდაზა: „მარსებზე უმარსებოდ ჯერ არავის გაუმარჯვნიაო“. მაგრამ არისტოკრატიამ „აბეზარ მოხუცს“ ერთხელ კიდევ ჩაუსხა შხამი ნეტარებით სავსე ფიალაში. მან ისარგებლა იმით, რომ მარიუსმა მარსებთან მორიგი შეხვედრები უსახელოდ დაამთავრა. პომპედიუს სილონი ამაოდ იწვევდა მას ბრძოლაში:

„ეჰეი, გაიუს მარიუს, თუ შენ მართლა დიდი სარდალი ხარ, გამოდი, შეეებრძოლოთ ერთიმეორეს!“

ბანაკში ჩაკეტილმა მარიუსმა მხოლოდ ეს უპასუხა:

„პომპედიუს, თუ შენ თვითონ ხარ დიდი სარდალი, მოდი და მაიძულე, ბრძოლაში ჩავება ჩემი სურვილის წინააღმდეგ!“

რამდენიმე ხნის შემდეგ მოწინააღმდეგენი შემთხვევით შეეფეთნენ ერთმანეთს. მცირე გარინდება და ორივე მხარემ შიშნეულად დაიწყო უკანსვლა და ასე, „უკანჩოჩვით“, ერთიმეორის თვალმოუწყვეტლივ გაშორდნენ ერთურთს.

სამშვიდობოს გასული მარიუსი თავისიანებს მიუბრუნდა და მწარედ დაღრეჯილმა დაიღრინა:

„მიძნელდება თქმა, ვინ უფრო მშიშარაა — ჩვენი მოწინააღმდეგენი თუ ჩვენ: ვერც იმათ გაბედეს ჩვენი ზურგის დანახვა და ვერც ჩვენ მათი კეფისა!“

სენატმა გაიუს მარიუსი გადააყენა და მის ნაცვლად მთავარსარდლობა მიანდო კონსულ ლუციუს პორციუს კატონს.

კატონი ფუცინოს ტბასთან გამართულ სასტიკ ბრძოლაში დაიღუპა არმიის დიდ ნაწილთან ერთად. მთავარსარდლობა ჩაიბარა მეორე კონსულმა, გნეუს პომპეიუს სტრაბომ. ამით მას შესაძლებლობა მიეცა ჩამოერეცხა ომის პირველ წელს ასკულუმთან ნაჭამი სირცხვილი.

გადამწყვეტი ბრძოლა ისევ ასკულუმთან მოხდა. რომაელებმა ალყა შემოარტყეს ქალაქს.

მშობლიური ქალაქის გადასარჩენად დაიძრა გაიუს ვიდაცილიუსი. ასკულუმის კარიბჭესთან საშინელი ხოცვა-ჟლეტა გაჩაღდა. რომაელებმა გაიმარჯვეს. აჯანყებულებმა ქალაქის კედლებს შეაფარეს თავი. ისინი დიდხანს გააფთრებით ებრძოდნენ მოალყეებს. ბოლოს შიმშილით დაოსებულ მოსახლეობაში გამოჩნდნენ რომთან შერიგების მომხრენი. ვიდაცილიუსმა ისინი სასტიკი წამებით მისცა სიკვდილს. შემდეგ, მისივე ბრძანებით, ტაძარში შეშა დაახვავეს და ზედ სანადიმო ტახტი დადგეს. ბელადმა თანამებრძოლებითურთ ინადიმა, მერე საწამლავით სავსე თასი დასცალა და ბრძანა, კოცონი გაეჩაღებინათ. ღვინისა და საწამლავის ბურანში წასული ვმირი ხანძარში ჩაინთქა.

რომაელებმა ასკულუმი აიღეს, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გაჟლიტეს, დანარჩენები აჰყარეს და მონებად გაირეკეს. კონფისკაცია მოახდინეს მთელი დასახლებისა: ქონებისა, სახლებისა, მიწებისა.

ასკულუმის დაცემასთან ერთად მალე დაიშალა აჯანყებულ იტალიელთა სუსტი ფედერაცია. მოკავშირეები იბრძვიან დაქსაქსულნი და რწმენაშერყეულნი. მდინარე აუფიდუსზე გამართულ დიდ ბრძოლაში მრავალ სამნიტთან ერთად დაიღუპა მათი მამაცი სარდალი ეგნატიუსი. ამ გამარჯვების შედეგად რომაელებმა დაიბრუნეს აპულია და სულ მალე ცენტრალური იტალიის დანარჩენი ოლქებიც. აჯანყების ცენტრი „იტალია“ კვლავ რომის პროვინციალურ ქალაქ კორფინიუმად იქცა.

დიდი წარმატებით იბრძოდა ლუციუს კორნელიუს სულა სამხრეთ იტალიაში. მან ყველა სარდალი დაჩრდილა ამ ომში. ზედიზედ აიღო ქალაქები: ვენუზიუმი, ჰერკულანუმი, პომპეი, სტაბია და ბოვიანუმი. მან გაანადგურა აჯანყებულთა დიდი ლაშქარი, რომლის ბელადი კლუენტიუსი ბრძოლაში დაიღუპა. სამნიტები მთებს შეეხიზნენ და პარტიზანულად ებრძოდნენ მძვინვარე მტერს. 88 წელს სულამ კიდევ მოიგო ორი დიდი ბრძოლა. ბოლოს მის წინააღმდეგ დაიძრა თვითონ პომპედიუს სილონი. სამკვდრო-სასიცოცხლო ბატალია ისევ რომაელი სარდლის გამარჯვებით დამთავრდა. ბრძოლის ველზე 6 000 სამნიტი ესვენა და მათ შორის თვითონ პომპედიუსი.

სულას „პირველსარდლობა“ მისი „პირველჯალათობის“ ტყუპისცალი იყო. იგი იბრძოდა არაადამიანური სისასტიკითა და მძვინ-

ვარებით. მის ნატერფალზე ბალახი აღარ ხარობდა. მისი ხელით ინგრეოდა, იწვოდა და იფერფლებოდა მშვენიერი ქვეყანა. სამხრეთ იტალია ნაქალაქარ-ნასოფლართა ნანგრევ-ნამუსრევით, ნასახლარებით, ნახანძრალეზითა და ადამიანთა გვამებით დაიფარა. 300 000 იტალიელი შეეწირა რომაულ მახვილს.

„მოკავშირეთა ომიც" დამთავრდა.

კვლავ ზვიმობდა გამარჯვებას ქალაქი ტიბრზე.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

აღმოსავლურ-პონტოური საფრთხე

1. რომი „მოკავშირეთა ომის“ შემდგომ

„მოკავშირეთა ომი“ ორივე მხრისათვის, — როგორც იტალიელთა, ასევე რომაელთათვის, — მძიმე შედეგებით დამთავრდა. მთელი იტალიის სამეურნეო ცხოვრება დაინგრა და მოიშალა. ეკონომიურად და პოლიტიკურად იმედგაცრუებულნი დარჩნენ ის იტალიელებიც, რომლებიც რომის მოქალაქეობის აღთქმით მოხიბლულნი განუდგნენ აჯანყებას. ისინი, როგორც ითქვა, მხოლოდ რვა ტრიბაზე გაანაწილეს. ამგვარად, მთელი იტალიის მოსახლეობა კვლავ მზად იყო, მხარი დაეჭირა ყოველგვარი დემოკრატიული ექსცესისათვის რომის შინაპოლიტიკურ ცხოვრებაში.

შინაიტალიურმა ომმა კიდევ უფრო შეარყია რომაული სამხედრო სისტემის შინაგანი ორგანიზებულობა და მორალური სიმტკიცე. რომის ფორუმზე წარმოებულმა სოციალურმა და პოლიტიკურმა ჰიდილმა რომაულ სამხედრო ბანაკშიც დაიდო ბინა. კიდევ უფრო გახშირდა ურჩობა, დეზერტირობა და მრავალნაირი ბოროტმოქმედება. პომპეის ალყის დროს ჯარისკაცებმა უბრალო, უსაფუძვლო დაეჭვების ნიადაგზე ქვებითა და ჯოხებით მოკლეს სულას ლეგატი ავლუს პოსტუმიუს ალბინუსი. მთავრსარდალი მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ მკვლელებს სიტყვა ჩამოართვა, გაორჯეცებული სიმამაცითა და თავგანწირვით ებრძოლათ მომავალ შეტაკებაში. ასევე, როცა კონსული კატონი ბრძოლაში დაიღუპა, დაბეჯითებით ამბობდნენ, ეს არისტოკრატი სარდალი მოკლეს არა აჯანყებულებმა, არამედ მისმა დემოკრატმა თანაშემწეებმაო.

ომმა გამანადგურებლად იმოქმედა თვით რომაული მოსახლეობის მდგომარეობაზე. მძიმე საომარი ხარჯები მთლიანად კისრად

აწვა ხალხს. მისი დიდი უმრავლესობა აბსოლუტურად გაღატაკდა და დავალიანდა. არისტოკრატია უსასტიკესი მეთოდებით იბრუნებდა ვალს. ხალხი გადაჭრით მოითხოვდა დაკაბალებულთა მდგომარეობის შემამსუბუქებელ კანონთა გატარებას. ბევრი მოითხოვდა სავალო ხელშეკრულებათა განადგურებასა და ვალების მთლიან კასაციას.

გამოჩნდა კაცი, რომელმაც სცადა ვალში ჩავარდნილთა მდგომარეობის შემსუბუქება. ეს იყო პრეტორი პუბლიუს სემპრონიუს აზელიონი. მას ჯერ კიდევ ნათლად არ ჰქონდა ჩამოყალიბებული თავისი კანონპროექტი, რომ პლუტოკრატებმა დაასწრეს და ანგარიში გაუსწორეს: ქურუმის საღვთო სამოსით მორთული აზელიონი დღის ორ საათზე ფორუმზე, კონკორდიას (თანხმობის) ტაძართან, Cloacerالს სწირავდა ღმერთებს. ის იყო, ზედაშით სავსე თასი ასწია. რომ ვიღაცამ მას ძლიერად გატყორცნილი ქვა მოარტყა. აზელიონმა თასი ხელიდან გააგდო და მოახლოებული საფრთხისაგან თავის დასაღწევად ვესტას ტაძარს მიაშურა. მაგრამ მკვლელებმა მოასწრეს, წინ გადაუდგნენ და იქვე, ტაძრის ახლოს, მახვილებით დაკლეს. სენატმა აზელიონის მკვლელის აღმომჩენისთვის ჯილდო გამოაცხადა: თავისუფალი მიიღებდა ფულად საზღაურს, მონა — თავისუფლებას, ბოროტმოქმედი — პატიებას. მაგრამ მკვლელის დასახელება ვერავინ გაბედა, რადგან იგი ფინანსისტ-კრედიტორთა შეუვალ კალთას იყო შეფარებული.

„აზელიონის კაზუსი“ მალე დავიწყებას მიეცა, რადგან რომი ახალი გრანდიოზული საფრთხის წინაშე იდგა. ეს იყო „აღმოსავლური საფრთხე“, რომელმაც დასაწყისშივე დიდი როლი ითამაშა თვით შინაიტალიური ომის დასრულების საქმეში. რომის ხელისუფლება იძულებული იყო, იტალიელ „მოკავშირეთათვის“ დაეთმო, მათთან ჭიდილი სასწრაფოდ დაესრულებინა და იტალიის უშრეტი რესურსები იმ „აღმოსავლური საფრთხის“ სალიკვიდაციოდ წარემართა.

იგივე „აღმოსავლური საკითხი“ გახდა impulsor (ბიძგის მიმცემი) უფრო დიდი სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლისა, რომელიც რომის სამოქალაქო ომების ისტორიაში ცნობილი გახდა მარიუსელებისა და სულანელების ბრძოლის სახელით.

განვიხილოთ, რას წარმოადგენდა ეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც რომის სახელმწიფოს შინაგანი კრიზისი ახალ მძაფრ ეტაპზე შეაგდო. რას წარმოადგენდა ეს ახალი impulsor ex Oriente („ბიძგის მიმცემი აღმოსავლეთიდან“).

მისი სახელია პონტოს სახელმწიფო. მასზე უფრო დაწვრილე-

ბით უნდა შევჩერდეთ, რადგან იგი მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე წამყვან პრობლემად იქცა რომის საშინაო და საგარეო ცხოვრებაში.

2. პონტოელნი

ბერძნულ-რომაული წყაროები მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს, ქალაქ სინოპიდან მდინარე ჰორონამდე, „პონტოს ქვეყანას" უწოდებდნენ. იგივე წყაროების ერთმხრივი მოწმობით, ამ ტერიტორიებზე ძველთაგანვე, ბერძენ მოახალშენეთა გარდა, ცხოვრობდნენ ქართველური ტომები: კოლხები, ხალიბები, ტიბარენები, მოსინიკები, სანიკები, მაკრონები, დრილები, ტაოხები, შკვითინები და სხვ.

პონტოს ზღვის სანაპირო ზოლზე ჰყვაოდნენ ცნობილი ბერძნული კოლონიები: ამასტრისი, სინოპი, ამისოსი, თემისკირა, პოლემონია, კოტიორა, ტრაპეზუნტი და სხვ. მათ დიდი ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობით გვერდით ედგნენ ქვეყნის შიგნით მდებარე ქალაქები: გაზელიონი, ფასემონი, ამასია, ძელა, გაზიურა, კომანა, ქაბეირა და სხვ.

პონტოელები უმთავრესად ციტადელებით გამაგრებულ სოფლებში ცხოვრობდნენ და ქვეყანაც მთლიანად მოფენილი იყო მიუვალ ციცაბოებზე აღმართული ციხესიმაგრეებით, რომლებიც განძეულთა შესანახსა და შიშიანობის დროს საიმედო თავშეფარს წარმოადგენდნენ.

პონტოს მთიანეთი დაბურული იყო გაუვალი ტყეებით, სადაც უხვად მოიპოვებოდა გემთსაშენი და საოჯახო ინვენტარისათვის გამოსადეგი ხე-ტყე. იქვე მრავლად იყო ბეწვიანი ნადირი და, რაც მთავარია, მთები მდიდარი იყო მადნეულით (რკინა, სპილენძი, ვერცხლი), რომლის დამუშავებას ადრიდანვე ეწეოდნენ იქ მცხოვრები ქართველური ტომები.

პონტოელებს სახნავ-სათესი ფართობი შედარებით მცირე ჰქონდათ, მეტწილად მდინარეთა ხეობებში და ზღვის სანაპირო ზოლზე. მაგრამ რაც ჰქონდათ, საკმაოდ ნაყოფიერი იყო.

პონტოს ქვეყანას იცნობდნენ მესაქონლეობით (განსაკუთრებით მეცხვარეობით, მეცხენეობით), სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით (განსაკუთრებით ყურძნით, ღვინით, ზეთით), ხილით (ნიგოზი, ბალი) და არომატულ-ეთეროვან მცენარეთა სიუხვით.

ძველი წელთაღრიცხვის VI—V საუკუნეებში პონტოს ტერიტორია სპარსეთის ერთ-ერთ დამორჩილებულ ოლქს, ანუ სატრაპიას

წარმოადგენდა. ალექსანდრე მაკედონელის დიდი აზიური ლაშქრობის დროს პონტოს გამგებელი ყოფილა სპარსეთის მეფის მოხარკე და ქვეშევრდომი ვინმე მითრიდატე (337—302 წწ.), რომელმაც მაკედონელი დამპყრობლის მორჩილება სცნო. ალექსანდრეს სიკვდილის (323 წ.) შემდეგ მითრიდატე დაუახლოვდა და დაუმეგობრდა ერთ-ერთ დიადოხოსს (ასე უწოდებდნენ ალექსანდრეს მემკვიდრეებს), ევმენს, კაპადოკიის მმართველს. მაგრამ ევმენი მალე დაამარცხა და სიკვდილით დასაჯა მეორე დიადოხოსმა ანტიგონემ. მითრიდატე ერთგულებასა და მეგობრობას ანტიგონესთანაც ინარჩუნებდა, მაგრამ როცა დანარჩენი დიადოხოსები ანტიგონეს წინააღმეგ გაერთიანდნენ, ამ უკანასკნელმა პონტოს მმართველის ერთგულებაში ეჭვი შეიტანა, მოწინააღმდეგე ბანაკში გადასვლა დააბრალა და სიკვდილით დასაჯა (302 წ.).

ანტიგონეს სასახლის კარზე დარჩა სიკვდილით დასჯილის შვილი, რომელსაც სახელად აგრეთვე მითრიდატე ერქვა. ეს ახალგაზრდა პონტოელი ძალიან დაახლოებული ყოფილა ანტიგონეს ვაჟთან, ჰკვიან და მამაც დემეტრიოსთან. მეგობრები ერთად, მხარდამხარ იბრძოდნენ საომარ ველზე, ერთად სწავლობდნენ ბერძნულ კულტურას, ერთად სადილობდნენ, ერთად იძინებდნენ და ყოველ ჭირსა და ლხინს თანასწორად ინაწილებდნენ.

მაგრამ მეფის ეჭვიანობამ ჭაბუკ პონტოელსაც შეუქმნა სიკვდილის საფრთხე. ერთ დილას ანტიგონემ დემეტრიოსი იხმო და იმღამინდელი სიზმარი უამბო: მე ოქრო დავთესე, მოსავალი მითრიდატემ ჰოიმკო და ოქროთი დატვირთული პონტოში გაიქცაო. თან დასძინა, ეს ისეთი სიზმარია, შენს მეგობარს ვეღარ ვენდობი და ისიც მამამისის გზას უნდა გავუყენოო. დემეტრიოსი ამაოდ ემუდარებოდა გაავებულ მამას. ანტიგონე მტკიცედ დადგა თავის გადაწყვეტილებაზე და შვილს ფიცი ჩამოართვა, კრინტი არსად დაეძრა, სანამ განაჩენს სისრულეში არ მოიყვანდა.

დემეტრიოსი ძალიან შეაწუხა მეგობრის საშინელმა ბედმა. უნდოდა, ყველაფერი გაენდო მისთვის, მაგრამ მამისადმი მიცემული ფიცის გატეხას ვერ ბედავდა. უცებ მან რაღაც მოისაზრა, მითრიდატე სასახლიდან შორს გაიხმო და შუბის წვერით მიწაზე დაუწერა:

„გაიქეცი, მითრიდატე!“

ამგვარად, დემეტრიოსს მამისადმი მიცემული ფიცი არ დაურღვევია, რაკი „კრინტი არ დაუძრავს“ და მეგობარსაც მოსალოდნელი საფრთხე აცნობა.

მითრიდატე მაშინვე ცხენს მოახტა და ექვსი მხედრის თანხლებით პონტში გაქუსლა. იგი გამაგრდა მთაზე აზიდულ ციხესიმაგრე

კიმიატაში და იქიდან მოუწოდა პონტოელებსა და მაკედონურ გარნიზონებს. ხალხმა და ჯარმა მისი ხელმწიფობა სცნეს. მითრიდატემ პონტოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა და თვითონაც მეფის გვირგვინითა და ტიტულატურით მოინათლა. ეს ამბავი 296 წელს მოხდა. აქედანვე, მითრიდატე I-ით (296—266 წწ.) იწყება დამოუკიდებელი პონტოს სამეფოსა და მისი მმართველი დინასტიის (მითრიდატიდები) ისტორია.

სანამ დიადოხოსები ერთიმეორეს სისხლისმღვრელი ომებით ასუსტებდნენ, პონტოს სამეფო იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა. აღმოსავლეთით მას კოლხეთი და მცირე სომხეთი ესაზღვრებოდა, დასავლეთით — პაფლაგონია და ბითინია, სამხრეთით — კაპადოკია. მითრიდატე I-მა ხელთ იგდო პონტოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ქვეყანა, რომელსაც ფრიგია ეწოდებოდა.

მითრიდატეს შემდეგ, 266 წლიდან 256 წლამდე, იმეფა მისმა შვილმა არიობარზანმა, რომელსაც განხეთქილება მოუხდა მცირე აზიის ერთ-ერთ პატარა სახელმწიფოსთან, გალატიასთან. გალატებმა ისარგებლეს არიობარზანის მოულოდნელი სიკვდილით. მისი მემკვიდრის მცირეწლოვანებით და ხელი მიჰყვეს პონტოს საზღვრების შევიწროებას. მაგრამ პონტოელებმა მალე უკუაქციეს მტერი.

პონტოს სახელმწიფოებრივი ავტორიტეტი თანდათან იზრდებოდა წინა აზიის პოლიტიკურ ასპარეზზე. სელევკიდური სირიის ამპარტავანი მბრძანებლები იძულებულნი ხდებიან პონტოსადმი მტრობა დამეგობრებითა და დამოყვრებით შეცვალონ.

ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნის დამდეგს დასავლეთიდან დაიძრა მსოფლიოს ახალი ძლავრი დამპყრობელი — რომი. 190 წელს რომაელებმა ქალაქ მაგნეზიასთან გამართულ ბრძოლაში სასტიკად დაამარცხეს სელევკიდური სირიის ჯარები და ხელი მიჰყვეს აზიაში „რომაული წესრიგის“ დამყარებას. მათთან თვიანთი დამხმარე ძალებით გაეშურნენ აზიის წვრილ-წვრილ სახელმწიფოთა — პერგამოსის, ბითინიის, პაფლაგონიის, კაპადოკიის — მმართველები. მათ რომაელებს მორჩილება გამოუცხადეს და სამაგიერო საჩუქრებიც მიიღეს.

იმ დროისათვის ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც რომაელთა ჩამოსახლებას ბტრულად შეხვდა, მხოლოდ პონტოს სამეფო იყო. პონტოს მაშინდელ მეფეს, ფარნაკს (190—170 წწ.) რომაელთათვის არც დამხმარე ძალები გაუგზავნია, არც სხვა რაიმე კავშირი გაუბამს მათთან; უფრო მეტიც: ფარნაკმა ომი დაიწყო რომის წფარველობის ქვეშ მყოფი პერგამოსის წინააღმდეგ. „ფარნაკის ომი“ (182—179 წწ.) პირველ ხანებში პონტოელთა დიდი წარმატე-

ბით მიდიოდა, მაგრამ ბოლოს პერგამოსის, კაპადოკიის, ბითინიის, გალატიისა და პაფლაგონიის კოალიციამ, რომის აქტიური დახმარებით, ფარნაკი დაამარცხა და წინა წლებში დაპყრობილ ტერიტორიაზე ხელი ააღებინა.

თითქმის არაფერია ცნობილი ფარნაკის მომდევნო მეფის, მითრიდატე IV ფილოპატორ-ფილადელფოსის (170—150 წწ.) მეფობის ხანაზე.

150 წელს პონტოს სამეფო ტახტზე ავიდა მითრიდატე V ევერგეტი, რომელსაც, როგორც ეტყობოდა, კარგად შეესწავლა ფარნაკის ნწარე გაკვეთილი და შედარებით ზომიერი პოლიტიკის გზას დაადგა. მან პერგამოსისა და რომის მიმართ მტრული დამოკიდებულება შეგობრული ურთიერთობით შეცვალა. ყოველ საჭირო შემთხვევაში რომს დამხმარე საომარ ძალებსაც უგზავნიდა. ამის გამო რომის სენატმა მითრიდატე ევერგეტი „რომაელი ხალხის მოკავშირედ და მეგობრად“ გამოაცხადა.

მითრიდატემ სამეფო რეზიდენცია ამისოსიდან სინოპში გადაიტანა და აქვე შეუდგა ახალი საგარეო-პოლიტიკური გეგმის შემუშავებას. იგი ითვალისწინებდა კაპადოკიის ხელში ჩაგდებას. მეფემ თავისი ასლო მეგობარი სარდალი დორილაოსი საბერძნეთში გაგზავნა დაქირავებული ჯარების ჩამოსაყვანად. თვითონ კი პონტოური ლაშქრით დაეყოვნებლივ შეიჭრა კაპადოკიაში. მეფე გამარჯვებული დაბრუნდა სინოპში.

ის ღამე ზეიმ-ღრეობით დაიწყო და სამგლოვიარო ზარით გათენდა. ნათესავი და ნაქეიფარი მეფე საწოლზე იწვა გულში მახვილდარჭობილი. ეს ამბავი 120 წელს მოხდა. შეთქმულნი არ უპოვიათ, რადგან არ უძებნიათ. დაბეჯითებით ამბობდნენ, მკვლელთა მეთაური თვითონ დედოფალი, პატივმოყვარე და გულზვიადი ლაოდიკე ყოფილა. დასაეჭვებელიც მაინცდამაინც არაფერი იყო: ქვრივმა დედოფალმა სამგლოვიარო თავსაბურველი სამეფო ჯიღა-დიადემით შეიცვალა, ტახტზე დაბრძანდა და კანონიერ მემკვიდრეს, ღვიძლ შვილს, ავი თვალი დაადგა.

3. მითრიდატე ევპატორი

მითრიდატე ევერგეტს რვა შვილი დარჩა, ორი ვაჟი და ექვსი ქალი. ვაჟებსაც ორივეს მითრიდატე ერქვა, წესისამებრ სამეფო ტახტი ეკუთვნოდა უფროს ძმას, რომელიც იმ კოშმარიან ტრაგედიის ჟამს თერთმეტი წლისა გახდა.

მალე მთელი მსოფლიოს ცაზე ზარებს დაარისხებს მისი მქუხარე სახელი:

მითრიდატე VI ევპატორი, დიონისე, დიდი.

იგი დაიბადა 132 წელს ქალაქ სინოპში. მამის დაღუპვიდან ორ წელიწადს ყმაწვილი უფლისწული სიკვდილის საფრთხის ქვეშ ცხოვრობდა. ერთხელ, გულღრძო დედის დავალებით, თორმეტი წლის ბიჭი გაუხედნელ, გაგიჟებულ უბელო ცხენზე შესვეს უაღვიროდ, ხელში მშვილდ-ისარი მისცეს და გაფრენილი ცხენიდან განუწყვეტელი ისრის სროლა უბრძანეს. მითრიდატემ სრულიად უმარცხოდ შეასრულა ეს დავალება. მერე საჭმელში საწამლავი შეაპარეს, მაგრამ მისმა ჩაკირულმა სხეულმა შხამიც მოინელა. მალე იგი თვითონ დაიწყებს ქიმიურ ცდებს საწამლავთა და ანტისაწამლავთა გამოსაყვანად. ცხოვრების ყოველ კუნჭულში ჩასაფრებული სიკვდილის მომლოდინე პირში ლუკმასაც არ ჩაიდებს, თუ ანტისაწამლავს არ შეაყოლებს. მისი სხეული შხამებს ისე შეეჩვია, რომ უცილობელ ჟამს თავის მოკვლისთვის საკუთარი ხელითვე დამზადებული საწამლავი, რომლის ერთი წვეთი სპილოსაც კი ძირს დასცემდა, უბრალო მწარე წყლად გადაიქცევა. მაგრამ მანამდე რამდენი რამ უნდა გადახდომოდა თავს და თვითონ, თავის მხრივ რამდენი რამ უნდა მოეხვია თავზე მაშინდელი მსოფლიოსათვის.

ცამეტი წლის ჭაბუკი სულ გაექცა სიკვდილის ბუდედ ქცეულ სასახლეს და მთა-ველსა და ტყე-ღრეს მიაშურა. შვიდი წელი მისი ცხოვრებისა საცარ ლეგენდათა სამოსელში გაეხვია. არავინ იცოდა, სად ათევდა ღამეს, რას ჭამდა, რა ეცვა და რა ეხურა. ნადირთა შორის ცხოვრობდა თვითონაც განადირებული. მათთან „ასპარეზობაში", რკენაში, რბენაში და ღრენა-კბენაში იზრდებოდა და კაჟდებოდა მისი უზარმაზარი, გიგანტური სხეული. არც ერთი წამით არ ივიწყებდა, რომ მას ეძებდნენ, ამიტომ ყოველ ღამ იცვლიდა ბუნაგს. მაგრამ თვითონ უჩინოქმნილმა, კარგად იცოდა, რა ხდებოდა სინოპის კარზე. კიდევ შემორჩენილიყვნენ მამამისის ერთგული მეგობრები, რომლებიც ყოველ საჭირო ცნობას აწვდიდნენ ლტოლვილს.

ერთხელ, მეგობრებთან დათქმულ დღეს, სინოპის სასახლეში ერთბაშად გაჩნდა ოცი წლის ბუმბერაზი. იგი ჯიქურ მიეპრა დედას, თავიდან სამეფო გვირგვინი მოხადა, ტახტიდან აიტაცა და დილეგისაკენ გააქანა. იმავე დღეს სიკვდილით დასაჯეს ახალგაზრდა მეფეს ყველა ნამდვილი და სავარაუდებელი მოწინააღმდეგე.

ბალე მთელმა ქვეყანამ შეიტყო პონტოელი გვირგვინოსნის საქმენი საგმირონი.

მეფე პირველი იყო უპირველეს მოლაშქრეთა და ათლეტთა შორის: მკლავგაუდრეკი მოკრივე და მოფარიკავე, მიზანმიუმცდარი მოსარი და მოშურდულე, დაუღალავი მორბენალი და მოჯირითე.

შეეძლო მთელი დღეების განმავლობაში მშიერ-მწყურვალს ეჯირითა ცხენთა გამოცვლით. მისებრ არავის შეეძლო ოსტატური მართვა და გიჟური სრბოლა თექვსმეტმეტრიანი ეტლისა. უეჭრო იყო ბრძოლის ველზე სიმამაცითა და შემმართებლობით, თუმცა მისი გოლიათური სხეული მტერ-მოისართა მოხერხებული სამიზნე გახლდათ. ხშირად გამოჰქონდათ ბრძოლის ველიდან დაჭრილ-დაფლეთილი, მაგრამ ჭრილობებს გასაოცარი სისწრაფით იშუშებდა და კვლავ მხნედ მიილტვოდა ბრძოლის ველისკენ. ომიდან თუ ანპარეზობიდან გამარჯვებით დაბრუნებული, ახალ შეჯიბრს მართავდა სანადიმო სუფრასთან, და იქაც ტოლი არა ჰყავდა სმაში, ჭამაში...

მეფე იმავ დროს უგანათლებულესი მეცნიერი, უბადლო რიტორი და მეცნიერება-ხელოვნების მფარველი იყო. მან ბრწყინვალედ იცოდა 22 ენა (პლინიუსი იმასაც კი ამბობს, 50 ენა იცოდაო). ამდენ ენაზე შეეძლო თარჯიმნის დაუხმარებლად ეწარმოებინა სამოსაბართლო საქმენი და სიტყვით მიემართა თავისი მრავალხალხოვანი ჯარისთვის. შვიდწლიანმა „ველად გაჭრამ“ ბუნება შეაყვარა და შეაყსისხლხორცა. ბუნების შესანიშნავ მკვლევარს „ბუნებისმეტყველების ისტორიაც“ დაუწერია. წელთა დაღმართზე მემუარებს წერდა.

მითრიდატე დიდგემოვნებიანი შემფასებელი იყო უმაღლესი ხელოვნებისა და კულტურისა. განსაკუთრებით უყვარდა ჰელინერ-ბერძნული სულიერი და მატერიალური სამყარო. იგი დიდი თანგამოდებითა და რუდუნებით კრებდა ხელოვნების ნატიფ ძეგლთა კოლექციებს. მეფე. თვითონ განსწავლული მეცნიერებასა და ხელოვნებაში, გარშემორტყმული იყო პოეტებით, ისტორიკოსებით. ფილოსოფოსებით, მხატვრებით, მოქანდაკეებით, მსახიობებით; აწყობდა მათ შეჯიბრს, პაექრობას, აჯილდოებდა გამარჯვებულებს და ამხნევებდა ხელმოცარულებს...

მაგრამ, ამასთან ერთად, მითრიდატე ევპატორი იყო სასტიკი, ეჭვიანი და გულქვა ტირანი, თავაშვებული მოთაყვანე ბოჰემიერი ტრფიალებისა, ჰარამხანის გიჟი რაინდი, ლოთი და მრუში...

გამეფდა თუ არა, მაშინვე დიდი გატაცებით შეუდგა სახელმწიფოს აღზევებას. გამალებით შეჰყარა ჯარები, შექმნა საზღვაო ფლოტი.

მისმა საომარმა ძალებმა პირველი ნათლობა მიიღეს ტავრიდის (ყირიმი) ნახევარკუნძულზე.

ამ დროს შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე ბერძნულ ქალაქებს, რომლებიც „ბოსფორის სამეფოში“ ერთიანდებოდნენ, ძლიერად აწვებიან მეზობლად მცხოვრები მრავალრიცხოვანი სკვითურ-სარმატული ტომები. ტავრიდელმა ბერძნებმა დახმარება მითრიდა-

ტეს სთხოვეს. პონტოელმა მეფემ ანგარიში არ გაუწია რომის ადრინდელ ბრძანებას: „აზიელმა მეფეებმა ფეხი არ შედგან ევროპის მიწაზეო“, — და 110 წელს თავისი ნიჭიერი სარდლის, დიოფანტეს მეთაურობით, არმია ტავრიდაში სალაშქროდ გაგზავნა.

დიოფანტემ რამდენიმე შეტაკებაში სასტიკად დაამარცხა სკვითები. სარმატები და როქსოლანები და მთელი ტავრიდა მიითრიდატე ევპატორს დაუმორჩილა. იქვე, კეტენუნტის კონცხზე, მან დააარსა ციხე-ქალაქი, რომელსაც თავისი ხელმწიფის სახელის მიხედვით, ევპატორია უწოდა.

სკვითების მეფე პალაკოსმა დასახმარებლად რომს მიმართა.

სენატმაც არ დააყოვნა და მითრიდატეს მოსთხოვა, ტავრიდიდან სასწრაფოდ გაიყვანე ჯარებიო.

პონტოელმა მეფემ რომაელთა მოთხოვნას ახალი შეტევით უპასუხა.

107 წელს ბოსფორის სამეფოში იფეთქა მონათა აჯანყებამ სავმაკის მეთაურობით. მითრიდატემ ისარგებლა ტავრიდელი მონათმფლობელების თხოვნით და კვლავ გაგზავნა ძლიერი ფლოტი და არმია ისევ დიოფანტეს სარდლობით. პონტოელებმა აჯანყებული მონები დაამარცხეს. დიოფანტემ სავმაკი შეიპყრო და მითრიდატეს გაუგზავნა. პონტოელებმა ტავრიდა ხელახლა დაიპყრეს და მეოტიის (აზოვის) ზღვის შემოგარენიც შემოიმტკიცეს.

მანამდე უძლეველმა სკვითებმა მითრიდატე ევპატორის ხელისუფლება სცნეს. ამის შემდეგ ისინი მითრიდატეს ლაშქარში ხშირად არიან მოხსენიებული ხან ქვეშევრდომებად, ხან მოკავშირეებად.

რომის ხელისუფლებამ ეს პირველი „აზიური აბი“ მწარედ ჩაყლაპა.

ამის შემდგომ მითრიდატეს სარდლებმა და დიპლომატებმა მთელი შავი ზღვის აუზის ყოველი მხარე შემორკინეს: ზოგი მახვილით მორჩილქმნეს, ზოგიც „თაფლით“ მოისადაგეს.

90-ანი წლების ახლო ხანებში მითრიდატემ თავის სამფლობელოებს შეუერთა კოლხეთი. კოლხების — „ამ შმაგად მეომარი ტომის“ — დამორჩილებას ხელი შეუწყო იმან, რომ ამ დროს კოლხეთი პოლიტიკურად დაქუცმაცებული ქვეყანა ყოფილა და მის ცალკეულ ნაწილთა გამგებლებს იმდენი ძალა არ შესწევდათ, უკვე გამძლავრებულ პონტოს სამეფოს ცალ-ცალკე გამკლავებოდნენ.

მითრიდატე კოლხეთის სამმართველოდ ყოველთვის თავის ყველაზე რჩეულსა და ახლობელ კაცს გზავნიდა.

პონტოს მეფეს კოლხეთიდან შეეძლო გაეტანა გემთსაშენი ხეტყე. საყოველთაოდ ცნობილი ძელქვა, სელი, კანაფი, თაფლი, ცვი-

ლი... შეეძლო თავისი არმიისა და ფლოტის რიგებში ჩაერიცხა მამაცი, „შმაგად მეომარი“ კოლხი მებრძოლები და ზღვაოსნები.

დაახლოებით იმავე პერიოდში მითრიდატემ მეგობრული კავშირი შეკრა იბერიასთან, პართიასთან, მიდიასთან და დიდ სომხეთთან, ხოლო მცირე სომხეთი დაიმორჩილა და შეიერთა.

ამის შემდეგ მთავარი საზრუნავი შეიქნა სამხრეთით კაპადოკიისა და დასავლეთით ბითინიის დაპყრობა.

ერთ დღეს მეფე უეცრად გაუჩინარდა. მოხეტიალე-მოგზაურის ტანსაცმელში გამოწყობილმა შემოიარა მთელი მცირე აზია. საკვირველი სიბეჯითითა და სისწრაფით სწავლობდა სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხთა ენებს, ზნე-ჩვეულებებს, განწყობილებას რომაელთა და პონტოელთა მიმართ. სწავლობდა ყოველი ქვეყნისა და ქალაქის ადგილმდებარეობას, ბუნებას და ყველაფერს, რასაც მისთვის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მომავალ ომებში.

ამ ხნის განმავლობაში პონტოს სასახლის კარზე ხმა დაირხა, მეფე მოკვდაო. მითრიდატეს მეუღლემ, რომელსაც იმჟამად ტახტის მემკვიდრე შესძენოდა, ფავორიტები გაიჩინა და მათთან დროსტარებაში ლანძღვა-გინებით იხსენიებდა დაკარგულ ქმარს.

მოულოდნელად გამოჩნდა მითრიდატე, რომელსაც ზღურბლზე ფეხშეღგმულს დედოფალმა და მეუღლემ საწამლავით სავსე ფიალა შიაწოდა — შენი მშვიდობით დაბრუნება, ჩემი დახვედრა და ახლადშობილი უფლისწული დალოცეო.

რომელიღაც მსახურ გოგონას მეფე წინასწარ გაუფრთხილებია — დედოფალი საწამლავს შეგასმევსო.

მითრიდატემ ცოლს საწამლავით სავსე თასი ჩამოართვა და იქვე თავის ხელით დაალევინა. მის ფავორიტებსაც ძალით ჩაასხა ყელში საწამლავი.

ასე „განკურნა მეფემ ბოროტებით ბოროტება“.

89 წელს მითრიდატემ დაიპყრო ბითინია და კაპადოკია და მიადგა ყოფილ პერგამოსის სამეფოს, რომელიც იმჟამად „პროვინცია აზიის“ სახელით რომის სამფლობელოთა საზღვრებში შედიოდა.

რომსა და პონტოს შორის ომი გარდაუვალი შეიქმნა.

4. „მითრიდატული ომის“ დასაწყისი

ბითინიისა და კაპადოკიის ტახტთაგან გადაგდებულმა მეფეებმა, ნიკომედე III და არიობარზანმა რომში საჩივარი აღძრეს მითრიდატე პონტოელის წინააღმდეგ. ისინი პონტოელთა ჯარებისაგან თავი-

ანთი სამეფოების დაცლასა და ტახტ-გვირგვინთა დაბრუნებას ითხოვდნენ. რომის ხელისუფლებას კი უბრალო საბაბიც აღარ სჭირდებოდა, რადგან მითრიდატე აკი რომის სამფლობელოებსაც ხელჰყოფდა მცირე აზიაში.

რომიდან აზიაში გაიგზავნა ათკაციანი (დეცემვირთა) კომისია მანიუს აქვილიუსისა და მანლიუს მალტინუსის მეთაურობით. საგანგებო დადგენილებით კილიკიის მაშინდელ პრეტორს, ლუციუს კასიუსს ევალებოდა, საჭირო შემთხვევაში სამხედრო დახმარება გაეწია კომისიისათვის.

რომაელი დეცემვირები აშკარად ომის გასაჩაღებლად ჩამოვიდნენ აზიაში. მათ წააქეზეს ნიკომედე ბითინიელი, დაეწყო შეტევა პონტოს წინააღმდეგ. ნიკომედემაც, რომის ყურმოჭრილმა ყმამ, რომაულ ვალებში ჩაფლულმა ჯუჯა-მეფემ, ომი დაიწყო. იგი შეიჭრა პონტოს საზღვრებში, ოთხასამდე სოფელი და ციხე-ქალაქი მოაოხრა და მდიდარი ნადავლით გაბრუნდა ბითინიაში. მან შავ ზღვაში გასასვლელი სრუტეებიც ჩაჰკეტა, რათა გზა დაეხშო პონტოს საკაჭრო და სამხედრო გემებისათვის ხმელთაშუა ზღვისკენ მიმავალ გზებზე.

მითრიდატემ რომაელ დეცემვირებთან ელჩები გაგზავნა და უთანხმოების გაქარწყლება მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით სცადა.

ელჩთა შეხვედრას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. რომაელები უკვე გამალებით კრებდნენ ჯარებს. მათი მთავარი ძალები „პროვინცია აზიის“ მმართველის, ლუციუს კასიუსის ლეგიონებისაგან შედგებოდა. მობილიზაცია გამოაცხადეს ბითინიაში, პაფლაგონიაში, გალატიაში, კაპადოკიაში, ლიკიასა და კილიკიაში.

რომაელებმა და მათმა მომხრეებმა სცადეს ბლოკადაში მოექციათ პონტოს სამფლობელოთა სამხრეთ-დასავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი მხარეები. მათმა ფლოტმა გაამაგრა შავი ზღვიდან გასასვლელები. მანიუს აქვილიუსი გამაგრდა იქ, სადაც მითრიდატეს ადვილად შეეძლო გაჭრილიყო ბითინიისკენ (სკორობის მთის მახლობლად). ლუციუს კასიუსი დაბანაკდა ბითინიისა და გალატიის საზღვარზე, ხოლო კვინტუს ოპიუსმა თავისი არმია კაპადოკიის საზღვართან განალაგა. თითოეულ მათგანს 40 000 ქვეითი და 4 000 ცხენოსანი ჰყავდა. ნიკომედე თავისი ბითინიური ჯარებით დაბანაკდა ქალაქ ამასტრისის მახლობლად.

ომი, რომელიც ისტორიაში შევიდა „პირველი მითრიდატული ომის“ სახელწოდებით, დაიწყო 88 წლის გაზაფხულზე.

ჯერ ერთმანეთს შეხვდნენ ნიკომედე ბითინიელი და მითრიდა-

ტეს სარდლები— არქელაოსი და ნეოპტოლემეოსი. ბრძოლა მოხდა ღალისის შენაკადის, მდინარე ამნეიონის ფართო ველზე.

ნიკომედე მთელის ძალებით დაიძრა მტრისკენ. მითრიდატეს სარდლებმა მსუბუქად შეიარაღებულ ცხენოსანთა ერთი რაზმეული და რამდენიმე ეტლი შეაგებეს. ნიკომედეს რიცხობრივი სიჭარბის იმედი ჰქონდა და მხნედ უტევდა ფრონტის შუაგულში. გადამწყვეტ ჟამს არქელაოსმა ბრძოლაში ჩაება პონტოური ფალანგა. მალე პონტოელებმა ფლანგებიდან შემოუარეს და ალყაში მოაქციეს ბითინიელთა არმია. ბოლოს არქელაოსმა ბითინიელებს ცელებით გაწყობილი ეტლები მიუსია და სულ ერთიანად ააკაფვინა. ნიკომედეს მეომრები ზარდაცემულნი გარბოდნენ უგზოუკელოდ, როცა ჰხედავდნენ შუა-შუა დაკვეთილ, ნაკუწებადქცეულ და ეტლთა ბორბლებზე ნაფლეთებად დაკიდულ ადამიანებს. ნიკომედემ თითქმის მთელი არმია დატოვა ბრძოლის ველზე. თვითონ მცირეთა თანხლებით გაასწრო სიკვდილს.

პონტოელთა გამარჯვებამ შიშის ზარი დასცა რომაელებს და მათ მოკავშირეებს. მითრიდატეს სახელი უფრო გაიზარდა იმით, რომ იგი სამხედრო ტყვეებს ათავისუფლებდა, ასაჩუქრებდა და ისე ისტუმრებდა. რასაკვირველია, ასეთი „ბედნიერი ტყვეები“ მხოლოდ აზიელები უნდა ყოფილიყვნენ.

მითრიდატემ დაიბანაკა სკორობის მთაზე, ბითინია-პონტოს საზღვარზე. განადგურებული ნიკომედე გადარჩენილი მეომრებით მანიუს აქვილიუსის გვერდით დადგა.

სანამ გადამწყვეტი ბრძოლა მოხდებოდა, მითრიდატეს ჯარიდან ასამდე მხედარი დაწინაურდა და რეაასკაციანი ბითინიური რაზმი დაამარცხა. ზოგი ტყვედ მოჰგვარეს მეფეს. მითრიდატემ ეს ტყვეებიც გზის ფულით დაასაჩუქრა და გაათავისუფლა.

მითრიდატეს პირისპირ მდგარმა მანიუს აქვილიუსმა ველარ გაბედა გამარჯვებით გალაღებულ პონტოელებთან შებმა, სწრაფად დაიწყო უკანდახევა და გაიქცა პერგამონისაკენ, „პროვინცია აზიის“ მთავარი ქალაქისაკენ. ნიკომედეც მას შეუერთდა.

მითრიდატემ ბრძანა, სასწრაფოდ დადევნებოდნენ გაქცეულ მტერს.

პაქიად წოდებულ ადგილზე პონტოელები წამოეწივნენ აქვილიუსის ლაშქარს და აიძულეს ბრძოლაში ჩაბმულიყო. რომაელები საშინლად დამარცხდნენ. მათგან 10 000 კაცი დაიღუპა, 300 ტყვედ ჩავარდა. რომაელთა ბანაკი პონტოელთა ალაფად იქცა. თვითონ აქვილიუსმა ძლივს მოასწრო პერგამონში თავშეფარება.

პონტოელთა არმიის მეორე ნაწილმა სასტიკად დაამარცხა ოპიუსისა და მალტინუსის ჯარები კაპადოკიაში.

ახლა მითრიდატე ამას ფიქრობდა:

როგორ უნდა მოქცეულიყო რომაელებისა და მისი მოკავშირეების განადგურების შემდეგ? დაესვა წერტილი შეტევებისათვის და დაკმაყოფილებულიყო ახალი მონაპოვრებით, — პაფლაგონიის, გალატიის და კაპადოკიის შემოერთებით, — თუ განეგრძო შეტევა რომის წინააღმდეგ? როგორი თვალით ხედავდა მითრიდატე იმჟამად შექმნილ პოლიტიკურ ატმოსფეროს? რა უნდა მოჰყოლოდა შედეგად მის ახალ წარმატებებს აზიაში; როგორ შეხვდებოდა რომი მითრიდატეს უეცარ აზვირთებას აღმოსავლეთში?

მითრიდატე უეჭველად კარგად ხედავდა, რომ რომი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეურიგდებოდა თავისი უფლებების გათელვას და განადგურებას აზიაში: ხედავდა, რომაელთა და პონტოელთა მორიგება აღმოსავლეთში. განსაკუთრებით ამ უკანასკნელ სისხლისღვრათა შემდეგ, მშვიდობიანი გზით აღარ შეიძლებოდა. გაშიშვლებული და სისხლიანი მახვილი ასე იოლად ქარქაშს აღარ დაუბრუნდებოდა.

პონტოელი ხელმწიფის სულისკვეთებასა და განწყობილებას ნათლად გამოხატავს მისი სიტყვა, რომლითაც მან მიმართა თავის არმიას:

„ჩემთვის სასურველი იქნებოდა, მელაპარაკა იმაზე, ომი სჯობს რომაელებთან, თუ მშვიდობა. ხოლო, თავდამსხმელს რომ დახვედრა უნდა, ამაში ისინიც კი არ ყოყმანობენ, ვისაც გამარჯვების არავითარი იმედი არა აქვს. ავაზაკის მიმართ ყოველი აღმართავს იარაღს, თუნდაც არ ჰქონდეს იმედი თვისი სიცოცხლის გადარჩენისა: იარაღს აღმართავს უკიდურეს შემთხვევაში, შურის საძიებლად მაინც... რომაელები თვითონ ამტკიცებენ. რომ მათი უპირველესი წინაპარნი მგლის ძუძუთი არიან გაზრდილნი. მართლაცდა. მთელ მათ ხალხს, ყოველ რომაელს, აქვს მგლის სული, გაუმაძღარი სხვათა სისხლით და სხვათა დაპყრობით, მსუნაგი სიმდიდრისადმი და უნაპიროდ შურიანი სხვათა სიკეთისადმი, მაშ, რომაელებს ომი უნდათ! დე, იყოს ომი! სულ სხვა იქნება ომი ჩვენგან წარმოებული, ვინაიდან არ არსებობს მთელს ქვეყანაზე ცა უფრო მშვენიერი, მიწა უფრო ნაყოფიერი და სიმრავლე მშვენიერი ქალაქებისა, ვიდრე აზიაში. ჩვენ ომის უმეტეს ნაწილს გავატარებთ არა როგორც ლაშქრობაში, არამედ როგორც დღესასწაულში. ძნელია ითქვას, რით იქნება ეს ომი უკეთესი, სიადვილით თუ სარფიანობით. თქვენ გაგიგიათ პერგამოსის ატალიდთა სიმდიდრის ამბავი, ლიდიისა და იონიის საგანძურების ამბავი. ჩვენ მივდივართ ამ საუნჯეთა დასაუფლებლად. მთელი აზია მოუთმენლად ელოდება ჩემს გამოჩენას. ყველგან რომაელთადმი უდიდესი სიძულვილი გააღვივა პროკონსულების

შძარცველობამ, ხარკის ამკრეფთა მხეცობამ და გამუდმებული დავის ამტეხთა უსინდისობამ“.

მითრიდატე ევპატორმა შეტევა განაგრძო.

აქვილიუსის სამარცხვინო მარცხის შემდეგ ლუციუს კასიუსი და ნიკომედე ბითინიელი სასწრაფოდ გადავიდნენ ფრიგიაში და დაბანაკდნენ კარგად გამაგრებულ ლეონტოკეფალიაში. აქ ისინი ახალი ჯარის შეკრებას შეუდგნენ. მალე ყოველგვარი იმედი დაკარგეს, ახლად შეკრებილი ჯარები ისევ დაშალეს და საკუთარი ტყავის გადარჩენაზე დაიწყეს ზრუნვა. კასიუსმა თავი შეაფარა აპამეას, ნიკომედემ — პერგამონს, ხოლო მანიუს აქვილიოტი პერგამონიდან როდოსზე გაიქცა. მერე კასიუსმა გადაინაცვლა როდოსზე, ხოლო აქვილიუსმა — ლესბოსზე.

როცა პროპონტიდაში (მარმარილოს ზღვა) მდგარმა მეზღვაურებმა სახმელეთო არმიების ასეთი მარცხი და სარდლების სამარცხვინო გაქცევის ამბავი შეიტყვეს, ყოველგვარი წინააღმდეგობა უაზროდ ჩათვალეს და მთელი ფლოტი და პონტოს ზღვის გასაღებნი ძლევამოსილ ევპატორს გადასცეს.

ამრიგად, მითრიდატეს ხელში აღმოჩნდა მთელი მცირე აზია: ბითინია, პროვინცია აზია, მიზია, ფრიგია, გალატია, კაპადოკია და უკვე მზად ჰყავდა ჯარები ევეოსის არქიპელაგზე გადასასხმელად.

მეფე დაუყოვნებლივ შეუდგა ომებისაგან აფორიაქებული მცირე აზიის საქმეთა მოწესრიგებას. მალე მან შემოიერთა ლიკია, პამფილია და ყველა ოლქი იონიამდე. ჯერჯერობით წინააღმდეგობას ეწეოდა მდინარე ლიკოსზე მდებარე ქალაქი ლაოდიკეა, სადაც მცირერიცხოვანი მხედრობითა და დაქირავებული მეომრებით თავს აფარებდა ქვინტუს ოპიუსი. რომელიც ცოტა ხნის წინ სასტიკად დამარცხდა პონტოელთაგან კაპადოკიაში.

მითრიდატემ ლაოდიკეის მცხოვრებლებს გამოუცხადა, რომ მათ ქალაქს არაევითარ ვნებას არ მიაყენებს, თუ ისინი იქ შეფარებულ ომაელ სარდალს დაატყვევებენ და მას გადასცემენ. ქალაქის მცხოვრებლებმა გაათავისუფლეს ოპიუსის დაქირავებულნი, ხოლო თვით ოპიუსს დაცინვით წინ ლიქტორები წაუძღვარეს და ასე დამცირებული მიჰგვარეს მეფეს. ამ ამპარტავან რომაელ სარდალ-ყოფილს მითრიდატე დიდხანს ბორკილდადებულს დაატარებდა და ყველას აჩვენებდა ძლეულსა და პატივაყრილს.

კიდევ უარესი ბედი ხვდა წილად მანიუს აქვილიუსს. იგი მითრიდატემ შეიპყრო კუნძულ ლესბოსზე. მეფის ბრძანებით, აქვილიუსი სახედარზე უკუღმა შესვეს და ისე დაატარებდნენ. თან ყველას მოუთხრობდნენ, რომ ეს იყო მანიუს აქვილიუსი, რომაელი სარდა-

ლი, ომის მთავარი გამჩაღებელი. საშინელი იყო რომაელის აღსასრული: პერგამონში ყოფნისას მითრიდატემ ბრძანა და მანიუს აქვილიუსს, რომაელ მთავარსარდალს, ფულზე და ფუფუნებაზე დასარბებულ პლუტოკრატს, პირში ადუღებული ოქრო ჩაასხეს (!).

პერგამონში მითრიდატემ თავისი ახალი, დიდი იმპერიის ეკონომიური სიმტკიცისათვის ერთიანი ოქროს მონეტების გამოშვება დაიწყო.

პერგამონიდან მითრიდატე ჩავიდა მაგნეზიაში, ეფესოში და შემდეგ ლესბოსზე — მილიტენაში. პონტოელს თითქმის ყველგან გულთბილად ხვდებოდნენ და სიამოვნებით დგებოდნენ მისი საბრძოლო დროშის ქვეშ.

სანამ რომი აღმოსავლეთში გართულებულ მდგომარეობაზე ფიქრით თავს იმტვრევდა, მითრიდატემ გადაწყვიტა, აზიაში რომაელთა არსებობაც კი სავსებით აღეკვეთა. ის ითვალისწინებდა აზიის მოსახლეობის განუზომელ სიძულვილს რომაელთადმი.

მითრიდატე ეფესოში იყო. აქედან მან ერთ დღეს ბითინიის, კაპადოკიისა და ფრიგიის მმართველებსა და აზიის ქალაქთა უფროსებს დაუგზავნა ბრძანება, რომლის თანახმად, ამ ბრძანების მიღებიდან ოცდაათი დღის თავზე უნდა დაეწყოთ აზიაში მცხოვრები ყველა რომაელისა და იტალიელის, აგრეთვე, ეგვიპტელი და ებრაელი ვაჭრების ხოცვა-ჟლეტა. ბრძანება სასტიკად კრძალავდა ყოველგვარ შებრალებას. განურჩევლად და განუკითხავად უნდა დაეხოცათ მოხუცი, ბავშვი, კაცი თუ ქალი. სიკვდილი ელოდა ყველას, ვინც შეეცდებოდა რაიმე დახმარება აღმოეჩინა განწირულთათვის. სიკვდილს ვერც ასცდებოდა ისიც, ვინც სიკვდილმისჯილს მიწას მიაბარებდა. მონები, რომლებიც თავიანთ ბატონებს დააბეზღებდნენ, თავისუფლებას ღებულობდნენ. ვალისაგან თავისუფლდებოდა ყველა, ვინც კი თავის რომაელ კრედიტორს სიკვდილს შეჰყრიდა. ცხადდებოდა განწირულთა მთელი ქონების კონფისკაცია და გაყოფა მეფესა და მკვლელთა შორის.

ასეთ ბრძანებას საზარელი ხოცვა -ჟლეტა მოჰყვა. ეფესოს ედიქტში აღნიშნულ დღეს აზიაში 80 000 უცხოელი — რომაელები, იტალიელები, ეგვიპტელები, ებრაელები — გაიჟლიტა.

ძნელი ხდება, რაიმე გამართლება მოეძებნოს იმ საშინელ სისხლისღვრას, რასაც წყაროები მოგვითხრობენ აზიაში მომხდარი ამბების აღწერისას. რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა მარტო მითრიდატეს სასტიკ ნება-სურვილს მოჰყოლოდა ასეთი შემაზრზენი ამბები. როგორც კი გავიხსენებთ იმ უსასტიკეს ექსპლოატაციასა და თავგასულ ძალმომრეობას, რასაც რომაელები აღმოსავლეთში ეწეოდ-

ნენ, მაშინ ცხადი ხდება, რას უნდა გამოეწვია ეს მძიმე ტრაგედია. ამის მთავარი მიზეზი სწორედ საშინელი ეკონომიური და სულიერი ჩაგვრიდან გამომდინარე სიძულვილი იყო დასავლეთელი დამპყრობლების მიმართ. სწორედ ამ მძულვარების გამო საკმარისი გახდა მხოლოდ ერთი ნიშანი, რომ სასტიკი მოძალადეების წინააღმდეგ ამდენი ხნის დაგუბებული ბოღმა სისხლიან შურისგებად გადმოღვრილიყო. ეს ნიშანი მათ პონტოს მეფემ მისცათ. იგივე პონტელი ხელმწიფე აზიელმა ხალხებმა თავიანთ მხსნელად და ახალ დიონისედ მიიჩნიეს. მისი მოწოდება აზიაში მოსული „მგლის შთამომავალი და სისხლით გაუმაძღარი მგლის მადის მქონე რომაელთა“ წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა იყო.

მითრიდატეს ტრიუმფალურ შეტევებს და მის საბრძოლო მოწოდებებს თან სდევდა დიდი საზოგადოებრივი მოძრაობანი. უკვე ითქვა, რომ მონა, რომელიც დაუნდობელი იქნებოდა თავისი ბატონისადმი. მონის ბორკილს იხსნიდა: მოვალე ვალისაგან თავისუფლდებოდა. მითრიდატემ აზიის მოსახლეობა ხუთი წლის გადასახადისაგან გაათავისუფლა. ეტყობა, მან ალღო აუღო იმ დაძაბულ მდგომარეობას, რაც მდიდარ ექსპლოატატორებსა და დაჩაგრულ სოციალურ ფენებს შორის არსებობდა.

ერთი სიტყვით, მითრიდატემ თავისი ძალაუფლების გასავრცელებლად და სახელ-დიდების ასამაღლებლად კარგად გამოიყენა ის მარადიული მტრობა და სიძულვილი, რაიც ასევე მარადიულად არსებობს მდიდარსა და ღარიბს შორის, მქონებელსა და უქონელს შორის, მჩაგვრელსა და ჩაგრულს შორის.

მითრიდატე არ დაკმაყოფილდა აზიიდან რომაელების განდევნითა და განადგურებით. იგი შეუდგა ჯარების გადასხმას ეგეოსის კუნძულებზე. სამეფო რეზიდენცია სინოპიდან პერგამონში გადაიტანა და უშუალოდ დაუახლოვდა საომარ ასპარეზს. აქედან იგი პირადად ხელმძღვანელობდა ლაშქრობებს.

ეგეოსის ბევრი კუნძული და ქალაქი ევპატორს უბრძოლველად ნებდებოდა. მრავალი მათგანი ზეიმითა და დღესასწაულით უღებდა ჯარიბეებს. ჯერჯერობით მითრიდატეს უჭკლავდებოდა მხოლოდ როდოსი, რომელიც აზიიდან გაქცეული რომაელების თავშესაფარ ციხესიმაგრედ ქცეულიყო.

მითრიდატემ როდოსის წინააღმდეგ ბრძოლის ხელმძღვანელობა თავის სარდალს, პელოპიდეს ჩააბარა, ხოლო არქელაოსი ძლიერი საზღვაო ფლოტითა და დიდი სახმელეთო არმიით ბალკანეთისაკენ გაგზავნა. თვითონ მეფე ახალ ჯარებს კრებდა და წვრთნიდა.

არქელაოსმა ბალკანეთზე გადასვლამდე კუნძული დელოსი აიღო

და 20 000 ადამიანი ამოჟლიტა. უმრავლესობა იტალიელები. მან დელოსი ათენს უბოძა და ამით საბერძნეთის მთავარი ქალაქის მოკავშირეობა მოიპოვა.

მაგრამ მითრიდატესთვის არც ეს კმაროდა. მას როგორმე უნდა მოეხერხებინა და საბერძნეთის შუაგულში, ათენში, თავისი ციხიონი ჰყოლოდა. ამ განზრახვის შესასრულებლად უხეში მახვილის გამოყენებას ათენის. ამ „მსოფლიო აკადემიის“ მიმართ, ცუდი პირი უჩანდა. მართალია, საბერძნეთსაც დიდი ხანია მძიმედ აწვებოდა რომაული ჩაგვრის უღელი, მაგრამ ბერძნებმა თავისი ტრაგიკული ისტორიის გაკვეთილებით ძალიან კარგად იცოდნენ, რასაც ნიშნავდა უცხოურ უღელთა ცვალებადობა!

ამიტომ არქელაოსმა ხერხს მიმართა.

მასთან ამ დროს იმყოფებოდა ეპიკურეული ფილოსოფიის მასწავლებელი, ათენელი არისტიონი. რომელსაც მითრიდატესთან დიდი მეგობრობა ჰქონდა. არქელაოსმა ლესბოსში ნაალაფევი საღვთო ოქრო-ვერცხლი არისტიონს გადასცა ათენის ხაზინაში შესატანად. თან ამ განძის „დასაცავად“ ორი ათასი შეომარიც გააყოლა. არისტიონი ათენში მივიდა და ხალხს რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლა და მითრიდატეს მხარეზე გადასვლა მოუწოდა. ათენელებმა მდგომარეობა „დროის ლოგიკით“ შეაფასეს: არისტიონი ჯარით იყო მოსული. რომაული უღელი კი მეტისმეტად მძიმე იყო და აუტანელი: მითრიდატე უფრო „ნაკლები ბოროტება“ ჩანდა, მით უფრო, რომ იგი ჰელინური კულტურის დაცვისა და გათავისუფლების დროშით იბრძოდა.

ხალხის უმრავლესობამ მითრიდატეს ძალაუფლებას მხარი დაუჭირა. არისტიონმა რომაელების მომხრე არისტოკრატია ადვილად გაანადგურა; ზოგი ამოხოცა, ზოგიც მითრიდატეს გაუგზავნა საბოლოო განჩინების გამოსატანად. ათენში არისტიონის „ტირანია“ დამყარდა, რომელიც პონტოს მეფის უმაღლეს ხელისუფლებას ემორჩილებოდა.

არქელაოსის გამოჩენისთანავე საბერძნეთის ქალაქებისა და ოლქების უმრავლესობა აგრეთვე მითრიდატეს დაემორჩილა. მთელი პელოპონესი, მრისხანე სპარტელებიც კი, მითრიდატეს მხარეზე დადგნენ. არქელაოსმა შეიერთა მთელი ბეოტიაც.

არქელაოსის ლაშქარს მითრიდატემ ძლიერი ფლოტი და ჯარი გააყოლა მიტროფანეს სარდლობით. მიტროფანე მიადგა კუნძულ ევბეას, დიდ ქალაქებს, — დემეტრიადას და მაგნეზიას, — და ურჩობისათვის მათ დარბევას შეუდგა, მაგრამ მიტროფანეს წინსვლას გადაეღობა მაკედონიიდან სწრაფად მომავალი მამაცი სარდალი ბრუ-

ტიუს სურა. მან შეძლო მიტროფანეს დამარცხება და მყისვე მიუბრუნდა ბეოტიაში მდგარ არქელაოსს. ქალაქ ქერონეასთან სამდღიანი ბრძოლა უშედეგოდ დამთავრდა. მერე პონტოელ სარდალს აქეელები და სპარტელები მოეშველნენ და ბრუტიუსმა ვეღარ გაბედა ბრძოლის გაგრძელება. იგი პირევისისაკენ გაეშურა, მაგრამ არქელაოსმა აქაც დაასწრო და პირევსი თვითონ დაიკავა.

ამასობაში მიტროფანემ დაიკავა ამასტრავა, ქალკიდა და მთელი ევბეა.

ამავე ხანებში მითრიდატეს მემკვიდრე არიარათე თრაკიიდან შეიჭრა მაკედონიაში, დაიპყრო და დაანაწილა პონტოს ქვეშევრდომ ოლქებად.

ამგვარად, 87 წლის დასაწყისში პონტოს მეფის ძალაუფლებას ემორჩილებოდა ყველა რომაული სამფლობელო აღმოსავლეთში. მის ხელში იყო მთელი მცირე აზია, მაკედონიის უდიდესი ნაწილი და საბერძნეთი ეპირის გამოკლებით. სიცილიიდან მცირე აზიის სანაპირომდე ხმელთაშუა ზღვის სრული ბატონ-პატრონი პონტოს ფლოტი იყო.

ასე, ერთი ძლიერი დარტყმით ერებოდა რომაული ბატონობის ვარსკვლავი აღმოსავლეთში. ახლა თვით იტალიის მახლობლად ჩამოწვა საშიში ქარიშხლის, რომაული ექსპანსიის საპასუხო „აღმოსავლურ-პონტოური ექსპანსიის“ მომასწავებელი ღრუბელი.

რომი კარგავდა თავისი მსოფლიო სამბრძანებლოს აღმოსავლეთ ნახევარს, ე. ი. იმ ნაწილს, რომლის დაპყრობის შემდეგ ეწოდა მას მსოფლიო სახელმწიფო, რომლის დაუფლებითაც შექმნა მან თავისი ყოვლისმომცველი სისტემა. მისთვის დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებით.

ეჭვი არ არის, რომ ამ დიდ. ათნახევრად გრანდიოზულ აღმოსავლურ-პონტოურ საფრთხეს რომში დიდი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ძვრები უნდა გამოეწვია.

თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე

„საპრიზო ბრძოლა“

1. „საპრიზო ბრძოლის“ წინადღე

ეს დიდი აღმოსავლურ-პონტოური მოვლენა გახდა ბიძგის მიმცემი ახალი დიდი სოციალურ-პოლიტიკურ სულთა ბრძოლისა და ვნებათა ჭიდილისა რომში. რომაელთა სამოქალაქო ომის ამ ახალ ეტაპს ეწოდება ბრძოლები მარიუსისა და სულას მიმდევართა, ანუ მარიუსელთა და სულანელთა შორის. საზოგადოებრივი ჭიდილის ამ საფეხურის სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ რომაელი სარდლები პირველად ეომგბიან ერთმანეთს თავიანთი არმიებით, ნამდვილი საომარი წესებით, ტიპური „სტრატეგიითა“ და „ტაქტიკით“, და ამ ბრძოლაში მათი სამშობლო რომი პ რ ი ზ ი ს როლს ასრულებს. ამ უცნაური პრიზისათვის, მშობელი ქალაქის აღებისა და დაპყრობისთვის იწყებენ ომებს თვით ამ ქალაქის იარაღასხმული ღვიძლი შვილები.

ეს იყო პირდაპირი შედეგი მარიუსის სამხედრო რეფორმისა, რომელმაც რომაული სამოქალაქო ლაშქარი პროფესიონალური არმიით შეცვალა. რომში მსხვილმა საპლანტაციო-ლატიფუნდიალურმა მეურნეობამ აგრიკოლა-მეომართა რიცხვი შეამცირა, მარიუსმაც არმიების დაკომპლექტება პროლეტარებითა და პროვინციალებით დაიწყო. ბუნებრივია, არმიას თითქმის აღარავითარი კავშირი აღარ უნდა ჰქონოდა „მშობლიური რესპუბლიკის“ ინტერესებთან. პირიქით, იგი თვითონ გახდა იარაღი „რესპუბლიკის“ დამხობისა. როცა ლეგიონებში სამსახური პროფესიად იქცა, „რომაელი ხალხი“ და „რომაული სამხედრო ძალა“ ერთ ცნებას აღარ წარმოადგენდა.

დადგა დრო, როცა არმიები იწყებენ „რესპუბლიკის“ შეცვლას „იმპერიით“, სახელმწიფო ცხოვრების ცენტრი კურიიდან სამხედრო ბანაკში გადავიდა. ამიერიდან რომში ნამდვილ, რეალურ ძალად იქცა პროფესიონალი ლეგიონერი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ თავისი სარდლის ხელისუფლებას ცნობს. ამიერიდან „უსამშობლოო“ ჯარისკაცისთვის („უსამშობლოო“ იმიტომ, რომ მისი სამშობლო არის მისი სარდალი) უცხო ხდება ტრადიციული საომარი მოწოდება: „კერიისა და საკურთხევლისათვის!“. ამიერიდან იგი ცნობს მხოლოდ სარდალს, რომელიც მას მისცემს ფულს, საჩუქრებს, ჯილდოს, ნადავლსა და მიწას.

ამიერიდან მეომრად ქცეული პროლეტარი (რომელსაც მსხვილ მიწათმეურნეობასთან მეტოქეობაში საკუთარი მიწის ნაკვეთი დაუკარგავს) საარსებო და საფუფუნებო ქონების მოსაპოვებლად ყველაფერს გააკეთებს მთავარსარდლისთვის, imperator-ისთვის, თუნდაც ამ უკანასკნელის კაპრიზებს მსხვერპლად შეეწიროს „მშობლიური რომი“.

სენატს ყოველთვის ესმოდა, რომ თავისი ბატონობის შესანარჩუნებლად როგორმე უნდა დაეთრგუნა ინდივიდუალიზმი, მაგრამ მარიუსის რეფორმამ არმია სენატს გამოსტაცა და სწორედ ინდივიდუუმებს მისცა ხელთ.

ამიერიდან რესპუბლიკას აღარ ჰყავს ჯარი, რადგან ის უკვე ეკუთვნის მხოლოდ ცალკეულ მარიუსებს, სულებს, პომპეუსებს, კეისრებს.

ამიერიდან ინდივიდუუმ-იმპერატორებს შეუძლიათ, ომის ნაალაფევით გაერთგულებულ არმიაზე დაყრდნობით, სენატს ხელიდან გამოჰგლიჯონ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სადავეები. მათ შეუძლიათ, რესპუბლიკური კონსტიტუციით ნაკურთხი ექვსთვიანი „დიქტატურა“ სამუდამო ერთპიროვნულ „ტირანიად“ აქციონ.

იწყება ბრძოლა ინდივიდუუმ „ტირანთა“ შორის უბრწყინვალესი „პრიზისათვის“ — რომის უმაღლესი ხელისუფლების დაპატრონებისათვის. ამ უცნაური „საპრიზო ბრძოლის“ უპირველესი გმირები შეიქნენ გაიუს მარიუსი და ლუციუს კორნელიუს სულა; ისევ ისინი, რომის დიდი გმირნი, „ლაზათნი და სამკაულნი საუკუნისა თვისისა“.

საიმპერატორო ხელისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიის ეს პირველი სისხლიანი ფურცელი, რომელიც მარიუსმა და სულამ მახვილითა ჯვარედინით გადაშალეს, სწორედ აღმოსავლეთის გამძაფრებულ სიტუაციას დაუკავშირდა.

რომში დაისვა დროის უმნიშვნელოვანესი საკითხები:

ვინ იქნება ის, ვინც დაუბრუნებს „მსოფლიო ქალაქს“ ასე ხელიეროპირად დაკარგულ აღმოსავლეთს?

ვინ იქნება მთავარსარდალი, რომელმაც უნდა აღადგინოს „მარადიული ქალაქის“ მსოფლიო მბრძანებლობის სისტემა?

ვის ძალუძს, კვლავ ჩართოს რომაული ეკონომიკის საბრუნავში აწ მოკვეთილი, სისხლჭარბი აღმოსავლური არტერიები?

ვის შეუძლია, კვლავ დაუბრუნოს დიდებამოსილება აზიელი მბრძანებლისაგან შერცხვენილ და გაწბილებულ რომაულ მახვილს?

ვის აქვს პატივი, ბრძოლაში შეხვდეს დიდ მითრიდატეს, „აღმოსავლეთის ჰანიბალს“?

რომში ბევრი პოლიტიკური მოღვაწე სურვილობდა, სათავეში მოქცეოდა ამ ურთულესი და, იმავე დროს, უაღრესად მომხიბლავი მისიის აღსრულებას. ყოველი საშუალებით ცდილობდნენ, ხალხის მხარდაჭერა ეპოვათ ამ საოცნებო სურვილის ხორცშესხმისათვის.

და, აჰა, კვლავ ამოიმართა გაიუს მარიუსი. ისევ გაუღიმა ომის ღვთაებამ დაუქმებულ და დაჟანგულ იარაღს. „რომის მესამე დამაარსებელმა“ კვლავ მოაგონა ქვეყანას თავისი ღვაწლი სამშობლოსადმი. მან გადაარჩინა რომი „სამხრეთული და ჩრდილოური საფრთხეებისაგან“; ახლა ასევე წარმატებით შეძლებს იგი, მოსპოს „აღმოსავლური საფრთხე“, ხელში აიტაცოს პონტოელთაგან მოთხრილი სასაზღვრო სამანები და მძლავრი ხელით დაარჭოს ისინი წინა აზიის შიგ შუაგულში.

სამოცდაშვიდი წლის მოხუცი, პატივისა და დიდებისმოყვარეობისაგან ჭკუადაკარგული, თავს არ იზოგავდა, მტერ-მოყვარისთვის ეჩვენებინა, რომ მის ბებერ ძარღვებში ახალგაზრდული სისხლი ჯერ არ გამშრალა და არც მის სამხედრო გენიას შეჰპარვია ჩრჩილი ლპობისა. არავის ამჩნევინებდა, როგორ ჭამდა რევმატიზმი მის სახსრებს, როგორ უჭირდა ტარება მის ვენაგაგანიერებულ ფეხებს სიმსუქნით დატვირთული ზორბა სხეულისა.

ერთ დღეს დასტაქარი დაისვა და ნეკრესის ქარებით დასახიჩრებული ფეხები საოპერაციოდ წინ დაულაგა. არც ხელების შეკვრა დასჭირვებია, არც კვნესა წასცდენია, არც წარბი შესჭმუხვნია და არც სახეზე ფერი შესცვლია, ისე მოითმინა ერთ ბარძაყზე ხორცთა და ძარღვთა ფლეთა. მაგრამ როცა აქიმმა დანა მეორე ბარძაყსაც დაადო, მარიუსმა ხელი გაუკრა და მწარე სიცილით თქვა:

„არა მგონია, განკურნება ამდენ ტკივილად ღირდეს!“

მერე კამპანიაში გაემგზავრა და იქ, ნეაპოლის მახლობლად, ცნობილ აგარაკზე, ბაიაში, გოგირდის ცხელი აბაზანებით „იახალგაზრდავებდა“ და იშუშებდა ქარებით განაწამებ სხეულს.

რომში დაბრუნების შემდეგ იგი ყოველდღე მიდიოდა მარსის ველზე, გაერეოდა ახალგაზრდებში და ეჯიბრებოდა მათ საომარსაწვრთნელ ასპარეზობაში; ცდილობდა ყველა დაერწმუნებინა, რომ ჯერ კიდევ თავისუფლად, ახალგაზრდული სივაჟკაცით შეეძლო ფარისა და მახვილის ქნევა, უნაგირზე მსუბუქად ჯდომა. მას დასცინოდნენ „უგვანო, ბებრული ცუნდრუკისათვის". ძრახავდნენ, რომ მას, ერთ დროს სავსებით უქონელს და ახლა უზომოდ გამდიდრებულს, ერთ დროს არარაობას და ახლა უდიადესი და უბრწყინვალესი გვირგვინებით შემკულს, მოპოვებული მიღწევებით დატკბობა ვერ უსწავლია. იგი მიილტვოდა ახალ-ახალი სახელ-დიდებისა და სიმდიდრეებისკენ, რომელიც მას ევქსინის პონტოს ნაპირებზე ეგულებოდა. არავის სჯეროდა მისი თავის მართლება, თითქოს აღმოსავლურ ომში მთავარსარდლობა მხოლოდ იმიტომ სჭირდებოდა, რომ თავისი ვაჟი გამოეწრთო საომარ ცეცხლში. გულში იმედი ჰქონდა, რომაელები მხოლოდ და მხოლოდ მას მიანდობდნენ მითრიდატე პონტოელის წინააღმდეგ ომის მთავარსარდლობას.

მაგრამ პონტოური სიმდიდრეებისა და აღმოსავლური სახელ-დიდების მოპოვებისთვის ბრძოლაში გაიუს მარიუსის პერისპირ კვლავ აღიმართა მისი „ბედისწერა" — ლუციუს კორნელიუს სულა.

სანამ მარიუსი დაძაბუნებულ სხეულს ბაიას ცხელი აბაზანით „იახალგაზრდავებდა", მისმა მეტოქემ მიაღწია თავის სწადელს. 88 წელს კონსულებად გავიდნენ ლუციუს კორნელიუს სულა და კვინტუს პომპეუს რუფუსი.

სულა გახდა მთავარსარდალი ახალი აღმოსავლური ლაშქრობისა. კამპანიის ქალაქ ნოლაში მას ელოდებოდა ექვსი ლეგიონი მითრიდატეს წინააღმდეგ სალაშქროდ.

მაგრამ მარიუსმა არ დაუთმო აღმოსავლური ოქროს კვერთხი. მან დაიწყო მოკავშირის ძებნა არისტოკრატიისა და მისი სასტიკი თავკაცის წინააღმდეგ საბრძოლველად მათი სამუდამოდ განადგურების მიზნით.

2. მარიუსის ახალი მოკავშირე

სწორედ ამ დღეებში მრავალი ხლართით დახვანჯულ პოლიტიკურ ასპარეზზე მტკიცე და განიერი ნაბიჯით შემოდის სახალხო ტრიბუნი პუბლიუს სულპიციუს რუფუსი, დრუზუსის მსგავსად წარჩინებული და მდიდარი, ნიჭიერი და გაბედული. რომაელ ხალხს ხიბლავდა მისი ორატორული მგზნებარება, ზახიანი ხმა და თეატრალური ჟესტიკულაცია.

პირველ ხანებში სულპიციუსი წინააღმდეგი იყო ყოველგვარი ახლის შეტანისა „რესპუბლიკურ კონსტიტუციაში“. იგი ებრძოდა გაიუს იულიუს კეისარს, რადგან მას სურდა დაერღვია კანონი, რომელიც კონსულად გასვლამდე პრეტორობის გავლის აუცილებლობას გულისხმობდა. კეისარს, რომელსაც ჯერ პრეტორობის მაგისტრატურა არ გაევლო, უნდოდა კონსულობა და მთავარსარდლობა მიეღო მითრიდატეს წინააღმდეგ ომში. სულპიციუსი დარწმუნდა, რომ საჭირო იყო კეისრის მსგავს არისტოკრატთა და სენატორთა ეგოიზმის განადგურება. მან გადაწყვიტა, გაეწმინდა სენატი და შეევსო იგი პატიოსანი და ჭეშმარიტად პატრიოტი მოღვაწეებით.

სულპიციუსმა წამოაყენა კანონპროექტი, რომლის ძალით სენატიდან უნდა გარიცხულიყო ყველა სენატორი, ვისაც ვალი ჰქონდა აღებული 2 000 დენარიუსზე (დაახლ. 600 მან.) მეტი რაოდენობით. კანონპროექტის მეორე მუხლი ამნისტიას უცხადებდა ყველა რომაელს, რომელიც სამშობლოდან განიდევნა „მოკავშირეთა ომის“ დროს.

ვალში ჩავარდნილი სენატორები სენატიდან გარიცხვის საფრთხის წინაშე დადგნენ, ხოლო მდიდარი სენატორები მათზე დამოკიდებულ და მათგან დავალიანებულ კოლეგათა ხმებს კარგავდნენ. ამიტომ არისტოკრატია იულიუსების გავლენიანი გვარის მეთაურობით ფეხზე დადგა სულპიციუსის გასანადგურებლად.

არისტოკრატიის საქციელით გააფთრებული სულპიციუსი შეუკავშირდა მისი კავშირის მაძიებელს. მარიუსთან კავშირში სულპიციუსი ერთბაშად გრაკხუსების ეპიგონად გადაიქცა. მან მოისურვა სენატის უგულვებელყოფითა და გვერდის ავლით მთელი ძალაუფლება გადაეცა სახალხო კრებისათვის. მარიუსის რჩევით, სულპიციუსმა თავის კანონპროექტს მიუმატა კიდევ ახალი პუნქტი, რომლის მიხედვით, იტალიკი მოქალაქენი და გააზატებული მონები ნაწილდებოდნენ ყველა 35 ტრიბაზე. ეს იმას ნიშნავდა, რომ მარიუსსა და სულპიციუსს სახალხო კრებაზე მუდამ ექნებოდათ ხმის აბსოლუტური უმრავლესობა.

სენატი და არისტოკრატიული ოლიგარქია კიდევ უფრო მეტად გააცოფა და საომრად განაწყო „ახალი გრაკხუსის“ ახალმა განზრახვამ. კონსულებმა, სულამ და პომპეუსმა ხანგრძლივი რელიგიური დღესასწაულები და მისტერიები გამოაცხადეს, რომელთა დროს აკრძალული იყო კომიციების მოწვევა. მაშინ სულპიციუსი სავსებით გადავიდა დემოკრატთა მხარეზე და მტკიცედ დადგა მარიუსის გვერდით. ტრიბუნი გაემზადა ყოველგვარი საფრთხის აღსაკვეთავად. მის მოწოდებაზე მუდამ მზად იყო 3 000 დაქირავებული მეო-

მარი. მას განუყრელად თან ახლდა 600 ახალგაზრდა კაცისაგან შემდგარი ამალა, რომელსაც იგი „ანტისენატს“ უწოდებდა.

სულპიციუს რუფუსმა მოიწვია სახალხო კრება და მოითხოვა კონსულთაგან გამოცხადებული რელიგიური დღესასწაულების გაუქმება.

რომის ფორუმზე ოპტიმატებსა და პოპულარებს შორის ხელჩართული ხოცვა-ჟლეტა გაჩაღდა. სულპიციუსმა და მისმა მომხრეებმა გაიმარჯვეს. ბრძოლაში დაიღუპა ახალგაზრდა კვინტუს პომპეუსი, რომელიც ერთი კონსულის (პომპეუს რუფუსის) შვილი იყო, ხოლო მეორე კონსულისა (კორნელიუს სულასი) — სიძე.

თვითონ სულა ძლივს გადაურჩა სიკვდილს. მას მოსაკლავად მოსდევდნენ. ლტოლვილმა მარიუსის სახლს მიაღწია და ანგარიშმიუცემლად შიგ შევარდა.

აი, ერთადერთი შემთხვევა, როცა გაიუს მარიუსს ხელთ ჩაუვარდა მისი „ბედისწერა“!

და მან გაუშვა, — საიდუმლო კარით გაატარა და გადაარჩინა მოსისხლე მტერი!

უეცველი სიკვდილის ბუნაგიდან თავდახსნილი „ლომ-მელა“ ერთბაშად მოეგო გონს. გული გაიკაჟა, მუხლი და მკლავი განიმტკიცა და პირდაპირ გაემართა ნოლასაკენ, სადაც მას, ვითარცა კონსულსა და მთავარსარდალს, ექვსი ლეგიონი ელოდებოდა აღმოსავლეთში გასამგზავრებლად.

მარიუსი კი გვიან მოეგო გონს. იგი მიხვდა, რომ დაუშვა საბედისწერო შეცდომა, და ახლა შეეცადა მის გამოსწორებას.

სახალხო კრებამ უკვე მიიღო სულპიციუსის კანონმდებლობა, მაგრამ ძნელი იყო მისი შენარჩუნება, მით უფრო, რომ სულა საომრად გამზადებული ლეგიონებისაკენ მიჰქროდა. საჭირო იყო ძალზე სწრაფი მოქმედება. მარიუსი და სულპიციუსი კიდევ უფრო მტკიცედ შეეკვრნენ ერთურთს. სულპიციუსმა სახალხო კრებაზე გამოიტანა ახალი პროექტი აღმოსავლეთის ომის მთავარსარდლობიდან სულას გადაყენებისა და მის ნაცვლად მარიუსის დანიშვნის შესახებ.

ეს დადგენილებაც მიღებულ იქნა. სულპიციუსმა სასწრაფოდ აფრინა ნოლაში სამხედრო ტრიბუნები, რომელთაც ლეგიონები უნდა გადაეცათ ახლად დანიშნული მთავარსადრლისათვის.

მაგრამ ისევ მოასწრო „ფელიციტას“ (ბედნიერება) კუმირმა.

ლუციუს კორნელიუს სულამ სახელმწიფოს ბედი თავის სიცოცხლესთან ერთად შეაგდო ყოფნა-არყოფნის სასწორზე, ოღონდ კი მოპირდაპირესთვის არ დაეთმო „ტახტი აღმოსავლეთისა“. მან გა-

დაწყვიტა, ომის, იარაღის ძალით გადაეჭრა საკითხი. ცბიერმა დიპლომატმა ყველაზე მგრძნობიარე ნერვი გაუღიზიანა მძარცველობისთვის წკიპზე შემდგარ ლეგიონებს. მან არმიას გააცნო რომში დატრიალებული ამბები, უთხრა, რომ სულა გადაყენებულია თავხედი სულპიციუსისა და მარიუსისაგან; მის მაგივრად მთავარსარდლად დანიშნულია მარიუსი, რომელიც აღმოსავლეთში სალაშქროდ, რასაკვირველია, სულ სხვა, თავისი ვეტერანებისაგან შედგენილ არმიას წაიყვანს.

ეს მოკლე განცხადება სავსებით საკმარისი შეიქნა იმისათვის, რომ რომის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ისტორია ერთბაშად ახალ, კვლავ უპრეცენდენტო გზას დასდგომოდა. არმია, რომელიც სულას დემაგოგიამდეც მოუთმენლად მიისწრაფოდა შემოსავლის დიდი წყაროსკენ — მითრიდატეს წინააღმდეგ სალაშქროდ, — დარწმუნებული იყო, მარიუსი სხვა არმიას წაიყვანდა აღმოსავლეთში გასამდიდრებლად.

და ერთბაშად გამქრავნდა ის, რასაც თავისი რეფორმით საფუძველი დაუდო თვით გაიუს მარიუსმა:

არმიამ რომის სამხედრო პოლიტიკურ ისტორიაში პირველად აღიმაღლა ხმა, როგორც ყოველგვარი სახელმწიფოსაგან (მათ შორის მშობლიურისაგან) დამოუკიდებელმა დიდმა სოციალურმა ძალამ.

სულამაც დაინახა ის, რის დანახვაც მას ასე სწყუროდა:

ექვსი რომაული ლეგიონი სულ ერთიანად მისი ორეულებისაგან შედგებოდა; მას თვალში შესცქეროდა 35 000 პატარა სულა, მძარცველობისა და გამდიდრების დაუოკებელი წყურვილით სისხლამღვრეული. ისინი სიკვდილ-სიცოცხლის ფასადაც არავის დაუთმობდნენ მდიდარ საძარცვავ ასპარეზს. მათი სურვილი იყო, დაუყოვნებლივ გაენადგურებინათ ყველა და ყველაფერი, ვინც და რაც წინ ეღობებოდა მათს ლაშქრობას აღმოსავლეთში.

მაშ, პირველი საფრთხე ელოდა თვითონ გაიუს მარიუსს, ვინც შორჩილი აგრიკოლა-მოლაშქრე გულქვა და გულხარბი პროფესიონალი ლეგიონერით შეცვალა.

მაგრამ ჯარისკაცები მარიუსის დასჯით როდი იწყებენ. ისინი უფრო დიდი, მანამდე ხელშეუხებელი, გრანდიოზული კერპის ხელისუფლებას მოითხოვენ.

ეს კერპი არის თვითონ რომი, მშობლიური ქალაქი!

ის იყო, სულამ თავისი მოკლე სიტყვა დაამთავრა და 35 000 ჯარისკაცმა ერთხმად, იარაღის ზრიალით შეჰღრიალა:

„წაგვიყვანე, სარდალო, რომზე! გაბედულად წაგვიყვანე! რომზე, რომზე საიერიშოდ!“

მაშასადამე, რომაელებმა იარაღი აღმართეს რომზე, რასაც ვერ ბედავდა რომის მტერთაგან უსაშინლესი ჰანიბალიც კი.

სულას გავეშებულმა ჯარისკაცებმა დაიწყეს იმით, რომ იქვე, ნოლაში, დახოცეს მარიუსისა და სულპიციუსის მოციქული სამხედრო ტრიბუნები.

„მაშ, რომზე?!“

და ლუციუს კორნელიუს სულამ ბრძანა ლეგიონები რომისაკენ.

რომაული ლაშქარი პირველად მიდის მშობლიურ მიწაზე, ვითარცა მტრის მიწაზე. ამიერიდან რომი საომარ ასპარეზად უნდა იქცეს სარდლობისა და მათი არმიებისაგან.

ამგვარად, აღმოსავლურ-პონტოურმა საკითხმა რომის ისტორიაში სრულიად ახალი ფურცლები გადაშალა: ეს იყო ბრძოლა ერთპიროვნული დიქტატურის* დამყარებისათვის რომში; ბრძოლა მონათმფლობელურ-რესპუბლიკურ ხელისუფლებასა და მონარქიულ-იმპერატორულ ტენდენციებს შორის.

მაშ, სულა რომში მოდის, ვითარცა მტერი „აზრითაც და საქმითაც“.

ჩვენც მივდიოთ ფეხდაფეხ რომის წინააღმდეგ მოლაშქრე პირველ რომაელებს.

3. მგელთა გუნაგი მგლებისაგან აღებულია!

ლუციუს კორნელიუს სულა ლეგიონებით მიემართება რომისაკენ. მას ოდნავაც არ აფიქრებს მისი გაუგონარი გადაწყვეტილებით შეძრწუნებული ზოგიერთი სამხედრო მეთაურის გაქცევა. იგი მიდის უჯიათი ნაბიჯით, ჯაგარმოსილი გულითა და ანგარიშიანი გონებით, რადგან იცის, უკან მოსდევს მისივე მსგავსი მრავალი ათასი „სულანელი“.

აი, გამოჩნდნენ შიკრიკები, რომელთაც სენატისაგან მოაქვთ შიშით აღსავსე შეკითხვა:

„რა სურს და რას აპირებს სულა?“

„კონსული და მთავარსარდალი ლუციუს კორნელიუს სულა მიეშურება რომში, რათა დაამხოს ტირანია!“ — იყო სუსხიანი პასუხი.

იგივე პასუხი მიიღო კვლავ სამგზის გამოცხადებულმა ელჩობამ.

ბოლოს გამოჩნდა მეორე კონსული, კვინტუს პომპეუს რუფუსი თავისიანთა თანხლებით, მაგრამ სამტროდ, თუ სამოყვროდ?

სამოყვროდ და სამეგობროდ მოვიდა, კოლეგას გადაწყვეტილება მოუწონა და მხარში ამოუდგა.

რომს საშინელი, სულისშემხუთველი ატმოსფერო დააწვა.

მარიუსი და სულპიციუსი ემზადებოდნენ, მაგრამ ამ უჩვეულო ფათერაკის აცილებისათვის სამზადისი პანიკასა და ისტერიას დაეპყრო. მათ დროის მოგება სჭირდებოდათ და ამიტომ ელჩები გაუგზავნეს სულას და სთხოვეს, არ მოახლოებოდა რომს ორმოცი სტადიუმის მანძილზე, სანამ სენატი არ განიხილავდა შექმნილ მდგომარეობას.

სულა როგორი სულა იქნებოდა, მტრის ასეთ „დიპლომატურ ხუმრობას“ ვერ მიმხვდარიყო. მაგრამ როდი შეიმჩნია, მან „მოიწონა“ მოწინააღმდეგეთაგან შემოთავაზებული წინადადება და როგორც კი დაიმედებული ელჩები თვალს მიეფარნენ, კვლავ განაგრძო რომისკენ სვლა.

რომაელები გაშიშვლებული მახვილით მიადგნენ რომს. სულამ ერთი ლეგიონი მიაყენა ესკვილინუმის კარს, მეორე, პომპეუსის სარდლობით, — კოლინის კარს, მესამე ხის ხიდთან განალაგა, მეოთხე თადარიგში ჩააყენა. დანარჩენი ორი ლეგიონით სულამ გადალახა პომერიუმი (ქალაქის სასაზღვრო ხაზი) და შეიჭრა ქალაქში, ვითარცა აშკარა მტერი „აზრითაც და საქმითაც“.

მოსახლეობა მტრულად შეხვდა საომარი წყობით შემოჭრილ „მშობლიურ ლეგიონებს“. მოქალაქენი სახლებიდან და სახურავებიდან უშენდნენ მათ ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდათ. მაშინ სულამ ცეცხლმოკიდებული ჩირაღდანი აღმართა და ზარდამცემი ხმით დაიღმუვლა:

„თუ არ შეწყვეტთ, ქალაქს გადავწვავ!“

ხალხმაც შეწყვიტა წინააღმდეგობა, სახლებში ჩაიკეტა და ჩაჩუმდა.

წუთიერი დუმილი საომარი ნაღარების ცემამ და იარაღის ჟღარუნ-ზრიალმა დაარღვია.

მარიუსი და სულპიციუსი თავიანთი ჯარებით ესკვილინუმის მოედანზე დაუხვდნენ სულას.

აი, პირველი ბრძოლა რომის ქუჩებში რომაულ არმიებს შორის, ჩვეულებრივი მკაცრი საომარი წესებით, ბუკ-ნაღარის ცემით, დროშების ფრიალით, შტანდარტთა ზრიალით, ვერცხლის არწივთა კრიალით, ყიჟინით, მახვილთა კვეთებითა და შუბთა ძგერებით.

დემოკრატთა არმია მცირერიცხოვანი იყო და სახელდახელოდ შეყრილი, მაგრამ მისმა თავგანწირულებამ შეაკრთო სულანელები. ის იყო, ზურგი უნდა ექციათ კიდეც ბრძოლის ველისთვის, რომ

სულამ ხელში აიტაცა ლეგიონის დროშა და თავგანწირვით გადაეშვა მტრის შიგ შუაგულში. მისიანებიც შემობრუნდნენ ბელადის თავზეხელაღებული სიმამაცითა და თავგანწირულობით გამხნევებულნი. იმავ წუთს სულამ ბრძოლაში ჩაბა სათადარიგო ჯარები და მტრის ზურგისკენაც აფრინა სახელდახელო კოჰორტები, მარიუსმა დასახმარებლად მოუხმო სახლებში ჩაკეტილ მოქალაქეებსა და მონებს, მაგრამ სულიერთაგან არავინ გამოხმაურებია მის მოწოდებას.

ბრძოლა გათავდა.

სულანელები გამარჯვებას ზეიმობდნენ.

მარიუსელები მარცხიან ღამეს შეეფარნენ და გაუჩინარდნენ.

მსოფლიოს მბრძანებელი ქალაქი — უბრწყინვალესი საომარი „პრიზი“ ხელთ ეპყრა „ფელიციტას“ კერპს, ლუციუს კორნელიუს სულას.

მთელ იმ საბედისწერო ღამეს რომის ფორუმზე საომარ ბანაკად დაცემულ კარვებში ჩაუქრობლად ენთო ცეცხლი.

ყოველ ქუჩაზე, მოსახვევში, გზაჯვარედინზე იარაღასხმული, საომრად გამართული სულანელი გუშაგები იდგნენ.

რომი საშინელი მოლოდინისა და ძრწოლის ბურუსში იყო გახვეული.

არავინ იცოდა, რას მოიტანდა ხვალინდელი დღე.

4. რომი „რომაული ომის“ შემდგომ

ეს უძილო ღამეც გასრულდა და პირველი, რაც ამ დღეს რომაელებმა მოისმინეს, ეს იყო სულას ბრძანება სულპიციუსის კანონმდებლობის გაუქმების შესახებ. ამასთანავე, თორმეტი დემოკრატი მოღვაწე ხალხისა და სახელმწიფოს მტრებად გამოაცხადეს და სიკვდილი მიუსაჯეს. მათ შორის იყვნენ სულპიციუსი, მარიუსი და მისი ვაჟი.

ამის შემდეგ სულამ თავის თავში ლომი დააძინა და მელა გააღვიძა. იგი აცხადებდა მშვიდობიანობას, წესრიგიანობასა და თავისუფლებას (დიახ, თავისუფლებას!) ქვეყანასა ზედა. მან „რესპუბლიკის“ სახელით დაამხო „ტირანია“ სულპიციუსისა და მარიუსისა და აღადგინა სენატის ტრადიციული რესპუბლიკური მმართველობა. მან სამას სენატორს კიდევ სამასი დაუმატა და ექვსასკაციან სენატს დაუბრუნდა ყველა უმაღლესი რწმუნებანი, რაც მას გრაკხუსების დროიდან სრულიად აღარ ჰქონია. მთავარი ის იყო, სენატს დაუბრუნდა „მოწონების უფლება“ (auctoritas sentus), ურომლი-

სოლაც სახალხო კრებას არავითარი კანონის მიღება არ შეეძლო. ამგვარად, არარად იქცა კომიციისა და სახალხო ტრიბუნატის ფუნქციები.

ამის შემდეგ სულამ ჩაატარა კონსულთა არჩევნები მომავალი 87 წლისათვის. კონსულებად გავიდნენ გნეუს ოქტავიუსი და ლუციუს კორნელიუს ცინა. პირველი ოპტიმატთა პარტიის წარმომადგენელი და სულას ერთგული მოკავშირე-მეგობარი გახლდათ, ხოლო ცინა უაღრესად აქტიურ და გაბედულ დემოკრატად იყო ცნობილი. სულამ ვერ გაბედა ცინას წინააღმდეგ ხმის ამაღლება, რადგან ხალხის ამხედრებას უფრთხოდა. იგი საერთოდ ფრთხილობდა, შორს იცქირებოდა; მთავარი საზრუნავი — აღმოსავლური ლაშქრობა, რისთვისაც მან ამდენი სისხლი დაღვარა, ჯერ ხელუხლებლად ედო წინ. სულას არ შეეძლო დაევიწყებინა, როგორ შეხვდა ხალხი სულპიციუსის სიკვდილს.

მიმალული სულპიციუსი საკუთარმა მონამ გასთქვა. როცა მისი თავი სულას მიუტანეს, სულამ დემოკრატთა საყვარელი ტრიბუნის თავი იმ ტრიბუნაზე გამოჰკიდა, საიდანაც ამ რამდენიმე დღის წინ იგი ბრწყინვალე სიტყვით აღელვებდა და ატკბობდა ხალხს. ხოლო გამყიდველ მონას სულამ თავისუფლება აჩუქა. ხალხი აღაშფოთა ასეთმა შემაზრზენმა მკრეხელობამ. სულამაც უმალვე იყნოსა საშიშროება. მაშინვე სულპიციუსის თავიც გაასვენა და მისი გამცემი მონაც, „ბატონისადმი ორგულობისთვის", ტარპეუმის კლდიდან გადაჩეხა.

ახლა კიდევ ამ „თავხედმა პოპულარებმა" ერთ-ერთ კონსულად თავისი კაცი გაიყვანეს. მაგრამ რა გაეწყობა, დე ასე იყოს. ვნახოთ, რას გახდება ეს ცინა, როცა სულას თვით გაიუს მარიუსმაც ვერაფერი დააკლო.

ასე შეურიგდა სულა თავისი ერთ-ერთი არასასურველი პიროვნების (persona non grata) გაკონსულებას. თან ეს „შერიგება" საქვეყნოდ ასე გამოთქვა:

„დე იყოს ისე, როგორც სურს რომაელ ხალხს, რადგან მან ხომ ჩემის წყალობით მოიპოვა თავისუფლება!"

ეს ისე სერიოზულად თქვა, თითქოს არავის შეუმჩნევია, რამდენი ცინიზმი და გესლი იყო მასში ჩაგუბებული.

ასეთ „ხუმრობას" სულამ ისიც მიუმატა, აღმოსავლეთში წასვლის წინ ცინას ხალხის წინაშე ფიცი ჩამოართვა, რომ იგი სამარადჟამოდ მისი ერთგული იქნებოდა.

ესეც სავსებით გაუგონარი მოვლენა იყო: კონსული აძლევს ფიცს კერძო კაცს, რომელსაც კონსულობის ვადა გასვლია და მხოლოდ

პროკონსულის უფლებით აპირებს საომრად წასვლას. ასეთი რამ არასოდეს არ მომხდარა. ეს უცნაური აქტიც სულამ სავსებით კომიკურ გარემოებაში ჩაატარა: ცინა კაპიტოლიუმზე აიყვანა, მთელი ხალხის წინაშე ქვა გაასროლინა და დააძახებინა:

„ამ ქვასაებრ ვიქნე მე გატყორცნილი. თუ სულას ვუღალატო!“

არასასურველი კონსულის ასეთი გამასხრების შემდეგ რომში მდგომარეობა საიმედოდ მიიჩნია და 87 წლის ადრიან გაზაფხულზე აღმოსავლეთში გაეშურა.

მიდიოდა სულა რომიდან და მხოლოდ ერთ რამეზე ეთანაღრებოდა გული: ვაი, რომ ფორუმ რომანიუმზე სულპიციუსის თავის გვერდით მარიუსის თავიც ვერ გამოჰკიდა!

ნუთუ კვლავ ცოცხალია გაიუს მარიუსი?!

5. დიდი კაცის ნამსხვრევი დიდი ქალაქის ნანგრევებზე

სიკვდილმისჯილი მარიუსი სიკვდილს გაურბოდა. იგი მისგანვე გადარჩენილი იტალიის ყოველ კუთხეში ეძებდა ადგილს, რომელიც საკმარისი იქნებოდა მისი ლტოლვილი და გვემული სხეულის დასაფარავად.

რომიდან გაქცეული ჯერ ოსტიაში მივიდა და მისთვის გამზადებულ ვემში ჩაჯდა. ერთხანს მშვიდობიანად მიცურავდა იტალიის გასწვრივ. მაგრამ უეცრად ზღვა აღელდა, მარიუსსაც პირისღებინება აუტყდა, ქარტეხილთან ბრძოლაც გაჭირდა, სურსათიც შემოელიათ და მეზღვაურებმა ხომალდი კირკეის მახლობლად მიაცურეს.

აქ მარიუსი მწყემსებმა იცნეს და მოახსენეს, რომ ორიოდ დღის წინ ამ ადგილებში სულასაგან წარმოგზავნილი მხედრები ეძებდნენ მას.

ის ღამე მარიუსმა უღრან ტყეში გაათია, როგორც ნადირმა. მეორე დღეს კვლავ გამოძვრა დამშეული და უძინარი. მაინც გაამხნევა თავისიანები. კვლავ მოაგონა მათ: რაკი ბავშვობისას კალთაში შვიდბარტყიანი არწივის ბუდე ჩამივარდა, ღმერთების ნებით, უეჭველად მეშვიდედ გავხდებიო კონსული!

აღელვებული ზღვა ლტოლვილებს აღარ ღებულობდა. იტალიის მხსნელი და „რომის დამაარსებელი“, მშიერ-მწყურვალი, ძილგამფრთხალი, ნერვებმოშლილი და ტანსაცმელშემოძარცული ღამეებს ღია ცის ქვეშ, შიშველ მიწაზე, ბუჩქნარებსა და ლერწმიანებში ათენებდა, ვერ ბედავდა გზაზე გამოსვლას, ვერც კაცთაგან ვისმესთან მისვლას. ადამიანის ნატერფალსაც უფრთხოდა იგი.

ასე ვაი-ვაგლახითა და ვაი-ვიშით მიუახლოვდნენ კამპანიის საზღვართან მდებარე ქალაქ მინტურნს. აქ ლტოლვილებმა უეცრად შეამჩნიეს მდევრები, რომლებიც ცხენებზე ამხედრებულნი მოჰქროდნენ მათკენ.

განწირულნი გაიქცნენ ზღვისკენ. ნაპირთან ახლოს ორი სატვირთო ხომალდი მიცურავდა.

ისინი შეცვივდნენ ზღვაში და სასოწარკვეთილი ბღავილით სთხოვეს შველა გემთა მფლობელებს. ამათაც ხომალდები გააჩერეს და ლტოლვილები აიყვანეს.

ის იყო, ორმა მონამ გემბანზე ძლივს აიტანა მარიუსის ზორბა სხეული, რომ მდევრები ზღვისპირს მოაწყდნენ და მეზღვაურებს მუქარით უბრძანეს, უკანვე გადმოესხათ სიკვდილმისჯილი „სახელმწიფო მოღალატენი“.

გემთა მფლობელნი შეჩერდნენ და შეყოყმანდნენ.

და, აჰა, დიდი გაიუს მარიუსი ამ ვიღაც მეხომალდეთა წინაშე მუხლებზე ეცემა და ცრემლების ღაპაღუპით შესთხოვს მფარველობას!

მარიუსის ცრემლმა გასჭრა. ხომალდებმა ცურვა განაგრძეს. გაცოფებული მდევრები ყვირილითა და მუქარით გაშორდნენ ზღვისპირს.

მაგრამ მარიუსს საფრთხე და ხიფათი მაინც არ შორდებოდა. გემთა მფლობელნი ძალიან ჩაეფიქრებინა მდევართა მუქარასა და სულას მრისხანებას. მათ გემები მიაცურეს მდინარე ლირისის (ახლ. გარილიანო) ჭაობიან შესართავში და მარიუსს, ზურგქარის ამოვარდნამდე, გადმოსვლა, დანაყრება და დასვენება შესთავაზეს.

მარიუსი დათანხმდა. მალე მას ზღვის პირას ბალახზე მიგდებულს მიეძინა. დიდხანს ეძინა, როცა გამოიღვიძა, გემები და მისი მხლებლები აღარსად ჩანდნენ.

იგი მიატოვეს, ვითარცა ტვირთი აბეზარი და ლეში, საშიში სენის შემყრელი.

დიდხანს იწვა მარიუსი გაუნძრეველად, გარინდებული და მეხდაცემული. მერე წამოდგა და წალასლასდა უგზოუკვლოდ, უმისამართოდ, უანგარიშოდ.

მიდიოდა და მიფოფხავდა ბორცვებსა და ღრანტეებზე; მითხლაშუნობდა გაუვალ ჭაობებში და ლაქაშებში, ბალყებით დამპალ წყლებსა და ოლეებში. ბოლოს მიადგა ვიღაც მოხუცი მეთევზის ქოხს.

და მარიუსმა უთხრა მეთევზეს:

„მოხუცო, დაეხმარე და უშველე კაცს, რომელსაც შეუძლია,

თუ ახლა გადაურჩა სიკვდილს, მალე ისე დაგაჯილდოოს, ფიქრადაც ვერ წარმოიდგინო!“

კარგა ხანს უცქირა მოხუცმა მეთევზემ ლტოლვილ სტუმარს.

იქნება იცნო კიდეც მარიუსი.

იქნება დაიჯერა მისი აღთქმა „არნახული დაჯილდოებისა“.

და უპასუხა:

„თუ სტუმარს ნებავს დასვენება, ამისათვის ეს ქოხიც გამოდგება. ხოლო, თუ იგი გამოქცეულა და მდევარს ემალება, მაშინ მე მას დავმალავ უშიშარ ადგილას“.

„ჰო, ჰო, სწორედ ასეა!.. უნდა დამმალო, უნდა დამმალო!“ — სხაპასხუპით მიაყარა მოთმინებადაკარგულმა მარიუსმა.

მეთევზემ მარიუსი შეიყვანა ჭაობებში და მდინარის მახლობლად ერთ ვიწრო ნაპრალში ჩაჩუმქრა. ზემოდან ბალახი და ფოთლიანი რტოები დააყარა.

დიდი ხანი არ გასულა, რომ საფარში სუნთქვაშეკრულ მარიუსს ქოხის მხრიდან ყვირილი და ხმაური შემოესმა. ვიღაცები მეთევზეს აგინებდნენ და უყვიროდნენ, რომ მან სადღაც დამალა მტერი რომაელი ხალხისა.

მარიუსმა იფიქრა, აქ მომაგნებენ, ან მდევრები მოხუც მეთევზეს გატეხენო, ამიტომ გულმა ვეღარ გაუძლო, იმ საფარიდან ამოძვრა, სასწრაფოდ ტანთ გაიძრო და შლამიან და შმორიან ჭაობში დედიშობილა ჩაძვრა.

მდევრებმა ჭაობები და ლაქაშები სულ ფეხით მოიარეს და მოჩხრიკეს.

მარიუსს მიაგნეს. ამოთხარეს და ტანშიშველი, სულ ერთიანად ლაფში ამოსვრილი და ყელზე ბაწარჩაბმული „სამშობლოს მამა“ მინტურნის მმართველთ წარუდგინეს.

მინტურნის მესვეურებმა ხანმოკლე ბჭობის შემდეგ გადაწყვიტეს მარიუსის მოკვლა. მაგრამ მოქალაქეთაგან არავინ იკისრა ლეგენდარული გმირის სისხლში ხელის გასვრა.

ბოლოს მიაგნეს შესაფერის მკვლელს, ვიღაც კიმბრს, რომელსაც სწორედ მარიუსის წყალობით ჰქონდა დაკარგული სამშობლო და თავისუფლება.

ალბათ, რამდენჯერ უოცნებია ამ გერმანელ-კიმბრს, როგორც ყველა მის თანამოძმეს, მარიუსის სისხლის დალევა!

და, აი, ახლა მას ხელში მახვილს აძლევენ თვითონ იტალიელები მათივე მხსნელის მოსაკვდინებლად!

მინტურნის ხელისუფალნი და მოქალაქენი რაღაცნაირი უგემური გატაცებითა და შიშით ენაჩავარდნილნი მისდგომიან სახლს, რომელშიც სიკვდილს ელის გაიუს მარიუსი.

გერმანელი მახვილაღმართული შევიდა.

მარიუსის მზერა შეეპრა ფოლადის ელვარებას.

კიმბრს მოეჩვენა, განწირულის თვალები კვესავდნენ ბნელში.

და როგორც კი მან მახვილი აღმართა, იმავ წამს მარიუსი ფეხზე წამოიპრა და შეპღრიალა:

„ნუთუ შენ გაბედავ, მოკლა გაიუს მარიუსი!“

გერმანელი ზარდაცემული და აცახცახებული გამოვარდა, მახვილი შორს გასტყორცნა და მთრთოლვარე ხმით შესძახა ხალხს:

„არა, მე არ შემიძლია მოვკლა გაიუს მარიუსი!“

ყველანი შიშმა, სირცხვილმა და სინანულმა მოიცვა.

მოსისხლემ ვერ შეპბედა მარიუსის სიცოცხლეს, მისგან დახსნილნი და გადარჩენილნი კი სდევნიდნენ მას.

მარიუსი კვლავ გადარჩა. მინტურნის ხელისუფლებმა დადგენილება შეცვალეს და სიკვდილმისჯილის გაძევება ბრძანეს. მარიუსი ხომალდში ჩასვეს და იტალიიდან გააძევეს.

მარიუსი მივიდა კუნძულ ენარიაზე (ისკია), სადაც მას შეუერთდნენ სიკვდილს გადარჩენილი მომხრე-ლტოლვილნი. აქედან ისინი გადავიდნენ სიცილიაში. ციხესიმაგრე ერიქსის მახლობლად მათ თავს დაესხათ რომაელი კვესტორი. ამ შეტაკებაში მარიუსს თექვსმეტი კაცი დაეღუპა და თვითონაც ძლივს დააღწია თავი ტყვეობას.

ამნაირად, ევროპის მიწა ყველგან გამწარდა ყველაზე დიდი ევროპელისთვის. ახლა მან თავის დახსნა აფრიკის ცხელ მიწაზე სცადა.

მარიუსი მიადგა იმ ადგილს, სადაც ერთ დროს ბრწყინვალებდა დიადი კართაგენი.

მაგრამ მარიუსს არც მის წინაპართაგან დანგრეული, დახნული და დაწყევლილი მიწა ღებულობდა.

როგორც კი მან კართაგენის მიწაზე ფეხი შედგა და ჩაიმუხლა, მაშინვე მოვარდა აფრიკის პრეტორისგან გამოგზავნილი შიკრიკი და მკაცრად მიახალა:

„პრეტორი სექტილიუსი გიკრძალავს შენ, გაიუს მარიუსს, აფრიკაში გადმოსვლას. ხოლო, თუ არ დაიშლი, იგი აღასრულებს სენატის დადგენილებას და მოგეპყრობა ისე, როგორც რომაელი ხალხის მტერს!“

დიდხანს იჯდა მარიუსი მდუმარე და გარინდებული.

მერე ღვრემამორეული და პირქუში სახე მიაპყრო ეჯიბს და ამოიგმინა:

„უთხარი პრეტორს, რომ შენ იხილე, როგორ ზის ლტოლვილი მარიუსი კართაგენის ნანგრევებზე!“

მარიუსის ბედის ასეთი მხატვრულ-სიმბოლიკური განმარტება ჰომეროსსაც შეშურდებოდა: დიდი მარიუსის ნამსხვრევი დიდი კართაგენის ნანგრევებს შეერთებოდა. ერთ დროს ჰყვაოდა კართაგენი და დღეს ნანგრევებად და ნაცარტუტად ქცეულა! ერთ დროს ჰყვაოდა გაიუს მარიუსი და დღეს მხოლოდ ნაკაცარ ხორცის გუნდად დარჩენილა!

დიდი ადამიანის ბედი დიდ სახელმწიფოთა ბედის მსგავსი ყოფილა.

მაგრამ უკიდურეს უბედობაში ჩავარდნილი კაცის პირით ნათქვამი სიტყვის მხურვალება ვერ შესძრავდა გულმშრალ რომაელს. მარიუსი აქედანაც უნდა გადახვეწილიყო.

ლტოლვილები გაეშურნენ ნუმიდიაში, მეფე ჰიემპსალ II-სთან, რომელმაც მართლა შეიხიზნა ისინი, მაგრამ მალე აღმოჩნდა. რომ რომის ყურმოჭრილი ნუმიდიელი ვასალიც მასთან თავშეფარებულებს სიკვდილს უმზადებდა. შემთხვევამ იხსნა ისინი უეცველი დაღუპვისაგან.

მარიუსის ვაჟი, გაიუს მარიუს მრწემი, მეტად ლამაზი და მომხიბლავი ვაჟკაცი, შეჰყვარებოდა რომელიღაც მხევალს მეფისას. დევნილები მისი დახმარებით გაერიდნენ სიკვდილს. მათ მაშინ შეასწრეს ხომალდში, როცა ნაპირზე უკვე მოაწყდნენ ცხენოსანი მდევრები.

ბოლოს და ბოლოს, ლტოლვილებმა მიაღწიეს ტუნისის სანაპიროსთან მდებარე პატარა კუნძულს, კერკინას.

აქ დაბანაკდნენ და დაუწყეს ლოდინი მუხანათი ფორტუნასაგან მოგდებულ მომავალ წილხვედრს.

მარიუსს ხომ ჯერ მეშვიდე არწივი არ აუფრენია!..



თავი პირველი

სულა აღმოსავლეთში

1. ატიკა



წორედ ამ დროს სულა უკვე ბალკანეთზე მძვინვარებდა. იგი ებრძოდა მითრიდატეს ჯარებს საბერძნეთში.

სულამ ბეოტიაში შეკრით დაიწყო. შიშით შეპყრობილი აქაური ქალაქები, მათ შორის, მთავარი ქალაქი თებე, მაშინვე პონტოელი მეფის ბანაკიდან რომაელთა მორჩილებას დაუბრუნდნენ. ბეოტიის ის ორიოდე მცირე ქალაქი, რომლებიც ჯერ კიდევ არ ფიქრობდნენ პონტოელთა ღალატს, სულამ უეცარი თავდასხმით ჩაიგდო ხელში.

ბეოტიის დაპყრობის შემდეგ სულა მიუახლოვდა ატიკას — საბერძნეთის გულს. აქ მან ჯარი ორ ნაწილად გაყო. ერთი გაგზავნა ათენისაკენ, სადაც გამაგრებული იყო არისტიონი; მეორე ნაწილს თვითონ ჩაუდგა სათავეში და გაეშურა პირევსისაკენ, სადაც მას ძლიერი ლაშქრით ელოდებოდა მითრიდატეს სარდალი არქელაოსი.

რომაელებმა იერიში მიიტანეს პირევსის „დიდ კედლებზე“ —

სახელოვანი პერიკლეს დიად არქიტექტურულ-სტრატეგიულ ქმნილებაზე.

სულამ ბრძანა, საიერიშო კიბეები მიედგათ ორმოცი წყრთის სიმაღლე ქვის ზღუდეებზე, ასულიყვნენ და თავს დასტყდომოდნენ სიმაგრის შიგნით ჩარაზმულ მოწინააღმდეგეს. რომაელები ათიათას წყვილ სახედარს ამუშავებდნენ ახალ-ახალ საიერიშო მანქანათა, სიმაგრეთა და მიწაყრილთა აღსამართავად.

პირევსში გამაგრებული პონტოელები მედგრად იცავდნენ თავს. ისინი უმალვე ანგრევდნენ და წვავდნენ ყოველ ახალ მოწყობილობას, როგორც კი რომაელები აღმართავდნენ მას კედლების გადასალახავად.

სულა იძულებული გახდა იერიშებზე დროებით ხელი აეღო. იგი დაბრუნდა მეგარაში და ახალი, გადამწყვეტი შეტევის სამზადისს შეუდგა.

საჭირო იყო ხე-ტყე კატაპულტების, საიერიშო კიბეებისა და მანქანების ასაგებად. საამისოდ სულამ კულტურული სამყაროს ყველაზე სათაყვანო წმიდა ადგილებიც კი არ დაზოგა.

მისი ბრძანებით რომაელებმა გასჩეხეს აკადემიისა და ლიკეიონის ბრწყინვალე ხეივნები, სადაც ერთ დროს თავიანთ მეცნიერებას მოწაფეებს აზიარებდნენ სახელოვანი პლატონი და არისტოტელე.

რომაელმა სარდალმა არანაკლები მკრეხელობა ჩაიდინა ფულის შესაგროვებლად. მან ბრძანება გასცა, გაეძარცვათ ეპიდავრის, ასკლეპიოსისა და ოლიმპიის ზევსის მდიდარი ტაძრები. მერე მთელს მსოფლიოში განთქმულ დელფოს ტაძარში გაგზავნა მძარცველები. აქ ხომ აპოლონის სახელობაზე აუარებელი შესაწირავი გროვდებოდა საუკუნეების მანძილზე.

სულა მოუთმენლად ელოდა დელფოს ბრწყინვალე განძეულობას.

როგორი იყო გულგოროზი დამპყრობელის გაოცება, როცა დელფოს გასაძარცვავად წასული მეომრები უკან ხელცარიელი დაბრუნდნენ.

„რა მოხდა?!“ — რისხვეულად იკითხა სულამ.

მეომრები ფერდაკარგული იდგნენ და ხმას ვერ იღებდნენ.

„რა მოხდა-მეთქი?!“ — დაიჭექა მთავარსარდალმა.

როგორც იქნა, ერთმა ამოიდგა ენა:

„ტაძარში რომ შევედით და ის იყო დიდ ოქროს კრატერს ხელი შევახეთ, ჩვენ გავიგონეთ ლირის ჟღერა... ასე არ იყო?“ — მიუბრუნდა იგი მეორე მეომარს.

„ჰო, მეც მომესმა. სწორედ ლირის სიმი აჟღერდა!“

„ბრიყვებო, რა ლირა, რა ლირის სიმი, რა ლირის ყღერა?!“ — გაოცდა სულა.

„ლირა ხომ ღმერთ აპოლონს უჭირავს ხელში. უეჭველად ისან ამოჰკრა სიმს ხელი, როცა დაინახა, ჩვენ მისი ტაძრის გაძარცვას ვაპირებდით“.

სულა წამით ჩაფიქრდა, მერე ბოროტად ჩაეცინა და თქვა:

„რეგვენებო, განა არ იცით, ლირას ის აყღერებს, ვინც დიდ სიხარულსა და აღტაცებას განიცდის. აპოლონსაც მოსწონებია თქვენი საქციელი და ლირაც იმად აუყღერებია. მაშ ახლავე გასწით და შეასრულეთ თვით დიადი აპოლონის ნება-სურვილი!“

„მაშ, ყველაფერი გამოვიტანოთ?“

„სუყველაფერი წამოიღეთ! დანარჩენი მე ვიცოდე და აპოლონმა!“

ეს თქვა სულამ და მკერდი გაიღელა.

მეომრებმა შეხედეს:

სულას მკერდზე აპოლონის ოქროს ქანდაკი ეკიდა.

აპოლონის ტაძარი რომაელებმა მთლიანად გაძარცვეს და გაანიშვლეს.

რასაკვირველია, ბერძენთა აღშფოთებას არაფერ ანგარიშს გაუწევდნენ ისეთი ადამიანები, რომელთაც საკუთარი სამშობლოც კი ყიდვა-გაყიდვის საგნად აქციეს.

შემდეგ სულამ თებეს მცხოვრებლებს მიწები ჩამოართვა და გაძარცვულ ტაძრებს გადასცა. ალბათ ამით სურდა შეენელებინა მისდამი ჰელინთა სიძულვილი და დაესაჯა თებელები, რომლებიც სისტემატურად ღალატობდნენ ხან ერთ და ხან მეორე მხარეს.

მიღებული ფულადი თანხა სულას პირველ რიგში უნდა გამოეყენებინა ათენისა და პირევსის ალყის წარმატებით გასაგრძელებლად. ამასთან, საშუალება ეძლეოდა, ჯარისკაცებისათვისაც მიეცა ფული და ჯილდოები.

რომაელებმა კვლავ გააჩაღეს იერიშები ათენსა და პირევსზე.

არქელაოსის ბანაკში მოღალატენი გაჩნდნენ. ორი ატიკელი მონა პონტოელთა ბანაკიდან რომაელებისკენ შურდულით ტყორცნიდნენ ტყვიის ბურთულებს წარწერებით, რითაც სულას ატყობინებდნენ, რა ღონისძიებებისა და გეგმების განხორციელებას აპირებდნენ პონტოელები.

ასე შეატყობინეს სულას, რომ მეორე დღეს არქელაოსის ქვეითი ჯარი პირდაპირი ფრონტით დაესხმოდა თავს პირევსის კედლებთან საალყო მანქანებსა და მიწაყრილებზე მომუშავე რომაელებს. ხოლო კავალერია ორივე ფლანგიდან შეუტევდა მათ.

რომაელმა სარდალმაც კოსტროლონისძიებით, მოღალატეთაგან ბიღებული ცნობის მეოხებით, წარმატებით მოიგერია არქელაოსის შემოტევა.

მაგრამ პირევსის ალყა მაინც ჭიანურდებოდა. მოწინააღმდეგენი გაფთრებული სისხლთათხევით ართმევდნენ ერთურთს ყოველ გოჯ მიწას. როცა სულამ მაღალი კედლის გადასალახავად მიწაყრილები აღმართა, მასზე აცოცებულ რომაელებს არქელაოსმა ახალი სიმაგრეები დ გოდოლები დაახვედრა. ამავე დროს, პონტოელმა სარდალმა პირევსის დამცველთა რიგები თავისი ფლოტის მეზღვაურებით გააძლიერა. ღამით პონტოელები გადაცოცდნენ კედლებზე და დაანგრიეს და დაწვეს სულას ახლად აღმართული საიერიშო მოწყობილობანი. მაგრამ რომაელებმა ათი დღის განმავლობაში კვლავ განაახლეს ისინი. თავის მხრივ პონტოელებმაც მათ წინააღმდეგ იხეე აღმართეს ციხე-კოშკები.

ამასობაში არქელაოსმა მითრიდატესაგან მიიღო მაშველი ძალები დრომიქეტეს სარდლობით და გადაწყვიტა, მთელი ძალებით გამოსულიყო რომაელთა წინააღმდეგ.

პირევსის კედლებთან ღამით. მაშხალების შუქზე, საშინელი სისხლისღვრა გაიმართა. ბრძოლის სასწორი დიდხანს ცვალებადად ქანაობდა. სარდლები ბრძოლის ველზე ძლივს აბრუნებდნენ ხოცვა-ჟლეტით შეძრწენებულ მეომრებს. სულას არმია დამარცხებისგან იხსნა ხე-ტყის დამზადებიდან დაბრუნებულმა მეორე ლეგიონმა და სახელმწიფო დამნაშავეებმა. რომელთაც მისჯილი ჰქონდათ, ბრძოლის ველზე გამოესყიდათ თავიანთი დანაშაული. ისინი განსაკუთრებული გაფთრებით შეებნენ პონტოელებს. არქელაოსმა ინიციატივა დაკარგა და ბრძოლა წაგო.

მაგრამ არც ამ შეტაკებას მოჰყოლია გადამწყვეტი შედეგი. პირევსი და ათენი კვლავ მედგრად იცავდნენ თავს. ზამთარი დგებოდა და საომარი მოქმედებანიც უნდა შესუსტებულიყო, მაგრამ მოწინააღმდეგენი მაინც არ ცხრებოდნენ.

სულა ელევსინში გამაგრდა და ზღვისაკენ ღრმა თხრილების გაყვანას შეუდგა. რათა ამ მხრიდან თავი დაეზღვია მოწინააღმდეგის კავალერიის შემოტევისაგან. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში არქელაოსს კედლებს გარეთ გამოჰყავდა თავისი მეომრები და მოსვენებას არ აძლევდა რომაელებს.

სულას კიდევ უფრო იმიტომ უჭირდა, რომ ზღვაზე არც ერთი ხომალდი არ ჰყავდა. ამის გამო პონტოელებს საშუალება ეძლეოდათ, ზღვიდანაც დასხმოდნენ მას თავს. რომაელმა სარდალმა დახმარება სთხოვა როდოსს, მაგრამ როდოსელებმაც ვერ მოახერხეს

მიშველებოდნენ, რადგან ზღვაზე მითრიდატეს ფლოტი მბრძანებლობდა.

ბაშინ სულამ უბრძანა თაკის ლეგატს, ლუციუს ლიციინიუს ლუკულუსს (შემდეგომში, მითრიდატეს წინააღმდეგ მესამე ომში, რომაელთა მთავარსარდალი) საიდუმლოდ ჩასულიყო ალექსანდრიასა და სირიაში და ადგილობრივ ხელისუფალთათვის ეთხოვა დახმარება რომაელთა ფლოტის გასატარებლად რომაელთა ბანაკისაკენ.

ოზი ჭიანურდებოდა, ხოლო რომაელ სარდალს არსაიდან არ ჰქონდა დამხმარე ძალების მიღების იმედი. რომიდან საშინელი ამბავი მოვიდა: მისიანები დამარცხებულიყვნენ. უსუსურ სენატსაც არავითარი დახმარების გაწევა აღარ შეეძლო თავისი რჩეულისათვის. უფრო მეტიც: სულა რომში სახელმწიფოს მტრად გამოეცხადებინათ და მის შესაცვლელად ახალი მთავარსარდალი, კონსული ვალერიუს ფლაკუსი მოეშურებოდა ახალი არმიით.

უჯიათი „ფელიქსი" უბედობას მაინც არ ურიგდებოდა.

სულას მთავარი იმედი იმას ემყარებოდა, რომ მითრიდატეს მაშველი ძალები იგვიანებდნენ და მარტო არქელაოსისა და არისტიონის ჯარები მათზე გაპიროვნებულ საომარ ობიექტებს ძლივს ინარჩუნებდნენ.

ამიტომ სულა ერთ წუთსაც არ კარგავდა: უნდოდა, მალე დაემარცხებინა პირეესისა და ათენის აღება; არ დაეშვა მოწინააღმდეგის არმიების გაერთიანება, რათა ცალ-ცალკე გაენადგურებინა ისინი.

სულა განსაკუთრებული სიმძაფრით უტევდა ათენს. ქალაქში შიმშილი მძვინვარებდა. მშიერი ხალხი აკროპოლისზე ამოსულ ბალახს ძოვდა. ყოველგვარი საქონელი და პირუტყვი უკვე გაქრეტილი იყო. ხარშავდნენ ტყავებს, ლოლნიდნენ და ნახარშს ეწაფებოდნენ. ათენელები უკვე შიმშილით დახოცილ ადამიანთა ლეშსაც ეტანებოდნენ.

არქელაოსმა პირეესის დაცვის დროს რამდენჯერმე სცადა, დამშეული ათენისათვის სურსათი მიეწოდებინა, მაგრამ ამ ცდებს ტყუილუბრალოდ სისხლისღვრის გარდა შედეგად არაფერი მოჰყოლია. როცა არქელაოსი ათენში სურსათ-სანოვაგის გაგზავნას აპირებდა, ბანაკიდან მოღალატეებმა რომაელთა ბანაკში გადაისროლეს ტყვის ფირფიტა წარწერით, რომელიც სულას აუწყებდა არქელაოსის განზრახვას.

რომაელმა სარდალმაც ჯარის ნაწილი გაგზავნა და ათენისაკენ მიმავალი სანოვაგე თავის ბანაკში მოატანინა. გამცემლების წყალობით კიდევ რამდენჯერმე ჩაიშალა ათენიდან შიმშილის განდევნის ცდა.

მერე ღალატში დაეჭვებულმა პონტოელმა სარდალმა თავისი მეომრები ალაყაფის კართან საომრად განალაგა, რომ ამით რომაელთა ყურადღება ჩამოეშორებინა ათენში გაგზავნილი ალალისაგან. მაგრამ სულამ ამჯერადაც ხელთ იგდო ათენელთათვის განკუთვნილი პური, თუმცა იმის საფასურად, რომ პონტოელებმა პირევსთან დაწვეს რამდენიმე რომაული საალყო მანქანა.

ამ დროს ატიკაში შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალ იმედად გამობრწყინდა მითრიდატეს ძის არიარათეს შეჭრა მაკედონიაში. პონტოელმა უფლისწულმა სწრაფად დაიპყრო მთელი მაკედონია, ჩააბარა საგანგებოდ დანიშნულ მმართველებს და ლენინელვე დაიძრა სულას წინააღმდეგ.

მაგრამ რომაელ „ფელიქსს“ ბედი მართლაც სწყალობდა.

მითრიდატეს მამაცი და ნიჭიერი მემკვიდრე გზაზე ავად გახდა და გარდაიცვალა. ამგვარად, სულას წინააღმდეგ ეს სწრაფი ლაშქრობა სწრაფადვე ჩაქრა.

ათენის დაცვას უარეს განწირულობაში აგდებდა თვითონ არისტიონის დაუდევრობა და თავგასულობა. როცა ათენელი მოქალაქენი შიმშილით იხოცებოდნენ, არისტიონი ლხინობდა, განცხრომას ეძლეოდა, თან რომაელებს აბრაზებდა და სასაცილოდ იგდებდა.

სულას უნდოდა მოესწრო დამშეული ქალაქის აღება.

შიმშილისაგან განადგურების პირას მისული ათენელები რომაელებთან დაზავებას მოითხოვდნენ. არისტიონი იძულებული გახდა, დათანხმებულიყო და ელჩები გაეგზავნა სულასათვის.

ათენელმა დესპანებმა შორიდან დაიწყეს. მათ რომაელ სარდალს გაახსენეს ათენის ლეგენდარული და გმირული წარსული, ბერძენ-სპარსელთა ომიანობაში მათ წინაპართა საქმენი საგმირონი და სხვა მრავალი მისთანანი. მოსაგონარი მართლაც რომ მრავალად ჰქონდა ათენს — „ჰელადას ჰელადაში“.

მაგრამ რა! სულამ სასაცილოდ აიგდო ათენის წარსულიც. აწმყოცა და მომავალიც. მან გესლიანი სიცილით შეაწყვეტინა ელჩებს:

„დაბრუნდით შინ, ჩემო საყვარლებო, და თან წაიღეთ ყველა ეგ იგავ-არაკი. მე რომაელთაგან ათენში გამოგზავნილი ვარ არა სასწავლებლად, არამედ აჯანყებულთა დასამშვიდებლად.“

ელჩები პირში ჩალაგამოვლებულები დაბრუნდნენ.

ათენის კატასტროფა გარდუვალი შეიქნა.

სულამ ათენი საგანგებოდ ისეთ მარწუხებში მოაქცია, რომ ქალაქიდან სათითაოდაც ვერ მოეხერხებინათ გაქცევა და დამალვა. მას სურდა, ათენელები სულ დედაბუდიანად გაეჟუჟა.

სარდალმა იერიშისათვის მიზანში ამოიღო ქალაქის კედლების

ველაზე ცუდად დაცული ნაწილი. პირეესისა და საღეთო კარიბჭეთა შორის. მიზიდა იქ საიერიშო კიბეები და შეუდგა კედლების ძირის ჯამოთხრას. რომაელებმა კედელი მიწაზე დასცეს და შუაღამისას (86 წლის 1 მარტი) შეიჭრნენ ქალაქში.

ჯამხეცებულმა დამპყრობლებმა არნახული ხოცვა-ჟლეტა და ძარცვა-გლეჯა გააჩაღეს. სულამ სწორედ თავის თავს გადააჭარბა. მან ოავის დაგეშილ ათასობით „პატარა სულას“ ყოველგვარი ბოროტების უფლება მისცა.

ომაელთა ჯარები გამაყრუებელი ბუკ-ნაღარის ცემით, ღრიალითა და მახვილის ქნევით ჯგროდ მოედინებოდნენ ათენის ქუჩებში. დიდმა რომაელმა მათ ნება დართო, ეჟლიტათ განურჩევლად ყველა, კაცი თუ ქალი, ბალღი თუ მოხუცი; დაეტაცებინათ ყველაფერი, რის დატაცებაც მოხერხდებოდა; მოესპოთ ყველაფერი. რის წაღებასაც ვერ შესძლებდნენ.

რაკი დახოცილებს ანგარიში არ ჰქონდა, ათენში ჩადენილი ბოროტმოქმედების შესახებ მსჯელობენ ფართობის იმ მოცულობით, საჯაც სისხლი მოედინებოდა! გვარწმუნებენ, რომ დახოცილთა სისხლმა წალეკა ქალაქის მოედანი, უბანი კერამიკა და დიპილონის კარიბჭე. ბევრმა ათენელმა თვითონ მოიკლა თავი, ან თავისი ნებით წამოეგო რომაელთა მახვილს, რამეთუ აღარ ეხილათ სამშობლოს და ნოყვასთა საშინელი ტრაგედია.

ბრავალი ათენელი მოქალაქე სულამ დეციმაციის (ყოველი მეათე) წესით შეჰყარა სიკვდილს.

ბაჟლეტილი, განადგურებული და გაძარცვული ქალაქი ხანძრის შსხვერპლიც უნდა გამხდარიყო. მაგრამ სულასთან შუამდგომლობით წარსდგნენ მისი თანამოლაშქრე სენატორნი. ისინი შეძრწუნებულნი იყვნენ სახელოვანი ჰელინიური ცივილიზაციის ცენტრის ბედით. სულას „გული აუჩვილეს“, როცა ერთხელ კიდევ მოაგონეს ათენის დიადი წარსული, და დაიყოლიეს, შეეწყვიტა განწირული ქალაქის განადგურება.

სულამ „დიდსულოვნად“ განაცხადა:

„დე. ასე იყოს: მკვდართა პატივისცემით მიპატიებია ცოცხლებისათვის!“

ბაგრამ ათენი უკვე დანგრეული და გაპარტახებული დარჩა. მოსახლეობის უმრავლესობა გაიჟლიტა, ხოლო დანარჩენები მონებად გაიყიდა. დემოკრატიის მოძულე რომაელმა პატრიციუსმა ათენელებს, რომლებიც „სულ ცოტანი-ღა დარჩნენ“, წაართვა და აუკრძალა მათთვის უძვირფასესი დემოკრატიული წესები.

სიკვდილს ვერ ასცდებოდა არისტიონი თავისი თანამოაზრეე-

ბით. მათ აკროპოლისში სცადეს გამაგრება. წინასწარ დაწვეს ოდეონი, რათა სულას მისი ხის მასალა აკროპოლისის ალყისათვის არ გამოეყენებინა.

აკროპოლისის ალყა და იქ შეფარებულთა შეპყრობა სულამ დაავალა თავის ლეგატს, გაიუს სკრიბონიუს კურიოს. აკროპოლისში ჩაკეტილები ისე დაასუსტა შიმშილ-წყურვილმა, რომ მცირეოდენი წინააღმდეგობის შემდგომ თავიანთი ბედი გამარჯვებულებს ჩააბარეს.

სულამ ყველანი სიკვდილით დასაჯა.

რომაელმა სარდალმა კვლავ ხელი მიჰყო საბერძნეთის მდიდარი ტაძრების ძარცვას. მარტო ათენის აკროპოლისიდან ორმოცი გირვანქა ოქრო და რვაასი გირვანქა ვერცხლი გაიტანა.

სულამ ათენში ციხიონი ჩააყენა და თვითონ სასწრაფოდ მიუბრუნდა პირევსის ალყას. მაშინვე აამუშავა კედელსანგრევი და ლოდსატყორცნი მანქანები.

მაგრამ სანამ სულა ათენში იბრძოდა, პონტოელებს დღე-ღამის სწორებით მრავალი სიმაგრე აეგოთ. რომაელებმა მაინც შეძლეს პონტოელთა ხამგალა მთვარისებრი სიმაგრენი მიწასთან გაესწორებინათ, რადგან ახალი ზღუდეები ჯერ ისევ სველი იყო და ძლიერი დარტყმებისაგან ადვილად ინგრეოდა. პონტოელები მაინც არ ცხრებოდნენ, ისე შეუჩერებლივ აგებდნენ ახალ-ახალ კედლებს და გზას უღობავდნენ მოიერიშე მტერს.

სულა განუწყვეტლივ ცვლიდა დაქანცულ მეომრებს და წინანდებურად ამხნევებდა და აქეზებდა მათ. ყველას მოაგონებდა, რომ მათ გმირობასა და თავდადებაზე არის დამყარებული დიდი ნადავლის შოვნა. სარდალმა იცოდა, სიმდიდრისათვის გახელებული რომაელი მეომარი სიცოცხლესაც რომ არ დაიზოგავდა.

არქელაოსი გატყდა, პირევსი მიატოვა და მეორე ნავსადგურში, ბუნიხიაში გადაინაცვლა.

რომაელებმა უპატრონოდ მიტოვებული პირევსი აიღეს და მისი უმეტესი ნაწილი ცეცხლს მისცეს. დაიწვა საუკეთესო ნაგებობანი, მათ შორის ფილონის ნახელავი ხუროთმოძღვრების დიდებული ძეგლი, არსენალი და გემთსაშენი. პერიკლეს ბრწყინვალე ქმნილებამ მეორედ განიცადა საშინელი ნგრევა: პირველად პელოპონესის ომის დროს, ლისანდრეს სარდლობით, მუსიკის გრიალში დანგრიეს სპარტანელებმა (404 წ.), ახლა კი კორნელიუს სულას მეთაურობით რომაელებმა მოუღეს ბოლო.

ახლა სულას არც პირევსისა და არც ათენის მტკიცე კედლები წინ აღარ ეღობებოდა. მას შეეძლო დაძრულიყო ნახევარკუნძულის აღმოსავლეთისკენ და ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ, საითაც მტრის ახალი საბრძოლო ძალები ელოდებოდა.

იმჟამად ყველაზე უფრო სერიოზული ძალა, საბერძნეთში პონტოელთა მონაპოვრების გადარჩენა რომ შეეძლო, იყო ის არმია, რომელსაც ცოტა ხნის წინათ დღემოკლე პონტოელი უფლისწული სარდლობდა. ახლა მას სათავეში ედგა მითრიდატეს სარდალი ტაქსილე. ჯერ კიდევ ათენის დაცემამდე ტაქსილემ ხელთ იგდო თერმოპოლისი, შემდეგ ფოკიდა, და ელატეიის ალყის დროს შეიტყო ათენის ტრაგედიის ამბავი.

როგორც იქნა, საბერძნეთში მიმოფანტული პონტოური ჯარები გაერთიანდნენ. არქელაოსმა ისინი გადაიყვანა ბეოტიაში და ქალაქ ქერონეას მახლობლად დაიბანაკა.

სულამ შეიერთა ათენის აკროპოლისში მყოფი სკრიბონიუს კურიოს ციხიონი, შემდეგ ლეგატ ჰორტენზიუსის 6 000 მეომარი და თვითონაც ბეოტიას მიაშურა.

სულას გადამწყვეტი ბრძოლა ეჩქარებოდა, რადგან ბალკანეთზე უკვე გამოჩნდა მისი შემცვლელი ვალერიუს ფლაკუსი ახალი არმიით. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო თანამემამულეთა შეჯახება. მაგრამ პონტოს არმიის მეთაურნი თითქოს ხელს უწყობდნენ მტრის ხაფანგიდან გამოხსნას. მათ გადამწყვეტი ბრძოლა რომ არ დაეჩქარებინათ, შესაძლოა, სულასა და ფლაკუსს შორის ატეხილი ბრძოლის მოწმენი გამხდარიყვნენ.

ეტყობა, არქელაოსიც წინდახედულად ზომავდა მტრის ეძიმე მდგომარეობას და ცდილობდა, შეტაკება არ დაჩქარებულიყო. მაგრამ დანარჩენ პონტოელ სარდალთა დაჟინებული მოთხოვნით ბოლოს ისიც დათანხმდა, საბრძოლველად განელაგებინა არმია.

ბრძოლა მოხდა 86 წლის მარტში მდინარე კეფისოსის ველზე, ქალაქ ქერონეას მახლობლად.

სულას 15 000 ლეგიონერი და 1 500 ცხენოსანი ჰყავდა. არქელაოსს — 50 000. მაგრამ პონტოელებმა ვერ გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობა. მათი არმიის სურსათ-სანოვაგით მომარაგების საქმეც მოუგვარებელი იყო. ამის გამო მეომრები ახლომახლო პუნქტებს ძარცვავდნენ, რაც ადგილობრივი მოსახლეობის მტრულ განწყობილებას იწვევდა. ეს კი, თავის მხრივ, ხვალინდელ ომში უეჭველად პონტოელთათვის საზიანო და რომაელთათვის სასარგებლო შედეგს მოიტანდა.

ამას გარდა, არქელაოსს ვერ დაემყარებინა საჭირო წესრიგი თავის მრავალრიცხოვან, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე მეომართაგან შემდგარ ლაშქარში.

სულ სხვა ატმოსფერო შექმნა რომაელმა სარდალმა თავის ბანაკში, ის მტრის სიმრავლემ ვერ დაბნია. მან გადაწყვიტა, ბრძოლის დაწყებამდე ჯარისკაცები მძიმე შრომითა და მკაცრი მოპყრობით დაეტანჯა, რომ მათში ჩაენერგა ბრძოლისადმი წყურვილი და მისწრაფება. სულამ ბრძანა, კალაპოტიდან გადაეგდოთ იქვე მომდინარე კეფისოსი და ბანაკის ორივე ფლანგზე ფართო და ღრმა თხრილები გაეთხარათ. ოდნავი შესვენების უფლებასაც არავის აძლევდა და ჩამორჩენილებს სასტიკად სჯიდა.

გაწამებული მეომრები ბრძოლად გასვლას მოითხოვდნენ, რადგან ომი ახლა მათ უფრო იოლ საქმედ მიაჩნდათ. ამის შემდეგ სულამ შესაძლებლად ჩათვალა შეტევის დაწყება.

არქელაოსმა ვიწრო, ოღროჩოღრო, დაქანებულ ველზე განალაგა არმია. მან ვერ გაითვალისწინა, რომ ასეთ ადგილზე ძნელი იქნებოდა მისი მრავალრიცხოვანი ლაშქრის მანევრირება. საჭიროების შემთხვევაში, უკანდახევაც შეუძლებელი იქნებოდა, რადგან ზურგში კეფისოსი მოედინებოდა და იქვე მთებიც იყო წამოზიდული.

არქელაოსმა პირველ რიგში ცელებით შეჭურვილი ეტლები ჩაამწკრივა, მათ უკან 15 000 მონა დააყენა, რომელთაც გამარჯვების შემთხვევაში თავისუფლება ჰქონდათ აღთქმული. მონებს უკან იდგა პონტოელთა ფალანგა, ხოლო შემდეგ მოსდევდნენ დამხმარე ნაწილები და იტალიელი ემიგრანტები: სულ ბოლოს, ზურგში იდგნენ მსუბუქად შეიარაღებული მეომრები. პონტოელთა სარდალი განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდა მძლავრ კავალერიაზე. ამიტომ მან ცხენოსნები დააყენა ორივე ფლანგზე, საიდანაც იგი მტრის გარშემორტყმას ვარაუდობდა.

სულამ ფლანგებზე ღრმა თხრილები გაათხრევინა და მიწაყრილებიც აღმართა იქვე. პონტოელთა კავალერიის პირისპირ თავისი მხედრობა დააყენა. კავალერიის მარცხენა ფლანგი გადასცა ლუციუს მურენას, ხოლო მარჯვენას თვითონ უსარდლა. ლეგიონები საჭირიგად განალაგა. მათ შორის, ფართო ინტერვალებზე, მოწინააღმდეგის ეტლების თავდასხმის უვნებელსაყოფად, ხშირი ღობურები გააწყობინა. სულ ბოლოს, ღრმა ზურგში, დადგნენ სათადარიგო ნაწილები ჰორტენზიუსისა და გალბას მეთაურობით. ამათ აგრეთვე ევალებოდათ უკუგდება მტრის მოსალოდნელი გარშემორტყმისა.

ბრძოლა იმით დაიწყო, რომ ქერონეელი ბერძნების დახმარებით რომაელთა სახელოსანი რაზმმა პონტოელთა უკიდურეს მარ-

ცხენა ფლანგს შეუტია. ეს ფლანგი განლაგებული იყო თურიონის ბოლოკვზე. პონტოელები მოულოდნელ თავდასხმას გაექცნენ, თავისიანთა რიგებს მიაწყდნენ და ისინიც არევდარევეს. სულა მაშინვე ვადავიდა შეტევაზე. არქელაოსმა ცხენოსანთა რაზმი აფრინა, მაგრამ რომაელებმა იგი უკუაქციეს ძლიერი დარტყმით. მაშინ არქელაოსმა ცელებიანი ეტლები მიუშვა ფრონტზე. მაგრამ ეტლებმა ადგილის სიიწროვის გამო სიჩქარე ვერ აიღეს და უამისოდ დიდი ზიანი ვერ მიაყენეს მტერს. რომაელები ღობურებს ამოეფარნენ და ვნა მისცეს პონტოელთა მოიერიშე ეტლებს, რომლებმაც გვერდით უსასმნოდ ჩაურბინეს და რომაელთა განლაგების ბოლოში სისხლდაუქცევლად მოექცნენ. აქ მათ შემობრუნება გაუჭირდათ, იელიც ვერ გამოიღეს და რომაელთა ხელით მთლიანად განადგურდნენ.

ახლა ბრძოლაში ჩაებნენ შუაგული ნაწილები. რომაელებს ძალიან გაუჭირდათ ბრძოლა ქვეითი არმიის წინ მდგარ მონათა წინააღმდეგ. მონები საოცარი თავგანწირულებით უტევდნენ, მაგრამ წინა ხაზზე გასაჭირში ჩავარდნილ რომაელებს წამოეშველნენ თავდარიგში მდგომნი და ცეცხლწაკიდებული ისრების სეტყვით გასტეხეს მონათა წინააღმდეგობა.

მერე რომაელები ეკვეთნენ პონტოელთა ფალანგებს და აქაც სრული უპირატესობა იგდეს ხელთ. ბრძოლა ახალ საბრუნავში შეეიდა. არქელაოსმა ორი ათასი მხედრით წამოიწყო შეტევა მარჯვენა ფლანგიდან. ალყაში სურდა მოექცია მოპირდაპირე. მის წინააღმდეგ სასწრაფოდ დაიძრნენ ჰორტენზიუსი და გალბა, მაგრამ სასტიკად დამარცხდნენ და უკუიქცნენ. პონტოელმა მხედრებმა მათი ლაშქარი მოსწყვიტეს რომაელთა დანარჩენ ნაწილებს და რკალში მომწყვდევით დაემუქრნენ. სულამ მიატოვა თავისი მარჯვენა ფლანგი, — რომელიც ბრძოლაში ჯერ კიდევ არ ჩაბმულიყო — და ჰორტენზიუსისა და გალბას მისაშველებლად გაქუსლა.

მაშინ არქელაოსმა თავი მიანება მტრის მარცხენა ფლანგს და ემეთაუროდ დარჩენილ რომაელთა მარჯვენა მხარეს მიაშურა. იმავე დროს ტაქსილეს სარდლობით პონტოელთა კავალერიის მეორე ფლანგმაც დაიწყო შეტევა მის პირდაპირ მდგარი მურენას წინააღმდეგ.

აულა ერთხანს დაიბნა კიდეც: აღარ იცოდა, რომელ მხარეს მიშველებოდა. ბოლოს არჩია ისევ მარჯვენა ფლანგი, რომელსაც გაშმაგებით უტევდა თვითონ არქელაოსი. მაგრამ სულამ შეაძინია, რომ ძალიან უჭირდა მურენას ტაქსილეს მხედართა შემოტევისაგან. ამიტომ მან მურენას დასახმარებლად გადაისროლა ჰორტენზი-

უსისა და გალბას სათადარიგო ჯარები, თვითონ კი ერთი კოჰორტით მიიჭრა მარჯვენა ფლანგზე.

არქელაოსი დამარცხდა და უკუიქცა. სულა შემობრუნდა და უკვე გასაქცევად გამზადებულ მურენას მიეშველა. აქაც გამარჯვების სასწორი რომაელთა მხარეს გადაიხარა. ტაქსილემაც ზურგი აქცია ბრძოლას. რაკი პონტოელთა არმიის ყველაზე ძლიერმა ნაწილებმა მარცხი განიცადეს, ვეღარც დანარჩენებმა შეაკავეს რომაული ლეგიონების მძლავრი შეტევა.

არქელაოსის მთელი არმია დამარცხებული იყო. რომაელები პონტოელთა სამხედრო ბანაკსაც დაეუფლნენ.

ამ გამარჯვებას სულასათვის უფრო მორალური მნიშვნელობა უნდა ექონოდა. ამით საგრძნობლად უნდა განმტკიცებულიყო მისი პრესტიჟი რომში, სადაც პოპულარები გამარჯვებას ზეიმობდნენ და სულა ნაცვლად აღმოსავლეთის სარდლად ვალერიუს ფლაკუსს თელიდნენ. ბრძოლაში სულას თავგანწირულებამ და სიმამაცემ კიდევ მეტად გაზარდა მისდამი პატივისცემა მეომართა შორის. იგი ნამდვილ გმირად იქცა.

ქერონეასთან დამარცხებამ შეარყია მითრიდატეს გავლენა მის ქვეშევრდომთა და მოკავშირეთა შორის. სწორედ ამიტომ პონტოს მეფემ თავის ბევრ ქვეშევრდომს ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა და ტერორის გზით სცადა საეჭვოთა ჩამოცილება.

სულასათვის ამ ბრძოლას პრაქტიკულად თითქმის არაფერი მიუცია. ბას არ გააჩნდა არც ერთი ხომალდი, ხოლო ზღვაზე კვლავ პონტოელთა ფლოტი ბატონობდა. მითრიდატეს ყოველ წუთს შეეძლო ახალ-ახალი ჯარები გადაესხა ბალკანეთზე და აღედგინა თავისი ბატონობა. სულას ძალიან აშფოთებდა საბერძნეთში პოპულართა არმიის ჩამოსვლა.

86 წლის დასაწყისში კონსულმა ვალერიუს ფლაკუსმა, ადრიატიკაზე მითრიდატეს მეზღვაურთაგან მიღებული ზარალის მიუხედავად, ორი ლეგიონი გადაიყვანა ეპირში. მერე აქედან გაეშურა სულას წინააღმდეგ საბრძოლველად ბეოტიაში.

სულამ როგორც კი ეს ამბავი შეიტყო, შემოაბრუნა არქელაოსზე დასადევნებლად გამზადებული არმია და გადავიდა თესალიაში ფლაკუსთან შესახვედრად.

ვალერიუს ფლაკუსი ბრძოლაში გამოუცდელი, სასტიკი, გულხარბი ანგარი და სულმოკლე კაცი იყო. ამიტომ მას ბევრმა მებრძოლმა უღალატა და სულას ბანაკს მიაშურა. მეომრები ძლივს შეაკავა ფლაკუსის ლეგატმა ფიმბრიამ.

მოწინააღმდეგე რომაელი სარდლები თავიანთი არმიებით ერთმანეთს შეხვდნენ ქალაქ მელიტეასთან, თესალიაში.

მებრძოლთა ღალატით შემკრთალმა ფლაკუსმა ვერ გაბედა შებრძოლებოდა მრისხანე სარდალს, რომელიც ახლახან ბრუნდებოდა ბრძოლის ველიდან გამარჯვების შარავანდედით მოსილი. ერთგული და ბრძოლაში ნაწრთობი არმიით. ფლაკუსმა გვერდი აუქცია სულანელებს და გაემართა ჩრდილო-აღმოსავლეთით, რათა მაკედონიისა და თრაკიის გავლით გადასულიყო აზიაში და იქ შებრძოლებოდა მითრიდატე პონტოელს.

სულამაც თავი შეიკავა და მეტოქეს არ გამოედევნა.

საქმე იმაში იყო, რომ აზიიდან ხმა მოვიდა, მითრიდატემ ახალი ძლიერი ჯარი შეკრიბა და რომაელთა წინააღმდეგ გამოგზავნაო. ამიტომ მეტისმეტი წინდაუხედაობა იქნებოდა თანამოძმეებზე თავდასხმა და შემდეგ, ან იმავდროულად, ძლიერი მტრის წინააღმდეგ გალაშქრება. ასეთი გეგმის განხორციელება დიდ ძალებს მოითხოვდა, ხოლო სულას მაშინ ამის შესაძლებლობა არა ჰქონდა. უმჯობესი იყო, რომ სულას მცირედად მაინც გამოეყენებინა ფლაკუსის არმია მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. თუმცა ეს ამბავი ცოტათი შელახავდა მის განუზომელ პატივმოყვარეობას, მაგრამ კონსულის მეომრების მის მხარეზე გადასვლამ, ალბათ, დაარწმუნა, რომ პოპულარების არმიის სარდლობას აზიაში დიდი დღე არ ჰქონდა, და იმედოვნებდა, ფლაკუსის ლეგიონები დღეს თუ ხვალ მთლიანად მისი დროშის ქვეშ დადგებოდნენ.

სულას აშინებდა აღმოსავლეთის ძლიერი მბრძანებელი, რომელიც ფხიზლად უთვალთვალებდა რომაელთა შორის ყოველსაირ განხეთქილებას. მათი შუღლი პონტოს მეფეს ფრთებს ასხამდა და ძალას მატებდა.

ყოველივე ამას სულა კარგად ხედავდა, ამიტომ მელიტეადან შემობრუნდა და ატიკისაკენ გაეშურა მტრის ახალ ჯარებთან შესახვედრად.

8. ორჭომენი

ქერონეასთან მარცხმა მითრიდატეს იარაღი ვერ დააყრევინა. იგი სწრაფად შეუდგა ახალი ჯარების შეკრებას. მან 70 000 მეომრისგან შემდგარი არმია ჩააბარა სარდალ დორილაოსს და სარევანშო ბრძოლისათვის საბერძნეთში გაგზავნა.

დორილაოსი ქალკიდაში მივიდა. აქ მას შეუერთდა არქელაოსი გადარჩენილი 10 000 მეომრით.

ამგვარად, ოთხმოცათასიანი პონტოური არმია ხელახლა შეიკრა ბეოტიაში და დაიპყრო იგი.

პონტოელ სარდალთა შორის უთანხმოება ჩამოვარდა. როგორც რომაელებთან შეტაკებაში არაერთგზის ნაცადი, არქელაოსი უფრო ფრთხილობდა და მოითხოვდა გადამწყვეტი ბრძოლა არ დაეჩქარებინათ. ეს ტაქტიკური მოსაზრება სწორი იყო, რადგანაც ომის გახანგრძლივებას სულა ვერ გაუძლებდა. მას სული ელეოდა, როდის მორჩებოდა მითრიდატეს არმიებთან ჭიდილს, რომ აღმოსავლეთში დაგროვილი ნაძარცვით დატვირთული და დიდებით შემკული დაბრუნებულიყო რომს, სადაც დრო იმჟამად მის წინააღმდეგ მოქმედებდა.

დორილაოსი კი მოითხოვდა, დაუყოვნებლივ შებმოდნენ სულას. ქერონეასთან მარცხის მიზეზად მას ღალატი მიაჩნდა. ამიტომ სრული იმედი ჰქონდა თავისი არმიის რიცხობრივი უპირატესობისა და გადაჭრით მოითხოვდა ბრძოლის სასწრაფოდ დაწყებას.

რომაელნი და პონტოელნი ახალ დიდ ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ ისევ კეფისოსის ველზე, ქალაქ ორქომენის მახლობლად. ორქომენის ფართო ველმა, სადაც პონტოელთა ძლიერ კავალერიას თავისუფალი მანევრირების საშუალება ექნებოდა, არქელაოსიც წააქეზა, დათანხმებოდა ბრძოლის დაწყებას.

სულა სასწრაფოდ შეუდგა ფლანგებიდან ღრმა თხრილების გაჭრას, რათა მოწინააღმდეგის მხედრობისათვის გზები მოეკვეთა მანევრირებისათვის მოსახერხებელი ადგილებისაკენ და შეერეკა ისინი კეფისოსის გაუვალ ჭაობებში. როცა პონტოელმა სარდლებმა ეს შეამჩნიეს, შეტევის განკარგულება გასცეს.

პონტოელთა კავალერია შეუკავებელი ნიაღვარივით ეკვეთა რომაელთა განლაგებებს. რომაელებმა ვეღარ გაუძლეს მტრის მხედრების შემოტევას და უწესრიგოდ უკუიქცნენ.

სულამ საქმის გამოსწორება ჩვეული წაქეზებითა და გამხნევებით სცადა, მაგრამ ამაოდ: მისი მეომრები ბრძოლის ველს აღარ უბრუნდებოდნენ.

მაშინ სულა გადმოხტა ცხენიდან, აღმართა არმიის დროშა და თავისი მცველებით გარშემორტყმული შეიჭრა მტრის ლაშქარში, თანაც საშინელი ხმით შეჰყვირა შეშინებულ და ბრძოლიდან გამოქცეულ თავისიანებს:

„რომალებო, მე აქ მოვკვდები მშვენიერი სიკვდილით! ხოლო, თქვენ, როცა გკითხავენ, თქვენს სარდალს სულას სად უღალატეთო, არ დაგავიწყდეთ, უპასუხოთ: როდესაც ის ორქომენთან იბრძოდა-თქო“.

მთავარსარდლის ასეთმა თავგანწირულებამ ბრძოლის ველისკენ შემოაბრუნა ჯერ ცალკეული რაზმების წინამძღოლნი, შემდეგ დანარჩენი მეომრებიც.

სულამ არაჩვეულებრივი სიმამაცის, თავგანწირულებისა და ენერგიის წყალობით ისევ თავისკენ შემოაბრუნა ბრძოლის ჩარხი. პონტოელებმა ვერ გამოიყენეს პირველი წარმატება და ბრძოლის ველს ზურგი აქციეს. სულამ შეამჭიდროვა თავისიანები და ხელახლა შეუდგა თხრილების გაჭრას მტრის გარშემო. პონტოელებმა ამის საპასუხოდ ისევ დაიწყეს შეტევა, მაგრამ მათ ვეღარ შეძლეს დაკარგული უპირატესობის დაბრუნება.

განსაკუთრებული სიმამაცით იბრძოდა პონტოელთა არმიის მარჯვენა ფლანგი, რომელსაც არქელაოსის ვაჟი დიოგენე მეთაურობდა. პონტოელ მშვილდოსნებს საჭირო მანძილის უქონლობის გამო ისრის გასროლა არ შეეძლოთ და მოწინააღმდეგეთ ისრის კონებს მახვილებივით აძგერებდნენ. დაღამებისას მათ დაიხიეს თავისი ბანაკისაკენ.

მეორე დღეს რომაელებმა ისევ დაიწყეს მტრის გარშემო თხრილების გათხრა. პონტოელებმაც კვლავ შეუტიეს. სულა კონტრშეტევაზე გადავიდა. ბრძოლის ამ უკანასკნელ დღეს ორივე მხარე განსაკუთრებული სიშმაგითა და სიკისკასით იბრძოდა.

ბოლოს რომაელებმა მოახერხეს მოწინააღმდეგის სიმაგრეთა გარღვევა. მაშინ პონტოელები, მახვილებით ხელში, ერთიმეორესთან მხარდამხარ მჭიდროდ მდგარნი, სანგრებში გამაგრდნენ და ასე იცავდნენ თავს, ვიდრე ერთ-ერთმა ლეგიონის მეთაურმა, ბასილიმ, მეომრებით არ გაარღვია მათი რიგები და არ შეიჭრა ბანაკში.

პონტოელებს უკვე აღარ შეეძლო შეეკავებინათ ბანაკში შემოჭრილ რომაელთა მძვინვარება. ბევრი მათგანი მტრის მახვილს წაწყდა, ბევრიც ჭაობებში ჩაიხრჩო. არქელაოსი ქალკიდაში გაიქცა და იქ შეუდგა გადარჩენილ მეომართა თავის მოყრას. ბრძოლის ველზე 15 000 პონტოელი მეომარი დარჩა.

4. პირველი „მითრიდატულის“ დასასრული

სანამ საბერძნეთში რომაელები და პონტოელები ერთიმეორეს ერკინებოდნენ, არანაკლები მნიშვნელობის ამბები ხდებოდა აზიაში.

მითრიდატემ ჯერ კიდევ ქერონეის მარცხის შეტყობისთანავე, როგორც უკვე ითქვა, ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა ქვეშევრდომებსა და მოკავშირეებს. ამიტომ იგი ყველა საეჭვოთა მიმართ ტერორის გამოყენებას შეუდგა. პირველ რიგში მოაკვლევინა გალატიელი ტეტრარქები, რომელთაც, საერთოდ, ნაკლებად ენდობოდა

და რომაელთა გამოჩენისთანავე მათგან ღალატს ელოდა. მითრიდატემ დახოცილ ტეტრარქთა ქონების კონფისკაცია მოახდინა და მათ ქალაქებში გარნიზონები ჩააყენა.

მითრიდატეს კუნძული ქიოსიც გადაუდგა და რომალებსა და როდოსელებს მიემხრო. ბევრი ქიოსელი მოქალაქე სულასთან გაიბოდა. მეფემ ქიოსის დასასჯელად გაგზავნა თავისი სარდალი ზენობი. სარდალმა კუნძული დაიპყრო, ორი ათასი ტალანტი (4 800 000 მან. ოქრ.) გადაახდევინა, ქიოსელები პონტოში გადაასახლა და მათ ადგილებზე პონტოელები ჩაასახლა.

მითრიდატეს გადაუდგნენ, აგრეთვე, ეფესო, ტრალი, ჰიპეა, მესოპოლისი, სარდი და მცირე აზიის სხვა მნიშვნელოვანი ქალაქები. მეფემ ისინიც სასტიკად დასაჯა. თანაც, მომავალში ღალატის თავიდან ასაცილებლად, თავისუფლება მიანიჭა ზოგიერთ ერთგულ ბერძნულ ქალაქს.

ეს ამბები მოწმობენ, რომ რომაელთა წარმატებებმა მითრიდატეს ახლად წარმოქმნილ იმპერიაში ნგრევა შეიტანა. მართალია, აზიის მოსახლეობა მას დიდი მონდომებით გაჰყვა საძულველი რომაელების წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ მითრიდატე მაინც სასტიკ დესპოტად რჩებოდა, ხოლო დესპოტს არასოდეს არ მოუტანია ბედნიერება მოსახლეობის ფართო ფენებისათვის. მითრიდატემ, იტალიელების გაჟლეტისა და ევროპაზე შეტევის პირველი ენთუზიაზმის შემდეგ, მეტისმეტი მკაცრი რეჟიმით შეაშფოთა და აიმხედრა თავისი ქვეშევრდომი ხალხები. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სულამ ზედიზედ დაამარცხა მითრიდატეს ძლიერი არმიები ათენთან, პირევსთან, ქერონეასთან და ორქომენთან.

მითრიდატეს ძლიერების შესუსტების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად მის წინააღმდეგ ადგილობრივი, აზიელი წარჩინებული მოქალაქეებისა და მდიდარი მონათმფლობელებია ამბედრებაც უნდა ჩაითვალოს. მითრიდატე ევპატორის პოლიტიკა, რომელიც, ძირითადად რომაელთა ძლიერების განადგურების მიზანს ემსახურებოდა, მძაფრ საზოგადოებრივ კრიზისს უწყობდა ხელს. მეფე ათიათასობით მონას ათავისუფლებდა და რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლაში აბამდა; მონათმფლობელთა და მდიდარ ფინანსისტთა კაბალაში მყოფ გაღარიბებულ მოსახლეობას ვალებისაგან ათავისუფლებდა და საბრძოლველად ერეკებოდა. ამიტომ აზიელი საზოგადოების მდიდარი ფენები უკმაყოფილონი იყვნენ და პონტოს მეფეს პირველ რიგში სწორედ ისინი მტრობდნენ; თავიანთი დაკარგული ეკონომიური მდგომარეობის აღდგენას რომაული ოლიგარქიის არმიასთან შეთანხმებით ცდილობდნენ და ამ საქმის მოსაგვარებლად აზიის „საუკე-

ლესი მოქალაქენი“ რომის პატრიციატის „პრინცეპსთან“ გარბოდნენ.

თვით სამეფო კარზე მითრიდატეს წინააღმდეგ მისმა ახლობლებმა და მისი პოლიტიკით უკმაყოფილო დიდებულებმა არაერთგზის მოაწყვეს შეთქმულება. გამძვინვარებულმა მეფემ ათას ექვსასი შეთქმული დასაჯა სიკვდილით...

მიუხედავად იმისა, რომ სულამ ორქომენის ბრძოლაც მოიგო და აზიაშიც მეფის წინააღმდეგ მღელვარებანი დაიწყო, მითრიდატეს ძლიერება მაინც ფეხზე იდგა. დიდ ბრძოლებს დიდი შედეგები არ მოსდევდა. სულას კვლავ არც ერთი ხომალდი არ გააჩნდა, რომ ფლოტის საშუალებით ზღვა გადაელახა და თავს დასხმოდა პერგამონში მყოფ „აღმოსავლეთის ჰანიბალს“. რომაელს იმის საშუალებაც არ ჰქონდა, ვიწრო სრუტე გაეევლო, კუნძულ ევბეაზე გადასულიყო და დაეკავებინა ქალკიდა, სადაც თავს აფარებდნენ არქელაოსის ჯარის ნაშთები.

მითრიდატეს ბალკანეთზე არც ერთი ძლიერი არმია აღარ ჰყავდა, მაგრამ თუ ხელსაყრელ დროს დაინახავდა, თუ, მაგალითად, სულა იტალიაში დაბრუნდებოდა, შეეძლო აღედგინა საბერძნეთში დაკარგული ბატონობა.

სულას კი დრო დაყოვნების საშუალებას არ აძლევდა. რომიდან საშინელი ამბები მოსდიოდა. მასთან მორბოდნენ მარიუსელთაგან დევნილნი; ახლობლები უთვლიდნენ, სასწრაფოდ დაბრუნებულიყო და მიშველებოდა მათ; მისი ვილები და კარმიდამო ნაცრად ქცეულიყო.

სულას დაბრუნება ეჩქარებოდა, მაგრამ პონტოს საბოლოო დამარცხების გარეშე იტალიაში ჩასვლა მას სიკვდილის მეტს არაფერს უქადდა. მხოლოდ დიდებამოსილსა და სიმდიდრემოხვეჭილს შეეძლო რომში დაბრუნება და თავისი ცხოვრების უმაღლესი მიზანდასახულების განხორციელება...

მაგრამ პონტოს საბოლოო განადგურებას კოლოსალური ძალები და ხანგრძლივი დრო სჭირდებოდა, სულას კი არც ერთი და არც მეორე არ სწყალობდა. ძალები ელეოდა, დრო კი რომისკენ ეზიდებოდა.

ამიტომ სულამ თავისი უმაღლესი იდეალის (ერთპიროვნული დიქტატურა!) განხორციელებისათვის საკმარისად მიიჩნია ის, რაც უკვე მოპოვებული ჰქონდა აღმოსავლეთში ამ პირველი შეტევების შედეგად. ე. ი. მას ამ მონაპოვართა შესანარჩუნებლად ზავი სწყუროდა. მან იცოდა, მითრიდატეს აზიაში პოლიტიკური მდგომარეობა

საგრძნობლად შერყეოდა და საზავო მოლაპარაკების ინიციატივასაც მისგანვე მოელოდა.

მითრიდატემაც იცოდა სულას მდგომარეობა და ისიც საზავო წამოწყებას მოპირდაპირისგან ელოდებოდა.

ასე უცდიდნენ ერთიმეორეს მეომარნი და ზავის მოსურნენი, ვიდრე ვალერიუს ფლაკუსის მოქმედებამ „წილი არ ჰყარა“.

პოპულარების არმია თესალიიდან მაკედონიაში გადავიდა და ბიზანტიონთან ბოსფორის სრუტეს მიადგა. აქ ერთ ინციდენტს მსხვერპლად შეეწირა კონსული ვალერიუს ფლაკუსი.

ლეგატი გაიუს ვალერიუს ფიმბრია და არმიის კავალერიის უფროსი, კვესტორი, ერთმანეთს წაეკიდნენ რაღაც ნაძარცვის გაყოფისათვის. კონსულმა ვალერიუს ფლაკუსმა კვესტორის მხარე დაიჭირა. ფიმბრიამ ეს შეურაცხყოფა გულში ჩაიმარხა და სამაგიეროს გადახდაზე დაიწყო ფიქრი.

როცა ამის შემდგომ ვალერიუს ფლაკუსმა არმია ბოსფორზე გადაიყვანა და ქალკედონისაკენ გაეშურა, ფიმბრიამ ფასცები (წკეპლების კონები) წაართვა კონსულის ერთ-ერთ ლიქტორს. ეს კონსულის უმაღლესი ხელისუფლების შელახვას ნიშნავდა.

გაბრაზებულმა ფლაკუსმა გათავხედებული ფიმბრიას დასჯა სცადა, მაგრამ ჯარისკაცები მთავარსარდალსა და კონსულს გაუარშივდნენ და ფიმბრიას მიემხრნენ.

უჯაროდ დარჩენილი ფლაკუსი ქალკედონში გაიქცა. ფიმბრიას მოლაპარაკენი გამოეგზავნენ. კონსული ქალკედონიდან სიკომედიაში გადავიდა. მდევრებიც მიაწყნენ. ვალერიუს ფლაკუსი, რომის უმაღლესი ხელისუფალი, კონსული და მთავარსარდალი სიცოცხლის გადასარჩენად ჭაში ჩაძვრა. ფიმბრიანელებმა მას ძიგძეს. ამოათრიეს და მახვილით ყელი გამოსერეს. თავი მოჭრეთეს და ზღვაში ისროლეს, ტანი დაუმარხავად დააგდეს.

ასეთი ამბავიც არ მოსწრებია რომის ისტორიას: რომის კონსული თავისი ქვენა კაპრიზის ნიადაგზე მოჭკლა ვილაც კერძო კაცმა.

ფიმბრიამ მთავარსარდლობა მიიბარა და ლაშქრობა განაგრძო.

პონტოს მეფემ მის წინააღმდეგ გაგზავნა არმია თავისი შვილის, კოლხეთის მმართველის, მითრიდატეს სარდლობით. მითრიდატე უმცროსს ამ ლაშქრობაში თან ახლდნენ ცნობილი სარდლები — დიოფანტე, ტაქსილე და მენანდრე.

მოწინააღმდეგენი ერთმანეთს შეხვდნენ მილეტოპოლისთან, მდინარე რინდაკზე.

ფიმბრიამ გაითვალისწინა მოწინააღმდეგის კავალერიის სიძლიერე და თავისი ბანაკის ორივე მხარეზე პიწაყრილები აღმართა. ხო-

ლო წინ, ფრონტით, თხრილები ამოთხარა ისე, რომ შუაში ვიწრო შესავალი დატოვა.

პონტოელებმა დაუყოვნებლივ მიიტანეს იერიში, მაგრამ რომაელთა თავდაცვით ზღუდეებზე ცხენოსანთა რიგები ვერ გაშალეს და რვაასი მხედარი დაკარგეს.

მერე რომაელები გამოიჭრნენ ბანაკიდან და მტერს შეებნენ, მაგრამ დამარცხდნენ, უკუიქცნენ და ისევ ბანაკში ჩაიკეტნენ.

ბოლოს ვერც ახალგაზრდა უფლისწულმა და ვერც გამოცდილმა ვეტერანმა სარდლებმა წინდახედულება ვერ გამოიჩინეს. გარიერაეისას, კოკისპირულ წვიმაში, როცა პონტოელთა ბანაკს უდარდელად ეძინა, ფიმბრიამ ბრძანა, მდინარე გადაელახათ და მძინარე მტერს თავს დასხმოდნენ.

მართლაც, რომაელები სრულიად მოულოდნელად შეიჭრნენ პონტოელთა ბანაკში. მითრიდატე მრწემმა მხოლოდ მცირეთა თანხლებით გაასწრო სიკვდილს.

მეფის ჯარების ამ ახალი დამარცხების შემდეგ მცირე აზიის ქალაქთა დიდი ნაწილი რომაელთა მხარეზე გადავიდა.

ფიმბრიას ჯარებმა ხელი მიჰყვეს აზიური ქალაქებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯასა და ხოცვა-ჟლეტას. ფიმბრიამ ქალაქ კიზიკოსის მდიდარ მოქალაქეთაგან რამდენიმე კაცი სამაგალითოდ გააჯოხვინა და შემდგომ თავები დააყრევინა. შეშინებულმა სხვა მოქალაქეებმა სიცოცხლის შესანარჩუნებლად აღარაფერი დაზოგეს და დიდძალი გამოსასყიდი მიართვეს სარდლობის უზურპატორს.

მერე ფიმბრიას ლეგიონები უეცრად გაჩნდნენ პერგამონის კედლებთან, სადაც იმჟამად იმყოფებოდა თვითონ მითრიდატე ევპატორი.

მეფემ სასწრაფოდ დატოვა ქალაქი და გაეშურა ახლო ნავსადგურ პიტანეში. აქ იგი ჩაჯდა გემში და ლესბოსისაკენ აიღო გეზი.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა სულას მიერ ფლოტისთვის გაგზავნილი ლუკულუსი, რომელსაც მართლაც შეეგროვებინა ხომალდები და სასწრაფოდ მიეშურებოდა სულას მისაშველებლად. ფიმბრიამ ლხოვნით მიმართა ლუკულუსს, ფლოტი მომახმარე მითრიდატეს შესაპყრობადო.

ლუკულუსმა ყური არ ათხოვა ფიმბრიას თხოვნას. მან მიატოვა თავისი თანამემამულე და გზა განაგრძო.

მითრიდატემ დატოვა პიტანე და არხეინად ჩავიდა ლესბოსზე, მიტილენაში.

იმედგაცრუებული ფიმბრია გაცოფებული მიუბრუნდა აზიის ქა-

ლაქებს და განაახლა მათზე თარეში. იგი მიადგა სახელოვან ილიონს და ათი დღის ალყის შემდეგ აიღო.

ილიონს ასეთი ტრაგედია აღარ ახსოვდა სახელგანთქმული „ტროას ომის“ დროიდან. რომაელები ხოცავდნენ ყველას, ვისაც კი მოახელებდნენ; იტაცებდნენ ყველაფერს და წვავდნენ ყველაფერს, რის წაღებაც აღარ შეეძლოთ. ფიმბრიამ არ დაინდო არც წმინდა ტაძრები. მას თავი არ შეუწუხებია ათენას ტაძარში თავშეფარებული ხალხის გარეთ გამოსადევნად; გარედან კარი დაკეტა და ტაძართან ერთად ყველანი ხანძარს მისცა. შემდეგ ბრძანა, ქალაქის კედლები მიწასთან გაესწორებინათ. მეორე დღეს თვითონ შემოუარა ქალაქს, რათა პირადად დარწმუნებულიყო, რომ ყველაფერი „კარგად, პირწმინდად“ იყო დანგრეული და დაქცეული. დაუნგრეველი და დაუმსხვრეველი არ გადარჩენილა არც ერთი საკურთხეველი, არც ერთი სამლოცველო, არც ერთი ქანდაკება, აუოხრებელი არ დარჩენილა არც ერთი კერა.

ასე დაანგრია ტროა-ილიონი და ააწიოკა მისი ხალხი მისივე „ნათესავმა“. რომაელები ხომ თავის შთამომავლობას ტროა-ილიონიდან იწყებდნენ!

თვითონ ფიმბრიამ დაიკვეხა:

„მე ათ დღეში ავიღე ის ქალაქი, რომელსაც ათი წლის ომის შემდეგ ძლივს დაეუფლა აგამემნონი ათი ათასი ხომალდისაგან შემდგარი ფლოტით და მთელი ჰელადის ლაშქართა თანხლებით!

ამაზე ერთმა ილიონელმა სინანულით უპასუხა:

„ეს იმიტომ მოხდა, რომ ამჯერად ჩვენს ქალაქს დამცველად არ გამოუჩნდა გმირი ჰექტორი“.

ფიმბრიას წარმატებებმა ზავი დააჩქარეს. მართალია, სულასთვის ხელსაყრელი იყო, თავისი მეტოქის არმია რამდენადმე მაინც გამოეყენებინა მტრის დასასუსტებლად, მაგრამ არა ისე, რომ მისი ნაყოფი ფიმბრიას მოეწყვიტა. პატივმოყვარე კორნელიუს სულა არავითარ შემთხვევაში არ შეურიგდებოდა ზავის დადებას პონტოს მეფესა და ფიმბრიას შორის. ეს იქნებოდა მისი სრული მარცხის მომასწავებელი. ახლა რომაელ სარდლებს შორის მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა იმან, რომ ფიმბრიამ სულასთან მოსალაპარაკებლად გაგზავნილი ილიონელი ელჩები დაახოცვინა და ამით მის მეტოქეს აზიაში ფეხის მოკიდების საშუალება დაუკარგა. სულას მიერ საბერძნეთში ჩატარებული სისხლისმღვრელი ომების შედეგთა მომკას ფიმბრია აპირებდა, როცა თავად სულა ფიქრობდა, პოპულარების არმიის გამოყენებით დაეჩოქებინა მითრიდატე და გამარჯვების ნაყოფი თვითონ მოეწყვიტა. ახლა მცირე აზიაში რომაე-

ლების გამარჯვება (ფიმბრიას გამარჯვება) უდრიდა რომაელების დამარცხებას სპეერძნეთში (სულას დამარცხება). ამიტომ სულას როგორმე თვითონ უნდა მიეღწია მითრიდატესთან ზავის დადებისათვის.

მითრიდატესაც უკვე შეეძლო აერჩია, რომელ რომაელთან დაეწყო საზავო მოლაპარაკება, ფიმბრიასთან, თუ სულასთან. მან სულა ამჯობინა, რადგან ფიმბრიას, რომელიც უკვე აზიაში მოქმედებდა. შეეძლო უფრო მძიმე საზავო პირობები წაეყენებია მეფისათვის.

მითრიდატემ არქელაოსის პირით შეუთვალა სულას, რომ შეეძლებოდა მასთან ზავზე ლაპარაკი.

სულამ დიდი სიამოვნებით მიიღო პონტოელი მეფის წინადადება.

დაინიშნა პაემანი.

84 წლის ზაფხულში მითრიდატე და სულა ერთმანეთს შეხვდნენ ქალაქ დარდანში, მცირე აზიაში, მცირეოდენი საყვედურებისა და მობოდიშების შემდეგ ისინი შეთანხმდნენ საზავო პირობებზე:

ტერიტორიულად წესდებოდა „მდგომარეობა ომის დაწყებამდე" (status quo ante bellum). მითრიდატე ხელს იღებდა მის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე — მცირე აზიასა და ბალკანეთზე. მას უნდა დაებრუნებინა რომაელებისათვის „პროვინცია აზია" (ყოფილი პერგამოსის სამეფო), არიობარზანისათვის — კაპადოკია და ნიკომედესათვის — ბითინია: გაეთავისუფლებინა პაფლაგონია და, საერთოდ, დასჯერებოდა ყველა იმ ტერიტორიას, რაც მას ხელთ ჰქონდა რომაელებთან ომის დაწყებამდე.

მითრიდატეს სულასთვის უნდა გადაეცა მთლიანად შეეურვილი სამოცდაათი გემი ხუთასი მშვილდოსნის თანხლებით.

ევრეთვე სულას სასარგებლოდ უნდა გადაეხადა ორი ათასი ტალანტი.

გარდა ამისა, რომაელთა ბანაკში უნდა დაებრუნებინა ტყვე ჯარის უფროსები (ლუციუს კასიუსი და ქვინტუს ოპიუსი), ტყვეები, მოღალატენი და გაქცეული მონები.

მითრიდატეს თავის სამშობლოში უნდა დაებრუნებინა პონტოში ძალით გასახლებული ქიოსელები და სხვა მოსახლენი.

რომაელები ვალდებულებას კისრულობდნენ, არავითარი ზიანი არ მიეყენებინათ იმ ქალაქებისთვის, რომლებიც მითრიდატეს ემხრობოდნენ.

რომი სცნობდა მითრიდატეს ყველა დანარჩენ სამფლობელოს, გარდა აღნიშნულისა. და აღიარებდა მას „რომაელი ხალხის მოკავშირედ და მეგობრად".

ზავი წერილობით არ გაფორმებულა.

5. სულა აზიაში

სულას იტალიაში დაბრუნება მანამ არ შეეძლო, სანამ ფიმბრია პოპულართა არმიით აზიაში დათარეშობდა, ამიტომ იგი მითრიდატესთან ზავის დადებისთანავე გაეშურა თავისი მეტოქისაკენ.

ფიმბრია პერგამონის მახლობლად იყო დაბანაკებული.

სულა მიუახლოვდა და თვითონაც დაბანაკდა.

ფიმბრიას ჯარისკაცებს ისევ სულასკენ ეპირათ თვალი. ისინი მას თვლიდნენ ნამდვილ სარდლად. ხოლო ფიმბრიას უკვე არარად აგდებდნენ. ყოველ დილით ფიმბრიას ჯარისკაცები გამოდიოდნენ და ხმამაღლა ესალმებოდნენ სულას მეომრებს, ეხმარებოდნენ მათ თხრილების გაკრაში და ბევრი მათგანი ფიმბრიასთან აღარც კი ბრუნდებოდა.

სულამ ბანაკი მოაწყო, გაამაგრა, ფიმბრიას კაცი გაუგზავნა და შეუთვალა:

„დაუყოვნებლივ ჩამაბარე ჯარები, რომელთაც შენ უკანონოდ სარდლობ!“

პასუხიც ასეთივე მოკლე იყო და აგდებული:

„მე თუ უკანონო სარდალი ვარ, არც შენ ბრძანდები კანონიერი. რომში შენ ხომ უკვე გადაგაყენეს მთავარსარდლობიდან!“

სულა სიბრაზისაგან კინაღამ გაგიჟდა.

სასწრაფოდ მთელი არმია ფეხზე დააყენა და მოპირდაპირის ბანაკის გარშემო ღრმა და ფართო თხრილების გათხრას შეუდგა.

ფიმბრიანელებმა გაახშირეს სულას მხარეზე გადასვლა.

ფიმბრიამ სიტყვით მიმართა ლეგიონებს. არცხვენდა და ემუქრებოდა ყველა გაქცეულთ და მოუწოდებდა დანარჩენებს, სასწრაფოდ გამზადებულიყვნენ სულასთან საომრად.

საპასუხოდ ჯარისკაცებმა დაიღრიალეს, რომ არ იომებდნენ თანამემამულეთა წინააღმდეგ.

ფიმბრია ისტერიამ შეიპყრო. ტანსაცმელი შემოიხია, მიწაზე გაგორდა, იყვირა, იღრიალა, იღმუვლა. ცრემლების ღვრით უვარდებოდა ფეხებში მეომრებს და ემუდარებოდა:

„ნუ დამღუპავთ, ნუ მიმატოვებთ, წამომყევით, ვიომოთ, ნუ მიმატოვებთ!..“

არც ამან გამოიღო ნაყოფი.

მაშინ ნამტირალევმა, ტანსაცმელშემოძარცვულმა და სხეულდაკაწრულმა მანიაკმა ჯარის უფროსები შეკრიბა და ერთგულების ფიცი მოითხოვა.

როცა ამათგანაც უარი მიიღო და მუქარითა და მუდარით არაფერი გამოუვიდა, სულას იდუმალად მკვლელი გაუგზავნა.

ესეც გამქღავნდა. მერე, სულასთან მოლაპარაკება სცადა. სულამ პასუხის ღირსადაც არ ჩაუგდო.

ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ფიმბრიამ გაბედა და თავი მოიკლა.

სულამ ფიმბრიას ლეგიონები შეიერთა.

მერე კურიონს უბრძანა, დაებრუნებია ნიკომედე და არიობარზანი თავიანთ სამეფო ტახტებზე, პირველი — ბითინიაში, მეორე — კაპადოკიაში.

სულას მთავარი საზრუნავი ახლა დიდი ნაძარცვის დაგროვება იყო. რომაელთა სარდალმა აზიის მოსახლეობას არ აკმარა ის ნგრევა და გაჩანაგება, რაც მან იმ ომების შედეგად განიცადა. სულამ თავისი მეომრები ეგზეკუციის წესით ჩაუყენა ყოველ ოჯახს. რომაელი მეომრები ჩვეული თავხედობითა და თვითნებობით იქცეოდნენ.

სულამ ბრძანა, ყოველი სახლის უფროსს მის ოჯახში მდგომი რომაელი რიგითი მეომრისათვის ყოველდღიურად გადაეხადა ოთხი ტეტრადრაქმა, გამოეკვება უფასოდ და, თუ მეომარი მოისურვებდა, პატივი ეცა მისი მეგობრებისათვისაც, რამდენიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი რიცხვით. ხოლო ცენტურიონისათვის (ასმეთაური) მოსახლეს ყოველდღე უნდა მიეცა თხუთმეტი დრაქმა და ორი წყვილი ტანსაცმელი — ეროი საშინაო და მეორეც საგარეო.

სულამ ანგარიში არ გაუწია მითრიდატესთან დადებული ზაკის; იმ მუხლს, რომლის ძალითაც, მას ვნება არ უნდა მიეყენებინა პონტოს მეფის მომხრე ქალაქებისათვის. მან სასტიკად დასაჯა პონტოური ორიენტაციის ქალაქები და ცალკეული პირები. განსაკუთრებით დაზარალდა ქალაქი ეფესო.

აზიის მოსახლეობას ყველაზე მძიმე ტვირთად დააწვა რომაელი სარდლისაგან დაკისრებული კონტრიბუცია. სულამ მოითხოვა, დაუყოვნებლივ გადაეხადათ მთელი ხუთი წლის გადასახადი, რაც უდრიდა ოცი ათას ტალანტს (ორმოცდარვა მილიონი მანეთი ოქროთი).

სულა საშინელი სისასტიკით კრეფდა ხარკს. ქალაქები, რომელთაც არ ჰქონდათ ხარკის გადახდის საშუალება, იძულებული ხდებოდნენ დაეგირავებინათ თეატრები, გიმნაზიუმები, სიმაგრეები, ნავსადგურები, გემები.

მაგრამ რომაელი მძარცველები მაინც გულნაკლულად გრძნობდნენ თავს. სიმდიდრეზე და ძარცვა-გლეჯაზე შეყვარებულებმა შუ-

რით აღვსილი თვალი გააყოლეს მითრიდატეს, რომელიც მდიდარი ნადავლით დატვირთული გავიდა პერგამონიდან.

სულამ აზიაში დატოვა ლუციუს მურენა და ფიმბრიასეული ორი ლეგიონი.

თვითონ რომისაკენ დაიძრა.

ამგვარად, ამ ომმა რომსა და პონტოს შორის საომარი ამოცანები ვერ გადაჭრა. სანამ მითრიდატე ევპატორი ცოცხალი იყო, „მგლის ნაშიერთ“ აღმოსავლეთში მშვიდი ძილის საშუალება არ ექნებოდათ. პონტოს სამეფო აზიის ჩაგრული ხალხის მედროშე იყო რომაელების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მითრიდატე თავის სამეფოში ისე დაბრუნდა ჭრილობების მოსაშუშებლად, როგორც ბრძოლაში დაჭრილი ნადირი თავის ბუნაგში. და ახალი, უფრო მძლავრი ნახტომისათვის დაიწყო სამზადისი.

მითრიდატე დათანხმდა, დასჯერებოდა სამემკვიდრეო სამეფოს, მაგრამ თავის ხელმწიფური სკიპტრის ქვეშ აზიის გაერთიანების დროშა ხელიდან მაინც არ გაუგდია.

ასე რომ, რომაელებმა აზიის აზვირთებული მდინარე თავის წინანდელ კალაპოტში ჩააყენეს, მაგრამ მისი ხელახალი მოზღვავებისა და აღმოსავლეთში რომაული ნათესის წალეკვის საფრთხე მაინც ვერ აღკვეთეს.

მაგრამ სულამ თავისი უმაღლესი იდეალის განსახორციელებელი რესურსები უკვე მოიპოვა აღმოსავლეთში.

83 წელი იდგა. სულა აზიიდან რომისაკენ მიეშურებოდა.

ვაი მას, ვისაც თავზე დააცხრებოდა!

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

მარიუსის მეშვიდე არწივი

1. „ქვა ვინც ისროლა...“

ხუთი წლით უკან დავიხიოთ.

რა მოხდა რომში სულასა და მარიუსის წასვლიდან სულას დაბრუნებამდე?

როგორც კი სულა იტალიიდან გავიდა, კონსულმა ლუციუს კორნელიუს ცინამ, პოპულართა ბელადმა, დაუყოვნებლივ გამოუცხადა ბრძოლა ოპტიმატურ სენატსა და მისი რჩეულის, სულას კანონმდებლობას.

ამგვარად, დემოკრატიული ბრძოლის სიომ იმ მხრიდან დაჰბერა, საიდანაც არავინ მოელოდა: ცინა არავის, არც მტერსა და არც მოყვარეს, არ მიაჩნდა იმოდენა პიროვნებად, რომ ასეთი დიდი პოლიტიკური ექსცესის სათავეში წარმოედგინათ.

და ერთბაშად, ამ ჩვეულებრივმა, „ტრაფარეტულმა მოკვდავმა“, რომელსაც სულამ, უკვე კონსულს, ხალხის წინაშე კაპიტოლიუმიდან ქვა ასროლინა, ახლა პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე გამოიტანა დიდი ზომა-წონის მქონე პრობლემები.

ცინამ ჯერ ამნისტია გამოუცხადა სამშობლოდან გაძევებულ და სიკვდილმისჯილ მოქალაქეებს. გარდა ამისა, ყველა ტრიბაზე ანაწილებდა ახალ მოქალაქეებს, იტალიკებსა და ლიბერტინებს (გაზატებული მონები). ეს ნიშნავდა სულპიციუსის კანონმდებლობის აღდგენას.

ცინას მხარში ამოუდგნენ მამაცი და კეთილშობილი კვინტუს სერტორიუსი და პოპულარული ტრიბუნი გნეუს პაპირიუს კარბონი.

ოპტიმატები მეორე კონსულის, გნეუს ოქტავიუსის მეთაურობით, გააფთრებული წინააღმდეგობით შეხვდნენ დემოკრატთა ახალ გამოსვლას.

იმ დღეს, როცა ცინამ თავისი კანონპროექტები საგანგებოდ მოწვეულ კომიციაზე გამოიტანა, რომის ფორუმზე არნახული ხოცვა-ჟლეტა გაჩაღდა ოპტიმატებსა და პოპულარებს შორის. ორივე მხრიდან ათი ათასი კაცი დაიღუპა. ოპტიმატებმა გაიმარჯვეს. სენატმა ცინა კონსულობიდან გადააყენა და მის მაგივრად კონსულად უმაღლესი ქურუმი ლუციუს კორნელიუს მერულა გამოაცხადა.

მალე ცინა, სერტორიუსთან, პაპირიუსთან და სხვა აქტიურ დემოკრატებთან ერთად, სახელმწიფოს მტრად გამოაცხადეს და სიკვდილის განაჩენიც გამოუტანეს.

სიკვდილმისჯილები რომიდან გაიქცნენ. ცინა გზადაგზა, ტიბურში, პრენესტეში, ნოლაში და სხვა ქალაქებში, მომხრეებს აგროვებდა და ჯარებს კრებდა, ბოლოს იგი მივიდა კაპუაში, სადაც იმ დროს ერთი რომაული არმია იდგა. ცინამ გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ეს ლეგიონებიც თავის საბრძოლო დროშის ქვეშ დაეყენებინა. ამისათვის პირადი თავმოყვარეობის შელახვასაც არ მოერიდა. დაიწყო იმით, რომ სამხედრო მეთაურებს ემლიქვნელებოდა. მერე გამოვიდა მთელი არმიის წინაშე, კონსულის ინსიგნიები მოიხსნა, ძირს დაყარა და ცრემლების ფრქვევით აყვირდა:

„მოქალაქენო. ხომ თქვენგან მივიღე ეს უმაღლესი ძალაუფლება? მე ხომ ხალხმა ამირჩია? ჰოდა, ახლა სენატმა თქვენი თანხმობის გარეშე გადამაგდო კონსულობიდან! მე ჩემს თავზე გამოვცადე ეს უბედურება, მაგრამ მაინც თქვენთვის მეწვის გული. განა ღირს ამის შემდეგ ტრიბების ალერსი? რაღა ძალა გექნებათ თქვენ სახალხო კრებებზე. ხმის მიცემისას, კონსულთა არჩევნებისას, თუ არ დაიბრუნებთ ყველაფერ იმას, რისი გაცემაც აქამდე შეგეძლოთ?!“

სიტყვა რომ დაამთავრა, ტანსაცმელი შემოიხია, ტრიბუნიდან ჩამოხტა, ხალხს მიაწყდა და წინმდგომთა ხელებზე გადაესვენა.

რასაკვირველია, დევნილი კონსულის მხოლოდ ისტერიულ გამოსვლას არ შეეძლო ხალხის აჯანყება გამოეწვია. საქმე მის საბრძოლო პროგრამაში მდგომარეობდა. ცინა ხალხის ყველაზე მგრძნობიარე ნერვს ჩხვლეტდა: უმაღლესი ძალაუფლების დაკარგვა და სენატისადმი მისი დათმობა სახალხო ფენებს უსისხლოდ და უმსხვერპლოდ ვერ წარმოედგინათ.

ცინა ჯარისკაცებმა დაამშვიდეს. ხელახლა მორთეს კონსულის ატრიბუტებით, ტოგა წამოასხეს, სპილოს ძვლის სავარძელზე დაადებინეს და წინ ფასცები დაულაგეს, გაამხნევეს და ბრძოლაში თანადგომა აღუთქვეს. ყველა მეთაურმა ერთგულება შეჰფიცა და თავისი რაზმიც დააფიცა.

ამგვარად, ცინა გაბატონდა კაპუაში, რომის შემდგომ იტალიის

ყველაზე დიდ ქალაქში. მაგრამ ის ამით არ დაკმაყოფილდა. იტალიის დანარჩენ ოლქებში, ქალაქ-სოფლებშიც დადიოდა და თანამებრძოლთა რიგებს ზრდიდა. იტალიკებიც ხომ მუდამ მზად იყვნენ, სენატის წინააღმდეგ აღმოცენებულ ყოველნაირ ოპოზიციას მხარში შესდგომოდნენ. ისინი არც ამჯერად იშურებენ საომარ ძალებს და რესურსებს რომაული დემოკრატიის დასახმარებლად.

ცინას ძლიერი მაშველი ძალა უნდა მიეღო სულას მიერ დევნილ ემგირანტთა ამნისტიით.

რაც მთავარია, ბრუნდებიან მარიუსი და მარიუსელები.

გაიუს მარიუსს კიდევ ერთხელ შესცინა ბედმა. მან კვლავ დააღწია თავი სიკვდილის ავი თვალების მზერას. იგი მისებრ განაწამები ხუთასი უბედურით კერკინიდან წამოვიდა და მიადგა ეტრურიის ქალაქ ტელამონს.

2. სისხლიანი არწივი

ნაპირზე გადმოვიდა თუ არა, იტალიის მიწამ მაშინვე იგრძნო თავისი უძღები შვილის ნაბიჯთა სიმძიმე.

მოდიოდა გაიუს მარიუსი, სამოცდაათ წელს მიღწეული მოხუცი, დაძონძილი და ჭუჭყით გაზინთული, თვალჩასისხლიანებული და თმაწვერგაბურძგვნილი, ჟამთა სიავით დასეტყვილი და გაბოროტებული.

გადმოსვლისთანავე არისტოკრატიული „ტირანიის“ წინააღმდეგ მოუწოდა იტალიელებსა და მონებს. აღუთქვამდა მათ რომის მოქალაქეობასა და თავისუფლების მინიჭებას.

მის ხელქვეით ერთბაშად ექვსი ათასმა მეომარმა და ორმოცმა გემმა მოიყარა თავი.

ასეთი ძალებით მარიუსი წარსდგა ცინას წინაშე.

ცინამ დიდის სიხარულით მიიღო სახელოვანი გმირი და პროკონსულის რწმუნებით მთავარსარდლობა გადასცა.

კონსულები ოქტავიუსი და მერულა მხნეობას არ კარგავდნენ. მოსახლეობასაც ამხნევებდნენ, ხალხი ქალაქის კედლებისა და თავდაცვით ზღუდეთა გასამაგრებლად გამოჰყავდათ. დამხმარე ძალებისთვის შიკრიკები აფრინეს გალიასა და იტალიის სხვადასხვა ქალაქებში. სასწრაფოდ გამოიწვიეს სამნისტებთან მებრძოლი ცეცილიუს მეტელუსი და გნეუს პომპეიუს სტრაბონი. ცეცილიუსი იგვიანებდა, სტრაბონი კი გამოცხადდა და კოლონის კარებთან დაბანაკდა.

მარიუსმა შემოუტია დასავლეთიდან. მან პირველი იერიშითვე აიღო ოსტია, ანციუმი, ლანუვიუმი, არიცია და სხვა მეზობელი ქა-

ლაქები. მთლიანად მოსწყვიტა რომი პურისა და სხვა მომარაგების რესურსებს ტიბრის შესართავიდან, ზღვიდან და დასავლეთ იტალიიდან.

იმავე დროს ცინა, პაპირიუსი და სერტორიუსი რომს უტევენ სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან.

რომი მთლიანად მოსწყდა გარესამყაროს. მოსახლეობა სულიერად დაეცა და მოიშალა. გამოჩნდნენ ყველაზე დიდი მტრები ბლოკადაში ჩავარდნილი ქალაქისათვის: შიმშილი და ეპიდემია. ხალხი ბუზივით იხოცებოდა.

სენატის სარდლები მოქმედებდნენ ზანტად და შიშნეულად. ხალხში გაოცებასა და აღშფოთებას იწვევდა სტრაბონის უმოქმედობა. ზოგიერთი მას ცინასა და მარიუსის მოკავშირედაც თვლიდა.

სტრაბონის გარშემო ამტყდარ მითქმა-მოთქმას სავსებით მოულოდნელად მოეღო ბოლო: მის კარავს მეხი დაეცა და სტრაბონი დაიღუპა. მისი გვამი ხალხმა კატაფალკიდან გადმოაგდო და ქუჩები თრევით შემოატარა. დაღუპული პროკონსულის არმია ოქტავიუსმა შეიერთა.

ვერც კონსული ოქტავიუსი მოქმედებდა ენერგიულად. მას ურჩევდნენ, მონებისათვის თავისუფლება აღეთქვა და ბრძოლაში გამოეყენა. ამაზე ოქტავიუსმა ბრაზიანად თქვა:

„მე ჩემს სამშობლოს მონებს არ მივცემ“.

ამასობაში ცეცილიუს მეტელუსიც დაბრუნდა სამნიუმიდან. ოქტავიუსის ბანაკიდან ბევრი გამოცხადდა მეტელუსთან და მთავარსარდლობა შესთავაზა: ოქტავიუსს არ შეუძლია და იქნებ ქალაქი შენ დაიხსნაო.

მეტელუსმა მათ უბრძანა, ისევ კონსულთან დაბრუნებულიყვნენ.

მაშინ ისინი აღრც ოქტავიუსთან დაბრუნდნენ და ცინასა და მარიუსის ბანაკს ჩაბარდნენ.

ოქტავიუსი მაინც გულს არ იტეხდა, სიბილას წიგნებზე მკითხაობდა და თავისიანებს არწმუნებდა, ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ გათავდებაო.

სალტე კი თანდათან ვიწროვდებოდა. მარიუსმა უკვე ხელთ იგდო იანიკულუსის ბორცვი. დამშეული, დასნეულებული და სასომიხდილი ქალაქი ძლივს იდგა ფეხზე. ცინამ ქალაქის შიგნით მყოფ მონებს თავისუფლება აღუთქვა და საომრად მოუწოდა. ამ მოწოდებას დიდძალი მონა გამოვხმაურა და დემოკრატთა საბრძოლო დროშას მიაშურა. რომიდან მოპირდაპირე ბანაკში გაქცეულთა შორის ძალიან ბევრი იყო თავისუფალი რომაელი მოქალაქეც.

სენატი შეშინდა, ვაითუ, უკიდურეს გასაჭირში ჩავარდნილმა

და მოთმინებადაკარგულმა ხალხმა აჯანყება მოაწყოსო, და ცინასთან ელჩები გაგზავნა მოსალაპარაკებლად.

ცინამ ელჩებს ჰკითხა:

„ვისთან მოსულხართ თქვენ, კონსულთან, თუ კერძო კაცთან?“

ელჩები დაობნენ და აღარ იცოდნენ, რა ეპასუხათ, სენატის ბრძანებით, ცინა კონსულობიდან გადაყენებული იყო, მაგრამ თუ ახლა ისინი მას კონსულად არ ჩათვლიდნენ, მაშინ არამცთუ დაზავება, არამედ სიცოცხლის შენარჩუნების იმედიც აღარ უნდა ჰქონოდათ. ამის თაობაზე კი ელჩებს სენატისგან არავითარი მითითება არ ჰქონიათ მიღებული. დაბნეულმა ელჩებმა ცინას ვერაფერი უპასუხეს და ქალაქში ხელცარიელნი დაბრუნდნენ.

სენატი იძულებული გახდა, ცინა კონსულად ეცნო და ხელახლა გაგზავნა მასთან ელჩები.

ცინა სპილოს ძკლის სავარძელში იჯდა.

მის გვერდით გაიუს მარიუსი იდგა, პირჩაღრუბლული და ავისმაუწყებლად მდუმარე და გარინდებული.

სენატისაგან წარმოგზავნილებმა ცინას, ვითარცა „ნამდვილ კონსულს“, რომის კარიბჭეთა გაღება აღუთქვეს, ხოლო, სამაგიეროდ, მისგან ფიცს ითხოვდნენ, რომ ქალაქში ხოცვა-ჟლეტა არ გაჩაღდებოდა.

ცინამ ფიცის დადება უღირს საქმედ მიიჩნია, მაგრამ აღქმა ღადო:

„ჩემი ნებით მე არ გავხდები დამნაშავე არც ერთი კაცის სიკვდილში. ასევე გადაეცით ოქტავიუსს, არსად შემომხვდეს, რათა იმასაც ჩემი ნების გარეშე არაფერი შეემთხვას“.

ელჩებმა კმაყოფილებით მიიღეს ცინას აღთქმა. მათ ყურადღება არ მიუქცევიათ, რა ორჭოფული აზრი იმალებოდა ამ „აღთქმაში“.

მათ არ შეუმჩნევიათ, წამიერად რა შხამიანმა ღიმილმა გადაურბინა მარიუსის შურისგებით წამონთებულ სახეს.

მაშ, რომაელებმა კვლავ დააჩოქეს რომი.

ამჯერად დემოკრატთა ჯარები შევიდნენ ქალაქში.

ცინა ლიქტორებით გარშემორტყმული მიუძღოდა წინ.

გაიუს მარიუსი კარიბჭესთან შედგა და გესლიანი ირონიით გამოაცხადა:

„მე ქალაქში არ შევალ, სანამ სამშობლოს მოღალატე და სიკვდილმისჯილი მჭვია!“

მისი ხილვით დაზაფრულმა სენატორებმა ფიცხლავ შეჰყარეს სახალხო კრება და სულმოუთქმელად გააუქმეს მარიუსისადმი სულას მიერ წაყენებული ბრალდებანი.

მარიუსს არც კი დაუცდია ყველა ტრიბის დაკითხვისათვის, ისე ერთბაშად შევიდა რომში.

შევიდა და დაიწყო.

რომის ქუჩები სისხლით დაიტბორა.

თავისიანებითა და „ბარდეიებით“ (ილირიული მოდგმის გააზატებული მონები) გარშემორტყმული მარიუსი შეუსვენებლივ დაძრწოდა ქუჩებში, ბაღებში, საცხოვრებელ სახლებში და უწყალო მახვილით ქლეტდა სუყველას, ვისაც ოდესმე მისთვის ქინძისთავით ჩხვლეტა გაებედა. აფრიკელთა და გერმანელთა მელეტელ მახვილს რომაელთა მკერდის ფლეთაც კარგად შესძლებოდა.

ხუთი დღე-ღამის განმავლობაში პოპულარები შეუსვენებლივ ეუქავდნენ ოპტიმატებს. დედაბუდიანად იღუპებოდნენ ბრწყინვალე არისტოკრატიული ოჯახები, სენატორები, ექსკონსულები, დიდი რანგის ოპტიმატი მაგისტრატები. ხოცავდნენ და მათ გვამებს ძაღლთა და ყორანთა საძიძგნად ყრიდნენ, სახლებს ანგრევდნენ და სწვავდნენ, ძარცვავდნენ და ქონებას იტაცებდნენ.

დაიწყო კონსულ გნეუს ოქტავიუსით. ცინამ და მარიუსმა ჯერ სელუხლებლობის ფიცი გაუგზავნეს. ქურუმები და მკითხავებიც აიმედებდნენ, რომ მას ხიფათი არ ემეჭრებოდა. ხოლო ახლობლები და მეგობრები ურჩევდნენ, რომიდან გაქცეულიყო.

მაგრამ ოქტავიუსმა გამოაცხადა:

„მე, როგორც რომის კონსული, არასოდეს დავტოვებ რომს!“

ამ სიტყვებით ის ავიდა იანიკულუსზე. მოიმართა კონსულის ტოგით, ფანრობანდა სპილოს ძელის საგორძელზე და გვერდით დაუყენა ფასცებით აღჭურვილი თორმეტი ლიქტორი.

მას მოასსენეს:

„ცინასაგან და მარიუსისაგან გამოგზავნილი ცენზორინი მოდის მზედრობის თანხლებით და, სანამ გვიან არ არის, თავს უშველე!“

ცხენიც ფიცხლავ მოართვეს, მაგრამ კონსულმა მაინც არ ინება გაქცევა.

იგი მდუმარედ და უძრავად ელოდა სიკვდილს.

მკვლელებმაც აღარ დააყოვნეს: ცენზორინმა მას თავი მოჭრეთა და ცინას მიართვა. ცინას ბრძანებით, ოქტავიუსის თავი ფორუმ რომანიუმზე გამოჰკიდეს.

ოქტავიუსის თავი ობლად არ დარჩენილა, მალავალი წარჩინებული რომაელის თავი გაჩნდა მის გვერდით.

მარიუსის და ცინას აეშაგები და მკვლელები გავეშებულნი დაჰქროდნენ, ეძებდნენ, პოულობდნენ, ხოცავდნენ, ყველა განწირულთა ხელში ერთმანეთი იყო. მხოლოდ დიდი რანგის მაგისტრატებსა

და არისტოკრატ-სენატორებს ებოძათ „განსაკუთრებული პატივი“: მხოლოდ მათი თავები იფინებოდა რომის ფორუმზე.

შარაგზაზე დახოცეს გაიუს იულიუს კეისარი, „მოკავშირეთა ომის“ გმირი, და მისი ძმა ლუციუსი, შესანიშნავი ორატორი და პოეტი.

გზაზე წამოეწივნენ, აგრეთვე, პუბლიუს კრასუსს და მის ვაჟს. მამამ მოასწრო, საკუთარი ხელით მოეკლა შვილი, მაგრამ თვითმკვლელობა აღარ დააცალეს და მკვლელებმა საშინელი წამებით ამოხადეს სული.

მარიუსი სანადიმო სუფრას უჯდა. ვიღაც მიკიტანმა შეატყობინა, სად იმალებოდა სახელოვანი ორატორი მარკუს ანტონიუსი. მარიუსი აღტაცებული ყივილით წამოიჭრა ფეხზე და თვითონ დააპირა წასვლა, რომ საკუთარი ხელით მოეკლა ანტონიუსი. როგორც იქნა, გადაათქმევინეს და ორატორის მოსაკლავად გაგზავნეს მკვლელთა ჯგუფი სამხედრო ტრიბუნ ანიუსის მეთაურობით.

ანტონიუსმა თავის დასახსნელად ორატორულ ხელოვნებას მიმართა. მართლაც, მკვლელებს დაავიწყდათ, რისთვისაც იყვნენ მოსულნი, ისინი მოხიბლულნი და მოჯადოებულნი უსმენდნენ განწირულს. მაგრამ ანტონიუსმა მაინც ვერ დააღწია თავი სიკვდილს: ანიუსმა მას თავი მოჰკვეთა და მარიუსს ძღვნად მიართვა სანადიმო სუფრაზე.

ასეთი „სიამოვნების მინიჭებისათვის“ მარიუსი ერთგულ მსახურს გადაეხვია.

კვინტუს ანხარიუსმა, სენატორმა და ექსპრეტორმა, მარიუსის „გულის მობრუნება“ და მასთან შერიგება კაპიტოლიუმის ტაძარში სცადა. ახლოს მივიდა და მიესალმა მარიუსს მაშინ, როცა იგი მსხვერპლს სწირავდა.

საპასუხოდ მარიუსმა წარბი შეჭმუხნა და ანხარიუსი იქვე, საკურთხევლის წინ დაკლეს.

ამის შემდეგ მკვლელებმა კარგად დაიხსომეს მბრძანებლის ეს ჟესტი: საკმარისი იყო, მარიუსს სალამზე სალმით არ ეპასუხა, და ყოველ მიმსალმებელს წუთისოფელს უსწრაფებდნენ.

სიკვდილს შეჰყარეს ლუციუს კორნელიუს მერულა, რომლის დანაშაული მხოლოდ ის იყო, რომ სენატმა იგი ცინას გადაყენების შემდეგ კონსულად გაიყვანა.

მერულა უმაღლესი ქურუმის ინსიგნიებით მორთული მიეახლა იუპიტერის ქანდაკებას, მსხვერპლი შესწირა, ლოცვა აღავლინა, შემდეგ ქურუმის სამოსელი გაიძრო და არტერიები გადაიჭრა.

მარიუსმა არ დაინდო არც კიმბრებთან ბრძოლის თანაზიარი კო-

ლეგა კვინტუს ლუტაციუს კატულუსი. კატულუსის ნათესავთა და მეგობართა ხვეწნა-მუდარას მარიუსმა ყური არ ათხოვა და ყრუდ განაცხადა:

„ის უნდა მოკვდეს!“

და კატულუსიც მოკვდა. იგი ნესტიან ოთახში ჩაიკეტა, ნახშირი აახრჩოლა და ზედდამხობილი მოიგუდა.

სიკვდილმისჯილები მხოლოდ იშვიათი მოხერხებით აღწევდნენ სიკვდილისაგან თავს. მაგალითად, ვინმე კორნუტი, სიკვდილმისჯილი, მისმა მსახურებმა შემდეგნაირად გადაარჩინეს: მათ ქუჩიდან შემოიტანეს ვიღაც მოკლულის გვამი (გვამის პოვნა ხომ ძნელი არ იყო) და იმ დროს დადეს კოცონზე, როცა მარიუსის ჯაშუშებმა ეზოში შემოაბიჯეს. მათ უთხრეს, კორნუტმა თავი ჩამოიხრჩოო და კოცონზე მისი გვამი იწვისო. ჯაშუშებსაც ეჭვი არ შეპარვიათ და წავიდნენ, ხოლო კორნუსი მსახურებმა გალიაში გადახვეწეს.

ეს სისხლიანი წელიწადიც მიიწურა.

მომდევნო 86 წლისათვის, როგორც მოსალოდნელი იყო, კონსულებად გავიდნენ გაიუს მარიუსი და ლუციუს ცინა, მარიუსი — მეშვიდედ, ცინა — მესამედ.

ამგვარად, სოფლელი გუთნისდედა მეშვიდედ დაჯდა სპილოს ძვლის სავარძელზე, თუნდაც სისხლიანსა და ლაფით გასვრილზე.

მეშვიდედ აღისრულა მრავალი უძილო და კოშმარიანი დღე-ღამეების ნაფიქრალ-ნაოცნებარი.

მარიუსმა „მეშვიდე არწივიც ააფრინა“, მაგრამ მაინც ვერ იქნა და ვერ დაისვენა. იგი შეიპყრო უარესმა მოუსვენრობამ: მასში თითქოს გაიღვიძა რაღაც დიდმა, „სოფლურმა“ სინდისმა, რომელიც მოითხოვდა პასუხისგებას ამდენ სისხლთა და ცრემლთა თხევისათვის. მას, თვით შურისგების სასტიკ დემონს, მოსვენებას არ აძლევდა უარესი შურისმგებელი ნემეზიდა, რომელიც რომში მალე უნდა წარმდგარიყო აღმოსავლეთში გამძლავრებული სულას მახვილით. მის ყურთასმენას არ შორდებოდა ავისმაუწყებელი შორეული ძახილი:

„ლომის ბუნაგი საშიშია, თუნდაც მასში ლომი არ იყოს“.

განუწყვეტელმა უძილობამ და ჰალუცინაციებთან ბრძოლამ საბოლოოდ დააძაბუნა და სასიკვდილო სარეცელზე დასცა მარიუსი. იგი შეიპყრო ციებ-ცხელებამ. ერთი კვირა ერკინებოდა სიკვდილს საომარი ველის უპირველესი მორკინალი. შვიდი დღე-ღამე შეჰღრიალებდა მომაკვდავი საშინელ მოჩვენებებს:

თითქოს მითრიდატეს ებრძოდა ევქსინის პონტოს ნაპირებზე. თითქოს სულასაც უსწორებდა მუდამ გაუსწორებელ ანგარიშებს;

ელანდებოდა აფრიკის ცეცხლოვანი უდაბნოები, ალპების თოვლიანი მთები, გვამებით დახერგილი ბრძოლის ველები, საომარი ყიჟინა, ბუკ-ნაღარათა ცემა და საჭურვლის ჟღრიალ-ზრიალი.

იგი უკანასკნელად ეხმიანებოდა მისი ცხოვრების სისხლიან ისტორიას, რომელიც ახლა ელვასავით მიჰქროდა სიცხით დანისლულ გონებაში. ყვიროდა, ლეგიონებს ბრძანებას აძლევდა, აღტაცებული ყიჟინით „მიერეკებოდა“ ნუმიდიელებს, ტევტონებს, კიმბრებს, ისტერიული ხარხარით ჩეხდა სულანელებს...

ბოლოს, „მეშვიდე არწივის აფრენიდან“ მეჩვიდმეტე დღეს (86 წლის 13 იანვარი) სიკვდილმა წაიღო მარიუსის მბორგავი სული და დაასკვნა მისი „გვემული სხეული.

მაგრამ ქვეყანამ მაინც ვერ დაისვენა.

8. მარიუსის სიკვდილის შემდეგ

ტერორი კვლავ მძვინვარებდა. მარიუსის სისასტიკეს იმეორებდა გაიუს ფიმბრია. იგი შეეცადა, თვით მარიუსის დაკრძალვის დღეს მოეკლა ყველასაგან პატივცემული უმაღლესი ქურუმი კვინტუს სცევოლა, რომელიც მარიუსსაც კი ჰყავდა შეწყალებული, მაგრამ იაკი მოკვლა ვერ მოუხერხა, ფიმბრიამ უმაღლესი ქურუმი სამარხიალში მისცა, თან ვითომცდა ხუმრობდა:

„იაკი სცევოლამ საშუალება არ მომცა, მომეკლა, იგი სამარხიალში მაინც უნდა მიეცეს!“

რომმა თითქოს შვებით ამოისუნთქა, როცა ფიმბრია აღმოსავლეთში გაეშურა.

კვლავ განსაკუთრებული სისასტიკით მოქმედებდნენ მარიუსის მონა ლიბერტინები. მბრძანებლის სიკვდილის შემდეგ ისინი საშინელ ბანდებად იქცნენ. ბოლოს, კვინტუს სერტორიუსმა, ხელფასის გაცემის აღთქმით, თავი მოუყარა მათ და, კელტი მეომრების დასმარებით, სულ ერთიანად ამოჟლიტა. ოთხი ათასი გაანზატებული მონა სიცოცხლეს გამოასალმეს.

მარიუსის სიკვდილის შემდეგ სახელმწიფოს განუყოფელი ერთმმართველი-დიქტატორი გახდა ცინა, რომელიც სამი წლის მანძილზე (87—84) სენატისა და სახალხო კრების დაუკითხავად ირჩევდა და ნიშნავდა თავის თავს რომის ერთპიროვნულ მბრძანებლად.

ცინამ სენატი აიძულა, ხელი მოეწერა კანონისათვის, რომელიც იტალიელებსა და ლიბერტინებს ძალიელებთან ათანაბრებდა სამოქა-

ლაქო უფლებით. თანც ახალი მოქალაქენი ნაწილდებოდნენ ოცდათხუთმეტივე ტრიბაზე.

მრავალრიცხოვანი ღარიბი და უქონელი ფენების გულის მოსაგებად მან შემოიღო იაფფასიანი პურის დარიგება.

ამგვარად, ცინამ შეძლო, არისტოკრატიის წინააღმდეგ საომრად ფართო მხარდაჭერა ჰქონოდა მთელს იტალიაში და ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობაში.

ცინას მთავარი საზრუნავი ყველაზე საშიში მტრის, ლუციუს კორნელიუს სულას განადგურება იყო. უპირველეს ყოვლისა, გაიუქმა სულას ყოველგვარი ღონისძიება რომში. შემდეგ, ააწიოკეს, აიკლეს და დაანგრიეს მისი სახლ-კარი და ადგილ-მამული, ცოლმა და შვილებმა ძლივს გაასწრეს აღმოსავლეთში. სულას ჩამოერთვა პროკონსულობა და მთავარსარდლობა და გამოცხადდა სახელმწიფოს მტრად. მის შემცვლელად, აღმოსავლეთში საომრად გაემგზავრა კონსული ლუციუს ვალერიუს ფლაკუსი.

84 წლის შემოდგომაზე რომში მოვიდა შიკრიკი აღმოსავლეთიდან. მან მოიტანა სულას ეპისტოლე სენატისადმი.

ოლიგარქიის ბელადი ოლიგარქიის უზენაეს ხელისუფლებას, უპირველეს ყოვლისა, მოაგონებდა თავის წინანდელ დამსახურებებს: კვესტორობას, იუგურთას დატყვევებას, ლეგატობას კიმბრებთან ომში, პრეტორობას კილიკიაში და კონსულობას „მოკავშირეთა ომში“. ამის შემდეგ იგი განსაკუთრებული თავმოწონებით იტყობინებოდა მითრიდატეს განადგურებასა და აღმოსავლეთის ომის კეთილად დასრულებას. სულა თავის დიდ დამსახურებად ითვლიდა იმ რომაელთა შეფარვასა და გადარჩენას, რომლებიც მარიუსისა და ცინას რეჟიმისაგან იყვნენ ლტოლვილნი რომიდან.

ყველა ამ დამსახურებათა სანაცვლოდ, — სწერდა სულა, — მე გამომაცხადეს სამშობლოს მტრად, დაანგრიეს ჩემი სახლ-კარი, ამიწიოკეს ოჯახი, განავლტეს ჩემი ცოლ-შვილი და დახოცეს ჩემი მეგობრები. რაკი ასეა, ახლა დავბრუნდები რომში და ყველა ჩემს მტერს სამაგიეროს მივუზღავ, ხოლო ხალხს, არც ძველ და არც ახალ მოქალაქეებს არაფერს ვერჩი.

სულას წერილმა შეარყია რომი.

ცინამ სასწრაფოდ გაამზადა არმია და ფლოტი ადრიატიკის გადასალახავად და მეტოქესთან შესახვედრად.

სენატი ახალ სისხლისღვრას შეუშინდა და ელჩები აფრინა სულასთან. მისგან ითხოვდნენ მოწინააღმდეგე მხარესთან შერიგებას და სამაგიეროდ იტალიაში დაბრუნებისას სრულ ხელშეუხებლობას

ჰპირდებოდნენ. სენატმა პარალელურად ბრძანება გაუგზავნა ცინას, შეეწყვიტა საომარი სამზადისი სულას წინააღმდეგ.

სულას პასუხი იყო ნაწილობრივ ორაზროვანი, ნაწილობრივ პირდაპირი და შემტევი:

სულა არასოდეს არ იქნება ასეთ ბოროტმოქმედთა მეგობარი, მაგრამ მას საწინააღმდეგო არაფერი აქვს, თუ მას რომი თვითონ მისცემს სიკვდილისაგან თავის დახსნის საშუალებას. რაც შეეხება მისდამი უშიშროებისა და ხელშეუხებლობის გარანტიას, ამისთვის ნურვინ შეწუხდება: სულა ასეთ რაიმეს არ საჭიროებს, რადგან მას მისივე ლეგიონები აძლევენ ასეთ გარანტიას.

ცინას სულას პასუხისთვისაც არ დაუცდია. მან და პაპირიუს კარბონმა (კონსული ფლაკუსის დაღუპვის შემდეგ) უკვე გაგზავნეს მეწინავე ჯარები ბალკანეთზე. მაგრამ საშინელი ქარიშხალი ამოვარდა და ჯარისკაცებმა უარი განაცხადეს გალაშქრებაზე.

გაბრაზებულმა ცინამ მუქარით სავსე სიტყვით მიმართა ლეგიონებს, მაგრამ არც ჯარისკაცებმა დააკლეს ხელი. ისინი კონსულს მიესივნენ ღრიალითა და ლანძღვა-გინებით. ერთ-ერთმა ლიქტორმა წკეპლების კონა დაჰკრა რომელიღაც მეომარს, მანაც არ დააყოვნა და საპასუხო სილა გააწნა. ცინამ მისი შეპყრობა ბრძანა. სწორედ მაშინ კონსულისაკენ წამოვიდა ქვების მერეხი. იმწამსვე მეწინავე მეომრებმა მახვილები იშიშვლეს და ლუციუს კორნელიუს ცინა მკვდარი დაეცა.

შეშინებულმა პაპირიუს კარბონმა საჩქაროდ უკანვე გამოიწვია საბერძნეთში გაგზავნილი ჯარები.

მომდევნო 83 წლისათვის კონსულებად გავიდნენ ლუციუს სციპიონი და გაიუს ნორბანი.

ახლა ეს ორი უნიჭო უნდა შეხვედროდა მძვინვარე „ლომ-მელას“.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

სულას დაბრუნება

1. „აღმოსავლური კვერთხით“

სულამ ვერ შესძლო პონტოს მეფის სავსებით განადგურება, მაგრამ მისი წარმატებანი აღმოსავლეთში მაინც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ იგი რომში უაღრესად დიდ ძალად მიეჩნიათ, ვითარცა მტრებისთვის საშინელი შურისმგებელი ნემეზიდა, მომხრეებისთვის — უძლეველი მხსნელი და ქომაგი.

ასეთად მიიჩნიეს კაცი, რომელსაც ოფიციალური ხელისუფლებისგან ყოველგვარი თანამდებობრივი რწმუნებანი წართმეული ჰქონდა. ოთხი წლის განმავლობაში (87—83) სავსებით კერძო კაცი, გადაყენებული და სიკვდილმისჯილი, წარმატებით ებრძოდა აღმოსავლეთის ყველაზე დიდ მბრძანებელს.

სულა (და მასთან ყველა — მტერიც და მოყვარეც) გრძნობდა, რომ ეს იყო მისი აგონია სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე. თუ აქ, აღმოსავლეთში, დამარცხდებოდა, აქვე გათავდებოდა მისი კარიერაც და სიცოცხლეც, ხოლო, თუ აქ გაიმარჯვებდა, რომში გამარჯვებაც ხელთ ჰქონდა.

ერთი სიტყვით, სულას აღმოსავლეთში ერთდროულად, ერთიმეორის გვერდით, ორი უკიდურესი სამყოფელი ჰქონდა გამზადებული: ჰადესის წყვდიადი და დიქტატურის ბრწყინვალე სპილოს ძვლის სავარძელი.

და მან გაიმარჯვა.

სწორედ მძიმე აღმოსავლურ ლაშქრობაში ძლევამოსილებამ მისცა სულას ის ძალა, რომლის წინაშე მტრები შიშით თრთოდნენ, ხოლო მოყვარენი სიხარულით ცახცახებდნენ. ასერიგად ანრაგიშგასაწევი ძალა გახლდათ მრისხანე არმია და აურაცხელი ნაძარცვი, ნატყვევნი, ნაალაფარი, ნახარკალი ოქრო და ვერცხლი.

მისი არმია 40 000 რჩეული, ერთგული, დისციპლინირებული,

შამაც პონტოელებთან ბრძოლით ნაწრთობი ჯარისკაცებისაგან შედგებოდა. მისი საზღვაო ძალები 1 600 გემს ითვლიდა.

ახლა იკითხეთ ფული და ნაძარცვი.

საერთოდ ხომ სარდალთა დიდება მათ მიერ ნაძარცვი ოქრო-ვერცხლის რაოდენობით განისაზღვრებოდა. ხოლო სულამ აღმოსავლეთის ძარცვა-გლეჯის მასშტაბით ყველა წინამორბედს გადააჭარბა. ოცჯერ დასახელებული დიდი მასშტაბის „რომაული ძარცვიდან“ მხოლოდ ერთხელ არის პირდაპირ ნათქვამი, რომ სულამ ათენის აკროპოლისიდან ორმოცი გირვანქა ოქრო და ექვსი გირვანქა ვერცხლი წაიღოო. რომ აღარაფერი ვთქვათ ყველა დანარჩენ „დაუსახელებელ“ ნაძარცვ და იავარქმნილ ქალაქთა და ოქროთა შესახებ, საკმარისია გავიხსენოთ, რომ მათ შორის იყო ბერძნული ტაძრებიც კი. რომლებიც, დელფოს აპოლონის ტაძრის მაგალითზე საუკუნეების მანძილზე ივსებოდა ოქრო-ვერცხლითა და უძვირფასესი ნივთებით. ყველაფერი ეს ახლა სულას ხელთ იყო. მას ეკუთვნოდა აგრეთვე ორი დანარჩენი რომაელი სარდლის, ფლაკუსისა და ფიმბრიას აღმოსავლური ნაძარცვიც.

სულა — ეს ერთ დროს ვალებში ჩაფლული, მდიდარ მეძავთა ლუკმაპურის შემყურე კაცი, ახლა 22 000 ტალანტის მფლობელი იყო. ე. ი. მას სხვა აურაცხელ ნაალაფევთან ერთად აღმოსავლეთიდან მოჰქონდა 52 800 000 მანეთი ოქროთი.

აი, პირველი კაცი რომის ისტორიაში, ვინც ასეთი სიმდიდრითა და სამხედრო ძალებით მოეშურებოდა პროვინციიდან „მსოფლიოს ცენტრისაკენ“.

ადრიატიკი გადალახა და იტალია შეტორტმანდა მისი ტერფის ქვეშ.

ქალაქი ბრუნდიზიუმი, — იტალიის ეს აღმოსავლური ფორპოსტი, — მოყვრულად და მეგობრულად შეხვდა სულას. ამანაც ფასი დასდო პატივისცემას: ბრუნდიზიუმელები რომის მოქალაქეობით დააჯილდოვა და ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადისაგან გაათავისუფლა.

„აღმოსავლეთის გმირის“ წინაშე აქვე წარსდგნენ მალემსრბოლნი სენატისაგან. „რესპუბლიკის ტვინი“ კითხულობდა:

„რა სურს და რას აპირებს სულა?.. რას მოასწავებს არმიებით მისი სვლა რომისაკენ?.. რესპუბლიკური კანონმდებლობა ხომ ყოველ სარდალს უკრძალავს, დარაზმული ლეგიონებით მიუახლოვდეს მშობლიურ რომს!“

სულას პასუხი ასეთი იყო:

„მშობლიურ რომს“ საშუალება აქვს. თავი დაიხსნას და არსე-

ბობა შეინარჩუნოს ერთდადერთი გზით: იგი უნდა ჩაბარდეს ლუციუს კორნელიუს სულას. ასევე ყველამ, ვისაც სიცოცხლე უყვარს, თავისი ბედი მიანდოს სულას. იგი ყველას და ყველაფერს მოუვლის!“

ეს თქვა და სალაშქროდ გამზადებულ არმიას გაჰხედა სულამ.

სენატსაც აღარაფერი დარჩენოდა, სულას პასუხი სავსებით გასაგები და ნათელი იყო. რაც მთავარია, იგი არმიის დაშლას არ აპირებდა, ეს კი თავის მხრივ ნიშნავდა ერთპიროვნული დიქტატურის აშკარად, მოურიდებლად მოთხოვნას.

რა გზას უნდა დასდგომოდა სენატი? რა გზით უნდა ცდილიყო იგი თავისი უმაღლესი ხელისუფლების გადარჩენას? ერთადერთი საშუალება მხოლოდ არმია იყო, მაგრამ სენატს, სახელმწიფოს მეთაურს, არმიები უკვე აღარ გააჩნდა. აღარა ჰყავდა სამოქალაქო ლაშქარი, რომელიც ბრძოლაში მიდიოდა სწორედ სენატის ნების გამომხატველი დევიზით: senatus populusque Romanus („სენატი და ხალხი რომისა“). არმიები ახლა სწორედ სენატის მოწინააღმდეგეებს ჰყავდათ, — დიქტატურის მაძიებელ ინდივიდუუმებს, ხოლო, ამ „ტირანს“ ინდივიდუუმთაგან ყველაზე ძლიერი იყო სულა. აღმოსავლეთის ლაშქრობებში მოპოვებული საომარი რესურსებით ფესვგამაგრებული და გაღონივრებული.

სენატს ერთადერთ საფარველად შერჩენოდა უკვე გაცვეთილი და გახუნებული ფარატინა „რესპუბლიკური კონსტიტუცია“. გაბედავს კი სულა, გამოაცხადოს გაუქმება რესპუბლიკისა?!

აღმოსავლეთში გამგზავრებამდე, როცა მან რომაული არმიებით პირველად დაიპყრო რომი, ვერ გაბედა რესპუბლიკის გაუქმება. მაგრამ ახლა, როცა იგი აღმოსავლეთიდან ასე არნახულად გამძლავრებული მოეშურება? გაბედავს. თუ ვერა?

სანამ რომში მარჩიელობდნენ, სულას ხელში აღმოჩნდა კალაბრია და აპულია, სადაც მისი საომარი დროშის ქვეშ თავი მოიყარეს ცინას რეჟიმით დევნილმა ოპტიმატებმა.

სულასთან თავიანთი ჯარებით პირველნი გამოცხადდნენ მარიუსისაგან დევნილი კვინტუს მეტელუს პიუსი და მარკუს ლიცინიუს კრასუსი, მარიუსელთაგან მოკლული პუბლიუს კრასუსის ვაჟი.

ამათ მოჰყვნენ: მარკუს ლუკულუსი, პუბლიუს ცეტეგა და გნეუს დოლაბელა.

სულას ბანაკში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ოცდასამი წლის გნეუს პომპეუსის მოსვლამ. იგი კონსულ პომპეუს სტრაბონის შვილი იყო, ახოვანი, ამპარტავანი და მამაცი ვაჟკაცი. ახალგაზრდა პომპეუსი მიხვდა, „დროების გმირად“ მალე სულა უნდა გამხდა-

რიყო და საჭიროდ მიიჩნია, დროზე ჩამდგარიყო მომავალი დიქტატორის მაამებელთა პირველ რიგში.

ამიტომ, როგორც კი ახალგაზრდა პომპეუსმა სულას მოახლოება გაიგო, მაშინვე ფეხზე დააყენა მთელი პიცენუმი, სადაც მას მრავალრიცხოვანი კლიენტელა და თანამებრძოლი არისტოკრატია ჰყავდა. იგი სამი ლეგიონით გამოცხადდა „იმპერატორ“ სულას წინაშე. მანაც დიდი პატივითა და გულთბილობით მიიღო პომპეუსი და, მადლიერებით აღვსილმა, მაშინვე თვითონაც „იმპერატორი“ უწოდა მას.

სულა აპულიიდან პირდაპირ დაიძრა კამპანიისაკენ, სადაც მას ეგულებოდა მოწინააღმდეგის არმია კონსულ ნორბანის სარდლობით.

მისვლისთანავე სულამ დაზავება შესთავაზა მტერს. პოპულართა ბანაკში ეს დიპლომატიური ჟესტი მუხანათობად მიიჩნიეს და სულას ელჩები შეურაცხმყოფელი სიტყვებითა და ლანძღვა-გინებით გაისტუმრეს.

მაშინ სულამ დაუყოვნებლივ გამოიყვანა არმია საომარ ველზე.

ნორბანი სასტიკად დამარცხდა და სიკვდილს გადარჩენილი ჯარის ნაშთებით თავი შეაფარა კაპუასა და ნეაპოლს. სულამ ამ ქალაქთა საალყოდ რამდენიმე კოპორტა გამოყო, ხოლო ძირითადი ლეგიონებით მეორე კონსულის წინააღმდეგ გაემართა.

სციპიონი ტეანის მახლობლად ელოდა მტერს. სულამ იმასაც მისვლისთანავე ზავი შესთავაზა. კონსულმა სერტორიუსს არ დაუჯერა და მოპირდაპირის წინადადება მიიღო. სულა მოლაპარაკებას განგებ აჭიანურებდა, ხოლო ამასობაში მისი აგენტები სციპიონის მეომრებს „ამუშავებდნენ“ და თავიანთ მხარეზე იბირებდნენ. კონსულის ჯარისკაცები ისედაც თვალნათლივ ხედავდნენ, როგორ გავმდიდრებინა მამაც, ნიჭიერ და ჯარისკაცთა „დიდ მფარველ“ ლუციუს კორნელიუს სულას თავისი მეომრები. ამიტომ ისინი ჯერ ცალკეულად და მალე რაზმეულებად გადავიდნენ სულას ბანაკში.

ბოლოს და ბოლოს, სციპიონმა დაინახა, რომ იგი სავსებით მარტო, უარმიოდ და უჯარისკაცოდ დარჩა. სულამ მას ბრძანება გაუგზავნა, ერთ-ერთი აერჩია:

ან სიკვდილი, ან კონსულობაზე ხელის აღება!

სციპიონი დათანხმდა, უარი ეთქვა კონსულობაზე. მაგრამ როგორც კი სიკვდილს ცოცხალი თავით გაასწრო, იგი მაშინვე აღიჭურვა კონსულის ინსიგნიებით და ახალი ძალების შეგროვებას შეუდგა სულანელთა გასანადგურებლად.

ასე გავიდა 83 წელი. მოწინააღმდეგენი გრძნობდნენ, რომ მომდევნო წელი საბედისწერო იქნებოდა ერთ-ერთი მხარისათვის.

2. „ან ახლა, ან ვერასოდეს!“

პოპულარებმა 82 წლისათვის კონსულებად გაიყვანეს გაიუს პაპირიუს კარბონი და გაიუს მარიუს-უმცროსი, სახელოვანი მარიუსის ოცი წლის ვაჟი (ჯერ რომს ასეთი ახალგაზრდა კონსული არა ჰყოლია).

კონსულები თავგამოდებით შეუდგნენ საომარ სამზადისს. დემოკრატიულ არმიებს უერთდებოდნენ ეტრურიელები, სამნიტები და ლუკანები.

კარბონმა კანონგარეშე გამოაცხადა სულას ბანაკში მყოფი ყველა სენატორი, რათა მტერთან შერიგების ყოველგვარი გზა მოეჭრა.

სულა კამპანიიდან პირდაპირ რომისაკენ დაიძრა.

საკრიპორტთან, პრენესტეს მახლობლად, მას წინ გადაუდგა ახალგაზრდა კონსული 40 000-ანი არმიით.

მარიუსს მამისეული სიმამაცე და ენერგია არ აკლდა, მაგრამ მისი ჯარები ბრძოლისუნარიანობით გაცილებით ჩამორჩებოდნენ მოპირდაპირის არმიას. ბრძოლის დასაწყისშივე მისი ჯარის ერთი ნაწილი სულას ჩაბარდა. ამან ძალზე ცუდი გავლენა მოახდინა ისედაც შემდრკალ მარიუსელებზე. სარდლის პირადი სიმამაცე საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვებისთვის. მარიუსმა 15 000 კაცი დაკარგა მოკლულთა და ტყვეთა სახით. დამარცხებულმა თავი შეაფარა პრენესტეს კედლებს.

სულამ გაჟლიტა ყველა ტყვე სამნიტი, მერე პრენესტეს საალყოდ დატოვა ჯარის ნაწილი კვინტუს ლუკრეციუს ოფელას მეთაურობით, ხოლო თვითონ რომისაკენ დაიძრა.

მაგრამ მის მისვლამდე ქალაქში მიასწრო მარიუსის შიკრიკმა, რომელმაც პრეტორ ლუციუს იუნიუს დამაზიპს გადასცა კონსულის ბრძანება: დაუყოვნებლივ გაეჟლიტა ოპტიმატთა პარტიის ყველა წარჩინებული წარმომადგენელი, რომლებიც კი აქამდე სიკვდილს გადარჩენოდნენ.

დამაზიპმა მოიწვია სენატის სხდომა და იქვე, კურიაში, შეუდგა გამოჩენილ სენატორთა ჟლეტას. ვინც გამოასწრო, მკვლელები წამოეწიენენ და ჩახოცეს. მოკლულები ერთ ხანს ქუჩებში ათრიეს, მერე მდინარეში გადაყარეს.

მოკლულთა შორის იყვნენ: გნეუს პომპეუსის სიმამრი, ედილი პუბლიუს ანტისტიუსი, გაიუს პაპირიუს კარბონი (კონსულის ძმა), ექსკონსული ლუციუს დომიციუსი და უმაღლესი ქურუმი კვინტუს მუციუს სცევოლა, რომელსაც ადრე ფიმბრია უპირებდა მოკვლას.

სულა რომს მიადგა და მარსის ველზე დაიბანაკა.

მოსახლეობა ახალ ხოცვა-ჟლეტას ელოდა, მაგრამ სულას ახალი სისხლის დაღვრა ნაადრევად მიაჩნდა, ჯერ მას მოწინააღმდეგეთა არმიები უნდა გაენადგურებინა. მან დამამშვიდებელი და გამამხნევებელი სიტყვით მიმართა ხალხს. მერე ბანაკი აჰყარა და დაიძრა ეტრურიისაკენ, სადაც მას შესაერთებლად ელოდნენ კვინტუს ცეციდიუს მეტელუსი.

გაერთიანებული ძალებით სულა კიუიზთან შეხვდა კონსულ პაპირიუს კარბონს, რომელმაც პირველმა უწოდა მას „ლომ-მელა“.

სასტიკი, სისხლისმღვრელი ბრძოლა გათენებიდან დაღამებამდე გაგრძელდა და უშედეგოდ დამთავრდა. კარბონი კვლავ ეტრურიაში დარჩა, ხოლო სულა ისევ პრენესტესაკენ გაეშურა.

სულა სწორედ დროზე მიეშველა პრენესტეს გარშემო შემოწყობილ თავისიანებს: 70 000-იანი დემოკრატიული არმია მოეშურებოდა პრენესტეში ჩაკეტილი მარიუსის გამოსახსნელად.

არმია უმთავრესად სამნიტებისა და ლუკანებისაგან შედგებოდა. მრისხანე ლაშქარს სათავეში უდგნენ „მოკავშირეთა ომის“ სახელგანთქმული გმირები: სამნიტი პონტიუს ტელეზინუსი და ლუკანი მარკუს ლამპონიუსი.

სულა არმიით ჩადგა ხეობაში, რომლითაც ერთადერთი გზა მიდიოდა პრენესტესაკენ.

დემოკრატები დიდხანს უშედეგოდ აწვებოდნენ მას.

სანამ ეტრურიასა და ლაციუმში ომი ჭიანურდებოდა, ჩრდილოეთ იტალიაში, მდინარე პადუსის მიდამოებში, ოპტიმატებმა რამდენჯერმე დაამარცხეს პოპულარები. ფავენციუსთან, ვენახებით დაფარულ ველზე, მეტელუსმა გაანადგურა ექსკონსული ნორბანი. პლაცენციის მახლობლად მარკუს ლუკულუსმა დაამარცხა დემოკრატთა ჯარი. მალე ამის შემდეგ, დამარცხებულთა არმიაში მყოფ ლუკანთა ლეგიონის მეთაურმა პუბლიუს ალბინოვანმა სახელდახელოდ გაწყობილ ნადიმზე გაწყვიტა დანარჩენი სამხედრო მეთაურები, ხოლო თვითონ სულანელებს ჩაბარდა. ბოლოს დაეცა ქალაქი არიმინუმი — დემოკრატთა უკანასკნელი თავშესაფარი ჩრდილოეთში.

ამდენი მარცხის გამგონე და მომსწრე კარბონმა სულიერი მხნეობა დაკარგა. მიუხედავად იმისა, რომ მას პირადად ჯერ მარცხი არ ეგემა, იტალია საიდუმლოდ დატოვა და აფრიკას მიაშურა. მისგან მიტოვებული არმია პომპეუსმა გაანადგურა ქალაქ კლუზიუმთან.

ამგვარად, მთელი ჩრდილოეთი იტალია (ცისალპიური გალია) და ეტრურია სულას ეკუთვნოდა. დემოკრატები და მათი მოკავშირე იტალიკები დარწმუნდნენ, რომ ვერც სულას დასძრავდნენ ად-

გილიდან და ვერც პრენესტეს გამოიხსნიდნენ; მით უფრო, რომ უკვე ახლოვდებოდა ეტრურიიდან წამოსული გნეუს პომპეუსი.

მაშინ სამნიტებმა და ლუკანებმა კურსი ერთბაშად აიღეს რომისაკენ. მათ გზაზე შეუერთდნენ რომაელი დემოკრატები დამაზიპისა და კარინას მეთაურობით.

მაშ, იერიში პირდაპირ რომზე!

მამაცმა პონტიუს ტელეზინუსმა თავისიანებს ასეთი სიტყვით წაუკიდა საომარი ხანძარი:

„რომ თავი ვიხსნათ მგლებისაგან, რომლებმაც იტალიას თავისუფლება წაართვეს. უნდა გავანადგუროთ ტყე — მათი საბუდარი!“

ამ სიტყვებით შეაყენა სამნიტთა ბელადმა ლაშქარი რომის გზაზე.

„ან ახლა, ან ვერასოდეს!“

ამ თავგანწირული სულისკვეთებით აღვსილი დევიზით მიადგა იტალიის უმამაცესი ხალხი „მგელთა სამკვიდროს“.

კოლინის კარებიდან კილომეტრ-ნახევარზე დაიბანაკეს.

ეს იყო 1 ნოემბერი 82 წლისა. ასეთი მძიმე დღე არასოდეს დასდგომია რომს. არასდროს არ ყოფილა იგი ასე უძლური, საკუთარი ხელებით არტერიაგადაჭრილი და სიკვდილნათევი.

ახალგაზრდა არისტოკრატთაგან შეყრილი მცირე ლაშქარი აპიუს კლავდიუსის მეთაურობით მაინც დაუხვდა მრისხანე მტერს. არც ერთი მათგანი ცოცხალი არ გაბრუნებულა. მაგრამ ამ საშინელ თვითმსხვერპლშეწირვას ფასი მაინც დაედო:

მან შეაჩერა მტერი მხსნელის მოსვლამდე.

ხოლო მხსნელი ვინ უნდა ყოფილიყო?!

ისევ და ისევ ლუციუს კორნელიუს სულა!

ახლა მას ეშმაკმა ფორტუნამ „სამშობლოს მხსნელის“ როლი მიანდო.

სულა მთელი ძალებით მოჰქროდა რომისაკენ.

დილით მისი მფრინავი მალემსრბოლნი უკვე ამხნევებდნენ ზარდაცემულ ხალხს რომის ფორუმზე.

შუადღისას მისი ლეგიონები კოლინის კარიბჭეთა წინ აღიმართნენ.

მან არ დაუჯერა თანაშემწეთა ხვეწნა-მუდარას და მისვლისთანავე, ჩაუმუხლავად შეება მტერს.

კოლინის კარები აონახული და გაუგონარი ხოცვა-ჟლეტის მოწამე გახდა.

„ან ახლა, ან ვერასოდეს!“

ეს დევიზი საერთო იყო ორივე მხრისთვის.

დემოკრატებისთვის და არისტოკრატებისთვის,

იტალიელებისთვის და რომაელებისთვის,

ტელეზინუსისთვის და სულასთვის.

მარცხენა ფრთამ, რომელსაც თვითონ სულა სარდლობდა, ვეღარ გაუძლო მოპირდაპირის გავეშებულ შემოტევას და უკუიქცა. ბეწვზე დაეკიდა თვით სარდლის სიცოცხლე. თეთრ ცხენზე ამხედრებული სულა მტრისთვის საუკეთესო სანიშნო აღმოჩნდა. გამართეს კიდეც მისკენ შუბები, რასაც თვითონ ვერა ხედავდა, მაგრამ მსახურმა დროზე გადაპკრა მის ცხენს მათრახი და გაფრენილს მხოლოდ გავაში მოხვდა შუბები.

სულამ სიკვდილს ჩახედა თვალებში.

წამსვე ეამბორა მკერდზე ჩამოკიდებულ აპოლონის ოქროს ქანდაკს და შეჰყვირა:

„ჰოი, აპოლონ პითიელო, ამდენი გამარჯვებანი შენ არგუნე ბედნიერ კორნელიუს სულას, შენ მოიყვანე იგი მშობლიური ქალაქის კედლებთან და ნუთუ ახლა დააგდებ მას თავის თანამემამულეებთან ერთად სამარცხვინო მარცხის სამსხვერპლოდ?!“

იგი სახეშეშლილი მიმოჰქროდა გამოქცეულ თავისიანებში და მათს შეკავებას ცდილობდა ხელით, მახვილით, სიტყვით, ფიცით, ხვეწნით, მუდარით, მუქარით.

ამაო იყო ყოველივე.

ღამემ მოუსწრო სამკვდრო-სასიცოცხლო რკენას.

უკვე პრენესტეს კედლებთან გამოჩნდნენ გაქცეული სულანელები. მათ კვინტუს ლუკრეციუს ოფელას მოუტანეს საშინელი ამბავი სულას სიკვდილისა და რომის დაცემისა. ოფელამ აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო: თვითონაც დაძრულიყო რომისკენ თუ განეგრძო პრენესტეში ჩაკეტილი მარიუსის ალყა.

და უცებ გათენებისას მოიკრა სავსებით ახალი, დაუჯერებელი ამბავი:

სულამ გაიმარჯვა!

ეს სიმართლე იყო.

როცა სულა თითქმის ხელიდან გავარდნილ გამარჯვების კვერთხს კბილთა ღრჭენით ეტევებოდა, მარჯვენა ფლანგმა, მარკუს ლიკინიუს კრასუსის სარდლობით, თავგანწირული შეტევით დაანარცხა და გააქცია მოწინააღმდეგე. ამან შეამსუბუქა მარცხენა ფლანგის მდგომარეობა.

და გვიან ღამით სულამ, უეჭველი დამარცხებისა და დაღუპვის უფსკრულის პირას მდგომმა, ერთბაშად შემოაბრუნა მახვილი და გულმოცემულად შემოუტია მოპირისპირეს.

ბრძოლა თავიდან დაიწყო.

იგი გაგრძელდა მთელ ღამეს და დამთავრდა დილას, როცა სამი ათასმა მეომარმა დემოკრატთა ბანაკი მიატოვა და სულას მხარეზე გადავიდა.

მოჯანყეთა არმია მთლიანად განადგურდა.

ფელიქს სულა კვლავ ზეიმობდა გამარჯვებას!

ყველაზე დიდ გამარჯვებას!

თავი მეოთხე

„ბედნიერი დიქტატორი“

1. „ნამდვილი სულას“ დასაწყისი

სულამ ბელონის ტაძარში სენატი შეჰყარა.

სხდომა გახსნა თუ არა, განწირულ ადამიანთა საზარელმა ბღავილმა შეძრა გარემო.

შეძრწუნებული სენატორები ფეხზე წამოიჭრნენ.

სულამ ხელი ასწია და „მამანი სამშობლოისა“ გესლიანი სიცილით „დაამშვიდა“:

„გირჩევთ, მე მომისმინოთ! გარეთ რაც ხდება, თქვენ არ გეხებათ. იქ ჩემი ბრძანებით ჭკუას ასწავლიან ზოგიერთ გარეწარს!“

დიახ, სწორედ ამ დროს მარსის ველზე სულას ჯალათები ყელს სჭრიდნენ 8 000 ტყვე მოჯანყეს. მათ შორის იყვნენ მძიმედ დაჭრილი პონტიუს ტელეზინუსი, დამაზიპი და კარინა.

სულა ლაპარაკობდა და ტკბებოდა ცქერით, როგორ თრთოდნენ სენატორები სასაკლაოდქცეულ მარსის ველიდან შემოჭრილ ყოვგლ-გმინვა-ღრიალზე და ჯალათის ხელით მოქნეული იარაღის ჩახუნზე.

დაე, ამიერიდან ყველამ იცოდეს, სულასეული „ჭკუის სწავლება“ ნიშნავს სიკვდილს, ხოლო „გარეწარი“ — სულას მტერია.

სენატი მშვიდად და არხეინად იყოს, რადგან სულა სწორედ მისი „რესპუბლიკური ძალაუფლების“ აღსადგენად და დასაცავად მოვიდა რომში. მაგრამ, რაც მთავარია, სენატს მხოლოდ მაშინ აქვს უფლება „არხეინად ყოფნისა“, თუ იგი „ჭკუით იქნება“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მან საკუთარი ჭკუა „არ უნდა შეაწუხოს“ და „ფეხბედნიერი სულას“ ნაბრძანებს მიჰყვეს.

მაშ, ლუციუს კორნელიუს სულა იწყებს „რესპუბლიკის აღდგენას“.

ეს კი იმას ნიშნავს რომ დაიწყება წარკვეთილი თავების ახალი

„გამოფენა“ რომის ფორუმზე; ამჯერად არისტოკრატთა თავებს შეცვლიან დემოკრატთა თავები.

დაიწყო იმით, რომ პრენესტეში ჩაკეტილ მარიუსელებს, სულას ბრძანებით, დახოცილ თანამებრძოლთა თავები შეუგორეს.

მარიუს უმცროსთან ერთად პრენესტეს სიმაგრეში პონტიუს ტელეზინუსის ვაჟიც იყო. წარკვეთილ თავთა შორის შვილმა მამის თავიც იპოვა.

ახალგაზრდა გმირები მიხვდნენ, რომ ბრძოლა საბოლოოდ წაგებული იყო. დიდი მარიუსისა და მამაცი ტელეზინუსის ვაჟებმა ღირსეულად დაასრულეს სიცოცხლე: მახვილები გაიძრეს, ერთმანეთს მიუმარჯვეს და მკერდით ზედ წამოეგნენ.

ოფელამ მარიუსის წარკვეთილი თავი რომში გაგზავნა. სულამ იგი ფორუმზე გამოჰკიდა და დასცინა:

„კაცმა ჯერ ნიჩბის მოსმა უნდა ისწავლოს და საჭეს მერე მიუჯდეს“.

მერე სულა თვითონ ჩავიდა პრენესტეში და, მისი ბრძანებით, ყველა, ვინც პრენესტეში იყო, ადგილობრივი მცხოვრებნი, მარიუსელები, მარიუსის მომხრე სენატორები, თუ სამნიტები, სულ ერთიანად, განუკითხავად და განუსჯელად ამოჟლიტეს. ქალაქი გაძარცვეს, გააშიშვლეს და ნანგრევებად აქციეს.

პრენესტეს ბედის მომსწრე იტალიის სხვა ქალაქებმა პატიების იმედი დაკარგეს და გადაწყვიტეს, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ებრძოლათ.

საშინელი იყო ლათინური ქალაქის, ნორბას ტრაგედია. იგი ღალატის წყალობით აიღო სულასაგან წარგზავნილმა მარკუს ემილიუს ლეპიდუსმა. როცა მცხოვრებლებმა ქალაქში შემოჭრილი მტერი იხილეს, მათ თვითონ მისცეს ცეცხლს თავიანთი სახლ-კარი და ავლა-დიდება. მერე, საშინელი და სამარცხვინო ტყვეობიდან თავდასახსნელად ისინი საკუთარი ხელით ხოცავენ თავიანთ ცოლ-შვილს და თვითონაც თავს იკლავენ.

რომაელებმა კიდევ ერთხელ დაანგრიეს და იავარჰყვეს კაპუა და ნეაპოლი.

სულამ გადაწყვიტა, სავსებით და სამარადჟამოდ ამოეგდო იტალიაში სამნიტთა სახელი და სახსენებელი. იგი ფიქრობდა, რომის მოსვენება მანამ არ იქნებოდა, სანამ მის კედლებს ჟამიდან ჟამზე აწყდებოდა გმირული სამნიტური სულთქმა.

კვლავ შეესივნენ რომაული ლეგიონები სამნიტურ და საბელურ სოფელ-ქალაქებს და, რაც „მოკავშირეთა ომს“ გადაურჩა, ყველაფერი დასცეს და დაამიწეს. მშვენიერი ქვეყანა ნაოხარ უდაბნოდ აქციეს.

საბელ-სამნიტთა უკანასკნელი სარდალი, გაიუს პაპიუს მუტილუსი, დამარცხებული დაბრუნდა მშობლიურ ტეანში. ცოლმა სახლში არ შეუშვა შერცხვენილი მეუღლე და პაპიუსმაც აღარ დააყოვნა: იქვე, საკუთარი სახლის კართან, მახვილზე გულით წამოეგო.

ორ წელიწადს იგერიებდა რომაელთა იერიშებს ეტრუსკული ქალაქი ვოლატერი. ბოლოს მისი მცხოვრებლებიც დანებდნენ სიცოცხლის შენარჩუნების იმედით. მაგრამ სულას მეომრები გამოედევნენ შიმშილითა და სნებით ქანცგაწყვეტილთ და უწყალო ხელით გაჟლიტეს ყველა.

2. „ჯალათი-ბიჭუნა“

დემოკრატთა ერთი ნაწილი, პერპერნას მეთაურობით, სიცილიაში იყო გამაგრებული. იქვე, აფრიკასა და სიცილიას შორის, ზღვებზე ფლოტით ბატონობდა დემოკრატი კონსული გაიუს პაპირიუს კარბონი.

სულამ სიცილიაში გაგზავნა გნეუს პომპეუსი.

პერპერნა შეუშინდა პომპეუსის უზარმაზარ არმიასა და ფლოტს და უბრძოლველად დათმო კუნძული. პომპეუსმა სიცილია სულას მბრძანებლობას დაუმორჩილა. ყველა ქალაქი ხმლის მოუქნევლად დანებდა ბედს, მხოლოდ მესანაში მცხოვრები მამერტინელები აპირებდნენ გაძალიანებას. მათი ელჩები პომპეუსს უსაბუთებდნენ მესანის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ტრადიციულ კანონიერებას. ამაზე გულზვიადმა სარდალმა უპასუხა:

„შეწყვიტეთ კანონიერებაზე ლაპარაკი მასთან, ვისაც წელზე მახვილი არტყია!“

მესანაც დამორჩილდა თავის მწარე წილხვედრს.

მალე პომპეუსის მეომრებს ხელთ ჩაუვარდათ პაპირიუს კარბონი.

პაპირიუსმა ადრე, როცა ბედისწერის ჩარხი მისკენ ბრუნავდა, სიკვდილისაგან დაიხსნა მარიუსელთაგან დევნილი პომპეუსი. ახლა სამაგიეროს მისაზღავად პომპეუსის რიგი დადგა.

და მანაც მიუზღო.

კარიერის ციებ-ხურვებით შეპყრობილი ახალგაზრდა გმირისათვის ამაგდარი მეგობრის შეწყალებაზე მაღლა პირქუში დიქტატორის სიამოვნება იდგა. მან ურცხვი, პომპეზური ტონით ბრძანა:

„ახლავე თავი გააგდებინეთ სამშობლოს მოღალატეს!“

და, რომის ფორუმზე დემოკრატთა კიდევ ერთი ბელადის, სამგზის კონსულის, გაიუს პაპირუს კარბონის თავიც ჩამოეკიდა.

ახალგაზრდა პომპეუსს კი, ასეთი სისხლიანი უმადურობისათვის, სამუდამოდ დაერქვა „ჯალათი-ბიჭუნა“ (adolescentulus carnifex).

რაკი პომპეუსმა სიცილიაში ვერ შეძლო გმირის შარავანდედის მოპოვება, იგი აფრიკისაკენ გაეშურა. აქ თავს აფარებდნენ დემოკრატები დომიციუს აჰენობარბის მეთაურობით, რომელსაც კავშირი ჰქონდა ნუმიდიის მეფე ჰიარბთან.

პომპეუსს უკვე დიდ სციპიონებზე ნაკლებად როდი მოჰქონდა თავი. მას სწამდა, რაკი ჰანიბალის მძლემ და კართაგენის დამანგრეველმა აფრიკის ცხელ მიწაზე მოიხვეჭა ყველაზე დიდი მოსახვეჭელი, ახლაც იგივე აფრიკიდან დაიჭექებდა „ახალი აფრიკელის“ (პომპეუს აფრიკელის) მგრგვინავი სახელი.

პომპეუსი ექვსი ლეგიონითა და ას ოცი გემით მიადგა აფრიკას.

გადასვლისთანავე სამი ათასმა კაცმა მიატოვა დომიციუსის ბანაკი და პომპეუსს ჩაბარდა.

ბრძოლის დაწყებამდე პომპეუსის რამდენიმე მეომარი შემთხვევით მიწაში ჩაფლულ განძს წააწყდა. სიმდიდრეზე დახარბებულმა რომაელებმა იფიქრეს, ამ ადგილებში ალბათ კართაგენელებმა ძნელბედობის ჯამს ოქრო-ვერცხლი დამარხესო. პომპეუსის ლეგიონერები მთელი დღე თხრიდნენ, ჩხრეკდნენ და ქექავდნენ მიწას. სარდლის ბრძანება აღარ ესმოდათ, სანამ არ დარწმუნდნენ, ტყუილად ეძებდნენ მოუძებნელს. დომიციუსმა კი ხელიდან გაუშვა მტერზე თავდასხმის ეს ხელსაყრელი მომენტი.

მეორე დღეს, წვიმიანსა და ქარიშხლიან ამინდში გაიმართა ბრძოლა. დემოკრატები სასტიკად დამარცხდნენ. დომიციუსი თავის ჩვიდმეტი ათას მეომართან ერთად ბრძოლის ველზე დაეცა. ტყვედ ჩავარდა ჰიარბი, რომელსაც, პომპეუსის ბრძანებით, თავი გააგდებინეს, ხოლო მის ნაცვლად ნუმიდიის ვასალურ ტახტზე ჰიემპსალი დასვეს.

გამარჯვებული პომპეუსი უტიკაში მივიდა, სადაც მას გადასცეს სულას ბრძანება:

„გნეუს პომპეუსმა დაუყოვნებლივ დაშალოს არმიები და მხოლოდ ერთი ლეგიონით დაელოდოს მის შემცვლელ სარდალს!“

მაშ, პომპეუსს ტყუილად ჰქონია იმედი, რომ მის აფრიკულ ლაშქრობას ისე დააფასებდნენ, როგორც სციპიონებისა და მარიუსის აფრიკულ ღვაწლმოსილებას. იგი რომში უნდა დაბრუნებუ-

ლიყო არა როგორც გმირი „იმპერატორ-ტრიუმფატორი“, არამედ როგორც უბრალო, უჯარო და უმაქნისი კერძო მოკვდავი.

პომპეუსი მადლობელიც უნდა იყოს სულასთან დაახლოებითა და დამოყვრებით, დიახ, დამოყვრებით: სულამ მისი გულისთვის თავისი ფეხმძიმე გერი ემილია ქმარს გაჰყარა და შერთო პომპეუსს, რომელიც თავის მხრივ, გაშორდა სათნო ანტისტიას. რა ვუყოთ, რომ ადამიანები შეეწირნენ ამ უბედურ ქორწინება-განქორწინებას: ანტისტია ჯავრით მოკვდა, მამამისი პომპეუსის მტრებმა მოკლეს, დედამ თავი მოიკლა. პომპეუსის ახალი ცოლი კი პირველი ქმრისგან მოყოლილ მუცელს გადაჰყვა.

ერთი სიტყვით, რაც მოხდა სულ პომპეუსის ბრალი იყო. მან სულასთან დაახლოებისა და კარიერის მოხვეჭისათვის ჩაიდინა ყოველივე. სულას ბრძანებას აქ თითქოს არაფერი როლი უთამაშია.

პომპეუსი ასეთი ბჭობა-ჭრის ბურანში გახვეული იდგა უტიკაში. იგი გამოარკვია ჯარისკაცების ღრიალმა: ისინი პომპეუსს მოუწოდებენ, არ დაემორჩილოს სულას ბრძანებას და ხელი არ აიღოს მთავარსარდლობაზე!

რომში კიდევაც მოვიდა ამბავი, რომ პომპეუსი სულას გადაუდგა.

სულამაც მყისვე ავი სარკაზმით თქვა:

„ჩემს ბედს რა ვუთხრა, რომ ამ ხანდაზმულობის ჟამს ლაწირაკებთან მიხდება ბრძოლა!“

იგი გულისხმობდა ორ ახალგაზრდას — გაიუს მარიუს უმცროსს, რომლის თავი უკვე ესვენა ფორუმის ტრიბუნაზე, და გნეუს პომპეუსს, რომელსაც თავი ჯერ კიდევ ედგა მხრებზე.

მაგრამ პომპეუსმა დაინარჩუნა თავი მხრებზე. დაამშვიდა გაჭირვებული ლეგიონები და რომში კვლავ დაბრუნდა, როგორც სულას კლიენტი.

სულამაც ისევ დააფასა „თავისი ბიჭუნას“ ერთგულება და ქედდადრეკილობა. იგი ქალაქგარეთ შეხვდა მას, ღიმილით მიესალმა და უწოდა „მაგნუს“ („დიდი“).

ეს ეპითეტი სამარადჟამოდ შერჩა პომპეუსს.

პატივმოყვარეობა მაინც ადნობდა პომპეუსის გულს. მას მოსვენებას უკარგავდა ტრიუმფზე ფიქრი. სულაც ჯანჯლობდა და დიდების მწვერვალისაკენ მიმავალი გმირის თხოვნას ყოველთვის ბანზე აგდებდა. იგი ამბობდა, რომ დიდ სიპპიონსაც კი არ მიუღია ტრიუმფი ესპანეთის დაპყრობისათვის, რადგან ის არც კონსული იყო და არც პრეტორი. მით უფრო, პომპეუსს არაფერი თანამდებობა არ უჭირავს. იგი მხოლოდ დიქტატორისგან წარგზავნილი სარ-

დალია; მას სენატში ჯდომის უფლებაც არა აქვს, რადგან ჯერ ნიკაპზე ღინღლიც არ ამოსვლია.

შეურაცხყოფამ ააფეთქა პომპეუსის ზვიადი სული და თავის მრისხანე მფარველს ასეთი სიტყვა აკადრა:

„ადამიანები თაყვანს უფრო ამომავალ მზეს სცემენ, ვიდრე ჩამავალს!“

სულა გააოცა და გააოგნა აბეზარი კლიენტის ასეთმა მოულოდნელმა გაბედულებამ და უნებურად შეჰყვირა:

„დაე, იზეიმოს მან ტრიუმფი! დაე, იზეიმოს!“

და პომპეუსმაც იზეიმა. ჯერ მას სურდა, სატრიუმფო ეტლში აფრიკიდან ჩამოყვანილი სპილოები შეება, მაგრამ ქალაქის კარებში ვეღარ გაეტია და იძულებული გახდა, ისევ ჩვეულებრივი ცხენებით დაკმაყოფილებულიყო.

მერე, სარდლის სიძუნწით უკმაყოფილო ჯარისკაცები დაემუქრნენ, რომ ტრიუმფს ღრიალითა და არეულობით ჩაშლიდნენ, მაგრამ ისინი დამშვიდდნენ, როცა პომპეუსმა მუქარითვე უპასუხა.

„მე მირჩევნია, უარი ვთქვა ტრიუმფზე, ვიდრე თქვენი თავხედობა მოვითმინო!“

ასე, ჭაპანწყვეტით აისრულა პომპეუსმა თავისი საწადელი.

ეს მოხდა 80 წელს, როცა პომპეუსი იყო ოცდაექვსი წლისა, ხოლო სულა — ორმოცდათვრამეტისა.

მაგრამ სულა ამ დროს თავისი „ნამდვილი სრულყოფილების“ ზენიტში იყო.

ახლა ვნახოთ, რას ნიშნავდა „ნამდვილი სულა“.

3. „ნამდვილი სულა“

ჯერ მოვუბრუნდეთ და თხრობა განვაგრძოთ იქიდან, საიდანაც სულამ რვა ათასი აჯანყებული იტალიელის დაკვლით ქვეყანას ამცნო თავისი სისხლიანი რეჟიმის ფეხის შემოდგმა.

სულა მთელი სახელმწიფო რეორგანიზაციის ზღურბლთან იდგა. მისი განზრახვა ითვალისწინებდა დემოკრატიის სავსებით განადგურებას და არისტოკრატიის ძალაუფლებათა აღორძინებას. ეს კი ბუნებრივია, საძირკველი უნდა ყოფილიყო მისი ერთპიროვნული მბრძანებლობისა.

ასეთ გრანდიოზულ გარდაქმნათა განხორციელება პროკონსულის რწმუნებით აღჭურვილ მაგისტრატს ოფიციალურ-კონსტიტუციური წესით არ შეეძლო. იგი, მართალია, თავისი ერთგული, „უსა-

მშობლოო“ ლეგიონების ფარებზე მოსეირნე ფაქტიური მეფე იყო, მაგრამ მას, „რესპუბლიკის ქომაგს“, სჭირდებოდა და სურდა, სწორედ ფორმალურ-რესპუბლიკური რწმენებებით აღჭურვილს, მოეხდინა ავბედითი მოსახდენელი. „რესპუბლიკური“ კონსტიტუციისაგან მას შეეძლო მიეღო დიქტატურა ექვსი თვით. ეს ფორმალური ფარსი სავსებით საკმარისი იქნებოდა, რომ „აღმოსავლეთის გმირს“ „რესპუბლიკური დიქტატურა“ ვადითა და უფლებებით ზღვარდაუდებელ მონარქიად ექცია.

სულამ რესპუბლიკა გაუქმებულად ვერ გამოაცხადა, მაგრამ ფაქტიურად კი გააუქმა. მან სენატს დაუტოვა მისი ფარატინა კონსტიტუცია, ხოლო თავისთვის იგივე ფარატინა კონსტიტუციით მონათლული, ნამდვილი ერთპიროვნული დიქტატურა შექმნა. მას სჭირდებოდა მხოლოდ მოჩვენებითი არჩევითობა, ვითომცდა რესპუბლიკისგან ნაბოძები.

სენატმაც „უბოძა“ იგი.

ეს პოლიტიკური ფარსი შემდეგნაირად გათამაშდა.

რესპუბლიკური კონსტიტუცია, კონსულების დაღუპვის შემთხვევაში, ითვალისწინებდა თავისებური დროებითი მთავრობის, ე. წ. „მეფეთშორისის“ (interrex) არჩევას. რაკი ამჯერადაც ორივე კონსული (პაპირიუს კარბონი და მარიუს-მრწემი) სულასთან ბრძოლას ემსხვერპლნენ, სულამ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ეს მოიმიზეზა და სენატს ბრძანება მისცა, აერჩიათ „მეფეთშორისი“.

სენატმაც „მეფეთშორისად“ აირჩია „სენატის პრინცეპსი“ ვალერიუს ფლაკუსი.

სენატს ეგონა, კონსტიტუციური წესით ფლაკუსი კონსულთა არჩევნებს დანიშნავდა, მაგრამ „მეფეთშორისმა“ სულასგან ფიცხელი ბრძანება მიიღო, რომლის ძალითაც უნდა გამოცხადებულიყო შემდეგი:

„ლუციუს კორნელიუს სულას რომის სახელმწიფოსათვის საარგებლოდ მიაჩნია დიქტატორული მმართველობის შექმნა. ის, ვინც დიქტატორი იქნება, ქვეყანა უნდა მართოს არა ჩვეულებრივი (კონსტიტუციური) ექვსი თვით, არამედ განუსაზღვრელი ვადით“.

მერე, ვინ უნდა ყოფილიყო მანამდე უპრეცედენტო და უწინამორბედო „მუდმივი დიქტატორი“?

რასაკვირველია, ისევ და ისევ სულა.

იგი თვითონ მიუთითებდა, პირდაპირ, უბოდიშოდ, ჯიქურად. მიუთითებდა თავის თავზე, ვითარცა „მუდმივი დიქტატურის“ (dictatura perpetua) ერთადერთ კანდიდატზე.

ვინ გაბედავდა, უარი ეთქვა თუნდაც ასეთი უბოდიშო მოთხოვნის

ავტორისათვის, რომლის ვერცხლოვან არწივთა ქვეშ უკვე 120 000 მეომარი იდგა?

და, აი, „მეფეთშორისმა“ ვალერიუს ფლაკუსმა სახალხო კრებას წარუდგინა კანონპროექტი, რომ დანიშნულიყო პროკონსული ლუციუს კორნელიუს სულა დიქტატორად, რათა „შეედგინა კანონები, აღედგინა და განემტკიცებინა სახელმწიფოებრივი წესრიგი“.

მას, ერთადერთს, განუყოფლად ეძლეოდა უმაღლესი საკანონმდებლო და სამოსამართლო ძალაუფლება, განუსაზღვრელი გამგებლობა მოქალაქეთა სიკვდილ-სიცოცხლისა და პირადი საკუთრებისა.

და ყველა ეს უფლება სულას ეძლეოდა ვადაგანუსაზღვრელად, მანამდე, სანამ ამას საჭიროდ ჩასთვლიდა თვითონ სულა.

აგრეთვე, ძალაში შედიოდა დიქტატორად დანიშვნამდე გაცემული ყველა მისი განკარგულება. ეს ნიშნავდა სახალხო კრებისა და სახალხო ტრიბუნთა ძალაუფლების ფაქტიურ გაუქმებას.

მსოფლიოს ცენტრში „რესპუბლიკურ ძონძებში“ გახვეულმა ტიპიურმა აღმოსავლურმა მონარქიამ დაისადგურა.

„აღმოსავლელმა დიქტატორმა“ ძოწეულის ტოგა წამოისხა, თავზე ოქროს გვირგვინი დაიდგა და ხელთ ნაჯახი მოიმარჯვა.

დემოკრატიის ჩარხი უკუღმა დატრიალდა.

სულამ ქალაქში შესვლისთანავე გამოაცხადა, რომ იგი სიკვდილით სჯიდა ყველას, ვინც მის წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება გაბედა კონსულ სციპიონთან ზავის დადების შემდეგ.

ამას მოჰყვა სულას წერილობითი პროკლამაცია აჯანყებულთა, მათ თანამგრძნობთა და, საერთოდ, დიქტატორისათვის ყველა არასასურველ ადამიანთა კანონგარეშე გამოცხადების შესახებ.

დიდი ბიზანთროპი თავის მომხრეებს უსაზღვრო რწმუნებებს აძლევდა უგანაჩენო კაცთაკვლისა და განუკითხველი ძარცვა-რბევისათვის.

ერთბაშად რომი სისხლის აბანოდ იქცა. უკვე რამდენიმე ათასი კაცი გამოესალმა წუთისოფელს.

და ერთ დღეს შიშით კრიჭაშეკრული სენატის სხდომაზე კვინტუს მეტელუს პიუსმა ძლივს შეჰბედა მძვინვარე დიქტატორს:

„როდემდე გაგრძელდება ასე?!“

სულა ბოროტი მზერით მიაშტერდა ერთგულ თანამებრძოლს.

მეტელუსს სისხლი გაეყინა და ბოლოს ძლივს ამოიხრიალა:

„არა. ჩვენ ხომ იმათ ხსნას არ გთხოვთ, ვისი განადგურებაც შენ გადაწყვიტე, არამედ მხოლოდ იმას გემუდარებით, დაგვიხსნა შეუცნობლობისაგან!“

„რა შეუცნობლობისგან?“

„ვის სტოვებ ცოცხალს?“

დიქტატორი ერთხანს სდუმდა და რაღაცას ფიქრობდა. მერე დინჯად თქვა:

„მე ჯერ კიდევ არ გადამიწყვეტია, ვის ვაჩუქებ სიცოცხლეს.“

მეტელუსმა სიტყვა უფრო შეათამამა:

„მაშ ის მაინც გამოაცხადე, ვისი სიკვდილიც გადაგიწყვეტია!“

და სულამაც წამიერი ფიქრის შემდეგ სუსხიანად განაცხადა:

„დე, ასე იყოს!“

ეს თქვა, იქვე ჩაჯდა და სულმოუთქმელად ოთხმოცი კაცი შეიტანა სასიკვდილო სიაში, რომელიც, მისი ბრძანებით, მაშინვე ფორუმზე აღმართეს.

ეს იყო პირველი „პროსკრიპცია“ — სიკვდილმისჯილთა სია.

მეორე დღეს მოჰყვა მეორე, ორასოცკაციანი „პროსკრიპცია“.

მერე მესამე — განწირულთა კიდევ მეტი რიცხვით.

შემდეგ სულა გამოვიდა სახალხო კრების წინაშე და თქვა:

„შე სასიკვდილო სიებში შევიტანე მხოლოდ იმათი სახელები, ვინც მომაგონდა, ხოლო ვინც ჯერჯერობით ვერ მოვიგონე და მტერთაგან ვისაც პირადად ვერ ვიცნობ, იმათ სასიკვდილოდ მხილებას ვანდობ ხალხს. სამაგიეროდ, მე, დიქტატორი ლუციუს კორნელიუს სულა, ყოველ დამსმენელსა და მკვლელს „ერთგულებისთვის“ ვპირდები დიდ ჯილდოს, ხოლო განწირულის მფარველს — უწყალო სიკვდილს!“

სხვა რაღა გინდათ?!

რომის ქუჩები და მთელი იტალიის სოფელ-ქალაქები „პროსკრიპციებით“ გაივსო.

პირი გაიხსნა ადამიანურ ბოროტებათა ყველა ბუდემ.

„პროსკრიპციაში“ ხვდებოდა ყველა, ვისაც ოდნავ ალმაცერი მზერით უცქეროდა ვინმე სულანელი, ან შურიანი მეზობელი, ან, უბრალოდ, რაიმე ცხოვრებისეული „უიღბლობით“ გაბოროტებული ადამიანი.

სულასა და სახელმწიფოს მტრად ითვლებოდა ყველა, ვისაც ბრალად მხოლოდ ის ჰქონდა, რომ დაბეზღებასა და სასიკვდილო სიაში შეტანას სხვა მოასწრებდა.

საკითხიც სწორედ ასე იდგა: ვინ ვის მოასწრებდა.

ვისაც მოასწრებდნენ და „პროსკრიბირებულად“ აქცევდნენ, იგი უწყალოდ კვდებოდა, ქონება ერთმეოდა, ოჯახი, შვილები და ახლობელ-ნათესავნი დედაბუდიანად კანონგარეშე ცხადდებოდნენ.

კონფისკაციაქმნილი ქონების „ლომის წილი“ სულას ხაზინაში

მიდიოდა, დანარჩენი მკვლელთა, ჯაშუშთა, აგენტთა, მეგობარ ამ-ფსონთა, ჯამბაზთა და მეძავთა შორის ნაწილდებოდა.

„პროსკრიპციამ“ მოშალა ადამიანთშორის ზნეობრივი დამოკიდებულების მუხრუჭები.

კაცი კაცს გაურბოდა და ემალებოდა.

მეზობლისადმი შურით აღვსილ მეზობელს, თუნდაც იმიტომ, რომ მისი თხა საძოვრიდან უფრო მაძღარი მოვიდა. „მეტოქის“ გვარი „პროსკრიპციაში“ შეჰქონდა.

ბევრი ამ სასიკვდილო „შავ სიაში“ მხოლოდ იმიტომ შეჰქონდათ, რომ სანამ ჩაწერდნენ, თურმე მანამდე კლავდნენ.

აღსდგა ძმა ძმაზე, შვილი — მამაზე და მამა — შვილზე.

უხვად ჯილდოვდებოდა ყველა, ვინც პროსკრიბირებულს მოკლავდა, ან მის სამალავს მიუთითებდა.

ხოლო ის, ვინც განწირულს თავშესაფარს მისცემდა, თვითონვე სიკვდილს ეძლეოდა.

ბოროტება დამსახურებად ითვლებოდა, ხოლო პატიოსნება — ბორტმოქმედებად.

გამორიცხული იყო იურიდიული გამოძიებისა და სამოსამართლო პროცედურის ელემენტარული ფორმაც კი.

განწირულნი იღუპებოდნენ ერთბაშად, იქვე, სადაც მოახელებდნენ: სახლიდან ფეხის გამობიჯებისთანავე, დედის, ცოლისა და შვილების თვალწინ, ან სარეცელზე მძინარე, ან ჭამის, ლოცვის, თუ ტრფიალის დროს.

ზოგს კლავდნენ იმ დროს, როცა იგი დაფაზე გაკრულ „პროსკრიპციას“ მიადგებოდა იმის გასაგებად, ჩემი გვარი ხომ არ არისო იქ შეტანილი!

სიკვდილით ისჯებოდა ისიც, ვინც პროსკრიბირებულთა დატირებას, ან სინანულით მოხსენიებას გაბედავდა.

გაბოროტებული დიქტატორი არც იმათ ინდობდა, ვინც მის ანგარიშსწორებას საკუთარი სიკვდილით დაასწრეს. მან საფლავიდან ამოთხარა გაიუს მარიუსის ნეშტი და მდინარეში ისროლა. მარიუსის ძლევამოსილების ტროფეუმები დაანგრიეს და ცეცხლს მისცეს.

იდროვა ახალგაზრდა ლუციუს სერგიუს კატილინამ (შემდგომში ცნობილი შეთქმულების ბელადი) და სულას სიამოვნებისთვის საშინელი წამებით მოკლა მარიუსის ნათესავი, ნიჭითა და კეთილშობილებით სახელგანთქმული მარკუს მარიუს ტუდიტანი. კატილინამ ტუდიტანის თავი ფორუმზე მოართვა სულას, თვითონ კი იქვე, აპოლონის ტაძართან მივიდა და გასისხლიანებული ხელები საღვთო-სასხურებელ წყალში ამოიბანა.

სულა კმაყოფილი დარჩა, რომ მადლი მადლით გადუხადეს: ოცტა ხნით ადრე კატილინამ თავისი ძმა მოკლა და სულას ხვეწნა-მუდარით მანამ არ მოეშვა, სანამ მოკლული ძმის სახელი პროსკრიპციაში არ შეატანინა.

განსაკუთრებით უპირდათ მდიდარ მოქალაქეებს, რადგან მოკლულის ქონება ხომ მკვლელს რჩებოდა, მათი გვარები, განუკითხავად პოლიტიკური პოზიციისა და მრწამსისა, უხვად ჩნდებოდნენ პროსკრიპციებში.

ვინმე კვინტუს ავრელიუსმა, სულას ბანაკისთვის პოლიტიკურად საეჭვოებით „მოსათმენმა" კაცმა, რომელსაც ალბანის მთის ძირში (რომიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით) მდიდარი მამული ჰქონდა, შემოხვევით წაკითხვისას ფორუმზე გაკრულ პროსკრიპციაში თავისი სახელიც აღმოაჩინა და სასოწარკვეთილმა დაიბღავლა:

„ვაიმე, უბედურს! სასიკვდილოდ მომდევს ჩემივე ალბანური მამული!"

მან მხოლოდ ორიოდ ნაბიჯის გადადგმა მოასწრო, ვიღაც წამოეწია და ყელში დანა ჩასცა...

სისხლით გალეშილი დიქტატორი „რესპუბლიკური კანონიერების სიწმინდეს" ხშირად საკუთარი წრიდანაც სწირავდა მსხვერპლს. მისმა უერთგულესმა თანამებრძოლმა კვინტუს ლუკრეციუს ოფელამ, პრენესტეში დემოკრატთა განადგურების მთავარმა გმირმა, კონსულობა აიჩემა და სულას თხოვნით გული შეუწუხა.

სულა რესპუბლიკის კონსტიტუციას იშველიებდა და აბეზარ მეგობარს, რომელსაც ჯერ პრეტურა ან კვესტურა არ გაევლო, კონსულობაზე უარს ეუბნებოდა.

ოფელამ არ იქნა და არ დაიშალა.

ეს ერთ დღეს. შუა ფორუმზე, ხალხის თვალწინ, სულას ბრძანებით, კონსულობაზე მეოცნებე ოფელას გულში მახვილი აძგერეს.

დიქტატორი დაზაფრულ ხალხს მიუბრუნდა და მრისხანედ თქვა:

„კარგად გაიგონეთ და დაიმახსოვრეთ, მოქალაქენო: მე მოვკალ ლუკრეციუს ოფელა იმიტომ, რომ მან ჩემი არ შეისმინა."

ეს თქვა, უცებ ბოროტად გაიღიმა და განაგრძო:

„ახლა ეს იგავიც მოისმინეთ და კარგად დაიმახსოვრეთ: ერთ ბერებს, როცა იგი ხნავდა, ტილებმა დაუწყეს კბენა. ორჯერ მიატოვა სახვნელი, ნიფხავ-პერანგი გაიძრო და გაასუფთავა. როცა ტილებმა ისევ დაუწყეს კბენა, გლეხმა, მუშაობაზე რომ ხელი არ შეშლოდა, ნიფხავ-პერანგი გაიძრო და თავის ტილებიანად ცეცხლში ჩაყარა. ჰოდა მეც ვურჩევ მათ, ვინც ორჯერ გამიფრთხილებია, შესანდ ცეცხლი არ გამომტყუოს!"

რასაკვირველია, ყველაფერი ნათლად და „საინტერესოდ“ იყო ნათქვამი. ხალხი უამისოდაც გარკვეული იყო თავის ტრაგიკულ მდგომარეობაში. ყველამ კარგად იცოდა, რომ „ბედნიერ დიქტატორს“ ასეთი „ხუმრობა“ უყვარდა.

ხანდახან ის ხალხს აოცებდა უცნაური სულიერი მეტამორფოზით:

ერთხელ ვიღაც ენაგაქლესილმა მომწერლო-მოპოეტო ვიგინდარამ სულას უნიჭოდ დაწერილი ლექსი-პანეგირიკი მიუძღვნა. დიქტატორმა უსმინა და უთმინა. როცა „თხზულების“ კითხვა დამთავრდა, სულამ მეხოტბეს სამაგიეროდ რომელიღაც კონფისკაციაქმნილი ქონების ნაწილი მისცა, მაგრამ ფიციც იქვე ჩამოართვა, რომ ამიერიდან ეს აბეზარი კალმოსანი უნიჭო მჯღაბნელობას თავს დაანებებდა...

ხოცვა-ჟლეტა გრძელდებოდა.

ფორუმი წარკვეთილ თაკებს ვეღარ იტევდა. მათი „გამოფენა“ ფორუმს გასცდა და სერვილიუსის შადრევნამდე გაიწვართა. ორიოდ თვეში რამდენიმე ათასი კაცი ემსხვერპლა პროსკრიპციას.

სისხლით გალოთებული დიქტატორი ახალ სახელმწიფო კანონმდებლობას ჩაუჯდა. მალე ქვეყანას ამცნეს მისი დადგენილი და გვარის მიხედვით სახელდებული „კორნელიუსის კანონები“.

უწინარეს ყოვლისა, სულა ზრუნავს მათზე, ვისი მეოხებითაც იგი მივიდა ერთპიროვნულ მბრძანებლობამდე. ეს არის მისი ერთგული არმია, რომელიც მთავარსარდლისგან მოელის დანაპირებს. დიქტატორიც უაღრესად გულუხვია მის ჭირთა და ლხინთა თანაზიარი ვეტერანებისადმი. გარდა იმისა, რომ იღბლიანმა სარდალმა აღმოსავლეთის დალაშქვრით, იტალიის სოფელ-ქალაქთა ძარცვა-რბევითა და „პროსკრიპციებით“ თავისი მეომრები ფუფუნებაში ჩასვა, გამოსცა კანონი მიწის ნაკვეთებით მათი დაჯილდოების შესახებ.

თავისი ვეტერანების დასასახლებლად სულამ გამოიყენა ყველა გაუნაწილებელი მიწები; უმეტეს წილად კი ის ტერიტორიები, რომლებიც მან გამარჯვებული სარდლისა და დამპყრობელის უფლებით წაართვა ლაციუმის, ეტრურიის, კამპანიისა და სხვა იტალიურ ოლქთა ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებს. პრენესტე, ნორბა, სპოლეციუმი, კაპუა და პომპეა, რომელთა მოსახლეობა სულანელებმა გაჟლეტეს, ახლა სულას ლეგიონერ-კოლონისტებით დასახლდნენ. იტალიის ყოველ სოფელ-ქალაქში მოკლულ, შერისხულ, განდევნილ და კონფისცირებულ ოჯახებსა და მეურნეობებში, სულანელები სახლდებოდნენ.

ას ოცი ათასმა სულანელმა მიიღო მიწა და მზამზარეული სახლ-კარი.

ამგვარად, მთელი იტალია სულას სამსახურში გალესილი მახვილებით შეიკრა და შეიბოჭა.

ფელიციტას კუმირს შეეძლო, მშვიდად ყოფილიყო: იტალიის ყოველ პუნქტში, ყოველგვარი დემოკრატიული ექსცესის დასალახვრავად მახვილამოწვდილი იდგა სულანელი ვეტერანი-ლეგიონერი.

სულას შეეძლო, მშვიდად დაეძინა თვით მისგანვე სისხლით დატბორილ რომში. იქ მუდამ ფეხზე იდგა ჯალათთა გვარდია, დიქტატორისგან გააზატებული 10 000 მონა, უმრავლესობა ბრგე-ახოვანი გალი, სუყველანი მონათმფლობელური კირთებისგან გაბ-ოროტებულნი, ამჯერად „მწყალობელი დიქტატორისაგან“ ბორკილ-აყრილნი და, აგრეთვე, წყალობითა მისითა „კორნელიებად“ წ-ოდებულნი. ეს „გაბოროტებული პაიკები“ დიდი გულმოდგინებითა და აღტკინებით იცავდნენ სულას და ასრულებდნენ მის სისხლიან საქმეებს.

სულა გამორიცხავდა ყოველგვარ კომპრომისს დემოკრატიასთან ურთიერთობის ყოველ პუნქტში. მან დამარცხებულ მოპირისპირე ბანაკს ყველაზე დიდი, მომაკვდინებელი დარტყმა მიაყენა გრაკხუ-სების ღონისძიებათა გაუქმებით. სულამ აკრძალა იაფფასიანი და უფასო პურის დარიგება. მან წაართვა მხედართა წოდებას გაიუს გრაკხუსისგან მიცემული ყოველგვარი პრივილეგია. ამიერიდან მხედარ-პუბლიკან ფინანსისტებს ეკრძალებოდათ აზიიდან შემო-სავლის მიღება; ამის ნაცვლად „პროვინცია აზია“ მუდმივი, მტკი-ცე გადასახადებით დაიხარკა.

სულამ გააუქმა, აგრეთვე, გაიუს გრაკხუსისაგან შექმნილი მხედართა უმაღლესი სასამართლოები და მათ ადგილზე კვლავ აღ-დგინა „თავისი სისხლის“ ოლიგარქი-სენატორები. სულამ მხედ-რებს წაართვა მეორეხარისხოვანი და არაარსებითი პრივილეგიებიც კი, — თუნდაც საუკეთესო ადგილებზე დაჯდომის უფლება სახალ-ხო დღესაწაულებსა და სანახაობებზე.

ამგვარად, სენატორთა განუყოფელი ძალაუფლების სასარგებ-ლოდ, სულამ მთლიანად მოსპო მხედართა სოციალური წოდების არსებობა.

სულამ სპეციალური ღონისძიება შეიმუშავა სენატის გასაძლი-ერებლად. მან პოლიტიკური ამნისტია მისცა დემოკრატიისაგან დევნილ ყველა სენატორს. მერე არასაკმარისად მიიჩნია 300 სე-ნატორი და სენატის შემადგენლობა გაორკეცა. ახალი, ექვსასკა-ციანი ოლიგარქიული საკრებულო მთლიანად სულას უერთგულე-

სი მეგობრებით, ახლობლებით, საომარ და მაოხარ ავანტიურათა თანაზიარ სუბიექტთაგან შედგებოდა.

დიქტატორმა ცენზორებს აუკრძალა სენატის სიების გადასინჯვა და „გაცხრილვა", რასაც ისინი, კონსტიტუციის ძალით, ყოველ ხუთ წელიწადში აწარმოებდნენ. სულ მალე სულამ ცენზურა სავსებით გააუქმა.

ან რაღა საჭირო იყო, როცა თვითონ იგი გახლდათ უმაღლესი ცენზორი ყველაფრისა და ქვეყანაზეც არსებობდა მხოლოდ ერთადერთი ცენზი: ახლობლობა და ერთგულება ლუციუს კორნელიუს სულასადმი.

სულამ ფაქტიურად თითქმის მთლიანად მოსპო სახალხო ტრიბუნატი. ტრიბუნთა დამოუკიდებლობა და აქტიურობა აბსოლუტურად შეიზღუდა და სენატისაგან დამოკიდებული დარჩა. ამიერიდან ტრიბუნყოფილი კაცი სხვა უმაღლეს თანამდებობასაც კი ვეღარ ღებულობდა.

სულას სისხლიანი საქმენი და სასტიკი კანონმდებლობანი ბრწყინვალე ფინალური სცენით აღინიშნა.

ეს იყო მისი „აღმოსავლური ტრიუმფი", — საზეიმო სვლა მითრიდატე პონტოელზე გამარჯვებისათვის. იგი ხომ აღმოსავლეთში მოპოვებულ ნადავლთა და სახელ-დიდებათა მოხვეჭის წყალობით აღზევდა უმაღლეს მეუფედ რომისა...

და, აი, ჩვენ მას ვხედავთ ტრიუმფატორის ეტლში, ტრიუმფატორის ინსიგნიებით მორთულ-მოკაზმულს.

ჯერ არავის წამოუსხამს მხრებზე ასეთი ბრწყინვალე ტოგა (toga pretextae), ჯერ არავის სდგმია თავზე ასეთი გვირგვინი — ოქროსი, ბალახებითა და ყვავილები შემკული (corona obsidionalis).

მის ეტლს უკან მოსდევდნენ გვირგვინებით თავშემკობილი წარჩინებულნი და განუწყვეტლივ შეჰბღაოდნენ ტრიუმფატორ-დიქტატორის ზურგს:

„ოო, მამავ სამშობლოისა!"

„ოო, მხსნელო სახელმწიფოსი!"

„ოო, ბედნიერო იმპერატორო!"

სატრიუმფო პროცესიას წინ მიუძღოდა აურაცხელი ნაძარცვი და ნაალაფევი, აღმოსავლური ბრწყინვალებითა და დახვეწილობით მომხიბლავი ურიცხვი ნივთი.

ქუჩებში ტევა აღარ იყო. ქალაქის მთელი მოსახლეობა გამოსულიყო ტრიუმფატორის შესახვედრად.

ზოგი თვალსასეირნოდ მოსულიყო, ზოგიც — შიშით; ვაითუ

ასეთ „საზეიმო დღეს“ სახლში ჯდომა სამშობლოს ღალატად ჩამითვალონო!

ტრიუმფი ორ დღეს (82 წლის 29-30 იანვარს) გაგრძელდა.

30 იანვრის საღამოს პროცესია კაპიტოლიუმს მიადგა.

სულა ეტლიდან გადმოხტა, კაპიტოლიუმზე ავიდა, ხალხს ქორული მზერა მოავლო და ამეტყველდა.

იგი ლაპარაკობდა თავის ღვაწლმოსილებაზე სამშობლოს წინაშე; ლაპარაკობდა, როგორ იხსნა მან ქვეყანა აურაცხელი საგარეო და საშინაო საფრთხისაგან.

იგი ლაპარაკობდა სავსებით გულდამშვიდებით, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე.

ბოლოს სიტყვა ასე დაასრულა:

„ამიერიდან მე ყველას ნებას ვაძლევ, მიწოდოს „ფელიქსი“ (ბედნიერი) და „ეპაფროდიტი“ (აფროდიტეს საყვარელი)!

იგი შესდგა.

სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, მაგრამ მხოლოდ წამიერად, რადგან ხალხი მაშინვე მიხვდა, როგორ უნდა მოქცეულიყო, და ერთბაშად აღრიალდა:

„გაუმარჯოს ფელიქს დიქტატორს!“

„გაუმარჯოს ეპაფროდიტს!“

„სიცოცხლე ბედნიერ ეპაფროდიტს!“

„ლუციუს კორნელიუს სულას!“

„იმპერატორს!“

„ფელიქსს!“

„ეპაფროდიტს!“

„დიდება, დიდება, დიდება!!!“

ის დღეც დასრულდა.

ადამიანებმა თავი დააღწიეს დიქტატორის გამჭვალავ მზერას, — ვაითუ გულწრფელი არ მოეჩვენა ჩვენი „აღტაცებული“ შეძახილები!

მალე „ფელიქსს“ ახალი ბედნიერება ეწვია: მაშინდელმა მეუღლემ, მეტელამ, მას ტყუპი ქალ-ვაჟი აჩუქა.

მამამ შვილებსაც „ბედნიერება“ და „სიხარული“ დაარქვა:

ვაჟს — „ფაუსტუს“, ქალს — „ფაუსტა“.

იმ დღეებში „სამშობლოსა და ოჯახის მამამ“ თავისი უზარმაზარი ქონების მეათედი ჰერკულესს შესწირა.

შემდეგ მოსდგა და დღესა და ღამეს ნადიმ-ღრეობასა და თავაწყვეტილ ბაკხანალიაში ასწორებდა.

შიმშილით განაწამები ღარიბ-ღატაკნი და უქონელ-უპოვარნი

ყოველ დილით ხედავდნენ, როგორ ყრიდნენ და ასხამდნენ ტიბრში სულას მსახურნი აურაცხელ ხორაგსა და ღვინოს, რომელთა შეჭმა და შესმა დიქტატორსა და მის ხროვას ვერასგზით ვერ მოეხერხებინათ.

ამ უთავქამო ლოთობისა და მუცელოხრობის დროს მეტელა ავად გახდა. სულამ შეატყო, მეოთხე ცოლსაც უნდა გამოსთხოვებოდა. მას არ უნდოდა, „ბედნიერი სახლი" ძაძებით შეემოსა, ავადმყოფ მეუღლეს განქორწინება გაუგზავნა და სიკვდილამდე სახლიდან გააძევა.

„ფელიქსს" არც ქვრივობა დაშვენდებოდა და სულ მალე ხელახალი „გაბედნიერების" შემთხვევაც დაუდგა.

იმ დღეს ცირკი ხალხით იყო გაჭედილი.

სულას საამებლად გლადიატორები ერთმანეთს წყვეტდნენ არენაზე.

დიქტატორი ლოჟაში იჯდა.

და. აი, ხალხმა დაინახა, როგორ შევიდა მასთან ვიღაც ლამაზი, ახოვანი ქალი. იგი ფრთხილი, შემპარავი ნაბიჯით უახლოვდებოდა იმპერატორის ზურგს...

ხალხი განაბული უმზერდა.

გლადიატორთა ურთიერთხოცვა მას აღარ აინტერესებდა.

ნუთუ რომელიმე ღმერთმა მოხედა რომს და მხსნელად ეს ქალი მოუვლინა!

იქნებ თვითონ იუნონაა, ან დიანა, ან მინერვა!

ქალი სულ ახლოს მივიდა და ხელი გამართა.

იგი უკვე შეეხო დიქტატორის ტოგას და ხელი დაიქნია...

ხალხმა ერთბაშად დაიღრიალა.

იმწამსვე სულაც გველცემულივით შექანდა და წამოიმართა.

მის წინ ქალი იდგა, მომხიბლავი ღიმილით დამშვენებული.

„ეს რას ნიშნავს?!" — წამოიძახა გაოგნებულმა იმპერატორმა. მერე მის ნაზ ხელს დააცქერდა და ავი ხმით ჩაჰკითხა:

„ხელში რა გიჭირავს?!"

„ისეთი არაფერი."

„მაინც?"

„ერთი ღერი ძაფი შენი ღვთაებრივი სამოსელიდან," — უთხრა ქალმა.

„რატომ, რისთვის?!" — გაოცდა სულა.

„მსურს, ამ ბეწვისოდენა რაიმე მაინც მქონდეს შენი ბედნიერებიდან, იმპერატორო!"

თქვა, გაბრუნდა და წავიდა.

თან გრძნობდა, რა ვნებითა და გატაცებით უმზერდა ყოვლისმძლე დიქტატორი.

ეს ქალი იყო ვალერია მესალა, ცნობილი ორატორის ჰორტენზიუსის და, ქმარს გაყრილი ბრწყინვალე რომაელი მატრონა.

სულას აღარ უცდია, თავი დაეღწია ამ ქალის ხიბლვისაგან და მეორე დღესვე ვალერია შეიქნა არამცთუ მფლობელი „ერთი ბეწვისა", არამედ სრული მონახევრე „ფელიქსის" ბედნიერებისა.

ეს სულას მეხუთე ქორწინება იყო...

4. „საწუთროსა დაუწყნარდეს"

დღეები დღეებს მისდევდა.

შიშისა და სისხლისაგან დამძიმებული რომი ამაოდ ელოდა გამოდარებას.

დაზაფრული ხალხი ყოველ ახალ დღეს ახალ საშინელებასთან შესახვედრად ემზადებოდა.

და, აი, 79 წლის ერთ ასეთ კოშმარიან დღეს დიქტატორმა ბრძანა რომაელი ხალხის შეკრება.

ფორუმი ხალხით გაიჭედა.

„რა სურს?!"

„რას გვიპირებს?!"

„რა უნდა მოხდეს?!"

უხმოდ, შემაძრწუნებლად წრიალებდა ეს კითხვები ყოველის გულში.

აი, გამოჩნდა ისიც, დიქტატორი.

ნაჯახიანი ფასცებით აღჭურვილი ოცდაოთხი ლიქტორი მოუძღოდა წინ.

თვითონ არხეინად მოაბიჯებდა, ახოვანი, ქედამართული, სახეწითელი, თვალდასისხლული, ღამენათევი, ნალოთარი და ნამრუშალი.

ტრიბუნაზე ავიდა და ხალხს დააშტერდა.

არავის შეეძლო მისი თვალის გასწორება. ეს თვითონაც იცოდა და ამიტომ არ ჩქარობდა:

„დაე, იწვალონ, ეშინოდეთ, ძრწოდნენ! ხალხი მხოლოდ შიშით არის ხალხი!"

როგორც იქნა, მოწყალება მოიღო და ხმამაღლა მოჰკვეთა:

„მე დღეიდან დიქტატორი აღარა ვარ!"

ეს სიტყვები მეხივით გავარდა.

ვინ მოელოდა ასეთ რაიმეს?!

სულა დიქტატორი აღარ იქნება?!

არა, იგი უეჭველად ხალხს სცდის!

მაგრამ თვითონ სულასაგან „ჭკუანასწავლი“ რომაელები ასე ოოლად როდი მოტყუვდებიან!

სულა კვლავ დიქტატორია!

„დიქტატორი აღარ ვარ-მეთქი!.. აი, შეხედეთ!“

და მან მოიხსნა ძოწეულის ტოგა და დააგდო.

მოიხადა ოქროს გვირგვინი და ისიც ზედ დაახალა.

ლიქტორებს ნიშანი მისცა და ისინიც ჩამოშორდნენ.

„აჰა, სხვა რაღა გინდათ! აი, ამ წუთიდან მე სავსებით უბრალო, კერძო კაცი ვარ. ახლა ყველა თქვენგანს შეუძლია ჩემს ადგილზე ამოვიდეს და ანგარიში მომთხოვოს ყველა ჩემ ნამოქმედართათვის! აჰა, ველოდები პასუხისგებას თქვენს წინაშე!“

ხალხი კვლავ მეხდაცემული და გაშტერებული იდგა.

რომაელი ხალხი!

ხალხი, მსოფლიოს დამმონებელი და თვითონ ერთი კაცის მონადქცეული!

სულამ ერთხანს კიდევ უცქირა მისგანვე ცხვრის ფარად ქცეულ ქვეყნის დამპყრობლებს და ტრიბუნიდან დაეშვა.

მან ჯიქურ მიაშურა ფორუმის შუაგულს.

ხალხი ერთბაშად გაიპო და გზა მისცა.

აჰა, სადაც არის გასცდება ფორუმის კიდეს.

ნუთუ ვერავინ...

და უცებ ჰაერი შეარყია ბავშვის კრიალა ხმამ:

„სისხლისმსმელო!!!“

სულა ისარნაკრავივით შედგა და მობრუნდა.

მისკენ ათიოდე წლის ბიჭი მიეშურებოდა წარბშეკრული და მჯიღებმოღერებული.

„ჰმ, ერთმა გაბედა და ისიც ამ თითისტოლამ!“

გესლიანად ჩაეცინა ექსდიქტატორს და გზა განაგრძო.

ბიჭი მაინც არ ეშვებოდა, ფეხდაფეხ მისდევდა და ლანძღვაგინებით იკლებდა. უწოდებდა მას სისხლისმსმელს, ხალხის მტერსა და ქვეყნის დამაქცევარს.

ხალხი კი თვალსასეიროდ მისდევდა.

სულამ თავის სახლს მიატანა, ფეხი ზღურბლზე შესდგა.

ბიჭი კვლავ მისდევდა და ლანძღავდა.

სულა ერთბაშად მობრუნდა და ბიჭს თვალებში ჩააშტერდა.

„ფელიქსის“ გაავებულ მზერაში კაცი წაიკითხავდა:

„შენ მიიჩნიე, დიქტატორი აღარ ვარ და, ამიტომ გაბედე! მაინც დიდება შენს ვაჟკაცობას, ჩემო ბიჭუნი, მსოფლიოს მბრძანებელთა შორის ყველაზე დიდო ლაწირაკო!“

მერე უცებ ხალხისკენ მობრუნდა და ხმამაღლა თქვა:

„ამ ბიჭმა ის გააკეთა, რომ თუ სხვა დიქტატორი გამოჩნდება, იგი დიქტატორობას თავის ნებით აღარ მოიხსნის!“

ეს სიტყვები წინასწარმეტყველური გამოდგა:

შემდგომში დიდმა დიქტატორმა გაიუს იულიუს კეისარმა დიქტატორული რწმუნებები აღარ მოიხსნა...

სულამ რომი დატოვა და გაეშურა პუტეოლში, სადაც მას ბრწყინვალედ გაწყობილი ვილა ჰქონდა.

აქ იგი ერთსა და იმავე დროს „სულთა საქმეთა“ მფარველ მუზებსაც ემსახურებოდა და თავაწყვეტილი ორგიის წუმპეშიც იხრჩობოდა.

ფილოსოფიაზე, ხელოვნებაზე, პოეზიაზე საუბრობდა, მემუარებს წერდა, ნადირობდა, თევზაობდა, კვლავ უზომოდ ლოთობდა და დიდი „დახვეწილობით“ მრუშობდა.

რომში ნაირ-ნაირი ხმა ირხეოდა საშინელი კაცის ნაირ-ნაირ თავგადასავალზე. იმასაც ამბობდნენ, ყოველმხრივ ბედნიერსა და უზრუნველს ერთი უცნაურად შემაწუხებელი სენი შეეყარა: ფთეირიაზისი (ტილიანობა). ექსდიქტატორმა ვერ იქნა და ვერ იხსნა თავი მკბენარისაგან, ვერც გულმოდგინე „საქმის მცოდნე“ გამხილველთა და ვერც ყოველდღიური მდუღარე აბაზანების შემწეობითო.

სულას წასვლა რომს ვერ დაამშვიდებდა. იგი ხომ ჯერ ისევ ცოცხალი იყო!

ხალხი მოუთმენლად ელოდა ნანატრ დღეს:

როდის „დაისვენებდა“ დიქტატორი და როდის დაისვენებდა ქვეყანა!

ეს დღეც, როგორც იქნა, დადგა (78 წ.).

სამოცი წლის სულას ეწვია დაუძლეველი მწვეველი არსთა ყოველთა.

იმ დღეს იგი თავისი „მოგონებების“ ოცდამეორე წიგნს წერდა. ბოლო სტრიქონები გვამცნობდნენ იმას, რასაც იგი მანამდე სიტყვიერად ამბობდა თავის ახლობელთა შორის:

„მე, ბრძენთა ქალდეველთა წინასწარმეტყველებით, განვლევ მშვენიერსა სიცოცხლის გზასა და აღვესრულები ჟამსა უმაღლეს ბედნიერებათა“.

მას შეაწყვეტინეს:

მოიყვანეს ვინმე გრანიუსი, რომელსაც ხაზინიდან ფული უსესხია და თან განუცხადებია: ვალს აღარ გადავიხდი, რადგან სულა მაინც მალე მოკვდებაო.

სულა ფეხზე წამოიჭრა და მსახურთ უბრძანა:

„აქვე, ახლავე, დაახრჩვეთ!"

მსახურნი განწირულს ეცნენ, ძირს დასცეს და ყელში ხელები წაუჭირეს.

„დაახრჩვეთ! დაახრჩვეთ! დაახრჩვეთ!!!" — ღრიალებდა სულა და უზომო ღრიალში მთელი სხეულით ძაგძაგებდა.

უცებ სულამ ხელები მკერდზე იტაცა და ჩაიკეცა.

პირიდან სისხლი წასკდა.

მთელი ღამე ებრძოდა სიკვდილი აქამდე უძლეველ კაცს. კაცს, რომელსაც არასოდეს არც ერთი მტრის წინ არ აღუმართავს თეთრი ალამი.

დილით ლუციუს კორნელიუს სულა სიკვდილის საუფლოში ესვენა.

ხალხმა, როგორც იქნა, დაიჯერა საშინელი კაცის სიკვდილი.

მერე ატყდა ბჭობა და ჩხუბი იმის თაობაზე, თუ როგორ მოქცეოდნენ აწ უსულოდქმნილ დიქტატორის გვამს: პატივ-დიდებით მიებარებინათ მისგანვე გვემული მიწისათვის, თუ ტიბრისთვის გაეტანებინათ, ვითარცა კაცთა განუკითხავი მჭლეტელი, ბოროტმოქმედი და ქვეყნის ულმობლად მაოხარი.

ამ აზრზე იდგა კონსული ლეპიდუსი, სულას ფარული მოწინააღმდეგე და მოძულე. მაგრამ მეორე კონსულმა, კატულუსმა, დიქტატორის ერთგულმა ახლობელმა, პომპეუსისა და სულას ვეტერანთა დახმარებით, სენატი აიძულა, დათანხმებულიყო განსვენებულის განსაკუთრებული პატივით დაკრძალვაზე.

აურაცხელი ხალხი მოაწყდა პუტეოლს.

ყველას აინტერესებდა ეხილა, როგორი იყო მკვდარი სულა.

ბევრი მხოლოდ იმისთვის მოდიოდა, უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ „ის" მართლა მოკვდა, და იმ ღამეს პირველად მისცემოდა მშვიდ, უშფოთველ ძილს.

სულა მისმა ვეტერანებმა გამოასვენეს და პროცესია რომისაკენ დაიძრა.

დიქტატორი კვლავ მიეშურებოდა „მსოფლიო ქალაქის" დასაპყრობად.

კვლავ მიუძღოდა ნაჯახიანი ფასცებით დამშვენებული ოცდათხი ლიქტორი „ფელიქს-დიქტატორს".

კვლავ მიჰყვებოდნენ ლეგიონები.

მიაცილებდნენ მშვენიერი მატრონები, რომელთაც ფიცი დაედოთ, რომ ერთ წელიწადს ატარებდნენ სამგლოვიარო თალხებს.

მათ შორის ბევრი იყო განსვენებულის საყვარელი. თვით სულას რომ გამოეხედა, ბევრ მათგანს ალბათ ვეღარც კი გაიხსენებდა.

მოჰქონდათ ორი ათასი ოქროს გვირგვინი, მონაძღვნევი ქალაქებისაგან, ლეგიონებისგან, ახლობელ-მეგობართაგან და თანამებრძოლთაგან.

ფორუმ რომანიუმზე პროცესიას ხალხის ახალი ნაკადი შეუერთდა. აქვე დახვდნენ კონსულები, პრეტორები, კვესტორები, ედილები, ცენზორები, სენატორნი და ქურუმ-ავგურნი.

ორატორებმა სიტყვები წარმოთქვეს „სამშობლოს მამისა და მხსნელის“ სადიდებლად.

ფორუმიდან სამგლოვიარო პროცესია დაიძრა მარსის ველისაკენ, სადაც განისვენებდნენ მხოლოდ მეფენი.

აქ სულას ცხედარი დიდ კოცონზე დაასვენეს.

ქარი წაეშველა და სულ მალე საყვირების, დაფდაფებისა და ზანზალაკების გრიალ-ზრიალში ფერფლად იქცა მსოფლიოს ზარდამცემი კაცის სხეული.

მეფეთა საძვალის გვერდით დაასვენეს რომაელებმა ძვირფასი ურნა, მათი დამაქცევრის ფერფლით ავსებული.

ფორუმ რომანიუმზე აღიმართა ცხენზე ამხედრებული „ფელიქსის“ ქანდაკება.

ზედ წაეწერათ:

„კორნელიუს სულას, ბედნიერ დიქტატორს.“

აქვე ღაღადებდა ეპიტაფია, რომელიც სამუდამო თანამგზავრად თვითონ სულას შეუდგენია:

„აქ წევს სულა, რომლის მსგავსად ჯერ არავის მიუზღავს სიკეთე მეგობრებისადმი და ბოროტება მტრებისადმი!“

1. ლეპიდუსი

ულას მოწინააღმდეგეთა შორის მარკუს ემილიუს ლეპიდუსი ერთადერთი იყო, რომელმაც მრისხანე დიქტატორის მბრძანებლობის ჟამს უმაღლესი მაგისტრატურის მიღება მოახერხა. კონსულთა არჩევნებში სულას კანდიდატი კატულუსი გაშავდა და ლეპიდუსი გავიდა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ლეპიდუსს გნეუს პომპეუსი ეხმარებოდა. როცა არჩევნებში გამარჯვებული ლეპიდუსი გამომწვევი მზერით მოედანზე ამაყად მოაბიჯებდა, სულამ პომპეუსი მიიხმო და გესლიანად შეაფრქვია:

„ჩემო ბიჭუნი, თურმე რა დიდებულად ერკვევი სახელმწიფო საქმეებში: ტუტუცი ლეპიდუსი ღირსეულ კატულუსს ამჯობინე. ამიერიდან ტკბილ და მშვიდ ძილს დაემშვიდობე, რადგან შენ თვითონ შექმენ შენი მეტოქე“.

დიქტატორყოფილის ეს სიტყვები მალე წინ დაუხვდა პომპეუსს...

ლეპიდუსი ყველაზე აქტიური იყო მათ შორის, ვინც სულას, მისი სიკვდილის შემდგომ, სახელმწიფოს მტრად გამოცხადებას და ტიბრში მისი გვამის გადაგდებას მოითხოვდა. რასაკვირველია, ლეპიდუსიც მედროვე იყო, რაკი იგი სულას აღსასრულის შემდგომ

შექმნილ დაძაბულობას თავის პირად ზრახვათა განსახორციელებლად იყენებდა.

კოცონი, რომელზეც სულას ცხედარი ესვენა, ჯერ კიდევ სავსებით არ ჩამქრალიყო, რომ დიქტატორის კანონმდებლობამ რღვევა დაიწყო. ხალხი კვლავ აღსდგა გრაკხუსთა დროის მოსაბრუნებლად. იტალიური ქალაქები და სოფლები მზად იყვნენ გაეცამტვერებინათ მათთან ჩასახლებული, უმეთაუროდ დარჩენილი სულანელი ლეგიონერები.

სენატი დავზარდაცემული და თავგზააბნეული იდგა მძლავრი სახალხო მოძრაობის საფრთხით გარშემორტყმული. მას აღარ ჰყავდა მეორე სულა, ვინც ჩვეული გონგამჭრიახობით, მახვილი თვალით, უდრეკი მკლავით, ქვეგამქვალავი ცბიერებითა და გულქვაობით, კაპიტოლიუმზე კვლავ აღმართავდა დემოკრატთა სისხლში ამოსვრილ არისტოკრატულ დროშას.

სულას მემკვიდრედ მაინც პომპეუსი ითვლებოდა. „ჯალათი ბიჭუნა“ თავის თავს ალექსანდრე მაკედონელს ადარებდა, მაგრამ ლეგენდარულ გმირ-ხელმწიფესთან მას ტიტულ-თიკუნი „დიდის“ მეტი საერთო არაფერი ჰქონია. იგი მამაცი მეომარი და უებრო გიმნასტი იყო, მაგრამ საშუალოზე დაბალი სარდალი, მდარე ორატორი და მოუქნელი პოლიტიკოსი.

კიდევ უფრო ნაკლებ ნიჭიერებას ამჟღავნებდა მარკუს ლიკინიუს კრასუსი. მას ჯერჯერობით იცნობდნენ მხოლოდ როგორც პატრონს უზარმაზარი სიმდიდრისას. რომელიც ფულხარბ და გულხარბ ნობილს მრავალგვარი უპატიოსნო ხრიკითა და ვერაგი ხვანჯებით მოეპოვებინა. კრასუსმა იცოდა, რომ მისი თანამედროვეობა ნიჭზე მეტად ოქროს აფასებდა და ხერხიანი მედროვეც სახელმწიფოს საჭესთან მდგარ გავლენიან პოლიტიკოსთა გულის მოსაგებად და მოსასყიდად ფულს „ამუშავებდა“. იგი ყველასთან თითქოს ალერსიანი და მეგობრული იყო, მაგრამ ყველა გრძნობდა, რომ ამ ღონიერკისრიან „სქელში“ (Crassus) ფრიად აგრესიული სული იყო ჩასაფრებული. ალბათ ამიტომაც ადარებდნენ კრასუსს მშვიდ ხარს, რომლის გაჯავრება ძალზე სახიფათოა.

ერთი სიტყვით, ჯერჯერობით ვერც პომპეუსი და ვერც კრასუსი ვერ ბედავდნენ, სენატისა და არისტოკრატიის ბელადად გამოეცხადებინათ თავი.

ხოლო მარკუს ემილიუს ლეპიდუსი უკვე შესდგომოდა მოქმედებას. მან ერთბაშად წარმოადგინა კანონპროექტები: სახალხო ტრიბუნატის სრულ უფლებებში აღდგენა, სულას რეჟიმით დევნილ მოქალაქეთა რეაბილიტაცია წართმეული ქონებისა და სამოქალაქო

უფლებების დაბრუნებით, სულასაგან დასჯილი იტალიური ქალაქებისადმი ადრინდელი პრივილეგიების დაბრუნება.

უბელადოდ დარჩენილმა სენატმა ლეპიდუსის მოთხოვნებს მაინც უარი უთხრა. მაშინ ლეპიდუსი ეტრურიაში გადავიდა და იქ შეუდგა მომხრეთა შეკრებასა და შეიარაღებას. ისიც მახვილის ძალით აპირებდა თავის განზრახვათა სისრულეში მოყვანას.

რომი კვლავ შიშმა მოიცვა. კვლავ მოელოდნენ ახალ პროსკრიპციებს და განუკითხავ ხოცვა-ჟლეტას. სენატმა ისარგებლა ლეპიდუსის ნაკლებ-პოპულარობით, განსაკუთრებით მისი ორჭოფული, მერყეევი პოლიტიკით, ნაძრახი პატივმოყვარეობითა და ანგარებით. სენატმა ხალხი უფასო პურის დარიგებით ჩააჩუმა და ლეპიდუსის წინააღმდეგ პროკონსულის განუსაზღვრელი რწმუნებებით აღჭურვა კვინტუს კატულუსი (პომპეუსი თითქოს არც არსებობდა).

ორი დიდი ბრძოლა მოხდა, ერთი მათგანი — ზედ რომის კედლებთან. ლეპიდუსი მძიმედ დამარცხდა და გადარჩენილი თანამებრძოლებით სარდინიას შეაფარა თავი. აქ იგი სარევანშოდ ემზადებოდა, — რომს საზღვაო ბლოკადასა და შიმშილს უმზადებდა. მაგრამ ამ საოცნებო სამზადისში ლეპიდუსი ტუბერკულიოზმა აძლია და გარდაიცვალა. მისი ჯარების ნაშთები მისმავე ლეგატმა მარკუს პერპერნამ სარდინიიდან ესპანეთში გადაიყვანა.

2. სერტორიუსი

არისტოკრატიამ ჭლექიანი ლეპიდუსი შედარებით იოლად სძლია, მაგრამ, სამაგიეროდ, კუნთმაგარ სერტორიუსთან ბრძოლა გაცილებით რთულ და გაურკვეველი პერსპექტივის წინაშე აყენებდა მას.

კვინტუს სერტორიუსი მარიუსის დემოკრატიული სკოლის უკანასკნელი ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო. იგი წარმოშობით საბინთა ტომს ეკუთვნოდა და რომაელთა შორის პირადი სიმამაცით, ნიჭიერებითა და პატიოსნებით დაწინაურდა. არისტოკრატიის წინააღმდეგ შეურიგებელმა ბრძოლამ სავსებით ახალგაზრდა კაცი დემოკრატიის უსაყვარლეს გმირად აქცია.

კოლინის კართან სისხლიან ხოცვა-ჟლეტაში სულას გამარჯვების შემდგომ, დამარცხებულმა დემოკრატებმა სერტორიუსის მოთავეობით იტალიიდან გააღწიეს და ზღვაზე შეუდგნენ ახალ სარევანშოსაბრძოლო საშუალებათა ძებნას. რომში მჯდარ დიქტატორს სიკვდილამდე ესმოდა ზღვიდან მონაბერი ბობოქარი ხმა დემოკრატთა

უკანასკნელი ძალგულოვანი ბელადისა. ბოლოს და ბოლოს, სულა ისე ჩავიდა მიწაში, მის უღრუბლო ცაზე კვლავ ჩაუმქრალად და ავ-ბედითად ენთო ახალგაზრდა მეტოქის ვარსკვლავი.

სერტორიუსის მგრგვინავმა ხმამ შორეული ესპანეთის ნაპირებსაც მიაღწია. ესპანეთი ისევ ემზადებოდა რომთან საომრად. მა-მაცმა ლუზიტანებმა სერტორიუსი აჯანყების ბელადად მიიწვიეს. მალე სხვა ესპანელმა ტომებმაც სცნეს სერტორიუსის მთავარსარდ-ლობა. ყველა მოხიბლა მისმა სიმამაცემ, აღზრდილობამ, თავაზია-ნობამ, დიდსულოვნებამ.

სერტორიუსის ბანაკი სწრაფად იზრდებოდა და ძლიერდებო-და. იგი იყო თავშესაფარი რომის იმდროინდელი ხელისუფლების ყოველი მოწინააღმდეგისა, განსაკუთრებით, დევნილი და ლტოლ-ვილი დემოკრატებისა.

სერტორიუსმა ესპანეთი „საკუთარ სახელმწიფოდ" გადააქ-ცია. სენატიც შეადგინა სამასი ლტოლვილი დემოკრატისაგან და მთელს ესპანეთში ადგილობრივი სამოქალაქო და სამხედრო ხე-ლისუფალნი განაწესა. ესპანელები გაათავისუფლა რომაული გა-დასახადებისაგან და ჯარის შესანახი ბეგარისაგან. ამიერიდან რო-მაელი მეომრები ცხოვრობდნენ არა ესპანელთა ოჯახებში (რო-გორც ეს მანამდე იყო), არამედ მათთვის საგანგებოდ გამართულ ბის ყაზარმებში.

სერტორიუსმა სკოლა გახსნა ქალაქ ოქსში, თავის „სატახტო ქა-ლაქში". მასწავლებლები უსასყიდლოდ ასწავლიდნენ და ზრდი-დნენ მომავალ ესპანელ მოქალაქეებს.

მაშ ესპანეთი, სერტორიუსის სახელმწიფოდ ქცეული ქვეყანა, მთლიანად მოწყდა რომის მსოფლიო სამბრძანებლოს. პირენეის მთებს გადაღმა ახალი „ჰანიბალური საშიშროება" გაჩნდა (აკი აქი-დან, ესპანეთიდან გადმოიჭრა ჰანიბალი იტალიაში ამ ასორმოცი წლის წინ). სერტორიუსს ასედაც დაარქვეს — „ახალი ჰანიბალი". განსაკუთრებით მას შემდეგ მიამსგავსეს იგი ჰანიბალს, რაც სერ-ტორიუსმა ერთ-ერთი ცხარე შეტაკებისას ცალი თვალი დაჰკარგა (ხოლო ჰანიბალს იტალიაში ლაშქრობისას დაეშრიტა ცალი თვალი).

და დაიწყო ახალი ომი გვამებით აღვსილ რომის ისტორიაში, — ამჯერად რვაწლიანი (80—72 წწ.) „სერტორიუსის ომი".

ისევ დაიძრნენ რომაული ლეგიონები ესპანეთისკენ.

ოთხი წლის მანძილზე დამარცხებული და შერცხვენილი ბრუნ-დებოდნენ რომაელი სარდლები პირენეიდან. სერტორიუსი ელეი-სებრი შეტევებით და კონტრშეტევებით, სწრაფი მანევრირებითა

და მოულოდნელი პარტიზანულ-თარეშული დარტყმებით ანადგურებდა რომიდან წარგზავნილ არმიებს.

უძლური აღმოჩნდა თვით კვინტუს მეტელუსი, ომებში გათეთრებული, გამოცდილი და მამაცი სარდალი, რომელიც ჯერ კიდევ სულას დროს გაემართა სერტორიუსთან საომრად. მეტელუსი ამბოდ დასდევდა ესპანეთის მთებში ფეხმარდ ცალთვალას. მისივე მეომრები დასცინოდნენ მეტელუსს. მერე პირისპირ, ორთაბრძოლაში გაიწვია სერტორიუსმა მეტოქე. ამან უფრო შეარყია მეტელუსის ავტორიტეტი მეომართა შორის. ბოლოს, პატივმოყვარეობამ სულ გააბავშვა ბებერი სარდალი: საგანგებოდ გამართულ ნადიმებზე იგი ტრიუმფატორის ტოგით ჯდებოდა, ზემოდან ვიქტორია („გამარჯვების ქალღმერთი") ეშვებოდა და „დიად სარდალს" ძლევის გვირგვინებით ამკობდა. მასთან, გოგონებისა და ყმაწვილების ქოროები საგალობლებს უმღერდნენ ნეტარებით სახეშეშლილ მეტელუსს.

მეტელუსის დამარცხების შემდეგ ათასი წარჩინებული ესპანელი საგანგებოდ ეწვია სერტორიუსს და სიკვდილამდე ერთგულება და თავდადება შეჰფიცა. მთავარსარდალმა ისინი უბრწყინვალესი საომარი აღჭურვილობით დაასაჩუქრა.

უკვე ლეგენდები ითხზვებოდა ახალგაზრდა გმირის გარშემო. დაბეჯითებით ირწმუნებოდნენ, რომ სერტორიუსს განუყრელად დასდევდა თეთრი ირემი, რომელიც მას ქალღმერთ დიანას ნებასურვილებს აუწყებდა.

რომის სენატი და არისტოკრატია „სერტორიუსის საფრთხის" აღმოსაფხვრელად საგანგებო ღონისძიების შემუშავებას შეუდგა. „ყველაზე დიდ" სარდლად ისევ ის იქნა აღიარებული, ვინც ყველაზე თავგამოდებით მიელტვოდა მთავარსარდლობას ესპანეთისკენ გასალაშქრებლად. ეს იყო ისევ გნეუს პომპეუსი. სულას რეჟიმის შემდეგ აღარც იმას უნდა ჰქონოდა დიდი მნიშვნელობა, რომ „რესპუბლიკური კონსტიტუციის ძალით" მთავარსარდლის პოსტზე არ შეიძლებოდა ესოდენ ახალგაზრდა კაცის დანიშვნა (პომპეუსი მაშინ 28 წლისა იყო). ერთი სიტყვით, კვლავ „დაიძინეს კანონებმა" და პომპეუსი, პროკონსულის რწმუნებებით, ესპანეთისკენ გაეშურა დიდის არმიით.

მაშ, სერტორიუსს ახლა ერთდროულად ორივე სარდალთან, პომპეუსთან და მეტელუსთან უნდა წარემართა ომი. რამდენიმე მცირე ზომის შეტაკება უშედეგოდ დამთავრდა. მერე პომპეუსი და სერტორიუსი ქალაქ ლავრონთან შეხვდნენ ერთმანეთს. ეს ქალაქი რომის ერთგულებას ინარჩუნებდა და სერტორიუსს ალყა შემოერტყა.

მისთვის. პომპეუსი თავისი ლეგიონებით მოალყეებს მიუახლოვდა და ქალაქს დიდის რიხით აცნობა: შეგიძლიათ მზერა დაიტკბოთ, როგორ დავაყრევინებ იარაღს თქვენს მოალყე მტერსო. სერტორიუსს სიცილით უპასუხნია: რა გაეწყობა, სულას მოწაფე ჩემგან სასწავლებელი გამხდარაო და მაშინვე მისი ჯარების ნაწილი, წინასწარ მალობელ ბორცვთან ჩასაფრებული, ზურგიდან დაეცა პომპეუსს. ამპარტავან სარდალს თავზარი დაეცა, უკუიქცა და თვითონ გახდა „ოვალმოსეირე“ სერტორიუსისაგან ლავრონის იერიშით აღებისა. სერტორიუსმა ლავრონის მცხოვრებლებს სიცოცხლე აჩუქა, ხოლო თვით ქალაქი გადასწვა. პომპეუსმა მხოლოდ ხელები გაითბოო ხანძარში ჩანთქმულ მოკავშირე ქალაქზეო, — მწარედ ხუმრობდნენ ესპანელები.

მომავალი 76 წლისათვის პომპეუსმა და მეტელუსმა გადაწყვიტეს ერთიანი ძალებით შებმოდნენ მტერს. მაგრამ გაზაფხულზე პომპეუსმა არ მოისურვა „უეჭველი გამარჯვების“ პატივი თავისი პარტნიორისათვის გაენაწილებია და მეტელუსის მოსვლამდე დასძრა ლეგიონები. ბრძოლა მოხდა მდინარე სუკრონთან. სერტორიუსმა ბრწყინვალედ წარმართა შეტევა. საშინელ ხელჩართულში პომპეუსი დაიჭრა და ცხენიდან გადმოვარდა. სამარცხვინო ტყვეობაც არ აცდებოდა, რომ სერტორიუსის აფრიკელ მეომრებს სიხარბე არ გამოეჩინათ: ისინი მიცვივდნენ პომპეუსის მდიდრულად აღკაზმულ ცხენს და სანამ ნადავლს ერთმანეთს ხელიდან გლეჯდნენ, დაჭრილმა პომპეუსმა ტყეში შეასწრო.

ოთხი წლის მანძილზე რომმა ესპანეთის ომში დაჰკარგა 120 000 ლეგიონერი, 6.000 ცხენოსანი და 2.000 შურდულმტყორცნელი. ბრძოლა რომაელთათვის სავსებით უიღბლოდ გრძელდებოდა. პომპეუსს უკვე სავსებით დასთრგუნვოდა ამპარტავნება, რაკი სენატს სწერდა: თუ ახალი ჯარებით და ფინანსებით არ მომეშველებით, იცოდეთ, ესპანეთის ომი იტალიაში გადმოიჭრებაო.

ამასობაში სერტორიუსმა ურთიერთობა გააბა და კავშირი შეკრა აღმოსავლეთის ძლიერ მბრძანებელთან, მითრიდატე პონტოელთან, რომელსაც უკვე განეახლებინა ომი რომთან.

მაშ, რომი ძრწოლამოსილი ელოდა იტალიაში „ახალ ჰანიბალებს“, — დასავლეთიდან სერტორიუსს და აღმოსავლეთიდან მითრიდატეს.

მაგრამ „მარადიული ქალაქი“ ისევ დაიხსნა ხიფათისგან მწყალობელმა ფორტუნამ. ეს იყო მორიგი ღალატი. ხოლო მოღალატე — მარკუს პერპერნა, ცბიერი, შურიანი და გულღრძო კარი-

ერ-სტი, რომელიც ლეპიდუსის მარცხის შემდეგ ესპანეთში გაიქცა და სერტორიუსს ერთგულებისა და თანაძმობის ფიცით შეეკრა.

72 წელი იდგა. სერტორიუსმა დედის სიკვდილი შეიტყო. მამით აღრე დაობლებულს სიგიჟემდე უყვარდა დედა. მწუხარებამ გამანადგურებლად იმოქმედა სარდალზე. მან არ იკმარა მთელი კვირა კარავში უსმელ-უჭმელად და უძილოდ ჩაკეტვა და სამუდამოდ თავი მისცა შავნაღვლიანობას. ბუნებით ზრდილი, თავაზიანი და დიდსულოვანი ახლა უკმეხი და ანჩხლი შეიქნა. ამით პერპერნა სარგებლობდა და გაუთავებელი ომით დაქანცულ თანამებრძოლთა შორის შეთქმულების თანამზრახველებს პოულობდა. სერტორიუსმა უკანასკნელ ბრძოლაში წასვლაც ვეღარ შესძლო და სარდლობა ლეგატს ჩააბარა. მეორე დღეს პერპერნამ მას გამარჯვების ამბავი მიუტანა და საზეიმო ნადიმიც გაუმართა. სერტორიუსმა არ იცოდა, რომ ეს ღრეობა მის სიკვდილს ეძღვნებოდა და არა მისი ჯარების მორიგ ძლევამოსილებას. უგუნებო სარდალი ჩვეულმა თავაზიანობამ აიძულა, მის „საპატივცემულო“ ნადიმზე მისულიყო. დასაწყისშივე ეტყობოდა, მოქეიფენი ჩხუბის საბაბს ეძებდნენ. წესრიგს მოყვარე სარდალს ღვინოს აძალებდნენ და უშვერი სიტყვა-მზეობითა და თავაწყვეტილი ღრიანცელით წონასწორობას აკარგვინებდნენ. სერტორიუსი სავარძელზე უკმაყოფილოდ გადაიზნიქა. მონადიმენი მისკენ დაიძრნენ. პერპერნამ ღვინით სავსე ვერცხლის თასი ძირს დაანარცხა. თურმე ეს ნიშანი იყო და მაშინვე ვინმე მარკუს ანტონიუსმა, რომელიც სერტორიუსთან ყველაზე ახლოს იდგა, მთავარსარდალს მახვილი დასცა და მთელის ტანით ზედ დააწვა. სერტორიუსმა გაიბრძოლა და წამოიწია, მაგრამ კიდევ ერთმა შეთქმულმა დაასწრო და ხელებში ეცა. ამასობაში დანარჩენებიც წამოესივნენ და რომაელებმა კიდევ ერთი დიდი თანამემამულე მახვილებით დაჩეხეს.

პერპერნამ თავი მთავარსარდლად გამოაცხადა. მაგრამ მოღალატის დღეებიც დათვლილი იყო. მისი ბანაკი ცარიელდებოდა. გარბოდნენ ესპანელებიც და იტალიელი ემიგრანტებიც. პომპეუსმა და მეტელუსმა პირველ შეხვედრისთანავე გაანადგურეს პერპერნას ჯარი. თვითმარქვია სარდალი ყველა თანაშეთქმულთან ერთად ტყვედ ჩავარდა. პომპეუსის ბრძანებით, ყველას თავები დააყრევინეს. ესპანეთიც ხელახლა დაემორჩილა რომს.

ასე დამთავრდა „სერტორიუსის ომი“.

...ახლა სიტყვა კვლავ „აღმოსავლეთის ჰანიბალს“ ეკუთვნოდა...

3. სპარტაკი

„სპარტაკი დიდებული ეაჟკაცი ყოველს ანტიკურ ისტორიაში. დიდი გენერალი (არა გარიბალდი), კეთილშობილი სასიათი, ანტიკური პროლეტარიატის ჭეშმარიტი წარმომადგენელი“.

მარქსი

მითრიდატეს აღმოსავლეთიდან ომი უკვე განახლებული ჰქონდა, მაგრამ რომის წინაშე უარესი საფრთხე აღიმართა თვითონ იტალიაში. ეს აფეთქება ვეზუვის ახლოს მოხდა, — ვეზუვის ვულკანზე უფრო მძლავრი და დამანგრეველი.

რომაელისთვის მონა ყველაფერი იყო — ეკონომიკის მწარმოებელიც და „ესთეტიურად დამატკბობელიც“. რომაელს სისხლის ცქერა ატკბობდა — ადამიანის სისხლის ცქერა. მაგრამ მისთვის საამისოდ მარტო ბრძოლის ველი არ კმაროდა. საჭირო იყო შინ, თავისთან ახლო, ყოველდღიურად, ეხილა მას კაცთა ხელით კაცთა სისხლის ღვრა. ეს იყო მონათმფლობელი რომაელის დიდი, აუცილებელი, „სულის სარგო“ სანახაობა. სწორედ ამისთვის აღიმართნენ რომში საცირკო ნაგებობანი. ცირკის არენაზე (არენა — ქვიშა) გამოდიოდნენ საგანგებოდ გაწრთვნილი მონა-გლადიატორები, რომლებიც ურთიერთ შერკინებით ან მხეცებთან შებმით ართობდნენ მსოფლიოს მბრძანებლებს. ეს იყო რკენა სამკვდრო-სასიცოცხლო. მხოლოდ უხვად დაღვრილი სისხლის ოხშივარს შეეძლო დაერწყულებინა და დაეამებინა რომაელი მონათმფლობელისა და ლუმპენ-პროლეტარის მგლური ბუნება.

იტალიაში მრავლად იყო გლადიატორთა საწრთვნელი სკოლები. მაგრამ მათ შორის ყველაზე ცნობილი ყოფილა ვინმე ლენტულუს ბატიატუსის სკოლა ქალაქ კაპუაში. 74 წლის მიწურულში აქ ორასამდე მონა შეითქვა და სკოლა-ყაზარმიდან გაქცევა გადაწყვიტა. შეთქმულება ვიღაცამ გასცა, მაგრამ სამოცდაათამდე გლადიატორმა მაინც მოახერხა გაქცევა.

ლტოლვილებმა თავი შეაფარეს ვეზუვის მთას.

აქვე გამოჩნდა მათი ბელადი — სპარტაკი.

ვინ იყო იგი?

კანტი-კუნტად მოგვითხრობენ მის შესახებ მისი სიძულვილით ატანილი რომაელი ანალისტები.

წარმოშობით თრაკიიდან ყოფილა. თურმე რომაულ ლეგიონში

მსახურობდა. სამხედრო სამსახურიდან გაქცეულა, რომაელებს შეუპყრიათ და დეზერტირობის მომიზეზებით მონად გაუხდიათ. ფიზიკური სიმძლავრისათვის და სიმამაცისთვის საგლადიატორო სკოლაში მოხვედრილა. ზოგი მეისტორიე იმასაც გვამცნობს, რომ სპარტაკი ყოფილა დიდად ნიჭიერი, მაღალგანათლებული, სულით სპეტაკი და კეთილშობილი.

ხოლო ნამდვილი, სახელოვანი სპარტაკი ვეზუვზე გაქცევიდან იწყება.

მაშ, გაქცეულმა გლადიატორებმა ბელადად აირჩიეს თრაკიელი სპარტაკი, ხოლო მის თანაშემწეებად — კელტი კრიქსე და ბერძენი ენომაოსი.

სპარტაკის რაზმმა ზრდა დაიწყო. მასთან მირბოდნენ მონები ახლომახლო მეურნეობებიდან და სახელოსნოებიდან. რომის ხელისუფლებისთვის ასეთი მცირე გამოსვლა ჩვეულებრივი იყო და უმნიშვნელო. მაგრამ როცა კაპუიდან სახელდახელოდ გაგზავნილი რაზმი სპარტაკმა გაანადგურა და თავისიანებიც მტრისთვის ართმეული იარაღით აღჭურვა, სენატმა იკადრა და მოაჯანყეთა წინააღმდეგ პროპრეტორი გაიუს კლოდიუსი გაგზავნა 3.000 ლეგიონერით. კლოდიუსმა ვეზუვის მთაზე ერთადერთი ასასვლელი ჩაჰკეტა და იქვე, იმ ბილიკის ძირში, არხეინად დაიბანაკა.

სპარტაკმა სწრაფად მოისაზრა, როგორც უნდა ეხსნა თავისიანები შიმშილით დაღუპვისაგან. მისი ბრძანებით, მონებმა მთაზე მოსული ველური ვაზი აჭრეს, მისგან გრძელი კიბე დაწნეს და მისი საშუალებით ვეზუვის კლდოვან მხარეზე დაეშვნენ. შუაღამისას მონები რომაელთა ბანაკს მოულოდნელად დაეცნენ და გაანადგურეს.

73 წლის შემოდგომაზე სპარტაკის წინააღმდეგ ორი ლეგიონით დაიძრა პრეტორი პუბლიუს ვარინიუსი. სპარტაკმა კვლავ გაიმარჯვა: ორჯერ პრეტორის ლეგატები გაანადგურა, მესამედ თვითონ ვარინიუსი; ტყვედ იგდო მისი ლიქტორები და ცხენი.

72 წლის დასაწყისში სპარტაკის მოძრაობა რომისათვის თავზარდამცემ საფრთხედ გადაიქცა. აჯანყებულთა ბანაკი შეუწყვეტლივ იზრდებოდა გაქცეულ მონათა და უღარიბეს იტალიელ მიწათმოქმედთაგან. უკვე სპარტაკის ხელში იყო იტალიის უდიდესი და უმდიდრესი ოლქები: კამპანია, აპულია და ლუკანია. ბორკილაყრილი მონები უკიდურესი სისასტიკით უსწორდებოდნენ მათ ყოფილ მბრძანებლებს. აჯანყებულთა ბელადი ყოველი ქალაქისა თუ სოფლის აღებისას თავგამოდებით ცდილობდა, აღეკვეთა გააფთრებულ თანამებრძოლთა შურისმგებლობა და სისხლისმაძიებლობა. იგი მკაცრად იცავდა წესრიგსა და დისციპლინიანობას თავის ბანაკში.

სპარტაკმა მასთან გაქცეულ მონათა და ღატაკ-უპოვართა ბრბოები ბრწყინვალედ გაწვრთნილ ჯარებად აქცია. იგი 70.000 ლეგიონერს მოითვლიდა; ცალკე შექმნა კავალერია. ბელადის ბრძანებით, აჯანყებულნი დღე-ღამეების გადაბმით სჭედდნენ საომარ საჭურველს.

რასაკვირველია, სპარტაკი არ აპირებდა რომის მონათმფლობელური სისტემის დამხობას, — ასეთი წარმოდგენები მისთვის (როგორც ყველასათვის იმ დროს) ძალიან შორს იყო. მისი უმაღლესი და უკეთილშობილესი ამოცანა ეს იყო: თავი მოეყარა რაც შეიძლება მეტი მონისათვის, ბრძოლით გაეყვანა ისინი იტალიიდან და თავისუფლებამოპოვებულნი დაებრუნებია ყველა თავის სამშობლოში.

მონათმფლობელურ რომს არ შეეძლო შერიგებოდა მონებისაგან იტალიის „დაცლას" და 72 წლის გაზაფხულზე სპარტაკის გასანადგურებლად არმიებით დაიძრა ორივე კონსული — გნეუს კორნელიუს ლენტულუსი და ლუციუს ჰელიუსი. ისინი ორმხრივი შეტევებით აპირებდნენ მონათა მოსპობას — ლენტულუსი ჩრდილოეთიდან, ჰელიუსი სამხრეთიდან.

ასეთ მძიმე ჟამს მონათა ბანაკში რაღაც განხეთქილება მოხდა. სპარტაკს ჩამოშორდა 20.000 აჯანყებული კრიქსეს მეთაურობით. განდგომილნი, თითქმის ყველანი, იყვნენ გალები და გერმანელები. მათ იტალიიდან გასვლაზე უარი სთქვეს და რომაელებთან შებმა მოითხოვეს.

რომაელებმა მონათა გათიშულობა კარგად გამოიყენეს. კონსულ ჰელიუსის თანაშემწე, პრეტორი კვინტუს არიუსი, აპულიაში, გარგანუსის მთის ახლოს, თავს დაესხა სპარტაკისგან გამოთიშულებს და სულ ერთიანად გაანადგურა. ბრძოლაში დაეცა თვითონ კრიქსეც.

ამიერიდან საომარი მსვლელობა რომაელთა სასარგებლოდ უნდა წარმართულიყო, მაგრამ სპარტაკი დაღუპულ თანამებრძოლთა სისხლის ასაღებად ერთბაშად შემობრუნდა და ზედიზედ სასტიკად დაამარცხა ჯერ კვინტუს არიუსი, მერე თვით კონსული ლუციუს ჰელიუსი. ამის შემდგომ სპარტაკი ისევ ჩრდილოეთისკენ გაემართა.

ახლა მას ჩრდილოეთისკენ მიმავალი გზა გადაუჭრა კონსულმა გნეუს კორნელიუს ლენტულუსმა. საშინელი ხოცვა-ჟლეტა ისევ სპარტაკის ძლევამოსილებით აღესრულა. გამარჯვების აღსანიშნავად მონათა ბელადმა ორასი წყვილი ტყვე-რომაელი გლადიატორებად გამოიყვანა და ერთმანეთს შეაბრძოლა ყოფილ გლადიატორთა თვალსასეიროდ.

ასეთ კრიტიკულ დროს მოპოებულმა ბრწინვალე გამარჯვებებმა კიდევ უფრო განამრავლეს მონათა მანამდე შეთხელებული ბანა-

კი. სპარტაკს ახლა 120.000 კაცი ემორჩილებოდა. იგი შეუჩერებლივ მიიწევდა ჩრდილოეთისკენ. მაინც ვერ თმობდნენ რომაელები მონათა წასვლას იტალიიდან. როცა სპარტაკმა ქალაქ მუტინას მიაღწია და სადაცაა, პადუსის (პო) ველზეც უნდა გაჭრილიყო, მას ახალი არმიით წინ გადაეჭრა ცისალპიური გალიის (ლომბარდია) მმართველი, პროკონსული გაიუს კასიუს ლონგინუსი. აქაც სპარტაკმა ერთელ კიდევ აჩვენა მსოფლიოს თავისი ხალასი მხედართმთავრული ნიჭიერება და მეომრული შემმართებლობა. რომაელთა კიდევ ერთი არმია მიებარა მიწას.

სპარტაკი თავისი სიმძლავრისა და ფრთასხმულობის მწვერვალზე იდგა. მან უკვე მიიყვანა თავისიანები საოცნებო მიზნის კარიბჭესთან. წინ ალპები იყო, ხოლო ალპებს იქეთ — სანუკვარი თავისუფლება.

და უცებ სპარტაკი უკან შემობრუნდა, სამხრეთისაკენ. მონათა ომის გრიგალი ისევ იტალიისაკენ დაგორდა. გადაჭრით არავინ იცის, რატომ აიღო სპარტაკმა ხელი თავისი ძლევამოსილი სვლის თავდაპირველ მიზანზე. მით უფრო, რომ იგი ასე ახლო იყო მის განხორციელებასთან. როგორც ეტყობა, მან ვერ მოახერხა ბანაკში შექმნილ რაღაც დიდ უთანხმოებათა დაძლევა. მისი ბანაკი ხომ უაღრესად ჭრელი იყო: ეროვნულადაც, სოციალურადაც მორალურადაც. მათგან: ვის იტალიიდან გასვლა სურდა, ვის იტალიაში დარჩენა (განსაკუთრებით იტალიელებს); ვინ რომზე უშუალო იერიშს მოითხოვდა, ვინ კიდევ გენერალური ბრძოლისაგან თავის არიდებას.

ასე იყო თუ ისე, სპარტაკი იტალიის შუაგულისაკენ დაეშვა. რომი „ჰანიბალურმა შიშმა“ მოიცვა. სენატმა საგანგებო რწმუნებებით აღჭურვა მარკუს ლიციინიუს კრასუსი. იგი, ვითარცა პროკონსული და უმაღლესი მთავარსარდალი, ათი ლეგიონით დაიძრა მონებისაკენ.

კრასუსმა ჯერ თავისი ლეგატი მუმიუსი ორი ლეგიონით სახელდახელოდ გაგზავნა სპარტაკის გზის მოსაჭრელად, რომელიც უკვე პიცენუმს მოსდგომოდა და სამხრეთისაკენ აეღო გეზი. მუმიუსმაც გადაუჭრა გზა. სპარტაკმა ბრძოლა მიიღო, მუმიუსს სასტიკად შეუტია, მისი მეომრები ბრძოლის ველიდან შიშნაჭამი გააქცია და სამხრეთისაკენ სვლა განაგრძო.

კრასუსმა ბრძოლიდან გამოქცეული მუმიუსის ლეგიონები მთელი არმიის წინ ჩაამწკრივა და, დეციმაციის წესით, ყოველ მეათე მეომარს თავი გააგდებინა.

სპარტაკმა მთელი იტალია გადასერა და ბრუციუმის უკანასკნელ პუნქტში, ქალაქ რეგიუმში მივიდა. კრასუსი ფეხდაფეხ მოსდევდა.

სპარტაკი მესენის სრუტის გადალახვას და სიცილიაში გადასვლას აპირებდა. სიცილიას მონათა აჯანყების დიდი ტრადიცია ჰქონდა და სპარტაკს იმედი ჰქონდა, ამ კუნძულზე ადვილად მოიპოვებდა მონათა ახალ საომარ ძალებს. იგი მოელაპარაკა მეკობრეებს, რომელთაც, დიდი ფულის საფასურად, ხომალდებით უნდა გადაეყვანათ სპარტაკის არმია სიცილიაში. მაგრამ ზღვის ყაჩაღებმა სიტყვა გასტეხეს და დანიშნულ დროს ხომალდები არ მოიყვანეს. მაშინ სპარტაკის ბრძანებით მონებმა სრუტის საიერიშოდ ტივებისა და კასრების შეკვრა დაიწყეს. ახლა სტიქიონი შეიქნა მტერი: ქარიშხალი ამოვარდა და ერთიანად დალეწა მონათა ბელადის ეს წამოწყება.

კრასუსი კი უკვე მომდგარიყო თავისი არმიით ზურგიდან. იგი მოერიდა პირდაპირ იერიშს და ბრძანა, ბრუციუმის კონცხი, სადაც მონები დაბანაკებულიყვნენ, ზღვიდან ზღვამდე, მთელი 55 კილომეტრის მანძილზე, ღრმა, ფართო თხრილითა და მიწაყრილებით გადაეკრათ.

მაშინ სთქვა სპარტაკმა:

„უმჯობესია, რკინამ მომიღოს ბოლო, ვიდრე შიმშილმა“.

და ერთ ქარიშხლიან და სუსხიან ღამეს მისი ბრძანებით მონებმა ერთ ადგილზე თხრილი მიწითა და ფიჩხით ამოავსეს და მახვილით ხელში ალყა გაარღვიეს. სპარტაკი ისევ მხარგახსნილი მიაბიჯებდა იტალიის მიწაზე. მან დაუბრკოლებლივ გადასჭრა მთელი ბრუციუმი და ისევ ლუკანიაში გავიდა. კრასუსი შეშინდა, ვაითუ მონები ხელიდან გამისხლტნენ და ბალკანეთზე გადამასწრონო და სენატს თხოვნა გაუგზავნა: გამოიწვიეთო მაკედონიიდან მარკუს ლიცინიუს ლუკულუსი და ესპანეთიდან გნეუს პომპეუსი; იქნებ სამივემ შეერთებული ძალებით შევძლოთო სპარტაკის განადგურება.

სენატმა ეს თხოვნა დაკმაყოფილა, მაგრამ კრასუსმა მაშინვე ინანა: იგი მალე დარწმუნდა, რომ მონები იტალიიდან ვერსად გაასწრებდნენ და თვითონვე სხვა მეტოქე-სარდლების გარეშე შესძლებდა მათ განადგურებას. ამის საფუძველი იყო კიდევ რაღაც განხეთქილება მოაჯანყეთა ბანაკში. ისევ გამოეთიშნენ სპარტაკს გალები და გერმანელები, ამჯერად განიკუსისა და კასტუსის მეთაურობით. კრასუსმაც აღარ დააყოვნა და ორივენი, განიკუსიც და კასტუსიც, ერთიანად გაანადგურა. მონები გასაოცარი გმირობით იბრძოდნენ. 12 300 მოკლული მონა-მოაჯანყიდან მხოლოდ ორი აღმოჩნდა ზურგიდან განგმირული.

ამ უეცარმა დანაკლისმა სპარტაკის ძალა დიდად დააქვეითა. იგი რომაელებთან შებმას განერიდა და ბრუნდიზიუმისკენ გაემართა.

კრასუსმა ავანგარდს ლეგატი და კვესტორი უსარდლა და გამოადევნა. სპარტაკი ერთბაშად შემობრუნდა და შემოუტია. რომაელები ბრძოლის ველიდან გაიქცნენ და მონათა ბელადს ხელთ შეატოვეს დაჭრილი კვესტორი და რამდენიმე ასეული მოკლული ლეგიონერი. სპარტაკმა ბრუნდიზიუმს მიატანა. მაგრამ იქ უკვე მაკედონიიდან გამოწვეული მარკუს ლუკულუსი გადმოსულიყო დიდძალი ჯარით.

სპარტაკი შემობრუნდა, მაგრამ ახლა ზედმომდგარ კრასუსის უზარმაზარ არმიებს შეეჩეხა.

მეტი გზა აღარ იყო. სპარტაკს გენერალური ბრძოლა უნდა მიეღო.

ეს ბრძოლა აპულიაში მოხდა, 71 წლის გაზაფხულზე. მოწინააღმდეგეებმა იცოდნენ, რომ სწორედ ამ დღეს უნდა გადაეწყვიტა „მონათა ომის“ საბოლოო ბედი. ეს განსაკუთრებით იცოდა სპარტაკმა, რომელმაც ბრძოლად გასვლის წინ თავის ცხენს გულში მახვილი აძგერა და შესძახა:

„თუ გავიმარჯვებ, მტრის ბანაკში საუკეთესო მერნებს ავარჩევ, თუ არა და ამიერიდან ცხენი არასდროს არ დამჭირდება!“

მაშ, ან სიკვდილი ან გამარჯვება!

ბრძოლა დაიწყო თავიდანვე უჩვეულო თავგამეტებით. არც ერთ მხარეს არ იპოვებოდა ბადალი სპარტაკის სიმამაცისა და სიკისკასისა. იგი შეუჩერებლივ მიიკაფავდა გზას თვით რომაელთა სარდლისაკენ. იგი პირისპირ შეხვედრაში იწვევდა კრასუსს. ხოლო კრასუსი იდგა და აუმღვრევლად ჰხედავდა, როგორ ეცემოდნენ მისი სიცოცხლის დასაცავად წარგზავნილი ლეგიონერები სპარტაკის მახვილისაგან. აი, მოახლოვდა მონათა ბელადი. ორი ცენტურიონი გაიჭრა მის შესახვედრად. ორივე უსულოდ დასცა სპარტაკმა. სწორედ იმ წამს ისრების, შუბებისა და სათხედების სეტყვა დააცხრა გმირს. სპარტაკი მუხლში დაჭრილი დაეცა. მაგრამ მისი მახვილი მუსრავდა ყველას, ვინც გაბედავდა მიახლოებას.

ისევ შორიდან დაუშინეს. დიდხანს ესროდნენ. სავსებით დაცხრილეს.

60.000 მონა დაწვა მათ ბრწყინვალე ბელადთან ერთად. 6.000 ტყვედ ჩავარდა. ყველა ისინი კრასუსის ბრძანებით ჯვრებზე გალურსმეს კაპუიდან რომისაკენ მიმავალ გზაზე. 5.000 მოაჯანყემ გაასწრო სიკვდილს, მაგრამ ამათ წინ შემოხვდათ ჩრდილოეთიდან მომავალი პომპეუსი და არც ერთი მათგანი ცოცხალი არ გაუშვია „ჯალათ-ბიჭუნას“.

ასე დამთავრდა ყველაზე დიდი მონათა აჯანყება მსოფლიო ისტორიაში.

ასე მოკვდა სპარტაკი.

მოკვდა, რომ შემდგომ, მარადის, უკვდავი ყოფილიყო...

რომის კარიბჭეში ორმა გამარჯვებულმა სარდალმა შეაბიჯა — კრასუსმა და პომპეუსმა. პირველს სმენას უხშობდა და ბრაზით აჭრჭობდა ბრბოს ღრიალი:

„აი იგი, გნეუს პომპეუს დიდი! დიდი!!!“

„მშვიდმა ხარმა“ წონასწორობა დაჰკარგა და კბილების ღრჭიალით შესძახა:

„მაინც რა სიდიდისაა იგი?!“

4. ისევ მითრიდატე

სელასთან ომის შეწყვეტასა და დარდანის ზავის დადებიდან ერთი წლის შემდეგ (83 წ.) მ ი თ რ ი დ ა ტ ე ს წინააღმდეგ მღელვარება დაიწყო კოლხეთში, სადაც მმართველად, თვითონ კოლხების თხოვნით, დანიშნული იყო მეფის ძე, აგრეთვე სახელად მ ი თ რ ი - დ ა ტ ე. როგორც ეტყობა, პონტოელმა უფლისწულმა მდგომარეობა მომწიფებულად ჩასთვალა და კოლხეთის ოდინდელი დამოუკიდებლობის აღდგენა სცადა. მეფემ დროზე შეიტყო მემკვიდრის განზარახვა და იგი კოლხეთიდან გაიწვია. ერთ ხანს ოქროს ბორკილებით ჰყავდა დაბორკილი. მერე სიკვდილით დასაჯა.

„კოლხური საქმეებით“ აფორიაქებულ ევპატორს კვლავ რომაელებთან მოუხდა რკენა. რომაელმა სარდალმა ლ უ ც ი უ ს მ უ - რ ე ნ ა მ 83 წელს ახალი ომი წამოიწყო, რომელსაც ისტორიაში „მ ე ო რ ე მ ი თ რ ი დ ა ტ უ ლ ი ო მ ი“ დაერქვა.

მურენა შეიჭრა პონტოს საზღვრებში და ოთხასი სოფელი გაძარცვა და აოხრა. მითრიდატემ ლაშქარი შეჰყარა და ჰალისის პირას მტერი სასტიკად დაამარცხა. რომაელები ბრძოლის ველიდან გაიქცნენ და მახლობელ მაღლობზე გამაგრდნენ. პონტოელებმა ის მაღლობიც აიღეს და მტერი კვლავ გააქციეს. მითრიდატემ ფრიგიამდე მისდია დამარცხებულებს. შემდეგ კაპადოკიაში შეიჭრა და იქიდანაც განდევნა რომაელები.

რომმა ზავი ითხოვა და მითრიდატეც დათანხმდა, რადგან კოლხეთში მღელვარება ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო. ომის შეწყვეტისთანავე მეფე კვლავ აღმოსავლეთისაკენ გაეშურა კოლხეთში თავისი ძალაუფლების განსამტკიცებლად.

74 წელს მცირე აზიაში კვლავ ატყდა საომარი ყიჟინა და იარაღის ზათქი-ზრიალი. დაიწყო „მ ე ს ა მ ე მ ი თ რ ი დ ა ტ უ ლ ი

ომი", რომელიც 11 წელი (74—63) გაგრძელდა. რომაელები და პონტოელები კვლავ ეკვეთნენ ერთიმეორეს. დიდ რომაულ არმიებსა და ფლოტს მოუძღოდნენ კონსულები — ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსი და მარკუს ავრელიუს კოტა.

მითრიდატემ ზღვის ღმერთის, პოსეიდონის სადიდებლად ზღვაში ჩაუშვა წყვილი თეთრი ცხენი, მერე ჯარებს სიტყვით მიმართა და დაიძრა ქ. ქალკედონისაკენ, სადაც არმიითა და ფლოტით იდგა კონსული მარკუს ავრელიუს კოტა.

ბრძოლა ზღვაზეც და ხმელზეც ერთსა და იმავე დღეს მოხდა. კოტამ ვეღარ გაუძლო პონტოელთა მძაფრ იერიშებს, რომელთაც თვით უმამაცესი მეფე მიუძღოდა, და ბრძოლის ველიდან გაიქცა. მან ძლივს შეასწრო ქალკედონის კედლებში; ქალაქის კარები სასწრაფოდ ჩაკეტა და შიგნიდან დასტყიოდა გარეთ დარჩენილ თავის მეომრებს, თავგანწირვით იბრძოლეთო სამშობლოს სახელ-დიდებისათვის. მისი ლეგიონები ქალაქის კარიბჭეს მიაწყდნენ, კედლებს ეხეთქებოდნენ და ხსნას ითხოვდნენ. პონტოელთა ისარი მიზანს არ ცდებოდა და რომაელთა სისხლი უხვად იღვრებოდა. მათი უმრავლესობა გაიჟლიტა. ძლივს გადარჩა რამდენიმე სამხედრო მეთაური, რომელთაც წელში თოკები ჩააბეს და ისე აათრიეს ქალაქის კედლებზე.

იმავე დღეს პონტოელებმა ბრწყინვალედ გაიმარჯვეს ზღვაზეც. მათ დაამსხვრიეს სპილენძის ჯაჭვისაგან შეკრული ჯებირი: დასწვეს რომაელთა ოთხი ხომალდი, ხოლო დანარჩენი სამოცი გემი მთელი თავისი ეკიპაჟით ბუქსირით გამოიბეს და წამოიყვანეს.

მაგრამ მალე ამის შემდგომ მეორე კონსულმა, ნიკიერმა და მამაცმა ლუკულუსმა, შესძლო წონასწორობის აღდგენა. მან დაამარცხა და უკუაქცია მითრიდატე. რამდენიმე შეტაკების შემდეგ მეფემ რომაელებთან ომი დროებით წაგებულად ჩასთვალა და სომხეთს მიაშურა. მან ვერ მოახერხა, თან წაეყვანა თავისი ოჯახის წევრები, რომლებიც ქ. ფარნაკეაში დარჩნენ. მეფეს ისღა დარჩენოდა, თავისიანთა დასახსნელად სიკვდილი გაეგზავნა: მას დიდ სირცხვილად მიეჩნდა, მისი სახლობა რომაელებს ტყვედ ჩავარდნოდა და რომის ქუჩებში ლუკულუსის ტრიუმფში სამარცხვინო ტყვეებად გაეტარებინათ.

და აი, ტყვეობისათვის განწირულთა წინაშე გამოცხადდა მითრიდატეს ერთგული კარისკაცი, საპურისი ბაკხიდე, რომელმაც მეფის სახელით უბრძანათ, დაუყოვნებლივ მოეკლათ თავი, ვისაც როგორი სიკვდილით სურდა. აქ იყო მითრიდატეს ორი ცოლი — მონიმე და ბერენიკე. მონიმემ მოიხსნა დედოფლის დიადემა, რომელიც ერთ დროს მითრიდატემ თავისი ხელით დაადგა თავზე, და სცა-

და მით ჩამოეხრჩო თავი. მაგრამ დიადემა გაწყდა და ქალმა ტირილით შესძახა: „ოჰ, ძონძო, შენ ამისთვისაც გამოუსადეგარი გამოდექ!“ ეს სთქვა და ანიშნა ბაკხიდეს, რომელმაც მაშინვე საკუთარი ხელით დაახრჩო იგი. ბერენიკემ და მისმა დედამ საწამლავი დალიეს. ასევე საწამლავით სავსე თასები დასცალეს მითრიდატეს დებმა როქსანამ და სტატირამ. როქსანა სიკვდილის უმძიმეს წუთებში ლანძღავდა და წყევლიდა თავის გულქვა ძმას, ხოლო სტატირა აქებდა მას, რომ ასეთ მძიმე დღეებშიც არ დაივიწყა ისინი მეფემ და იზრუნა, რომაელებს ხელთ არ ეგდოთ და არ შეებღალათ სახელოვანი მეფის სახლობა.

მითრიდატე მივიდა სომხეთს, სადაც მბრძანებლობდა მისი სიძე (ქალიშვილის ქმარი) და მოკავშირე ტ ი გ რ ა ნ II, რომელმაც მას თავის დროზე რიგიანად ვერც მოკავშირეობა გაუწია და ვერც მოყვრობა. ტიგრანმა სიმამრს თავშესაფარი მისცა, მაგრამ პირადად არ მიიღო და მით უფრო არც რომის წინააღმდეგ გაჰყვა საომრად.

ამრიგად, მითრიდატე ამაოდ ცდილობდა რომის წინააღმდეგ შეეკრა ძლიერი კავშირი პონტო-პართია-სომხეთს შორის. ანდა, დამარცხებულ მეფეს მის მოშურნე და მეტოქე მეფეთაგან რა დახმარების იმედი უნდა ჰქონოდა, როცა მას ჰღალატობს და რომაელთა მხარეზე გადადის ღვიძლი შვილი, სახელად მ ა ხ ა რ ე, რომელიც მამას ბოსფორის (ყირიმის) მმართველად ჰყავდა დანიშნული!

რომაელებმა დაალაშქრეს პონტო და შეიპრნენ სომხეთში.

ტიგრანი ახლა კი მიხვდა მითრიდატეს სიმართლეს, რომელიც მას მრავალგზის აფრთხილებდა: როცა რომაელები მე გამანადგურებენ, მერე შენც გწვდებიანო ყელში.

სიძე-სიმამრი ერთმანეთს შეხვდნენ და ძლიერ მტერთან ახალი საომარი გეგმის შედგენას ჩაუჯდნენ. მაგრამ კვლავ ვერ მორიგდნენ: მითრიდატე, რომელსაც რომაელებთან ბრძოლის დიდი გამოცდილება ჰქონდა, მტერთან გაჭიანურებული ომის წარმოებას მოითხოვდა, ხოლო ტიგრანი, დარწმუნებული უეჭველ გამარჯვებაში, დაუყოვნებლივ გენერალური ბრძოლის გამართვაზე იდგა.

მართლაც ტიგრანმა დიდძალი ლაშქარი შეჰყარა და მიუახლოვდა მისგანვე დაარსებულ ახალ სატახტო ქალაქს ტიგრანოკერტს, რომელიც უკვე რომაელთაგან ალყაში იყო მოქცეული.

ლუკულუსმა თავისი არმია გაჰყო. ერთი ნაწილი ალყის გასაგრძელებლად დასტოვა, მეორეს კი თვითონ უსარდლა და სწრაფი მარშით დაიძრა იქვე მაღლობზე დაბანაკებული მოწინააღმდეგისა-

კენ. ტიგრანმა მოიერიშე მტერს თვალი დაადგა და სარკასტულად სთქვა:

„თუ ელჩები არიან — ძალიან ბევრია, ხოლო თუ მტრები — მეტისმეტად ცოტაა“.

მაგრამ ეს ხუმრობა ხუმრობად დარჩა და ტიგრანი სასტიკად დამარცხდა.

რომაელებმა მალე ტიგრანოკერტიც აიღეს და სომხეთის ველმინდვრებს შეესივნენ. ტიგრანი კვლავ შეხვდა მითრიდატეს და ამიერიდან მისი დამჯერე და თანამორწმუნე გახდა. ისინი გაჭიანურებულ, თარეშულ-პარტიზანულ საომარ ტაქტიკას დაადგნენ და მალე ამას მათთვის სასარგებლო შედეგებიც მოჰყვა.

სომეხთა მეფეს თავის თანამემამულეთა გარდა მხარში უდგნენ მოკავშირენი, რომელთაგან მას ყველაზე მეტად შუბოსანი იბერიელებისა და მოისარი მარდების იმედი ჰქონდა.

სანამ ტიგრანი თავის ქვეყანას იცავდა, მანამ მითრიდატე პონტოში დაბრუნდა და იქ მდგარ რომაულ გარნიზონებს შეება. ჯერ გაშმაგებით შეუტია ქალაქ ქაბეირაში განლაგებულ რომაელებს, რომელთაც მარკუს ფაბიუს ადრიანე სარდლობდა. რომაელმა სარდალმა უკიდურესი გაჭირვების პირობებში მონებს თავისუფლება მიანიჭა და მათი გამოყვანით ბრძოლა განაგრძო. საშინელ ჩეხვაში მითრიდატეს ცხენი დაუჭრეს, მაგრამ დაცემას დაასწრო, გადმოხტა და მახვილამოწვდილმა ომახიანი საომარი ყიჟინით თავისიანებს ახალი იერიშისაკენ მოუწოდა. რომაელები შედრკნენ და გაიქცნენ. სწორედ ამ დროს მეფეს შურდულით ნატყორცნი ქეა კოჭში მოხვდა და ჩაიჩოქა, მაგრამ მალე წამოიჭრა და კიდევ უფრო გამძაფრებით მიეტეევა მტერს. მაგრამ უეცრად ისარმა გაიზუზუნა და მითრიდატეს შიგ თვალში ჩაერჭო. იგი დაეცა და ბრძოლაც მაშინვე შეწყდა. ადრიანე დაჭრილთა და მოკლულთა სიმრავლის გამო ვეღარ ბედავდა კვლავ ბრძოლად გასვლას, ხოლო პონტოელები თავს იკავებდნენ მეფის მძიმე მდგომარეობის გამო. დაჭრილ მითრიდატეს სკვითი ექიმბაშები გველის შხამით მკურნალობდნენ. მეფე რამდენიმე დღეში ფეხზე დადგა და ქაბეირადან ისევ დაიფრინა რომაელები. მალე ამის შემდეგ რომაელი სარდლები — ადრიანე, ტრიარიუსი და სორნაციუსი — თავიანთი ლეგიონებით გაერთიანდნენ და მითრიდატეს გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართეს 67 წელს, გაზაფხულზე, ქალაქ ძელასთან, მდინარე ირისისა და სკოტას მთის მახლობლად.

საბრძოლო ნაღარა პირველად რომაელებმა დასცეს და სწრაფ შეტევაზე გადავიდნენ. მთაზე დაბანაკებული პონტოელები ერთბა-

შად დაეშვნენ და მტერს თავგანწირული კონტრშეტევა შეაგებეს. ბრძოლის სასწორი დიდხანს უშედეგოდ ქანაობდა. მითრიდატემ, რომელიც ხან აქ და ხან იქ, ყველგან, სადაც მისიანებს უჭირდა, უეცრად გაჩნდებოდა და თავისი მეომრული სიკისკასით ყველას საოცარ ცეცხლს უკიდებდა, ბოლოს გასტეხა რომაელთა წინააღმდეგობა და მათი ქვეითი ლაშქარი მდინარე ირისის ჭაობიან-ლაქაშებიან ნაპირებში შერეკა. მკერდამდე დაფლული რომაელები პონტოელთა ისრებისაგან სრულიად გაიყლიტნენ. ტრიარიუსის კავალერიამ, რომელსაც უმთავრესად ქვეითი კოჰორტების იმედი ჰქონდა, ბრძოლის ველიდან მოჰკურცხლა. მითრიდატეც გამოედევნა თავისი მხედრობით. რომაელთა მხედრობასაც განადგურება არ ასცდებოდა, მაგრამ ამ დროს რომელიღაც რომაელმა ცენტურიონმა (ასეულის მეთაურმა), რომელსაც პონტოურ ტანსაცმელში გადაცმულს მეფის მცველებში გაძრომა მოუხერხებია, ამხედრებულ და ბრძოლის ცეცხლით გატაცებულ მითრიდატეს მოულოდნელად მძლავრად აძგერა მახვილი გვერდში. თავზეხელაღებული რომაელი პონტოელებმა იქვე აჰკუწეს და მძიმედ დაჭრილი მეფე ბრძოლის ველიდან გამოიყვანეს. ამ შემთხვევამ მითრიდატეს სარდლები შეაძრწუნა და მათ რომაელებზე გამოდევნებული მხედრები უკანვე გამოიწვიეს.

შეშფოთებული მეომრები მეფეს ეხვეოდნენ და სასოწარკვეთას ეძლეოდნენ. მაშინ მითრიდატე მკურნალის მხარზე დაყრდნობილი მაღლობზე ავიდა, იქიდან თავის მეომრებს ეჩვენა და დაანუგეშა, რომ მისი მდგომარეობა არც ისე მძიმეა. მერე მან საყვედურებით აავსო თავისი სარდლები, როლებმაც „ასე უმიზეზოდ“ გამოიწვიეს ჯარები ბრძოლიდან. იმავე დღეს მითრიდატე ცხენს მოახტა და კვლავ დასძრა გამარჯვებით გალაღებული ჯარები მტრის ბანაკისაკენ. სიკვდილს გადარჩენილმა რომაელებმა გაქცევით უშველეს თავს.

ამასობაში სომხეთში მოლაშქრე ლუკულუსს საკუთარი ლეგიონერები აუჯანყდნენ და იძულებული შეიქნა, უკანვე გამობრუნებულიყო.

ამგვარად, მითრიდატემ და ტიგრანმა კვლავ დაიბრუნეს თავისი სამეფოები.

66 წელს რომში აღმოსავლეთის მთავრსარდლობა გადაეცა სახელოვან გნეუს პომპეუსს, რომელიც მანამდე არნახული სიდიდის არმიებითა და ფლოტით მიადგა მცირე აზიას. ამ უმძიმეს ჟამს მითრიდატეს და ტიგრანს კვლავ მოუსწრიათ ურთიერთ წაკიდება და გათიშვა. პომპეუსსაც შეეძლო თავისი უზარმაზარი ძალებით ცალცალკე გაენადგურებინა გათიშული გვირგვინოსნები.

მითრიდატემ 100.000 რომაელის წინააღმდეგ 30.000-მდე პონტო-

ელის გამოყვანა შესძლო. რამდენიმე მცირე შეტაკების შემდეგ პონტოელებმა უკანდახევა დაიწყეს აღმოსავლეთისკენ. ისინი დღისით თავს აფარებდნენ მიუვალ ტყე-ღრეებს, ხოლო ღამით შეუსვენებლივ მიჰქროდნენ. პომპეუსიც ღამით ვერ ბედავდა ხელი შეეშალა ლტოლვილთა მოძრაობისათვის.

ბოლოს რომაელები მითრიდატეს ევფრატის ზემო დინების ეროხეობაში წამოეწივნენ და ყოველი მხრიდან გზა გადაუჭრეს მას.

პომპეუსი მომდევნო დღეს აპირებდა შეტევის დაწყებას, მაგრამ მას შემოეხვივნენ ლეგატები და დაუწყეს დარწმუნება, რომ ღამით დასხმოდნენ მოწინააღმდეგეს. მთავარსარდალი დიდი ყოყმანის შემდეგ დათანხმდა.

პონტოელები შესჩვეოდნენ იმას, რომ რომაელები ღამით თავდასხმას ვერ ბედავდნენ და ამიტომ სრულიად უზრუნველად მიეცნენ ძილს.

შუაღამისას მტრის არმია საბრძოლო ყიჟინითა და იარაღის ზათქით თავს დაეცა პონტოელთა ბანაკს. მოულოდნელობისაგან პანიკით მოცული მითრიდატეს მეომრები იარაღის ასხმასა და ამხედრებას შეუდგნენ. ჰორიზონტზე დაშვებული მთვარე პონტოელებს სხივებს თვალებში სცემდა, რომაელებს კი ზურგიდან ანათებდა. უზარმაზარი ჩრდილებით წინაღმართულ რომაელ მეომრებს სინათლისა და ძილისაგან თვალმოჭრილი პონტოელები ისარს ვერ ახვედრებდნენ. მითრიდატეს ბანაკი საზარელ სასაკლაოს დაემსგავსა. ბეწვზე ეკიდა მეფის სიცოცხლეც. რომაელთა რჩეულმა რაზმებმა რკინის სალტეში მოაქციეს იგი. ყოველ წუთს შეპყრობა ელოდა მეფეს. ზედიზედ ეცემოდნენ მისი ერთგული თანამებრძოლნი. თვითონ მითრიდატე საარაკო სიმამაცითა და სიმხნევით ებრძოდა მოზღვავებულ მტერს. მის გვერდით საოცარი ვაჟკაცობით იბრძოდა ერთგული და საყვარელი მხევალი ქალი ჰიპსიკრატია. ეს ქალი ყველგან თან ახლდა მეფეს, უვლიდა მას და მის ცხენს და ბრძოლის ველზეც მასთან ერთად იქნევდა მახვილს. სწორედ ამიტომ ეძახდა მას მითრიდატე „ჰიპსიკრატიას“ — „მაღლობის მფლობელს“.

ბოლოს, ჭრილობებით დაფლეთილმა და გასისხლიანებულმა მეფემ რომაელთა სალტე განკვეთა და გაქუსლა. 10 000 პონტოელი დაეცა. რომაელებმა ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის მთელი ალაფი.

პონტოს მეფე სამი ათასი კაცის თანხლებით, — რომელთა შორის იყვნენ მისი საყვარელი ჰიპსიკრატია და ქალიშვილი დრიპეტინე — შეუსვენებლივ მიჰქროდა სომხეთისაკენ. ლტოლვილებმა მიაღწიეს ცეხესიმაგრე სინორიას და იქ შეჩერდნენ. სინორიაში ინახებოდა მითრიდატეს ძვირფასი საჭურჭლეები. მეფემ ერთგული თანა-

მებრძოლები უხვად დააჯილდოვა ფულითა და ძვირფასი სამოსელით. ეჯრო ახლობლებს კი საწამლავიც დაურიგა, რამეთუ საჭიროების შემთხვევაში გამოეყენებინათ და მტერს ცოცხლად არ ჩავარდნოდნენ ხელში.

მითრიდატემ ტიგრანს ელჩები გაუგზავნა და თავშესაფარი სთხოვა. მაგრამ, როგორც ითქვა, ტიგრანი უკვე მტრულად იყო განწყობილი სიმამრისადმი. მან არამცთუ უარი სთქვა ლტოლვილი პონტოელის მიღებაზე, არამედ მისი ელჩებიც შეიპყრო და ბორკილები დაადო, თვითონ მითრიდატეს მოკვლისთვის კი ჯილდო გამოაცხადა ასი ტალანტის რაოდენობით.

მაშ, მითრიდატე ევპატორი კიდევ მეტი საშიშროების წინაშე დადგა. მას აღარც საკუთარი სამეფო გააჩნდა და არც უბრალო თავშესაფარი. მიუსაფარ მეფეს მხოლოდ ერთადერთი გზა ჰქონდა, რომელიც კოლხეთისაკენ მიდიოდა.

მითრიდატემ სინორიიდან წაიღო 6.000 ტალანტი და თავის ახლობელთაგან შემდგარი პატარა ამალით ჩრდილოეთით, კოლხეთისაკენ გაქუსლა. გამოსაზამთრებლად ის დიოსკურიაში დაბინავდა. აქვე შეუდგა რომაელების წინააღმდეგ ახალი გრანდიოზული გეგმის შედგენას...

5. რომაელები და სომხეთი

გნეუს პომპეუსმა სცადა განეგრძო დამარცხებული მითრიდატეს დევნა, მაგრამ, როცა მეფემ კოლხეთისაკენ გადაუხვია, თავი მიანება მას და პონტოს წინააღმდეგ ომი დამთავრებულად ჩასთვალა. მან პონტო მთლიანად ჩაიბარა და მითრიდატეზე საბოლოო გამარჯვების აღსანიშნავად, უკანასკნელი ბრძოლის ადგილზე დააარსა ქალაქი ნიკოპოლისი („გამარჯვების ქალაქი"). პომპეუსმა პირველყოვლისა იქ დაასახლა დაჭრილი და ხანდაზმული მეომრები; აგრეთვე ბევრი ადგილობრივი მცხოვრებიც.

ამის შემდეგ პომპეუსმა ლეგიონები დასძრა სომხეთისაკენ.

სანამ პომპეუსი მითრიდატეს სდევნიდა და პონტოს იპყრობდა, სომხეთსა და პართიას შორის ურთიერთობა იმდენად გამწვავებულიყო, რომ საქმე შეიარაღებულ შეტაკებამდე მივიდა. ტიგრანს უღალატა შვილმა, რომელსაც სახელად აგრეთვე ტიგრანი ერქვა. ეს ტიგრან მრწემი სომხეთის მეფეს მითრიდატეს ასულის, კლეოპატრასაგან შეეძინა. იგი ამავე დროს იყო სიძე პართიის მეფე ფრაატ III-ისა. ამიტომ მეფე ტიგრანი თავის შვილს, ვითარცა მით-

რიდატეს სისხლიერსა და ფრაატის სიძეს, მუდამ ეჭვის თვალით ეცქერდა. უფლისწულიც თავისი თავნებობითა და „უცხოური ორიენტაციებით“ მამასა და მეფეს საფუძველს აძლევდა, ეჭვისა და უნდობლის თვალით ეცქირა მისთვის. ამას ისიც დაერთო, რომ პომპეუსმა სომხეთს გალაშქრებამდე პართიასთან კავშირი შეკრა. ტიგრანი გვიან მოდიოდა გონს: აღარც მითრიდატე, აღარც საკუთარი შვილი მის ბანაკში აღარ აღმოჩნდნენ. მალე სიძე-სიმამრი, ფრაატი და ტიგრან მრწემი, პართიული ჯარებით სომხეთში შეიჭრნენ და მის სატახტო ქალაქს, არტაქსატას მიადგნენ. ტიგრან მეფემ ქალაქი მიატოვა და მთებს მიაშურა. პართიელებმა ალყა შემოარტყეს სომეხთა სატახტოს, მაგრამ რაკი მისი აღება ხანგრძლივ ალყას მოითხოვდა, ფრაატმა არტაქსატას კედლებთან დატოვა ტიგრან მრწემი, ხოლო თვითონ თავის სატახტოში, ქტესიფონში დაბრუნდა. ამით ტიგრან მეფემ ისარგებლა და სწრაფად დაამარცხა თავისი ძე. დამარცხებულმა უფლისწულმა სიმამრთან დაბრუნება ვეღარ გაბედა და თავის ბაბუა მითრიდატეს მიაშურა. მაგრამ როცა შეიტყო, რომ დამარცხებული მითრიდატე თვითონ საჭიროებდა დახმარებას, იგი პომპეუსთან გაიქცა და მორჩილება გამოუცხადა მას.

პომპეუსმა ამ ახალი ბედნიერი შემთხვევითაც კარგად ისარგებლა — სომეხი უფლისწული მეგზურად აიყვანა და არატაქსატასაკენ დაიძრა (66 წელი).

ტიგრანმა დაინახა, რომ მისი ქვეყნის შიგნით შემოჭრილ და სატახტო ქალაქთან მოახლოებულ რომაულ ლეგიონთა წინააღმდეგ გამოსვლა სასიკეთო ნაყოფს ვერ მოიტანდა. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო პართიელების შემოჭრაც. ტიგრანს უნდა ეფიქრა, რომ პომპეუსი და ფრაატი ერთდროულად შევიდოდნენ არტაქსატში და, მოღალატე შვილთან ერთად, გაიყოფდნენ მის სამფლობელოებს. არტაქსატა მათი შესაკრები პუნქტი უნდა ყოფილიყო. ამიტომ ტიგრან მეფემ, სომხეთის ტახტ-გვირგვინის შენარჩუნების მიზნით, გადაწყვიტა თავი ეცნო რომის მორჩილად.

ტიგრანმა ელჩები გაგზავნა პომპეუსთან და თან გააყოლა მითრიდატეს კაცები, რომლებიც მას შეპყრობილი ჰყავდა. ამით მან ნიადაგი მოამზადა რომაელ სარდალთან უფრო ლოიალური ზავის დასადებად. როცა პომპეუსი არტაქსატას მიუახლოვდა, ტიგრანმა თვითონ შეუშვა რომაული გარნიზონი სატახტოში. ხოლო თვით პომპეუსმა არტაქსატადან თექვსმეტი მილის მანძილზე დასცა კარავი.

ტიგრანი ნათესაურებისა და ახლობლების თანხლებით მიეახლა პომპეუსის ბანაკს. ბანაკის შესასვლელთან რომაელ გუშაგთა ბრძანებით ტიგრანი ცხენიდან ჩამოხტა, იარაღი აიყარა, ამალა მოიშორა და მარტოდმარტო გაეშურა პომპეუსის კარავისაკენ.

პომპეუსი ბრწყინვალე სავარძელში იჯდა. ხელმარცხნივ ტიგრან მრწემი უჯდა. ტიგრან მეფე შევიდა და წარსდგა. რომაელი ზვიადად განისვენებდა. მოღალატე უფლისწული იქედნურად იღიმებოდა. ტიგრანმა წამიერ გარინდებას თავი დააღწია, დიადემა და წამოსასხამი მოიძრო და პომპეუსის წინაშე აღმოსავლური წესით მუხლებზე დაეცა. რომაელმა მოწყალება მოიღო: მეფე ფეხზე წამოაყენა და ხელმარჯვნივ დაისვა. ახლა მტრად გადაკიდებული მამა და შვილი აქეთ-იქეთ უსხდნენ პომპეუსს.

ტიგრანმა აღიარა რომაელთა მბრძანებლობა სომხეთის მიმართ და განაცხადა, რომ ის არ თაკილობს მორჩილებას ისეთი კაცის წინაშე, რომელსაც სიძლიერითა და ძალაუფლებით ტოლი არა ჰყავს მთელ ქვეყანაზე.

მწარედ გაუცრუვდა იმედები ტიგრან მრწემს, როცა პომპეუსმა მის მეფე-მშობელს უთხრა: შენ არამცთუ სომხეთის მეფობა არ დაგიკარგავს, არამედ რომაელთა მეგობრობაც მოიპოვეო.

ტიგრანს სომხეთის სამეფო რჩებოდა იმ საზღვრებში, რომელშიც მან იგი ჩაიბარა ტახტზე ასვლისას. მაშასადამე, ერთმეოდა და რონაულებს გადაეცემოდა სირია, ფინიკია, კილიკია, გალატია, კაპადოკია; ტიგრანს რომაელთათვის უნდა გადაეხადა სამხედრო კონტრიბუცია 6.000 ტალანტის რაოდენობით; საჩუქრების სახით უნდა დაერიგებინა ყოველი რომაელი ჯარისკაცისათვის 150 დრაქმა, ყოველი ცენტურიონისათვის 1000 დრაქმა და ყოველი სამხედრო ტრიბუნისათვის თითო ტალანტი. პომპეუსს არ შეეძლო დაევიწყებინა მის წინაშე ტიგრან მრწემის დამსახურებაც. ამიტომ მას სამმართველოდ გადასცა სოფენა და გორდიენა (ადრე ქართული პროვინცია — ქარდუხების საცხოვრისი). აგრეთვე იგი რჩებოდა სომხეთის სამეფო ტახტის მემკვიდრედ მოხუცი ტიგრანის გარდაცვალების შემდგომ. მაგრამ ხავის პირობებით ყველაზე ნაწყენი სწორედ ტიგრან მრწემი დარჩა. ადრე ის, პომპეუსის ბანაკისაკენ მიმავალი, სრულიად დარწმუნებული იყო, მამისადმი ღალატისა და რომაელთადმი მიმხრობის წყალობით სომხეთის ერთპიროვნული მბრძანებელი შეიქნებოდა. მაგრამ, როგორც ვნახეთ, მისი იმედები გაცრუვდა. მართლაც და, რატომ უნდა მომხდარიყო ასე? თუკი სომხეთში მეფობის ნომინალური გაუქმება აუცილებლობას არ წარმოადგენდა, მაშინ ვინ უნდა ყოფილიყო მორჩილი სომხეთის მეფე, თუ არა ტიგრან მრწემი, რომელმაც საქმით დაამტკიცა რომაელთადმი ერთგულება?

ეჭვეკი ტიგრანისადმი პომპეუსის უმადურობა, პირველყოვლისა, პართიასთან მისი ახლო ურთიერთობით უნდა აიხსნას. ახალგაზრდა უფლისწულის ძალაუფლებისმოყვარეობა, მისი მერყეევი ხასიათი

და პართიის მეფესთან ნათესაურ-მოყვრული დამოკიდებულება არ იძლეოდა იმის გარანტიას, რომ მისი გამეფების შემთხვევაში რომის აღმოსავლური მონაპოვარნი საფრთხის ქვეშ არ დადგებოდა. ყოველთვის მოსალოდნელი იქნებოდა, რომ სომხეთისა და პართიის მეფეები ერთმანეთს მხარს მისცემდნენ რომის წინააღმდეგ ომის წამოწყებაში. ამიტომ რომაელთათვის უფრო საიმედო ტიგრან უფროსი იყო. ტიგრანი არავისთან აღარ იმყოფებოდა კავშირში. ის მტრულად იყო განწყობილი მითრიდატესთან, ფრაატთან და საკუთარ შვილთანაც კი. ასე რომ, ტიგრანი აღმოსავლეთში რომაელთა საზიანო რაიმე კოალიციის ხელისშემშლელი იქნებოდა და არა ხელისშემწყობი. ამ პერიოდში, როცა სომხეთი ძალზე დაუძლურდა და პართია გაძლიერდა, რომაული დიპლომატია ჩვეული ტაქტით ცვლის ამ ქვეყნისადმი დამოკიდებულების კურსსაც. სანამ სომხეთი საშიში იყო, რომაელები მის წინააღმდეგ პართიას უკავშირდებოდნენ, ხოლო ახლა, როცა პართია გაძლიერდა, უფრო ხელსაყრელი ხდება კავშირი სომხეთთან პართიის წინააღმდეგ. სომეხ მოკავშირედ ახლა რომაელებს უფრო ტიგრან უფროსი გამოადგებოდათ. ვიდრე პართიის სასახლის კარზე გაშინაურებული სომეხი უფლისწული.

ტიგრან მრწემმა რომაულ-დიპლომატიურ ღონისძიებათა წინააღმდეგ გალაშქრება სცადა. მან უარი განაცხადა მამისათვის დაეთმო სოფენაში შენახული განძეულობა, საიდანაც ტიგრან მეფეს პომპეუსისათვის კონტრიბუცია უნდა გადაეხადა. ამის გამო, რომაელი სარდლის ბრძანებით, გაურჩებულ უფლისწულს განძი მთლიანად ჩამოერთვა, თვითონ მას ბორკილებიც დაადვეს და შეუერთეს ძვირფას ტყვეთა რიცხვს, რომელსაც უნდა დაემშვენებია პომპეუსის ტრიუმფი რომში. მართალია, ფრაატმა სცადა გამოსარჩლებოდა თავის სიძეს, თანაც მოითხოვა პართიასა და რომს შორის საზღვრების ვადასინჯვა. მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. პომპეუსმა უპასუხა, რომ პართიასთან შეკავშირებასა და უფლისწულზე მეურვეობის უფლება აქვს მამას და არა ფრაატს. ჩანდა, რომ პართიასთან მშვიდობიან შეთანხმებაზე ლაპარაკი დამთავრებული იყო.

სომხეთის ნომინალურ-ფორმალური დამოუკიდებლობის შენარჩუნებას პომპეუსისათვის სხვა მხრივაც ჰქონდა მნიშვნელობა. იგი ემზადებოდა ამიერკავკასიის ჩრდილოეთ ნაწილების დასალაშქრავად და მისთვის ხელსაყრელი არ იქნებოდა, ზურგში დამოუკიდებელი და მტრულად განწყობილი ქვეყანა ჰყოლოდა. მან უთუოდ იცოდა, რომ ლუკულუსთან ბრძოლებში სომხების გვერდით მათი ჩრდილოელი მეზობლებიც იბრძოდნენ. მოსალოდნელი იყო, სამაგიეროდ

სომხებსაც ძმური ხელი გაეწოდებინათ თავისი მეზობლებისათვის. იმ დროს, როცა რომაელები სომხეთიდან ჩრდილოეთისაკენ გადიგ-რებოდნენ. ამიტომ, თუ პომპეუსს სურდა, ქართველთა მიწა-წყალ-ზე ლაშქრობისას სომხეთიდან ზურგში მახვილი არ დასცემოდა, არ უნდა დაეშვა კავკასიელი ხალხების — სომხების, ალბანელების, იბერიელებისა და კოლხების — გაერთიანება. პომპეუსი ამ შემოხ-ვევაშიც მოქმედებდა ცნობილი რომაულ-დიპლომატიური დევი-ზით: divide et impera! („გათიშე და იბატონე!"). ამიერკავკასიის ხალხების გასათიშავად რომაელმა სარდალმა სომხეთი „რომაელი ხალხის მოკავშირედ და მეგობრად" გამოაცხადა. ტიგრანი გრძნობ-და ამ იძულებითი „მეგობრობის" ნამდვილ შინაარსს, მაგრამ ქვეყ-ნის დამოუკიდებლობის სრულ დაკარგვას ისევ ნაბრძანები „მოკავ-შირეობა და მეგობრობა" სჯობდა. ამ გზით პომპეუსმა იბერია-კოლხეთში ლაშქრობისას სომხეთის მხრივ არა მარტო ნეიტრალურ პოზიციას მიაღწია, არამედ ტიგრანისაგან საჭირო დახმარების ალთ-ქმაც მიიღო სამარი მარაგისა და ფულის სახით.

6. რომაელები და ქართველები

66 წლის შემოდგომის მიწურულს პომპეუსმა ლეგატ აფრანიუ-სის სარდლობით სომხეთში სამეთვალყურეოდ დატოვა თავისი არ-მიის ერთი ნაწილი, თვითონ კი ძირითადი ძალებით ჩრდილოეთისა-კენ დაიძრა.

უკვე დაზამთრდა, როცა რომაელები მტკვრის ზემო წელს მიუ-ახლოვდნენ და გამოსაზამთრებლად დაბანაკდნენ. პომპეუსმა აქვე მიიღო ტიგრანისაგან სხვადასხვა სახის საფურაჟე მარაგი და ფული გაცილებით მეტი, ვიდრე ეს დათქმული იყო.

რომაელები სამ ბანაკად იდგნენ. ერთს თვითონ მთავარსარდალი მეთაურობდა, დანარჩენ ორს — მისი ლეგატები, მეტელუს ცელერი და ლუციუს ფლაკუსი.

პირველად ალბანთა მეფე ოროისემ სცადა, დროულად უკუეგდო-კარზე მომდგარი საფრთხე. მეორეს მხრივ, ოროისემ საჭიროდ სცნო, თავისი მეგობრის, ტიგრან მრწემის, გამოხსნისათვის ეზრუნა და გადაწყვიტა თავს დასხმოდა რომაელებს.

17 დეკემბერი იდგა, რომაელთათვის სატურნალიების საზეიმო დღე. ოროისემ იფიქრა, რომ ამ დღეს რომაელები სატურნალიების ზარ-ზეიმით გაერთობოდნენ და საომარ ყურადღებას გაინელებდ-ნენ.

40.000 ალბანელი მიადგა მტკვრის ზემო წელს. ოროზესმ თავისი არმია სამად დაჰყო და ცალ-ცალკე შეუტია რომაელთა ბანაკებს. თვითონ მეფე თავს დაესხა მეტელუს ცელერის ბანაკს. სადაც მას შეპყრობილი სომეხი უფლისწული ეგულებოდა. ცელერი მტრის მოულოდნელ თავდასხმას მედგრად დაუხვდა და ძლიერი კონტრშეტევით უკუაქცია იგი.

ალბანელთათვის განსაკუთრებით მძიმე შეიქმნა რომაულ „კასტრასთან" (სამხედრო ბანაკი) ბრძოლა. ლუციუს ფლაკუსს თავისი ბანაკისათვის ორრიგი თხრილები შემოევლო და, როცა მან მოჩვენებითი უკუქცევით ალბანელები პირველი თხრილის შიგნით შეიტყუა, ლეგიონერები ერთბაშად მოუბრუნდნენ და ჩეხვაზე გადავიდნენ. ბევრმა უკუქცეულმა ალბანელმა ფართო თხრილის გადალახვა ვეღარ მოახერხა და შიგ ჩაიღუპა.

პომპეუსმა ბრძანება გასცა და სამივე ბანაკი ერთიან იერიშზე გადავიდა. მტკვრის გადალახვისას ალბანთა ლაშქარი კვლავ ძლიერ დაზარალდა.

ოროზესმ რომაელებს დაზავება სთხოვა. პომპეუსმა ალბანთა ქვეყანაში შეჭრა ჯერჯერობით ნაადრევად ჩასთვალა და სამშვიდობო წინადადებაზე დათანხმდა.

65 წლის გაზაფხულზე რომაელები იბერთა მიწა-წყალზე შემოიჭრნენ.

მაშინ იბერიაში მეფობდა ა რ ტ ა გ ი.

იბერთა მეფემ მსოფლიო დამპყრობელთან გულდაგულ შეტაკება უსაზღვნო საქმედ ჩასთვალა და პომპეუსს დესპანები გაუგზავნა სამეგობრო ურთიერთობის დასამყარებლად. არტაგი იმასაც ვარაუდობდა, რომ გულზვიადი რომაელი მთავარსარდალი, რომელსაც დიდძალი და მრავალი გამარჯვებებით გათამამებული არმიები ჰყავდა, დაზავებაზე ასე იოლად არ დათანხმდებოდა და ამიტომ პარალელურად ჯარების შეყრასა და საომარ სამზადისს შეუდგა.

პომპეუსი თავისი ლეგიონებით ისე სწრაფად მიადგა მცხეთის აკროპოლისს — არმაზციხეს, რომ არტაგისთვის მისგან შემოთავაზებულ ზავზე არც კი უპასუხნია.

არტაგმა ჯარების გამოყვანა ვერ მოასწრო, არმაზციხე მცირერიცხოვან ციხიონს მიანდო, თვითონ მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გადავიდა და ხიდი დასწვა, რომ ამით მცხეთისაკენ რომაელთა გადასვლა შეფერხებულიყო.

პომპეუსმა არმაზციხე აიღო. ქართლის სატახტოს გული მის ხელში მოექცა. რომაელი დამპყრობელი დაეუფლა დიდ სტრატეგიულ და ეკონომიურ ცენტრს, რომელიც ალბანეთისაკენ და სომხეთისაკენ გასასვლელი მოსახერხებელი გზების გასაღებად ითვლებოდა.

პომპეუსი ინდოეთიდან შავი და ხმელთაშუა ზღვებისაკენ მომავალ დიდი სავაჭრო გზის ცენტრში იდგა. აქ დააზუსტა პომპეუსმა: ინდოეთიდან ბაქტრიისა და ოქსის (ამუდარია-სირდარია) გამოვლით კასპიის ზღვამდე სავაჭრო ქარავნისთვის შვიდი დღე კმარა, ხოლო კასპიის ზღვიდან პონტოს ფასისამდე მტკვრით, ძირულითა და რიონით — ხუთი დღე. ბოლოს და ბოლოს, ამ გზით ინდურ საქონელს იტალიამდე ოცი-ოცდახუთი დღე თუ დასჭირდებოდა...

მაგრამ იბერია ჯერ დასაპყრობი ჰქონდა პომპეუსს.

არმაზციხეში გარნიზონი დააყენა და მტკვრის ხელმარცხნივ გადასალახავად მოემზადა.

როცა არტაგი დარწმუნდა, რომ პომპეუსი მარტო მტკვრის მარჯვენა სანაპიროების დაპყრობით არ კმაყოფილდებოდა, იძულებული გახდა, საზავო მოლაპარაკება განეახლებინა. მეფე მეგობრობას სთავაზობდა რომაელს. თან სურსათით დახმარებასა და მტკვარზე ხიდის აღდგენას აღუთქვამდა.

მეფემ დანაპირები შეასრულა, მაგრამ პომპეუსი იბერიის, ამ უცნაური, აქამდე დაუმორჩილებელი ქვეყნის სრულიად დასამორჩილებლად იყო მოსული და მაინც გადაიყვანა ჯარები მტკვრის მარცხენა სანაპიროზე.

არტაგი გადამწყვეტ ბრძოლას კვლავ განერიდა, მდინარე არაგვზე გადავიდა და ხიდი აქაც დასწვა.

რომაელები მდინარის გადალახვას შეუდგნენ. იბერიელები შეებნენ, მაგრამ ფრიად დაზარალდნენ.

პომპეუსი მტკვარ-არაგვის გზა-კვანძს მთლიანად ფლობდა, მაგრამ ეს მაინც არ იყო სრული გამარჯვება.

იბერიელები თარეშულ-პარტიზანულ ომზე გადავიდნენ. ღრმა და უსიერ ტყე-ღრეებში მიიწევდნენ, მტერს გზას უშრიდნენ, ქვას აგორებდნენ, ზვავებს სხლეტდნენ; მაღალ ხეებზე საფრობდნენ და მომხდურთ მიზანაუცდენლად ესროდნენ ისარს. თვალშეუდგამი ტყეებიდან და წკვარამებიდან ელვასავით გამოიჭრებოდნენ, მტერს მიესეოდნენ და კვლავ ელვისებურად გაუჩინარდებოდნენ.

მაშინ რომაელებმა ტყეების გაჩეხვა და ცეცხლის წაკიდება დაიწყეს.

იბერიელი პარტიზანები ნადგურდებოდნენ.

დაჭრილ და დახოცილ ქართველ მეომართა შორის რომაელებმა შრავალი ქალი აღმოაჩინეს. გაოცება იმდენად ძლიერი იყო, რომში ხმა ჩავიდა, პომპეუსი აღმოსავლეთში ამაძონებს ებრძვისო.

არტაგმა ისევ გაგზავნა დესპანები პომპეუსთან, — კვლავ დაზავებას ითხოვდა. თან დიდი ძღვენი აუხლა რომაელ სარდალს: ოქროს

ტახტი, ოქროს მაგიდა და ოქროს სარეცელი. მაგრამ რომაელი მაინც უნდობლობას უცხადებდა იბერთა მეფეს და ზავის აუცილებელ პირობად მისი ვაჟების მძევლად აყვანას მოითხოვდა.

მეფე დიდხანს ყოყმანობდა, მაგრამ, როცა ზაფხულის ძლიერი სიცხისაგან არაგვის წყალმა კლება დაიწყო და რომაელებმაც მისი გადალახვა ადვილად შესძლეს, არტაგი დათანხმდა და პომპეუსს მძევლად გაუგზავნა თავისი შვილები.

არტაგი და პომპეუსი დაზავდნენ.

იბერია „რომაელი ხალხის მოკავშირედ და მეგობრად" გამოცხადდა.

რაკი იბერიის მხრივ უშიშროება უზრუნველყო, პომპეუსმა არმიები კოლხეთისაკენ დასძრა. რომაელებმა გადაიარეს ლიხის მთა და ძირულა-რიონის ხეობაში დაეშვნენ. ისინი გზადაგზა ადგილობრივ ქართულ ტომთაგან ზოგს იმეგობრებდნენ, ზოგსაც იარაღით იმორჩილებდნენ.

ასე მიაღწიეს ქალაქ ფასისს, სადაც პომპეუსს მიეგება მისგანვე ზღვების სადარაჯოდ გამოგზავნილი ნავარქი სერვილიუსი. მისგან პომპეუსმა შეიტყო, რომ მითრიდატე კოლხეთიდან ბოსფორს წასულა. საბაბი, რომლითაც რომაელი სარდალი თავის ლაშქრობას ამართლებდა, ადგილზე აღარ არსებობდა, მაგრამ მას ახლა არავითარი საბაბი აღარ სჭირდებოდა. ქვეყანა უკვე დალაშქრული და დამარცხებული იყო.

მცირე ფიქრის შემდეგ პომპეუსმა ირწმუნა, რომ იგი ვერ შესძლებდა ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში ლაშქრობას და გადაწყვიტა, ეს წელი (ისევ 65 წ.) ლეგენდარული კოლხეთის სრული დამორჩილებისათვის მოენდომებინა. მან ფასისიდან ჩრდილოეთისაკენ გაილაშქრა. ამბობდა, კავკასიონს უნდა ვეწვიოო, პრომეთეს ტანჯვის ადგილს. რომაული პლუტოკრატიის რჩეულს განსაკუთრებით აინტერესებდა კავკასიონის მთებიდან ჩამომდინარე ნაკადულების ოქროს ქვიშა და გრძელბეწვიანი ცხვრის ტყავებით ამ ოქროს შეგროვების კოლხური წესი.

მაგრამ, რაც უფრო ჩრდილოეთით მიიწევდნენ რომაელები, მით უფრო მარცხდებოდნენ მამაც მთიელ ქართველობასთან შეტაკებებში.

პომპეუსმა დროზე იცოდა თავის შეკავება. ამჯერადაც მან შეუძლებლის შეძლებაზე ხელი აიღო და სამხრეთისაკენ შემობრუნდა. დასავლეთ საქართველოს დაპყრობილი ტერიტორიები სამმართველოდ გადასცა ვიღაც არისტარქეს, ზღვების მეთვალყურეობა ისევ სერვილიუსს დაავალა, თვითონ კი ალბანეთის წინააღმდეგ დაიძრა.

7. რომაელები და ალბანელები

პომპეუსს უნდოდა, ალბანეთსაც ისევე მოულოდნელად დასხმოდა თავს, როგორც იბერიას. იგი გაემართა ალბანეთისაკენ არა უმოკლესი გზით, არამედ სომხეთის გავლით, რათა იქიდან, სამხრეთიდან, მოულოდნელად შეეჭრილიყო ამ უცხო ქვეყანაში.

კოლხეთიდან სომხეთისაკენ მიმავალ გზაზე მესხეთის მთებზე მცხოვრებმა „შვიდსოფლელებმა“ (შკვითინებმა) პომპეუსს სამი ცენტურია ამოუჟლიტეს. თურმე უცხო, დაუპატიჟებელ სტუმრებს შვიდსოფლელებმა ველური თაფლი გამოუფინეს გზაზე. რომაელები თაფლს დაეხარბნენ, დაბრუვდნენ და გონწართმეულნი ბატის ჭუკებივით დაჟუჟეს მასპინძლებმა.

პომპეუსი სომხეთს მივიდა. სომხეთი წყნარად დახვდა. აქედან იგი ჩრდილოეთისაკენ გაეშურა და მდინარე მტკვარს მიადგა დღევანდელი ყაზახისა და აღსტაფის მახლობლად. მდინარის მარცხენა ნაპირი მაღალი ხის ღობურებით იყო გამაგრებული. რომაელებმა მაინც შეძლეს მეორე ნაპირზე გადასვლა. ისევ იბერთა მიწაზე იდგნენ. რამდენიმე დღის განმავლობაში მიემართებოდნენ კამბეჩოვანის სიცხიან ველებზე. ძლივს მილასლასებდნენ სიცხისა და წყურვილისაგან დაოსებულნი. ტყვე მეგზურები ცდილობდნენ არასწორი გზით წაეყვანათ დაუპატიჟებელი სტუმრები.

ბოლოს, პომპეუსის ლაშქარი მიადგა მდინარე იორს. წყურვილისაგან დატანჯული მეომრები და ცხოველები ხარბად დაეწაფნენ ცივ წყალს. ბევრს მუცლის გვრემა დამართა უზომო წყლის სმამ.

იორიდან ალაზნამდე იარეს, იბერიის მიწა-წყალი განასრულეს და ალბანეთის მიწებზე შედგეს ფეხი.

ალაზნის გადალახვისთანავე პომპეუსმა მიიღო ცნობა, რომ ახლოვდებოდა ალბანთა მეფე ოროისე 60.000 ქვეითი მეომრითა და 12.000 ცხენოსნით.

პომპეუსს გაცილებით მრავალრიცხოვანი არმია ჰყავდა. მან წინა ხაზზე გააწყო კავალერია; მის უკან ფარებს ამოფარებული ქვეითი ლეგიონები დაალაგა, დაჩოქილნი, — მტერს რომ არ შეენიშნა მისი რიცხობრივი უპირატესობა.

ალბანელები დანახვისთანავე ეძგერნენ რომაელ მხედრობას. პომპეუსის ცხენოსნებმა მტერს ზურგი აქციეს და გზა გაუხსნეს უკან ჩასაფრებულ ლეგიონებს. ლეგიონებიც აღიმართნენ ჩვეული მრისხანებით. ნადირთა ტყავით შემოსილი ალბანელნი უსაზმნოდ აწყდებოდნენ მსოფლიოში უპირველესი საომარი აღჭურვილობისა და გაწვრთნილობის მქონე რომაელთ.

ოროსეს ძმა, კოსისი, პომპეუსს მიეჭრა და მკერდში მძლავრად აძგერა ‘შუბი. რომაელის ფარფლებიანმა ბექთარმა აისხლიტა ალბანელის შუბი. წამსვე პომპეუსმა მოიქნია მახვილი. კოსისი შუაგაჩეხილი გადმოეშვა ცხენიდან.

რომაელთა მხედრობამ ფლანგებიდან შეუტია მტერს. ალბანელნი ალყაში მოექცნენ და განადგურდნენ. ცოტანი გადარჩნენ სიკვდილს.

პომპეუსს განზრახული ჰქონდა კასპიის ზღვამდე მისულიყო. სამი დღის განმავლობაში მიიწევდნენ კასპიისაკენ. მაგრამ სიცხეების, უწყლობისა და შხამიან ქვემძრომთაგან შეძრწუნებულმა მეომრებმა უარი განაცხადეს შემდგომ წინსვლაზე.

პომპეუსს ლუკულუსის ბედი გაახსენდა: ლეგიონები რომ აუჯანყდნენ აღმოსავლეთში. ამიტომ იგი დათანხმდა ალბანთა მეფის თხოვნას და ზავი შეკრა მასთან.

8. მითრიდატეს აღსასრული

მომდევნო 64 წელს პომპეუსი ალბანეთიდან სომხეთს დაბრუნდა, ხოლო იქიდან, მცირე სომხეთის გავლით, პონტოში ჩავიდა.

პომპეუსი პონტოს სამეფოს მდიდარ ქალაქებსა და ციხესიმაგრეებში წლობით დაგროვილი და მტკიცედ დაცული ძვირფასი საჭურჭლეების მფლობელი შეიქნა. მარტო ციხესიმაგრე ტალავრაში პომპეუსს ხელში ჩაუვარდა მითრიდატეს 2,000 ოქროცურკილი ონიქსის ფიალა, უთვალავი ძვირფასი ჭიქა, ყანწები, ჭურჭელი, მოქარგულ-მოსეევადებული ტახტები, სავარძლები, ცხენთა მოკაზმულობანი — ყველაფერი ოქროთი მოოქვილი. მარტო დათვლასა და აღრიცხვას ერთი თვე დასჭირდა.

მეორეგან, ახალციხეში (მცირე აზიაში) პომპეუსმა ხელთ იგდო მითრიდატე პონტოელის მთელი არქივი, სადაც აღმოჩნდა მეფის საიდუმლო წერილები, მემუარები. მეცნიერული ნარკვევები, წერილობითი განკარგულებანი და ღონისძიებანი. აქ ნაპოვნი დოკუმენტებიდან (რომელთაგან ჩვენამდე არაფერს მოუღწევია) ნათელი ეფინებოდა პონტოელი ხელმწიფის სამხედრო და პოლიტიკურ გეგმებს, მის ყოველ ზრახვასა და ღონისძიებას, ოჯახურ ამბებს, მეფის ღარდიმანჯულ-ბოჰემურ ავანტურებს, რომანტიულ-ინტიმურ იდილიებსა და სხვა პირადულ ვნებებს.

63 წელს პომპეუსმა და მაშინდელმა მსოფლიომ შეიტყო იმ დროს ყველაზე სახელგანსმენილი კაცის, მითრიდატე პონტოელის სიკვდილის ამბავი.

ეს ასე მოხდა...

66—65 წლების ზამთარი მითრიდატემ კოლხეთში გაატარა. აქ მან დაიწყო ფიქრი იმის შესახებ, თუ რისთვის და როგორ გამოეყენებია მას თავისი სვეგამწარებული სიცოცხლის უკანასკნელი წლები. ანუ, რა გეგმებითა და გზებით განეხორციელებინა მას საძულველი რომაელების წინააღმდეგ ახალი ბრძოლები. მას არასგზით არ სურდა, თუნდაც სიკვდილ-სიცოცხლის განსადრეკელზე, ხელიდან გაეგდო „მგლის ნაშიერთა“ წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის დროშა.

ჯერ მოღალატე შვილი, მახარე, უნდა ჩამოეგდო ბოსფორის სამეფო ტახტიდან. მერე, ბოსფორშივე უნდა შეეყარა ახალი დიდი არმია. ამისთვის იგი ურთიერთობას გააბამდა მთელი შავი ზღვის გარშემო და ევროპის სიღრმეში მცხოვრებ ტომებთან. მათი დახმარებით ის შემოუვლიდა ჩრდილოეთიდან შავ ზღვას, გაივლიდა თრაკიას, მაკედონიას, შეეიდოდა დასავლეთ ევროპაში, იქაც შეჰკრებდა კელტებისა და სხვა ევროპულ-ბარბაროსულ ტომთა ჯარებს. გადალახავდა ალპებს და ასეთი, მანამდე გაუგონრად გრანდიოზული ძალებით, შეიჭრებოდა იტალიაში და დაესხმოდა საძულველი მტრების ბუდეს, რომს.

ასეთი იყო მისი ახალი საომარი გეგმა რომის დასამხობად.

მითრიდატე 65 წლის გაზაფხულზე ყირიმისაკენ გაეშურა ხმელეთის გზით. გზა და გზა იგი იმხრობდა შავი ზღვის ჩრდილო- აღმოსავლეთ სანაპირებზე მცხოვრებ ტომებს — ჰენიოხებს, აქეელებს, იაზიგებს. ის კარგა მოზრდილი ძალებით ჩავიდა ყირიმში.

მითრიდატეს მოულოდნელმა გამოჩენამ თავზარი დასცა მის მტრებს, განსაკუთრებით მოღალატე შვილს. მახარემ მამას შუამავალნი მიუგზავნა და პატიება ითხოვა. მაგრამ ისიც შეიტყო, რომ მითრიდატეს მრისხანებას საზღვარი არ ჰქონდა. თანაც, მახარე ყველამ მიატოვა და, ზოგი გულითადი სურვილით, ზოგიც შიშით, მოხუცი მეფის მხარეზე გადავიდა. მახარე თავისიანთა თანხლებით გაიქცა. მითრიდატემ მდევარი გამოადევნა. ყველანი შეიპყრეს. ყველას თავები დააყრევინეს.

მეფე ორი წლის განმავლობაში საკვირველი ენერგიითა და ენთუზიაზმით ემზადებოდა სარევანშო ბრძოლებისათვის. თავისი ძალაუფლების ქვეშ იკრებდა შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებს. იერთებდა ზოგს დარწმუნებით, ზოგსაც ძალით. უმოყვრდებოდა სკვითთა ბელადებს. ჰკრებდა ჯარებს „თავისუფალთაგან და მონათაგან“. აგებდა ფლოტს, სპეედა საომარ საჭურველს, აწყობდა საომარ-საფორტიფიკაციო მანქანებს.

მაგრამ მხცოვანი ხელმწიფის გეგმებს განხორციელება არ ეწერა. ჯერ, თვით მის ახლობელთა შორის იბრძოლა ურთიერთობდა შეთქმულების და ღალატის ხვანჯები. მისმა ცოლმა სტრატონიკამ საიდუმლო მოლაპარაკება გაბა პომპეუსთან. ბევრი ატყობინებდა რომაელს, სად, რომელ ადგილებში, რომელ ძელმიწურებში და სიმაგრეებში ინახავდა მეფე საომარი სამზადისისათვის საჭირო საგნებს, თანხებს, საჭურჭლეებს. ამის საფასურად სტრატონიკა პომპეუსს სთხოვდა, როცა თქვენ „ამ ბოროტ მოხუცს“ მოსპობთ და სრულ გამარჯვებას მოიპოვებთ, ჩემ შვილს, ქსითარას, სიცოცხლე შეუნარჩუნეო.

მითრიდატემ შეიტყო მორიგი ცოლის მორიგი ღალატი. გაცოფებულმა მეფემ ღვიძლ შვილს, ქსითარას დედის თვალწინ ყელი გამოსჭრა და დაუსაფლავებლად ყვავ-ყორნების არჩივად დაადგო.

ამას ახალი შეთქმულება მოჰყვა. შეთქმულების მოთავე შექნილა მითრიდატეს უსაყვარლესი შვილი, მის მიერვე ტახტის მემკვიდრედ გამოცხადებული ფარნაკე. მეფემ შეიტყო ღალატი მისი გულის რჩეულისა. ფარნაკე უეკველ სიკვდილს გადაარჩინა მეფის უახლოესმა მრჩეველმა მენოთანმა. ამოდენა ლაშქრობისათვის მზადების დროს არ ღირს ესოდენ დაფასებული ვაჟის დასჯაო, — ჩასჩიჩინებდა ის სიბრაზისაგან გამხეცებულ მითრიდატეს. მეფემ გულის ჯავრი შვილის თანაშეთქმულთა სიკვდილით იყარა.

მითრიდატეს მალე ახალი უბედურება ეწვია. აჯანყდა ქალაქი ფანაგორია (ტამანის ნახევარკუნძულზე), სადაც მოემწყვდნენ მეფის შვილები: არტაქსერქსე, არტაფერნი, დარიოსი, ქსერქსე, ოქსათრი, ევპატრა და კლეოპატრა. ყველა ისინი აჯანყებულებმა იგდეს ხელთ. მხოლოდ კლეოპატრამ გასაოცარი სიმამაცით და მოხერხებით დააღწია თავი მტერს და მიაღწია პანტიკაპეას, სადაც მაშინ იმყოფებოდა თვითონ მითრიდატე. ფანაგორიის აჯანყებს შემდეგ პონტოს მეფეს გადაუდგნენ ხერსონესი და თეოდოსია.

მეფის გეგმები სწრაფად მიექანებოდნენ უფსკრულისკენ.

გადასახადები, რომელიც მითრიდატემ საომარი სამზადისის საჭიროებისათვის დააწესა, სულს ხდიდა მოსახლეობას და მღელვარებას იწვევდა მასში. „ყველას დაადვა გადასახადი, თვით უკიდურეს ღარიბებსაც კი. გადასახადის შემკრები მოხელენი ძალზე ავიწროებდნენ ხალხს...“ ამდენად, ადგილობრივ მოსახლეობაში, რომელიც ახალ დიდ ომში მითრიდატეს ძირითადი დასაყრდენი უნდა ყოფილიყო, მისი გეგმები არა თუ თანაგრძნობით არ სარგებლობდა, არამედ უკმაყოფილებასაც იწვევდა და აჯანყების საშიშროებასაც ქმნიდა.

ახალი ლაშქარიც, რომელიც მეფემ შეკრიბა, ახალი წამოწყების

მიმართ ძალიან ცუდად იყო განწყობილი. ჯარი ყოყმანობდა უმთავრესად ახალი საომარი წამოწყების უსაზმნო გრანდიოზულობისა და საეჭვო პერსპექტივის გამო. „არ სურდათ გამგზავრება შორეულსა და ხანგრძლივ ლაშქრობაში, უცხო ქვეყანაში იმ ხალხის წინააღმდეგ. ვისი დამარცხებაც მათ თავიანთ ტერიტორიაზე ვერ მოახერხეს“.

მითრიდატეს აღარც ძველი, ერთგული, რომაელებთან რკენაში ნაწრთობი ვეტერანი სარდლები და თანაშემწეები დარჩენია, ხოლო ახალი სარდლები ჯარისკაცებში პატივისცემითა და ნდობით ვერ სარგებლობდნენ.

ამრიგად, მითრიდატე მისი ბედუკუღმართი თავგადასავლებისა და ასაკის მიუხედავად, თითქმის სრულიად მარტოდმარტო დარჩენილი, საოცარი ენერგიითა და ფანატიზმით შეპყრობილი, ცდილობდა აწ განუხორციელებლის განხორციელებას. ის ერთ ხანზე ავადმყოფობდა კიდეც. სახეზე მუწუკები დაეფინა და მისი ხილვა მხოლოდ მის მკურნალ საჭურისებს შეეძლოთ. მალე გამოჯანსაღდა, ბაგრამ მზის სინათლეზე გამოსული მეფე სულ მალე სამარადისო ბნელეთის გზას უნდა დასდგომოდა...

ბოსფორში მეტისმეტად დაძაბულ ატმოსფეროს მძლავრი აჯანყების ხანძარი მოჰყვა, რომელშიც ჩაინთქა მითრიდატე ევპატორის უკანასკნელი იდეალები.

აჯანყებას სათავეში ედგა ისევ მითრიდატეს რჩეული ვაჟი ფარნაკე.

გარიჟრაჟისას მითრიდატე საშინელმა ყიჟინამ და ღრიანცელმა გამოაღვიძა. იმ წამსვე ფეხზე წამოიჭრა და მცველები აფრინა ამბის შესატყობად. მალე შეატყობინეს, რომ მთელი არმია და ხალხი აღარ სცნობენ მის ძალაუფლებას. აჯანყებულები პირდაპირ უთვლიდნენ: გვსურს, მეფედ იყოს შენი ვაჟი ფარნაკე, ახალგაზრდა და ჯანღონით სავსე, ნაცვლად მოხუცი, სასტიკი და შეუბრალებელი მითრიდატესი, რომელიც არავის ზოგავს, ხოცავს საკუთარ შვილებს, მეგობრებს, ახლობლებს, სტანჯავს ხალხს.

მითრიდატე პირადი გვარდიის თანხლებით თვითონ გაეშურა მოაჯანყე შვილის ბანაკისაკენ. მაგრამ მცველმა რაზმებმა უეცრად მიატოვეს და ფარნაკეს კარავისაკენ გაქუსლეს. ფარნაკემ ბრძანება შეაგება: თუ მართლა ერთგულებისთვის მოდიხართ, ჯერ მეფე შეიპყარით და ცოცხლად მომგვარეთო. გვარდიელები შემობრუნდნენ მითრიდატეს შესაპყრობად. მეფემ მტერთა განაზრახი შეიტყო და ცხენი მოსხლიტა. მაგრამ გვარდიელებმა ისრის სეტყვა დააყარეს

და ცხენი მოუკლეს. მოხუცმა მეფემ ფეხდაფეხ შეასწრო ციხესიმაგრეში.

მეფე მაღალ გოდოლზე ავიდა და იქიდან დაინახა, როგორ მორთეს აბანყებულებმა მისი შვილი მეფის ტანსაცმელში, თავზე გვირგვინის მინამსგავსად რაღაც ღეროიანი თავსამკაული დაადგეს, წინ ღრიანცელით გაიძღოლეს და ციხესიმაგრეს ალყა შემოარტყეს.

მითრიდატემ შვილთან დაზავება სცადა. მან ზედიზედ აახლა თავისიანნი ფარნაკეს. იგი სთხოვდა შვილს, დაენდო მამის სიცოცხლე ისე, ვითარცა მამამ შეინდო შვილი ამასწინანდელი ღალატისათვის. უკიდურეს შემთხვევაში, იმდენი გულმოწყალება მაინც გამოიჩინე, უვნებლად წასვლის ნება მომეცი და სამეფო ტახტი შენთვის დაგვილოცნიაო, — ემუდარებოდა მითრიდატე შვილს.

მაგრამ ფარნაკე მამაზე უფრო სასტიკი და შეუბრალებელი აღმოჩნდა.

ის ერყევად იდგა თავის გადაწყვეტილებაზე: მითრიდატე უნდა მომკვდარიყო.

რა ვაეწყობა: უნდა მომკვდარიყო. მითრიდატე აღმოჩნდა ის კაცი, რომელმაც მთელს თავის ღალატით გარშემორტყმულ ცხოვრებაში მხოლოდ ერთჯერ აპატია ღალატისათვის, ისიც თავის ღვიძლ შვილს, — და ეს ერთადერთი პატიებაც მისთვის საბედისწერო გამოდგა. მამამ შვილისაგან შეწყალებისათვის სამაგიერო შეწყალება ვერ მიიღო.

მითრიდატეს თითქოს არც კი გაჰკვირვებია შვილის ასეთი უმადურობა, თითქოს კიდევაც მოეწონა მისი სისხლიერის ასეთი სიმტკიცე, სისატიკეში განსახებული.

მეფემ მასთან შემორჩენილი უკანასკნელი ერთგული მხლებლები იხმო, ქება-დიდებით შეამკო ერთგულებისათვის, უხვი საბოძვარითაც ეავსო ისინი და მერე უბრძანა წასულიყვნენ ახალ მეფესთან. ისინიც დაემშვიდობნენ და წავიდნენ.

მითრიდატესთან მისი ქალიშვილები დარჩნენ, მითრიდატისი და ნისა.

ქალებთან ბიტოიტი იდგა, მითრიდატეს უერთგულესი მსახური და საჭურველთმტვირთველი, წარმოშობით კელტი. ბიტოიტმა მეფეს უარი უთხრა მარტო დატოვებაზე.

მეფემ მშვიდად გახსნა ხმლის ქარქაში და საწამლავი ამოიღო. საწამლავს იგი მუდამ განუყრელად თან ატარებდა.

შვილები მდუმარედ, შეგრძნებულად და განლიგებულად ადევნებდნენ თვალს.

მეფემ საწამლავი შეაზავა ფიალაში.

ასევე მოიქცნენ მისი ქალიშვილები, მითრიდატისი და ნისა.

(მითრიდატისი ეგვიპტის მეფეზე იყო დანიშნული, ნისა — კვიპროსის მეფეზე).

მამასავით უჯიათად ეჭრებოდნენ სიკვდილს ქალები. მხოლოდ ეს იყო, მამას სთხოვეს, პირველად ჩვენ მივიღებთო საწამლავს, რამეთუ არ გვსურს ვიხილოთ მოხუცი მშობლის ტანჯვით სიკვდილიო. რაოდენ მძიმე უნდა ყოფილიყო მამისათვის ამ თხოვნის შესრულება, მაგრამ მაინც აღასრულა შვილების ბოლო სურვილი.

მითრიდატეს ასულნი საწამლავის დალევისთანავე უსულოდ დაეცნენ.

მეფემაც სულმოუთქმელად დასცალა ფიალა.

გარნა საწამლავმა არ იმოქმედა!

მითრიდატე ხომ საქმელს ისე არ ჭამდა, თუ შიგ წინასწარ ანტისაწამლავს არ შეაზავებდა. ამის გამო მის სხეულს წამალსაწინააღმდეგო ძლიერი იმუნიტეტი გამოუმუშავებია.

მეფემ სირბილი ატეხა. დიდხანს მირბი-მორბოდა, იქნებ იმოქმედოსო საწამლავმა, მაგრამ ამაოდ.

იგი შესდგა. კარებთან ბიტოიტი შენიშნა. უცებ რაღაც გაახსენდა და ბიტოიტს შესძახა:

„დიდ დახმარებას მიწევდა შენი მარჯვენა საომარ ველზე; მაგრამ ახლა უნდა გამიწიოს ყველაზე დიდი დახმარება: დაუყოვნებლივ უნდა მომისპო სიცოცხლე! უნდა მომკლა, თორემ მე მელის სამარცხვინო ტყვეობა და საძულველი რომის ქუჩებში დონდლო პომპეუსის ტრიუმფში გატარება. ასეთი რამე მომელის მე, რომელიც ამდენხანს ვიყავ ამ ქვეყნის თვითმპყრობელი. მე შხამი ვერ მკლავს იმის გამო, რომ მე უგუნური, თავის დაზღვევის მიზნით, წინასწარ ვიღებდი თავის გადარჩენის საშუალებებს სხვა საწამლავთა სახით. ხოლო ყველაზე საშინელი და მეფეთა ცხოვრებაში ესოდენ ჩვეულებრივი საწამლავი — ჯარის, მეგობრებისა და შვილების ღალატი — მე ვერ გამითვალისწინებია... და ახლა მე უნდა მომკლა შენ! უნდა მომკლა!“

ერთგულმა მსახურმა შეუსრულა უკანასკნელი თხოვნა თავის მბრძანებელს: მან მითრიდატეს გამოშვერილ კისერს მახვილი მძლავრად დაჰკრა...

პომპეუსი არაბეთის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთის ქალაქ პეტრასთან ბანაკად იდგა. მთავარსარდალს ამპარტავნული კოპწიაობა უყვარდა ჯარისკაცთა წინაშე. იმ დღესაც ცხენს დააჯირითებდა მეომართა შესახედავად. შესანიშნავი მოჯირითე და გიმნასტი იყო. უცებ შიკრიკები გამოჩნდნენ, დაქანცულნი, გაოფლიანებულ ცხენებზე ამხედრებულნი. თურმე პონტოდან მოისწრაფოდნენ. სახეზე რაღაც უსაზღვრო სიხარული აღბეჭდოდათ, შუბებიც დაფნის რტოებით შეემკოთ.

სარდალი თითქოს მიხვდა, რაც უნდა მომხდარიყო, მაგრამ ჯარისკაცთა წინაშე ზვიადი სიდინჯის დარღვევა არ სურდა და კვლავ განაგრძობდა ჯირითს.

მაგრამ როცა მთელი ბანაკი წამოიშალა და ჩვეულებრივი ღრიალით ახალი ამბის გამოქვეყნება მოითხოვა, პომპეუსი ცხენიდან გადმოხტა, შიკრიკებს ბარათი ჩამოართვა, ტრიბუნაზე ავიდა და გამოაცხადა: ამ ქვეყნად აღარ არსებობს რომაელთა ყველაზე დაუძინებელი მტერი მითრიდატე პონტოელი. იგი დაამხო აჯანყებამ, რომელსაც მისი შვილი ფარნაკე მეთაურობდა; ხოლო თვით ფარნაკე, ბოსფორის ახალი მეფე, მორჩილებას უცხადებს რომს და პირადად იმპერატორ გნეუს პომპეუსს.

აუწერელი იყო აღტაცება, რაც ამ ამბავმა გამოიწვია რომაელთ შორის. მთელი კვირა, დღე-ღამეების მანძილზე, არ წყდებოდა ნადიმ-ღრეობანი, ზორავანი და ბაკხანალიანი. ყველამ ირწმუნა, რომ მითრიდატეს სიკვდილი ათასობით მტრის სიკვდილს უდრიდა.

პომპეუსმა ბანაკი აჰყარა და პონტოსაკენ გაეშურა. ის ჩავიდა ამისოსში, სადაც მას დახვდა ფარნაკესგან გამოგზავნილი უმდიდრესი ძღვენი, უძვირფასესი ნივთები და მათთან — დახოცილთა გვამები.

აქ იყო მითრიდატეს ცხედარი. სახეზე აღარ იცნობოდა სახიერებით განთქმული მეფე. — ბალზამირებისას თავის ტვინის ამოღება დავიწყნოდათ და ხრწნა მოჰრეოდა თავ-პირზე. მეფე მისი საარაკო ტანსრულობითა და ჭრილობების სიმრავლით იცნეს. პომპეუსი განაცვიფრა მითრიდატეს გოლიათურმა ანაგებამ და საომარმა აღკაზმულობამ.

პომპეუსის ბრძანებით მითრიდატე სინოპში წაასვენეს და იქ დაკრძალეს, პონტოელ მეფეთა საძვალეში. მეფის პირადი საგნები რომაელებმა დაიტაცეს...

ამიერკავკასიის დამორჩილების შემდგომ პომპეუსმა წარმატებით დალაშქრა და დაიპყრო სირია, ფინიკია და პალესტინა.

61 წელს ძლევამოსილი გნეუს პომპეუსი აზიიდან იტალიისაკენ გაეშურა. აპენინს უახლოვდებოდა იმპერატორი, რომლის საგანგებო, უმაღლესმა იმპერიულმა ძალაუფლებამ რომს დაუმორჩილა ყველა ქვეყანა, „რომელთაც კი მზე თავის სხივებს მიმოასხივებს". არაჩვეულებრივად დიდი იყო რომში ის აღტაცება, რაც შედეგად მოჰყვა უთავეამო „მითრიდატული ომების" ეამგანსრულებას. და საერთოდ მუდამ მოუსვენარ „აღმოსავლურ საქმეთაგან მოსვენებას". არაჩვეულებრივი მიღება, ტიუმფალური შეხვედრა ელოდა იმპერატორს, რომელმაც შეძლო მრისხანე აღმოსავლეთის, მანამდე დაუძლეველ ქართველთა, „შმაგად მეომრულ კოლხთა", მამაც სომეხთა და შორეულ ალბანთა დამორჩილება.

როგორც ტრიუმფატორს ეკადრებოდა, პომპეუსი ჩააყენეს მოოქრულ ეტლში, რომელსაც მორთულ-მოკაზმული ოთხი თეთრი მერანი მოაქანებდა. თვით ტრიუმფატორს ტანთ ეცვა უძვირფასესი სამოსნი, მითრიდატეს გარდერობიდან მოტაცებულნი. თავზე ეხურა დაფნის გვირგვინი; თავის სწორად მონას ხელთ ეპყრა ოქროს გვირგვინი — „კორონა ტრიუმფალის". ტრიუმფატორის ეტლს გარს ეხვივნენ თეთრ ტოგებში გამოწყობილი თანამებრძოლნი და ახლობელნი. ტრიუმფატორის წინ მოჰქონდათ დაფები პომპეუსისაგან დაპყრობილი ქვეყნების აღნუსხვით; იქ ეწერა: პონტო, სომხეთი, კაპადოკია, პაფლაგონია, მიდია, კოლხეთი, იბერია, ალბანეთი, სირია, კილიკია, მესოპოტამია, ფინიკია, პალესტინა, იუდეა, არაბეთი და მეკობრეთა თავშესაფარნი. იქვე აღნიშნული იყო, რომ პომპეუსმა აღმოსავლურ ლაშქრობათა წყალობით რომის სახელმწიფო ხაზინაში შეიტანა 20.000 ტალანტი (48.000.000 მან. ოქრ.), ხოლო ვერცხლის ფული 75.100.000 დრაქმის რაოდენობით. ოქროს მოხარბე რომაელნი თვალებით სჭამდნენ იბერიის ხელმწიფისეულ ოქროს ტახტს, ოქროს სარეცელსა და ოქროს მაგიდას; ასევე მითრიდატესეულ სამეფო კვერთხსა და თვით მითრიდატეს ცხრა წყრთის სიმაღლე ბაჯაღლო ოქროს ქანდაკებას. მოაქანებდნენ მოოქრულ ეტლებსა და ტახტრევანებს; მოდიოდნენ აურაცხელი აღმოსავლური ნაძარცვი, ჭურჭლეულით, აღჭურვილობითა და სხვა მრავალსახოვანი ნივთებით დატვირთული საზიდარები.

პომპეუსის ტრიუმფს „ამშვენებდნენ" აღმოსავლეთის დამარცხებულ მბრძანებელთა უმაღლესი მოხელენი, სარდლები და უფლისწულები, ზოგი ტყვენი, ზოგი მძევალნი, სულ 324 ადამიანი. აქ იყვნენ: მითრიდატეს ხუთი ვაჟი (არტაფერნი, კიროსი, ოქსართი,

დარიოსი და ქსერქსე) და ორი ასული (ორსაბარისი და ევპატრა), კოლხთა ბატონი ოლთაკე, სომეხი უფლისწული ტიგრან მრწემი თავისი ცოლ-შვილით, სამი იბერიელი სარდალი, ორი ალბანელი სარდალი, იუდეველთა მეფე არისტობულე, მითრიდატეს კავალერიის უფროსი მენანდრე, კილიკიის მმართველნი და სკვითთა სეფე-ქალნი. მოჰქონდათ ტიგრანისა და მითრიდატეს გამოსახულებანი: როგორ იბრძოდნენ ისინი, დამარცხდნენ და გაიქცნენ. გამოხატული იყო, როგორ ჰქონდა მითრიდატეს ალყა შემორტყმული და როგორ მოკვდა იგი. აქვე ჩანდნენ მისი ასულნი, რომელთაც მამასთან ერთად ირჩიეს სიკვდილი. იქვე გამოხატულნი იყვნენ აღმოსავლური ღმერთები ადგილობრივ სამოსელში. მოჰქონდათ აგრეთვე დაფა, რომელზედაც ეწერა: „ხომალდები სპილენძის საბრძოლო ცხვირით წამოყვანილია 800; ქალაქები დაარსებულია: კაპადოკიაში 8, კილიკიასა და კელესირიაში 20; დამარცხებული არიან სომხეთის მეფე ტიგრანი, არტაგ იბერიელი, ოროისე ალბანელი, მიდიის მეფე დარიოსი, ნაბატეის მეფე არეთა, ანტიოქე კომაგენელი“.

შემდგომ ტრიუმფისა, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა, პომპეუსის ბრძანებით ტყვეთაგან მხოლოდ ორი დასაჯეს სიკვდილით — სომეხი უფლისწული ტიგრანი და იუდეიის მეფე არისტობულე. დანარჩენი ტყვეები მცირეოდენი დროის შემდგომ თავიანთ სამშობლოში დააბრუნეს...

ასე დასრულდა დიდი აღმოსავლური კამპანია — მთელი დასავლეთი აზია რომს ემორჩილებოდა. ასორმოცდაათწლოვანი ჭიდილი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დასავლეთის გამარჯვებით დამთავრდა. პომპეუსის ტრიუმფი რომს მოევლინა არა მარტო როგორც ბრწყინვალე გვირგვინი „აღმოსავლური ეპოპეის“ რომის სასარგებლოდ გადაწყვეტისა, არამედ როგორც კვლავინდებური, უფრო მტკიცე დადასტურება „იმპერიის გონივრულობისა“ და „არისტოკრატიულ-ოლიგარქიული რესპუბლიკის“ ყამგასულობისა.

მაშ, ისევ აღმოსავლურ „ბაზისზე“ ფეხდამკვიდრებული მოვიდა რომში ახალი „იმპერიული ძალა“, რომელმაც სატრიუმფო გვირგვინთა შორის რომის ფორუმზე გამოატარა ყველაზე დიდი გვირგვინი — გვირგვინი იმპერიისა, დიქტატურისა, მონარქიისა. იგი ისევ აღმოსავლეთის გზით მოვიდა რომს.

ჯანდაცლილმა „რესპუბლიკამ“ უკანასკნელ ძალებს მოუხმო და ერთხელ კიდევ სცადა „იმპერიის“ მოგერიება: სენატმა უარი თქვა პომპეუსის აღმოსავლურ ღონისძიებათა დამტკიცებაზე და მისი „უსამშობლოო“ ვეტერანებისათვის მიწის დარიგებაზე. პომპეუსი არ

იყო სულასავით შემტევი და შემმართებელი. ამიტომ „ძალამ“ (პომპეუსი) არჩია მიეღო კავშირი „ნიჭისა“ (კეისარი) და „ფულისა“ (კრასუსი). ძვ. წ. 60 წელს „ტრიუმვირტი“ (სამი კაცის კავშირი) შიუდგა მხრებით იმპერიის მძიმე და მომხიბლავ გვირგვინს. ეს უცნაური „ტრიარქია“ ეწინამძღვრა „მონარქიის“ მუდმივ აღიარებას რომის ფორუმზე. ჯერჯერობით „სამთავიან ურჩხულში“ იქნა განსახებული ფაქტიური დამკვიდრება რომაული იმპერიისა. ხოლო სულ მალე პომპეუსისა და კეისრის სისხლიანი ბრძოლები ერთპიროვნული ხელისუფლებისათვის და შემდგომ ცალკე კეისრის ნამდვილი, სრულქმნილი მონარქიული იმპერიუმი ერთჯერ და სამუდამოდ ადასტურებენ „რომაული რესპუბლიკის“ ნამდვილ, „რეალურ სიკვ--დილს“...

„მე, უბედური სიმამაცე,
აქ, აიაქსის საფლავთან ვზიარ“.

ბერძნული ეპიგრამა.

„ომი შეიქნა ცისკრისა ჟამსა,
ცისკრისა ჟამსა, გამთენიასა;
გამთენიასა ქნეეა სმალისა;
ქნეეა სმალისა, ძგერა შუბისა;
ძგერა შუბისა, შუბის ნალეწი;
შუბის ნალეწი ზეცას ცვიეოდა;
ზეცას ცვიეოდა, ჩამოცვიეოდა;
ჩამოცვიეოდა მესამე დღესა.“

ქართული ლექსი.

პლუტარქე ამბობს:

„რამდენადაც დროის მდინარება უსასრულოა, სოლო ბედი დიდად ცვალებადი და დაუდეგარი, ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ისტორიაში ხშირად ხდება ერთიმეორის მსგავსი ამბები".

კლიოს — ისტორიის მუზას — მართლაც უყვარს სხვადასხვა ხალხთა და დრო-ჟამთა ბედიღბლის ერთმანეთათან დამსგავსება და „დანათესავება".

ეს წიგნიც სწორედ ერთიმეორის მსგავს საისტორიო მოვლენებზე მოგვითხრობს.

ეს არის ორი ისტორიული ეპოპეა ორი სახელოვანი ხალხისა: ბერძნებისა და ქართველებისა; საარაკო ორი გმირობა ბერძენ-სპარტელთა და ქართველ-არაგველთა.

2275 წელი აშორებს ერთმანეთისაგან ამ ორ ამბავს, ბევრი რამეც განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან, მაგრამ მსგავსებანი მაინც ასეთია:

ერთნაირად: სამას-სამასი;

ერთნაირად: სამასი — მრავალათასეულის პირისპირ;

ერთნაირად: სპარსელ დამპყრობთა პირისპირ;

ერთნაირად: უზენაესი სიყვარული მამულისადმი;

ერთნაირად: უზენაესი მეომრული შემართება;

ერთნაირად: უზენაესი სიკვდილით სიკვდილი;

ერთნაირად: სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვა;

ერთნაირად: უკვდავება თესლით თესლამდე, უკუნითი უკუნისამდე.

მაშ, იხილე, კეთილო მკითხველო, გმირობანი სამასეულთა.

თავი პირველი

თერმოპილემდე

„მიწა და წყალი“

„სისხლის მღერელ ომში მოეისადეთ მოვალეობა,
ათენას ტაძარს ამშვენებდნენ ჩვენი ისრები,
სიკვდილისა და გმინვის მგერელნი, მიზანუმცდარნი,
სპარს მეომართა სისხლით დამბალ-დაწითლებულნი“.

სიმონიდე

„ ... რისტეს დაბადებამდე“ იდგა 492 წელი.

ორი სამყარო ხმალამოწვდილი დადგა პარისპირ. იყო სპარსეთის მსოფლიო სახელმწიფო — ლიბიიდან და ეგეოსიდან ინდოეთამდე გადაჭიმული. იჯდა მეფედ აქემენიდური დინასტიის მესამე დიდი წარმომადგენელი (კიროსისა და კამბიზის შემდგომ) — დარიოს პირველი. სპარსელთა გარდა, უთვალავი მოდგმისა და რჯულის ხალხი ემორჩილებოდა სპარსელ მბრძანებელს: აფრიკელი ეგვიპტელები, ეთიოპელები და ლიბიელები, მცირეაზიელი ბერძნები, ბითინიელები, პაფლაგონელები, ტიბარენები, ხალიბები, კარდუხები, მაკრონები, კოლხები, სანიგები, მოსხები, კაპადოკიელები, ფრიგიელები, კარიელები, კილიკიელები და ლიკიელები. სამხრთელი სირიელები, ფინიკიელები, ებრაელები და არაბები; მესოპოტამიელი ასირიელები, ბაბილონელები და ქალდეველები; კავკასიელი არმენები და ალბანელები;

ერანელი მიდიელები და ატროპანტენელები, შუააზიელი სკვითი-საკები, პართიელები, ბაქტრიელები, არიელები, ჰირკანიელები, დრა-ნგიანელები, სოგდიანელები და სინდეთიდან გედროზიელები.

ხოლო სპარსული მსოფლიო ვეშაპის ზედ ხახასთან იდო ს ა-ბ ე რ ძ ნ ე თ ი, ისედაც ნამცეცა, სწორედ უწვრილეს ნამცეცებად და ნაფლეთებად გაფანტული ბალკანეთზე და ეგეოსის არქიპელაგ-ზე. აქ არ არსებობდა არავითარი ერთიანობა და ცენტრალიზმი. სა-ბერძნეთის უკლებლივ ყველა ქალაქი და ქალაქ-კუნძული საკუთარი, დამოუკიდებელი „სახელმწიფოებრიობით" ცხოვრობდა. ყველა პო-ლისს* (ქალაქ-სახელმწიფოს) საკუთარი ავტონომია და ავტ ოკია ჰქონდა*.

აზიური მონარქია ევროპისაკენ მოხოხავდა.

უპირველესად: საბერძნეთი — ჰელადა!

საომარი წინდი, კარგა ხანია ჩაგდებულია.

სრულიად ბერძნული სამყარო სამი მთავარი ნაწილისაგან შედ-გებოდა: ბალკანეთის (კონტინენტური), ეგეოსის კუნძულთა და მცირე აზიის სანაპიროთა საბერძნეთი. ეს უკანასკნელი, მცირე აზი-ული ანუ იონიური საბერძნეთი, მისი უბრწყინვალესი ქალაქებით, უკვე დიდი ხნის წინათ დაიმორჩილეს სპარსელმა მბრძანებლებმა. ახ-ლა დანარჩენი ორი მესამედის რიგიც დადგა.

დარიოსს ომის დაწყების საბაბიც უკვე გადაუხვევია ხელზე: ამას წინათ რომ მცირეაზიულმა ბერძნულმა ქალაქებმა, სახელოვანი მ ი ლ ე ტ ი ს მეთაურობით, სპარსული უღლისაგან თავის დასაღწე-ვად აჯანყება მოაწყვეს (500—494 წწ.), ათენელებმა და ევბეელმა ერეტრეელებმა აჯანყებულ თანამოძმეებს დამხმარე ძალები გამო-უგზავნეს.

განსაკუთრებით ა თ ე ნ ზ ე* იყო განრისხებული დარიოსი. როცა შეიტყო, მოაჯანყე იონიელებმა ათენელების დახმარებით ლიდიის მთავარი ქალაქი სარდი დასწვეს, ბრაზმორეულმა ზეცას ისარი შესტ-ყორცნა და თავის უზენაეს ღვთაებას შეჰღაღადა:

„ოო, დიდებულო აპურამაზდა, მომეცი ძალა, შური ვიძიო ათე-ნელებზე!"

თანაც თავის ერთ მსახურს უბრძანა, ყოველდღე, სადილობის წინ, შეეხსენებია მისთვის:

„ხელმწიფეო, გახსოვდეს ათენელები!"

მეფეს არ სურდა, დიდხანს გაგრძელებულიყო მისი უგემური სადილ-ნადიმობანი. 494 წელს სპარსულმა არმიებმა გაანადგურეს მცირეაზიელი იონიელები; აიღეს და დაანგრიეს აჯანყების ცენტრი მილეტი.

492 წელს კი დარიოსმა „ათენელებზე შურის საძიებლად“ და ჭრულიად საბერძნეთის დასაპყრობად გაგზავნა დიდი არმია და ფლოტი თავის სიძის (უმცროსი ქალიშვილის ქმრის), ახალგაზრდა, შამაცი და პატივმოყვარე მ ა რ დ ო ნ ი ო ს ი ს სარდლობით.

სპარსელთა საომარი ძალები ჰელესპონტიდან მიეშურებოდნენ. თვითონ მარდონიოსი სახმელეთო არმიას მიუძღოდა თრაკიისა და მაკედონიის სანაპიროთა გასწვრივ. საზღვაო ფლოტი პარალელურად მიედინებოდა.

ის იყო, სპარსელთა ფლოტი მიუახლოვდა ათონის კონცხს (სადაც შუა საუკუნეებიდან დღემდე აღმართულია სახელოვანი ქართული მონასტერი-სავანე), ზღვაზე საშინელი ქარტეხილი ამოვარდა და ფლოტი მთლიანად განადგურდა. 300 გემი და 20.000 მეომარი შეეწირა ზღვაურ სტიქიონს.

ამასობაში არც სპარსელთა სახმელეთო ჯარებს დასდგომიათ უმჯობესი დღე. მათ მოულოდნელად თავს ესხმოდნენ მამაცი თრაკიელი ტომები — ბრიგები. ასეთ თარეშულ შეტაკებებში მარდონიოსის არმია ძალიან დაზიანდა. თვითონ სარდალიც ერთ-ერთ შეტაკებაში დაიჭრა და, როცა ფლოტის დაღუპვის ამბავი შეიტყო, იძულებული შეიქნა საბერძნეთისკენ ლაშქრობაზე ხელი აეღო და უკან დაბრუნებულიყო.

ამ მარცხიანი წამოწყების საპასუხოდ, 491 წელს, დარიოსმა საბერძნეთის ყველა ქალაქ-სახელმწიფოს ელჩები გაუგზავნა უზენაესი ბრძანებულებით:

„ჩამაბარეთ მიწა და წყალი!“

ეს უსიტყვო მორჩილების მოთხოვნას ნიშნავდა.

ბევრმა ბერძნულმა ქვეყანამ, ზოგმა სპარსეთთან ომის უიმედობით, ზოგმაც მეზობელ მოძმეთადმი შურით და მტრობით — მართლაც დაუყოვნებლივ ჩააბარა „მიწა და წყალი“ აზიის „მეფეთა მეფეს“. ასეთთა შორის აღმოჩნდნენ: ყველაზე დიდი ქვეყანა თ ე ს ა ლ ი ა ჩრდილოეთ საბერძნეთში, ბ ე ო ტ ი ა შუა საბერძნეთში და ა რ გ ო ს ი სამხრეთ საბერძნეთში (პელოპონესში).

ჰელინური სამყაროს უმეტესმა ნაწილმა თავისუფლების დაკარგვასა და უცხოურ მონობაში ჩავარდნას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გასვლა ამჯობინა. როგორც მოსალოდნელი იყო, ბერძენთა სამამულო ომს სათავეში უნდა მოქცეოდნენ ა თ ე ნ ი და ს პ ა რ ტ ა“ — ჰელადის წამყვანი პოლისები. ეს ასეც მოხდა, მიუხედავად მათი ურთიერთ მეშურნეობისა და მეტოქეობისა.

ლაკონიელმა სპარტელებმა დარიოსისგან მიწა-წყლის მოთხოვ-

ნაზე მისი ელჩები ჭაში ჩაჰყარეს და ზემოდან „ლაკონიურად“ ჩასძახეს:

„მანდ არის მიწაც და წყალიც!“

ხოლო ათენელებმა სპარსეთის მეფის ელჩები, მათ ათენელ* თარჯიმანთან ერთად*, იმ უფსკრულში გადასჩეხეს, სადაც ჩვეულებრივ სახელმწიფო დამნაშავეებს ჰყრიდნენ.

ასე დაიწყო ნახევარსაუკუნოვანი ომი ბერძენთა და სპარსელთა შორს.

მ ა რ ა თ ო ნ ი

„პელადისათვის მარათონის ველზე მტრებს სძლეველნენ, ათენელებმა იავარპყვეს სპარსთა ძალა“.

ს ი მ ო ნ ი დ ე

ოთხასოთხმოცდაათი წლის გაზაფხულზე სპარსელთა საომარმა ძალებმა თავი მოიყარეს კილიკიის დასავლეთ სანაპიროზე, კუნძულ სამოსის ახლოს. ფლოტი შესდგებოდა 600 სამხედრო ხომალდისაგან და მრავალი სატრანსპორტო გემისაგან. მას ეგეოსის ზღვაზე უნდა გადაეყვანა 100000-ანი ქვეითი არმია და 10.000-იანი კავალერია. დარიოსმა ამჯერად სარდლებად დანიშნა უკვე ხანში შესული, გამოცდილი სარდალი დ ა ტ ი ს ი და თავისი ახალგაზრდა ძმისწული ა რ ტ ა ფ ე რ ნ ი.

„წადით საბერძნეთს, მონის ბორკილები დაადეთ და ისე მომგვარეთ ის თავხედნი!“ ასეთი ბრძანებით გაისტუმრა ისინი დარიოსმა.

დატისმა და არტაფერნმა სამოსიდან საომარი ძალები ეგეოსის სიღრმისაკენ წარმართეს. მათ მეგზურად თან ახლდა ათენელთაგან დამხობილი ტირანი ჰ ი პ ი ა, რომელიც, აქამდე სპარსეთს თავშეფარებული, დროს უცდიდა, გაძევებისათვის სამაგიერო მიეზღო თავისი თანამემამულეებისადმი.

სპარსელებმა უპირველესად დაიმორჩილეს კიკლადური კუნძულები. ამათგან ბუდეძირიანად ააოხრეს და ააწიოკეს კუნძული ნაქსოსი, რომელმაც ადრე (იონიური ქალაქების აჯანყების წინ) მარცხი აუმა სპარსელთა საზღვაო ძალებს. ნაქსოსელების უმრავლესობა ამოჟლიტეს, დანარჩენები მონებად წაიყვანეს, მათი ქალაქი გაძარცვეს და ხანძარს მისცეს.

აქედან სპარსელები გაეშურნენ შუა საბერძნეთისაკენ და ეიად-

* ეს თემისტოკლეს მითითებით მოხდა: თარჯიმანი უნდა მოკვდეს იმიტომ, რომ მან ბერძნული ენით საბერძნეთს ბარბაროსი მეფის ბრძანება მოუტანაო.

გნენ კუნძულ ევბეაზე მდებარე ქალაქ ერეტრეას, რომელმაც ათენელებთან ერთად დახმარება გაუწია მოაჯანყე იონიურ ქალაქებს.

ექვსი დღის განმავლობაში სპარსელებს ამაოდ მიჰქონდათ იერიშები ერეტრეაზე. მეშვიდე დღეს კი ღალატმა დასცა გმირი ქალაქი: ორმა არისტოკრატმა, ევფორბოსმა და ფილაგროსმა, გაუღეს კარი მტერს. სპარსელებმა ერეტრეა გაძარცვეს და გადასწვეს, ხოლო სიკვდილს გადარჩენილი მცხოვრებნი მონად აქციეს.

რამდენიმე დღის შემდეგ სპარსელებმა, ჰიპიას წინადადებით, ევრიპიმ სრუტე გადალახეს და ატიკის მიწაზე გადავიდნენ, აქ მათ დაიბანაკეს ზღვის პირზე, საიდანაც იშლებოდა მარათონის ველი, ფრიად მოსახერხებელი ადგილი მრავალრიცხოვანი არმიისა და კავალერიის მანევრირებისათვის. მთავარსარდალმა არტაფერნმა თავისი კარავი დადგა ზღვის პირთან, მარათონის ველის ჩრდილოეთ კუთხეში, კინოსურის მაღლობზე, საიდანაც მთელი საომარი მინდორი ხელისგულივით ჩანდა.

სპარსელებმა დაბანაკებიდან რამდენიმე საათის შემდგომ სამხრეთ ატიკის სოფლების აოხრება დაიწყეს. აწიოკებული ხალხი ათენისაკენ გარბოდა და თავშესაფარსა და შველას ითხოვდა.

ათენის სამხედრო საბჭო, რომელშიც შედიოდა ერთი არქონტი-პოლემარქოსი და ათი სტრატეგოსი, სასწრაფოდ შეუდგა ლაშქრის შეყრას. გადაწყდა, დახმარება ეთხოვათ სპარტისათვის. მაშინვე გაგზავნეს განთქმული მალემსრბოლი ფილიპიდე, რომელმაც ორასი ვერსი ორ დღეში გაირბინა და სპარტაში ასეთი დანაბარები ჩაიტანა:

„ათენელები სთხოვენ სპარტელებს, არ დაუშვან, რომ ჰელადის უძველესი ქალაქთაგანი ბარბაროსული მონობის ქვეშ მოექცეს. ბარბაროსებმა უკვე დაიპყრეს ერეტრეა და ამით საბერძნეთის სახელოვან ქალაქთა რიცხვი ერთით ნაკლები გახდა“.

სპარტის ხელისუფლებამ — მეფეებმა, ეფორებმა და გერონტებმა — ათენის ელჩი ასეთი პასუხით გაისტუმრა:

„სპარტანული ადათის მიხედვით, ლაშქრის გამოყვანა საომარ ველზე შეგვიძლია მხოლოდ მთვარის სისავსის დადგომისას“.

მთვარის გავსებამდე კი ათი დღე იყო დარჩენილი.

მაშ, ათენს მხოლოდ საკუთარი ძალების იმედიღა უნდა ჰქონოდა.

დაისვა საკითხი, სად უნდა გაემართათ ბრძოლა მტრისათვის: იქ, მარათონის ველზე, სადაც სპარსელები იყვნენ დაბანაკებულნი, თუ აქვე — ათენის კედლებთან.

ცხარე კამათი გაიმართა სამხედრო საბჭოზე. სტრატეგოსთაგან

უმამაცესი და უნიჭიერესი მ ი ლ ტ ი ა დ ე მოითხოვდა, მტერს არ დალოდებოდნენ და დაუყოვნებლივ, მოულოდნელად დასხმოდნენ თავს. სანამ იგი მარათონის ველიდან აიყრებოდა და ათენისაკენ გამოსწევდა. მილტიადეს მიაჩნდა, რომ ათენელ მოქალაქეთაგან ბევრი, ყოფილი ტირანისა და ამჟამად სპარსელთა მეგზურის, ჰიპიას ზომხრე იყო. ამიტომ თუ სპარსელები ათენის კედლებს მოაღწევდნენ, ქალაქში მოღალატეებიც მრავლად გამოჩნდებოდნენ.

მილტიადეს მოთხოვნას — დაუყოვნებლივ თავს დასხმოდნენ სპარსელებს მარათონის ველზე — სტრატეგოსთაგან პირველმა დაუჭირა მხარი ა რ ი ს ტ ი დ ე მ; შემდეგ თ ე მ ი ს ტ ო კ ლ ე მ, ს ტ ი ს ი ლ ა ო ს მ ა და კიდევ ერთმა სარდალმა; მაგრამ დანარჩენი ხუთი სტრატეგოსი მოითხოვდა, ლაშქარი ქალაქში დარჩენილიყო და აქვე დალოდებოდა მტერს.

ხმების გაყოფის ამდაგვარ შემთხვევაში საკითხი უნდა გადაეწყვიტა არქონტ-პოლემარქოსს. იმ წელს ეს თანამდებობა ეჭირა კ ა ლ ი მ ა ქ ე ს. კალიმაქე გადამწყვეტი ხმის მიცემამდე მილტიადემ ცალკე გაიხმო და უთხრა:

„ახლა შენზეა, კალიმაქე, დამოკიდებული: ათენელებმა მონობის უღელი უნდა დაიდგან, თუ თავისუფლება შეინარჩუნონ, და შენც სამარადჟამოდ მოიხვეჭო დიდება, რომლის მსგავსი არ ღირსებიათ თვით ჰარმოდიოსს და არისტოგეიტონს*. არასოდეს დაარსებიდან ათენს ასეთი საფრთხე არ ახსოვს. როგორც ჰხედავ, სტრატეგოსთა ხმები გაიყო: ჩვენ, ხუთნი ვამბობთ, დაუყოვნებლივ გავეშუროთ და შევებათ მტერს, ხოლო სხვა ხუთნი — მტერთან შებმაზე უარს ამბობენ. უკეთუ შენ ჩვენ დაგვიჭერ მხარს და საომარ ველზე გადასვლას ხმას მისცემ, ჩვენი სამშობლო მონობის ბორკილს გადარჩება და ჰელადაში უპირველეს პოლისად იქცევა; ხოლო უკეთუ ჩვენს განზრახვას წინ აღუდგები, უმალვე სპარსელთა და მოღალატე ჰიპიას მონებად გადავიქცევით“.

მილტიადეს სიტყვამ კალიმაქეზე დიდად იმოქმედა. მან მილტიადეს მოსაზრებას უყოყმანოდ მისცა ხმა და ბრძოლად გასვლაც საბოლოოდ გადაწყდა.

ათენში ათი ფილე იყო და თითოეულ მათგანს ათასი მეომრის გამოყვანა შეეძლო, თავისი სტრატეგოსით სათავეში.

მაშ, შეიყარა ათენელთა ლაშქარი, სულ — 10.000 ჰოპლიტი. ქალაქში დარჩნენ მხოლოდ მოხუცნი, ქალები და ბავშვები.

ათენიდან მარათონამდე ორმოცკილომეტრიანი გზა ლაშქარმა ექვს საათში გაიარა და მტრის ბანაკიდან კილომეტრ-ნახევარზე, მარათონის ველს ზემოთ აღმართულ მაღლობზე, ე. წ. ჰერაკლეს წმიდა-

ხეივანში, დაიბანაკა. მათ ზურგში მთაზე შეფენილი სოფელი მ ა-რ ა თ ო ნ ი იყო. ქვემოთ ხელისგულივით ჩანდა მთებით ნახევარ-წრედ გარშემორტყმული თვით მარათონის ველი, ხოლო ზღვის პირ-ზე — სპარსელთა ბანაკი.

წესის თანახმად, ათენელთა ლაშქარს სტრატეგოსები ყოველ-დღიური ცვლით მთავარსარდლობდნენ, მაგრამ ამჯერად მათ, მტერ-თან ომის დამთავრებამდე, უცვლელი მთავარსარდლობა ამ ბრძო-ლის ინიციატორს, მილტიადეს ჩააბარეს. ასეთ გადაწყვეტილებას ორი მიზეზი ჰქონდა: სტრატეგოსთა ერთ ნაწილს მიაჩნდა, რომ მათ შორის მილტიადეს სპარსელებთან ბრძოლის ყველაზე დიდი გამოც-დილება ჰქონდა (იგი ადრე დარიოსის სკვითურ ლაშქრობაშიც მო-ნაწილეობდა და სპარსელთა სტრატეგიასა და ტაქტიკას კარგად იც-ნობდა). მეორე ნაწილი მილტიადეს შემტევ საომარ გადაწყვეტილე-ბას კვლავ ეჭვის თვალით უცქერდა. მაგრამ „მუდმივ“ მთავარსარდ-ლობას მხარს უჭერდა, რადგან მოსალოდნელ მარცხში „ხელის და-ბანაზე“ ფიქრობდა.

11 სექტემბერი იყო. დაღამდა თუ არა, ათენელებმა სავსებით მოულოდნელი დახმარება მიიღეს: მათ ბანაკს შეუერთდა ათასი მე-ომარი პატარა ქალაქ პ ლ ა ტ ე ა დ ა ნ. ახლა მილტიადეს საომარი დროშის ქვეშ 11.000 ჰოპლიტი იდგა. მან ისარგებლა მის თანამე-მამულეთა საერთო აღტაცებით, — რაც პლატეელთა ვაჟკაცურმა თანადგომამ გამოიწვია — და ბრძოლა დანიშნა მეორე დღისათვის, როცა მას მთავარსარდლობა ჩვეულებრივი რიგითაც უწევდა.

მაშ, 490 წლის 12 სექტემბერი. სახელოვანი მარათონის ბრძო-ლა. 11.000 ბერძენი 100.000 სპარსელის წინააღმდეგ.

თენდებოდა, დღე და ღამე ჯერ კიდევ არ გაჰყოროდა ერთმანეთს, როცა მილტიადემ საომარი სამზადისი ბრძანა.

პოლემარქოსმა კალიმაქემ ნადირობის ქალღმერთის, არტემიდეს სადიდებლად სამსხვერპლო ცხოველი დაკლა და მის შიგნეულზე იმკითხავა. მისნობამაც „იღბლიანი“ პერსპექტივა აჩვენა და მილ-ტიადემაც ლაშქარი საბრძოლოდ გააწყო.

ათენელი სარდალი თავიდანვე ითვალისწინებდა უმთავრესს: არ დაეშვა მოწინააღმდეგის მრავალრიცხოვანი არმიისაგან, განსაკუთ-რებით კავალერიისაგან, მისი მცირერიცხოვანი ჯარის გარშემორტყმა ველზე გასვლისას. ამიტომ მან თავისი ლაშქარი საომარ ფრონტად ერთი კილომეტრის სიგრძეზე გაშალა. განსაკუთრებით გაამძლავ-რა ფლანგები, საიდანაც მოსალოდნელი იყო მტრის მთავარი შემო-ტევანი ბერძენთა ალყაში მოსაქცევად. აქ, ფლანგებზე, სიღრმეში (ერთიმეორის ზურგში) ექვსი ფარი (ექვსი მწკრივი) დააყენა მილ-

ტიადემ, ხოლო ცენტრში მხოლოდ სამი ფარი. ათენელთა მარჯვენა ფლანგს სარდლობდა კალიმაქე, ხოლო მარცხენა ფლანგზე მდგარ პლატეელებს — მათივე მამაცი სტრატეგოსი ა ი მ ნ ი ს ტ ო რ ი. ცენტრში, სადაც ათენელთა ლაშქარი ყველაზე სუსტი იყო, სარდლებად იდგნენ არისტიდე და თემისტოკლე.

მილტიადემ იერიში ბრძანა.

ათენელები სწრაფად დაიძრნენ და ერთბაშად სირბილზე გადავიდნენ. მანძილად ერთ კილომეტრ-ნახევარს ბევრი არ ჰკლებია, რაიც მარშით უნდა დაეძლიათ. მილტიადეს ამჯერად სისწარაფე მიაჩნდა სწორედ გადამწყვეტ ძალად: რაც შეიძლება სწრაფად გაერბინათ სივრცე, რომელსაც მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგე, თუ დაასწრებდა, ისრის სეტყვით „დააბნელებდა", ანდა კიდევ კავალერიის კონტრშეტევით „ამოავსებდა".

სისწრაფე და მოულონელობა მართლაც გადამწყვეტი აღმოჩნდა.

როცა სპარსელებმა ჯერ კიდევ წყვდიადშერეულ ბინდბუნდში ყიჟინითა და ისრის სროლით მომქროლავი ბერძნები გაარჩიეს, აქაიქ ყვირილი ასტეხეს:

„ისინი ჭკუაზე შეშლილები არიან!"

მაგრამ პანიკისათვის დრო აღარ დარჩენიათ, სპარსელები ბანაკიდან გამოცვივდნენ და სასწრაფოდ სწორკუთხედის ფორმით გაეწყვნენ; ცენტრში ქვეითი ლაშქარი, ფლანგებზე — კავალერია.

სირბილით ძალმიცემული ბერძნული ფალანგა ზვავივით მოქროდა. ათენელებმა საისრე მანძილი ისრის სროლით ჩაათავეს და შუბგაწვართულნი ეკვეთნენ მტერს, მერე მახვილები იძრეს და ჩეხვაზე გადავიდნენ.

სპარსელებიც კონტრშეტევით დაუხვდნენ მტერს, საშინელი ხელჩართული გაჩაღდა.

კარგა ხანს ბრძოლის სასწორი წონასწორად ქანაობდა. მერე აზიელთა ცენტრალურმა ნაწილებმა, სადაც იბრძოდნენ თვითონ სპარსელები და საკები, ბერძენთა სუსტი ცენტრი გაარღვიეს და უკუაქციეს. მათ კიდევაც ხელთ იგდეს რამდენიმე მონა, რომელთაც ბრძოლის ველიდან გაჰყავდათ დაჭრილი ათენელები. მაგრამ ფლანგებზე გამარჯვება უკვე ხელთ ეპყრა მილტიადეს. აზიელები ფლანგებიდან უკვე გარბოდნენ, მაგრამ მილტიადემ მათ დევნაზე თავისიანებს ჯერჯერობით ხელი ააღებინა, ძლევამოხვეჭილი ფლანგები შეამჭიდროვა და მისი განლაგების ცენტრში შემოჭრილ მოიერიშე სპარსელებს მძლავრად შეუტია.

ახლა სპარსელები ცენტრშიც დამარცხდნენ და უკუიქცნენ.

უკვე სპარსელთა მთელი არმია გარბოდა. მილტიადემაც მთელის ფრონტით გამოდევნება ბრძანა.

სპარსელები ზღვის პირს მიაწყდნენ. ბერძნები მახვილთა კვეთებით მიჰყვნენ. ხომალდებთან, წყლისა და ხმელის შესაყარში, სისხლის ღვრა ახალი ძალით გაჩაღდა. სპარსელები გემებზე არბოდნენ, ღუზებს სწევდნენ და ზღვაზე გაქცევით ეძებდნენ ხსნას. ბერძნებმა მახვილებთან ერთად ანთებული ჩირაღდნები მოიმარჯვეს და მტრის ფლოტს გამოენთნენ. ბერძენთა ანგარიშმიუცემელი სრბოლა ზღვაში მხოლოდ მაშინ შეწყდა, როცა სპარსელთა ხომალდებმა ღრმა წყლებში გააღწიეს.

აზიელთა ფლოტი ახლა სუნიონის კონცხს უვლიდა და დასავლეთისაკენ მიისწრაფოდა. მილტიადე მაშინვე მიხვდა მტრის განზრახვას: მას სურდა ქალთა და ბავშვთა ამარად დატოვებულ ათენში ჩაესწრო და ხელთ ეგდო იგი, სანამ მარათონიდან თვითონ ათენელთა ჯარი დაბრუნდებოდა. ამიტომ მილტიადემ მარათონზე დაპყრობილ სპარსთა ბანაკის საპატრონოდ დატოვა არისტიდე თავისი ასი მეომრით, თვითონ კი დანარჩენი ძალებით სასწრაფოდ უკანვე გადაიარა გზა მარათონიდან ათენამდე.

ათენში უკვე იცოდნენ სასიხარულო გამარჯვების ამბავი: ერთმა მეომარმა ბრძოლის დამთავრებისთანავე მარათონიდან ათენამდე შეუსვენებლივ ირბინა და ქალაქში შევარდა ყვირილით:

„გაიხარეთ, ათენელებო, ნიკეა (გამარჯვება), ნიკეა, ნიკეა!!!“

აღტაცებული მახარობელი ასეთ საოცნებო შეძახილთან ერთად დაეცა და სული აღმოხდა.

მეორე დილით ნავსადგურ ფალერონთან ათენისაკენ საიერიშოდ გადმოსულმა სპარსელებმა ქალაქის კედელთა წინ საომრად გამზადებული მარათონელი გმირები დაინახეს.

სპარსელი სარდლები მარცხს საბოლოოდ შეურიგდნენ და გადარჩენილი არმიითა და ფლოტით აზიისაკენ იბრუნეს პირი.

მარათონის ველი ათენელთა სიდიადის აკვანი შეიქნა. აქ გამართულმა უთანასწორო ბრძოლამ და მისმა მოულოდნელმა შედეგმა მთელ ქვეყანას თვალნათლივ დაანახვა, რა შესძლებია მშობლიური მამულისადმი თავდადებულ სიყვარულს. რამდენიმე ათასეულმა პატრიოტმა ათჯერ უმრავლეს დამპყრობელს სძლია.

სპარსელთა მთელი ბანაკი, მდიდარი აზიური აღჭურვილობით და ფურაჟ-ფორანით ათენელებს დარჩათ. მტრის ფლოტიდან შვიდი ხომალდი ჩაიგდეს ხელში. 6.400 აზიელი ესვენა ბრძოლის ველზე. მათ შორის იყო ჰიპია, ათენელი ტირანყოფილი, სამშობლოს მოღალატე და სპარსელთა მეგზური. მიხრწნილებაში ფეხჩადგმულ-

მა ჰიპიამ სიცოცხლის უიღბლო და უსახელო აღსასრულის მოახლოება, თურმე, მაშინვე იგრძნო, როგორც კი სპარსლებთან ერთად ფეხი შესდგა ატიკის მიწაზე. მას ხველება და ცხვირისცემინება ასტეხია, პირიდან მორყეული კბილი წამოვარდნია და ქვიშაში დაჰკარგვია; ამაო ძებნის შემდეგ მოხუცს ნაღვლიანად უთქვამს:

„ეს მიწა ჩვენი არ ყოფილა და ვერ დავეუფლებით მას; ერთადერთი, რაც მე ამ მიწიდან მეკუთვნის, ეს არის მხოლოდ ჩემი კბილი...“

ათენელებს მარათონის ბრძოლაში მხოლოდ 192 კაცი დაეღუპათ. ამათ შორის იყვნენ მამაცი პოლემარქოსი კალიმაქე, სტრატეგოსი სტი'ლიაოსი და პოეტ ესქილეს ძმა კ ი ნ ე გ ი რ ი, რომელსაც მართლაც საარაკო გმირობა გამოუჩენია: მან თურმე ზღვაში შესდია მტერს და ხელებით სწვდა ხომალდს. ხოლო როცა სპარსელებმა ნაჯახით ერთიმეორის მიყოლებით ორივე ხელი გადასჩეხეს, კბილებით ჩააფრინდა გემის ძგიდეს; გაოცებულ სპარსელებს ისღა დარჩენოდათ, გაშმაგებული სახიჩრისათვის თავიც გადაეკვეთათ!

მარათონის ბრძოლის მომდევნო დღეს მთვარის სისავსეც დამდგარიყო და სპარტელთა ორიათასიანი ჯარი ფლეიტების გუგუნითა და საომარი ემბატერიების გრიალით მოადგა ათენს.

„ჩვენ მოვედით, რათა თქვენთან ერთად შევებათ ბარბაროსებს!“

„მაგრამ ჩვენ უკვე გავანადგურეთ ბარბაროსები!“

„ნუთუ მართლა?!“

„თუ არა გჯერათ, წადით და ჰკითხეთ მარათონის ველს!“

სპარტელები მარათონზე ჩავიდნენ, საომარი ველი მიმოიხილეს, დახოცილ ათენელებს თაყვანი სცეს და მათ გმირობას ხოტბა შეასხეს, ათენს გამარჯვება მიულოცეს და შურით აღვსილნი სპარტაში დაბრუნდნენ.

ათენელებმა ბრძოლაში დაღუპული ის 192 თანამემამულე დიდის პატივით იქვე, მარათონის ველზე, ზღვის პირთან ახლოს, ერთ დიდ ძმათა საფლავში დაკრძალეს და ზემოდან დიდი ბორცვი-ტაგრუცი დაადეს. იქვე აღმართეს მარმარილოს ათი სვეტი (ათენის ათი ფილეს მიხედვით) და დაღუპულ გმირთა სახელები წააწერეს. ათენელთა გვერდით დიდი პატივით დაკრძალეს ბრძოლაში დაღუპული პლატეელი თანამდგომნი და თანამოძმენი. ამიერიდან პლატეა ათენის ნათესავ და ძმა-ქალაქად ითვლებოდა. პანათენურ დღესასწაულზეც ათენელთა და პლატეელთა ლოცვა-კურთხევაც ერთად ხდებოდა.

კიდევ ორი ძეგლი დადგეს ათენელებმა მარათონის ველზე, ერთი მთავარსარდლის, მილტიადეს სახელზე, ხოლო მეორე საერთოდ

ათენელთა გმირობის პატივსაცემად. ამ უკანასკნელს ამშვენებდა პოეტ სიმონიდეს მიერ შეთხზული წარწერა:

„ჰელადისათვის მარათონის ველზე მტრებს სძლეედნენ.
ათენელებმა იავარჰყვეს სპარსთა ძალა“.

ყოველ წელიწადს, დიდი გამარჯვების აღსანიშნავად, მარათონის ველზე იმართებოდა დღესასწაული, გმირთა საძმო საფლავის წინაშე საზეიმო ზორვა და გვირგვინთა მოფენა. ყოველ წელიწადს მსხვერპლს სწირავდნენ ქალღმერთ არტემიდეს, რომელსაც ბრძოლის წინ მსხვერპლი შესწირა და შემწეობა სთხოვა მილტიადემ. ამიერიდან ათენელი ორატორები, ყოველ საჭირო ჟამს, მარათონის მაგალითით აღაფრთოვანებდნენ თავის თანამემამულეებს, ყოველ ათენელს სიამაყის გრძნობა ავსებდა, როცა მას მოიხსენიებდნენ „შთამომავლად მარათონის ველზე მებრძოლთა“. თვითონ ესქილე თავისი საფლავის ქვაზე წარწერილ ეპიტაფიაში მხოლოდ იმას ამბობს, რომ მან მარათონის ველზე იბრძოლა და სპარსელებს აჩვენა თავისი სიმამაცე. ათენში ჯილდო გამოცხადდა მისთვის, ვინც შეთხზავდა საუკეთესო ელეგიას მარათონის ბრძოლაზე. ბევრმა სცადა კალამი, მათ შორის სახელოვანმა პ ი ნ დ ა რ ო ს მ ა ც, მაგრამ მარათონული გმირობის პოეტურ ხოტბაში ყველას ისევ ს ი მ ო ნ ი დ ე კეოსელმა აჯობა და საპატიო ჯილდოც მან დაისაკუთრა.

მილტიადეს აღსასრული

მარათონის ბრძოლის მთავარი გმირი მთელს საბერძნეთში უპირველეს კაცად იქცა. ქვეყანა ფიანდაზად ეფინებოდა მილტიადეს. მას ძეგლი დაუდგეს მარათონის ველზეც და ათენშიც, პრიტანეაზე, დიდი სახალხო გმირების, ჰარმოდიოსისა და არისტოგიტონის ძეგლთა გვერდით. მისი სპილენძის ქანდაკება გამოკვართეს სახელგანთქმული დელფოს აპოლონის ტაძრისათვის.

მილტიადე ათენში ფაქტიური ავტოკრატორი — ერთპიროვნული გამგებელი შეიქმნა. მან ეკლესიისაგან და არეოპაგისაგან მოითხოვა მის სრულ გამგებლობაში გადასულიყო სახმელეთო და საზღვაო ძალები და სახელმწიფო ხაზინა იმ მოტივით, რომ აპირებდა დიდ სამხედრო ექსპედიციას, რომელიც ათენს მოუტანდა დიდ სახელსა და სიმდიდრეს; ხოლო ამ ლაშქრობის მიმართულება დრომდე საიდუმლოდ უნდა დაცულიყო. მისი მოთხოვნა დააკმაყოფილეს.

მარათონის ბრძოლის მომდევნო 489 წლის ადრიან გაზაფხულზე მილტიადემ 70 გემით ათენელთა ლაშქარი ზღვაზე გაიყვანა და კიკლადურ კუნძულებს მიადგა. ათენელებმა რამდენიმე მათგანი აიღეს, გაძარცვეს და ააოხრეს იმის მომიზეზებით, რომ გასული წლის ბრძოლებში ეს კუნძულები სპარსელებს ემორჩილებოდნენ. შემდეგ მილტიადემ ღუზა ჩაუშვა კიკლადთაგან ყველაზე მდიდარ კუნძულ პაროსთან.

პაროსელებმა წინა წლის შემოსევისას სპარსელებს ერთი ტრირემა (სამბაქნიანი გემი) მისცეს ათენის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს სავსებით საკმარისი საბაბი იყო მილტიადესგან პაროსის დასასჯელად.

მილტიადემ პაროსელებს ათენისადმი სრული მორჩილება და ჯარიმად 100 ტალანტის (150.000 მან.) გადახდა მოსთხოვა. მაგრამ ორივე მოთხოვნაზე ცივი უარი მიიღო.

პაროსელები გამალებით შეუდგნენ საომარ სამზადისს. ქალაქის კედლები გაამაგრეს და სიმაღლით გააორმაგეს, ახალი ზღუდეები დღედაღამ სწორებით აღმართეს და დიდი და პატარა იარაღის ქვეშ დააყენეს.

მილტიადემ პაროსელთა ქალაქი ალყაში მოაქცია. მისი გემები კუნძულს გარს შემოერტყნენ, ხოლო ჯარი ქალაქის გარშემო ველმინდვრების აოხრებას შეუდგა. მაგრამ ათენელებს საალყო და საიერიშო აღჭურვილობა არ გააჩნდათ და ქალაქის ალყაც დიდხანს უნდა გაჭიანურებულიყო. მილტიადემ კედლების ძირის თხრა დაიწყო; ამას წარმატებაც უნდა მოჰყოლოდა; კედლები ზოგ ადგილზე უკვე ეცემოდნენ და პაროსელთაგან ბევრი უკვე მოითხოვდა ქალაქის ჩაბარებას, მაგრამ ღამით მახლობელ კუნძულ მიკონზე ცეცხლი ავარდა. პაროსელებმა ეს სპარსელთა მაშველი ძალის ნიშნად მიიჩნიეს, ქალაქის ჩაბარებაზე გადაჭრით ხელი აიღეს და მის დასაცავადაც გაათკეცებული ენერგიით დაირაზმნენ.

თავის დროზე ვერავინ მიხვდა, რომ მიკონზე ავარდნილი ცეცხლი ტყის შემთხვევითი ხანძარი იყო.

პაროსის უშედეგო ალყის დაწყებიდან უკვე ოცდაშეექვსე დღე იდგა. იმედგაცრუებული და სულიერად მოქანცული მილტიადე რელიგიურ ცდუნებას აჰყვა. მასთან იდუმალ გამოცხადდა ქვესკნელის ღმერთთა პაროსელი ქურუმი ქალი, რომელმაც ათენელ მთავარსარდალს უეჭველი გამარჯვება აღუთქვა, თუკი იგი, პირადად, ღამით ნაყოფიერების ქალღმერთის დემეტრეს ტაძარში მივიდოდა და მსხვერპლს შესწირავდა, ან თვითონ ქალაქის მფარველი დემეტრეს ქანდაკებას წაიღებდა.

მილტიადე დათანხმდა.

ღამით, ათენელთა ბანაკისაგან იდუმალ, მილტიადე გაეშურა ქალაქის ახლო ბორცვისაკენ, სადაც აღმართული იყო დემეტრეს ტაძარი.

პირველი, რამაც გმირის გულში ავისმაუწყებლად დარეკა, იყო ის, რომ ტაძრის გალავნის კარი დაკეტილი დახვდა. გალავანი მაღალი იყო. მცირე ყოყმანის შემდეგ იგი აცოცდა და ეზოში გადახტა. მძიმედ დაეცა, მაგრამ მუხლი მაინც სწრაფად გაიმართა და ტაძრის მთავარი შესასვლელისაკენ გაეშურა.

ის იყო, ტაძრის ზღურბლზე ფეხი შესდგა, რომ რაღაც უსიამო შეგრძნებამ დახანჯლა მილტიადეს გული. საზარელი წყვდიადი და მდუმარება ღალატის სუნით გაჟღენთილიყო. ფეხის წადგმა ვეღარ გაბედა. მყისვე უკანვე შემობრუნდა და ისევ გალავანს მოადგა. მიმოიხედა და ძლივსძლიობით აცოცდა.

გადმოხტა. სადღაც ქვიან პიტალოზე დაეცა. საშინელმა ტკივილმა წუთით გონი წაართვა. გმირმა ვერ ინივა მაინც შესჭამა...

რიჟრაჟი იდგა, როცა ათენელმა მთავარსარდალმა დამსხვრეული მარჯვენა ფეხი ძლივს მიათრია თავის კარავში...

ათენელთა ფლოტი და ლაშქარი სამშობლოში სირცხვილნაჭამი დაბრუნდა. უსაზმნოდ დაიხარჯა დიდძალი ფული; ტყუილუბრალოდ გაწბილდა მარათონული გმირობა და სახელდიდება; სავსებით გახუნდა და გაუფერულდა თვით მილტიადეს საარაკო ვაჟკაცობა და ნიჭიერება.

დრო იშოვნეს მისმა ძლიერმა მტრებმა. რომელთაც მარათონის გმირის სახელმოხვეჭილობა ძილსა და მოსვენებას უკარგავდათ.

საგანგებოდ შეყრილ ეკლესიაზე მილტიადე საკაცით მოასვენეს. იგი სიცხის ბურანში გახვეულიყო; დამსხვრეულ ფეხზე განგრენა შესდგომოდა.

სასამართლო დაიწყო. მკაცრი ინვექტივით გამოვიდა ქ ს ა ნ თ ი პ ე. მან მილტიადეს ბრალი დასდო ათენელი ხალხის მოტყუებასა და საზოგადოებრივი ნდობის ბოროტად გამოყენებაში. ეს ნიშნავდა სახელმწიფო ღალატს, რისთვისაც კაცი სიკვდილით უნდა დასჯილიყო.

ღიდხანს გაგრძელდა ბრძოლა და ჭიდილი მილტიადეს მტრებსა და მეგობრებს შორის. როგორც იქნა, მარათონის გმირი მისმა ერთგულმა დამცველებმა და დიდ დამსახურებათა დამფასებლებმა სიკვდილით დასჯისაგან გადაარჩინეს, მაგრამ დიდი ფულადი ჯარიმის გადახდისაგან ვერ იხსნეს. ჯარიმა შეადგენდა 50 ტალანტს (75.000 მან). ამდენის გადახდა მილიადეს არ შეეძლო, ამიტომ მას, როგორც კა-

ნონი მოითხოვდა, ვალის სრულ დაფარვამდე წაერთვა ყოველგვარი სამოქალაქო პატივი, უფლება და მიესაჯა „სავალო სახლში“ ცხოვრება.

მალე სიკვდილით დასჯისაგან გადარჩენილს სიკვდილმა უსწრო, ბერძენთა დიდი სახალხო გმირი გარდაიცვალა მისივე თანამემამულეთაგან უმადურად პატივაყრილი და დამცირებული. კარგა ხანს მისი შვილი და მემკვიდრე კიმონი ასევე „სავალო სახლში“ ცხოვრობდა, ვიდრე მამის ვალი უკანასკნელ გროშამდე არ გადაიხადა...

მაშ, ათენს მილტიადე აღარ ჰყავდა.

მაგრამ მარათონელი გმირის სანაცვლოდ ათენის თვალსამზირზე არანაკლებ ახოვანი ფიგურა წამოიმართა.

თემისტოკლე და არისტიდე

ხუთასოცდახუთ წელს ათენში დაიბადა „შერეულსისხლიანი ათენელი:“ დედამისი უცხოელი — თრაკიელი (თუ კარიელი) ქალი იყო. მამა, ნეოკლემ, ვაჟს თემისტოკლე დაარქვა.

იმ დროს, „პისისტრატიდების ტირანიის*“ ქარიშხლიან ხანაში, რასაკვირველია, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს ახლადნაშობი „არასრულფასოვანი მოქალაქე“* შეიქნებოდა უპირველესი მესაჭე და მეპირნახულე დიდი მილტიადეს სიკვდილით დაობლებული ათენისათვის.

თემისტოკლე ბავშვობიდანვე გასაოცარი გონგამჭრიახობით, ნებისყოფით, ტემპერამენტით, უკიდურესი პატივმოყვარეობითა და თავზეხელაღებული მიზანსწრაფულობით გამოირჩეოდა. ერთი მისი მასწავლებელი ხშირად ეტყოდა ხოლმე:

„შენგან, ბიჭუნა, ჩვეულებრივი მოკვდავი არ დარჩება: ან რაღაც დიდი გმირი უნდა იქნე, ან დიდი გარეწარი“.

შემდეგში თვითონ თემისტოკლე საკუთარ მაგალითზე იტყოდა ხოლმე:

„თვით ყველაზე ველური კვიცებისაგან საუკეთესო ცხენები დადგებიან, თუ მათ ოსტატი სათანადოდ გაწვრთნის და გაჰხედნის“.

შერეულსისხლიან ბავშვებს უფლება არ ჰქონდათ „წმინდასისხლიანთა“ შორის ესწავლათ აკადემიასა და ლიკეიონში*. მათი გიმნასიონი* კინოსარგში* იყო. ჭაბუკმა თემისტოკლემ წარჩინებულ და „სრულფასოვან“ ათენელ თანატოლებთან შეჯიბრებანი გამართა და ყველა დაჩრდილა თავისი გასაოცარი ნებისყოფით, აზრის სინათ-

ლით, გონებამახვილობითა და სწრაფსაზრიანობით. ამის გამო სულ მალე სწავლების ცენტრად კინოსარგი იქცა.

მაგრამ მისი განსწავლულობა მაინც ცალმხრივი და შეზღუდული დარჩა, იგი საკმაოდ გულგრილი იყო უნატიფესი ხელოვნებისა და მეცნიერების დარგებისადმი. მის უმაღლეს სტიქიონს წარმოადგენდა პოლიტიკა, დიპლომატია, სამხედრო საქმე და წმინდა სახელმწიფოებრივ-პრაქტიკული საქმიანობა. მერე თვითონვე აღიარა:

„მე ნაკლებ მესმის სიმღერა და არფის ჟღრიალი, მაგრამ მომეცით ერთი მცირე, მიყრუებული სოფელი და მე მას უდიდეს და უძლეველ პოლისად ვაქცევ“.

მამა არ ურჩევდა თემისტოკლეს პოლიტიკისადმი გამოდევნებას. ერთხელ მან ჭაბუკი შვილი ზღვისპირზე მიიყვანა, უყურადღებოდ მიყრილ-მოყრილ დამპალ გალერებზე მიუთითა და უთხრა:

„შეხედე, შვილო: სწორედ ასე ექცევა ხალხი თავის მეთაურებს, როცა ისინი მას აღარ სჭირდება“.

ეს სიტყვები შემდგომში აუხდა კიდეც თემისტოკლეს, მაგრამ მანამდე რამდენი რამ უნდა განახორციელოს პატივმოყვარეობის ამ სწორუპოვარმა კუმირმა.

493 წელს თემისტოკლე — ათენელთა თვალში უკვე სახელმოხვეჭილი პოლიტიკოსი, ბრწყინვალე ორატორი და გულმხურვალე პატრიოტი, — ათენის არქონტი გახდა. მაშინ მან პირველად წამოაყენა პროექტი გემთმშენებლობის შესახებ და შესძლო კიდეც 70-მდე ხომალდის აგება. იმავე ხანებში თემისტოკლემ ათენის უპირველეს სამხედრო და სავაჭრო ნავსადგურად აქცია პირევსი; გაამშვენიერა და თავდაცვითი კედელ-ზღუდეებით გაამაგრა იგი.

მერე მარათონის ბრძოლა ჩამოდგა პოლიტიკურ ვნებათა ასპარეზზე და თემისტოკლეც ახალის ენერგიით გამოდის სახელმწიფოს უპირველეს მესვეურთ შორის.

მაგრამ მილტიადემ ხომ ყველა დაჩრდილა. ყველას მისი სახელი ეკერა პირზე. ხოლო თემისტოკლე სახეალეწილი და ნერვებაწეწილი ისმენდა მილტიადეს ქება-დიდებას. მან მოსვენება დაჰკარგა, საყვარელ დროსტარებაზე უარს ამბობდა, ღამეები აღარ ეძინა, ოხრავდა და ბორგავდა. როცა მიზეზს ეკითხებოდნენ, იგი აშკარად, მოურიდებლად წამოისროდა:

„მე მოსვენებას მიკარგავს მილტიადეს სახელ-დიდება, მისი ძეგლი, მისი საბრძოლო ტროფეუმები!“

„უნდა გავასწრო, იმას უნდა გადავასწრო! ქვეყანა უნდა ვაიძულო, მხოლოდ ჩემზე, თემისტოკლეზე ილაპარაკონ!“ — უემურშეყრილივით არწმუნებდა და აიმედებდა იგი თავის თავს.

თემისტოკლე არა სცნობდა არავითარ ზნეობრიობას პოლიტიკურ ორიომტრიალში. მას მიზნის მისაღწევი ყოველნაირი საშუალება გამართლებულად მიაჩნდა. მთელი მისი ქარიშხლიანი ცხოვრების უმთავრესი ბერკეტი პატივმოყვარეობა იყო.

მაგრამ ათენელები სთვლიდნენ, რომ თემისტოკლეს პატივმოყვარეობაც კი სამშობლოს კეთილდღეობას ემსახურებოდა. ხალხის გულის მოსანადირებლად ისიც კმაროდა, რომ ამ „ენათაფლიანმა“ კაცმა ყოველი ათენელი მოქალაქის სახელი ზეპირად იცოდა. მას ყველა აფასებდა სახელმწიფო კანონიერების თავგამოდებული, მიუდგომელი და მიუკერძოებელი დაცვისათვის. სამაგალითოდ კმაროდა მისი პასუხი სახელოვანი პოეტის, სიმონიდე კეოსელისადმი, როცა ამ უკანასკნელმა სტრატეგოსად გასულ თემისტოკლეს რაღაც უკანონო საქმის გაკეთება სთხოვა:

„როგორც შენ, სიმონიდე, არ იქნებოდი კარგი პოეტი, თუკი ლექსწყობის კანონებს დაარღვევდი, ასევე მეც, თემისტოკლე არ ვიქნებოდი კარგი მმართველი, თუკი ვისმეს გულისათვის კანონიერების წინააღმდეგ მოვიქცეოდი“.

ხალხის სულში ჩაძვრომა ძალიან ეხერხებოდა თემისტოკლეს:

„ხალხი კაპრიზ ქალს ჰგავს: ალერსიანი ფხანა უყვარს!“

ერთი სიტყვით, თემისტოკლე ათენის სახელმწიფოს პირველ კაცად იქცა.

მარათონის ბრძოლის შედეგი ყველა ათენელისათვის მხოლოდ აღტაცებისა და სიამაყის მომგვრელი იყო; ყველამ ირწმუნა, რომ ათენი უძლეველი პოლისი ყოფილა.

დიდი გამარჯვების სხივცემით თვალმოჭრილ ქვეყანაში თემისტოკლე ერთადერთი აღმოჩნდა, რომელმაც სწორედ იმ ძლევამოსილი ბრძოლის დასასრულსავე უპირველეს ყოვლისა მშობლიური ქვეყნის სიმძლავრე კი არა, სისუსტე დაინახა. თემისტოკლესებრ ვერავინ იგრძნო, რომ მარათონის ბრძოლა, მიუხედავად მისი ბრწყინვალე შედეგისა, მაინც მხოლოდ ადგილობრივი ლოკალური ხასიათის ბრძოლა იყო. ბერძნებმა ხმელეთზე ბრძოლა მოიგეს, მტერს ზღვამდე მისდიეს და ზღვაში მკერდამდე დასველების შემდეგ უკანვე გამობრუნდნენ. ეს იყო და ეს. მთავარი მათ ვერ შესძლეს: ზღვაზე მტრის გამოდევნება და მისი საბოლოო განადგურება. ხოლო ზღვა ყველაფერი იყო, სპარსელები სწორედ ზღვიდან მოდიოდნენ. ზღვაზე მანევრირებას ახდენდნენ, ხმელეთზე უშედეგო იერიშის შემდეგ ზღვაზე ბრუნდებოდნენ და დღეს თუ ხვალ ხელახალი იერიშებისათვის ისევ ზღვიდან გამოჩნდებოდნენ.

თემისტოკლემ თავისი ქვეყნის სწორედ ამ სისუსტეს დაადგა

თვალი. იგი თავგამოდებით შეუდგა თანამემამულეთა დარწმუნებას: ან ზღვაზე გასვლა-გაბატონება, ან სიკვდილი! ვისაც ძლიერი ფლოტი და საზღვაო ლაშქარი ეყოლება, იგი აღკვეთავს ბარბაროსულ საფრთხეს და მთელ ჰელადაში გაბატონდება!

მაშასადამე, ან ზღვა, ან სიკვდილი!

მაშასადამე, ათენი საზღვაო სახელმწიფოდ უნდა ქცეულიყო. სახმელეთო ჰოპლიტური* ლაშქარი საზღვაო ეკიპაჟით შეცვლილიყო.

. თემისტოკლეს „საზღვაო პროგრამას“ ძალიან ბევრი მიმდევარი აღმოუჩნდა, განსაკუთრებით, სახალხო ფენები, ვაჭრები, მრეწველ-ხელოსნები და წვრილი მიწათმეურნენი.

მაგრამ ძლიერი აღმოჩნდა თემისტოკლეს და მის მიმდევართა საწინააღმდეგო მიმდინარეობაც, რომელიც ძირითადად ათენურ არისტოკრატიას წარმოადგენდა. ეს იყო კონსერვატიული „პარტია“, რომლის ბატონობა მთლიანად მსხვილ მიწათმეურნეობას ემყარებოდა და ყოველგვარ რადიკალურ სიახლეს, — მით უფრო „ზღვაზე გასვლას“ — მტრული და უნდო თვალით უცქეროდა.

„აგრარულ-კონსერვატიული პარტიის“ პოზიციას აძლიერებდა მისი ლიდერის სახელმოხვეჭილობა. ეს იყო ა რ ი ს ტ ი დ ე — მთელს ჰელადაში განთქმული პატიოსნებით, სამართლიანობით, მამულისადმი გულმხურვალე სიყვარულითა და თავდადებით, ჭირსა თუ ლხინში ერთნაირი სიმშვიდითა და შეურყეველობით.

არისტიდეს მართალ და პატიოსან ბუნებაზე ბევრს გადმოგვცემენ მისი თანამედროვენი. ერთხელ, როცა არისტიდე ჰელიასტი* იყო და ურთიერთ მტრადგადაკიდებული ორი კაცის საქმეს არჩევდა, ერთი მათგანი ფეხზე წამოვარდა და მოსამართლეს მიმართა:

„ოო, არისტიდე, ამ კაცს უფრო მეტი პოროტება აქვს ჩადენილი შენს წინააღმდეგ. ვიდრე ჩემს წინააღმდეგ“. და ის იყო, უნდა ჩამოეთვალა ეს „ბოროტებანი“, რომ არისტიდემ წამსვე შეაწყვეტინა და მშვიდად უთხრა:

„ჩემო მეგობარო, უმჯობესია მითხრა, შენ რა გაგიკეთა ცუდი ამ კაცმა, რადგან მე ვარჩევ შენს საქმეს და არა ჩემს საქმეს“.

შემდგომ, გვიან, 470 წელს, როცა ათენში პირველად დაიდგა ესქილეს ტრაგედია „შვიდნი თებეს წინააღმდეგ“ და სცენიდან აქტიორმა გმირ ამფიარაეზე თქვა:

„ის არამარტო გეეჩვენება სამართლიანი,
არამედ არის სინამდვილეში;
ის თავის აზრით წედება სიღრმეებს,
საიდანაც მოიფრქვეეიან ბრძნული ბჭობანი“.

წამსვე ყველა დამსწრემ პირი იბრუნა არისტედესკენ, — ყველაზე სამართლიანი და ბრძენი კაცისკენ.

ასეთი კაცი დადგა თემისტოკლესთან საომარ ასპარეზზე. იგი გადაჭრით მოითხოვდა საზღვაო პოლიტიკის ჩაშლას და სახმელეთო ლაშქრისა და სტრატეგიის ამაღლებას.

ისინი არავითარ საშუალებას არ ზოგავდნენ ერთიმეორის წინააღმდეგ საომრად. ათენი მძაფრმა საზოგადოებრივმა ბრძოლამ მოიცვა.

დასაშვებია, მართლაც გაიმართა ასეთი დიალოგი ხალხსა და მის ლიდერთა შორის: „რა გვიშველის ჩვენ, ათენელებს, როცა თქვენ, თემისტოკლე და არისტიდე, ჩვენი სათაყვანო გმირნი, ასე მტრობთ ერთურთს?“

თემისტოკლეს პასუხი:

„მე გიშველით თქვენ, თუ არისტიდეს კლდეზე გადააგდებთ!“

არისტიდეს პასუხი:

„გეშველებათ მხოლოდ მაშინ, თუ ორივეს, მეც და თემისტოკლესაც, კლდეზე ერთად გადაგვყრით!“

მაგრამ ათენს არ შეეძლო მიეღო არისტიდეს დიდსულოვანი და მიუკერძოებელი პატიოსნებით აღსავსე რჩევა. ათენი ორივეს ვერ შეელეოდა. ერთ მათგანს უნდა დაეტოვებინა საბრძოლო ასპარეზი.

ამისათვის არსებობდა ოსტრაკისმო — კენჭისყრა თიხის ფირფიტებით („ოსტრაკონ“): საგანგებოდ მოწვეულ სახალხო კრებაზე ყველა მოქალაქეს აძლევენ თიხის ფირფიტას, რომელზედაც მან უნდა დაწეროს იმ კაცის სახელი, რომელიც სახელმწიფოსათვის არასანდოდ ან მავნედ მიაჩნია. ვისი სახელიც უმრავლეს ფირფიტაზე აღმოჩნდება, იგი ათი წლის ვადით ტოვებს სამშობლოს.

484 წელს ათენის ეკლესია ოსტრაკისმოზე შეიყარა. ხალხს ოსტრაკონები დაურიგეს. ერთ-ერთი უნდა წასულიყო ექსორიაში — ან თემისტოკლე, ან არისტიდე.

ერთი ატიკელი გლეხი, რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდა, შემთხვევით არისტიდეს შეხვდა, თიხის ფირფიტა გაუწოდა და უთხრა:

„ძალიან გთხოვ, მომეხმარე და დამიწერე!“

„რა დავწერო, თემისტოკლე თუ არისტიდე?“

„არისტიდე“.

არისტიდეს გაეღიმა და ჰკითხა:

„განა არისტიდემ რაიმე დაგიშავა?“

„არაფერი, მე მას პირადად არც კი ვიცნობ“.

„მაშ?!“

„უბრალოდ. მე ძალიანაც მწყინს, რომ ყოველი კაცი იმ ვიღაც

არისტიდეს სამართლიანს ეძახის; „სამართლიანი“ და „სამართლიანი“! პირდაპირ თავი მომაბეზრეს!“

არისტიდეს წამით გაოცებულ სახეს ისევ ნაღვლიანმა ღიმილმა გადაურბინა, ფირფიტაზე „არისტიდე“ დააწერა, ახირებულ მოსაუბრეს დაუბრუნა და გაშორდა.

როცა ფირფიტები დათვალეს, აღმოჩნდა, რომ ათენელთა დიდი უმრავლესობა ხმას აძლევდა არისტიდეს გაძევებას.

არისტიდე ათი წლით მიდიოდა სამშობლოდან. ქალაქის კარიბჭიდან რომ გავიდა, შემობრუნდა, ხელები ზეცისაკენ აღაპყრო და შეჰღაღადა:

„ოო, ოლიმპოს დიადო ღმერთნო, თქვენ გეეედრებით! არასოდეს დასდგომოდეთ ათენელებს ისე მძიმე დღე, რომ არისტიდე მოჰგონებოდეთ!..“

თემისტოკლე ათენის ერთპიროვნული გამგებელი გახდა. იგი ფრთაგაშლილი შეუდგა თავისი დიდი გეგმის განხორციელებას. სულ მალე მისი საოცარი ენთუზიაზმით ანთებული ათენი „საზღვაო ციებ-ცხელებამ“ მოიცვა. თემისტოკლემ ყოველგვარი ფინანსიური და მატერიალური სახსრები გემთმშენებლობის საქმეს მიაგო. ლავრიონის მთის მაღაროებიდან შემოსული ვერცხლიც, — რაც ადრე მოქალაქეებზე ნაწილდებოდა, — ფლოტის აგებისათვის დაადგინა. თვითონ ათენელი ხალხი თემისტოკლემ ზღვის პირზე გაიყვანა და ზღვას შეუსია. აქვე საგანგებოდ გაწყობილ სკამებზე ასწავლიდა მათ ნიჩბის მოსმას, აჩვევდა ცურვას, ზღვასთან ბრძოლას და ზღვაზე მტრის დამარცხებას.

ბელადისა და ხალხის ერთობლივმა თავდადებამ თავისი გაიტანა. 480 წლისათვის ათენს 200-ზე მეტი ხუთბაქნიანი (პენტერა) და სამბაქნიანი (ტრიერა) ხომალდი ჰყავდა. ათენი ერთბაშად უპირველეს საზღვაო სახელმწიფოდ გადაიქცა.

მალე ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ თემისტოკლეს რადიკალური წამოწყებანი უაღრესად პიროგრესულ შინაარს ატარებდნენ.

თავი მეორე

თერმოპილე

ქსერქსე

„მათი დიდება უკვდავია, ხვედრი საამო,
ვინც თერმოპილეს მისადგომთან თავი გასწირა!
მათი საფლავი წმინდა არის, დე გლოვა დაცხრეს,
მაგრამ გულებში ჩაიბეჭდოს გმირების სხოვნა!
დრო ვერ გადაშლის მათ საფლავზე წმინდა ჭვირნიშანს,
ყველა გოდოლი დაიშლება, დაპფარავს საესი!
ელადამ აქა ტრფობა თვისი დაასამარა...
პე, ლეონიდე, მოწმედ მეყავ, სპარტის ვაუკაცო,
არ დაგიჭკნება ეგ გვირგვინი სამარადისო“.

სიმონიდე

მარათონის ბრძოლით მარცხნაჭამი დარიოსი კიდევ ხუთი წლის მანძილზე ემზადებოდა რევანშისა და საბერძნეთის სრული განადგურებისათვის. მაგრამ აზიის დიდ მბრძანებელს ათენელთა ჯავრი განუქარვებლად ჩაჰყვა საფლავში. იგი გარდაიცვალა 485 წელს, 36 წლის ხელმწიფობის თავზე.

სპარსეთის სამეფო ტახტი, სასახლის გარიგების მიხედვით, უნდა დაეჭირა გარდაცვლილი ხელმწიფის უფროს ვაჟს, არტაბაზანს, რომელიც დარიოსს პირველი ცოლისაგან ჰყავდა. მაგრამ მეორე ცოლმა, მშვენიერმა ათოსამ, დარიოსი მთლიანად თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია და ტახტის უცილობელ მემკვიდრედაც სიცოცხლეშივე მათი ვაჟი, ქსერქსე გამოაცხადებინა. ამ გადაწყვეტილებას დაბეჯითებით უჭერდა მხარს სპარტიდან გაქცეული მეფედყოფილი დემარატიც, რომელიც დარიოსის გაშინაურებულ მრჩეველთა შორის დიდი გავლენით სარგებლობდა.

მაშ, სპარსეთის მსოფლიო სახელმწიფოს ახალი მბრძანებელი შეიქნა ქსერქსე.

ეს იყო ტანად სრული, ახოვანი და პირმშვენიერი კაცი, გულადიც და გულზვიადიც, უხვი მწყალობელიც და უხვად მესისხლეც, იშვიათად კეთილი რჩევის მომსმენიც და უფრო ხშირად თვითდაჯერებული, კაპრიზიანი მანიაკიც.

ტახტზე ასვლისთანავე ქსერქსემ სასტიკი სისხლთათხევით ჩაახშო ეგვიპტელთა აჯანყება, რომელიც მამამისის მეფობის დასასრულს დაწყებულა. მან ეგვიპტე მძიმედ დახარკა და მმართველ სატრაპად თავისი ძმა აქემენი ჩაუყენა.

ამის შემდგომ მეფე გამალებით შეუდგა საბერძნეთთან ომის ხელახალ, გრანდიოზულ სამზადისს.

ქსერქსე მთელი მსოფლიოს დაპყრობაზე ოცნებობდა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა საომრად აღმოხდენილი მახვილი ქარქაშისათვის მხოლოდ იქ დაებრუნებინა, სადამდეც „აღწევს ეთერი ზეციერ ღმერთთა“. მას უნდოდა გრანდიოზული დამპყრობლობითა და ხელმწიფური მორჭმულობით დაეჩრდილა ყველა თავისი წინამორბედი, მათ შორის — კიროსიც, კამბიზიც, დარიოსიც.

მსოფლიოს დაპყრობის უპირველეს საფეხურად ქსერქსეს მიაჩნდა ურჩი საბერძნეთის დასჯა და განადგურება. ამასვე ჩასჩიჩინებდნენ მისი უახლოესი მრჩევლები, — უპირველესად მისი სიძე მარდონიოსი, დის ქმარი, პირველი მარცხიანი ლაშქრობის მოთავე, რომელსაც მხარს უბამდნენ სამშობლოდან გაქცეული ბერძნები — სპარტელი დემარატი და ათენელი პითიას ვაჟი პისისტრატე. ერთადერთი, ვინც ამაოდ არ ურჩევდა ქსერქსეს საბერძნეთზე ლაშქრობას, იყო მისი ბიძა არტაბანი.

ქსერქსემ გაითვალისწინა საბერძნეთზე წინა ლაშქრობების ყველა მარცხიანი პერსპექტივა. პირველი გალაშქრების ჟამს ხომ ათონის კონცხთან მუდამ მშფოთვარე ზღვამ დაამსხვრია სპარსელთა ფლოტი. ამიტომ მეფემ ბრძანა, ფართო არხით გადაეჭრათ ათონის ყელი და მასზე გავლით გვერდი აეევლოთ კონცხისათვის. სამი წელი გაგრძელდა არხის გაყვანა. ამასობაში ფინიკიისა და მცირე აზიის სანაპიროთა მთელს სიგრძეზე იგებოდა ახალი გემები, იკრიბებოდა ფლოტი. ჰელესპონტზე არმიებისა და კავალერიის გადასაყვანად ხიდები უნდა აგებულიყო. მეფემ მცირეაზიელი ბერძენი ინჟინრები გაგზავნა. სრუტის ყველაზე ვიწრო ნაკვეთზე, აბიდოსსა (აზიიდან) და სესტოსს (ევროპიდან) შორის, ქსერქსეს წარგზავნილებმა გემები ორრიგად გაამწკრივეს, ზედ ფიცრები დააგეს, მოაჯირებით გადაღობეს (გადასვლისას ცხენები რომ არ დამფრთხალიყვნენ), ბაგირებით

გადასვიმეს და ამგვარად ორი ხიდი უკვე მზად იყო აზიურ საომარ ძალთა ევროპაში გადასაყვანად.

481 წელს ქსერქსე ლიდიის მთავარ ქალაქში — სარდში ჩამოვიდა და აქვე ბრძანა საბერძნეთში სალაშქრო არმიების შეყრა.

წლის მიწურულში, როცა მრავალრიცხოვან და მრავალხალხოვან ლაშქართა დინება თითქმის დამთავრებული იყო, ქსერქსემ შეიტყო, რომ ჰელესპონტზე ამოვარდნილ ქარტეხილს ხიდები ერთიანად დაუმსხვრევია. რისხვით აღვსილმა მეფემ ხიდის მშენებლებს თავები დააყრევინა. მისივე ბრძანებით ზღვაც „დასაჯეს“: სამასი შოლტი დაჰკრეს და შიგ ბორკილები ჩაუშვეს. ხიდები „დასჯილ და დათრგუნულ“ ჰელესპონტზე ხელახლა ააგეს.

როგორ მოდიოდნენ აზიელები

დადგა 480 წელი. სარდიდან გასვლა იწყო უზარმაზარმა არმიამ. წინა დღით ლიდიელმა მდიდარმა და წარჩინებულმა კაცმა, პითიოსმა, რომელსაც მთელი თავისი საგანძურები სპარსელი მეფის სამსახურად მიუძღვნია, ქსერქსეს სთხოვა, ლაშქრად გაწვეული ხუთი ვაჟიდან ერთი მაინც დაეტოვებინა მამისთვის. ქსერქსემაც თავის ერთგულ კაცს ასე შეუსრულა თხოვნა: მისი ბრძანებით პითიოსის უფროსი ვაჟი ლაშქრიდან გამოიყვანეს, მამის თვალწინ შუაზე გასჩეხეს და ნახევარ-ნაწილები აქეთ-იქით გზაზე გამოჰკიდეს*..

ახლა ქსერქსეს არმია ამ გაჩეხილი კაცის შუაში მიდიოდა.

უწყვეტ ნაკადად მიდიოდა უზარმაზარი არმია. ავანგარდმა უკვე ჰელესპონტს მიაღწია და არიერგარდი ჯერ კიდევ სარდიდან არ გამოსულიყო.

გზად, პერგამოსის მაღლობზე, სპარსელმა მოგვებმა* ათასი ხარი დაუკლეს უზენაეს ღვთაებას — აჰურამაზდას. ქსერქსემ სკამანდრის პირზე მოიხილა სახელოვანი ილიონის ნამუსრევნი და მოისმინა თქმულებანი ტროას ომისა. ჰელესპონტთან, აბიდოსის ველზე, სახელდახელოდ აღმართეს თეთრი მარმარილოს ესტრადა, საიდანაც ქსერქსე გასცქეროდა არმიებისა და ფლოტის მსვლელობას.

უზღვავ საომარ ძალთა ხილვით აღტაცებულმა მეფემ შესძახა, ბედნიერზე ბედნიერი ვარო, მაგრამ გაახსენდა, რომ ადამიანის სიცოცხლე ძალიან ხანმოკლეა და ტირილი დაიწყო. ბიძამისმა არ-

* ასევე მოექცა დარიოსი სკვითებზე გალაშქრების წინ სპარსელ წარჩინებულს, ეობაზს, როცა მან მეფეს ბრძოლად გაწვეული სამი ვაჟიდან ერთ-ერთის გათავისუფლება სთხოვა, სამივეს შენ დაგიტოვებო, უთქვამს მეფეს და სამივეს თავი გააგდებინეს.

ტაბანმა გადაწყვიტა ესარგებლა ცხოვრების სიმოკლითა და ამაოებით შეშფოთებული მეფის განწყობილებით და ერთჯერ კიდევ სცადა, ხელი აეღებინებინა საბერძნეთზე გალაშქრებისაგან. საპასუხოდ ქსერქსემ არტაბანი სუზაში გაგზავნა და თავის მაგიერ სახელმწიფოს მართვა-გამგეობა მიანდო. თვითონ კი ჰელესპონტზე გადასვლის დაწყება ბრძანა.

დილით ადრე მოგვებმა სამსხვერპლო თიმიამი ააბრჩოლეს, ლოცვები აღაელინეს და ჰელესპონტზე მიმავალი გზა მურტის რტოებით მოჰფინეს. თვითონ მეფე მზის ამოსელას ლოცვით შეხვდა, მის სადიდებლად ოქროს კრატერი აღმართა და ევროპაში ლაშქრობის წარმატებით დასრულება შესთხოვა. მერე ზღვისაკენ შებრუნდა და ის ოქროს კრატერი, ოქროს თასთან და სპარსულ მახვილთან ერთად, ზღვის ღმერთის ძღვნად, ჰელესპონტში ჩაჰყარა.

ჰელესპონტზე გადასვლა დაიწყო.

ხიდებზე პირველმა გადაიარა სამეფო გვარდიამ, გვირგვინებით თავშემკობილმა ათიათასიანმა „უკვდავმა". შემდეგ დაიძრა თვითონ ქსერქსე, რომელსაც წინ უძღოდნენ მისი პირადი მცველნი — ათასი ცხენოსანი და ათასი ქვეითი, გვირგვინებით თავშემკობილი რჩეული ვაჟკაცები. მათ კვალდაკვალ მოჰყავდათ ბრწყინვალედ მორთულ-მოკაზმული ათი ცხენი, ხოლო ამათ უკან რვა თეთრი მერანი მოაქანებდა მითრას საღვთო ეტლს, რომელსაც მოჰყვებოდა თვითონ ხელმწიფე, თავისი ნათესავებით, მეგობრებითა და მრჩევლებით გარშემორტყმული. სამეფო ამალის შემდგომ მოდიოდა ისევ ცხენოსან და ფეხოსან მცველთა რაზმები.

მეფემ ევროპის მიწაზე გადასვლისთანავე კარავი დაიდგა და ერთი კვირის განმავლობაში უცქერდა, როგორ მოედინებოდა აზიიდან ევროპისაკენ მისი უთვალავი ლაშქარი.

არმია გადავიდა. ხიდების დაცვა აბიდოსის მცხოვრებთ ებრძანათ.

სპარსელებმა გადაიარეს თრაკიის ხერსონესი და გადავიდნენ მდინარე ჰებრის ველზე, სადაც ქსერქსეს მთლიანად საომარ ძალთა დათვალიერება და დათვლა ჰქონდა ნაბრძანები.

ქალაქ ენოსის ნავსადგურში თავი მოიყარა ფლოტმა, 1.207 საბრძოლო და 3.000 სატრანსპორტო გემმა. ქალაქ დორისკის მახლობლად გაშლილ ველზე დაიწყო სახმელეთო ძალთა დათვლა. ჰეროდოტე ამ ამბავს ასე გადმოსცემს: ჯერ გადათვალეს ათიათასი კაცი, ერთიმეორესთან მიბრჯენით შეამჭიდროვეს და გარშემო ღობე შემოავლეს. აი, ასეთ „ქართას" ავსებდნენ მეომრებით, დაცლიდნენ, ისევ გაავსებდნენ და ა. შ. ამნაირად გაივსო და დაიცალა „ქართა" 170-

ჯერ. გამოდის, რომ ქსერქსეს ჰყოლია 1.700.000 მეომარი. ასე, რომ, მართლაც, როგორც თანამედროვენი გაიძახოდნენ, ევროპაში მთელი აზია გადასულიყო. მაგრამ ჰეროდოტე ამასაც არ სჯერდება. იგი ძირითად სახმელეთო არმიას უმატებს საზღვაო ეკიპაჟს, ბერძენ მოქირავნეებს, თრაკიელ და მაკედონელ მოკავშირეებს და ამგვარად მთლიანად ქსერქსეს ხელქვეით თავს იყრის 5.283.200 მოლაშქრე.

ასეთი გადაჭარბებანი ჰეროდოტეს დიახაც უყვარს, მაგრამ სპარსულ არმიათა რიცხობრივი გრანდიოზულობა ეჭვს მაინც არ იწვევს. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ქსერქსემ საბერძნეთში ნახევარმილიონიანი არმია შეიყვანა.

დათვლის შემდეგ სპარსელთა არმია დალაგდა ტომობრიობისა და შეიარაღების მიხედვით; ყოველ საჯარისო ერთეულს ქსერქსემ უსარდლა თავისი უახლოესი ადამიანები — ნათესავები, მეგობრები და თანამეინახენი. შემდეგ არმია აღლუმზე დააწყო და საომარ ეტლზე ამხედრებულმა წინ მთელი ფრონტით ჩამოუარა. გვერდით უჯდა მწერალი, რომელსაც საგანგებო სიაში შეჰქონდა ლაშქრობის მონაწილე ტომთა სახელები.

აქ იყვნენ სპარსელები და მიდიელები, საკები და ბაქტრიელები, არიელები და ჰირკანიელები, პართიელები და დრანგიანელები, სოგდიანელები და ინდოელები, კავკასიელები და კასპიელები, მესოპოტამიელები და არაბები, ეთიოპიელები და ლიბიელები, ლიდიელები და პაფლაგონელები, ფრიგიელები და კაპადოკიელები, ხალიბები და მოსხები, კოლხები და ტიბარენები, ალაროდიელები და სასპერები. გზაზედ ზოგიერთი თრაკიული და მაკედონური ტომიც შეუერთდა სპარსულ არმიას.

შემდეგ ქსერქსემ მოაწყო ფლოტის დათვალიერება. მან სწრაფი სიდონური ხომალდით ჩამოუქროლა საზღვაო ძალებს. აქ იყვნენ ფინიკიელები და ეგვიპტელები, კვიპროსელები და კილიკიელები, ლიკიელები და კარიელები, ბოლოს — მცირეაზიელი და ეგეოსელი ბერძნები...

დიდი აზიური საომარი ძალები ზღვით და ხმელეთით საბერძნეთისაკენ მიეშურებოდნენ.

როგორ ხვდებოდნენ ევროპელები

როცა ქსერქსე ჯერ კიდევ სარდში თავს უყრიდა საომარ ძალებს თემისტოკლეს მოთხოვნით, კორინთოს ყელზე შეიკრიბნენ ბერძნულ ქალაქთა წარმომადგენლები. უნდა გადაეწყვიტათ — სად, როგორ, და რა ძალებითა და ხერხებით დახვედროდნენ კარს მომდგარ მტერს

კვლავ დაქსაქსულობამ, შინაურმა მეტოქეობამ და ურთიერთ მტრობამ იჩინა თავი. სამხრეთ საბერძნეთიდან ომში მონაწილეობაზე უარი თქვა არგოსმა, რაკი მას მეტოქეობა ჰქონდა სპარტასთან. ასევე მოიქცა პელოპონესის ჩრდილოური ოლქი—აქეია. შუა საბერძნეთიდან მხოლოდ ათენი და მცირე ქალაქნი — პლატეა და თესპია გამოდიოდნენ სპარსელებთან საომრად, ხოლო ათენთან და პლატეასთან ქიშპშიჩამდგარმა თებემ სპარსეთის მეფეს „მიწა და წყალი“ გაუგზავნა. სპარსელების მხარეზე იდგა ყველაზე დიდი ბერძნული სახელმწიფო — თესალია. დახმარების სათხოვრად ელჩები ჰყავდათ გაგზავნილი სიცილიელი ბერძნების ბელადთან, ჰელონ სირაკუზელთან; მაგრამ ჰელონმა საომრად გამოსვლის აუცილებელ პირობად მთავარსარდლობა მოითხოვა, ამაზე უარი მიიღო და იმანაც თავის მხრივ სპარსელებთან ბრძოლის მონაწილეობაზე ცივი უარი თქვა.

კორინთოს თათბირზე შეკრებილი პატრიოტული ძალები მხნეობას მაინც არ ჰკარგავდნენ. ვერც დელფოს ორაკულის საეჭვო წინასწარმეტყველებამ შეაკრთო ისინი. პითია სპარსელებთან ომში ორ მთავარ ქალაქს — ათენსა და სპარტას — ასეთ რამეს „უწინასწარმეტყველებდა“: ათენელებს ხის კედლები დაიხსნიანო, ხოლო სპარტას ან თვითონ მოელის სასტიკი აოხრება, ან ერთ-ერთი მეფე დაეღუპებაო. თემისტოკლემ „ხის კედლებში“ გემები იგულისხმა და თანამემამულენი ფლოტის გამრავლებისა და გაძლიერების საქმეში დაითანხმა, ხოლო სპარტელებმა „ნაწინასწარმეტყველევი“ საფრთხე სავსებით გულგრილად მოისმინეს და „ლაკონიური“ მდუმარებით უგულებელჰყვეს.

შეკრებილებმა უპირველეს ყოვლისა დაადგინეს ურთიერთ შორის ყოველგვარი უთანხმოებისა და საომარი მდგომარეობის შეწყვეტა და საერთო მტრის წინააღმდეგ მთელი ძალების გაერთიანება. ასე შერიგდნენ საომარ მდგომარეობაში მყოფი ათენი და ეგინა. ყველამ ფიცი დასდო, რომ ერთიანი ძალით იბრძოლებდნენ არა მარტო აზიელი ბარბაროსების წინააღმდეგ, არამედ საერთო საქმის წინააღმდეგ გამოსულ თანამემამულე ბერძენთა დასასჯელადაც. მოღალატენი უნდა აეკლოთ, ქონება წაერთმიათ, მეათედი დელფოს აპოლონის ტაძრისათვის შეეწირათ, დანარჩენი ურთიერთ შორის გაენაწილებინათ.

შემდეგ მსჯელობა გაიმართა იმის თაობაზე, თუ სად უნდა შეხვედროდნენ მტერს, ხმელეთზეც და ზღვაზეც. სპარტელები ჯერ მოითხოვდნენ კორინთოს ყელზე და პელოპონესის სანაპიროებზე გამაგრებულიყვნენ, მაგრამ მათ მალე თავისი მოთხოვნა უკანვე წაიღეს, რადგან აშკარად გამოჩნდა: პელოპონესელებს შუა საბერძნეთი და

განსაკუთრებით ათენი, — თუ მათ მტერი აიკლებდა, — მაინცდამაინც არაფრად ენაღვლებოდათ. ზოგიერთებმა მტრისათვის გზის შესაკრავად მაკედონიიდან თესალიაში გამოსასვლელი ერთადერთი გზა დაასახელეს — მდინარე პენეუსის შესართავთან, ტემპეის ველი. მაგრამ თემისტოკლემ ყველანი დაარწმუნა, რომ ეს ადგილი სახიფათო იქნებოდა, რაკი ზურგში სპარსელთა მოკავშირე თესალია ეყოლებოდათ. ამიტომ მისივე წინადადებით დადგინდა: სახმელეთო ჯარები უნდა გამაგრებულიყვნენ ჩრდილო (თესალია) და შუა (ლოკრიდა) საბერძნეთის შესაყარში, ეტას მთასა და ზემო ევბეის ვიწრო ზღვას შორის, თბილი, გოგირდოვანი წყაროებით ცნობილი თერმოპილეს ხეობაში. ხოლო ფლოტი უნდა განლაგებულიყო თერმოპილეს პარალელურ სრუტეში, ევბეის ჩრდილოეთ ნაწილში წამოზიდულ არტემისიონის კონცხთან.

სახმელეთო ჯარების მთავარსარდლად დანიშნულ იქნა სპარტის მეფე ლეონიდე.

თითქოს საეჭვოდ არავის უნდა გაეხადა ფლოტის მთავარსარდლად თემისტოკლეს გამოცხადება. ჯერ ერთი, თემისტოკლე, ბერძენ სტრატეგოსთა შორის, საზღვაო საქმეთა უპირველეს მცოდნედ ითვლებოდა და მეორეც, რაც მთავარია, ბერძენთა გაერთიანებულ ფლოტში 315 გემიდან 200 მარტო ათენის გემი იყო, მაგრამ თემისტოკლეს ადმირალობის საკითხმა მოკავშირეებში დიდი დავა გამოიწვია. ათენის სწრაფი დაწინაურებით შეშფოთებულ პელოპონესელებს არ სურდათ ათენელის ხელქვეით მოქცეულიყვნენ. სპარტელები სახმელეთო ჯარების უფროსობას არ სჯერდებოდნენ და საზღვაო ძალთა ადმირალობასაც ეტანებოდნენ. მათ მხარს უჭერდნენ ათენის მეტოქე კორინთელები და მეგარელები. ყველაზე მეტად თემისტოკლეს მეთაურობის წინააღმდეგ გამოდიოდნენ ახლაზან ათენთან შერიგებული ეგინელები, მაგრამ, ყველასათვის გასაოცრად, პატივმოყვარე და ამპარტავანმა „ზღვის მგელმა“ თვითონ სთქვა უარი ადმირალობაზე. მან დანარჩენი ათენელები დაარწმუნა, რომ სამშობლოსათვის ასეთ მძიმე ჟამს არ ღირდა ბრძოლა და კინკლაობა სტრატეგოსობისათვის. მან ფლოტის მთავარსარდლობა ქედდადრეკით გადასცა სპარტელ სარდალს, ევრიბიადეს, რომელსაც არამცთუ საზღვაო საქმეებისა არაფერი გაეგებოდა, ზღვაში რომ ვაგლახად ფეხი ჩასცდენოდა, საკუთარ თავსაც ვერ უშველიდა.

როცა კამათი მიწყდა, თემისტოკლემ ევრიბიადე გაიხმო და უთხრა:

„დაე, შენ იყავ, ევრიბიადე, მთავარსარდალი, მაგრამ იცოდე, ზოგიერთი რამ მე უნდა დამიჯერო!“

„ასე იქნება“, მშვიდად უპასუხა სპარტელმა.

ოთხასოთხმოცი წლის ივლისი დადგა. იმ დღეებში ელიდაში (პელოპონესი), ქალაქ ოლიმპიაში, ტრადიციული საყოველთაო ბერძნული ზეიმ-ასპარეზობა — ოლიმპიადა უნდა გამართულიყო. მაგრამ საომარ ძალებს ოლიმპიადისთვის არ ეცალათ.

ბერძენთა გაერთიანებული ფლოტი ევრიბიადეს მეთაურობით უკვე მივიდა არტემისიონის კონცხთან.

სახმელეთო ჯარებს ელოდა თერმოპილეს ხეობაც. უპირველეს ყოვლისა, უნდა მოსულიყო მთავარი ძალა— სპარტელთა ლაშქარი მეფე ლეონიდეს მეთაურობით. მოელოდნენ, რომ პელოპონესიდან მოვიდოდა არანაკლები 40.000 ჰოპლიტისა. მაგრამ მოვიდა მხოლოდ 3.100.

. აქედან მხოლოდ 300 იყო სპარტელი.

მხოლოდ სამასი და მათ შორის ლეონიდე.

ლეონიდე უკვე ორმოცდაათ წელს იყო გადაცილებული, ათლეტური აღნაგობის, მშვიდი, ენერგიული სახიერების მქონე კაცი.

მისი სამასი სპარტელიც, ყველა ცოლშვილიანი, შუა ხნის ვაჟკაცები იყვნენ.

ახალგაზრდა სპარტელებს მაშინ არ შეეძლოთ ბრძოლად გამოსვლა, რადგან სწორედ იმ დღეებში მიდიოდა კარნეის დღესასწაულები, რაზედაც ახალგაზრდა ლაკედემონელთა დასწრება სავალდებულოდ ითვლებოდა. სპარტის ხელისუფლება ლაშქრის ასეთ მცირერიცხოვანებაზე ოლიმპიადის დღესასწაულებსაც იმიზეზებდა. მათთვის მთავარი მაინც პელოპონესი იყო და არა შუა საბერძნეთი. ამიტომ ისინი ძირითად ძალებს სწორედ პელოპონესის დასაცავად ინახავდნენ.

თვითონ ლეონიდე დანარჩენ მოკავშირეთა გასამხნევებლად ამბობდა, რომ იგი მხოლოდ ავანგარდულ რაზმს მოუძღვის და სპარსელების გამოჩენამდე სპარტიდან დიდი ლაშქარიც მოგვისწრებსო.

შუა საბერძნეთში შესვლისას სპარტელებს თავისი ნებით შეუერთდნენ თესპიელები, ლოკრები და ფოკეელები. ლეონიდემ მკაცრი ბრძანებით თებელებიც აიძულა გამოსულიყვნენ სპარსელებთან საომრად.

თესალიისა და ლოკრიდის საზღვარზე, ევბეის სრუტის ჩრდილოეთი ნაწილი ხმელეთში საკმაოდ ღრმად იჭრება და მალიაკის ყურის სახელს ატარებს. მის გასწვრივ მაღალ კედლად მიიმართება იტას მთაგრეხილი. იტას ჩრდილოეთ ფერდობზე, მალიდის ოლქში, მცირე ქალაქი ტ რ ა ხ ი ნ ი მდებარეობს, ხოლო ტრახინის სამხრეთით,

მთასა და წყალს შორის მიიმართება ვიწრო ზოლი, რომელიც მთისკენ მუხის, ზეთის ხილის, დაფნისა და ვაზის ხეივნებითაა დაფარული, ხოლო წყლისაკენ — უეცარი დამრეცი და უძირო ჭაობებია. ამ ვიწრო გასასვლელის სამხრეთ ნაწილში, იქ სადაც მთა და ზღვა ერთმანეთს ერთი ეტლის სიფართეზე უახლოვდებიან, კლდეებიდან სამ ნაკადად გამოჰქუხს გოგირდოვანი თბილი წყაროები. აქედანვე წარმოსდგა სახელწოდება თერმოპილე — „თბილი კარიბჭენი“. აქვე მახლობლად, მაღლობზე, ტრახინიდან ერთი საათის სავალზე, შეფენილია ლოკრიდის პატარა სოფელი ალპენა.

აქ, თერმოპილესა და ალპენას შუაში, დაიბანაკა ლეონიდემ თავისი ლაშქრით. ხოლო თვით ლაშქარში შედიოდა:

სამხრეთ საბერძნეთიდან:

300 სპარტელი,
500 ტეგეელი,
500 მანტინეელი,
120 ორქომენელი,
400 კორინთელი,
200 ფლიუნტელი,
80 მიკენელი.

შუა საბერძნეთიდან:

700 თესპიელი,
400 თებელი,
500 ლოკრიდელი,
500 ფოკიდელი.

და ამათ გარდა კიდევ 1.000 მონა და პერიეკი (ჩამოსახლებული უცხოელი) პელოპონესიდან.

ეს იყო და ეს: სულ 5.200 კაცი.

ხოლო სპარსელნი? ოო, უთვალაეია ბარბაროსთა ლაშქარი!

მოღის მთელი აზია!

დაღამდა. ქვეყანა დაწყნარდა. ბერძენთა ბანაკიც დუმდა, თუმცა არ ეძინა.

ვიღაცამ ამოიოხრა.

სადღაც აჩურჩულდნენ:

„ჩვენ კი გვეგონა, ყველაზე მეტი სპარტელები იქნებოდნენ!“

„ჰო, სპარტელები. ისინი მხოლოდ სამასი კაცია!..“

უცებ მკაცრმა ხმამ გააწყვეტინა:

„სამასი კაცი?!“

და იგივე ხმამ მკაცრადვე „გაასწორა“:

„სამასი სპარტელი!!!“

ბანაკი ისევ დუმდა.

სპარსულმა არმიამ მაკედონია ჩაათავა.ტემპეის ველი გაიარა და თესალიაში ნიაღვარივით შეიჭრა. პარალელურად მოედინებოდა საზღვაო ფლოტი, რომელსაც სათავეში ედგა ქსერქსეს ძმა ა ქ ე მ ე ნ ი.

დაზვერვაზე წინასწარ წამოსული ათი სიდონური ხომალდი წაადწყდა კუნძულ ს კ ი ა თ ო ს თ ა ნ (ევბეის ჩრდილოეთით) საგუშაგოდ მდგარ სამ ბერძნულ ხომალდს. უთანასწორო ბრძოლაში სპარსელებმა ხელთ იგდეს ორი ხომალდი — ერთი ეგინისა და მეორე ტრეზენისა. ბარბაროსებმა ბერძენ ტ ყ ვ ე თ ა გ ა ნ აარჩიეს ულამაზესი ვაჟკაცი, სახელად ლეონი, და იქვე, მათსავე გემზე, ფინიკიელ და სპარსელ ღმერთთა სამსხვერპლოდ ყელი გამოსჭრეს; ხოლო დანარჩენებს მონობის ბორკილები დაადეს, მესამემ — ათენელთა გემმა ტ ყ ვ ე ო ბ ა ს გაასწრო და მისმა ეკიპაჟმა კუნძულ სკიათოსს შეაფარა თავი. აქედან მათ კოცონით აცნობეს თავისიანებს სპარსელთა ფლოტის მოახლოება.

ბერძენმა სტრატეგოსებმა ატრემისიონთან ყოფნა ამჯერად სახიფათოდ მიიჩნიეს და უკანდახევის ბრძანება გასცეს. ფლოტი ევბეის სრუტეს დაუყვა და მის ყველაზე ვიწრო ნაწილში, ქალაქ ქ ა ლ კ ი დ ი ს მ ყ უ დ რ ო ნ ა ვ ს ა დ გ უ რ შ ი ჩაუშვა ღუზა.

სპარსელთა ფლოტს თ ე ს ა ლ ი ი ს მ ა გ ნ ე ზ ი ი ს ნ ა პ ი რ თ ა გასწვრივ ღამემ მოუსწრო. აქემენმა დილამდე ღუზის ჩაშვება ბრძანა. მაგრამ ღამით ჩრდილო-დასავლეთიდან საშინელი გრიგალი წამოვიდა. ბერძნები მას „ჰელესპონტურ ქარს“ ეძახდნენ. სპარსელი მოგვები ლოცვითა და მსხვეპლის წირვით ამაოდ აბეზრებდნენ თავს ღმერთებს. სამი დღე-ღამის განმავლობაში ქარტეხილი ნაფოტებივით ისროდა სპარსელთა ხომალდებს. გემები ერთმანეთს ეხლებოდნენ, ან ზღვაში პიტალოდ ჩამოშვებულ პ ე ლ ი ო ნ ი ს კ ლ დ ე ე ბ ს ეხეთქებოდნენ, 400 გემი თავისი ეკიპაჟებითა და სიმდიდრეებით ზღვის ფსკერზე დაეშვა. ვინც ხმელეთზე გადაასწრო, ადგილობრივ ტომთაგან თავდასხმის შიშით, გემთა ნამსხვრევებისაგან ბარიკადებს აგებდა და მოსალოდნელი ომისათვის ძრწოლამოსილი ემზადებოდა.

როცა ქალკიდასთან დაბანაკებულმა ბერძნებმა მტრის ზარალის ამბავი შეიტყვეს, ზღვათა და ქართა მბრძანებელ ღმერთებს — პოსეიდონსა და ბორეასს — სამადლობელი მსხვერპლი შესწირეს და ისევ არტემისიონის კონცხისაკენ გაეშურნენ, წამოეწივნენ უკვე პ ა გ ა ს ი ს ყ უ რ ე შ ი შემავალი სპარსული ფლოტის არიერგარდს და ბრძოლა გაუმართეს მას. ამ შეტაკებაში 15 ტრიერა წა-

ართვეს ბერძნებმა სპარსელებს და მათი ბელადები დაბორკილი გაუგზავნეს სამოკავშირეო საკრებულოს კორინთოს ყელზე.

მიუხედავად ასეთი წარმატებებისა, არტემისიონთან მდგარი ბერძნული ფლოტის მთავარსარდლობაში მაინც საკამათო გახდა, გაემართათ თუ არა გენერალური ბრძოლა მტრის ფლოტთან, რომელსაც იმ ზარალთა შემდგომ მაინც დარჩა არა ნაკლები 1.000 ხომალდისა. კორინთელი სტრატეგოსი ა დ ი მ ა ნ ტ ო ს ი მოითხოვდა დაუყოვნებლივ დაეწყოთ უკანდახევა სამხრეთისაკენ, პელოპონესის სანაპიროებისაკენ. მთავარსარდალმა ევრიბიადემ მაშინვე დაუჭირა მხარი კორინთელის წინადადებას. მათვე მიემხრო ათენის საღვთო გემის უფროსი ა რ ქ ი ტ ე ლ ე. თემისტოკლე თავგამოდებით იბრძოდა არტემისიონთან დარჩენისა და მტერთან გენერალური ბრძოლის გამართვისათვის. თემისტოკლეს, ათენელთა გარდა, მხარს უჭერდნენ ევბეელები, რომელთაც დიდი შიში ჰქონდათ: თუ ბერძნები წავიდოდნენ, სპარსელები ევბეას ააოხრებდნენ. ამიტომ გადამწყვეტ მომენტში ევბეელებმა უკვე სამხრეთისაკენ წასასვლელად გამზადებული ევრიბიადესა და ადიმანტოსის მოსასყიდად თემისტოკლეს მისცეს 30 ტალანტი (დაახლ. 43.000 მან ვერცხლი).

თემისტოკლემ ამ თანხიდან ევრიბიადეს მისცა 5 ტალანტი, ადიმანტოსს — 3 ტალანტი და თავის ურჩ თანამემამულე არქიტელეს 1 ტალანტი. დანარჩენი 21 ტალანტი თემოსტოკლემ მოსალოდნელ „შავ დღეთათვის“ შეინახა. დაქრთამულთაგან არავინ იცოდა, რომ ფული ევბეელებისაგან იყო გაღებული.

„კვერთხმა ეშმაკის ძირისამ“ თავისი გაიტანა. ბერძენთა ფლოტი არტემისიონის კონცხთან დარჩა.

დაღამდა.

ადამიანებს უხაროდათ, რომ წყვდიადში უკვე ვეღარ ხედავდნენ ზღვის ქაფში შერეულ წითელ სირმებს, კაცთაგან კაცთა დაქცეულს სისხლს.

მაგრამ მომდევნო დღისთვის იგივე ადამიანთა ორივე მხარე უარესი სისხლისთხევისთვის ემზადებოდა.

ბრძოლა არტემისიონთან

აქემენმა წინასწარი დაზვერვით იცოდა, რომ ბერძნებს მასზე გაცილებით მცირერიცხოვანი ფლოტი ჰყავდათ. ამიტომ გადაწყვიტა მოწინააღმდეგე ისე გაენადგურებინა, რომ მათგან ამბის გამტანიც კი არ გაეშვა. მან 200 გემი გამოჰყო და იდუმალ გაგზავნა ევბეის სრუტის სამხრეთ გასასვლელის ჩასაკეტად, რამეთუ აქედან იერი-

შის დაწყების ჟამს, არც ერთი ბერძნული ხომალდი არ გაქცეოდა ხელიდან. როგორც კი აქემენი შეიტყობდა, რომ გაგზავნილი ხომალდები უკვე დანიშნულ ადგილზე მივიდნენ, მაშინვე იერიშსაც დაიწყებდა.

სპარსელთა ეს გეგმა შეიტყო თემისტოკლემ და მაშინვე ამოქმედდა. მან სტრატეგოსთა თათბირზე მოითხოვა, რაკი მტრის ფლოტი 200 გემით შემცირდა, დაუყოვნებლივ თვითონ დასხმოდნენ თავს აქემენის ბანაკს.

მცირე ყოყმანის შემდეგ სტრატეგოსთა საბჭო თემისტოკლეს წინადადებას დაეთანხმა და უკვე მზის დასალიერზე ბერძენთა ფლოტი სწრაფი სვლით დაიძრა მოწინააღმდეგისაკენ.

სპარსელები არ ელოდნენ და საბრძოლოდ გაწყობა ვერ მოასწრეს. ბერძნებმა პირველი იერიშისთანავე მტერს 30 ხომალდი მოსტაცეს და თავის ბანაკში უვნებლად დაბრუნდნენ. მრავალ ტყვეთა შორის აღმოჩნდა კვიპროსელი მეფის ძმა.

ბერძნებს იმედი ჰქონდათ, რომ შეტაკების დროს სპარსელთა ბანაკში მყოფი თანამოძმე იონიელები (მცირეაზიელი ბერძნები) მათ მხარეზე გადავიდოდნენ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მხოლოდ ერთი ლემნოსური ტრიერა გამოექცა სპარსელებს ა ნ ტ ი დ ო რ ე ს მეთაურობით.

იმ ღამით კვლავ აიშალა ქარტეხილი ზღვაზე. კოკისპირული წვიმა და ღვარნაფშვენი წამოვიდა. წინა დღეთა ქარიშხლისაგან დალეწილ ხომალდთა ნამუსრევნი და დახოცილ ადამიანთა გვამები გამოიტანა ზღვამ პელიონის ნაპირებიდან. სპარსელები შეაძრწუნა მათმა ხილვამ. აქემენის ბანაკი პანიკამ მოიცვა. უარესი ამბავი შეიტყო სპარსული ფლოტის ადმირალმა: ის 200 ხომალდიც მთელი თავისი ეკიპაჟითა და აღჭურვილობით ქარიშხალმა დალეწა და გაანადგურა. მათგან ამბის მომტანიც აღარ დაბრუნებულა.

ბერძენთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა; მით უფრო, რომ სწორედ იმ დღეს, როცა სპარსელთა ფლოტმა ამდენი ზარალი ნახა, ბერძენთა ბანაკმა ახალ დამხმარე ძალად ათენიდან კიდევ 53 ხომალდი მიიღო.

მაშ, ჰეროდოტეს თქმისა არ იყოს, „ღმერთმა მართლა შეამცირა განსხვავება“ სპარსელთა და ბერძენთა ძალებს შორის.

თემისტოკლე სიხარულით ცასა ჰკიდებდა ხელს.

მომდევნო საღამოს, როცა ავდარმა გადაიკარა, ბერძნებმა ისევ წამოიწყეს იერიში და კიდევ რამდენიმე ხომალდი წაართვეს მტერს.

სამი დღის შემდგომ ცოფით შეპყრობილმა აქემენმა თვით გამოიყვანა ფლოტი იერიშზე. მისი ხომალდები ნახევარწრედ მოიწევდნენ მოწინააღმდეგისაკენ.

ორივე მხარე იბრძოდა დიდი სიმხნევითა და თავგანწირვით. ორივე მხარემ ნახა ზარალი. ბარბაროსთა მხრიდან განსაკუთრებული სიმამაცით იბრძოდნენ ეგვიპტელები, ბერძენთა ბანაკიდან — ათენელები.

ბრძოლა ამ დღეს სწორი სასწორით დამთავრდა.

ბერძნები მომდევნო დღეთა გეგმებზე ბჭობდნენ, როცა შეიტყვეს მოულოდნელი ამბავი: ქსერქსეს ჯარებმა თერმოპილეს ხეობაში ბერძენთა დაცვა გაარღვიეს და შუა საბერძნეთში შეიჭრნენო. ახლა ფლოტის დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა და სტრატეგოსებმა გადაწყვიტეს სწრაფი უკანდახევა სამხრეთისაკენ. თემისტოკლემ წინასწარ ევბეის მცხოვრებლებს საქონლის ნაწილი გააწყვეტინა. ნაწილიც სამხრეთისაკენ გადაარეკვინა, რამეთუ შემოსეულ მტერს შიმშილი დასტყდომოდა თავს.

მერე დაიწყო უკანდახევა ევბეის სრუტით. ყველგან, თვალსაჩინო ადგილებზე, კლდეებზე და წყაროებთან, — სადაც მტერს სასმელი წყალი უნდა აეღო — თემისტოკლე სწრაფი ხომალდით მიმოქროდა და აწერდა მოწოდებებს სპარსელთა ფლოტის მონაწილე იონიელი ბერძნებისადმი:

„თქვენ უმართებულოდ იქცევით, როცა ებრძვით თქვენსავე ძმებს და მამებს და მტერს ეხმარებით მშობლიური ჰელადის დამონებაში. გადმოდით ჩვენთან, ხოლო თუ ეს არ შეგიძლიათ, დაბრუნდით უკან თქვენს სახლებში და თანვე წაიყვანეთ კარიელებიც, მაგრამ უკეთუ ბარბაროსთა უღელი ისე მაგრად გბოჭავთ, რომ არც ერთის და არც მეორის გაკეთება არ შეგიძლიათ, მაშინ მაინცდამაინც თავგამოდებით ნუ შეგვებრძოლებით ჩვენ, თქვენს ძმებსა და ნათესავებს“!

თემისტოკლე ამბობდა: თუ გადმოვლენ ჩვენკენ იონიელები, ხომ კარგი, თუ არადა, ამ წინადადებათა წაკითხვისას სპარსელები ხომ მაინც უნდო თვალით დაუწყებენო მათ ცქერას...

ორი ბანაკი თერმოპილესთან

„ჩვენ ხომ პერაკლეს მოდგმისა ვართ...
მსნედ შეეუტიოთ...“

ტირტეოსი

სანამ ზღვაზე ეს ამბები ხდებოდა, მის პარალელურად ხმელეთზე დიდი დრამატიზმითა და ტრაგიზმით აღსავსე ეპოპეა მზადდებოდა.

თხუთმეტდღიანი ლაშქრობის შემდგომ ქსერქსემ თავისი უზარმაზარი არმიით თესალია ჩაათავა და ტრახინს მოადგა.

თერმოპილეს ხეობაში მდგარი ბერძენთა ბანაკი მტრის უზომო სიმრავლის ხილვამ შეაძრწუნა და შეარყია.

პელოპონესიდან მოსული ჯარები მაშინვე წამოიშალნენ და სასწრაფოდ სამხრეთისაკენ, კორინთოს ყელისკენ, უკანდახევა მოითხოვეს. ისედაც ხომ მათ შუა საბერძნეთი არაფრად ენაღვლებოდათ და მხოლოდ საკუთარი პელოპონესის გადარჩენაზე ზრუნავდნენ.

შუა საბერძნეთის ჯარები, განსაკუთრებით ფოკიდელები და ლოკრიდელები, — რომელთა მიწაზეც უკვე შემოსდგეს ფეხი სპარსელებმა — მოითხოვდნენ თერმოპილედან ფეხი არ მოეცვალათ და მტერსაც აქვე შებმოდნენ.

კამათი და აურზაური სასწრაფოდ აღკვეთა მთავარსარდალმა.

ლეონიდე ბანაკის წინ წამოიმართა და შეურყეველი ტონით განაცხადა:

„ჩვენ ვრჩებით!“

მთავარსარდლის ზევსურმა ბრძანებამ შეაყენა და შეადუღა ბერძენთა ბანაკი.

ყველა რჩება; არავინ ფეხს არ მოიცვლის.

ისინი თავის მშობლიურ მიწაზე დგანან. ეს მიწა აძლევს მათ უძლეველ ძალ-ღონეს. ვნახოთ, რას გახდება სხვის დასამონებლად შოლტების ცემით მორეკილი ბარბაროსთა ლაშქარი.

თერმოპილეს ხეობა მტრისთვის მიუვალად ჩანს, მაგრამ მის უკან, კ ა ლ ი დ რ ო მ ი ს მ თ ი ს გადაღმა, ვიწრო ხეობას საცალფეხო ბილიკი მისდევს. ეს ბილიკი ზურგიდან უვლის თერმოპილეს ხევს.

ლეონიდემ ფოკიდელთა და ლოკრიდელთა ათასეული გაგზავნა იმ ბილიკის ჩასაკეტად.

სპარსელებმა ბილიკის შესახებ ჯერჯერობით არაფერი იციან, მაგრამ ლეონიდე მაინც ვარაუდს იჭერს, რომ მტერმა რაიმე შემთხვევით ზურგიდან არ შემოუაროს...

ლეონიდემ შიკრიკი აფრინა კორინთოს ყელზე შეკრებილ სამოკავშირეო საბჭოსთან; მტრის მოსვლას აცნობებდა და დამხმარე ძალებს მოითხოვდა. თვითონ სწამდა, რომ ახალ საომარ ძალას ვერ მიიღებდა. მაგრამ ასეთი თხოვნის გაგზავნით მეომართა გულში იმედი და მხნეობა შეჰქონდა.

დგანან ბერძნები ბერძნულ მიწაზე.

ელიან მტერს.

ელიან სიკვდილს.

ელიან უკვდავებას.

ელიან გმირობას.

სამასი სპარტელი მოსულა უწმინდესი მიწის დასაცავად. სპარტელები ჰერაკლიდები არიან — დიადი ჰერაკლეს შთამომავალნი. სწორედ აქ, ტრახინსა და თერმოპილეში გაატარა თავისუფალ და თანასწორ სპარტელთა ლეგენდარულმა წინაპარმა თავისი გმირული სიცოცხლის უკანასკნელი წლები. აქ, ამ თბილ წყაროებთან დგამდა ჰერაკლე საზორველ საკურთხეველს. იქ, იტას უმაღლეს მწვერვალზე აღიმართა დიდი კოცონი, რომელშიც ჩაიწვა და ჩაიფერფლა გმირი. ჩაიფერფლა, რამეთუ ზეცად, ოლიმპიელ ღმერთთა ტოლად აღზევებულიყო.

იტას გადაღმა, ცოტა მოშორებით, „დედამიწის ჯიპია“ — ფოკიდა, დიადი აპოლონის სამყოფელი, — პარნასის მთა, პარნასის მთის ფერდობზე — ყოველი ბერძნის სამლოცველო, აპოლონის თეთრი ტაძარი. იქვეა პითია, ქურუმი ქალი, რომელიც მთელს ქვეყანას ამცნობს ხელოვნებისა და სინათლის ღმერთის ნებასურვილებს.

იქ, ტრახინში, სადაც ოდესღაც თავისი ოჯახით ცხოვრობდა დიდი ჰერაკლე, ახლა აზიელი მბრძანებელი დაბანაკებულა თავისი უზარმაზარი არმიებით.

ამის მოთმენა ბერძნებს დიდხანს არ შეუძლიათ...

ერთი თესპიელი ლეონიდეს მიეახლა და ჰკითხა:

„რატომ არის, რომ გმირს შერცხვენილ სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი ურჩევნია?“

„იმიტომ, რომ ადამიანის სიცოცხლე ბუნებას ეკუთვნის, ხოლო სახელოვნად სიკვდილი თვითონ მას — გმირ ადამიანს“, ხმამაღლა, ყველას სასმენად სთქვა ლეონიდემ.

მხნეობა იზრდებოდა ბერძენთა ბანაკში.

ვიღაც ტრახინელი გლეხი მოიჭრა თერმოპილეს ხევში და შეშფოთებით შესძახა ბერძნებს:

„თავს უშველეთ, ბერძნებო! რის იმედი გაქვთ? ბარბაროსები იმდენი არიან, ყველამ რომ ერთად ისარი სტყორცნოს, მზე დაბნელდება!“

„მით უკეთესი: ვიომებთ ბნელში!“ — ლაკონიურად უპასუხა ლაკონიელმა, — სპარტელმა მეომარმა, სახელად დეინიკემ.

ქსერქსეს ტრახინთან დაბანაკებამდეც ჰქონდა ცნობა, რომ თერმოპილეს ხეობაში ბერძენთა მცირერიცხოვანი ლაშქარი იდგა. ბანაკად დადგომისთანავე ხელახლა გაგზავნა მზვერავი. მზვერავი გაოცებული და გაოგნებული დაბრუნდა.

„რა ნახე?!“ — ჰკითხა ქსერქსემ.

„ვნახე. სწორედ იქ, თერმოპილეს ხეობაში დგანან“.

„მერე, რას სჩადიან, როგორ იქცევიან?“

„ერთობიან“.

„როგორ თუ ერთობიან?!“ — გაოცდა მეფე.

„როგორ და, ზოგნი ჭიდაობენ, ზოგნი ვარჯიშობენ, ზოგიერთები თმებს ივარცხნიან, სხვები კიდევ ყვავილებსა და ბალახებს კრეფენ. გვირგვინებს წნავენ და ერთმანეთს თავზე ადგამენ“.

მეფეს სახე გაეყინა. მერე ერთბაშად დემარატს მიუბრუნდა:

„რას ნიშნავს, ბერძენო, ყოველივე ეს?“

„ეს იმას ნიშნავს, ხელმწიფეო, ბერძნებს გადაუწყვეტიათ თავგამეტებით შეგებრძოლონ“, — წყნარად უპასუხა დემარატმა.

ქსერქსემ ავზნიანად გაიცინა:

„განა ასე შეშლილები არიან ის შენი სპარტელები?“

„ასეა, ხელმწიფეო, სპარტელებს ჩვეულად აქვთ, ბრძოლის წინ თმები დაივარცხნონ და თავები შეიმკონ. მეტადრე თუ ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლოა“.

„მე კი მგონია, ჩემი ბანაკის ცქერასაც დიდხანს ვერ გაუძლებენ“, — დარწმუნებით დაასკვნა ქსერქსემ.

ოთხი დღე-ღამე ამოდ უცდიდა სპარსეთის მეფე თერმოპილეს ხეობაში ჩამდგარ „შეშლილთა“ გაქცევას.

პირველი სისხლი ხმელეთზე

„საამაყოა მეწინავე რიგებში ბრძოლა
სამშობლოსათვის და სიკვდილი სახელოვანი“.
ტირტეოსი

მეხუთე დღეს ქსერქსე დილით ადრე ადგა, მაღლობზე აღმართულ ტახტზე დაბრძანდა და ისევ დემარატი იხმო.

„მაშ თქვენ, ლაკონიელ სპარტელებს ლაკონიური გასაუბრება გიყვართ, არა?!“

„დიახ, ხელმწიფეო“, შიშნარევად გაეპასუხა დემარატი.

„მაშ, კარგი, ლაკონიური იქნება ჩემი ბრძანებაც“. ეს სთქვა და ამალაში ვიღაცას ანიშნა.

ამალას კაცი გამოეყო და თერმოპილესაკენ სასწრაფოდ დაეშვა. ივი ბერძენთა ბანაკს მიუახლოვდა და „ლაკონიურად“ შეჰყვირა:

„იარაღი ჩაგვაბარეთ!“.

„მოდით და ინებეთ!“ — იგრიალა ლაკონიელთა ბანაკმა.

რისხვით აღვსილმა აზიელმა მბრძანებელმა იერიში ბრძანა.

„ყველანი ცოცხლად შეიპყარით და ბორკილდადებულნი მოგვარეთ!“ — ასეთი იყო მეფის ბრძანება.

მძლავრ ნაკადად დაიძრნენ მიდიელთა და კისიელთა კოლონები, საისრეზე მისულებმა ისრის სეტყვა დაუშინეს მოპირდაპირეს. ბერძნებმა დიდი ფარები იფარეს და ისართა სეტყვა აისხლიტეს. მერე გრძელი შუბები გამართეს და შეტევაზე გადმოსულ მტერს შეებნენ.

გაურღვეველ კედლად მიუძღოდნენ სპარტანული რაზმები ბერძენთა ლაშქარს. საშინელი ხელჩართული გაჩაღდა. ქსერქსე ხედავდა, როგორ ჰკაფავდნენ ბერძნები მისგან წარგზავნილ ჯარებს.

მეფე რისხვით თავს ძლივს იჭერდა, მაგრამ ტახტიდან მაინც არა დგებოდა, რამეთუ სისუსტედ და სიმსუბუქედ არავის ჩამოერთმია.

მიდიელთა მეწინავენი ბერძნებმა ჩახოცეს, დანარჩენები უკუიქცნენ.

მაშინ მეფემ უბრძანა „უკვდავთა არმიის“ მთავარსარდალს, ჰიდარნესს, სასწრაფოდ გამოეყვანა თავისი ჯარები საიერიშოდ.

სპარსეთის არმიის ყველაზე საუკეთესო ნაწილი, 10.000 „უკვდავი“ გვარდიელი — მტკიცე საომარი წყობით, იარაღის ზათქითა და თავზარდამცემი ყიჟინით გაქანდა ბერძნებისაკენ.

სპარსელები მთიდან დაქანებული ზვავივით მოექანებოდნენ.

სპარტელები იერიშს იერიშით შეხვდნენ.

იარაღგაწვართულ ადამიანთა შეხეთქების და შეჯახების ექო ჰომერულ გმინვად აღმოხდა იტას მთას და კლდეთ.

კვლავ გაუდრეკელი მკლავებით სჩეხდნენ სპარტელნი. „უკვდავთა“ მეწინავე რიგები ჩაჰკაფეს კიდეც, მაგრამ გაურღვეველი იყო სპარსელთა „ზვავის“ თვალჩაუდგამი სიღრმე და სიგრძე.

მაშინ ლეონიდემ რაღაც შეუძახა თავისიანებს.

სპარტელები ერთობლივი და ერთბაში მიწოლით მიაწვნენ მტერს, მერე ერთბაშადვე ზურგი აქციეს და უკუიქცნენ.

სპარსელები, მტრის „გაქცევით“ ფრთებშესხმულნი, აღტაცებული ღრიანცელით გამოენთნენ.

დევნა დიდხანს არ გაგრძელებულა.

ლეონიდემ თვალი ჰკიდა და როგორც კი დარწმუნდა, რომ სპარსელების რიგები თავდავიწყებითი სირბილისაგან უკვე აშლილ-არეულიყვნენ, თავისიანები ერთბაშად უკანვე შეაბრუნა და მტერს ხელახლა შეება.

სპარტელები და მათზე მიდევნებული დანარჩენი ბერძნები უწყალოდ სჩეხდნენ დაფანტულ და დაბნეულ სპარსელებს.

ქსერქსემ უკვე ვეღარ შეძლო ხელმწიფური თავშეკავებულობის დაცვა. იგი სამჯერ შეშლილივით წამოიჭრა ფეხზე და სამჯერვე მუხლმოკვეთით დაეცა ტახტზე.

დაღამდა.

„უკვდავთაგან“ ბევრი დაიხოცა — 6.000-ზე მეტი მეომარი.

დანარჩენები დამარცხებულნი და სირცხვილნაჭამნი დაბრუნდნენ.

ქსერქსეს ეს მარცხიც უნდა მოენელებინა და მთელი ღამე მეორე დღის საომარ ფიქრში გაატარა.

ხოლო მეორე დღეს მთელი ძალები დასძრა თერმოპილესაკენ.

ამდღევანდელი სისხლისთხევაც კვლავ ბერძენთა გამარჯვებით დასრულდა.

მაშ, თერმოპილეს აღება სპარსელებს არ შესძლებიათ. იმ ვიწროებში ჩაკირულ ბერძენთა გამოდევნა შეუძლებელი ყოფილა.

მაშ, როგორ უნდა მოიქცეს დიდი სპარსეთის მბრძანებელი? ბანაკი ხომ არ უნდა აჰყაროს და უკან გაბრუნდეს შერცხვენილი და თავლაფდასხმული?

მაგრამ, არა, ნუ აჩქარდება მეფეთა მეფე! განა ოდესმე დაილევა ქვეყანაზე ქვეყნის გამცემი, მოღალატე მშობელი მიწის, მშობელი კერის, მშობელი ხალხის?

იყო, არის და იქნება.

ღალატი!

და ახლაც მოხდა სავსებით უბრალოდ: ერთმა ვიგინდარამ, ხარბმა, ანგარმა და შარახვეტია შარლატანმა დაღუპა ქვეყანა.

ბერძენმა გაყიდა საბერძნეთი.

ა პ ო თ ე ო ზ ი

„თუ მშვენიერი სიკვდილი არის სიკეთის ნიშანი,
სწორედ ეს ხვედრი გვარგუნა ჩვენ ბედმა აუცდენელმა,
ეიცავდით დედა-ელადის დიდებას, თავისუფლებას.
ეწვევართ და ვეამკობს სახელი წმინდა და მარადუხრწნელი“.

სიმონიდე.

უკანასკნელ მარცხიან ღამეს ქსერქსესთან გამოცხადდა ვიღაც ადგილობრივი ბერძენი, სახელად ე ფ ი ა ლ ტ ე, რომელმაც, დიდი საფასურის იმედით, მეფეს შესთავაზა სწორედ იმ ბილიკის ჩვენება, საიდანაც შეიძლებოდა თერმოპილეში გამაგრებულ ბერძენთა ზურგიდან შემოვლა.

აღტაცებულმა ქსერქსემ ჰიდარნესი თავისი „უკვდავთა“ რაზმებით სასწრაფოდ გააყოლა ასე მოულოდნელ, „ციმოვლენილ მხსნელს“.

მთელი ღამე მისდევდნენ სპარსელები თავის მეგზურს მთებსა და ღრეებში და დილის რიჟრაჟზე უკვე მიაღწიეს კალიდრომის ულელტეხილს, საიდანაც შეიძლებოდა უცებ დაშვება და თერმოპილედან უკანდასახევი გზის გადაჭრა.

მაგრამ არც სპარსელებმა და არც მათმა მეგზურმა არ იცოდნენ, რომ აქ ბილიკის ჩასაკეტად, ლეონიდეს ბრძანებით, ადრიდანვე იდგა ფოკიდელთა ათასეული.

მუხის ფოთოლთა შარიშურმა და ფიჩხის მსხვრევამ ფეხზე დააყენა ფოკიდელთა ბანაკი. იარაღი გამართეს და მტერთან შესახვედრად გაემზადნენ.

ჰიდარნესი გაჭკვირდა და შეშინდა. მის წინ საომრად გამზადებულნი სპარსელებად მიიჩნია და უკან გაბრუნებას აპირებდა. მაგრამ კვლავ „ისახელა“ თავი ეფიალტემ. მან სპარსელთა სარდალი დაარწმუნა, რომ მის წინ სპარტელები არ იდგნენ.

სპარსელები ისრის „ცეცხლით“ გადავიდნენ იერიშზე. ფოკიდელები მაშინვე აირივნენ და გაიფანტნენ. გაქცეულებმა იტას მთას მიაშურეს თავშესაფარად.

სპარსელებმა დევნაზე ხელი აიღეს და დაღმართზე დაეშვნენ. მათ დროზე უნდა მოესწროთ თერმოპილეზე ზურგიდან თავდასხმა, სანამ ფრონტიდან შეტევაზე გადმოვიდოდა თვითონ ქსერქსე.

დამარცხებულ და დაფანტულ ფოკიდელთაგან რამდენიმე კაცმა ლეონიდეს ბანაკამდე მიაღწია მოულოდნელი და საშინელი ამბით:

სპარსელები ზურგიდანაც უვლიან ბერძნებს!

ლეონიდემ სასწრაფოდ შეჰყარა სტრატეგოსთა საბჭო.

სასწრაფოდ უნდა გადაეწყვიტათ, როგორ მოქცეულიყვნენ.

ბერძნებს ჯერ კიდევ აქვთ დრო თერმოპილედან უვნებლად გააღწიონ, სანამ სპარსელები მთიდან ეშვებიან და ხეობიდან გასასვლელის ჩაკეტვა ჯერაც არ მოუსწრიათ.

ვისაც დარჩენა არ სურს და არ შეუძლია, ახლავე დატოვოს ბანაკი და რა გზითაც უნდა, თავს უშველოს.

ასეთი იყო ლეონიდეს წინადადება.

ხოლო, რაც შეეხება სპარტელებს, ისინი იქვე დარჩებიან, საიდანაც აქამდე ფეხი არ მოუცვლიათ.

ამათ გარდა, უნდა დარჩენილიყვნენ, აგრეთვე, თებელი მეომრები, რომლებიც ლეონიდეს თითქმის მძევლებად ჰყავდა წამოყვანილი.

თებელთა სათავეში იდგა მათი სტრატეგოსი ლ ე ო ნ ტ ი ა დ ე.

თავისი ნებით სპარტელთა მხარდამხარ საომრად დარჩენა განაცხადეს მხოლოდ თესპიელებმა.

წინა ბრძოლებში ბერძნებმაც ხომ ნახეს ზარალი.

სამასი სპარტელიც ხომ უკვე აღარ იქნებოდა სამასი.

ასე, რომ ლეონიდეს ხელქვეით დარჩა დაახლოებით 1.200 ჰოპლიტი.

დანარჩენმა ბერძენმა მოკავშირეებმა თერმოპილეს ხეობა სასწრაფოდ დატოვეს და სამხრეთს მიაშურეს.

„ლეონიდე“ „ლომს“ ნიშნავს. პითიამ სპარტელებს უწინასწარმეტყველა, მტერი ან თვით სპარტას აიკლებს, ან მის ერთ-ერთ მეფეს შეიწირავსო. მერე ისიც დაუმატა პითიამ, „ლომის ძალა“ ვერ შეაკავებს მტრის ურიცხვ ძალებსო.

მაშ, ის მეფე, ვინც მტრის შემოსევას უნდა შესწირვოდა , „ლომი“ — ლეონიდე უნდა ყოფილიყო.

ლეონიდემ იცოდა დელფოს ორაკულის „ნაწინასწარმეტყველევი“. იგი მდუმარე ღიმილით ისმენდა, როცა მას მოაგონებდნენ ხოლმე პითიას ნათქვამს.

ახლა კი ძალით დატოვებულ თებელთაგან ვიღაცას წასცდა:

„ცოტანიღა დავრჩით“!

ლეონიდემ ერთი გაპხედა და სუსხიანად მოჭრა:

„რიცხვის მიხედვით ბარბაროსთა წინააღმდეგ მთელი საბერძნეთიც კი მეტისმეტად მცირეა, მაგრამ სიმძლავრის, სიმამაცისა და საომარი ხელოვნების მიხედვით სამასი სპარტელიც საკმარისია“.

სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა ბერძენთა ბანაკში.

სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ჟამმა დარეკა და მთავარსარდალს სიტყვა უნდა ეთქვა ჯარისთვის.

ლეონიდე ლაშქრის წინ აღიმართა, ბანაკს მზერა მოავლო. ყველა მას შესცქეროდა.

მეფე სპარტელებს დააშტერდა და ფოლადჩასხმული სიტყვით გამოაცხადა:

„ჩვენ ახლა აქ ვისაუზმებთ, ხოლო ჰადესში ვივახშმებთ!“

ესა სთქვა და მეტი არაფერი.

ასე მოკლე და მრავლისმთქმელი სიტყვით არასოდეს, არც ერთ სარდალს არ მიუმართავს თავის ლაშქრისთვის.

ჩვენ დღეს ვომობთ მხოლოდ ლამაზი, ვაჟკაცური სიკვდილისათვის; დილით აქ ვართ, მაგრამ საღამოს უკვე საიქიოში — ჰადესის საუფლოში ვიქნებით!

ისინი უნდა დახოცილიყვნენ, ხოლო თავისი სიკვდილით სამარადისოდ უკვდავ გმირებად ქცეულიყვნენ.

ბერძნებმა სასწრაფოდ ხელპირი დაიბანეს, თმაწვერი დაივარცხნეს, გამოეწყვნენ და დამშვენდნენ. იარაღი გაიმზადეს და სასაუზმე ტრაპეზს მიუსხდნენ...

ქსერქსე დილით ადრე ადგა, ამომავალ მზეს მსხვერპლი შესწირა, ლოცვა აღავლინა და საომარი სამზადისი ბრძანა. იგი ბერძენთა ზურგში გადასული ჰიდარნესისაგან ნიშანს უცდიდა, რომ თვითონაც მაშინვე მთელის ფრონტით გადასულიყო შეტევაზე.

ბრძოლის დაწყებას დიდხანს აღარ დაჰგვიანებია, რადგან თვითონ ლეონიდემ დასძრა იერიშზე თავისი ჯარი.

ბერძენთა შემართებით გაოცებულმა ქსერქსემაც კონტრიერიში ბრძანა.

პირველი დაჯახებისთანავე ხოცვა-ჟლეტა არაადამიანური სისასტიკით ადუღდა.

ბერძნები იბრძოდნენ უკიდურესი თავზეხელაღებულობით, სიკისკასითა და საომარი ხელოვნების სიმშვენიერით.

აქილევსური სიბობოქრით იბრძოდა თვითონ ლეონიდე.

მიუმცდარი ხელით მოქნეული და ნაძგერები მახვილებისაგან და შუბებისაგან ზედიზედ ეცემოდნენ სპარსელები. ახალ-ახალ საომარ ძალებს შოლტების ცემით მოერეკებოდნენ სპარსელი ოფიცრები.

საომარი ველი ბარბაროსთა გვამებით იხერგებოდა. ბევრი, ბერძენთა მოწოლისაგან მუხლმოსხლეტილნი, ზღვის სანაპირო ჭაობებში ცვივოდა და იძირებოდა.

სპარსელთა არმიებს ბოლო მაინც არ უჩანდა. თეთრცხენებიან ეტლზე ამხედრებული ქსერქსე კვლავ ახალ-ახალ ათასეულებს აბამდა შემზარავ ხოცვა-ჟლეტაში.

სისხლით ატალახებულ მიწაზე ფეხი სხლტებოდა.

იარაღის თავბრუდამხვევი ქნევისაგან მკლავი იქანცებოდა და დუნდებოდა.

საჭურვლის სიმძიმისაგან მუხლი იკვეთებოდა.

განუწყვეტელი კაცთკვლისაგან გული ძრწუნდებოდა.

ხშირი ძგერებისაგან შუბები იმსხვრეოდა.

ბერძნები შუბის ნალეწებითა და ნამუსრევებით უტევდნენ მოპირდაპირეს.

ხშირი ცემისაგან მახვილები ჩლუნგდებოდა.

ბერძნები ბლაგვი მახვილებით ცემას არ წყვეტდნენ.

ვინც შუბისა და ხმლის ნამუსრევიც დაჰკარგა, მტერს ფარის ცემით უღებდა ბოლოს.

ვისაც ფარიც არ შერჩენოდა, მტერს ხელდახელ ეპიდებოდა, ძირს სცემდა, მასთანვე ჩაჭდობილი ეცემოდა, შიშველი ხელებით ყელთ უჭერდა, ან კბილებით გლეჯდა.

სპარსელთა საარაკო გმირობით ფრთაშესხმულნი იბრძოდნენ თესპიელები.

გულარძნილად იქნევდნენ იარაღს თებელები.

მრავლად ეცემოდნენ სპარსელები, მაგრამ თხელდებოდა ბერძენთა რიგებიც.

სამასი სპარსელიც, დიდი ხანია, აღარ იყო სამასი.

და უცებ ჰომერულ საომარ გრუხუნ-გრიალში გაიზუზუნა შუბმა, რომელსაც აურაცხელ ისართა და შუბთა შორის ბედისწერისგან დაეწერა: „ლეონიდე“.

გმირის გულში შეიჭრა შუბი.

ლეონიდე მკვდარი დაეცა.

თითქოს სიკვდილ-სიცოცხლის სასწორი შექანდა ოლიმპიელი მპყრობელის ხელში.

მკვდარი იყო ეპოპეის მთავარი გმირი.

თითქოს წამით შედედდა ომის მდინარება.

მაგრამ მხოლოდ წამით, რათა უარესი გახელებით შებმოდნენ ურთიერთს მხეცად ქცეული ადამიანები.

სპარტელები და სპარსელები საარაკო თავზეხელაღებულობით ებრძოდნენ ერთურთს ლეონიდეს გვამისათვის, — ეს ისე, ვითარცა ოდესღაც აქეველები და ტროელები ერთიმეორეს ზედ აწყდებოდნენ ჯერ პატროკლეს, ხოლო შემდგომ აქილევსის ცხედრისათვის.

სპარტელებმა რკინისებური სალტე შეკრეს თავისი მეფის გარშემო.

სპარსელთა გააფთრებული იერიშები ზედ ემსხვრეოდა იმ სალტეს.

უკვე ზურგიდანაც გამოჩნდნენ სპარსელები.

ეს ჰიდარნესი მოდიოდა „უკვდავთა“ გვარდიის ნაწილებით.

ფოლადის მუშტად შეკრულმა ბერძნებმა ლეონიდეს ცხედარი ასწიეს და მახლობელ ბორცვს მიაშურეს.

სპარსელები ყოველის მხრიდან აწვებოდნენ.

კიდევ ოთხჯერ უკუაქციეს ბერძნებმა სპარსელები და ბორცვზე ავიდნენ.

უიარაღოდ დარჩენილი უკანასკნელი გმირები ნირშეუცვლელნი ელოდნენ სიკვდილს.

სპარსელები ყოველის მხრიდან მშვილდისარგამართულნი უახლოვდებოდნენ განწირულთ.

სპარტელებმა გვიან შენიშნეს, რომ მათ რიგებს ადრევე ჩამოშორებიან თებელები. ისინი ახლა იარაღს ჰყრიდნენ და სპარსელებს გასძახოდნენ: ჩვენ თებელები ვართ, ჩვენმა ქალაქმა ხომ ადრევე აახლა „მიწა და წყალი“ სპარსეთის ხელმწიფეს; სპარტელებმა ბრძოლაში ძალით წამოგვიყვანეს, ახლა გნებდებით და სიცოცხლე გვაჩუქეთო.

სპარსელებმა ჯერ ვერ გაარკვიეს, რას გაჰყვიროდნენ თებელები და ამიტომ მათი ნაწილი შორიდან ისრის სროლით დახოცეს, ხოლო, როცა შეიტყვეს, რაც სურდათ, ქსერქსემ მათთან გაგზავნა მდაღავნი, რომლებმაც ყველა გადარჩენილ თებელს, პირველ რიგში მათ ბელადს ლეონტიადეს, ცხელი შანთებით სამეფო მონობის აღმნიშვნელი დამღები ამოსწვეს.

დიადი ტრაგედიის უკანასკნელმა აკორდმა შეაზანზარა საბერძნეთი:

ყოველის მხრიდან წამოსულმა ისრის ღრუბლებმა „ცა დააბნელეს“. ისრის მერეხი იმ ბორცვს დააცხრა, სადაც უკანასკნელი გმირები გრილი ღიმილით პირდამშვენებულნი ელოდნენ სიკვდილს.

თერმოპილეს ბრძოლა დამთავრდა.

ომის ღმერთს შეეძლო მცირე ხნით ტკბილად ჩაეთვლიმა, უზომო სისხლით გალეშილს.

გმინავდა თერმოპილე მტერ-მოყვარის გვამთა გროვებით დახერგილი და დამძიმებული.

იწვა 10.000 სპარსელი, მათ შორის ქსერქსეს ორი ძმა.

1.000 ბერძენიც ესვენა საომარ ველზე, — მათ შორის სამასი სპარტელი.

სამასი წმიდა, ღვთაებრივი გმირი.

მათ შორის აქილევსის სწორი ლეონიდე...

ქსერქსე ერთ ხანს გაშტერებით დასცქეროდა მის წინ გაწვართულ ვაჟკაცს — სპარტელ ხელმწიფეს. მერე ავზნიანად დაიქნია ხელი.

ფოლადმა დაიჩახუნა.

ლეონიდეს თავი ტანს მოშორდა. ვიღაცამ თმაში ხელი ჩასჭიდა, გაიქნია და ზღვაში ისროლა.

ხოლო ტანი, ლეონიდეს უთავო ტანი, ქსერქსეს ბრძანებით ჯვარზე გალურსმეს...

სპარსელთა არმიები ნიაღვარივით მიედინებოდნენ შუა საბერძნეთში.

უკან დარჩა თერმოპილე.

ვითარცა ავი დემონის ხელით ჩახსნილ-ჩაშლილი საკინძე საბერ-ძნეთის მღელვარე მკერდზე.

მერე როცა სპარსელთა მხედრობის ნაკვალევნი მტვრად იქცა, სპარტელებმა მოაკითხეს თავის დიდებულ თანამემამულეთა ნეშ-თებს.

იმ ბორცვზე, სადაც უკანასკნელი სპარტელი გმირები დაეცნენ, ლეონიდეს სამახსოვრო აკლდამა გამართეს და ზედ ლომის ქანდა-კი დადგეს. ეპიტაფიად ზედ ეწერა სიმონიდეს ლექსი:

„ნადირთა შორის მე ვარ შემლავრესი,
სოლო კაცთ შორის შემლავრესია,
ვისაც მე თვითონ აძა ვდარაჯობ“.

მახლობლად, ერთ საერთო საძმო საფლავში ჩაასვენეს გმირთა ნეშთები. საძმო ქვაზედაც სიმონიდეს ლექსი იყო ეპიტაფიად:

„მგზავრო, როს მოხვალ ლაკედემონს, აუწყე ყველას,
რომ ჩვენ, ერთგულნი ფიცის და ვალის, აქ განვისვენეთ“.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

თერმოპილეს შემდგომ

„... წინ, პელადის შეილნო!
იხსენით სამშობლო,
ცოლნი და შეილნი,
ღმერთთა ტაძარნი,
მამათა საფლავნი!
ახლა ომია ყველაფრისათვის!“

ე ს ქ ი ლ ე.

სპარსელები ჰელადის გულში

მაშ, სპარსელებმა თერმოპილე გაიარეს და შუა საბერძნეთში შეიჭრნენ.

ლოკრიდა უბრძოლველად ჩაბარდა ქსერქსეს. ბეოტიამ და დორიდამ ხომ ადრევე მისცა „მიწა და წყალი“ სპარსელ მბრძანებლებს.

სპარსელებმა სასტიკად ააოხრეს და აიკლეს ფოკიდის სოფლები და ქალაქები. მოსახლეობა, ვინც სიკვდილსა და მონობას გადაურჩა, დაიფანტა და დაიხიზნა. ხანძარმა ჩანთქა დიდებული კულტურის ძეგლები.

მერე ქსერქსე გაეშურა დელფოსაკენ აპოლონის ტაძრის გასაძარცვავად. დელფოელებმა, როგორც კი მძარცველთა ლაშქარი დალანდეს, ტაძრის უმდიდრესი საგანძურები პარნასის მღვიმეებში გადამალეს და თვითონაც მთებში გადაიხიზნენ. ტაძარში მხოლოდ 60 კაცი დარჩა, მათ შორის ა კ ე რ ა ტ ი, პითიას „წინასწარმეტყველებათა“ ჩამწერელი.

როგორც კი სპარსელები ტაძრისკენ მიმავალ ვიწრო და დამრეც გზებს შეუდგნენ, დელფოელებმა კლდე-ღრეებზე ქვა-ლოდთა გორება დაიწყეს. ამას ზედ დაერთო საშინელი ჭექა-ქუხილი და კოკისპირული თქეში. სპარსელები თავგზააბნეულნი და თავზარდაცე-

მულნი დაქანდნენ უკან. აპოლონის ტაძარი გადარჩა. ამფიქტიონები* ასეთ „სასწაულს“ ბარბაროსებზე აპოლონისა და ზევსის გარისხებას მიაწერდნენ.

სპარსელებმა გადაწვეს თესპია და პლატეა, რაკი აქაურები ჭეშმარიტი მამულიშვილური თავგანწირვით ებრძოდნენ აზიელ დამპყრობლებს.

შემდეგ სპარსელები შეიჭრნენ ატიკაში. ქსერქსე გაოცებული იყო, რომ ათენისაკენ მიმავალ გზაზე არავითარი წინააღმდეგობა არა ხვდებოდა. მან არ იცოდა, რომ თემისტოკლეს წინადადებითა და ხელმძღვანელობით ათენში დარჩენილი მოსახლეობა (ბრძოლისუნარიანი მოქალაქენი ხომ გემებზე იდგნენ მეომარ ეკიპაჟებად), ქალები, მოხუცნი და ბავშვები, სასწრაფოდ იქნენ ევაკუირებულნი. მათი უმრავლესობა გადასახლდა კუნძულ ს ა ლ ა მ ი ნ ზ ე, დანარჩენები — ე გ ი ნ ა ზ ე. ათენის აკროპოლისში დარჩა მხოლოდ რამდენიმე მოხუცი, რომელთაც გადაჭრით განაცხადეს უარი ქალაქიდან გასვლაზე.

სპარსელები ხმლის მოუქნევლად შევიდნენ დაცარიელებულ და დადუმებულ ათენში. მხოლოდ აკროპოლისთან გაუწიეს წინააღმდეგობა იქ ჩაკეტილმა მოხუცმა ათენელებმა. ისინი უთანასწორო ბრძოლაში მტერს უსაზმნოდ შეაწყდნენ. სპარსელები აკროპოლისზე შეიჭრნენ, პართენონის ტაძარი გაძარცვეს, ააოხრეს და ცეცხლს მისცეს.

ხანძარი მთელს ქალაქს მოედო.

კუნძულებზე გაფანტული ათენელები ხედავდნენ, როგორ იწვოდა მათი სამშობლო.

ქსერქსემ სუზაში შიკრიკი აფრინა, — ბერძენთა უპირველესი ქალაქის აღების ამბავს ატყობინებდა. სპარსეთის სატახტო აღტაცებულ ზეიმს მიეცა. ქუჩები მურტის რტოებით მოჰფინეს, საკურთხეკლებზე თიმიამი ააბრჩოლეს და ნადიმ-ღრეობანი გააჩაღეს.

ს ა ლ ა მ ი ნ ი

კორინთოს ყელზე პელოპონესელები დიდ ციხესიმაგრეებს აგებდნენ და სახმელეთო ჯარებსაც აქვე უყრიდნენ თავს. მაგრამ მალე ისინი შიხვდნენ, რომ მათ ამნაირ შრომას არავითარი შედეგი არ უნდა მოჰყოლოდა. სპარსელებს საკვებით იოლად შეეძლოთ კორინთოს ყელისათვის აევლოთ და პელოპონესის სანაპიროებს ზღვიდან შესეოდნენ. დემარატი ასედაც ურჩევდა ქსერქსეს: ნუღარ აყოვნებ,

ფლოტიდან 200 გემი გამოჰყავი და სასწრაფოდ ლაკონიაზე საიერიშოდ გაგზავნეო. სპარტის იღბალი: ქსერქსემ ეს რჩევა არ მიიღო ფლოტის ადმირალის, აქემენის, შთაგონებით.

მაშ, შემდგომი საომარი ჰიდილის ბედი ზღვაზე უნდა გადაწყვეტილიყო.

ბერძენთა ფლოტი, დაახლოებით 360 გემი, ამ დროს სალამანის ვიწრო სრუტეში იდგა. ხოლო სპარსელთა 800 გემიანი ფლოტი ჯერ კიდევ არ გამოსცდენოდა ევბეის სანაპიროებს.

როცა სპარსელებმა შუა საბერძნეთი ააოხრეს და ათენი ცეცხლს მისცეს, ბერძენთა ფლოტის სარდლობაში არეულობა შეიქნა. საგანგებოდ შეყრილ სამხედრო საბჭოზე სტრატეგოსთა უმრავლესობა სალამინის სრუტიდან გასვლასა და ი ს თ მ ო ს ი ს ა კ ე ნ (კორინთოს ყელი) დახევას მოითხოვდა. მათ შორის ყველაზე აქტიური იყო კორინთელი სტრატეგოსი ადამანტოსი, რომელიც გაცხარებით ებრძოდა სრუტიდან გასვლის მთავარ მოწინააღმდეგეს, თემისტოკლე ათენელს.

კამათი დაწყებული არც კი იყო, რომ თემისტოკლე წამოვარდა და რიგის მოუცდელად დაიწყო სიტყვა. ადამანტოსი მას პირში ეცა და შესძახა:

„ვინც შეჯიბრებას დათქმულ დროზე ადრე დაიწყებს, იმას სცემენ“.

„ხოლო, ვინც აგვიანებს, ვერც ის მიიღებს გამარჯვებულის გვირგვინს“, მშვიდად უპასუხა თემისტოკლემ და სიტყვა განაგრძო.

ათენელმა სტრატეგოსმა თვალნათლივ დაამტკიცა, რომ საბერძნეთის ყოფნა-არყოფნა მხოლოდ სალამინის სრუტეში უნდა გადაწყდეს. ბერძნებმა სპარსელები როგორმე სწორედ აქ უნდა ჩაითრიონ გადამწყვეტ ბრძოლაში. აქ, სალამინის ვიწრო სრუტეში ბარბაროსები ვერ გაშლიან თავის უზარმაზარ ფლოტს და ვერ გამოიყენებენ რიცხობრივ უპირატესობას. ხოლო თუ სრუტიდან გავლენ, გაშლილ ზღვაში ბერძნებს გარს შემოერტყმიან და გაანადგურებენ.

მთავარსარდალი ევრიბიადეც თემისტოკლეს წინააღმდეგ გამოვიდა. კამათის დროს ფიცხმა თემისტოკლემ შეძლო წონასწორობა არ დაეკარგა, მაგრამ დინჯი სპარტელი ისე გაცხარდა, რომ ჯოხი აღმართა თემისტოკლეზე დასარტყმელად.

„დამარტყი, მაგრამ მომისმინე!“ მშვიდად სთქვა ათენელმა.

ევრიბიადემ უმწეოდ დაუშვა ხელი.

„სწორედ აქ, მხოლოდ აქ, სალამინის სრუტეში უნდა ვიხსნათ ჩვენი სამშობლო!“ დაასრულა თემისტოკლემ.

„შე უბედურო, სადღა არის შენი სამშობლო?“ უცებ შესძახა ადამანტოსმა.

ეს სწორედ მეტისმეტი იყო: კორინთელი აღტაცებას ვერ მალავდა, რომ ათენი, თემისტოკლეს სამშობლო, სპარსელებმა ააოხრეს.

„ათენელებს კიდევ დარჩათ სამშობლო, რომელიც კორონთოზე ძლიერია. ათენელთა ეს სამშობლო აი, ამ გემებზე დგას!“ მრისხანედ იქუხა თემისტოკლემ.

ამით იგი მიანიშნებდა იმ ორას გემზე, რომლებიც ათენელების ეკიპაჟით იყო დატვირთული და რომელთა შეჭიდება არც ერთ ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოს არ შეეძლო.

ბოლოს თემისტოკლე მიუბრუნდა მთავარსარდალ ევრიბიადეს და შეურყეველი ტონით უთხრა:

„თუ შენ ფლოტს გაიყვან სრუტიდან და ისთომისისაკენ გაეშურები, შენ ამით დაპლუპავ საბერძნეთსაც და შენსავე პატივსაც. ჩვენ კი, ათენელები, ჩვენსავე გემებზე ავიყვანთ ჩვენს ცოლ-შვილს და ასე დედაბუდიანად გავეშურებით სიცილიაში. სადაც დავაარსებთ ახალ ქალაქს და დავიწყებთ ახალ ცხოვრებას, ხოლო თქვენ გვიანღა ფუჭად გაგახსენდებათ თქვენი სიბრიყვე“.

თემისტოკლეს სიტყვამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ბერძნებს ათენელთა გადაკარგვა ნაკლებად აწუხებდათ; მათ მხოლოდ იმისი ეშინოდათ, თუ 200 ათენური ხომალდი მოაკლდებოდათ, მაშინ მათ სპარსელთაგან უეჭველი განადგურება ელოდათ.

მეგარელები და ეგინელები თავიდანვე თემისტოკლეს უჭერდნენ მხარს. ხოლო ახლა, ათენელი სტრატეგოსის ძლიერი სიტყვის შემდგომ, სარდალთა საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა სრუტეში დარჩენა.

სტრატეგოსები ამ ერთმხრივი შეთანხმების აღსანიშნავად კუნძულზე გადავიდნენ და ღმერთებს მსხვერპლი შესწირეს. თან ეგინიდან გადმოასვენეს ქანდაკებანი სალამინის მკვიდრი ხელმწიფეების და საბერძნეთის თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირების — ტელამონისა და აიაქსისა*.

მაგრამ, როცა სპარსელთა უზარმაზარი ფლოტი ევბეის სანაპიროებს გამოსცდა და სრუტეს სამხრეთიდან შემოეფინა, პელოპონესელმა სტრატეგოსებმა ისევ კატეგორიულად მოითხოვეს ისთომისისაკენ უკანდახევა.

მესამედ შეიყარა სამხედრო საბჭო.

საშინელი ბრძოლა ატყდა სტრატეგოსთა შორის. პელოპონესელები სრუტიდან გასვლას არ იშლიდნენ, ათენელები, მეგარელები და ეგინელები კვლავ დარჩენაზე იდგნენ.

თემისტოკლე მიხვდა, რომ სიტყვისა და ლოგიკის ძალით ახლა

ველარას გახდებოდა, ამიტომ საერთო ორომტრიალიდან შეუმჩნევლად გამოვიდა, სასწრაფოდ იხმო ერთგული მსახური სიკინე, თავისი შვილების მამამძუძე, და ღამით, ყველასაგან შეუმჩნევლად, გაგზავნა... სპარსელთა ბანაკში! დიახ, სწორედ სპარსელთა ბანაკში. პირადად ქსერქსესთან!

თემისტოკლე უთვლიდა სპარსელთა ხელმწიფეს:

„ბერძნები ერთმანეთში ვერ შეთანხმებულან და სალამინის სრუტიდან გაქცევას აპირებენ. ამიტომ თუ ქსერქსეს სურს უეჭველი გამარჯვება, დაე დაუყოვნებლივ შეუკრას გზები გასაქცევად გამზადებულ ბერძნებს. თუ მეფე ასე მოიქცევა, მას არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვდება: ბერძნები, რომელთაც უკვე სპარსეთის მორჩილება სურთ და ბერძნები, რომელთაც გაქცევა სურთ, ერთმანეთს დაერევიან. თემისტოკლე ასეთ რჩევას იმიტომ იძლევა, რომ მას უკვე სპარსელების გამარჯვება სურს“.

ქსერქსეს ფლოტის სარდლებთან თათბირი ჰქონდა, როცა მასთან სიკინე გამოცხადდა. თემისტოკლეს რჩევა მეფეს ურყევად ეჭეშმარიტა და სალამინის სრუტეზე თავდასხმა უყოყმანოდ გადაწყვიტა. მან არ დაუჯერა მის ბანაკში მყოფ ჰალიკარნასის დედოფალს არტემისიას და სასწრაფოდ საომარი სამზადისი ბრძანა.

სალამინის სრუტეში ბერძენთა ფლოტის ჩაკეტვა ღამით უნდა დამთავრებულიყო და დილით ორივე მხრიდან შეტევა დაწყებულიყო. მეფემ ფინიკიელთა ფლოტი გაგზავნა სრუტის დასავლეთით ჩასაკეტად, რათა აქედან ბერძნები არ გაქცეულიყვნენ ისთმოსისაკენ. რჩეულ სპარსელ მეომართა ჯარი გაიგზავნა კუნძულ ფსიტალეიაზე, რომელიც სამხრეთიდან ჰკეტავდა სრუტეს. ფლოტის უდიდესი ნაწილი (ეგვიპტური, იონიური, კარიული და კილიკიური გემები) შევიდა სრუტეში და სამ რიგად განლაგდა ატიკის გასწვრივ, სალამინის პირისპირ. მათ უკან, ატიკის ნაპირზე, განლაგდა სპარსელთა სახმელეთო არმია.

ბერძენი სტრატეგოსები ჯერ კიდევ ცხარედ კამათობდნენ, როცა თემისტოკლეს ეწვია ექსორიიდან დაბრუნებული არისტიდე.

არისტიდემ შეშფოთებით მიმართა თავის დიდ მეტოქეს:

„ნუთუ ვერ შეგიტყვიათ, თემისტოკლე, რა საშინელი ამბავი დაგტყდომიათ თავს?!“

„„რა ამბავია?“

„თქვენ გარშემორტყმული ხართ ბარბაროსთაგან!“

„საიდან იცი?“ მოუთმენლად შესძახა თემისტოკლემ.

„მე ეგინიდან მოვდიოდი და ჩემის თვალით ვნახე, როგორ შე-

მოვიდნენ მტრის გემები სრუტეში. ძლივს გამოვატანე და მაშინვე შენთან მოვაშურე“.

„ჩემო ძვირფასო მეგობარო!..“ აღტაცებით თავი ვეღარ შეიკავა თემისტოკლემ.

არისტიდემ გაოცება ძლივს დასძლია და „ძვირფას მეგობარს“ მშვიდად და მტკიცედ უთხრა:

„მე და შენ დიდხანს ვებრძოდით ერთმანეთს. ახლა ერთმანეთს ვემეტოქეოთ ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისათვის“.

„დაე, ასე იყოს! მადლობელი ვარ სასიხარულო ამბისათვის!“

„სასიხარულო?!“

„ჰო, ეს მე თვითონ...“

და თემისტოკლემ არისტიდეს უამბო, როგორც მოხდა პელოპონესელ სტრატეგოსთა „გაცურება“ და სპარსელთა „მოწვევა“ სალამინის სრუტეში.

მერე თემისტოკლემ არისტიდე შეიყვანა ჯერ კიდევ მოკამათე სტრატეგოსთა საკრებულოზე.

პელოპონესელებს არ უნდოდათ დაეჯერებინათ ეს მოულოდნელი ამბავი. მაგრამ სწორედ მაშინ გამოჩნდა კიდევ ახალი მოწმე: სპარსელებს გამოექცა და ბერძენთა ფლოტს შემოუერთდა ერთი ტენოსური ხომალდი, რომლის მეთაურმაც დაადასტურა ამბავი სპარსელთა ღამეული შემოსევისა.

ახლა ბერძნებს, — ყველას, ვისაც სურდა და არ სურდა, — ბრძოლა უნდა მიეღო იქ, სადაც დაეინებით მოითხოვდა თემისტოკლე: სალამინის სრუტეში.

გათენდა 480 წლის 28 სექტემბერი. ერთიმეორის პირისპირ დგანან: ბერძნული ფლოტი 360 გემითა და 70.000 მეომარ-მეზღვაურით და სპარსელთა ფლოტი 800 გემითა და 150.000 მეომარ-მეზღვაურით.

ბერძენთა მარჯვენა ფლანგზე ევრიბიადეს მეთაურობით დგანან პელოპონესელები, კორინთელები, მეგარელები და ეგინელები: მარცხენა ფლანგზე განლაგდა ათენელთა 200 გემი თემისტოკლეს მეთაურობით.

ბერძნებმა ცენტრში, მოწინავე გემზე, ტელამონისა და აიაქსის ქანდაკებანი აღმართეს.

თემისტოკლემ მგზნებარე სიტყვით მიმართა ფლოტს:

„წინ, ჰელადის შვილნო, იხსენით სამშობლო!“ იგრიალეს ბერძნებმა.

ბერძენთა ფლოტი პეანების — სამხედრო სიმღერების გუგუნით დაიძრა მტრისკენ.

მაშინვე გამაყრუებელი ყიჟინითა და ღრიალით გაქანდა სპარსული ფლოტი.

ბერძნები მტრის ურიცხვი ძალების სწრაფი შემოტევით შემდრკალნი, მეთაურთა ბრძანების გარეშე, თითქმის ინსტინქტურად, უკუიქცნენ.

დიდად ივაჟკაცა ა მ ი ნ ი ო ს ა თ ე ნ ე ლ მ ა, სახელოვანი ესქილეს ძმამ. მან თავისი სპილენძისნიღრიანი ტრიერა გააქანა, წინ გამოკრილ ფინიკიურ ხომალდს გვერდიდან აძგერა, შეანგრია და დასძირა. თემისტოკლემ მძაფრ შეტევაზე გადაიყვანა ათენელები. გამხნევდნენ პელოპონესელებიც და მედგრად შეუტიეს მტრის მარცხენა ფლანგს.

ბრძოლა მთელ ფრონტზე გაჩაღდა.

თემისტოკლემ სავსებით დაამარცხა და გაჰფანტა ფინიკიელები და გამარჯვებულმა ფლანგიდან იერიში მიიტანა მტრის ცენტრზე, სადაც იბრძოდნენ კვიპროსელები და კილიკიელები. ეს უკანასკნელნი ერთხანს მხნედ უმკლავდებოდნენ ათენელთა შემოტევას, მაგრამ როცა ბრძოლაში დაეცა მამაცი კილიკიელი მეფე ს ი ე ნ ზ ე ნ ი, ისინიც დამარცხდნენ და რამდენიმე გემის დაკარგვის შემდეგ სულ დაიფანტნენ.

ამას მოჰყვა საშინელი არეულობა და ურთიერთ დაჯახება სპარსულ გემებს შორის. უკან, თადარიგში მდგარი ხომალდები ფრონტისკენ მიიწევდნენ, მაგრამ მათ საპირისპიროდ შებრუნებული, გაქცეული და გზააბნეული ხომალდები ეჯახებოდნენ და ერთმანეთზე გადადიოდნენ. მესაჭეები საჭეებს ვეღარ ერეოდნენ. ურთიერთჯახი და ურთიერთ-მსხვრევა დაუძლეველი ხდებოდა.

ბერძნები ათკეცი მხნეობით უტევდნენ მტერს.

სპარსული ფლოტი ნადგურდებოდა.

ათენელთაგან დამარცხებული ფინიკიელი სარდლები ქსერქსესთან მივიდნენ და თავის მართლება დაიწყეს: ჩვენ ბრძოლა იმიტომ წავაგეთ, რომ იონიელები ლაჩრულად იბრძვიანო. ეს მაშინ, როცა ქსერქსე ხედავდა, რომ ერთადერთნი სწორედ იონიელები იყვნენ, რომლებიც ჯერჯერობით მედგრად ებრძოდნენ თანამოძმეებს. ამიტომ მეფემ ბრძანა და ფინიკიელ სარდლებს იქვე თავები დააყრევინეს.

ამასობაში თემისტოკლემ დამარცხებული შუაკერძიდან მტრის მარცხენა ფლანგისაკენ დასძრა ათენელები.

აქ მას მედგრად დაუხვდნენ იონიელები და კარიელები.

თემისტოკლემ თავისი ხომალდი გააქანა მეწინავე გემისაკენ, რომელზეც იდგა ამ ფლანგის მეთაური, ქსერქსეს ძმა ა რ ი ა ბ ი გ–

ნ ე. თემისტოკლეს ხომალდს ისრებისა და სათხედების სეტყვა შეაგებეს. ისევ ამინიოსმა დროზე დააჯახა სპილენძის ნიღრით თავისი ტრიერა არიაბიგნეს გემს. დააჯახა და შეანგრია. სპარსელის გემმა დაძირვა იწყო. არიაბიგნემ თავისიანებს შეუძახა და შუბგაწვართული გადაეშვა ამინიოსის ხომალდისაკენ. ათენელებმა შუბები შეაგებეს და ყველანი განგმირეს. ხომალდის ნამსხვრევებთან ერთად მოტივტივე არიაბიგნეს ცხედარი ჰალიკარნასის დედოფალმა ა რ ტ ე მ ი ს ი ა მ აიტაცა და ქსერქსეს სამძიმართან ერთად გაუგზავნა. არტემისიას სიმამაცით გაოცებულმა ქსერქსემ იყვირა:

„დღეს მამაკაცები დედაკაცებად იქცნენ, ხოლო დედაკაცები მამაკაცებად!“

სანამ ეს ამბები ხდებოდა, არისტიდე ჰოპლიტთა რაზმით კუნძულ ფსიტალიაზე შეეკრილიყო და სულ გაეწყვიტა იქ მდგარი სპარსელები.

სალამინის ბრძოლა დამთავრდა. ქსერქსეს 200 გემი და 50 000 მეზღვაური დაქანდა ზღვის ფსკერისაკენ. ბერძნებმა 40 ხომალდი დაჰკარგეს.

სალამინის შემდგომ

„რაოდენი კუეთებანი თავს ისხნეს ელენთა — ოდეს იგი იძღუანებოდეს თემისტოკლეოს მიერ უცთომელისა სპასპეტისაგან სოფლისა მქონებელსა მძლესა ქსერქსის ზედა, რომელ მან ზღუაცა მტკიცე ყო უომრად სპაებთათვის, ხოლო ათინელთა ერთისა ოდენ ქალაქისაგან უკუნრღუეულ იქმნა“.

გიორგი მესამე,
მეფეთა მეფე საქართველოსი.

დამარცხებული სპარსეთის მეფე საბერძნეთიდან გარბოდა.

თემისტოკლემ სთქვა: ახლა მე აზია ევროპაში უნდა დავიჭიროო. არისტიდემ კი დაარწმუნა: პირიქით, უნდა ეცადო, როგორმე აზია ევროპიდან სწრაფად გაიქცესო, თორემ ჩვენთვის ძალიან სახიფათო იქნება, თუ აზიას ევროპაში ჩაკეტვით თავგანწირულებამდე მივიყვანთო.

თემისტოკლემაც აღარ დააყოვნა და კვლავ აფრინა თავისი მსახური ქსერქსესთან: მეფეო, ბერძნები შენს შეპყრობას აპირებენ და სანამ მე მათ დავაბრკოლებ, თავს უშველეო.

ქსერქსემ საბერძნეთში 100.000-ანი სახმელეთო არმია დატოვა მარდონიოსის მეთაურობით. ხოლო თვითონ გადარჩენილი ხომალდებით ჰელესპონტისაკენ გაიქცა.

ჰელესპონტი საშინელი ქარტეხილით შეხვდა აზიის მბრძანებელს. სამეფო გემს ყოველ წუთში დაღუპვა ელოდა. მესაჭეს საჭე გადაემსხვრა აბობოქრებულ ზღვასთან ბრძოლაში. მაინც ივაჟკაცა მესაჭემ: გატეხილი საჭით მიაყენა გემი აზიის სანაპიროს.

ქსერქსე გადავიდა და ფეხით მოსინჯა სიმკვრივე დედამიწისა. როცა დარწმუნდა, რომ ცხადად მიწაზე ედგა ფეხი, მესაჭე იხმო, ჯერ ოქრო-ვერცხლში ყელამდე ჩასვა, მერე ჯვარზე გალურსმა.

„დავაჯილდოვე, როგორც ნამდვილი გმირი, ხოლო სიკვდილით დავსაჯე, როგორც გაუფრთხილებელი მესაჭე!“ — დაასკვნა მეფემ.

იმ დღეს სალამინის სრუტეშიც ბობოქრობდა ზღვა.

ტალღებმა დახოცილ სპარსელთა გვამები ატიკის სანაპიროებზე გამოჰყარა. თითქმის ყველა მკვდარს ოქროს სამაჯური და ძვირფასთვლებიანი ყელსაბამი ჰქონდა.

თემისტოკლე მეგობრების თანხლებით ზღვისპირს მიჰყვებოდა. დახოცილებს ხმამაღლა ითვლიდნენ, ძვირფას ნივთებს კი — უხმოდ, თავისთვის ხარბი დუმილით.

თემისტოკლე მის ფეხდაფეხ მომავალ მეგობარს სიხარბით აბოროტებულ თვალებში ჩააცქერდა, მერე გვამებზე აკიაფებულ ოქროზე ანიშნა და უთხრა:

„მიდი, აიღე, შენც ხომ თემისტოკლე არა ხარ“.

ცოცხლები მკვდრებს გახელებით მიცვივდნენ.

თემისტოკლემ ნაღვლიანად გაიცინა და გზა განაგრძო.

იგი თავისი დიდების მწვერვალზე იდგა. პატივმოყვარეობა თითქოს უნდა დასცხრომოდა. მას ხომ უპირველეს ჰელინს უწოდებდნენ; ჰელადის მხსნელად თვლიდნენ. როცა ისთმოსზე სალამინის ბრძოლის მოთავე სტრატეგოსები შეიკრიბნენ და ყველაზე მამაცის დასასახელებლად კენჭი ჰყარეს, ყველა მათგანმა პირველ ადგილზე თავისი თავი დაასახელა, ხოლო მეორე ადგილზე თემისტოკლე. ეს კი სწორედ ათენელი სტრატეგოსის უტყუარი პირველობის აღიარებაზე მეტყველებდა.

თემისტოკლე უცხოელთაგან ერთადერთი იყო, რომელიც სპარტაში მიიწვიეს და მანამდე გაუგონარი პატივი მიაგეს: თავზე ზეთისხილის გვირგვინი დაადგეს, საუკეთესო ეტლი უძღვნეს და კორინთომდე ამალად სამასი ახალგაზრდა სპარტელი ააცილეს ფლეიტებისა და საომარი ემბატერიების გრიალით.

როცა თემისტოკლე ოლიმპიადაზე შევიდა, ხალხი ფეხზე წამოიშალა და აღტაცებული შეძახილებით მიესალმა მას.

„აი ის, ჰელადის მხსნელი!“ ისმოდა განუწყვეტლივ. ყველა მას შესცქეროდა: ოლიმპიადური სანახაობანი ყველას დაავიწყა ჭეშმარიტი ოლიმპიელის ხილვამ.

თემისტოკლე არ ცხრებოდა. იგი შეუდგა ათენის გარშემო ძლიერი თავდაცვითი ზღუდეების მშენებლობას. სალამინის პირდაპირ მდებარე პირეესი მთელს საბერძნეთში უპირველეს ნავსადგურად გადააქცია, ხელახლა აღაშენა, განამტკიცა და გაამშვენიერა. ათენი და პირეესი ერთიან საზღვაო-სახმელეთო სტრატეგიულ ანსამბლად იქცნენ.

დიდების მწვერვალზე მდგარი გმირი თავს მაინც უბედურად გრძნობდა. ხშირად ნაღვლიანი სიცილით იტყოდა კიდეც:

„ჩემზე ტყუილად ამბობენ, თითქოს პირველი ვიყო მთელს ჰელადაში. სინამდვილეში ყველაზე დიდი ადამიანი არის ჩემი უქნარა ვაჟი, რომელიც ყოველთვის ახერხებს იმის გაკეთებას, რაც მას მოეპრიანება. ამას იგი აღწევს დედამისის საშუალებით ჩემზე ზემოქმედებით. ასე რომ: ჰელადაზე ბატონობენ ათენელები, ათენელებზე — თემისტოკლე, თემისტოკლეზე — მისი ცოლი, ხოლო ცოლზე — მათი ვაჟი“.

კაპრიზი ცოლი და უქნარა შვილი კიდევ არ იყო ყველა უბედურების მიზეზი. თემისტოკლე გრძნობდა, რა სწრაფად უახლოვდებოდა მას ყოველ დიდ დამსახურებათა დიდი მტერი — უმადურობა. მისი მხედრული გვირგვინები ხუნდებოდნენ და უფერულდებოდნენ. მისი მოწინააღმდეგენი ათასნაირ ცილისწამებას თხზავდნენ და ქვებუდან ხლართებს ხვანჯავდნენ, ალალ მამულიშვილობას არმად უთვლიდნენ და მადლად ნაქმნარს მატლად უქცევდნენ.

გულაკვნესებულ გმირს ხშირად ახსენდებოდა მამის ნათქვამი: ომის შემდგომ ხალხი თავის ბელადს ისე ექცევა, ვითარცა დამპალ ხომალდებსო. ახლა თვითონაც ამბობდა:

„ათენელები მე ისე მექცევიან, ვითარცა ჭადარს: ქარიშხალია — თავს მაფარებენ, კარგი დარია — ტოტებს მამსხვრევენ“.

მაგრამ მარტო ტოტები როდი იკმარეს. ყველაზე დიდნაყოფიერ ხეს ფესვებიანად ამოგდებაც დაუპირეს. თემისტოკლე სამართალში მისცეს. მას ბრალს სდებდენენ განუზომელ პატივმოყვარეობაში, ბრალს სდებდნენ ანგარებაში, ბრალს სდებდნენ იმაშიც, რომ მან ათენელებს „ხელიდან მახვილი გამოჰგლიჯა და სამაგიეროდ ხის ნიჩაბი შეაჩეჩა“ (მაშ, ეს უდიდესი მამულიშვილური საქმეც — ფლოტის აგება და ათენის უპირველეს საზღვაო სახელმწიფოდ გადაქცევა — დანაშაულად ჩაუთვალეს!).

ათენელებმა თემისტოკლეს ოსტრაკისმო მოუწყვეს და სამშობლოდან გააძევეს.

ლტოლვილი ჯერ არგოსს აფარებდა თავს, მერე ეპირს, შემდგომ მოლოსების მეფეს. ბოლოს, რაკი საბერძნეთის მხსნელისათვის საბერძნეთში ადგილი აღარ მოიძებნა, ის წავიდა... წავიდა სპარსეთში.

აი, ახლა თემისტოკლე არტაქსერქსეს წინაშე იდგა (მაშინ სპარსეთში ახალი მეფე იჯდა — არტაქსერქსე).

რამდენჯერ უნატრია სპარსეთის ავგუსტა მეფეს თემისტოკლეს სისხლის დალევა! ახლა იგი წინ უდგას მისი სისხლითაც, ხორცითაც და... თავითაც. დიახ, თემისტოკლეს გასაოცრად ნიჭიერი თავი.

არტაქსერქსემ უნდა გადაწყვიტოს, როგორ მოექცეს თემისტოკლეს დიდებულ თავს: გაახმოს, თუ გამოიყენოს?

და იმ დღეს არტაქსერქსე ძალიან ჭკვიანი ყოფილა. მას შეუცვნია თემისტოკლეს ფასი. იგი მიხვდა, რა ბასრი იარაღი გადმოუგდო მისმა მოსისხლე საბერძნეთმა, — თვითონ წელიდან აიხსნა და მას, არტაქსერქსეს საბერძნეთის ყველაზე დიდ მტერს, თავის ხელითვე გადმოუგდო!..

მალე თემისტოკლე ატრაქსერქსეს უახლოესი მრჩეველი და მეგობარი შეიქნა. მეფემ მას სამმართველოდ გადასცა რამდენიმე მცირეაზიული ქალაქი, მათ შორის ყველაზე დიდი — მაგნეზია.

თემისტოკლემ ქალაქი მაგნეზია არნახულად აღამაღლა, აღაშენა და გაამშვენიერა.

წლები მიდიოდა. თემისტოკლე დიდ პატივში ცხოვრობდა. მაინც უნებურად უკვნესოდა გული სამშობლოდაკარგულ კაცს.

ნუთუ, საბოლოოდ გასწირეს იგი ათენელებმა?!

ნუთუ, მართლა აღარ არის იგი საჭირო ათენისათვის, სულ აღარ არის საჭირო?!

ნუთუ, არასოდეს აღარ მოაკითხავენ?!

არა, მოაკითხეს, დასჭირდათ და მოაკითხეს.

თემისტოკლესთან ათენელი ელჩები მივიდნენ, სახელმწიფოს სახელით ბოდიში მოუხადეს და სამშობლოში დაბრუნება თხოვეს.

თემისტოკლე შეარყია ასეთმა წვეევამ.

მაშ, იგი ჯერ კიდევ საჭირო ყოფილა სამშობლოსათვის!

„მაშ, თქვენ ამბობთ, რომ მე ათენში უნდა დავბრუნდე!“

„ჰო, ჰო, უნდა დაბრუნდე, შენ იქ ისევ გელოდება უმაღლესი ხელისუფლება!“ ერთბაშად მიახალეს.

უმაღლესი ხელისუფლება!

რამდენი ღამე გაუტეხია თემისტოკლეს ამ საოცარი ქიმერისათვის!

და ახლა ისევ სთავაზობენ!

დიდხანს ფიქრობდა გმირი.

მაგრამ უმადურობა?

ბოღმამ შეკრა და შებოჭა მისი სხეული.

უმადურობა უნდა დაისაჯოს, უნდა დაისაჯოს!

იგი ელჩებს მიუბრუნდა და მკაცრად სთქვა:

„მე არაფერი მწამს იმ ხალხის, რომელიც ერთსა და იმავე ჭურჭელს ღვინის სასმელადაც იყენებს და შარდის ჩასაქცევადაც“.

ეს იყო და ეს.

პირზე ლაფშესხმული ათენელები უკან ხელცარიელნი გაბრუნდნენ.

მაშ, თემისტოკლემ საბოლოოდ თქვა უარი სამშობლოში დაბრუნებაზე და საბერძნეთიც უნდა ელოდეს შურისმგებლობას მისგანვე განდევნილი დიდი შვილისგან.

ეს დღეც დადგა. მოვიდა არტაქსერქსეს ბრძანება:

თემისტოკლემ უნდა უსარდლოს საგანგებოდ გამზადებულ დიდ ფლოტს და დაუყოვნებლივ დაიძრას საბერძნეთის წინააღმდეგ!

თემისტოკლემ სპარსეთის მეფის ბრძანება მშვიდად მოისმინა. მერე მეგობრები და ახლობლები იხმო სანადიმოდ. ძალიან მხიარული, ხალისიანი და ალერსიანი იყო. მშვენიერი, საამური სიტყვებით ესიტყვებოდა ყველას; ბოლოს ყველას ხელი ჩამოართვა, ზოგიერთს კიდეც გადაეხვია და მსხვერპლის საზორველად გავიდა.

საზორველი ხარი დაკლა. სისხლს დაეწაფა.

დიდხანს სვამდა. ფეხზე აღარ წამომდგარა.

მოკვდა.

სამშობლოდან გაძევებულმა სამშობლოს წინააღმდეგ იარაღის აღმართვას საკუთარი სიკვდილი ამჯობინა...

მაგრამ თემისტოკლეს აღსასრულამდე საბერძნეთში დიდი ამბები დატრიალდა.

სალამინის ბრძოლის მომდევნო 479 წელს ბერძნებმა ორჯერ კვლავ სასტიკად დაამარცხეს სპარსელები: ხმელეთზე — ქალაქ პლატეასთან და ზღვაზე — მიკალეს კონცხთან.

ამის შემდგომ კიდევ მოხდა რამდენიმე დიდი და მცირე ბრძოლა, რაიც ისევ და ისევ სპარსელთა ძლევით დაბოლოვდა.

449 წელს სპარსელებმა ზავი ითხოვეს. დაიდო კიდეც. ზავის მიხედვით სპარსეთმა თავი დამარცხებულად სცნო. მცირეაზიული იონიური საბერძნეთი ბარბაროსული უღლისაგან გათავისუფლდა. დიდი საზღვაო გზები და ბაზრები მთლიანად ჰელინურ-ბერძნულ სამყაროში მოექცა.

ჰელადა კლასიკური აყვავების მწვერვალზე იდგა.

გამოხდა ხანი.

საბერძნეთის სიმძლავრე შინაგანმა საზოგადოებრივმა და პოლიტიკურმა ტკივილებმა შეარყია. ორი ბერძნული ბანაკი შეება ერთურთს: დელოსის კავშირი და პელოპონესის კავშირი. პირველს ათენი უდგა სათავეში, მეორეს სპარტა. ეს იყო ე. წ. „პელოპონესის ომი", რომელიც 27 წელი (ძვ. წ. 431—404) გაგრძელდა.

უსასტიკესმა ძმათაშორისმა ხოცვა-ჟლეტამ ჰელინური სამყარო სიმძლავრისა და სიდიადის მწვერვალიდან დაღუპვის უფსკრულისაკენ დააქანა. ქვეყანა გაპარტახდა ეკონომიურად, დაძაბუნდა ფიზიკურად, მოიშალა სულიერად.

ასე დადგა მე-5-4 საუკუნეთა შესაყარში „პანელინური" (საყოველთაო ბერძნული) კრიზისი.

სწორედ ასეთ დროს უცდიდა სპარსეთი. იგი სარევანშო ნახტომისთვის ემზადებოდა. საბერძნეთის დღეები კატასტროფული სისწრაფით ითვლებოდა. ბერძენი პროგრესისტები თავს იმტვრევდნენ ქვეყნის დასახსნელ გზათა ძიებაში.

ასეთი გზაც მოინახა: საბერძნეთის გადარჩენა შეეძლო ახლადგამძლავრებულ მეზობელ მაკედონიასთან შეერთებას. ასე გაჩნდა „მაკედონური პარტია" ათენში. იგი მაკედონიასთან დაუყოვნებლივ გაერთიანებას მოითხოვდა.

იყო „ანტიმაკედონური პარტიაც", რომელსაც სათავეში ედგა ცეცხელგანთქმული ორატორი და პოლიტიკოსი დ ე მ ო ს თ ე ნ ე. დემოსთენე ამტკიცებდა, რომ მაკედონიასთან გაერთიანება კისრად შეხვლოდ მაკედონურ უღელს დაგვადგამსო.

მაგრამ დემოსთენესაც არ შეეძლო ისტორიის გიგანტური ჩარხის შებრუნება. სწორედ ისტორიის ლოგიკამ თავისი გაიტანა:

ქრისტეს დაბადებამდე 338 წელს საბერძნეთი მაკედონიას შეუერთდა.

ბერძენი ხალხი დედაბუდიანად ამოგდებასა და გადაშენებას გადარჩა.

თავი პირველი

კრწანისამდე

„აპა, ივერიის ნუგეშ-დიდება,
თვიხის დროისა გამშვენებელი,
მამაცთა შორის საკვირველება,
პატარა კახი, შეფე ირაკლი!“

გრიგოლ ორბელიანი

ორი რეალობა

ვრისტეს დაბადებიდან დგას 1789 წელი. ქართლ-კახეთის მეფედ ჯერ ისევ არის იმდროინდელ აღმოსავლეთ ხელმწიფეთ შორის უპირველესი — ერეკლე მეორე, პატარა კახად წოდებული. მის ხელთაა მრავალი დიდი და მცირე გამარჯვება; ქართველთაგან მრავალგზის ძლეულ არიან მათი მიწყივ-მოსისხარნი: თურქნი, ლეკნი, ირანელნი. მარცხნაჭამი არიან: მაჰმად-ხანი, ფანა-ხანი, აზატ-ხანი, ომარ-ხანი, მალაჩ-ბეგი, აბდულა-ბეგი, ყოჯახ-ბეგი, ჰაჯი-ბეგი, ნურსალ-ბეგი.

1

რად ჰღირს მარტო ასპინძის ბრძოლა!

სწორედ ასპინძის გმირი არის ის საიმედო და საფიცარი სახალხო კუმირი, რომელმაც სრულიად კავკასიის საქრისტიანო, ქართულ-სომხური სამყარო, უნდა დაიხსნას გათათრებისგან, ეროვნული გადაგვარებისგან.

ერეკლეს მოიმედენი არიან არაქრისტიანებიც. მისი ყმადნაფიცი მუსლიმანური ხალხები — განჯელები, ყარაბაღელები, შირვანელები, რომელთაც კვლავაც მოელით შთანთქმა ირანელ-სპარსელთაგან.

ყველაფერ ამასთან ერთად არის დიდი იმედი ჩრდილოეთიდან, ერთმორწმუნე რუსეთიდან; უკვე მეშვიდე წელი არსებობს „ტრაქტატი" რუსთაგან ქართლ-კახეთის მფარველობისა, კეთილი ძმობისა და თანასწორუფლებიანი მეგობრობისა.

ყოველივე ეს არსებობს — საოცარი პატარა კახის ორმოცწლოვანი ნაომარი და ნამოღვაწარი. მაგრამ ამ დიდი და საიმედო რეალურობის პირისპირ მაინც არსებობს არანაკლები (თუ უფრო ძლიერი არა) პოტენციისა და ქართველთათვის საშიში პერსპექტივის მქონე მეორე რეალურობა.

ჯერ ერთი, არ არის არამცთუ ერთიანობა სრულიად საქართველოისა, არამედ თვით ქართლ-კახეთის სამეფოშიც არ არსებობს მტკიცე შინაგანი მთლიანობა. ჯერ ისევ ცოცხლობს შხამიანი შეფასება უანგარო მამულიშვილისადმი: ირაკლი მამაა კახეთისა და მამინაცვალი ქართლისა. გულზვიადი ერისთავებიც ხშირად თავის ხელმწიფეს „მეფეს" როდი უწოდებენ, არამედ უბრალოდ, „კახთ-ბატონად" მოიხსენიებენ.

თვითონ ერეკლეს ოჯახური მრავალნაყოფიერება* ქვეყნის შინაგანი დაქსაქსულობის ხელშემწყობი შექმნილა. ადრე დაიღუპა ლევან ბატონიშვილი, მრავალრიცხოვან უფლისწულთაგან უმამაცესი, უნიჭიერესი და უკეთილშობილესი, ვისაც შეეძლო ჭეშმარიტი ერეკლეობა გაეწია მრავალთა შორის თითქმის ყოველთვის მარტოდმყოფი ერეკლესათვის. დანარჩენი შვილნი-მემკვიდრენი, თითქმის ყველანი, ერთნაირად არიან საშუალონი ან ქვესაშუალონი; თითქოს იმათშიც ჟამიდან ჟამზე იელვებენ ნაპერწკალნი

---

* ერეკლე სამჯერ იყო ნაქორწინევი. პირველ ცოლად ჰყავდა ქეთევანი, ვახტანგ ორბელიანის ასული, რომლისგანაც ჰყავდა სამი შვილი: რუსუდანი, ვახტანგი და სახელით უცნობი ბავშვი (სამივე ადრე დაიხოცა). მეფის მეორე ცოლი იყო ზაალ აბაშიძის ასული ანა, რომლისგანაც შეეძინა გიორგი და თამარი (ცოლი სარდლისა და სახთუხუცესის დავით ორბელიანისა). ერეკლე მესამედ დაქორწინდა დარეჯანზე, კაცია დადიანის ასულზე, რომელმაც მეფეს გაუჩინა კიდევ ცხრამეტი შვილი: ელვნე (ცოლი იმერთა მეფის ძის, არჩილისა), მარიამი (ცოლი თბილისის მოურავის დავით ციციშვილისა), ლევანი, სოფიო (ადრე გარდაიცვალა), იულონი, სალომე (ადრე გარდაიცვალა), ვახტანგი (ალმასხანი), თეიმურაზი, სოსლან-დავითი (ადრე გარდაიცვალა), ასლამაზ-ხანი, ალექსანდრე, არჩილი (ადრე გარდაიცვალა). ქეთევანი (ცოლი იოანე მუხრან-ბატონისა), ფარნაოზი, თეკლა, ლუარსაბი, მირიანი, ხორეშანი, ანასტასია.

მამისეული სიქველისა და სივაჟკაცისა, მაგრამ უმეტეს წილად ისევ და ისევ არიან მონანი დედისეული ეგოიზმისა, პატივმოყვარეობისა, მეშურნეობისა და გულზვიადობისა. ყოველი მათგანი ცალკეულად საუფლისწულო-საბატონოს მოითხოვს, განცალკევებისაკენ, კარჩაკეტილობისაკენ მიილტვიან და ამით ისედაც ცალფეხზე მდგარ ერთიან სამამულიშვილო იდეას ძირს უთხრიან. მხოლოდ უფროსი ტახტის მემკვიდრის, გიორგის ძენი, დავითი და იოანე იძლევიან იმედებს.

ერთი სიტყვით, ბრძოლის ველზე ხელშეუვალ გმირს ჟამსა სიბერისასა საკუთარი ოჯახის მოვლა გაუჭირვებია. საქმეთა სამამაცოთა უკვე სჯაბნიან საქმენი სადიაკონი. დარეჯან დედოფალი თავის გერს, უფროს უფლისწულს გიორგის, ტახტის მემკვიდრეობის წართმევას უპირებს და თავისი ღვიძლი შვილებისათვის მთელი ქართლ-კახეთის მიწა-წყლის დარიგება-დანაწილებაზე ოცნებობს.

ეს შინაოჯახური აშლილობა დიაღაც ხელს შეუშლიდა ყოველთა საქვეყნო საქმეთა წაღმართიანად განსრულებას.

მოღალატენი მოიძებნებიან შინაურობაშიც და გაშინაურებულ უცხოელებშიც. ღალატს არ იშლიან ქსნისა და არაგვის ერისთავები. კვლავ გრძელდება ფეოდალური დროისათვის დამახასიათებელი „აღმა ხვნა და დაღმა ფარცხვა". ქვეყანა არის ჩამორჩენილი ეკონომიურად, მოშლილი სულიერად, სისხლდაწრეტილი ფიზიკურად.

ერეკლესაგან დამარცხებული არიან, მაგრამ მაინც მძლავრობენ თურქ-ოსმალნი, ლეკი-აბრაგნი, ყიზილბაშ-ერანელნი და მომთაბარე-ქოჩად მავალი ელნი-თარაქამელნი.

ჩრდილოეთიდან დიდი იმედიც არსებობს და უიმედობაც. თეთრი მთავრობა, რუსეთის, სპარსეთისა და თურქეთის წინააღმდეგობათა კავკასიურ გზაკვანძზე ჯერჯერობით ყველაფერს მხოლოდ თავის ინტერესთა თარგზე ზომავს. ხოლო „პრაქტიკული დახმარებიდან" ერეკლემ ჯერჯერობით ის იცის, რომ რუსთა კორპუსის უფროსი, გენერალი ტოტლებენი, ტომით გონებაბრჯგუ და გულდრკუ გერმანელი, აწყურის ციხესთან მოკავშირე ქართველთა ჯარს მოღალატურად გამოეთიშა და საშინელი მტრის ხახასთან მარტოდ დაგდო.

ასპინძის ბრძოლა ახალი გმირული დიდებით ამკობს ქართულ დროშებს: უძლეველი ქრისტიანი ხელმწიფის სახელიც მთელს მსოფლიოში ჰქუხს, მაგრამ მაინც მის სატახტოში, მის სასახლეს და შემოგარენს, იმ სასახლეზე უმაღლესი მინარეთიდან ყოველ დილით თავს დაჰკივის მოლა-თათარი.

შაშ, 1789 წლის ზაფხული იდგა.

და დილით ადრე თბილისის სასახლის აივანზე თოფმა დაიგრიალა.

მინარეთიდან მოლა მოწყდა, გადმოეშვა და სასახლის მოედანზე მოგებულ ქვაფენილს დაასკდა.

თოფის ხმამ სასახლე შეარყია. სამეფო სახლი წამოიშალა. მოედანზე შეყრილი ხალხი პირველად თითქოს ახლა მიხვდა, რომ მის ყურთასმენას სწორედ ეს უსიამო, გაბმულ-გამკივანი ხმა აწუხებდა და ახლა თითქოს ყურმაც დაისვენა და გულიც დაწყნარდა.

ერეკლე აივანზე გამოიჭრა და, როგორც კი მოლის სიკვდილი მოახსენეს, გაჯავრებულმა მაშინვე მკვლელი მოიკითხა, ძებნაც არ დასჭირვებია. იქვე, მის გვერდით, აივანზე, ახლადდაცლილი და ბოლავარდნილი თოფით ხელში იდგა მისი სიძე არჩილი, იმ ღამით ქუთაისიდან სტუმრად გადმოსული.

არჩილი გაჯავრებულ სიმამრს თვალებში მშვიდად უცქერდა და კმაყოფილ სახეზე დინჯი ღიმილი დასთამაშებდა. ეტყობოდა, მისთვის საკვლევით უცნაური იყო ერეკლეს შემწყნარებლობა ყურანისადმი ქრისტიანთა დიდ სატახტო ქალაქში, სადაც დგას სიონი, ქართველთა პასტოფორიონი — ტაძარი სამეუფო, რომელშიც ჟამი ქართულ-ქრისტიანულად შეიწირვოდა.

ერეკლეს სიძე ისედაც არ მოსწონდა. საამისო მიზეზებიც ჰქონდა.

არჩილი იმერეთის მეფის სოლომონ პირველის უმცროსი ძმა იყო. როცა სოლომონი მოკვდა (1784 წ.), იმერეთის მეფობა ხელთ იგდო სოლომონის ბიძის ძემ, დავითმა. არჩილსა და მის მეუღლეს, ერეკლეს ასულს ელენეს, აგრეთვე ვაჟი ჰყავდათ, ისიც სახელად დავითი. ერეკლეს სურდა, იმერეთის ტახტზე გვირგვინი მის შვილიშვილს სჭეროდა, მაგრამ სურვილი აქამდე არ აღესრულა და ამის მიზეზად იგი არჩილის უმოქმედობასა და უუნარობას თვლიდა. ამას გარდა, არჩილი აუტანლად სძაგდა დარეჯან დედოფალს, ხოლო ეს საკვლევით საკმარისი იყო, მეფეს თავისი სიძისათვის ამრეზილად ეცქირნა.

სამაგიეროდ, არჩილი ძალიან უყვარდა უფლისწულ გიორგის. ეს სიყვარული თავის მხრივ კიდევ უფრო ამძაფრებდა დარეჯანის მტრობას გიორგისადმი. ბოლოს და ბოლოს, ერეკლემ უფროს ვაჟს კიდევაც აუკრძალა არჩილთან შეხვედრა. მაგრამ წინ ღამით, სტუმ-

რად ჩამოსვლისთანავე, სიძე-ცოლისძმა ერთმანეთს მაინც შეხვდნენ.

ახლა კი, სწორედ ახლა, გიორგი აივანზე ამოდის, არჩილთან მხიარული სახით მიდის, მხარზე ხელს ჰხვევს და მიზანმოუმცდარ სროლასა და ვაჟკაცობას უქებს. მოლასა და ყურანის გაძევება ჩვენ, აქაურებს ვერ მოგვიგონებია და იმერეთიდან გადმოსულმა კაცმა გაგვახსენაო.

გიორგიმ ასეთი გაბედულების გამოჩენა ძალიან იშვიათად იცის: ის ყველაფრისადმი გულგრილია და უინტერესო. მისი საზრუნავი არის მხოლოდ ჭამა, ლოცვა და ნებივრობა, უყვარს თეთრი, გამტკიცული ფქვილით ნაცხობი დედას-პურები, კვლიავით შემზადებული ქათმები, ცხვრის მწვადები, აფხაზურად შეკმაზული ძროხის ხორცი და მისთვის ყველაზე ძვირფასი ულუფა — ერთწლიანი ან მცირედ მოდიდო ზაქი. „მთელს ზაქსა სჭამსო“, — ამბობენ მასზე. ღვინოსაც მუდამ საგანგებოდ დაყენებულს მიირთმევს — ყოველდღიურად ერთი ჩარექი წითელი ხოდაშნური ან ყვარლური.

უხვმა სმა-ჭამამ ახოვანი და მოხდენილი ვაჟკაცი ორმეოცე წლის ასაკიდან ძალიან გაასუქა, გაასქელა და დაამძიმა. ფეხით ძლივს დადის, ცხენზედაც უჭირს ზორბა ტანის ატანა. როცა ჭამასა და ძილს მორჩება, ერთთავად სულ ლოცულობს. ერთი ოთახი სულ ხატებით აქვს სავსე; ჩამოუვლის და ყველას ჩაჰკოცნის; რომელსაც ვერ მიწვდება, ჯოხს მიადებს და მისი მეშვეობით „ჰკოცნის“. არ უყვარს არცა ნადირობა, არცა ჯირითობა და ასპარეზობა, არც მწიგნობრობის იწამა რამე. ძლივს გაუძლო თავისი ძმის ანტონ კათალიკოსის ორიოდ ლექციას, მერე ხელი ჩაიქნია და შესძახა: „არა მესმის ესე, ვნაყავ წყალსა“.

ადრე უფრო ვაჟკაცი იყო „ზაქიჭამია“. განა, ის არ იყო, ღალატის გზაზე შემდგარ ტოტლებენს რომ მიეჭრა აწყურის ციხესთან, მიეჭრა და შესძახა:

„ღენერალო, სირცხვილია ამისთანა დროს ღალატი მეფისა“.

„არა მაქვს ბრძანება იმპერატორისა, რომ შევება ჯარითა ესრეთ მცირითა მტერსა დიდსა უსარგებლოდ“, — უპასუხა ტოტლებენმა.

„მაგათი, ღენერალო, არცხვენ რუსეთის ჯარსა და უტეხ სახელსა დიდსა რუსეთსა. ღმერთი ჩვენკენ იქნება, ჩვენ შევებმით, გავიმარჯვებთ და მოვახსენებთ იმპერატრიცას შენს სიმხდალესა“.

იქნებ გაცხარებულ უფლისწულს, მამა რომ არ შემოსწყრომოდა, სილაც ეთავაზებინა რეგვენი გენერლისათვის.

ახლაც მისდათავად გვარიანი გაბედულებაა, განრისხებული მამის

წინაშე „მეტიჩარა იმერელის“ მხარე დაიპყროს და ასეთი თავგასული უსაქციელობაც მოუწონოს.

„აფერუმ, სცა თოფი და ჩამოაგდო!“ შესძახა გიორგიმ.

ერეკლე უბრად შებრუნდა და სადიაცოს მიაშურა. გიორგიმ იცოდა, იქიდან მალე მკვახე საყვედურთა ნიაღვარი წამოვიდოდა, მაგრამ ყველაფრისადმი ჩვეული გულგრილობა ამჯერადაც საიმედო აბჯარი იქნებოდა მისთვის.

ეს უცნაური ინციდენტი რაღაცნაირი პროლოგი გახდა „დიდი იმერული ელჩობისა“ აღმოსავლეთ საქართველოში.

„ნუ ჰყოვნი, მეფეო!“

ათას შვიდას ოთხმოცდაათ წელს იმერეთიდან თბილისში ჩამოვიდა ელჩობა, რომელშიც შედიოდნენ: გელათელი ეპისკოპოსი ექვთიმე, ქუთათელი ეპისკოპოსი დოსითეოსი, სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, პაატა მიქელაძე, სეხნია წულუკიძე, იოანე აბაშიძე, იოანე აგიაშვილი, ქაიხოსრო ჯიჯავაძე და ფიცის კაცნი — ლორთქიფანიძე, იოსელიანი, ავალიანი და სხვანი.

იმერელი დესპანნი ერეკლეს წინაშე წარსდგნენ და აჯა აღავლინეს:

„არც თქვენ და არც ჩვენ მეფედ არ გვსურს დავით გიორგის ძე; ჩვენი სურვილია, იმერეთი ქართლ-კახეთს შეუერთდეს, იგივე სურს გურიისა და სამეგრელოს მთავრებს; უნდა აღსდგეს ოდინდელი ერთიანობა სრულიად საქართველოისა, რომელსაც უხელმწიფებს სახელოვანი ერეკლე. მთელი დასავლეთ ქართველობა დიდის სიქადულითა და სიხარულით მოელის საქმისა ამის დასასრულსა... მცხოვრებთა გლეხთაც იციან ესე და უხარისთ ბატონობა თქვენი იმერეთსა, მტერთაგან ჯვარისა გაოხრებულსა“.

მაშ, ერეკლეს საქართველოს გაერთიანებას და სრულიად ქართველთა ერთხელმწიფობას სთავაზობენ. ესაა მრავალსაუკუნოვანი ოცნება ქართველი ხალხისა. ვინ იცის, ერეკლესაც რამდენი უოცნებია, მკვდრეთით აღედგინა ასეულწლების მანძილზე დასამარებული ერთიანობა ამერ-იმერი ქართველობისა. ახლა „იმერელი ერი“ თვითონ სთავაზობს და ეაჯება მისი სკიპტრის ქვეშ შეერთებას; ესაა საყოველთაო სურვილი დასავლეთ ქართველთა, ერთსულოვნად ყოველთა, დიდთა და მცირეთა, მთავართა და გლეხთა, თავადთა და მდაბიოთა, აზნაურთა და უაზნოთა, თითქოს პატარა

კახს მხოლოდ ისღა დარჩენია, ჩალმისმინაგვარი თავსარქმელი გადაიძროს და მის ნაცვლად ერთიანი საქართველოს, გორგასლიან-დავითიანისა და თამარისეული ჯიღოსანი გვირგვინი დაიდგას.

მაგრამ ქართველ ხალხს ისტორიის კაპრიზ ფორტუნასგან ერთიანობის აღდგინება სამუდამოდ წართმეული ჰქონდა. ერეკლეზე უკეთ ვის შეეძლო სცნობოდა მისი დროის ქარიშხლიანი ჟამსაბრუნავი. საკმარისია, მან თქვას: „დაე იყოს ერთიანობა სრულიად ქართველთა, ამერთა და იმერთა!“ და ერთბაშად ყოველის მხრიდან ამხედრდება სრულიად მუსლიმანური სამყარო, ხოლო რუსეთი... რუსეთიდან ჯერჯერობით მხოლოდ „ტოტლებენური ღალატი“ უწვნევია „ერთმორწმუნე ქრისტიან მეფეს“.

ერეკლემ მდუმარედ მოისმინა იმერელთა თხოვნა. მერე ადგა და სათათბიროდ დარბაზის ერის შეყრა ბრძანა.

სამეფო პალატაში დარბაზის ერი შეიყარა. მოვიდნენ უფლისწულნი, ქართლ-კახეთის წარჩინებული თავადნი, სასახლის კარისკაცნი, მდივანბეგნი, მოურავნი, სარდალნი და მღვდელმთავარნი. ამათგან უსაჩინოესი იყვნენ: კათალიკოსი ანტონ მეორე (ერეკლეს ვაჟი თეიმურაზი), სახლთუხუცესი ჭაბუა ორბელიანი, სარდალი დავით ორბელიანი (ერეკლეს სიძე, თამარის ქმარი), თბილისის მოურავი დავით ციციშვილი (ერეკლეს სიძე, მარიამის ქმარი), სარდალი იოანე მუხრან-ბატონი (ერეკლეს სიძე, ქეთევანის ქმარი), ქიზიყის მოურავი ზაქარია ანდრონიკაშვილი, ჯარდან ჩოლოყაშვილი, იოსებ ბარათაშვილი და ვიცე-კანცლერი სოლომონ ლიონიძე.

თათბირი დაიწყო. ელჩებმა დარბაზის ერის წინაშე გაიმეორეს ქართლ-კახეთთან იმერეთისა და მთელი დასავლეთ საქართველოს შეერთების თხოვნა.

აღმოსავლეთ ქართველთაგან პირველი წამოდგა ჭაბუა ორბელიანი, კაცი მშვენიერტუყველი, რიტორი და გულმხურვალე მამულიშვილი. მან მეფესა და სადარბაზოს თავი დაუკრა და მქუხარე, ზავთიანი ხმით დაიწყო:

„კურთხეულ იყოს აზრი ზეგარდმო შთაგონებული იმერთა დესპანთადმი, კურთხეულ იყოს აზრი იმერთა ერისა! ჩვენ საპასუხოდ რა დაგვშთენია? ნუთუ რამე არს საყოყმანო და დასაყოვნებელი?“

წამით შეჩერდა.

მეფე სდუმდა. ყველა მას შესცქეროდა.

ჭაბუამ ფიცხლავ შესძახა:

„ნუ ჰყოვნი, მეფეო! მეფე ერისათვის და არა ერი მეფისათვის! ერი იმერთა ითხოვს ერთობასა და კავშირსა. ვითარ ეტყვი, მეფეო,

უარსა? რისთვის არ მიიღებ ასეთ სანუკველ თხოვნასა?.. მე ვიცი და მესმის აზრი თქვენი, მეფეო! შენ ასე ფიქრობ: როგორ წავართვაო ჩემს შვილიშვილს, დავით არჩილის ძეს, მეფობა იმერეთისა! თუ ასე ფიქრობ, ეს მოასწავებს დიდ უბედურებას იმერთათვის და დაღუპვას მთელი საქართველოსათვის! განა მსგავსი რამ აქამდე არ მოგიხდენია? შენ ხომ მეფობა წაართვი ქართლსა, მაგრამ რაი დაკარგა საქართველომან დაკავშირებითა ქართლისა და კახეთისა? შენ ხომ არაგვის საერისთავო წაართვი იქ მეამბოხე ერისთავთა? შენ ხომ ქსანიც საუკუნოდ წაართვი ქსნისა ერისთავთა? მერე, თუ არ მოიგო, რა დაკარგა ამით ჩვენმა მშობელმან საქართველომან? ბედნიერება ერისა ითხოვს ერთობასა. ძლიერება მეფობისა არის ერთა დაკავშირება. იმერნი თვითონ, თავისი ნებით, ზეგარდმო აზრით შთაგონებულნი, გთხოვენ შეერთებას. შენც ნულარ ჰყოვნი, მეფეო ჩვენო!"

ორბელიანი შესდგა.

მეფე კვლავ მდუმარებდა.

მაშინ ზედიზედ წამოდგნენ ანტონ კათალიკოსი, დავით ორბელიანი, სოლომონ ლიონიძე, ზაქარია ანდრონიკაშვილი, ჯარდან ჩოლოყაშვილი, იოსებ ბარათაშვილი და გულმხურვალედ სთხოვეს მეფეს, მიეღო ერთიანი ხელმწიფობა, ქართლ-კახეთისა და იმერეთისა.

ვერც ერთმა მათგანმა ვერ მიიღო პასუხი მეფისაგან. იგი უძრავად იჯდა და მძიმე საფიქრალს მისცემოდა.

ახლა ისევ იმერთა მხრიდან გაისმა სიტყვა. ქაიხოსრო წერეთელი ლაპარაკობდა:

„ბატონო მეფეო, შეისმინეთ ჩვენი თხოვნა და მიიღეთ მეფობა იმერეთისა. დაე, იყოს ერთობა მარადისი ქართლ-კახელთა, იმერელთა და ყოველ ქართველთა შორის, ხოლო უკეთუ ვერ დამტკიცდება ერთობა ჩვენთა, შეუდგება უწესობა საერთო საქმეს, საკნო რამ შეიქმნება ქართლისათვის და მეფობისა თქვენისათვის, — მაშინ დატევეთ მეფობა იმერეთისა, მაშინ უბოძეთ თქვენის ნებით მას სხვა ხელმწიფე. ახლა კი სცადეთ, ნულარ ჰყოვნით, მიიღეთ გვირგვინი ჩვენიცა, განძლიერდით ჩვენით და განგვაძლიერეთ თქვენით!"

„განძლიერდით ჩვენით და განგვაძლიერეთ თქვენით!" ჩამოირბინა დარბაზის ერი ამ ჯადოსნურმა სიტყვებმა.

„ირწმუნეთ, მეფეო ბატონო, როცა მტერი ჩვენი ერთობის ამბავს შეიტყობს, მაშინვე მიეცემა შიშსა და რიდსა", დაასრულა წერეთელმა.

არც ამჯერად ინება მეფემ პასუხი. არც უფლისწულებს უნებებიათ წართქმა სიტყვისა.

უცებ ტყვიასავით გავარდა იოანე მუხრან-ბატონის სიტყვა:

„მეტად ძნელ საქმეს გვთხოვენ იმერნი. არ შეგვიძლია შემოერთება იმერეთისა“.

„რად არ შეგვიძლია?“

„რად არ შეგვიძლია?“

„ხელს რა დაგვიშლის?“

მუხრან-ბატონი კი უჯიათად განაგრძობდა:

„ჩვენ ქართველთა ჩვენის თავისათვის ვერ მოგვივლია, ვითარ შოვუვლით იმერეთსა?“

„ეს რა საკადრისია?“

„ასეთი თქმა როგორ იქნება?“

„განა, იმერეთიც საქართველო არ არის?“

მუხრან-ბატონმა თითქოს ჩაასწორა მრუდე ნათქვანი:

„რად ვექმნათ პატრონად ქვეყანასა, რომელსაც ჰყავს საკუთარი პატრონი, შვილის-შვილი ჩვენი მეფისა?“ სთქვა და მაამებლური მზერით შეხედა ერეკლეს.

ფეხზე წამოიჭრა ფიცხელი დავით ორბელიანი და დასჭექა გაცეცხლებულმა:

„მუხრანის ბატონი ბრძანებს, ქართველებს ჩვენის თავისთვისაც ვერ მოგვივლიაო. დიახაც, მართალს აღიარებს, რომ ვერ მოუვლის იგი დღეს თავის ქვეყანას თავისის ხრმლითა და ბაირაღითა. მაგრამ მოვა დრო და ღმერთი მოგვცემს სხვა მუხრან-ბატონსა, რომლის ხრმალი უფრო მჭრელი იქმნება“.

დარბაზი აჩოჩქოლდა. უმრავლესობა ორბელიანს მოწონების შეძახილებით შეხვდა. ბრაზით გატეხილ მუხრან-ბატონსაც აქა-იქ ვიღაცეებმა აუბეს მხარი.

ორბელიანის მკაცრმა გამოსვლამ ბრაზი წაჰკიდა თვითონ ხელმწიფეს. განაწყენებული ერეკლე ტახტიდან წამოვარდა და დედოფლის სანთიობოს მიაშურა. დარბაზის ერი წამოიშალა და იმდღევანდელი სხდომაც ჩაიშალა.

არავინ იცის, რა საუბარი წარიმართა იმ ღამით მეფესა და დედოფალს შორის, მაგრამ მეორე დღეს ნათელი გახდა პატივმოყვარე ქალის საპოლიტიკო კაპრიზნი და ახირებანი.

დარეჯანმა ჰაბუა ორბელიანი გამოიძახა და რისხვა აფრქვია.

„მაშ, იმერეთის შემოერთება მოისურვეთ?“

„დიახ, დედოფალო“, დინჯად უპასუხა ორბელიანმა.

„პირველი სიტყვაც შენ გიბრძანებია“.

„დიახ“.

„მე ვიცი, ვინც ჩაგაგონა აზრი ესე“.

„ვის უნდა ჩაეგონებინა, დედოფალო?“

„გიორგი“.

„გიორგი?“

„სწორედ ის. ტახტის მემკვიდრე ხომ ეგ ბრძანდება, ახლა იმერეთსაც თუ შემოიერთებთ, სრულიად საქართველოს მეფობასაც გაიმზადებს; დავით ორბელიანიც ხომ მისი დის ქმარია და მუხრანბატონის მეტოქე. იმიტომაც უნებებია ისეთი უკადრისი სიტყვები; უეჭველად ისიც გიორგის წაუქეზებია“.

„არა მგონია, დედოფალო ბატონო. თვითონ გიორგის ერთი სიტყვაც არ დასცდენია, ისე ვითარცა არც სხვა რომელიმე უფლისწულს არ უნებებია რაიმეს თქმა“.

„შენ ხომ ინებე და პირველმა ბრძანე დაპყრობა იმერეთისა“.

„რატომ ინებებ, დედოფალო, ჩვენ ხომ ქართლ-კახეთ-იმერეთის ერთობაზე ვბჭობთ!“

„ეგ არ მოხდება!“ შეჰკივლა დარეჯანმა.

„უარს ვინ იტყვის, დედოფალო?“

„შენ“.

„მე?!“ განკვირდა ჭაბუა.

„სწორედ შენ“.

„მაგრამ მე ხომ უკვე ვთქვი ჩემი სიტყვა და კვლავაც იმას გავიმეორებ: უნდა შეერთდნენ ქართლ-კახეთი და იმერეთი“.

„ხოლო ხვალინდელ შეკრებილობაზე იტყვი, რომ არ უნდა შეერთდნენ!“

ორბელიანმა ბრაზი ძლივს დაიოკა და მტკიცედ განაცხადა:

„არა, ბატონო დედოფალო, ვერ შევიქნები ქვეყნის ორგული. ჩემი აზრი მეფისა და სამეფოის სამსახურში დარჩება უცვალებელად, მტკიცედ, შეურყეველად, ხოლო უკეთუ არ აღსრულდება, ამავე აზრსა შთავიტან საფლავსა თანა. რად მიბრძანებთ, არ ვუერთგულო მეფესა და ქვეყანას ჩემსას? მე კარგად ვიცი, რასაც ვამბობ. განა, შემიძლია ვიყო და მერქვას მრჩეველი მეფისა და სიკეთის ნაცვლად ბოროტს ვურჩევდე? მაშინ ხომ ესე იქმნება საქმე ეშმაკისა, კაცისა ბოროტისა და მტრისა ქვეყნისა. ჩვენს მამა-პაპათ სისხლი უღვრიათ თავის ქვეყნისათვის და მეფეთათვის. მეც ვარ შვილი ჩემი ქვეყნისა და ერთგული ჩემი მეფისა. ამისთვის, რაც ერთჯერ ვთქვი, იმასვე გაბედვითა და შიშის გარეშე კვლავ მოვახსენებ ხელმწიფეს ჩემსას და თქვენც, ბატონსა ჩემსა დედოფალსა“.

ეს სთქვა, დედოფალს მსწრაფლ თავი დაუკრა და სწრაფი ნაბიჯით გავიდა სასახლიდან.

დარეჯანი გაოგნებული და გაბოროტებული დარჩა.

სწორედ ამ დროს მასთან შეხვედრა ითხოვეს იმერელმა ელჩებმა.

დედოფალი ცივად შეხვდა სტუმრებს. არაფერმა არ გასჭრა: არც იმერულმა თავაზიანობამ და ენათაფლიანობამ, არც ხალხის სიდუხჭირისა და უპატრონობის აღწერამ, არც ხვეწნა-მუდარამ და არც თავშეკავებულმა მუქარამ. დარეჯანი უემურშეყრილივით ერთსა და იგივეს იმეორებდა:

„მე ვერ გამოვწირავ იმერეთისა გვირგვინსა ჩემი შვილიშვილის ხელთაგან“.

ელჩები ვერაფერს გახდნენ.

მესამე დღეს კვლავ შეიყარა დარბაზის ერი.

ისევ ჭაბუა ორბელიანმა დაიწყო; ისევ დაადასტურა მისი აზრი ანტონ კათალიკოსმა. ყველაფერი წინა დღის თათბირის კვალობაზე წარიმართა. დარბაზის ერის დიდმა უმრავლესობამ იმერეთის შემოერთება მოითხოვა. ნაწილი, იოანე მუხრან-ბატონის მხარდამხარ, კვლავ შეერთების წინააღმდეგ დადგა. მოვიდა ჟამი, როცა მეფეს გადამწყვეტი სიტყვა უნდა ეთქვა.

კარგა ხნის დუმილის შემდეგ ერეკლემ მზერა მიაპყრო ტახტის მემკვიდრეს, რომელიც აქამდე, ორივე სხდომაზე, სრული მდუმარებითა და გულგრილი უძრაობით იჯდა და არაფრით არ ამჟღავნებდა არც თანხმობას და არც უარყოფას. ის კი არა და, ამ დღეებში მას. ამრეზით მაცქერალი დედინაცვლისა და მამის რიდით, არავითარი შეხვედრა არ ჰქონია არც სტუმრებთან და არც მასპინძლებთან.

„შენ რას იტყვი, გიორგი?“ ჰკითხა მეფემ.

გიორგიმ ზორბა ტანი ნელად დასძრა და დინჯად დაიწყო:

„ხელმწიფეო ჩემო! სიტყვა ჩემი, ვითარცა ვხედავ, მრავალთათვის წინაალმდეგ და არასასურველ შეიქმნების, მაგრამ მაინც გავბედავ მოგახსენო: შეერთება იმერეთისა ქართლისადმი არის სიმტკიცე მეფობისა, ანუ თუ გნებავსთ, უძლეველობა ქვეყნისა ჩვენისა მტერთაგან. უნდა იქმნას ერთობა! რა არს უკეთილეს, რა არს მშვენიერ, ვითარ ერთობა ძმათა, — იტყვის წინასწარმეტყველი დავით. სამეფო ისრაელთა დაეცა მაშინ, როდესაც განსქდა ორად სამეფო სოლომონისა; საბერძნეთიც მაშინ დაეცა, ოდეს განიყო ორად და სამად. მეფობა განყოფილი არა დაადგრეს, — ბრძანებს მაცხოვარი“.

თქვა და დაჯდა ისევე გულგრილად და უდრტვინველად, როგორც სიტყვის წარმოთქმამდე; თითქოს არც ის აინტერესებდა, როგორ შეხვდებოდნენ და რა შედეგი მოჰყვებოდა მის სიტყვას; თითქოს მხოლოდ მამის ბრძანებას მაშინალურად აახლა თავისი პასუხი და მეტი არაფერი.

ხოლო თვით სიტყვამ ინერტიული უფლისწულისამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დარბაზის ერზე. იმერთა დესპანი და მათი მომხრენი აღფრთოვანებაში მოვიდნენ. ისევ წამოდგა ჭაბუა ორბელიანი, გიორგის ხოტბა შეასხა, მერე თავისი ომახიანი ხმა ჩაიცხრო და მეფეს ლბილად სთხოვა, ბოლოს და ბოლოს მასაც თავისი ხელმწიფური განჩინება გამოეტანა.

ერეკლე ფეხზე წამოდგა. დარბაზის ერიც წამოიშალა.

მღელვარებით აღსავსე მოლოდინი მეფის ბზარდაკრულმა ხმამ დაარღვია:

„მე მთხოვენ შეერთებას იმერეთისას, მაგრამ თხოვასა ამას ვერ მივიღებ; მტერი მადგას კარსა; ვერ გავიხდი ახალსა მტერსა, რომელიც უნდა იყოს შვილის-შვილი ჩემი იმერთა ტახტისათვის განმზადებული“.

წამით შეჩერდა, მზერა სტუმართა მხრისაკენ მიმართა და მტკიცედ დააბოლოვა:

„დესპანნო, წარვედით და იმერთა ერსა გამოუცხადეთ, რომ დავსვამ იმერეთისა ტახტზედ შვილიშვილსა ჩემსა და ესრეთისა კავშირითა თავით თვისით იქმნება ერთობა იმერეთისა და ქართლის თანა“.

დაასრულა და სასწრაფოდ გავიდა დარბაზიდან.

სამდღიანი წყლის ნაყვა დასრულდა.

იმავე წელს ერეკლემ 4.000-ანი ჯარი გაგზავნა იმერეთში იოანე მუხრან-ბატონის სარდლობით. ექსპედიციას თან ახლდნენ: უფლისწული იულონი, ქიზიყის მოურავი ზაქარია ანდრონიკაშვილი, მისი ძმა (და უფლისწულ გიორგის ცოლისძმა) რევაზ ანდრონიკაშვილი და ჯარდან ჩოლოყაშვილი.

ერეკლესაგან წარგზავნილებმა ქუთაისში სასახლის კარის გადატრიალება მოახდინეს: იმერეთის ტახტიდან გადააგდეს დავით გიორგის ძე და მის ნაცვლად, სოლომონ მეორის სახელწოდებით მეფედ დასვეს ერეკლეს შვილიშვილი დავით არჩილის ძე.

ამგვარად, საქართველოს გაერთიანების უკანასკნელი ცდა მარცხით დამთავრდა. ქართულ მიწაწყალთა ერთობის გამომხატველი პატრიოტული ძალები ვერაფერს გახდნენ დარეჯან დედოფლისა და

მის უახლოეს მედროვე ვიგინდარათა მუხანათური ინტრიგების წინაშე. ჰეშმარიტ ქართველთა ხმა გახდა „ხმად ღაღადებისა უდაბნოსა, ენითა ცემა ჰაერისა და ამაო ბგერა ბაგეთა“. დიდმა ქართველმა პატრიოტმა, ვიცე-კანცლერად წოდებულმა სოლომონ ლიონიძემ ისლა შეძლო, მთელი დასავლეთი საქართველო ფეხით შემოევლო და თავისი ბრწყინვალე მჭევრმეტყველებითა და წრფელი მამულიშვილობით ქვეყანა დაერწმუნებინა, რომ ერისა და ქვეყნის გადარჩენისათვის თუ გაერთიანება არა, მტკიცე შეკავშირება მაინც ქცეულიყო რეალურ ძალად. იგი არწმუნებდა ყველას — მეფეებს, მთავრებს, თავადებს, აზნაურებს და გლეხობას — უეჭველად მხოლოდ ქვეყნის შიგნით მოენახათ გზები და საშუალებები ერთიანი მტკიცე კავშირის შეკვრისა და ურიცხვ მტერთაგან საქართველოს გადარჩენისა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას საქართველოს ხსნა წარმოუდგენლად მიაჩნდა.

სოლომონ ლიონიძის, — ამ ქართველი დემოსთენეს (ცეშმარიტად: იგი დემოსთენე იყო ერთდროულად, როგორც ორატორი და როგორც პოლიტიკოსი) თავგამოდებულმა ცდამ ნაყოფად ის გამოიღო, რომ იმავე 1790 წელს თბილისში გაფორმდა ხელშეკრულება ქართველ მეფე-მთავართა შორის — „ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა, ოდიშისა და გურიისა“.

ფორმალურად ეს იყო კავშირი ქართველ ტომთა, „ერთისა ენისა მქონებელთა, მავასხელობით მოყვარეთა, ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვრობით შეკრულთა...“ მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ფორმალურად, გნებავთ, მორალურად. მაგრამ „მოკავშირეებს“ რამდენიც არ უნდა ეძახნათ, „ვფუცავ, ვიყო მწადნელი ერთობისა და ბედნიერებისაო“ — ფაქტიურად ესეც იყო „ენითა ცემა ჰაერისა“; ერეკლე მეორეც, სოლომონ მეორეც, გრიგოლ დადიანიც და სვიმონ გურიელიც მხოლოდ ცალკე ფეოდთა პატრონნი იყვნენ.

ფეოდალური ეგოიზმი და სეპარატიზმი ისევ დამლუპველ მაჯლაჯუნად აწვა საქართველოს.

არამცთუ სრულიად საქართველო, არამედ ცალკე ქართლ-კახეთიც კი არ წარმოადგენდა ერეკლესათვის ერთიან ცენტრალიზებულ სახელმწიფოს. ერეკლეს ცხრა ვაჟიდან ორი მოუკვდა (ლევანი და ვახტანგ I) და ერთი ბერულ ცხოვრებას შეუდგა (თეიმურაზი — ანტონ II კათალიკოსი), ხოლო მეფობის პრეტენზიით მას ექვსი ვაჟკაცი (გიორგი, იულონი, ვახტანგი, მირიანი, ალექსანდრე და ფარნაოზი) დარჩა.

მაშ, ექვსი იყო კანდიდატი ქართლ-კახეთის მეფობისა, ხოლო სამეფო ტახტი ერთადერთი იდგა თბილისის სასახლეში.

და აი, სიბრძნით განთქმული ხელმწიფე ისე მოიქცა, ვითარცა ჩვეულებრივ, ბანალურ ზღაპარში ხდება ხოლმე: სამეფო შვილებს დაუნაწილა: კახეთი გიორგის მისცა, ქსნის ხეობა — იულონს, არაგვის ყოფილი საერისთავო (ლევანის სიკვდილის შემდგომ) — ვახტანგს, მარტყოფი — მირიანს, სურამი — ფარნაოზს. ამას კი, როგორც მოსალოდნელი იყო, სულ მალე მოჰყვა ჩვეულებრივი შინაური შუღლი, მტრობა და მესისხლეობა.

საეჭვოდ არავის დარჩენია, რომ ისედაც მცირედი ქვეყნის ამნაირი დანაწილება და შინა-ნათესაური მტრობის ჩამოგდება ისევ და ისევ დარეჯან დედოფლის ნებით ხდებოდა.

1791 წელს დარეჯანმა ერეკლეს კიდევ უარეს საბედისწერო კანონზე მოაწერინა ხელი. ესაა ახალი სამეფო-სამემკვიდრეო კანონი. მანამდე, თხუთმეტი საუკუნის მანძილზე, ქართული სახელმწიფო იურისდიქციის მიხედვით დაკანონებული იყო, რომ სამეფო ტახტი მეფის სიკვდილის შემდგომ ეკუთვნოდა მის უფროს შვილს. ერეკლემ ეს კანონი შესცვალა და მის ნაცვლად დაადგინა, რომ მისი სიკვდილის შემდგომ, მართალია, მეფობას მიიღებდა უფროსი ვაჟი (გიორგი), მაგრამ ამ უკანასკნელის შემდგომ — მისი ძმები (იულონი, ვახტანგი, მირიანი, ალექსანდრე, ფარნაოზი) თანმიმდევრობით; ხოლო ძმათა ცხოვრების გასრულების შემდეგ, მეფობას განაგრძობდნენ უფროსი ვაჟის ძენი, შემდგომ ისევ თანმიმდევრობით მომდევნო ძმების ძენი და ა. შ. ყველაფერი ეს დარეჯან დედოფლის ნებასურვილი იყო, რამეთუ მის უშუალო ღვიძლ-შთამომავალთ (გერი გიორგის წინააღმდეგ) უზრუნველყოფილი ჰქონოდათ ხელმწიფობა.

ასეთი იყო ვითარება საქართველოში, როცა სამხრეთის ცა ერთბაშად საავდრო ღრუბლებით გაიტენა და გასივდა.

პატარა კახს ახალი შეხთა-ტეხის ხმა არც ამჯერად გამოჰპარვია, მაგრამ გარემტრისადმი მუდამ უტყუარმა ალღომ სწორედ ახლა, ამ უეცარი ძნელქამობის ასალაგმავად, საბედისწეროდ უმტყუნა.

გენიალურმა ჰანიბალმაც მხოლოდ ერთჯერ დაუშვა შეცდომა და ისტორიის ფორტუნამ მას არ აპატია.

ეს ერთადერთი მცდარობა საბედისწერო გამოდგა მისთვის და მისი სამშობლოსათვის...

„ესე გელი რამე არს, საშო არა აქვს და პირით
დამაკდება და შვილნი მუცელს გამოსჭამენ და ეგრე
გამოელენ. თუ ეაცს უკბინა, აღარ მორჩება".

ᲡᲣᲚᲮᲐᲜ-ᲡᲐᲑᲐ

სეფევიდების უკანასკნელი წარმომადგენლის, შაჰ-თამაზ მეორის დროს ასტრაბადში დაწინაურდა თარაქ ამულ-თურქული მოდგმის ყაჯართა გვარ-ტომი. მისმა ბელადმა ფათ-ალი-ხანმა, ირანის მთავარსარდლობას მიაღწია. მაგრამ მას მალე დიდი მეტოქე გამოუჩნდა — ნადირ-ყულ აფშარი, მდაბიოთაგან დაწინაურებული ნიჭიერი და თავზეხელაღებული ყიზილბაში. ნადირ აფშარმა შაჰ-თამაზი ყაჯართა ბელადის ორგულობაში დაარწმუნა, კიდევაც მოაკვლევინა და ირანის მთავარსარდლობაც თვითონ ჩაიბარა.

ნადირმა იცოდა, რომ შვილები მამის სისხლის მაძიებელნი არიან და ახლა ფათ-ალი-ხანის ვაჟის, მაჰმად-ჰუსეინ-ხანის წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა. ეს ბრძოლა ბოლოს და ბოლოს მაჰმად-ჰუსეინის მარცხითა და გადახვეწით დამთავრდა, ხოლო მისი ორი მცირეწლოვანი ვაჟი ნადირის ძმისწულმა ალი-ყული-ხანმა დატყვევებულნი მოჰგვარა შაჰ-თამაზს.

იქვე ძმათაგან უფროსი, ექვსი წლის ბალღი, ჯალათმა გააშიშვლა, ალესილი დანა ლაჯებში დაადო და... დაასაჭურისა.

ასე დაიწყო ცხოვრება ᲐᲚᲐ-ᲛᲐᲰᲛᲐᲓ-ᲮᲐᲜ ᲧᲐᲯᲐᲠᲛᲐ, აღმოსავლეთის ბნედიან დესპოტთა შორის უსაშინელესმა მიზანთროპმა.

ვაჟობაწართმეული ვაჟი სასახლის კარზე დასტოვეს, ვითარცა ამანათი-მძევალი.

ყაჯართა ყველაზე დიდი მოსისხლე ნადირ-ყულ-აფშარი შეიქნა ირანის უკანასკნელი დიდი ხელმწიფე — ნადირ-შაჰი. ნადირ-შაჰის შემდგომ ირანის მბრძანებელი გახდა მისი ძმისწული, ალა-მაჰმად-ხანის ტრაგედიის უშუალო შემოქმედი, ალი-ყული-ხანი, ჟამსა ხელმწიფობასა ადილ-შაჰად წოდებული.

სასახლის კარზე კვლავ უსიტყვოდ, უჩინრად და უხმაუროდ დააბიჯებდა ჭაბუკობის ასაკში შესული, მაგრამ ჭაბუკობაწართმეული, ბებრული ნაოჭებით სახედახნული და დაღმეჭილი ადამიანი.

ადილ-შაჰი გარდაიცვალა და საჭურისმაც პირველად გამოაჩინა შხამიანი ეშვი. იგი სასახლიდან გაიპარა და ნათესავ ყაჯარებთან გაიქცა. ყაჯარები უკვე ირანის ტახტის დასაპყრობად მოიწევდნენ.

საჟურისის მამა მაჰმად-ჰუსეინ-ხანი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და თავისიანთაგან გახელმწიფების ყველაზე ძლიერ პრეტენდენტად ითვლებოდა. მამა-შვილი შეერთებულად ამოქმედდნენ ირანის ტახტ-გვირგვინისათვის მეომარი მეორე საგვარეულოს — ზენდების წინააღმდეგ.

საშინელი ხოცვა-ჟლეტა ზენდების გამარჯვებით დამთავრდა. მაჰმად-ჰუსეინმა თავი მოიკლა. ირანის ტახტზე დაჯდა ქერიმ-ხან-ზენდი, რომელმაც თავის სატახტო ქალაქში, შირაზში, ტყვედ და ამანათ-მძევლად წაიყვანა აღა-მაჰმად-ხან-ყაჯარი.

საჟურისი მაშინ თვრამეტი წლის იყო. ტანი კი ათი-თორმეტი წლის ბიჭისა ჰქონდა. ეს ნამლევა ქონდრისკაცი გასაოცარი ტაქტითა და ხერხიანობით მოქმედებდა. უნდობლობისა და ვერაგობის ატმოსფეროში გახვეულ სასახლის კარზე არავინ იყო მისებრ ვერაგი და კაცთმოძულე, მაგრამ ყველას საოცრად დამარწმუნებლად თავს აჩვენებდა, ვითარცა უაღრესად ერთგული, თვინიერი, მორჩილი, მოყვარული და თავდადებული ადამიანი. ზედმიწევნით დახვეწილი ინტრიგების საუფლოში საჟურისი ჩანდა მხოლოდ როგორც მაჰმადის რჯულის მიმდევართაგან უპირველესი მოგვი-ფანატიკოსი და ხელმწიფის მრჩეველ-ვეზირთაგან — უერთგულესი და უნიჭიერესი კარისკაცი.

რომაელმა სარდალმა კვინტუს ცეცილიუს მეტელუსმა თქვა: „მე ჩემს ტუნიკასაც დავწვავ, თუ შევიტყობ, რომ მან ჩემი გეგმები იცის". მისგვარადვე უთქვამს მუჰამედს (ვინც აიღო კონსტანტინოპოლი): „ჩემს წვერში ერთი ღერიც რომ აღმოჩნდებოდეს ჩემი საიდუმლოს მცოდნე, მთელს წვერს დავიგლეჯდი!" უფრო დამაჯერებლად თქმის უფლება ჰქონდა აღა-მაჰმად-ხანს: მის ნამლევა სხეულში ხომ მსოფლიო სიძულვილი და შურისგება, კაცთა მოდგმის ამოსაგდებად, საოცარი თავშეკავებულობითა და შენიღბულობით იყო ჩასახლებული. არავითარი გამჟღავნება, — თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის ერთადერთ საქციელს: ქერიმ-ხანის სატახტო დარბაზში, აუდიენციების დროს, გაბოროტებული საჟურისი წამოსასხამის შიგნით მალულ პატარა დანას იღებდა და ძვირფას ხალიჩებს იდუმალ ჭრიდა და ფლეთდა, მაგრამ ამასაც ვერასოდეს ვერავინ შეიტყობდა, რომ შემდგომ, ჟამსა ხელმწიფობისა, თვითონ არ ეთქვა აღა-მაჰმად-ხანს; ამას იტყოდა თავის ამალაში და ზედვე დასძენდა: სულელი ვიყავი, როცა ამას ჩავდიოდი, რადგან ვერ გამითვალისწინებია, ბოლოს და ბოლოს მე უნდა გავმხდარიყავი პატრონი ამ დაჭრილი ხალიჩებისა.

1779 წელს ქერიმ-ხან ზენდი მოკვდა და ატყდა საშინელი ხოცვა-ჟლეტა მის მემკვიდრეთა შორის. საჭურისისათვის არავის ეცალა და ამანაც ექვსი ერთგული კაცის თანხლებით, ღამით, იდუმალ, სასახლიდან გაქუსლა. შირაზიდან თეირანამდე შეუსვენებელი ჭენებით მივიდა. აქ მაზანდარანელი ყაჯარები შემოეგებნენ და თავის მბრძანებლად გამოაცხადეს. საჭურისს ძმები და ბიძაშვილები ჰყავდა; იმათაც მოსურვებიათ ირანის შაჰინ-შაჰობა. ატყდა მათ შორის ცილობა, მტრობა, ბრძოლა და სისხლის თხევა.

აღა-მაჰმადი ამ საშინელ კაცთა-ხოცვაში მუდამ პირველი იყო სიმამაცით, სიკვდილისადმი გულგრილობით, ნიჭიერებით, ხერხიანობით, ცბიერებით, მუხანათობით, დაუნდობლობთ, შეუბრალებლობით.

ჩრდილოეთსა და სამხრეთ ირანში საშინელი „საპრიზო ბრძოლა“ მიმდინარეობდა. „პრიზი“ იყო ირანის ტახტ-გვირგვინი. ჩრდილოეთში ყაჯარები ჟლეტდნენ ერთმანეთს, სამხრეთში — ზენდები. „ფინალში“ გავიდნენ აღა-მაჰმად-ხან ყაჯარი და ლუთფ-ალი-ხან-ზენდი.

ეს ამბები მაშინ ხდებოდა, როცა ერეკლეს იმერეთის შემოერთებაზე უარი ჰქონდა ნათქვამი და თავისი ქართლ-კახეთიც უკვე საუფლისწულოებად დარიგებული.

აღა-მაჰმადმა, მას შემდეგ, რაც დაიპყრო მთელი მაზანდარანი, თალიში, სამხრეთ აზერბაიჯანი, ისფაჰანი და შირაზი, მთელი ძალები დასძრა ქალაქ ქერმანისაკენ, სადაც გამაგრებული იყო ლუთფ-ალი-ხანი. დიდხანს ქერმანი მედგრად იგერიებდა ყაჯართა იერიშებს; მერე ციხე შიგნიდან გატყდა; მოღალატეებმა და შეთქმულებმა მტერს კარი გაუღეს და ლუთფ-ალი-ხანსაც ბორკილები დაადეს. აღა-მაჰმადმა მეტოქეს ჯერ საკუთარი ხელით თვალები გამოსთხარა, მერე წამებით სული ამოჰხადა. გაბოროტებულმა საჭურისმა ქერმანის მცხოვრებნი სასტიკად ააწიოკა. მისი ბრძანებით სიკვდილს გადარჩენილი ყველა მამაკაცი დააბრმავეს, — ოცდათასი წყვილი თვალი საშინელ მბრძანებელს წინ დაულაგეს; ქალები აღა-მაჰმად-ხანის მეომრებმა, მისივე ნებით, დაიტაცეს და ხასებად გაიხადეს.

ირანი თურქული მოდგმის ყაჯართა დინასტიის ქვეშ მოექცა. აღა-მაჰმად-ხანმა სამეფო ტახტი თეირანში დაიდგა და ბოროტი მზერა კავკასიისკენ გამართა.

ამ დროს იგი ორმოცდაათ წელს გადაბიჯებული „ვაჟკაცი“ იყო ტანად ისევ „კვახში ჩასასმელი“, გულად — მსოფლიო მძულ-

ვარება, გონებად — სატანური ცბიერება, ქოსა სახე — ოთხმოცდაათი წლის დედაბრის მიხრწნილება, ხოლო თვალები — გველის მსგავსად უძრავნი და გვესით აღსავსე.

ვაი, მას, ვისაც ცნობისწადილი წაძლევდა და მის საარაკო სიმახინჯეს თვალს დააშტერებდა; ის თვალი იქვე დაიშრიტებოდა. სწორედ ასეთი „ცნობისმოყვარეობისათვის“ დაჰკარგა თვალთა სინათლე მისმა ერთგულმა მცველმა, რომელმაც ადრე თავისი მბრძანებელი აშკარა სიკვდილს გადაარჩინა.

იყო ძუნწი და ანგარი, მაგრამ არ უყვარდა ფუფუნება. ვიღაცას ყურების დაჭრა მიუსაჯა და შეიტყო, რომ დასასჯელად განწირული ჯალათს ევედრებოდა, ყურები სანახევროდ დამინარჩუნე და დიდ ფულს გაჩუქებო. შაჰმა ის კაცი მოიხმო, ორმაგი ქრთამი გამოართვა და ყურები მთლიანად დაუნარჩუნა.

ასედაც მოხდა, რომ ფულისმოყვარე აღა-მაჰმად-ხანი ვიღაც დერვიშს შეუთანხმდა — ჩემს კარისკაცებს ფული გამოვტყუოთ და თანაბრად გავინაწილოთო. პირობისამებრ, ერთ დღეს შაჰთან, მისი ბრძანებით, ვითომდა სახელმწიფო საქმეთათვის, მრავალრიცხოვანი სასახლის კამარილია შეიყარა. დაკონკილ-დაძონძილი დერვიშიც ვითომ შემთხვევით გამოცხადდა. შაჰმა საჯაროდ შეიბრალა დერვიში, სალაროდან ფულის გაცემა ბრძანა და თან იქ დამსწრეთ მიმართა: აბა, ვინ მეტს გაიღებს საბრალო დერვიშისათვისო. შაჰის მრისხანებით დაშინებულმა და მაამებლების ხროვად ქცეულმა კარისკაცებმა ერთიმეორის ჯიბრზე უხვი საბოძვარი გაიღეს. დერვიში აუარებელი ოქრო-ვერცხლით დაიტვირთა (თუმცა პირობა არ შეასრულა, ღამით იდუმალ გაუჩინარდა და ხარბი ხელმწიფე ასე გაცრუებული მშრალზე დააგდო).

ასეთი სულის ხელმწიფეს მართლაც შეეძლო დაცარიელებული ხაზინა სწრაფად შეევსო და გაემდიდრებინა. ისედაც, ის ხომ უთვალავ აღმოსავლელ ხელმწიფეთაგან ერთადერთი იყო, რომელსაც არაფერი დაეხარჯებოდა უთავეამო ნადიმობაში, ქეიფ-ღრეობაში და ჰარამხანულ ტრფიალებაში. მისი მშრალი და მჭკნარი სხეულისათვის უცხო იყო ყოველგვარი სიამენი ამქვეყნიურნი.

მაშ, ირანის ტახტზე იქედნე იჯდა და კავკასიისკენ მოეპყრო მზერა!

საბედისწერო წლის დასაწყისი

„თუ განრისხება შეეუღლა მათ ბოროტ ნებას,
მაშინ ისინი დაგვესხმიან უთუოდ თავზე
მეტ გააფთრებით, ეიღრე ესხმის ქოფაკი ქურციკს“.

დანტე

აღა-მაჰმად-ხანს საქართველო ჯერ თავის თვალით არ მოეხილა, მაგრამ იცოდა, რა სამოთხეც გადაშლილიყო შავი ზღვიდან აზერბაიჯანამდე. იგი ხმალდახმალ ჯერ ქართველობას არ შეხვედრია, მაგრამ იცოდა, რა თავზეხელაღებული ვაჟკაცები უდგნენ დარაჯად თავის მიწა-წყალს. არც ერეკლეს შეხვედრია პირისპირ სადმე, მაგრამ იცოდა, ევროპისა და აზიის შესაყარში ხელმწიფობდა ხელმწიფეთაგან უმამაცესი.

აღა-მაჰმადმა სვეგამწარებულ ბავშვობიდანვე იცოდა, რომ ძალიან შორს, ჩრდილოეთით ძლიერი „თეთრი ხელმწიფე“ იჯდა, ხოლო მის უზარმაზარ სამბრძანებლოთა სამხრეთით, კავკასიონს გადმოღმა, საარაკო სიმამაცის მქონე ქრისტიანი მეფე ზედიზედ ამარცხებდა ალაჰისა და მაჰმადის ურიცხვ ურდოებს. ქერიმ-ხანის დროს მოედო მთელს ირანს ეს უცნაური ამბავი:

ქერიმ-ხანმა საქართველოში ელჩები გაგზავნა და ერეკლეს ხარკად თორმეტი წყვილი ქალ-ვაჟი მოსთხოვა, მაგრამ უმშვენიერეს ქართველ ქალ-ვაჟთა ნაცვლად ირანის მბრძანებელმა ქართველი მეფისაგან ასეთი პასუხი მიიღო:

„მე ქერიმ-ხანი რას მომატყუებს, როცა თვითონ ეშმაკზე ერთი დღით ადრე ვარ დაბადებული“.

საპურისი ფიქრობდა ერეკლეზე — უცნაურ, საინტერესო და საშიშ ქრისტიან მეფეზე, მით უფრო, რომ მისთვის დიდ ჩრდილოელ ხელმწიფესაც დახმარების აღთქმა მიუცია. — ვინ იცის. რა უდევთ გულში „გიაურ ხელმწიფეებს“; უეჭველად კასპიაზე გაბატონება; იქნებ ირანის დაპყრობაც.

ძალიან ბევრს ფიქრობდა საპურისი, — ფიქრობდა, ოცნებობდა, მსჯელობდა, ზომავდა და სჭრიდა, და ეთათბირებოდა მხოლოდ ერთადერთს, ისევ თავისთავს...

მერე, როცა ქერიმ-ხანი მოკვდა და აღა-მაჰმად-ხანმა ირანის ტახტისათვის ბრძოლა დაიწყო, მაშინ უფრო საფიქრალი გახდა ქართველთა მეფესთან და მის „მფარველ“ რუსთა ხელმწიფესთან ურთიერთობის საკითხი. ჯერჯერობით მას, ირანის ხელმწიფობაში მხოლოდ ცალი ფეხით მდგარს, ყველაზე საშიშ ქრისტიან ხელმწიფეთა თუ „მეგობრობა“ არა, ირანის საქმეებში ჩაურევლობისათვის იქნებ მაინც მიეღწია.

და აი, აღა-მაჰმად-ხანმა, 1786 წელს, თეირანიდან შირაზზე გალაშქრების წინ, ერეკლეს შემოუთვალა:

„მე თქვენთან დიდის დოსტობის და მეგობრობის მონდომე ვარ: მსურს, რომ მე და შენს შორის სიყვარული და მეგობრობა იყოს... სამფლობელოდ და სამეკვიდრეოდ მიიღეთ ადირბეჟანის მიწა-წყალი ისე, ვითარმედ აქამდე გიჭირავთ ერევანი“.

ერეკლეს უკვე ჰქონდა ცნობები ირანის ხელმწიფობის ახალ პრეტენდენტზე. იქნებ კიდევაც ერთმანეთს სადმე შეხვედროდნენ ნადირ-შაჰის კარზე უმამაცეს და უნიჭიერესად აღიარებული ახალგაზრდა ქართველი ბატონიშვილი და სახემწნარი ყმაწვილი საჭურისი, მაგრამ სპარსელთა სასახლეში საჭურისებს და ამანათ-მძევლებს ვინ მოთვლიდა. ახლა კი ერეკლე კარგად ჰხედავს, იმ უთვალავ კაცთმოძულე ლანდთაგან როგორი საფრთხე ამოიმართა.

ეს ბაცი ახლა ერეკლეს „დოსტობას“ სთხოვს, სიყვარულსა და მეგობრობას აძალებს, აზერბაიჯანის დაპყრობის დასტურს აძლევს და სომხეთზე მისი უფლებების „აღიარებასაც“ აღუთქვამს.

მაგრამ აღა-მაჰმად-ხანს დავიწყნია, რომ ერეკლე „ეშმაკზე ერთი დღით ადრეა დაბადებული“. სპარსელთა „დოსტობა“ ისევე ცნობილია ქართველთათვის, როგორც „ფინიკიური ერთგულება“ რომაელთათვის. მალე გამჟღავნდა კიდეც. აღა-მაჰმად-ხანმა პირველი „დოსტობის“ შემოთავაზებას, მეორე სამოციქულოც თან მოადევნა. იგი ერეკლეს სთხოვდა, ეშუამდგომლა რუსეთის მაშინდელ ხელმწიფესთან, ეკატერინე მეორესთან, სპარსეთ-თურქეთს შორის გართულებული მდგომარეობის გამოსწორებისა და ურთიერთმეგობრობის გამართვის საქმეში.

მაგრამ ვერავინ შეარყევს ერეკლეს რწმენას: ყველაფერი ეს ცბიერ საჭურისს სჯერდება ისევ და ისევ დროებით, სანამ მას ზენდები ჯერ სავსებით ვერ დაუმარცხებია და ირანის ტახტზედაც ორივე ფეხით ვერ მომაგრებულა.

საჭურისის „დოსტობა“ კი არა და, ქართველ მეფეს უფრო დიდი გეგმა აქვს: ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ჯარებით მან უნდა დაიპყროს თვითონ იგი, ქართველთა და ამიერ-კავკასიის სხვა ხალხთა მარადიული წამების წყარო — სრულიად ირანი.

ერეკლე ეკატერინე დედოფალს სწერდა:

სპარსეთი, — ევროპისა და სომხეთის უპირველესი მტერი, — ახლა ისეა დასუსტებული და უთავბოლოდ დაქუცმაცებული, თუ თქვენი უმაღლესობა ინებებს და ერთ მცირე კორპუსს გამოგზავნის, მთელი სპარსეთი თქვენი ძალაუფლების ქვეშ მოექცევა.

მაშ, ერეკლეს ისევ და ისევ რუსეთის ხელისუფლების იმედი ჰქონდა. იგი არა მარტო უბრალოდ დახმარებას მოელოდა, არამედ რუსეთთან შეერთებით საქართველოს მარადიულ მტერთა სამკვიდრებლის დაპყრობაზეც კი სერიოზულად ფიქრობდა.

მაგრამ დადგა 1794 წელი. აღა-მაჰმად-ხანმა უკანასკნელი მეტოქე, ლუთფ-ალი-ხანიც გაანადგურა და ირანის ერთპიროვნული მბრძანებელიც გახდა.

ერეკლეს არც ის გამოჰპარვია, რომ აღა-მაჰმად-ხანმა ტახტზე დაჯდომისთანავე მიზანში საქართველო ამოიღო. მეფემ ორჯერ აფრინა ელჩი რუსთა მთავრობისაკენ და ჯარი ითხოვა, მაგრამ მისი თხოვნა ორჯერვე უპასუხოდ დარჩა.

ერეკლე რუსეთის დახმარების რწმენას ერთი წუთითაც არ ჰკარგავს.

დადგა 1795 წელი.

აღა-მაჰმად-ხანი ადრიან გაზაფხულზე. თავრიზს მოვიდა და საომარ ძალთა შეყრას შეუდგა.

უსისხლოდ საფრთხის აცილება შეუძლებელი იყო. მაისში ერეკლემ გარსევან ამილახვარი სასწრაფოდ აფრინა გენერალ გუდოვიჩთან. მეფე მხოლოდ სამი ათას მეომარს სთხოვდა რუს გენერალს. მაგრამ გუდოვიჩი ტოტლებენზე ნაკლები გონებაბრჯგუ და გულდრკუ როდი იყო. ჯერ იყო და, დიდხანს ვერ გაიგო, რა სურდა ქართველ მეფეს; მერე, როცა ასე თუ ისე გაიგო, ჯარის მიცემაზე თვითონ გადაჭრით უარი თქვა და პასუხის მისაღებად ქართველი ელჩი პეტერბურგში გაგზავნა.

კიდევ სამი თვის განმავლობაში — მაისიდან სექტემბრამდე — საოცარი მოთმინებისა და თავშეკავების მქონე გარსევან ჭავჭავაძე ამაოდ ახლიდა დიპლომატიურ კვერთხს პეტერბურგის სასახლის კარს:

„სპარსეთის ახლანდელი მბრძანებელი, აღა-მაჰმად-ხანი, საქართველოზე თავდასასხმელად ემზადება. ჩემი თანამდებობისამებრ უმდაბლესად გთხოვთ, გვაუწყოთ: ინებებს თუ არა რუსეთის უმაღლესი კარი ტრაქტატით გათვალისწინებული დახმარებისა და მფარველობის აღმოჩენას. ვთხოვ თქვენს ბრწყინვალებას, სწრაფად მომცეთ პასუხი. ჩვენ ახლა უკიდურესად გვჭირდება ამის ცოდნა“.

სამი თვის განმავლობაში ერეკლე კვლავ ამაოდ, მაგრამ მაინც გასაოცარი დაჯერებით და დაჟინებით გასცქეროდა ჩრდილოეთს.

ხოლო ამასობაში...

ხოლო ამასობაში საჭურისმა თავრიზსა და არდებილში 70 000 მეომარს მოუყარა თავი. ეს იყო თოფებით, ფარ-შუბებითა და იატაგანებით აღჭურვილი ცხენოსანთა ურდო, რომელსაც თან ახლდა თუჯის ზარბაზნები, აქლემებზე აკიდებული ფალკონეტები, ზამბურაკები და სხვა საჭურველითა და სურსათით დატვირთული მრავალრიცხოვანი აღალ-ფორანი.

საომარ ძალთა შეყრის პარალელურად, აღა-მაჰმადი აზერბაიჯან-დაღესტნის მმართველ ხანებს სოჰბეთ-ესაულებს უგზავნიდა, მორჩილებასა და ამანათ-მძევლებს მოითხოვდა, ხოლო ურჩობისა თუ ყოყმანისათვის აოხრებითა და დედა-ბუდიან ამოწყვეტით იმუქრებოდა.

ყველაზე ადრე ერეკლეს უღალატა და აღა-მაჰმად-ხანს მიემხრო განჯის ხანი ჯავათი, თბილისში გაზრდილი, უფლისწულ გიორგისთან მეგობრობით და სიახლოვით ცნობილი. იგი არაქსთან ეახლა და ფეხებში ფიანდაზად გაეფინა შაჰ-საჭურისს. ჯავათ-ხანის გზას დაადგა ირანელთა მრავალრიცხოვანი ძალებით შეშინებული შაქის ხანი. დარუბანდისა და ბაქოს სახანოები, ქართლ-კახეთის მსგავსად, რუსეთის მოიმედენი იყვნენ, მაგრამ მათმა მმართველებმა — დარუბანდელმა შეიხ-ალი-ხანმა და ბაქოელმა ჰუსეინ-ყული-ხანმა — ჩრდილოეთიდან დახმარების ამაო იმედზე ხელი აიღეს და ისინიც აღა-მაჰმად-ხანს დაემორჩილნენ.

საჭურის-მბრძანებელს მორჩილებაზე უარი შემოუთვალეს დაღესტნის ხანებმა, მათ შორის ყველაზე ძლიერმა და გავლენიანმა ომარ-ხანმა, რომელსაც გენერალ გუდოვიჩისაგან ფულიც ჰქონდა მიღებული.

აღა-მაჰმად-ხანთან შეურიგებელი ბრძოლის გზას დაადგა ყარაბაღის ხანი იბრეიმი (ომარ-ხანის სიმამრი), რომელმაც ბოროტი საჭურისის ვერაგობის ამბავი კარგად იცოდა: აღა-მაჰმადმა ადრე მას უმიზეზოდ მოუკლა მძევლად წარგზავნილი ძმისწული. იბრეიმ-ხანს დიდი იმედი ჰქონდა თავისი მიუვალი ციხე-ქალაქისა — შუშისა. ხოლო უფრო დიდი იმედი მას ქართველთა მამაცი მეფისაგან ჰქონდა.

სომხეთის პატრიარქმა ეჩმიაძინიდან აღა-მაჰმად-ხანს 80.000 მანეთი და რვა გირვანქა ოქრო გაუგზავნა. ერეკლეს მორჩილი ერევნის მმართველი მუჰამედ-ხანი ციხეში ჩაიკეტა და ხალხი საომრად გაამზადა.

აღა-მაჰმად-ხანის იასაული თბილისშიც მოვიდა და ერეკლეს ბარათი აახლა: ურჩი ყარაბაღელი ხანის დასასჯელად შუშაზე მივდივარ და შენი ერთ-ერთი შვილის სარდლობით დაუყოვნებლივ ქართველთა ჯარი მომაშველეო.

ეს საჭურისის უკანასკნელი ცდა იყო: ბოლოს და ბოლოს, ირანის მბრძანებლის „დოსტობის“ უარმყოფელი გურჯი ხელმწიფე მოეგებოდა თუ არა გონს და სცნობდა თუ არა თავისი ქვეყნის კისრად ისლამის უღელს?

ერეკლემაც არც აცივა და არც აცხელა, აიღო და აღა-მაჰმად-ხანის ელჩი სატუსაღოში ჩააგდო. მერე, ჯარი მართლაც შეჰყარა და მართლაც უსარდლა თავისი ერთ-ერთი შვილი — ალექსანდრე ბატონიშვილი, მაგრამ გაგზავნა არა აღა-მაჰმადის საყმოდ, არამედ მის წინააღმდეგ, ყარაბაღელთა და ერევნელთა მისაშველებლად.

მაისის ბოლოს აღა-მაჰმად-ხანი თავრიზ-არდებილის ხაზიდან სამ კოლონად დაიძრა. მარცხენა კოლონა თავის ძმებს, ალი-ყული-ხანსა და ჯაფარ-ყული-ხანს ჩააბარა და ერევნისაკენ გაგზავნა; მარჯვენას არდებილის მმართველი ნურ-ალი-ხანი უსარდლა და შირვანის გავლით დაღესტნისაკენ გაუშვა, ხოლო თვითონ საჭურისი ცენტრალური ჯარებით ყარაბაღის მთავარი ციხე-ქალაქის, შუშისაკენ დაიძრა.

იბრეიმ-ხანმა მთელი ყარაბაღი ფეხზე დააყენა. შუშის ციხე-სიმაგრე მედგრად დაუხვდა მტერს. იბრეიმს დიდხანს მაინც არ შეეძლო გამკლავებოდა. სამწლიანი შიმშილობისაგან განაწამებ ქვეყანას ისედაც ძალა არ შესწევდა მტრის დასამარცხებლად. მხოლოდ თარეშული ხასიათის ომით თუ შეძლებდა იბრეიმ-ხანი დროის გაჭიანურებას და მტრის დასუსტებას.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყარაბაღში ქართველთა ჯარის ჩამოსვლამ. ეს ამბავი შუა აგვისტოში მოხდა: ალექსანდრე ბატონიშვილისა და იბრეიმ-ხანის გაერთიანებული ლაშქარი ერთ ვიწრო ხეობაში ირანელთა ძალების 8.000-ან კორპუსს შეება და სასტიკად დაამარცხა, თუმცა ამ ბრძოლას საომარ მსვლელობაში გადამწყვეტი ცვლილებები არ შეუტანია.

აგვისტოც მიიწურა. შუშა და ერევანი დღეს თუ ხვალ უნდა დაცემულიყვნენ.

ერეკლემ, რუსთა დახმარების ურყევი რწმენით აღსავსე იმედთან ერთად, საკუთარი ძალების შეკრებაც დაიწყო. მის მოწოდებაზე იმერეთიდან 2.000 მეომრით გადმოვიდა სოლომონ მეორე.

ამდენივე, თუ ცოტა მეტი თვითონაც შეჰყარა და ასე, დაახლოებით, 4.500 მეომრით ქართველი მეფეები თბილისიდან პირდაპირ ერევნისა და შუშის მისაშველებლად გაეშურნენ.

აგვისტოს ბოლოს ქართველები ყაზახში მივიდნენ. აქვე მათ ხელში ჩაუვარდათ აღა-მაჰმად-ხანის შიკრიკები წერილებით ერევანზე მოიერიშე ჯაფარ-ყულისადმი. შაჰი ძმას სწერდა: ერეკლე მეფე ერევანზე მოდის, გამაგრდით, მეც სულ მალე მანდ გავჩნდები და ქართველებს სულ ერთიანად ამოვყლეტთო. მეორე წერილიდან ისე ჩანდა, რომ აღა-მაჰმად-ხანს ომარ-ხანთან კავშირი შეუკრავს, რათა თბილისზე ირანელთა შეტევის პარალელურად, დაღესტნელთა ყველაზე ძლიერ მბრძანებელს კახეთის მიმართულებით დაეწყო ლაშქრობა. კიდევ სხვა ფირმანით ქართველმა მეფეებმა შეიტყვეს, რომ აღა-მაჰმად-ხანს კავშირი გაუბამს ჭარ-ბელაქანის ლეკებთან, ყოველი მათგანისათვის 100 მანეთი აღუთქვამს და ისინიც კახეთიდან შემოტევაზე დაუთანხმებია.

ყველა ეს წერილი აღა-მაჰმად-ხანის ნაყალბევი იყო ერეკლეს მოსატყუებლად.

ირანელებს ქართველთაგან ყველაზე მეტად კახელებისა ეშინოდათ და ამიტომ შესაძლოა, აღა-მაჰმად-ხანის ყველა ეს წერილი ერეკლეს გასაბრიყვებლად შეეთხზა, — რამეთუ ქართველ მეფეს სპარსელთა ზარდამცემი კახთა ლაშქარი საომრად ამდგარ ლეკთა საზღვრებზე დაებანდებინა და ამდენად აღა-მაჰმად-ხანიც თბილისის კარიბჭეს უფრო თამამი ნაბიჯებით მისდგომოდა.

მაგრამ ასე იყო თუ ისე, ერეკლე აშკარა, უმძიმესი ფაქტების პირისპირ აღმოჩნდა: აღა-მაჰმად-ხანმა მცირეოდენი ჯარი ყარაბაღში შუშის ასაღებად დატოვა, მისმა ძმებმა მუჰამედ ერევნელს იარაღი დააყრევინეს, „ამანათად“ ცოლ-შვილიც ჩამოართვეს და ძირითადი ძალებით აღა-მაჰმად-ხანს შეუერთდნენ.

მით უფრო არავითარ ეჭვს არ იწვევდა თვით იბრეიმ-ხან-ყარაბაღელის წერილი, რომელმაც შუშიდან საგანგებო მალემსრბოლი ყაზახში აახლა ერეკლეს:

„ამით, პატივისცემით, თქვენი სიმაღლის სახელოვან პიროვნებას. მოვახსენებ, რომ აღა-მაჰმად-ხანის ლაშქარი არტილერიით საქართველოსაკენ დაიძრა; თვით აღა-მაჰმად-ხანიც მაქეთ მოემართება. ამ შემთხვეულობის გამო სათანადო სიფრთხილის გარეშე არ დარჩებით. ღვთის შემწეობის იმედით კვლავაც არ შეუშინდებით. ზეპირი მოხსენებით უფრო დაწვრილებით ამ წერილის მომრთმევი

გაუწყებთ ყოველივეს. თქვენო სიმაღლევ! ამასთანავე გთხოვთ ჩემი საქმის შესახებ ყოველივე წერილობით მაუწყოთ“.

ერეცლემ ყველა წერილი, მტრისაც და მოყვრისაც, სასწრაფოდ რუსეთში გაგზავნა და ისევ სასწრაფო დახმარება შეახსენა სანკტ-პეტერბურგს.

ხოლო თვით აღა-მაჰმად-ხანი 35.000-ანი არმიით საქართველოსაკენ მოჰქროდა.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

პ რ წ ა ნ ი ს ი

„რა სტანჯავს შენს გულს, მითხარი, მეფევ,
მოკედავთა შორის ეინმეს პყავს განა
შენებრ მამაცი, მძლავრი მხედრობა?“

ბ ა ტ ქ ი ლ ი დ ე

შვიდი სექტემბერი

„რა ერთსა გცემდნენ ათასნი,
ეგრემცა მოგერევიან“.

რ უ ს თ ა ვ ე ლ ი

ოთხ სექტემბერს ქართველები ყაზახიდან გამობრუნდნენ. ერეკლემ „გატეხილ ხიდთან“ ჯარის მცირე ნაწილი დატოვა, ხოლო დანარჩენები, სოლომონთან ერთად, სოღანლუღში მოიყვანა.

შვიდ სექტემბერს ერეკლემ სამხედრო თათბირი შეჰყარა და გამოირკვა უსაშინელესი რამ: მეფის მალემსრბოლებს მთელი ქართლ-კახეთი მოევლოთ და... საომარი დროშის ქვეშ 2.500 კაცზე მეტი არ შეგროვილიყო! ხოლო, გავიხსენოთ, რომ იოანე მუხრან-ბატონს ქუთაისში სოლომონის მხარდასაჭერად, უბრალო ამალად 4.000 ქართლ-კახელი მეომარი ახლდა. მართლაც ზღაპრად ჩანს ზოგ წყაროში ნათქვამი, — ვითომ ერეკლეს აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ 100.000-მდე ჯარისკაცის (ლეკებთან ერთად) შეგროვების იმედი ჰქონდაო, — მაგრამ სულ მცირე, 20.000 მაინც უნდა შეკრებილიყო, თუნდაც მხოლოდ ის ოცი ათასი, რომელიც შემდგომ, აღჭურვილ ძალად, ცრემლისთხევით, თავს ადგა უკვე მკვდარი პატარა კახის კუბოს. ვითომ ლეკების შიშითაო, მაგრამ სულ ტყუილია: მთელი ამ ომის მანძილზე არსად ლეკი არ განძრეულა ქართველთა

წინააღმდეგ. პირიქით, უფრო აღა-მაჰმად-ხანის სამტროდ იწევდნენ ლეკები. ირანელთა არმიის მარჯვენა კოლონაც დაღესტნისაკენ იმიტომ მიეშურებოდა, რომ ლეკთა ძალები ადგილზე დაეჭირა, რამეთუ მათ ხელი არ შეეშალათ თბილისისაკენ მიმქროლავ აღა-მაჰმად-ხანისათის. ყოველი შეტაკების დროს აღა-მაჰმად-ხანს და მის თანამოლაშქრე ჯავათ-ხან განჯელს ქართველთა გვერდით ლეკები ელანდებოდათ. ლეკებს ქართული საზღვრებისათვის ხელი არ უხლიათ შემდგომ, კრწანისის ტრაგედიით მუხლმოკვეთილობის ჟამსაც კი; ხოლო საქართველოზე მტრად გადაკიდებული განჯის სახანო სასტიკად ააოხრეს და ააწიოკეს ლეკებმა.

ერთი სიტყვით, ტახტის მემკვიდრე გიორგი ბატონიშილი კახეთში უქმად იჯდა და მძლავრი ქართული ორგანიზმის მარჯვენა მხარმკლავი, მტერთა მზარავი კახთა ლაშქარი, გულში მახვილმოღერებული ქართული სატახტოსკენ ზურგშექცევით იდგა.

დარეჯან დედოფალიც ხელს უშლიდა გიორგის გამოჩენას საომარ ველზე, რაკი მას „არა ენება, რათა მეფის ძისა გიორგისა დროშა პირველობდეს სამეფოში“.

ამიტომაც „იყო ფრიად მწუხარე მეფე ირაკლი დიდად სიმცირისათვის სპათასა“...

საჭურისი კი მოდიოდა უზარმაზარი არმიით. იგი ოთხ სექტემბერს განჯიდან გამოვიდა. ხუთ სექტემბერს ყაზახში შემოვიდა, ექვს სექტემბერს მდინარე აღსტაფის პირზე ყაზახის, შამშადილისა და ბორჩალოს თავკაცები შეკრიბა და სიტყვით მიმართა: გავანადგუროთ და მონობის ბორკილი დავადოთ ისლამის შეურაცხმყოფელთ, მათგან ყველაზე ძლიერ ქართველებს; ბოლოს და ბოლოს, რა გახდა ეს ერთი მუჭა ქართველობა; მივიდეთ, მივესიოთ და ისე დავშალოთ, ვითარცა კალატოზნი დაშლიან ხოლმე დაძველებულ-დამპალ შენობას!

მოდიოდა აღა-მაჰმად-ხანი. მეგზურად მოუძღოდა „კავკასიელი ეფიალტე“ — იაკობ ბებუთოვი. მას გვერდში უდგა ჯავათ-ხან განჯელი, თბილისში გაზრდილი და უფლისწულ გიორგის მეგობარყოფილი.

მოდიოდნენ უაღრესი სიფრთხილითა და დაკვირვებულობით, რადგან ყველამ და ყველაზე მეტად თვითონ ხოჯა-შაჰმა და მისმა მეგზურებმა იცოდნენ სიქველე და სიკისკასე ქართველთა, ლომგულოვნება და ხერხიანობა მრავალთ მრავალი გამარჯვებებით განებივრებული მათი ხელმწიფისა.

შვიდ სექტემბრის დილას ირანელთა მეწინავე ჯარი „გატეხილ ხიდს“ მოადგა.

აქ ხომ ქართველთა მცირე რაზმი იდგა ერეკლესაგან დატოვებული.

ქართველები გააფთრებით ეკვეთნენ მტერს. საშინელი ჩეხვა რამდენიმე საათს გაგრძელდა. ასიოდე კაცის გასაოცარმა შემმართებლობამ ერთბაშად შეაგუბა ირანელთა მეწინავე ათასეულის მდინარება, მაგრამ ყიზილბაშთა ახალ-ახალი ათასეულები უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ. ბოლოს მოახლოვდა თვით აღა-მაჰმად-ხანი თავისი რჩეული გვარდიით, უერთგულესი თარაქამული კორპუსებით.

განახევრებულმა ქართულმა რაზმმა გაცლა ამჯობინა, ხოლო ამ პირველი შეტაკების ადგილზე ორმოცდაათამდე მოკლული და მძიმედ დაჭრილი ქართველი დარჩა.

დაღამდა.

ალგეთის ხევში დაბანაკებულმა ირანელებმა მთელი ღამე შიშსა და ძრწოლაში გაატარეს, — „ერეკლე ხანის" უეცარ თავდასხმას ელოდნენ. აღა-მაჰმად-ხანის საგანგებო მზვერავნი ოთხივე მხრიდან თვალმოუხუჭავად და მუხლჩაუმქრალად უვლიდნენ ბანაკს.

ის ღამეც გასრულდა.

რვა სექტემბერი

„ისინი სიკვდილს დაეძებდნენ სარკენალ ველზე...
მათ ძვლებს მარმარი არ ამძიმებთ უბრწყინვალესი;
სიმამაცისთვის გვირგვინი და სამკაული არს ერთაღერთი
— თვით სიმამაცე!"

ანტიპატრე სადონელი.

რვა სექტემბერი კურუმი ჯანღით გათენდა ალგეთის ხეობაში, ხოლო თბილისს კოკისპირული წვიმა და ღვარნაფშვენი დააცხრა თავზე.

შეშფოთებულ, უძილარ და ნერვებაწეწილ ქალაქში ახალი, მოულოდნელი ამბავი გავრცელდა:

დარეჯან დედოფალმა, ოსეფა ყორღანაშვილის მსგავსი ნაცარქექია გულმწიკვლიანი კარისკაცებით გარშემორტყმულმა, თბილისის სასახლე დატოვა და მცხეთა-არაგვის გზით ანანურისკენ გაუტია. მას თან გაჰყვა მისი საფიცარი პირმშო, მისგან მეფედ გამიზნული, იულონ ბატონიშვილი და საოფლით დაავადებული ალექსანდრე ბატონიშვილი.

არავის გაუბედავს ეკითხა, რა უფლებით გაურბოდა იულონ ბატონიშვილი კარს მომდგარ სამამულო ბრძოლას?

დარეჯანის შვილთაგან მხოლოდ ვახტანგი მოდიოდა საარაგვოდან მთიელთა რაზმით, ხოლო მირიანი ისევ რუსეთში იყო და გარსევან ჭავჭავაძესთან ერთად ამაო მოთმინებით და უშედეგო სიბეჯითით აკაკუნებდა სანკტ-პეტერბურგის დიპლომატიური უწყების კარზე.

მეფის ოჯახის წასვლამ საშინელი პანიკა და არევ-დარევა გამოიწვია თბილისის მოსახლეობაში. ამოძრავდნენ და ასისინდნენ ავენანი, პროვოკატორები, მძარცველები, სულმოკლენი, გლისპი-მზაკვარნი, ქვეყნის მეფის მოღალატენი.

ერეკლე სამხედრო ბანაკიდან სასწრაფოდ თბილისში მივიდა და წესრიგი ძლივს აღადგინა.

დილით ადრე, სოღანლუღიდან გასვლის წინ, ერეკლემ ფარეშთუხუცესი გორჯასპი ნათალიშვილი იხმო, თორმეტი რჩეული ვაჟკაცი ჩააბარა და მტრის დასაზვერავად გაგზავნა.

თბილისიდან ოც ვერსზე, იაღლუჯას მთის ფერდობზე, ქართველი მზვერავები მოულოდნელად აღა-მაჰმად-ხანის რჩეულ მრავალრიცხოვან თურქმან ცხენოსანთა რაზმს გადააწყდნენ და უკუქცევის ნაცვლად, ფიცხლავ იერიში მიიტანეს. ირანელები გააოგნა ათიოდე კაცის გასაოცარმა თავზეხელაღებულობამ. თითქოს ყველა მათგანი საგანგებოდ ეძებდა სიკვდილს. განსაკუთრებული სიკისკასით იბრძოდა დავით თარაშვილი. ყველანი გაწყდნენ; მხოლოდ ერთმა სცნო საჭიროდ სიკვდილისაგან თავის გაღწევა, — ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ მეფეს თავის დროზე სცნობოდა მტრის მოახლოება და ადგილსამყოფელი. ეს ერთადერთი იყო თვითონ გორჯასპი ნათალიშვილი, რომელმაც ხმლის უკანასკნელი მოქნევით უახლოესი თურქმანი შუაგანკვეთილი ძირს ჩამოაგდო, მის ცხენს მკვირცხლად მოახტა და სიკვდილის ველიდან გაქუსლა.

ქართველ მეფეებს უკვე ხელთ ჰქონდათ ცნობა მტრის ადგილსამყოფელისა და სალაშქრო გეზის შესახებ.

იმავე რვა სექტემბრის საღამოს ირანელთა მეწინავე ათასეულები სოღანლუღს მოუახლოვდნენ და მის სამხრეთით, სარვანის მინდორზე, სანგრების თხრას შეუდგნენ. მალე აღა-მაჰმად-ხანიც მთელი არმიით, არტილერიითა და აღალით მოვიდა და დაბანაკდა.

მტრის ურდო თბილისიდან ათი კილომეტრის მანძილზე ათევდა ღამეს.

„ძათ ხომ მკლავები საშოშიეე უკაედებოდათ,
უწმინდურების აღსაგეელად წმინდა მიწიდან“.

შ ე ქ ს პ ი რ ი

როგორც კი მტკვრის ხეობას რიეერაე-ნათელმა დაჰკრა, საპურისმა თბილისისკენ ლაშქრობა ბრძანა. ნახევარი საათის სვლის შემდგომ შავნაბადას მთის ძირში ირანელები ქართველთა სანგრებს წააწყდნენ.

ჩასაფრებულებს ერეკლეს შვილიშვილი (გიორგის ძე), მკვირცხლი დავით ბატონიშვილი სარდლობდა. მისი ბრძანებით, ქართველებმა მტერი ჯერ ახლოს მოუშვეს და ტყვია მერეხივით დააყარეს, მერე ხმალამოწვდილნი სანგრებიდან ამოცვივდნენ და ზარდამცემი ყიჟინით მტერს შეებნენ.

ირანელთა პირველი მწკრივი ჩაიკაფა და ჩაწვა. მომდევნო რიგიც შედრკა და უკუიქცა. აღა-მაჰმად-ხანმა ახალი ძალები ჩააბა ბრძოლაში, საშინელი ხელჩართული ჩეხვა ისევ ქართველთა უპირატესობით წარიმართა. ირანელთა მეწინავენი ისევ გარბოდნენ ბრძოლის ხაზიდან. გაცოფებული საპურისი მაღლობზე აიჭრა. მოპირდაპირისკენ გამხმარი, კეწეწი ხელი გაიშვირა და თავისიანებს შესძახა:

„ეგენი არიან ქართველები? მაგ ერთ მუჭა უბედურთ ახლავე მტკვარში გადავყრით!“

მან უკუქცეულებიც მაშინვე ბრძოლას შეუბრუნა და მთელი არმიაც შეტევაზე დასძრა.

თავდავიწყებით ბრძოლას მიცემულმა დავით ბატონიშვილმა ერეკლესაგან ასკაციან მაშველ რაზმთან ერთად ბრძანებაც მიიღო: კონტრშეტევაზე ხელი აეღოთ და დაუყოვნებლივ წინა პოზიციებს დაბრუნებოდნენ. მეფემ კარგად იცოდა, რომ მისთვის ყოველი ასეული მეომრის დაკარგვა უფრო საბედისწერო დანაკლისი იყო, ვიდრე აღა-მაჰმად-ხანისათვის მისი ათასეულების განადგურება.

ქართველებმა კონტრშეტევით მოპოვებული ტერიტორია ნაბიჯ-ნაბიჯ უკანდახევით დასთმეს და კვლავ თავიანთ სანგარ-სიმაგრეებში ჩასაფრდნენ.

შაჰმა ქართველთა სრული ამოჟლეტის ბრძანება გასცა. ირანელები კარგა ხანს საარტილერიო ცეცხლს უშენდნენ ქართველთა სიმაგრეებს. დავით ბატონიშვილის ბანაკი სავსებით დადუმდა. შაჰმა დრო ხელსაყრელად ჩასთვალა და იერიშის ნიშანი მისცა. მა-

შინვე მისი მეწინავე კორპუსები საშინელი ღრიალითა და ღრიანცელით გაქანდნენ კვამლსა და მტვრის ბოლში გახვეული მოწინააღმდეგის ბანაკისაკენ.

მიაღწიეს თუ არა, ისევ ერთბაშად და ერთხმად დაიგრიალეს ქართულმა თოფებმა. ტყვიის წვიმამ მოცელა ირანელთაგან მეწინავენი. სანგრიდან პირველი ამოიჭრა ხმალშემართული დაავით ბატონიშვილი და წამსვე მის გვერდით დანარჩენებიც აღიმართნენ. ქართველები კვლავ თავგანწირვით მიეტევნენ მტერს. ირანელებმა ბრძოლის წინა ხაზზე რამდენიმე ასეული მკვდარი და დაჭრილი დატოვეს და კვლავ უკუიქცნენ. გამარჯვებით გალაღებული ქართველებიც გამოედევნენ, მაგრამ მაშინვე მოვიდა ერეკლეს ფიცხელი ბრძანება: დაუყოვნებლივ ხელი აეღოთ დევნაზე და უკან გამობრუნებულიყვნენ. უეჭველად მეფე შიშობდა, ცბიერ აღა-მაჰმად-ხანს ფართო ველზე არ გაეტყუებინა და თავისი მრავალათასეულიანი არმიით ალყაში არ მოექცია ქართველთა რამდენიმე ასეულიანი ჯარი.

აღა-მაჰმად-ხანმა მესამედ მიიტანა იერიში ქართველთა სიმაგრეებზე. ახლა ბრძოლაში მისი ყველაზე სანდო და ძლიერი თურქმანული რაზმებიც ჩაებნენ.

მესამე შერკინება უაღრესად სასტიკი და სისხლიანი აღმოჩნდა. ქართველებმა პირისპირ შეხვედრაში ისევ სძლიეს რიცხვით უპირატეს მოპირდაპირეს, მაგრამ კონტრიერიში და გამოდევნება კვლავ უაღრესად სახიფათოდ რჩებოდა მცირერიცხოვან მძლეველთათვის.

ის დღეც დასრულდა და ბრძოლაც შეწყდა.

აღა-მაჰმად-ხანმა კვლავ არაფერი იცოდა ერეკლეს საომარ ძალთა შესახებ. არც ის იცოდა, ვის ებრძოდა იგი ამ დღეს, ქართველთა მთელს არმიას, თუ მხოლოდ მის ნაწილს? ან რა ძალა ჰქონდა და რა ამხნევებდა ამ ერთ მუჭა ხალხს, ამ დღეს რომ ასე გავეშებულად მოჰქონდა იერიშები ათჯერ უმეტეს მოპირდაპირის წინააღმდეგ? იქნებ მართლაც სადმე დგას, ანდა უკვე მოეშურება „ერეკლე-ხანის დიდი ლაშქარი?“ ვინ იცის, რამდენი ქართველი და მისი მოკავშირე ჩასაფრებულა ამ კრწანისის უთვალავ ხევხუეებსა და ღრანტეებში? იქნებ ქართველებს მართლაც მხარდამხარ მოჰყვებიან ცქაფი ლეკნი და „თეთრი ურუსნი“?

ათი სექტემბერი

„და მას დღესა შინა იქმნა ძლევაი
გლოვად ყოველთა ერთა“.

წიგნი მეფეთა მეორე

„რატომ არიან ერთნი ასეთი, მეორენი
კი სულ სხვანაირნი, თუ ყველა ისინი
ერთი და იგივე საწყისებიდან არიან
წარმოშობილნი?“

არისტოტელე

იმ ღამით აღა-მაჰმად-ხანმა იდუმალ რამდენიმე ათასეული მეომარი გაგზავნა შავნაბადაზე. სათავეში მათ ჩაუყენა ყარაბაღელი მელიქ-მეჯნუმი, რომელმაც ჯავათ-ხან განჯელისა და იაკობ ბებუთოვის მსგავსად, კარგად იცოდა თბილისიც და მასზე მისასვლელი გზებიც.

მელიქ-მეჯნუმის ამოცანა იყო, დილით ადრე შავნაბადას ფერდობებიდან მოულოდნელად თავს დასხმოდა ქართველთა ლაშქარს და ერთიანად ამოეწყვიტა იგი.

ქართველ მზვერავებს მტრის ძალთა გადაჯგუფება არ გამოჰპარვიათ და ერეკლემაც დაუყოვნებლივ პარალელურ კონტრლონისძიებას მიმართა. დავით ბატონიშვილი ღამით, მტრისგან იდუმალ, წინადღის პოზიციიდან მოხსნა და ერთი ათასეულით და ექვსი ზარბაზნით უკიდურეს მარჯვენა ფლანგზე, შინდის-ტაბახმელასაკენ გაგზავნა, ხოლო შავნაბადას ბოლოში, იგივე წინა დღის ნაომარ ხაზზე, კვლავ დარჩა ქართველთა რამდენიმე ასეული ერეკლეს მეორე შვილიშვილის (ისიც გიორგის ძე), იოანე ბატონიშვილის სარდლობით.

10 სექტემბრის დილა გათენდა.

აღა-მაჰმად-ხანისა და მის ყურმოჭრილ თანასარდალთა აზრით, სწორედ ამ დღეს საბოლოოდ უნდა გამოაშკარავებულიყო „ეშმაკზე ადრე დაბადებული ერეკლე-ხანის“ იდუმალი საომარი ზრახვანი, უნდა გარკვეულიყო, მარტო იყვნენ თუ არა ქართველები და რამდენი იყვნენ, მარტონი თუ მოკავშირეთა ძალებით გამძლავრებულნი. ყველაფერი ეს უნდა შეეტყოთ და იმავე დღესვე მთელი ლაშქრობის ბედიც გადაეწყვიტათ: ან უნდა გაემარჯვნათ, ანდა, თუ ქართველებთან ერთჯერ კიდევ „ქართულ მეომრულ სიგიჟეს“ წაეწყდებოდნენ, როგორმე ნაკლებ ხელმარცხიანად ბრძოლის ველს დროზე გაჰყოლოდნენ და ისედაც არეული ზურგისათვის დროზე მიეხედნათ.

მაშ, გათენდა ორშაბათ-დილა.

მელიქ-მეჯნუმმა თავის ხელქვეით მყოფი ათასეულები თოთხმეტ რაზმად დაჰყო და შავნაბადას ჩრდილო ფერდობიდან დაეშვა, რამეთუ ზურგიდან დასცემოდა მთის ძირში ჩასაფრებულ იოანე ბატონიშვილს. ირანელებმა მდინარე ტაბახმელას ანუ კრწანისის ხევი გადალახეს და ის იყო, შინდის-ოხრახევს მიადგნენ, რომ უეცრად სოფ. ტაბახმელა-შინდისის მხრიდან ზარბაზნებმა დაიგრიალეს. ეს დავით ბატონიშვილი იყო. მალე არტილერიის ცეცხლს ქართველთა მძლავრი ყიჟინა და იერიში მოჰყვა. მელიქ-მეჯნუმს ისღა დარჩენოდა, წინანდელ გეზზე ხელი აეღო და არმია მარცხნივ, იერიშზე მომავალი ქართველი უფლისწულის საპირისპიროდ შეებრუნებინა.

ირანელთა მეწინავე მწკრივები პირველი შებმისთანავე შელეწეს და აჰკუწეს ქართველმა ცხენოსნებმა. მაგრამ მოსალოდნელი იყო, რომ რიცხვით სიმრავლე მაინც თავისას გაიტანდა. ამიტომ ერეკლემ ბრძოლაში იმერთა და ქართლელთა მაშველი რაზმი ჩააბა. ამ მრავალრიცხოვან მარქაფს წინ მოუძღოდნენ დინჯი და ზრდილი ზურაბ წერეთელი, ახოვანი და ზავთიანი ოთარ ამილახვარი, მარდი და ხალისიანი ზაქარია ანდრონიკაშვილი (ლეკთაგან „მიწის მგლად“ წოდებული) და გულზვიადი იოანე მუხრან-ბატონი.

მელიქ-მეჯნუმის არმია ორმხრივი ცეცხლისა და ჩეხვის ქვეშ მოექცა. ირანელთა რიცხობრივმა უპირატესობამ მეომრული უპირატესობა სავსებით დაკარგა. ქართველებმა მათი უმრავლესობა კრწანისის ხევხუვებში ჩახოცეს და ჩაკაფეს.

თვითონ მელიქ-მეჯნუმმა ძლივს გაასწრო მისკენ გაქანებული ბატონიშვილის ხმალს. მან მცირეთა თანხლებით მოახერხა ბრძოლის ველიდან გაქცევა.

ქართველებმა კვლავ გაიმარჯვეს.

ერთჯერ კიდევ დაქანდა ბრძოლის სასწორი საქართველოს მესისხლეთა მარცხით დამძიმებული.

მაშ, საქართველოს მრავალრიცხოვან სისხლთხევათა ჟამსაბრუნავში კიდევ შევიდა ერთი დიდი გამარჯვების დღე — ორშაბათი, 10 სექტემბერი 1795 წლისა.

იმ დღეს ერთი საოცარი კურიოზიც მოხდა. დილით ადრე თბილისიდან ოცდახუთი ყმაწვილი კაცი გავიდა შეთოფ-შეიარაღებული. არავინ იცის, დავალებით, თუ პირადი გადაწყვეტილებით მოისურვეს ვინმე „მოენე ყიზილბაშის“ ხელში ჩაგდება. ისინი შავნაბადას მთაზე ავიდნენ და ფრთხილად გაუყვნენ მტრის ბანაკისკენ. უეცრად ბუჩქებში ცხენს მოჰკრეს თვალი, იქვე ვიღაც მცირე ტანის კაცუნა ჩაცუცქულიყო. მას სპარსულად ეცვა და ზურგით

ჩანდა: ვვერდით სპილენძის ალთაფა ედგა, — ალბათ წყლით სავსე. — რათა თათრული წესით „განწმენდილიყო“. ბიჭები მისკენ გაქანდნენ. კაცუნა ფეხის ხმაზე წამოიჭრა, შარვალზე ხელი იტაცა და მობრუნდა. ქართველებმა წამით თვალი ჰკიდეს მის ბებრულ დუხჭირ სახეს და შიშით ავსებულ გვესიან თვალებს. მან მაშინალურად აიტაცა და მკერდზე აიკრა ალთაფა. წამიერი გარინდება მაშინ დაირღვა, როცა ამ ყვიციანმა ანთარმა უეცრად ბუჩქი იფარა, ცხენისკენ გაიქცა და თან ლოშქრიანი პირით რაღაც სპარსულად დაიხავლა. თბილისელებმა იარაღზე მოივლეს ხელი, მაგრამ მათმა თოფებმა ამაოდ იგრიალეს. სპარსელთა ჯარი თითქოს მიწიდან ამომძვრალიყოს. ქართველი ჭაბუკები უსაზმნოდ შეაკვდნენ ანაზდად მოვარდნილ მტერს.

ასე შემთხვევით გადარჩენილი პოპლიკა-სახიანი ქონდრისკაცი სწორედ აღა-მაჰმად-ხანი იყო. ის ბრძოლის თვალის სადევნებლად ასულიყო შავნაბადაზე. მაგრამ რა? თვითონაც სიცოცხლე კინაღამ დაჰკარგა და მისი წარგზავნილი ჯარებიც ქართველებმა გაანადგურეს. აგერ მესამე დღეა, ბიტორიტი-საჭურისი ქართველებს ხვდება და არც ერთი დღე მის სასიამოდ არც გათენდა და არც დაღამდა. ეს მესამე დღე ხომ მაინც მისთვის აშკარა მარცხი იყო. მერე, ისიც აშკარად ჩანს, რომ ქართველების „ცბიერ ხანს“ ჯერ მთავარი ძალები ბრძოლის ველზე არ გამოუყვანია; თვითონაც ხომ ჯერ არსად გამოჩენილა ეს მუდამ ბრძოლის წინა ხაზზე მოთარეშე ხელმწიფე? უეჭველია, მომავალ დღისათვის რაღაც ძალიან დიდსა და საზიფათოს ამზადებს ქრისტიანთა „ცბიერი ხანი“. არა, ჭეშმარიტად, არ ხერხდება დიდი ნადირ-შაჰის გაზრდილის დამარცხება; აქამდეც ხომ არასოდეს დამარცხებულა. უკან, ზურგშიც, ყარაბაღსა და სომხეთში, ომი ხომ ჯერ არ დაუმთავრებია აღა-მაჰმად-ხანს: ალბათ, ირანშიც შაჰინ-შაჰობის მოსურნენი ოცნებობენ, რამეთუ როგორმე, ალაჰის მადლით და „ქრისტიანი ხანის“ ხელშეწყობით, იხილონ მარცხნაჭამი ყაჯართ ბელადი.

მაშ, აღა-მაჰმად-ხანს ყველა პირობის ძალით, სანამ გვიან არ იყო, უნდა გადაეწყვიტა საქართველოდან წასვლა. ყოველ შემთხვევაში, ეს მისთვის აუცილებელი იყო ჯერჯერობით მაინც.

და აი, მან გადაწყვიტა კიდეც ბანაკი აეყარა და სასწრაფოდ გასცლოდა საქართველოს მარადიულად მომხიბვლელ, მაგრამ მტრისათვის მარადიულად მწარე მიწა-წყალს.

მაგრამ ორშაბათის ეს დღე უცნაური და უეცარი მეტამორფოზების დღედ იქცა. ხოლო უკანასკნელი მეტამორფოზი მაინცდამაინც ქართველთათვის საბედისწერო გამოდგა.

და საქართველოს „ბედის წიგნში“ ამნაირი ჭეშკიანი ფურცელი გადაიშალა.

ეს იყო მორიგი ღალატი.

როცა საქართველოს ისტორიაში სიტყვა ღალატზე ჩამოვარდება, მაშინვე მხოლოდ და მხოლოდ ქართველ თავადებს ამოიღებენ ნიშანში. რა გაეწყობა, — კიდევაც იყვნენ თავადადებულ მამულიშვილ-თავადთა შორის ცალკეული მოღალატენი. მაგრამ ვაი, რომ ხშირ შემთხვევაში წარჩინებულ არისტოკრატთა გვერდით არც მდაბიო პლუტოკრატები აკლებდნენ ხელს. ასეთი ფეხმრუდე და გულმწიკვლიანი ვიგინდარები (განურჩევლად ქართველთა და არაქართველთა) ხელს უშლიდნენ საქართველოში ოდითგანვე მომდინარე ძმობა-მოყვრობის უბრწყინვალეს ტრადიციას. რად ჰღირს ქართველ-სომეხთა ძმობა-მეგობრობა ქართულ მიწაზე დიდ ქართველ ხელმწიფეთა — დავით აღმაშენებლის, გიორგი მესამის, თამარ დედოფლისა და თვით ერეკლეს ხელმწიფობის ჟამს. მრავალი სომეხთაგანი ქართველის გრდემლზე სცემდა უროს და ქართველ ძმათაგანს ხელს უმართავდა საქართველოს მტრის დასალახვრავი ლახვარის გაჭედვაში. ერთად იდგნენ ისინი ქართული საომარი დროშის ქვეშ და ამჯერადაც ერთნაირი უღალატო გულგაუტეხლობით ელოდნენ ხვალინდელ საბედისწერო შეტაკებას მარადიულ საერთო მტერთან.

მაგრამ მრავალათასეულის სასიკეთო საქმეს ერთი-ორი გულბოროტიც ადვილად წაახდენს ხოლმე. თბილისშიც მაშინ, მრავალ ქართველ და სომეხ მოყვასთა შორის, გამოჩნდა ორი — იოსებ ბებუთოვი და არუთინა (არტემა) არარატიანცი. ამათ, თურმე, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შესძლებიათ ხელი შეეშალათ იმ დიდებული იდეისათვის, რასაც ქადაგებდნენ სომეხი განმანთლებლები: იოსებ ემინი, შაჰამირ შაჰამირიანი და მოვსეს ბაგრამიანი.

ეს იყო იდეა ქართველ-სომეხთა ერთიანობისა ერეკლე მეორის ხელმწიფობის ქვეშ. შაჰამირ შაჰამირიანმა ხომ სომეხ-ქართველთა ერთიანი სახელმწიფოს გერბიც გამოუგზავნა ერეკლეს ინდოეთიდან.

მაგრამ დიდ სომეხ მოღვაწეთა დიდებულ იდეათა ნაცვლად შარლატანი მაწანწალას ნაბოროტალი განხორციელდა.

პირველად, 1894 წელს, ჭკვიანმა სომეხმა ეპისკოპოსმა არისტაკე სედრაქიანმა ამხილა არტემა არარატიანცის თაღლითობა და შარლატანობა. ეს ყოფილა ქვეყნიდან ქვეყნად მოხეტიალე შარახვეტია ავანტიურისტი, რომელიც ყოველ ახალ ადგილზე ყველაფერს

იცვლიდა: რჯულსაც, გვარსაც, ტანსაცმელსაც და, ვითარცა გველი, თვალის აფსკსაც კი. კავკასიაში მას ხაჩიკიანცი ერქვა, ასტრახანში— ივანოვი და მოსკოვში — ბოგდანოვი. ხან არტემა იყო, ხან არუთინა. „გულწრფელად არარატიანცი“ ის მხოლოდ თავის განუყრელ სახედართან იყო. სწორედ ამ სახედრისა და საკუთარი თავის გარდა ქვეყანაზე არავინ ჰყვარებია არარატიანცს. ეს ბოროტი მიზანთროპი ერთნაირი სიძულვილით ლანძღავდა სომხებსაც, ქართველებსაც და ლეკებსაც .

და 1795 წლის ავად დამდგარ სექტემბერში მოხდა ის, რაც ხშირად ხდება ბუნებაში: უმწეო და უჩინო მწერმა სასიკვდილოდ დაშხამა ლომი.

არტემ-არუთინ-არარატიანც-ხაჩიკიანც-ივანოვ-ბოგდანოვ-არარატსკიმ ერთნაირი გულგრილობით გაჰყიდა „უცხო“ საქართველოც და „მშობლიური“ სომხეთიც. მან და იოსებ ბებუთოვმა ერთნაირი გულღრძოობით გაჰყიდეს დიდი ერეკლე მეფეც და მაშინდელი თბილისის დიდი მოქალაქე, „საქართველოს მეფის საზანდარი“ სა-ათნოვაც.

ერთი სიტყვით, იოსებ ბებუთოვმა და არტემა არარატიანცმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ერეკლესაგან აღა-მაჰმად-ხანის დატყვევებული ელჩი თბილისის საპატიმროდან გაეპარებინათ, კოჯორ-თელეთის გზა-ბილიკებით გადაეყვანათ და უკვე წასასვლელად გზაზე შემდგარი აღა-მაჰმად-ხანისათვის წარედგინათ.

და ირანის ბოროტმა მბრძანებელმა მოისმინა უაღრესად სასიხარულო ამბავი:

თურმე ერეკლეს ჯარი თითქმის არა ჰყოლია; არც მოკავშირენი სდგომიან გვერდით ერთ მუჭა ქართველებს — არც რუსები, არც ლეკები. ოთხი ათას მეომარსაც ვერ მოითვლიდა ქრისტიანი ხელმწიფე: ამ დღეების შეტაკებაში ქართველებიც ხომ იღუპებოდნენ. ერთი სიტყვით, ქართველთა მეფეს ახლა იმდენი ჯარისკაცი ჰყოლია, რამდენსაც არცერთი უკანასკნელი ირანელი ხელმწიფე ამალადაც არ იკმარებდა.

აღტაცებამ ააჩქროლა საჭურისის უგლიმი გული.

დაფდაფებმა და ზინზილაკებმა ხელახალი დაბანაკების ბრძანება ბუწყეს ირანელთა არმიას.

აღა-მაჰმად-ხანმა სასწრაფოდ შეჰყარა სამხედრო თათბირი.

საქართველოს ბედისწერა მომავალ დღეს უნდა გადაეწყვიტა.

მაშ, კვლავ რისხვით მობრუნდა ისტორიის სისხლიანი ჟამსაბრუნავი საქართველოს ცარგვალზე.

მაგრამ იმ ღამით თბილისში საარაგვოდან ვახტანგ ბატონიშვილი ჩამოვიდა მთიელთა ჯარით.

მათ შორის იყო სამასი არაგველი.

ᲐᲞᲝᲗᲔᲝᲖᲘ

„ეითარ დაეცნეს ძლიერნი და
დაილეწნეს საჭურველნი ბრძოლისანი“

წიგნი მეფეთა მეორე.

„ᲐᲮᲝᲘ, თქვენ არაგველებო, გაუმაძღარნო თმითა“.

ლადო ასათიანი

ათას შვიდას ოთხმოცდათხუთმეტი წლის 11 სექტემბერი, სამშაბათი დღე — ღრუბლიან-ჯანღიანი გათენდა კრწანისის და მტკვრის შესაყარში. ჰაერი დილიდანვე იყო ჩახუთული, ხორშაკიანი.

რიყრაჟისთანავე ერეკლეს ჯარი საომრად ჰყავდა განლაგებული. ძირითადი თალპიონი კრწანისის მიდამოები იყო. მეფემ მოწინავე ლაშქრის მეთაურად იოანე ბატონიშვილი დააყენა, მის შემდგომ, ცენტრში თვითონ დადგა, მტკვარზე მიბჯენილ მარცხენა ფლანგს იოანე მუხრან-ბატონი უსარდლა, მარჯვენა ფლანგზე ზურაბ წერეთელი დააყენა იმერელთა ათასეულით, ხოლო ამათ უკან, ვითარცა სამარქაფო რაზმთა მეთაურები, ერთიმეორის გვერდით მოეწყვნენ ვახტანგ ბატონიშვილი და ოთარ ამილახვარი. სულ უკან თბილისის კარიბჭესთან, ნარიყალასა და მეტეხს შუა, იდგა სოლომონი იმერელთა მეორე ათასეულით. ხოლო მაღლა, ხელმარჯვნივ, ძირითად ძალთაგან დაშორებით, თაბორის მთის ფერდობიდან, ისევ თავისი ნაომარი რაზმითა და არტილერიით, მტკვრის ხეობას გადმოსცქეროდა დავით ბატონიშვილი.

ნარიყალას ციხეზე არტილერიის ნაწილი იდგა გიორგი გურამიშვილის მეთაურობით.

სანამ მტერი გამოჩნდებოდა, მოხუცმა მეფემ თავის ლაშქარს ფლანგიდან ფლანგამდე ჩამოუქროლა და მამაცური მზერითა და ლაზათიანი მხედრული ნავარდით მეომართა გულში ისევ აღანთო საომარი ნაღვერდალი.

მან მცირე ხანს ცხენი შეაყენა თავისი ვაჟიშვილის ვახტანგ ბატონიშვილის გუნდთან. აქ სულ მთიელები იდგნენ. მათ შორის იყო სამასი თუში და ფშავ-ხევსური — სამასი არაგველი გლეხი. წინ შვიდი ძმადშეფიცული ვაჟკაცი იდგა, მკლავი-მკლავ გადაჭდობილი.

მაშ, ესენი არიან სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი

უმამაცეს მთიელ ქართველთა, რომელთა მკლავის შემწეობით ამდენი ბრძოლა მოუგია პატარა კახს — საქართველოს მტერთა ხელხვავიან შემმუსვრელს.

სამასი წყვილი გაუტეხელი არწივული მზერა შეეჭრა ერეკლეს თვალებს. სამასი ვაჟკაცური მკერდი და მხარ-მკლავი ერთ ურყევ-უბზარავ კედლად შეკრულიყო და შეკირულიყო.

და სწორედ მაშინ სამასმა ბაგემ ერთხმად იქუხა სამას მკერდიდან აღმოხდენილი ფიცი, ვაჟკაცური და ლოცვისმაგვარი:

„ვფიცავ მეფეს და საქართველოს, ან გავიმარჯვოთ ან დავიხოცოთ!“

იგრიალეს, წამსვე პირჯვარი გადაისახეს და ხმლებიც იშიშვლეს.

ანდა, იქნებ სწორედ ასე სთქვეს არაგველებმა ეს წმინდა ფიცი, როგორც იგი წარმოიდგინა დიდმა გრიგოლ ორბელიანმა:

„თუ გაგვიწყრება ღმერთი და ვერა განვსდევნეთ
მტრის ძალი,
იყოს შერცხვენილ, ვინც ჩვენგან შინა წავიდეს
ცოცხალი!“
და გარდიწერეს პირს-ჯვარი... ვაჟკაცებრ
ხმალი იშიშვლეს...“

არავინ გვამცნობს, რა უპასუხა მოხუცებულმა პატარა კახმა არაგველთა გულმხურვალე ფიცს. დასაჯერია, რომ მის თვალებს სიხარულით და მადლით სავსე ცრემლი მოადგა. სარწმუნოა, რომ სამასივე სათითაოდ მკერდში ჩაიკრა და ყოველ მათგანს მტერთან საომრად გადადგმული ყოველი ნაბიჯი მამაშვილურად დაულოცა. სხვა არა იყოს, იმ წინა შვიდეულ-ძმადნაფიცართა გადახვევას მაინც მოასწრებდა.

„ან გამარჯვება, ან სიკვდილი!“

ვინ მოთვლის, რამდენჯერ მოუსმენია ბრძოლაში დაბერებულ ხელმწიფეს ეს საოცარი, ჟრუანტელის მომგვრელი და საომარი ცეცხლისმომდები შეძახილი, შეფიცვა, თუ შელოცვა. რამდენჯერ!

ხოლო რამდენჯერაც მოუსმენია, იმდენჯერაც გაუმარჯვნია! სწორედ იმდენჯერ ამ შეძახილის პირველ სიტყვას — „გამარჯვებას“ — გაუმარჯვნია, ხოლო მეორე — „სიკვდილი“ — იმდენჯერვე დამარცხებულა!

და რაღა დღეს, ქრისტეს აქეთ 1795 წლის 11 სექტემბერს, სამშაბათ დღეს, დამარცხდება „გამარჯვება“ და გაიმარჯვებს „სიკვდილი“?... რაღა დღეს?... ნუთუ დღეს?.. იქნებ...

წუთიერი დუმილი სიმღერის, ზურნის, ჭიანურისა და ბარბით დაირის ხმამ გაარღვია. თბილისიდან თბილისელ მოქალაქეთა შე-

იარაღებული რაზმი მოეშურებოდა. ერეკლემ იცნო რაზმის წინამძღოლი. ეს იყო დავით მაჩაბელი, „წარჩინებული მესაკრავე და მსახიობი მეფისა, მუსიკი და კომედიანტი“.

მოდიოდა დავით მაჩაბელი, ბარბითსა სცემდა და მოიმღეროდა. ამ სიმღერას შადიანი ერქვა —მხიარული, დარდიმანდული, ხალისიანი და ზეაღმტაცი სიმღერა, სალხინო-საქორწინოც და საომარ-ცეცხლოვანიც. მისამღერში საოცარი ზავთით ისმოდა:

„სახელოვანი სიკვდილისათვის!“

ოსან-მომღერალი დავით მაჩაბელიც თავისი რაზმით არაგველების გვერდით დადგა.

მაშ, — „ან გავიმარჯვოთ, ან დავიხოცოთ!“

მაშ, — ვიომოთ გამარჯვებისათის, ან „სახელოვანი სიკვდილისათვის!“

მაშ, მოემზადეთ, ქართველებო!

მტერი მოდის!

ჰოი, ქართველნო!

გფარავდეთ დროშა გორგასლიან-დავითიან-თამარიანი!

მტერი გამოჩნდა!

მოდიოდა საჭურისი-ბიტორიტი. არმია თორმეტ მწყობრად დაელაგებინა: მწყობრთა შორის ზარბაზნები და ზამბულაკები ჩაემწკრივებინა. წინ სპარსელ ყიზილბაშთა ურდო მოდიოდა: მათ უკან რჩეული თურქმან-თარაქამული ჯარები მოჰყვებოდნენ. აღა-მაჰმადხანმა საგანგებოდ მოაწყო ასე: მან იცოდა, სპარსელებს და თურქმანებს ერთმანეთი სძულდათ; ამიტომ წინ, ქართველთა პირველ სამიზნედ სპარსელები გამოუშვა. ხოლო თავის თვისტომ თურქმანებს უბრძანა, თუ სპარსელნი ქართველთა შემოტევას ვერ გაუძლებდნენ და ბრძოლას ზურგს შეაქცევდნენ, ყველა მათგანი, „დიდი, გინა მცირე“, უწყალოდ გაეექლიტათ.

ჟამად დილის შვიდი საათი იქნებოდა, როცა სოღანლუღის ვიწროებში ერთურთს შეებნენ სპარსთა და ქართველთა მეწინავე ძალები.

ბრძოლა იოანე ბატონიშვილის გმირობით დაიწყო. მის ნიშანზე ქართველებმა თოფ-დამბაჩები დაახალეს ზედმომდგარ მტერს: მერე, საფრებიდან ხმალ-გაშიშვლებულნი ამოცვივდნენ და ვაქკაცური ყიჟინით მიეტევნენ. სპარსთა პირველი რიგი მოიცელა. „...და ბრძოდეს ქართველთა მეწინავენი მხედრობანი საკვირველად“. სპარსელთაგან უკვე იწყეს ბრძოლიდან გაქცევა. მაგრამ ზურგში მდგარმა თურქმანთა ტყვიამ, ხმალმა და აკინაკმა ისევ ბრძოლისკენ შემოაქცია ქართველთაგან ზარდაცემულნი. მკლავმამაცურად

სჩეხდნენ ქართველი უფლისწულის თანამებრძოლნი, ასეულობით წყდებოდნენ ყიზილბაშები, მაგრამ რიგი რიგს მოსდევდა, სპარსთა უწყვეტი მდინარება არ წყდებოდა. ქართველები სანგრებს დაუბრუნდნენ და თოფის სასროლზე მტერი სამიზნედ აიყვანეს.

შაჰმა შეთხელებული ავანგარდი ახალი ძალებით შეავსო და გააძლიერა, ხოლო ქართველთა მოწინავე პოზიციას არტილერიის უწყვეტი ცეცხლი დაუშინა.

პარალელურად თაბორის მთიდანაც დაიგრიალეს ქართულმა ზარბაზნებმა. ეს ისევ დავით ბატონიშვილი იყო. აღა-მაჰმად-ხანს გუშინდელი განსაცდელი არ დავიწყნია და თავის დროზეც უზრუნვია, როგორმე აღეკვეთა თელეთ-ტაბახმელას გასწვრივ მთათაგან მომავალი საფრთხენი. სწორედ ამიტომ გაუგზავნია მას ჯერ კიდევ ღამით სამი რჩეული ათასეული ისევ მელიქ-მეჯნუმის მეთაურობით. დილით მელიქ-მეჯნუმი თავისი ათასეულებით უკვე მიუახლოვდა დავით ბატონიშვილის პოზიციებს. ქართველთა ახალგაზრდა სარდალმა ჯერ ზარბაზანთა ჯერი შეაგება მტერს, მერე ცხენს მოახტა და ხმალი იშიშვლა. ქართველებიც მყისვე ამხედრებულნი და ხმალამოწვდილნი გამოენთნენ უფლისწულს. სასტიკ შეტაკებაში ისევ იძლივნენ და განადგურდნენ სპარსელნი. მელიქ-მეჯნუმმა, მცირეთ თანხლებით, ისევ გაქცევით იხსნა თავი სიკვდილისაგან.

დავით ბატონიშვილი თავის პოზიციას დაადგა. იგი ახლა კრწანისის ტაფობში ტორტმანით მომცურავ გველეშაპს უთვალთვალებდა, მაგრამ მალე თვალსამზირიდან გაჰქრა მტკვრის ხეობა თბილისთან და კრწანისთან ერთად.

სქელმა ნისლმა და ჯანღმა დაჰფარა შავნაბადა, თაბორი და ტაბახმელა.

აღა-მაჰმად-ხანი კი საათ-ნახევარი უშენდა ყუმბარებს იოანე ბატონიშვილის სანგრებს. მერე ნიშანი მისცა და კვლავ ზარდამცემი ღრიანცელითა და გნიასით გაქანდნენ წინ ყიზილბაშთა კორპუსები.

ისევ დაუხვდნენ ქართველები. კვლავ მრავლად ეცემოდნენ სპარსნი. მაგრამ ეცემოდნენ ქართველებიც. ეტყობოდა, სიმრავლეს მაინც თავისი უნდა გაეტანა. მისჭირდათ ქართველთ; სანგართა მეორე რიგისკენ იწყეს დახევა.

მაშინ ერეკლემ უბრძანა ძეს თვისას ვახტანგს, მიშველებოდა იოანეს.

ვახტანგ ბატონიშვილმაც იშიშვლა ხმალი და დასხლიტა ცხენი. პირჯვარი გადაისახეს და გველისპირულები გაიძრეს არაგველებმა; მათთან ერთად „ადგილსა საბრძოლელსა“ მიაშურეს ქიზიყელებმა და მაჩაბლის შადიანით ცეცხლმოდებულმა თბილისელებმა.

ქართველთა მაშველი ჯარის შეტევა ზვავის დაქანებას ჰგავდა. სპარსელთა პირველი რიგები გაკაფეს და გადათქერეს. ქართველთა ომახიან ყიჟინაში მკვეთრად ისმოდა დავით მაჩაბლის შადიანი. არაგველები რისხვით გატენილი მზერითა და მუქარე შეყივლებით ჩხიბავდნენ მტერს, გველისპირულს ელვასავით იქნევდნენ და ალმედად ჰკვეთდნენ. ყიზილბაშები ზარდაცემული გარბოდნენ, მაგრამ ზურგში ხომ თურქმანთა ხელით სიკვდილი ელოდათ.

შაჰი-საჰურისი კი არ ცხრებოდა. დორბლმორეული ისევ და ისევ ბრძოლად აბამდა სპარსელთა ახალ ათასეულებს.

მხეცადქცეულ ადამიანთა ურთიერთჩეხვა ერთხანს ერთ ხაზზე მიდიოდა შენივთებულად. მეომრები დახოცილთა გვამებს ედებოდნენ და ეცემოდნენ; ფეხი ცურავდა და სხლტებოდა სისხლით ატალახებულ მიწაზე; მუხლი იკვეთებოდა, მკლავი იქანცებოდა, გული ძრწუნდებოდა.

საწვიმარი მწვავე სიცხე ჩამოწვა. ჯანღიანი ჰაერი სულ შეიხუთა.

ვახტანგმა და იოანემ ერთხელ კიდევ ომახიანად შეუძახეს და მხნედ წარუძღვნენ ჯარს, დავით მაჩაბლის ხმალიც ელავდა და შადიანიც წკრიალებდა.

ისევ წინ გაიჭრნენ არაგველები. უმოწყალოდ სცელავდნენ მათი გველისპირულნი. მხარდამხარ მისდევდნენ ქიზიყელნი და თბილისელნი. გააპეს და ღრმად შეიჭრნენ სპარსელთა სქელ რიგებში. ქართველები მთელის ფრონტით გადავიდნენ შეტევაზე. განადგურებულ და გაქცეულ სპარსელთა შეკავება ვეღარც თურქმანებმა შეძლეს. უკვე გაოგნებული შაჰის წინაშე ეცემოდნენ სასიკვდილოდ დაკოდილი მისი მეომრები. შვიდი ძმადნაფიცი ვაჟკაცი დაწინაურდა არაგველთაგან და პირველნი მიწვდნენ ირანელთა საომარ დროშებს. არაგველებმა მტრის მედროშენი მათი მბრძანებლის თვალწინ ალმედად გადაჰკვეთეს, დროშები დაითრიეს, ტარები მუხლის კვირისტავებზე გადაიმსხვრიეს და მახვილოსანი ლომის ღერბიანი ქსოვილები კბილებით დაფხრიწეს.

ამის შემხედვარე საჰურისს დუხჭირი სახე დაეპრანჭა, ბასილისკოსებრ გვესიან თვალებში სისხლი ჩაუდგა, დაღმეჭილი პირიდან ცოფიანი ლოშქრი ჰყარა და იყვირა:

„სიყრმითგანვე მთელი ჩემი სიცოცხლე ომებში გამიტარებია და აქამომდე არ მოვსწრებივარ, მტერთაგან ვისმეს ჩემთვის ასეთი ბრძოლა გაემართოს!“

იქნებ შაჰის შეპყრობასაც ფიქრობენ ეს თავზეხელაღებული ქართველები?!

უცებ საჰურისმა რომელიღაც სარდალი იხმო, — ალბათ ის,

რომლის ჭკუას და სიმამაცეს ყველაზე მეტად ენდობოდა, — და უბრძანა სპარსელთა მთლიანი ძალებით განეგრძო ბრძოლა და თუ წინ წაწევას ვერ შესძლებდა, რადაც უნდა დაჯდომოდა, ქართველთა მძაფრი შემოტევები როგორმე შეეკავებინა.

ასეთი ბრძანება დააგდო, ცხენი მტკვრისაკენ შეაბრუნა და თურქმანებს შესჭყივლა:

„ვისაც შაჰი უყვარს და ვაჟკაცობაც არ დაუკარგავს, ახლავე გამომყვეს; ხოლო, თუ მტკვარმა დამახრჩოს, ეცადენით, გვამი ჩემი მდინარიდან გაიტანოთ და მიწას მიაბაროთ!“

ეს სთქვა. თარაქამულ ცხენს ქუსლი ჰკრა და მტკვარში გადაეშვა. სამი ათასი თურქმანი მიჰყვა ჭენებით. მათგან სამასი კაცის დახრჩობა შესძლო მტკვარმა, თვითონ შაჰი მტკვრის მარცხენა ნაპირზე გავიდა (სოღანლუღის პირდაპირ), კლდოვან ნაპირზე ფეხი ვერ დაიმაგრა, მაგრამ ზემოთ ნაპირს აუყვა და ერთ ბექობზე მოახერხა ასვლა. სანამ დანარჩენებიც გამოვიდოდნენ და თავს მოიყრიდნენ, აღა-მაჰმად-ხანი გულდასმით ათვალიერებდა ქართველთა განლაგებებს და საერთოდ, ბრძოლის ველს სოღანლუღ-შავნაბადას ვიწრობიდან თვით ნარიყალა-მეტეხის ხაზამდე. თან იგი ქართველთა მეწინავეებთან მეომარ სარდალს ხელების ქნევით ნიშანს აძლევდა, როგორმე შეტევა გაეძლიერებინა და მოპირდაპირე უკუექცია. როცა სამივე ათასეული შეგროვდა, შაჰმა ნაპირ-ნაპირ სვლა განაგრძო და ორთაჭალასთან ფონით მტკვარი უკანვე, ისევ მარჯვნივ, გადმოლახა.

აშკარა იყო, საჭურისს სურდა ვახტანგ და იოანეს ჯარისათვის ზურგიდან შემოევლო და წინ გაჭრილი ქართველთა ეს ნაწილი ყოვლის მხრიდან ალყაში მოექცია.

ბატონიშვილებმა აღა-მაჰმად-ხანის განზრახვა შეიცვნეს და უკანდახევას შეუდგნენ. მათ პირველი ორი სასანგრო ხაზი გაჯდმოიარეს და ის იყო მესამესაც მოაღწიეს, რომ ორთაჭალის ბაღებიდან გადმოსულმა თურქმანთა ათასეულებმა, რომელთაც წინ თვით შაჰი მოუძღოდათ, ზურგიდან სროლა აუტეხეს. ვახტანგისა და იოანეს ჯარი, არაგველებით, ქიზიყელებითა და თბილისელებით, ალყაში მოექცა.

იმავდროულად უკვე სეიდაბადის ბაღებში შემოსულმა შაჰმა არმიის მეორე ნაკადი მარჯვნივ წარმართა და ქართველთა ძირითად განლაგებებს შეუტია: აქ მტკვრის გასწვრივ ქართველთა მარცხენა ფლანგი იდგა იოანე მუხრან-ბატონის მეთაურობით.

მუხრან-ბატონიც დაუხვდა მტერს.

საომარი ველი მთელი სისრულით შლიდა ფრთებს. სპარსელები უკვე სოღანლუღის ვიწროებს გამოცდნენ და ფრონტი უფრო

ვრცლად გაშალეს. ბატონიშვილები და მათი თანამებრძოლნი თავგამეტებით სცემდნენ ურჩხულს: ხოლო ურჩხული ისე ეცემოდა, იფლითებოდა, სისხლად იღვრებოდა, მაგრამ მაინც წინ მიხოხავდა.

გავეშებით უტევდა საჭურისი: მარცხნივ ბატონიშვილთა ზურგს. მარჯვნივ — მუხრან-ბატონს.

ხოლო როცა ქართველთა მარცხენა ფლანგსაც მისჭირდა, ქართველმა მეფემ ახალი ძალა (თუნდ ერთი მუჭა) ჩააბა ბრძოლაში. ახლა ერეკლე თვითონ გამოიჭრა ბრძოლის ველზე თავისი „ცენტრით“.

თითქოს მთელი მტკვრის ხეობა შეარყია პატარა კახის გამოჩენამ.

ერეკლე! რომელიც „თუმცაღა იყო ფრიად მოხუცებული, გარნა ბრძოლასა მის შინა ყოფაქცევა მისი იყო მრავალთა ჭაბუკთაგან სანატრელი“.

თითქოს ხერხემალში შიშის ქარმა ჩაუქროლა საშინელ დრაკონს.

თითქოს ზავთი და ლაზათი შეემატა არაგველთა საომარ ყივილს.

თითქოს ახალი ძალით აინთო მაჩაბლის ნავლდაფენილი შადიანი.

სჩეხდნენ ქართველები.

ეცემოდა ურჩხული.

მაგრამ ეცემოდნენ და იცელებოდნენ ქართველებიც.

და თბილისისკენ დაჟინებით მოიწევდა ურჩხული.

გადაიშუადღა. ჯანღიანი, ნესტიანი და ცხელი ჰაერი აღ. იძვროდა. წვრილი წვიმაც წამოვიდა. თითქოს მდუღარე ცვიოდა ციდან.

გონიდან გადასული მეომრები ველარ ერკვეოდნენ, თუ რა იყო მათ ტანზე მომდინარე უსიამო, ცხელი სისველე: წვიმა, ოფლი თუ სისხლი?!

გუგუნებდნენ ზარბაზნები.

ჭექდნენ თოფ-დამბაჩები.

წკრიალებდნენ ხმლები.

კვესავდნენ სატევრები და იატაგანები.

იარაღის ზათქი და ზრიალი, ცხენთა თქარათქური და დაჭრილთა გმინვა აყრუებდა კრწანისის ველს.

ეს მერამდენედ ესმოდა თბილისის კარიბჭეებს სიკვდილის ზარდამცემი ხმიანი?!

მერამდენედ ეგებებოდა „ბედნიერი ქართული მიწა“ უცხო მიწიდან შხამიან გესლად მოტანილ უბედურებას?!

თოფ-ზარბაზნების მორიგმა გრიალმა შეარყია დედამიწა.

ტყვიამ უეცრად ძირს დასცა აღა-მაჰმად-ხანის ცხენი. მასთან ერთად დაეცა საჭურისიც. ფიცხლავ მოართვა ვიღაცამ სამაგიერო. იგი ისევ ამხედრდა და შეუტია.

ირანელთა რიგები ათეულ-ასეულობით იქლიტებოდა. მაგრამ სიმცირე ურჩხულს მაინც არ ეტყობოდა.

ქართველთაგან თითო-ოროლას დაცემა უფრო შესამჩნევი ხდებოდა. მათი რიგები შეუბრალებლად თხელდებოდა.

ერეკლემ უკან დახევის ნიშანი მისცა. ქართველთა ცენტრი და მარცხენა ფლანგი ნელიად უკანსვლით, ზუსტი დამიზნებითა და მტრის ცელვით, თავის სანგრებს დაუბრუნდნენ.

ალყაში იბრძოდნენ ვახტანგ და იოანე. თითქოს საეჭველიც აღარ იყო მათი ლაშქრის სავსებით განადგურება.

მაგრამ ერთხელ კიდევ სძლია სიკვდილი ვაჟკაცობამ. ერთხელ კიდევ შეუტიეს არაგველებმა და დაწინაურდნენ არაგვის წყალში განათლული გველისპირულებით. თბილისის მიმართულებით, აღა-მაჰმად-ხანის ნათესავ თურქმანთა მხრისკენ, შეუტიეს ქართულ მთიანეთში ნაშობმა ვაჟკაცებმა. თურქმანებმაც ველარ გაუძლეს. ქართველებმა მათგანვე ჩახოცილ გვამთა გროვანი გადათქერეს და ალყიდან გააღწიეს.

თავზარდაცემული, გაოცებული და გაოგნებული შაჰინ-შაჰი ხედავდა, როგორ მიდიოდნენ ერთიმეორის მიჯრილ-მიყრდნობით, ზურგშეუქცევლად, პირით მტრისკენ, ხმლებისა და ფარების ქნევით, უკვე ბზარდაკრული ყიჟინითა და ბრაზიანი სიმღერით, დაჭრილ-დაფლეთილი და სისხლდადენილი ქართველები, რომელთაც წინ უდგნენ ასევე დაჭრილ-დაკოდილი და სისხლში მოსვრილი უფლისწულები — ვახტანგ და იოანე.

ასე მივიდნენ ისინი თავის მეფესთან და მის ბანაკს შეუერთდნენ.

მაგრამ რაღა შეუერთდნენ?

ბევრი შეჰკვდომოდა ურიცხვ მტერს.

ქიზიყელ და თბილისელ მეომართა უმრავლესობა გაწყვეტილიყო.

სამასი არაგველიც უკვე აღარ იყო სამასი.

მცირე ხნით შეწყდა ხელჩართული ხოცვა-ჟლეტა კრწანისის ველზე. თითქოს, ორივე მხარე გაოცებისგან გარინდულიყო.

ირანელნი:

რა უკვდავება შესდგომოდა ამ უცნაურ ერთმუჭა ქართველთ!

ქართველნი:

ამ სპარსულ ურჩხულს, რამდენ თავს მოჰკვეთ, იმდენ ადგილზე ერთის სანაცვლოდ ასი თავი აღმოცენდება!

იმ მცირე ჟამს მხოლოდ ზარბაზნები გრიალებდნენ. აღა-მაჰმადხანის არტილერისტებს უკვე მოესწროთ ზარბაზნების ატანა კრწანისის ბაღების თავში და იქედან უშენდნენ თბილისის კედლებთან ჩასაფრებულთ. თბილისის ციხიდან საპასუხოდ ჰქუხდნენ გიორგი გურამიშვილს ქვემეხები. ხოლო მაღლა, ნისლით დაფარულ თაბორიდან დავით ბატონიშვილის ზარბაზანთა ბუბუნი მოდიოდა. იქ სპარსელებს კიდევ განეახლებინათ შეტევა. ეს სწორედ ის დრო იყო, როცა დავითმა კიდევ ერთჯერ აოტნა დიდად დაზარალებული მტერი, მაგრამ საუბედუროდ მან მაინც არ იცოდა, რა ტრაგედია ახლოვდებოდა გაუმზირალი ნისლის ზღვის ქვემოთ თბილისის კართან.

ჟამად ხუთი საათი იქნებოდა, როცა შაჰ-საჰურისმა მთელის ძალებით გადამწყვეტი იერიში ბრძანა.

ქართველებიც დაუხვდნენ „მთელის ძალებით“.

კრწანისის ველი ოძრახევის ზემო წელიდან ორთაჭალის ბაღებამდე მთლიანად ირანელებით იყო ავსებული.

ერეკლეს, ვახტანგს, იოანეს და იოანე მუხრან-ბატონს რამდენიმე ასეული დაქანცული და დაჭრილ-დაკოდილი მეომარი შემორჩენოდათ.

მხოლოდ იმერთა ჯარი იყო ჯერჯერობით ხელუხლებელი: ზურაბ წერეთელი — მარჯვენა ფლანგზე და სოლომონ მეფე ღრმა ზურგში.

როცა აღა-მაჰმად-ხანმა მთელის ფრონტით შეტევა ბრძანა, ერეკლემ წამსვე აფრინა მალემსრბოლი ზურაბ წერეთლისაკენ ბრძანებით: დაუყოვნებლივ კონტრშეტევაზე გადასულიყო.

და თვითონაც დარჩენილი ჯარის ნაფლეთებით უკანასკნელად შეება მტერს.

კატასტროფის ჩარხი ელვის სისწრაფით დატრიალდა.

ერეკლესაგან წარგზავნილმა მალემსრბოლმა მარჯვენა ფლანგამდე ვერ მიაღწია: იგი სპარსელებმა შეიპყრეს და მოკლეს.

ხოლო როცა ზურაბ წერეთელმა შენიშნა, რომ მტერი ჩრდილო ფლანგიდან სწრაფი მარშით უვლიდა, თვითონაც სწრაფადვე უკანდახევა დაიწყო; მას ალბათ ვეღარ წარმოედგინა, რომ პატარა კახი ასე მცირე და გაჩანაგებული ჯარით შებედავდა კონტრშეტევაზე გადასვლას.

ერთი სიტყვით, იმერთა ჯარი და მათი სარდალი, რომლებიც წინა დღით ქართველთა საარაკო გმირობის ღირსეული მონაწილენი

იყვნენ. გადამწყვეტ მომენტში, საბედისწერო გაუგებრობის გამო, „საბრძოლელი თალპიონის“ გარეთ დარჩნენ.

ზურაბ წერეთელი თბილისში მდგარ თავის მეფეს, სოლომონს შეეერთდა, ხოლო სოლომონმა თავისი მხედრობით მაშინვე იმერეთს მიაშურა, ისე რომ, არც კრწანისის საომარი თეატრი უნახავს, არც სასიკვდილო განსაცდელში ჩავარდნილი გმირი პაპა მოუკითხავს და არც თბილისის კატასტროფის აღსაკვეთად მოუვლია ხელი ხმლის ვადაზე.

ხოლო ერეკლემ არარა იცოდა, რომ მისი მარჯვენა ფლანგი ალარ არსებობდა.

არარა იცოდა, რომ ნარიყალასთან სპარსელთა კორპუსებს გასაოცარი ვაჟკაცობით შეკვდომოდნენ გიორგი გურამიშვილი და მისი მეზარბაზნენი.

სეიდაბადზე პატარა კახი და მისი უკანასკნელი ქართველობა გახელებული ხმალთაკვეთებით აკავებდნენ მტრის ოკეანეს.

ერთი საათის განმავლობაში ჰკვეთდნენ, ჩეხდნენ, მაგრამ თვითონაც იკვეთებოდნენ და იჩეხებოდნენ.

საბედისწერო რკალი იკვრებოდა.

და უკანასკნელ გმირთაგან რომელიღაცამ შენიშნა, რომ მათი მეფე, პირველად მის დიდ სიცოცხლეში მხოლოდ სიკვდილსღა ეძებდა, მის ღირსსაფერ, მშვენიერ სიკვდილს.

და ყველამ, როგორც ერთმა, მოითხოვა, „რათამცა მორიდოს მეფემან და არა მისცეს თავი თვისი სიკვდილსა და განსაცდელსა!“

„შენ სიკვდილის ნება არა გაქვს, მეფეო ბატონო!“

„რამეთუ სადმე გეწიოს შენ ძვირი ან ბოროტი რაიმე, უმეტეს განლაღდნენ მტერნი და უყოფენ ძვირსა ქვეყანასა ჩვენსა!“

სიკვდილს გადარჩენილმა სამასიოდე ქართველმა მეფის გარშემო სალტე შეჰკრა და სეიდაბადიდან ბრძოლით უკანდახევა დაიწყო.

ერეკლემ კიდევ სამჯერ გაიბრძოლა; სამჯერ კიდევ შეძლო დაქანცულმა და სისხლდადენილმა ქართულმა გუნდმა მტრის უკუგდება.

ხოლო, თბილისში შემავალ „განჯის კართან“ ერეკლე უკანასკნელად გამოეჭცა თავისიანებს და უთვალავ მტერს უკანასკნელად შეუტია.

უკანასკნელად შეუტია.

უკანასკნელად ამ ბრძოლაშიც და საერთოდ მთელს მის სიცოცხლეშიც!

აქ რომელიღაც გათავხედებულმა ყიზილბაშმა გააცივა ერეკლესაგან უკანასკნელად გასროლილი ტყვია.

აქვე გაისმა ერეკლეს უკანასკნელი, სახელგანთქმული „ჰკა, მაგ წუნკლებსა!“

მაგრამ ამჯერად მხოლოდ სიკვდილისათვის!

სიკვდილმაც თითქოს არ დააყოვნა: პატარა კახი ყოველი მხრით მტრით იყო გარშემორტყმული.

მაგრამ ხომ შეიძლება სამარცხვინო ტყვეობამაც წინ უსწროს სიკვდილს!

სათაყვანო გმირსა და საძულველ მტერთ შორის გაურღეველ კლდედ აღიმართნენ უკანასკნელი არაგველნი.

ორივე მხრიდან მიცვივდნენ მეფეს შვილი და შვილიშვილი — ვახტანგ და იოანე. მუხრან-ბატონმაც ცხენის ჯილავს უტაცა ხელი. ბოლო ზაქარია ანდრონიკაშვილმა მათრახი უჭირა ცხენს.

ასორმოცდაათი კაცი ვაჰყვა ხმლის ქნევით მეფეს.

უკანასკნელად ელავდნენ არაგვისპირული გველისპირულები თბილისის კართან.

უკანასკნელმა არაგველებმა „კვლავაც მრავალნი მოსწყვიდნეს სპარსნი“.

აჰა, ერეკლემ თავისი გუნდით მიაღწია ავლაბრის ხიდს და სწორედ იმ ჟამს, საღამოს 7 საათზე, სამუდამოდ წმიდათაწმიდად აღესრულა დილის 7 საათზე დადებული უწმინდესი ფიცი:

უკანასკნელი არაგველნი მათგანვე დაჩეხილ მტრის გვამთა გროვაზე ესვენენ შორიდან ნატყორცნი გმურებით მკერდშელეწილნი..

საშინლად შეძრული მეფე ძლივს გაიყვანეს ხიდზე.

იგი ჩავიდა აბო თბილელის ნიშში, მუხლებზე დაეცა, ჟამკანონი გადაშალა, ცრემლით დაალტო და ქვეყნის ხსნა ღმერთს შეავედრა. მერე ისევ ძალით გაიყვანეს და იმ გზით გაატარეს, საიდანაც მის დასახსნელად ყველაზე დიდი ქართველი გმირნი ჩამოსულიყვნენ,— საარაგვოსკენ!..

მახათას მთის ძირს მოატანა ერეკლემ, როცა თბილისის მხრიდან საშინელი, გულისშემძვრელი ქალთა კივილი, კაცთა ზმუილი და ბავშვთა წივილი გადმოსკდა ზეცას.

მეფე ისარკრულივით შემობრუნდა და დაიღრიალა:

„მე თქვენთვის უნდა მოვმკვდარიყავი და ჩემს სანაცვლოდ თქვენ იხოცებით! აბა, რაღასი მეფე ვყოფილვარ, თუკი ვერასგზით ვერ დაგიფარეთ? არა, არა, მეც თქვენთან უნდა მოვკვდე, ჩემო შვილებო!“

შეესძახა და ცრემლის ფრქვევით ისევ თბილისისკენ დასხლიტა ცხენი, მაგრამ უყელეს მისიანებმა და შებოჭილ მეფეს ისევ საარაგვოსკენ აქცევინეს პირი.

ნისლმა და ჯანღმა გადაიწმინდა.

დავით ბატონიშვილმა თაბორის მთიდან ახლა დაინახა, რა კატასტროფაც დასტყდომოდა მის სამშობლოს:

თბილისი ირანელებით ივსებოდა.

ბრაზმორეულმა და ბოღმით გულატირებულმა უფლისწულმა ზარბაზნებს საკეტები ახსნა და ხელიერთპირად ხევში გადაჩეხა. მერე სასწრაფოდ ქალაქს სამხრეთიდან გადაუარა და დამარცხებული პაპის გზას გაჰყვა ანანურისკენ...

კრწანისის ბრძოლა დამთავრდა.

ომის ღმერთს შეეძლო, მცირე ხნით ტკბილად ჩაეთვლიმა, უზომო სისხლით გალეშილს.

კიდევ ერთხელ აღესრულა სისხლიანი ზორვა ქართველთა.

ჯერ კიდევ კვნესოდა კრწანისის ველი, მტერ-მოყვარის გვამთა გროვებით დახერგილი და დამძიმებული.

იწვა 15.000 სპარსელ-თურქმანი.

მათ შორის მიმოფანტული 3.000 ქართველი.

ამათგან — სამასი არაგველი.

სამასი წმიდა, ღვთაებრივი გმირი.

სამასი დალეწილი გველისპირული.

სამასი მკერდგაპობილი და გულდალახვრული ქართველი გლეხი.

ასე პატიოსნად და წრფელად მოკვდნენ ისინი.

ხოლო „თესლი წრფელთა იკურთხოს!“

ასე მოკვდნენ, რამეთუ სამარადჟამოდ უკვდავნი ყოფილიყვნენ.

იწვნენ კრწანისის მიწაზე უკვდავნი, ვითარცა „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველნი“.

ხოლო კრწანისი იყო, ვითარცა სატანის ხელით ჩახსნილ-ჩაშლილი საკინძე საქართველოს მღელვარე მკერდზე...

ხოლო 1795 წლის 11 სექტემბერი, დღე სამშაბათი, — ვითარცა დღე — ქართველთა უიღბლო გმირობის აპოთეოზით...

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

კრწანისის შემდგომ

Val victis!

„დადგა იგი ყოველსა გზასა და ბოროტი
არა მოეწყინა".

ფ ს ა ლ მ უ ნ ი

„ძე ის მესიზმრა, რომ საქართველოს
თავით ბოლომდე ცეცხლი ეკიდა,
თვით ჩემს სრა სახლსა — სამეფო
ტახტსაც.
მტერი სთელაედა ხალხსა ფესითა".

ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა

ციდამტკაველა საჟურისი თბილისში „განჯის კარით" შემოვიდა, აქეთ-იქით ჯავათ-ხან განჯელი და იაკობ ბებუთოვი მოჰყვებოდნენ. მათ უკან ოციათასზე მეტი ყიზილბაში და თურქმანი მოთქარუნობდა. ყველა უკლებლივ ბოროტი გულით და მძარცველური სულით გატენილი.

აბანოებთან საჟურის-მბრძანებელს თბილისელი მუსულმანები შემოეგებნენ: წინ მოლები მოუძღოდნენ ყურანის კითხვა-ყივილითა და სამსხვერპლო ტარიგთა კიკინით. მიეახლნენ, ცხენის მუხლებში ჩაუცვივდნენ, „ალლაჰ-ილალლაჰით" ლოცვანი აღუვლინეს და ქართველთა სისხლში ნაბანი ცხენის ფეხები სამსხვერპლო ცხვრების სისხლით განუბანეს.

საჟურისმა შემხვედრთ ბასილისკოს თვალები დააშტერა და ჯერკვლად თქვა:

„ყველამ ჩასთვალეთ, თითქოს ალაჰის სამსჯავროში მოხვედრილიყოთ; ალაჰისა, რომელსაც ყოველმა სულმა ანგარიში უნდა მისცეს საკუთარი შეცოდებისათვის".

და დაიწყო ცოდვა-მადლის გაკითხვა „მსჯავრითა ალაჰისათა".

დაიწყო ნამდვილი, „კლასიკური“, ყიზილბაშურ-თურქმანული ძარცვა, ნგრევა, ნამუსის ახდა, ცეცხლის წაკიდება, ტყვევნა და ხოცვა კაცთა, ქალთა და ძუძუთა ბავშვთა. დედაბუდიანად ამოგდებამ და უბოროტესმა იავარქმნამ დაისადგურა საქართველოს დედაქალაქში. თბილისელები იბრძოდნენ ვაჟკაცურად და ნამუსიანი სიკვდილისათვის, ბარიკადებით იხერგებოდა ფოლორცები და ქუჩაბანდები. ანჩისხატის უბანში გარსევან ამილახვარის ახალგაზრდა ცოლი ხანჯლით შეება მომხვდურ ირანელ მეთაურებს, ორი მათგანი სიცოცხლეს გამოასალმა, მაგრამ თვითონაც დაიჭრა. ყიზილბაშებმა შეთოკეს და ბოლოს ვიღაც დარუბანდელ თათარს მიჰყიდეს. ძალიან ბევრი თბილისელი ასეთი თავგანწირვის მსხვერპლი შეიქნა. ვინც სიკვდილით თავის დახსნას ვერ ახერხებდა, ირანელები ბორკილდადებულს მიერეკებოდნენ სოღანლუღის ბანაკისაკენ.

ჯავათ-ხანი ქართველი მეფის სასახლეში მიუძღვა აღა-მაჰმად-ხანს. საჭურისმა ჯერ გულდასმით დაათვალიერა სამეფო რეზიდენცია, განსაკუთრებით დაინტერესდა მისი მოკაზმულობითა და სალაროებით. ყველაფერი, რაც ძვირფასად მიიჩნია, სასწრაფოდ დაიტაცა, მრავლად ნაძარცვ ოქრო-ვერცხლის ნივთთა შორის აღმოჩნდა ქართველთა მეფის ხელმწიფური ინსიგნიები — გვირგვინი და სკიპტრა. აღა-მაჰმად-ხანმა ყველაფერი სათავისოდ დააბინავა და ერეკლეს ტახტზე დამშვიდებით დაბრძანდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ გამარჯვებული ხელმწიფე სადარბაზოდ იწვევდა თავის ქვეშევრდომთ... ესენიც მოდიოდნენ, მბრძანებელს მუხლებში უვარდებოდნენ და თან თბილისური ნაძარცვის „ლომის წილსაც“ მიართმევდნენ. მარტო ჯავათ-ხანმა ოცდათორმეტი მშვენიერი თბილისელი ქალ-ვაჟი მოუყვანა შაჰინ-შაჰს.

ნადავლიანი დარბაზობით ნასიამოვნებმა საჭურისმა აქ ერთჯერ კიდევ განაცხადა წინა დღეებში ნათქვამი: ჩემს სიცოცხლეში ამდენი ბრძოლები გადამიხდია და ასეთი წინააღმდეგობა არსად შემხვედრიაო.

მერე სასახლიდან გამოვიდა და ჯარს ხელახალი ძარცვა-გლეჯისა, რბევა-ნგრევის ნიშანი მისცა. თვითონ მარმარილოს ქვით ნაგებ სამეფო აბანოებში შევიდა. „სთნდა ფრიად შენებულება მისი, რომელ იყო მარმარილოთა და თლილთა მიერ ქვათა ნაშენი, და აგრეთვე დაუკვირდა სიკეთე ტფილისისა მიერ წყლისა, რომელნიც სდიან ტფილისსა შინა კლდეთაგან ტფილისისათა ბუნებითად ტფილნი წყალნი და რაოდენ გზისმე განიბანა მას შინა“ თავისი

დამშკნარ-დაღმეჭილი სხეული. მერე ამოვიდა და აბანოების დანგრევა ბრძანა. ამასობაში სამეფო სასახლე სულ დაენგრია და დაექცია ირანელთა ჯარს. აღარსად იყო ლამაზი კამარედნი და აუზები, აღარც მდიდარი წიგნთსაცავები და ყველა სახის სათავსოები. ნგრევაში გაწაფულმა დამპყრობლებმა დაანგრიეს, დასწვეს და მიწასთან გაასწორეს სემინარია, სტამბა, ზარბაზნების საჩამომსხმელო სახელოსნოები, ზარაფხანა და თოფ-იარაღის საცავი არსენალები. აღა-მაჰმადმა არტილერიის ჩამომსხმელი და გამმართველი ქართველი ოსტატები საგანგებო სიფრთხილითა და „რუდუნებით“ გაამზადა ირანისაკენ წასაყვანად, რამეთუ მათი მეოხებით აღეშაღლებინა საარტილერიო ძალმოსილება თავის სამბრძანებლოში.

აღა-მაჰმად-ხანის მეომრები ანგრევდნენ და ბილწავდნენ ქრისტიანულ ტაძრებს, ეკლესიებს და სამლოცველო ნიშებს, უწყალოდ ხოცავდნენ ქართველ და სომეხ მღვდელმსახურთ, — მახვილებით ალმედად ჰკვეთდნენ, ანდა მტკვარში ჰყრიდნენ და ახრჩობდნენ. ყოველი ტაძრის, კერძო სახლის, თუ დუქნის ბალავერში ალაჰის რაინდებს ოქრო-ვერცხლი ელანდებოდათ, ამიტომ საძირკვლებს თვითონაც თხრიდნენ, თბილისელებსაც ათხრევინებდნენ, მერე. რაკი ვერაფერს იპოვნიდნენ, შენობის პატრონებს ხოცავდნენ, ხოლო თვითონ შენობებს ცეცხლს უკიდებდნენ.

ათი დღე-ღამე ფერფლად და ავლად იწვოდა თბილისი, ათი დღე-ღამე იყლიტებოდნენ თბილისელები. იხრჩობოდა ქალაქი სისხლისაგან, ცრემლისაგან, ბოღმისაგან, კვამლისაგან და დაუმარხავად დახერგილ გვამთა ხრწნადობისაგან. ათი დღე-ღამე ესვენა თბილისი ყოფნა-არყოფნის სასწორზე.

„ხოლო მე ენა ვერ მიძრავს საკვირველისა და საშინელის თქმად“:

უსჯულონი მაჰმადის სჯულით ძუძუთა ბავშვებს ჰაერში ისროდნენ და, ხმლის სიბასრე რომ გამოეცადათ, შუაზე სჩეხავდნენ...

მეთერთმეტე დღეს აღა-მაჰმად-ხანი თავისი არმიით თბილისსოღანლუღიდან გავიდა და ირანისაკენ გაეშურა. მას თან მიჰყვებოდა აურაცხელი ნაძარცვი და ათი ათასამდე თბილისელი ტყვე, უმრავლესობა ქალი და ბავშვი.

რად აჩქარებულა საჭურისი მბრძანებელი? განა ძარცვა, რბევა და სისხლის თხევა მოყირჭებია?

საჭურისი მიხვდა, რომ თბილისის აღება და აოხრება თურმე საქართველოს დაპყრობას არა ნიშნავდა. ჯერ, თბილისში შესვლისთანავე მან ერეკლეს შესაპყრობად და ქართლ-კახეთის მოსათარეშებლად რვაათასიანი კორპუსი გაგზავნა ნახჭევანის ხანის, ქალბ-ალის მეთაურობით. მცხეთაში მისვლისთანავე ირანელები ტაძრებსა და ეკლესიებს მიესივნენ, მაგრამ მათი აოხრება, ჩვენდა საოცრად, თვითონ სარდალმა არ დაანება:

„არა ჯერ არს, სადა იგი არს თაყვანის საცემელი ღვთისა შეურაცხყოფად, და არცა სამარხი მეფეთა“.

ეს უთხრა თავის კარისკაცებს ქალბ-ალი-ხანმა „და განდევნა იგინი გარე“.

ქალბ-ალი-ხანის არმიის ერთი ნაწილი გორისაკენ გაემართა. ირანელებმა გზად მუხნარი და ჭალაც გაიარეს, მაგრამ საკბილო ვერაფერი იპოვნეს: შიდა ქართლის სოფლები დედა-ბუდიანად მთებში გახიზნულიყვნენ. გორიც ევაკუირებული დახვდა მტერს. მხოლოდ გორის ციხეზე იდგა ქართველთა მცირე გარნიზონი, რომელიც ირანელებს ჩამოეგება და ფიცხელი შეტევით აოტნა ისინი. ცხინვალისაკენ გაემართნენ ირანელები. გზად ისევ დახიზნულ-დაცარიელებული სოფლები ხვდებოდათ.

ლამისყანასთან იოანე ბატონიშვილი გამოუხტათ და სასტიკად დაამარცხა სპარსელნი. ბოლოს და ბოლოს, ირანელები იძულებული გახდნენ, უკან ძლეულ-შერცხვენილად დაბრუნებულიყვნენ.

ირანელთა ერთი ნაწილი, თვით ქალბ-ალი-ხანის მეთაურობით, არაგვის ხეობას აუყვა. მას ხომ ერეკლე მეფის დატყვევება და საარაგვოს დაპყრობა ჰქონდა დავალებული. ჟინვალამდე კაცის სული არსად შეხვედრიათ ირანელებს.

ხოლო ჟინვალს ამ დროს მთიდან წამოსული სამასამდე თუშ-ფშავ-ხევსური მოადგა. მათ გვიან გაეგოთ საყვარელი მეფისა და სამშობლოს გასაჭირი და „მგლურით“ მოეშურებოდნენ სამხრეთისაკენ.

ჟინვალის მახლობელ იალაღებზე შამშადილიდან გადმოხიზნული მწყემსები აძოვებდნენ საქონელს; ორასამდე შამშადილელს მათი ბელადი, ერეკლეს ერთგული ყმადნაფიცი, ალი-სულთანი თან გადმოჰყოლოდა. სწორედ ამათაგან შეიტყვეს მთიდან წამოსულმა ქართველებმა კრწანისის ტრაგედიისა და თბილისის დაცემის ამბავი.

როცა ირანელთა ჯარიც გამოჩნდა, ამ სამასმა თუშ-ფშავ-ხევ-

სურმა ალი-სულთანს სასწრაფო შეკავშირება და მტერთან საერთო ძალით შებმა თხოვა. ალი-სულთანიც დათანხმდა.

და აი, ჟინვალთან ხუთასი ვაჟკაცი (300 ქართველი და 200 შამშადილელი) ოთხიათასიან ირანულ კორპუსს შეება.

საშშობლოს სიყვარულმა, მისთვის თავგანწირვამ და ვაჟკაცურმა სიქველემ ისევ თავისი გაიტანა: დამპყრობლები განადგურდნენ. გამარჯვებულებმა საყვარელ მეფეს სასიხარულო ძლევის ამბავთან ერთად ირანელი ტყვეებიც მიჰგვარეს.

მცირე ჯარით გადარჩენილმა ქალბ-ალი-ხანმა ძლივს ჩაატანა თბილისამდე, სადაც თავის მბრძანებელს, მარცხის გარდა, ისიც შეატყობინა, რომ ერეკლე მეფე დუშეთში ქართველ მხედრობასაც აგროვებს და რუსის ჯარსაც ელოდებაო.

საეჭვოც, თითქოს, აღარაფერი უნდა ყოფილიყო. აღა-მაჰმადხანი გრძნობდა, რომ განკითხვის ჟამი ბოროტებათა-ვის ყოველთა, თუ რაიმე თავდასახსნელს დროზე არ მოიფიქრებდა, — სწორედ რომ ბალე უნდა დამდგარიყო. იგი დღე-დღეზე ელოდა ქართველთაგან სარეანშო შემოტევას. მთელი ღამეები არ ეძინა შეშფოთებულსა და თავზარდაცემულს. თბილისში საჭურისი ვერც თვითონ ბედავდა ღამის გათევას და არც ჯარს აჩერებდა; როგორც კი დღიურ ძარცვა-რბევასა და ხოცვა-ტყვევნას მორჩებოდნენ, მზის დასაღლისთანავე სოღანლუღის ძლიერად გამაგრებულ ბანაკში გარბოდნენ თავშესაფარად.

ბოლოს, აღა-მაჰმად-ხანმა ერეკლესთან აფრინა ელჩი, ვინმე ყარამან ენიკოლოპიანი, და შერიგება შესთავაზა. ზავის პირობებად ირანის შაჰი ქართველ მეფეს უთვლიდა: ჩემი ხელისუფლება სცანი, მძევლად ერთი შვილი ან შვილიშვილი მაახლე, აზატ-ხანზე წართმეული ალმასი და პოტიომკინისგან ნაჩუქარი დიდი საათიც გამომიგზავნე, შენთან შეხიზნული ყარაბაღელებიც გადმომეცი და, ყველაფერ ამის სანაცვლოდ, ტყვედწაყვანილ ქართველებსაც დაგიბრუნებ, თბილისში ყოველგვარ დანგრეულსა და დამწვარს ხელახლა აღგიდგენ და ჩემს სამუდამო „ლოსტადაც“ გაგიხდიო.

ერეკლემ აღა-მაჰმად-ხანის ელჩი და წერილი 16 სექტემბერს მიიღო, ხოლო 17 სექტემბერს, დილითვე თვითონ ქართველმა მეფემ ორი ელჩი აფრინა სხვადასხვა მიმართულებით: ერთი გენერალ გუდოვიჩთან აღა-მაჰმადის „საზავო პირობებით“ და მეორე — თვით აღა-მაჰმადთან საპასუხო რესკრიპტით. ეს მეორე ელჩი იყო სუფრაჯი ქაიხოსრო ავალიშვილი, ხოლო ერეკლეს იმ წერილში, თბილისს დამწიოკებლისადმი, ასეთი რამ ეწერა:

„უკეთუ თავსა შენსა სპარსეთის ხელმწიფედ და მპყრობლად

განაცხადებ, რაისთვის წარტყვევნე ქალაქი ჩემი და ტყვე ჰყოფ მას შინა მცხოვრებთა, რომელთაც არარაი შეუცოდებიეს შენდა? და უკეთუ გენება გეჩვენებია საქმენი, რაიცა შეესაბამების ხელმწიფეთა, შემდგომად ბრძოლისა გმართებდა მცხოვრებთა მიმართ ტფილისელთა მიცემად მშვიდობისა. რომელიც მოსდრეკს ყოველთა ერთა დაზავებად. აწ ესმინენ რჩევანი და განზრახვანი ჩემნი და განთავისუფლე მოქალაქენი ჩემნი, რომელნი ტყვე უქმნიეს მხედრობასა შენსა და მაშინ განვიზრახოთ მშვიდობისათვის და ზავისა ვითარ ჯერს არს და სამართალ არს აღვასრულოთ ყოველივე ეგრეთ. და უკეთუ არა ინებენ ამას, მაშინ რაოდენ ძალიდების ჩვენ მიერ ვიმეცადინებთ სარგებლობისათვის ქვეყნისა ჩვენისა, ვინაიდგან ერნი ქვეყნისა ჩვენისანი განრისხებულ არიან ამას ზედა, იხილეს რა თქვენ მიერ ეს ვითარისა სახითა შეურაცხება და უმჭირველობა მხედრობისა თქვენისა, აოხრება და ტყვე-ყოფნა ქალაქისა ჩვენისა და მას შინა მცხოვრებთა. და ვაცნობებთცა მპყრობელთა როსიისათა. რომელნიც ერთ სარწმუნოებითა და მეზობლობითისა მშვიდობითა ჩვენ თანა შეკრულ არიან და არა თავს იდებენ იგინი თქვენ მიერ ბოროტისა ყოფასა ჩვენ ზედა“.

ეს ნამდვილი ულტიმატუმი იყო: თუ თბილისის აოხრებას თავს არ დაანებებ და ტყვე-ქართველობას არ გაათავისუფლებ, არამც თუ დაზავებაზე კრინტის დაძვრა, არამედ, საერთოდ, ჩემი ხალხის რისხვას ვერ გადაურჩებიო. ეს უბრალო დაქადნება როდი იყო; ერეკლეს „ძალიც შესწევდა ქადილისა“: მან ხომ „მისრულმან მთიულეთს, წარავლინა ყოველსა საბრძანებელსა თვისსა კაცნი, რათა განემზადნენ ბრძოლად და სადაცა აღუნიშნავს მას მეფეი, შეკრბნენ მუნ“. კახთა ლაშქრით უნდა მოსულიყო გიორგი ბატონიშვილი. ხოლო ქართლის მხედრობით — იულონ ბატონიშვილი. ზოსალოდნელი იყო დამხმარე ჯარის გამოჩენა „როსიიდანაც“, მით უფრო, რომ ერეკლეს უკვე მკაცრი საყვედური ჰქონდა შეთვლილი გუდოვიჩისადმი: ჩვენ რომ თქვენს დახმარებაში დაიმედებული და დარწმუნებული არ ვყოფილიყავით, აღა-მაჰმად-ხანის ალაგმვასა და განადგურებას სხვა საშუალებითაც მოვახერხებდითო.

დაზავებაზე ლაპარაკიც და ფიქრიც მოისპო. აღა-მაჰმად-ხანის ზურგშიც ისევ არ იყო ყველაფერი რიგზე: ყარაბაღი ისევ იბრძოდა, ხორასანშიც აჯანყება დაწყებულიყო.

ერთი სიტყვით, სანამ გვიან არ იყო, სანამ საჭურისს გამარჯვებულის ტიტულიც ხელიდან არ გავარდნია, მას უნდა გაესწრო საქართველოდან.

და გაასწრო კიდეც.

იქედნეს აღსასრული

„რომელმან აღიღონ მახვილი, მახვილითა წარწყმედნენ“.

მათე, XXVI, 52.

ერეკლე თბილისში ჩამობრუნდა, კარავი დაიდგა და დანგრეულ-დაფერფლილი ქალაქის აღდგენას შეუდგა.

ამასობაში, როგორც იქნა, რუსეთის საიმპერიო კარმა ყურადღება მიაქცია საქართველოში დატრიალებულ ტრაგედიას. გენერალ გუდოვიჩს ებრძანა, დაუყოვნებლივ გაეგზავნა ჯარი თბილისში. ამან თავის მხრივ პოლკოვნიკ სიროხნევს ათასხუთასი მეომარი და ხუთი ზარბაზანი ჩააბარა და საქართველოს იავარქმნილ დედაქალაქში გაგზავნა.

რუსული ლეგიონი 1795 წლის დეკემბერში მოვიდა თბილისს. ერეკლესათვის ეს დაგვიანებული მცირე წყალობაც დიდი იმედი იყო: საქართველოს მტრებს თვალნათლივ უნდა დაენახათ, რომ დიდი რუსეთი უკვე პრაქტიკულად კისრულობდა სისხლდადენილი ერთმორწმუნე მოძმის დაცვას.

ერეკლე მეფე სარევანშო ბრძოლის სამზადისს შესდგომოდა.

ქართველთა მეფემ მოღალატე ყმადნაფიცების დასჯით დაიწყო. 1796 წლის აღრიან გაზაფხულზე მან ალექსანდრე და დავით ბატონიშვილები სახელდახელოდ შეყრილი ლაშქრით განჯაში გაგზავნა ჯავათ-ხანის დასასჯელად. სამხრეთიდანაც იბრეიმ ყარაბაღელის ჯარი წამოვიდა განჯისაკენ. ჯავათ-ხანი ციხეში ჩაიკეტა; ბევრი ჯარები ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს და ქალაქს ალყა შემოარტყეს. მერე თვითონ ერეკლემ გიორგი და იოანე ბატონიშვილები იახლა და განჯას ახალი ჯარითა და საიერიშო „მანქანებით“ მიადგა. ქართველთა შურისგებით დამფრთხალმა ჯავათ-ხანმა დაზავება ითხოვა და ქალაქის გასაღებიც გამოგზავნა. ქართველები განჯაში შევიდნენ. ერეკლემ ყელზე საბელშებმული ჯავათი პირადად არ მიიღო და ყოველწლიურ ხარკად თხუთმეტიათასი მანეთის გადახდა დააკისრა. საქართველოდან წაყვანილი ათასამდე თანამოძმეც გამოიხსნეს და თან წამოიყვანეს გამარჯვებულმა ქართველებმა. განჯასთან მოპოვებულ წარმატებას ქართველთათვის ახალი სასიხარულო ამბავი დაერთო. ამ ამბავს საერთო კავკასიური წინააზიური და, გნებავთ, მსოფლიო მნიშვნელობის მასშტაბი ჰქონდა.

1796 წლის გაზაფხულზე რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებამ სპარსეთს ომი გამოუცხადა. ეკატერინე ომის დაწყების მიზეზად

აღა-მაჰმად-ხანისაგან საქართველოს აოხრებას აცხადებდა, ხოლო სინამდვილეში ომის მიზეზები კასპიისპირეთზე ირანელთა გაბატონებას და რუსეთის სავაჭრო-ეკონომიურ ინტერესთა დასუსტებას უკავშირდებოდა.

ასე იყო, თუ ისე, ირანისაგან შევიწროებული ამიერკავკასიის ხალხებისათვის სანატრელი და საოცნებო დრო დადგა. რუსთა ორმოცათასიანი არმია ეკატერინეს მორიგი ფავორიტის, გენერალ-პორუჩიკ ვალერიან ზუბოვის მთავარსარდლობით შემოვიდა კასპიისპირეთში. ერთკვირიანი ალყის შემდეგ, ათ მაისს, რუსებმა აიღეს დერბენდი, თხუთმეტ ივნისს უომრად შევიდნენ ყუბასა და ბაქოში.

კასპიისპირზე მომავალი რუსთა მხედრობის პარალელურად მეორე კორპუსი რიმსკი-კორსაკოვის სარდლობით, თბილისიდან წამოსულ სიროხნევთან ერთად, განჯას მიადგა, ჯავათ-ხანმაც უბრძოლველად ჩააბარა ქალაქი.

შუა ნოემბერში ზუბოვის ჯარებმა მიაღწიეს მტკვრისა და არეზის შესართავს. აქ უნდა დაარსებულიყო დიდი სავაჭრო და სამხედრო კოლონია — ეკატერინოსერდი, სადაც უნდა დასახლებულიყვნენ ახალგაზრდა რუსი ჯარისკაცები, რომელთაც ცოლად უნდა შეერთოთ ქართველი და სომეხი ქალები.

წინა აზია შეარყია რუსთა მხედრობის კავკასიურმა ლაშქრობამ. აღა-მაჰმად-ხანი სასოწარკვეთას მაინც არ მისცემია. ჯერ მან თურქეთში აფრინა ელჩი და „საერთო მტრის“ წინააღმდეგ ერთიანი ძალით გამოსვლა მოითხოვა. მაგრამ თურქეთის ხელისუფლებისაგან უარი მიიღო. მერე ისევ ერეკლესთან შერიგება სცადა და წერილიც ასეთი მაამებლური ტიტულატურით გაუგზავნა: „უზენაესად პატივცემულო, მაღალადგილიანო, უბედნიერესო, ქართველ მეფეთა შორის გამოჩენილო, ერანის ყველა სახელოვან ხანთა შორის უპატივცემულესო, სრულიად საქართველოს მეფევ ერეკლე!..“ და სხვა მრავალი ამდაგვარი, მაგრამ „უზენაესად პატივცემულმა“ ქართველმა მეფემაც ქართველი ხალხის უბოროტესი მოსისხლე პასუხის ღირსადაც არ გახადა.

გამძვინვარებულმა აღა-მაჰმად-ხანმა იმ საბედისწერო ჟამს მაინც მოახერხა ერთჯერ კიდევ ეზეიმა გამარჯვება თავის მტერთა ზედა. ეს მტრები იყვნენ თვითონ ირანში, ხორასნელები, რომელთაც სათავეში ედგათ ნადირ-შაჰის შთამომავალი ბრმა შაჰ-როხი. აღა-მაჰმადმა ხორასნელთა მთავარი ქალაქი მეშჰედი აიღო, აჯანყებულები ამოწყვიტა, დატყვევებულ შაჰ-როხს მიწაში ჩაფლული

ალმასის განძი ამოათხრევინა და გესლიანად მიანთხია: შენ რომ ასეთი სიმდიდრის გამოყენება შეგძლებოდა, შაჰადაც დარჩებოდი და მეც ბოლოს მომიღებდიო.

აღა-მაჰმად-ხანმა ხორასნის დამორჩილებისთანავე თავზე დაიდგა სრულიად ირანის ერთმპყრობელის გვირგვინი.

მაგრამ საჭურისი-ხელმწიფის დღეები უკვე ითვლებოდა. რიმსკი-კორსაკოვმა ერეკლე მეფეს საგანგებო თათბირზე პირადად გაუმხილა, რომ მომავალი წლის აღრიან გაზაფხულზე რუსთა მხედრობა შუაგულ ირანში შეიჭრებოდა. გენერალ ზუბოვს ირანში თან გაჰყვებოდა ქართველთა ჯარიც დავით ბატონიშვილის სარდლობით.

მაშ, რაღა გზითა და საშუალებებით უნდა გამკლავებოდა აღა-მაჰმად-ხანი უკვე ყელს მომდგარ უძლეველ საფრთხეს? დღეს თუ ხვალ მისი ავზნიანი მბრძანებლობა მის ქვეყანასთან ერთად უნდა განადგურებულიყო.

და უეცრად, კვლავ ყველასათვის სავსებით მოულოდნელად, ისევ შეტრიალდა კაპრიზი ფორტუნის ჟამსაბრუნავი. სწორედ 1796 წლის შუა ნოემბერს, როცა რუსთა მხედრობა მტკვარ-არეზის გზაკვანძზე იდგა და რუსულ-ქართულ-სომხური კოლონიაც უნდა ჩასახლებულიყო, გარდაიცვალა რუსეთის დიდი დედოფალი — ეკატერინე მეორე. ამის გამო ერეკლემ „დასდვა გლოვა 40 დღით საუფლისწულოთა თვისთა და სამეფოსა თვისსა“. ხოლო ეკატერინეს მემკვიდრემ, ახალმა იმპერატორმა პავლე პირველმა საგარეო პოლიტიკის მაგისტრალური კურსი მაგისტრალურად შემოაბრუნა, ზუბოვი მთავარსარდლობიდან გადააყენა და რუსთა არმიები ამიერკავკასიიდან უკან გაიწვია. გარსევან ჭავჭავაძე უჯიათ და გულღრძო იმპერატორთან ვერაფერს გახდა: პავლემ თხოვნას ყურიც არ ათხოვა.

აღა-მაჰმად-ხანმა საგანგებო ფირმანებით აზერბაიჯან-დაღესტნის ხანებს შეუთვალა, რუსები ხომ გავაქციე და სანამ გვიან არ არის, ჩემი მბრძანებლობა აღიარეთო.

საჭურისმა ფირმანი ერეკლესაც გამოუგზავნა. იგი ქართველ მეფესაც არწმუნებდა, რუსები მე გავაქციე, რუსებმა აღებ-მიცემობის მეტი არაფერი იციან, საომარი საქმის არაფერი გაეგებათ, შენ კი მთელს ირანში დიდი სახელი და პატივი გაქვს და მოდი, ისევ შევრიგდეთო, და სხვა მისთანანი.

აღა-მაჰმადის ეს დიპლომატიური ნაბიჯი იმით გათავდა, რომ მისი ელჩი თბილისელებმა კინაღამ დაკლეს. იქ მდგარმა რუსებმა

განწირული დაიხსნეს და ერეკლეს მიჰგვარეს. ერეკლემ აღა-მაჰმადხანს შერიგებაზე კვლავ ცივი უარი შეუთვალა.

1797 წლის გაზაფხულზე აღა-მაჰმად-ხანმა მუქარას საქმეც მოაყოლა და დიდი არმიით ჩრდილოეთისაკენ დაიძრა. ირანელები ყარაბაღს შემოესივნენ. იბრეიმ-ხანმა ამჯერად ვეღარ შეძლო წინააღმდეგობის გაწევა. მან არეზზე ხიდი დაანგრია და ბელაქანში გაიქცა. აღა-მაჰმადმა არეზი გადალახა, შუშაში უომრად შევიდა. შევიდა და მოღალატე ხანების სასამართლო გამართა. ზოგი მათგანი სიკვდილით დასაჯა, ზოგსაც ბორკილი დაადო და საპატიმროში ჩაყარა. დატუსაღებულთა შორის ჯავათ-ხან განჯელიც იყო.

აღა-მაჰმად-ხანმა ახლა კვლავ საქართველო ამოიღო მიზანში.

ერეკლე ისევ მარტოდმარტო ელოდებოდა გამძვინვარებული მტრის ახალ შემოსევას. მეფე თბილისში თავს უყრიდა საომარ ძალებს. ქართველები „დიდისა და საძირკველისა გულმოდგინებითა და მრავლისა განმზადებულებითა სამხედროთა საჴურველთათა სუროდათ ბრძოლის ყოფაი და აღა-მაჰმად-ხანისა მიმართ“.

და სწორედ ამ დროს კვლავ სავსებით მოულოდნელი ამბავი დატრიალდა...

აღა-მაჰმად-ხანი შუშაში შესვლის დროს იბრეიმ-ხანის უფროსი ვაჟის მაჰმად-ჰასან-აღას სასახლეში დაბინავდა. სამი დღე-ღამე გაატარა საჴურისმა აქ. ბოლოს, ოთხი ივნისის ღამით, თავის სანთიობოში მყოფ ხელმწიფეს გარედან შემოჴვრილმა ხმაურმა და აყალმაყალმა დაურღვია მყუდროება. როცა მოიკითხა, მოახსენეს, რომ რაღაც უბრალო საქმეზე ჩხუბი მოსვლიათ მის მსახურთ — სასახლის ფარეშ ხუდადადს და ტყვე ქართველს ს ა დ ი ღ ა ს, იგივე ა ნ დ რ ი ა ს, რომელიც წარმოშობით მცხეთელი ყოფილა.

ამ სადიღა-ანდრიაზე თურმე ადრეც ყოფილა აღა-მაჰმად-ხანი გაჯავრებული: სადილის დროს „ურჩმა გურჯმა“ წყალი დაუქცია მაინცადამაინც იმ ხალიჩაზე, რომელზედაც ჩვეულებრივ ლოცულობდა ხელმწიფე.

ქვეშევრდომთა თავხედობით გაცეცხლებულმა აღა-მაჰმადმა მათი სიკვდილით დასჯა ბრძანა, მაგრამ ისე, რომ მისი მსჯავრი დილას აღსრულებულიყო, მას შემდეგ, თვითონ ხელმწიფე ჩვეულებრივ ნამაზს რომ მოითავებდა.

განწირულნი, ხუდადადი და სადიღა-ანდრია, იმ ღამით შაღაღელ ხანს. სადიყს შეხვდნენ და თავისი უბედურება შესჩივლეს. არავინ იცის, თვითონ სიკვდილმისჯილთა წინადადებით, თუ სადიყ-ხანის წაქეზებით. გადაწყდა აღა-მაჰმად-ხანის მოკვლა.

და აი, სადიღა-ანდრია ქართველი, ხუდადად-ფარეში და ლეკი საფარა ფეხაკრეფით შევიდნენ და მძინარე ხელმწიფეს ერთბაშად დაეცნენ თავს.

შესაძლოა, მართლაც მოასწრო საჭურისმა გამოღვიძება; შესაძლოა, მართლა შეჰვედრა შეწყალება გამძვინვარებულ ქვეშევრდომებს, მაგრამ როცა ანდრია მცხეთელმა მარცხენა იღლიის ქვეშ სატევარი ჩასცა, ნაკლებ დასაჯერებელია, ვითომ დაეყვიროს:

„უბადრუკო, შენ ირანი მოჰკალ!“

იგი სარეცელს დააკვდა. უმალვე ფოლადმა გაიჩხარუნა და... საჭურისის წარკვეთილი თავიც დაეცა ძირს.

როგორც კი მკელელებმა სადიყ-ხანს მომხდარი ამბავი შეატყობინეს, იგი მაშინვე სასახლეში შევარდა, მოკლულს თითებიდან ბეჭედები წააძრო და კეთილშობილი ქვებით მოოქვილი გვირგვინიც დაისაკუთრა. მერე, სანამ ხელმწიფის სიკვდილის ამბავი გამქღავნდებოდა, თავისი ჯარი აიყოლია და თავრიზისაკენ გაქუსლა.

აღა-მაჰმად-ხანის მოულოდნელმა სიკვდილმა თავზარი დასცა მის არმიას. მთელი ბანაკი საშინელმა პანიკამ მოიცვა. ირანელთა მაღალი ოფიცრობა სასახლეში შეიჭრა და ძარცვა-გლეჯას შეუდგა. მეომრებიც მძარცველთა და მაროდიორთა ბრბოებად იქცნენ. დაშლილი არმია სხვადასხვა გზით გარბოდა ცენტრალური ირანისაკენ.

შუშის მცხოვრებნი მშობლიურ კერებს დაუბრუნდნენ. იბრეიმ-ხანის ძმისწული, მამად-ბეგი აღა-მაჰმად-ხანის საწოლში შევარდა. მისი თავი პარკში ჩააგდო და ბელაქანში ლტოლვილ ბიძას გაუგზავნა.

იბრეიმ-ხანმა აღა-მაჰმად-ხანის თავი მიწაზე ათრია, ფეხებით სცემა, აფურთხა და აგინა. ჭარელმა ლეკებმა არ მოუწონეს ასეთი საქციელი შუშის ხანს, მათ აღა-მაჰმადის თავი ჭარში წაიღეს და ზაქათალის მეჩეთში დაფლეს.

საჭურისის ბოროტი თავის დამდაბლებას შეძრწუნებული უცქერდა ქიზიყელი ჭანიშვილი...

ყარაბაღელი სომეხი ფრიდონ-ბეგ-მელიქი სამი დღე-ღამე ცხენების ცვლით მიჰქროდა შუშიდან თბილისისაკენ. მეოთხე დღეს მან ქართველთა მეფეს და მის ტანჯულ სამწყსოს ამცნო სასიხარულო ამბავი: ცოცხალთა შორის აღარ არის აღა-მაჰმად-ხან, უბოროტესი ბიტორიტი — მბრძანებელი ირანისა, უსაშინელესი მოსისხლე ქართლოსიანთა და ჰაოსიანთა!

პატარა კახის აღსასრული

„ასე დაკრძალეს რაშთა მომთვინიერებელ პექტორის ცხედარი“.

ჰომერი

„ჯერ არ ყოფილა და არც იქნება მოკვდავთაგან ვინმე ისეთი, რომელსაც დაბადებითგან სიკვდილამდე არა სწვეოდეს რაიმე უბედურება, და რაც უფრო ძლიერია მოკვდავი, მით უფრო დიდი უბედურება სვდება მას წილად“.

პეროდოტე

„დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ, დავმსო ჩემი სამშობლო, გულს მიკლავს უიმედობა, საფლავს ჩავდივარ სიმწარით...“

გრიგოლ ორბელიანი

ქართველები მათი მაოხარი ჯალათის მოულოდნელ სიკვდილს უგემური სიხარულით შეხვდნენ, — რადგან მათ ხომ ძალიან „სურდათ ბრძოლის ყოფაი აღა-მაჰმად-ხანისა მიმართ“.

რა გაეწყობა, — ქართველებს კრწანისის სისხლი აუღებელი დარჩათ.

ირანში შაჰის ტახტზე დაჯდა აღა-მაჰმად-ხანის ძმისწული ბაბა-ხანი, რომელმაც პავლე პირველთან მშვიდობიანი ურთიერთობა გაბა. ამ რუსულ-სპარსულ დიპლომატიურ წიაღსვლათაგან ქართველ მეფეს ერთადერთ ნუგეშად ისღა უნდა დარჩენოდა, რომ ბაბა-ხანის ელჩმა პავლე პირველს სიტყვიერად აღუთქვა, რომ ქართლ-კახეთს ირანელები აღარ შეაწუხებდნენ. ეს იყო და ეს.

განჯიდანაც შავმა ჭირმა შემოუტია საქართველოს წამებულ დედაქალაქს.

თელავის სამეფო სასახლესაც სიკვდილი მისდგომოდა.

ხოლო პატარა კახს, მისი სიცოცხლის მერვე ათწლეულის ბოლოსაც არა სცალოდა ეფიქრა უკვე კარს მომდგარ ყოვლისმძლეველ და ყოვლისმსახვრალ ძალაზე.

მოხუცი მეფე თელავის სასახლეში ატარებდა თავის მრავალნაყოფიერი და მრავალტანჯული სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს. აქედან ხელმძღვანელობდა იგი დანგრეული და აოხრებული თბილისის აღდგენას, აქედანვე იძლეოდა მკაცრ განკარგულებებს ქართული საზღვრებისა და მორყეული სამანების გამაგრებაზე, ხალხისა და ჯარის მზადყოფნაზე, თოფ-იარაღით, ტყვია-წამლითა და ფურაჟპროვიანტით მომარაგებაზე. თვითონაც კვლავ მზად იყო, პი-

რადად წასძღოლოდა ქართულ ჯარს საქართველოს მტერთა შესამუსვრელად.

ხოლო სიკვდილი მაინც მოვიდა მიწიერთაგან უმამაცესი კაცის მოსასრავად, კაცთაგანისა, რომელთან ურიცხვ შეხვედრაში მას — ყოვლისმძლე სიკვდილს მუდამ „პასიური ბალანსი“ ჰქონდა.

ერთი წელი საშინელი წყალმანკი სტანჯავდა მოხუც ხელმწიფეს. 1798 წლის დასაწყისი მან აგონიაში გაითენა. იმ დღეებში გიორგი ბატონიშვილი ეწვია მომაკვდავ მამას. ერეკლემ ძალიან გაიხარა; კიდევაც მოიხედა; ფეხზედაც წამოდგა. მერე, უცებ მამა-შვილურ გულჩვილობას გამოეხსნა და წამსვე ტახტის მემკვიდრე (რომელიც სულ მალე მეფედ უნდა მობრუნებულიყო) თბილისსა და ყაზახ-ბორჩალოში გაგზავნა იქაურ საქმეთა სახელმძღვანელოდ.

1798 წლის 11 იანვარი გათენდა.

წუხილით შეპყრობილი თეიმურაზ ბატონიშვილი ხედავდა, როგორ მიდიოდა მისი დიდებული პაპა სიკვდილის საუფლოში. შუა დღისას ერეკლემ გრძნობა სავსებით დაკარგა. სამი საათის განმავლობაში იგი უძრავად და უსულოთქმოდ იდო.

მზე ჩავიდა, დაღამდა.

მეფემ თითქოს იგრძნო სამარადჟამო მწუხრის საშინელი სუნთქვა. და მან ერთჯერ კიდევ გაიბრძოლა, — ძლევად მისგანვე მრავალგზის ძლეულ სიკვდილისად.

სარეცელიდან წამოიწია პატარა კახმა.

თეიმურაზი მივარდა; წამოდგომას არ ანებებდა. მაგრამ შეუვალი იყო მომაკვდავი ხელმწიფის უკანასკნელი სურვილი:

უკანასკნელად მოევლო თვალი ამაგდარ მეფეს უსაყვარლესი სამშობლოს ცის და მიწისთვის.

მხრებში შეუდგნენ და გარეთ გაიყვანეს.

ერეკლე მდუმარედ გასცქეროდა წყვდიადში ჩაფლულ ქვეყანას.

მთელი მისი წუთისოფელი წყვდიადს ებრძოდა და მაინც წყვდიადის ჟამს ეთხოვებოდა თავის სამშობლოს.

ბნელოდა და არავის შეეძლო დანახა (ან თუნდაც ეგრძნო) ცრემლი დიდებული მოხუცის თვალზე.

მხოლოდ ის იგრძნეს, რომ სიკვდილი უკვე საბოლოოდ იყო წვეული.

შინ შეიყვანეს და დააწვინეს.

მან თვალები დახუჭა და... დაიძინა.

უკვე სიკვდილის საუფლოში ეძინა.

მაშ, იყო 1798 წლის 11 იანვარი, როცა ერეკლე მეორე, პატარა კახად წოდებული დიდი ხელმწიფე, მიიცვალა თელავის სასახლის იმავე პალატსა და სარეცელზე, რომელშიც და რომელზეც დაიბადა იგი 1720 წლის 7 ნოემბერს!

მაშ, მოკვდა მეფე ერეკლე და საქართველოს „შეეხსნა რკინის კარია“.

აუარებელი ხალხი მოაწყდა თელავის სასახლეს. ქართველობას თითქოს მართლა არ სჯეროდა ყაყვარელი მეფის სიკვდილი, თითქოს მხოლოდ ძილი მოჰრეოდა აურაცხელ მტერთან ნაომარ და ნაჯაფარ მამას სამშობლოისას. ყველას უნდოდა მისი ხილვა, მისი დატირება, მასთან გამოთხოვება.

მეფის ცხედარი თელავის სასახლის მთავარ პალატში ესვენა, ძოწითმოსილ ამბიონზე. ხელმარჯვნივ მისი ხელმწიფური ინსიგნიები ელაგა, ხელმარცხნივ — დედოფლის სამკაულები. დარბაზის ერთ მხარეზე, მგლოვიარე დედოფლის უკან, თეთრსაბურვლიანი სეფექალები იდგნენ, ხოლო მათ პირისპირ, მეორე მხარეს — კარისკაცები, გადამსხვრეული კვერთხებით ხელში.

ოციათასი ქართველი ვაჟკაცი, საომარი აღჭურვილობით აღკაზმული, საპატიო ჯარკრებულად უდგა ხელმწიფეს.

ეზოში ერეკლეს ცხენი იდგა, სამგლოვიაროდ მორთული, უკუღმა აღკაზმული. იგი თავშიშველ და მიწაზე მორთხმულ მეუზანგეს ეჭირა ხელში.

უნაგირზე ქარქაშიდან აღმოხდენილი ხმალი ესვენა, ერეკლეს ხმალი!

ელავდა წარწერა ხმალზე:

„მე ვარ ავი მუსაიფი კახთ ბატონის ირაკლისა“.

სასახლიდან გაბმული ტირილი, მოთქმა, ზარი და ზუნი ისმოდა. ტიროდა ყველა, დიდი და მცირე, ქალი და კაცი, ბავშვი და მოხუცი.

მოდიოდნენ მგლოვიარე ქართველები, ერეკლეს თანამებრძოლი ვეტერანები, მისი გმირობისა და სიჩაუქის თანაზიარნი და თვალითმხილველნი; მოდიოდნენ, მეფეს უკანასკნელად ეახლებოდნენ, უკანასკნელად ეთხოვებოდნენ.

გლოვობდა საქართველო.

მაგრამ „სახლსა სადავითოსა“ გლოვა-გოდების წიაღში კვლავ უღრღნიდა საძირკველს ძველი კითხვა: ვინ იქნება მპყრობელი და მეუფე ამა ქვეყნისა? აი, ეს მგლოვიარე დედოფალი და უფლისწულები ერთის წუთითაც არ ივიწყებდნენ სწორედ ამ ძველთა-

ძველი, პატივმოყვარული ქანგით შეჭმულ კითხვას: რანი ვიქნებით, ან რა გვერგება შემდგომად ერეკლეს სიკვდილისა?

როცა თელავში გიორგი ბატონიშვილი უკვე ქართლ-კახეთის მეფედ წოდებული შემოვიდა, დარეჯანმა წინააღმდეგობა სცადა და აშკარად გამოაცხადა, მე ეკატერინე მეორესავით მინდა ვიდედოფლოო.

მერე დარეჯანმა მოითხოვა: გიორგის შემდგომ ეკლესიაში, გიორგის ცოლი კი არა, მე მომიხსენიონო, მაგრამ ამაზედაც ცივი უარი მიიღო და ისღა დარჩენოდა, ისევ დროისათვის დაეცადა, ამიერიდან „დედოფალი დარეჯანი და შვილნი მისნი, არამოსურნენი მეფისა და გიორგისა, მეცადინეობდნენ იდუმალ, რათა სიტყვითა და საქმითა აღაფუონ შფოთი, ურჩება და უწესობა...“

ასეთი უმსგავსო საზრუნავი გასჩენოდა ერეკლეს სამეფო სასახლეს, როცა მისი ცხედარი ჯერ კიდევ სავსებით არ გაცივებულიყო.

ერეკლეს გულწრფელად მისი მადლიერი ხალხი გლოვობდა, — მისი მამულიშვილური ღვაწლის დამფასებელი „დიდი და მცირე“ თანამემამულენი.

მართლაც და, ქართველი ხალხის ჭეშმარიტ შვილთა გლოვის დიდი სიმბოლიკაა ორი მაგალითი — ორი დატირება ერეკლე მეფისა.

ერთი მათგანი არის უბრალო „მდაბიოთა ერისაგანი“, ქიზიყელი ქართველი დედაკაცი. გასაოცარი ყოფილა ქართველი ქალის ტირილი ქართველთა სათაყვანო მეფისადმი. ვის არ დაუტირებია და მოთქმით შეუმკია იმ საყოველთაო გლოვის დღეებში მეფე ერეკლე, მაგრამ ამ „უაზნო“ ქალის დატირებას ყველა დაუჩრდილავს და ყველა განუცვიფრებია. „ყოველთა მიეპყრათ ყურნი მისდა მიერ და განუკვირდებოდათ, თუ ვითარ სოფლელმა დედაკაცმან დაიტირა გვარი დიდებულისა მეფისა“.

მეორე დამტირებელი კი იყო „დიდთა ქართველთაგან“ — მეფის საყვარელი „მსაჯული“, ჭეშმარიტი ქართველი დემოსთენე, სოლომონ ლიონიძე.

სოლომონის სიტყვა — „მოთქმითი ტირილი საქართველოს მეფის ჰერკულესს, ნეტარების ღირსისა“ — იყო ჭეშმარიტი გვირგვინი ქართული ეროვნული გლოვისა და ურვა-წუხილისა:

„ჰოი, იგლოვეთ, ნათესავნო ქართლოსიანნო, იგლოვე, სახლო სადავითოვ!

დღეს ქვეყანა, მწუხარების ტახტსა მჯდომარე, ფასდაუდებელ

სისხლსა სწირავს ივერიელთა გვარისასა. დღეს ზეცა მეშურნედ და მესისხლედ დასცემია დედამიწას: ცამან წარსტაცა დედამიწას სიმდიდრე, ძლიერთა — ძალი, ბრძენთა — გონიერება, ერთა — გვირგვინი, მხედართმთავართ — მთავარსარდლობა, გვირგვინოსანთა — გვირგვინოსანი უბრწყინვალესი.

ისმინეთ ესე სასმინარი თავზარდამცემი: მოკვდა ერეკლე, უდიადესი ჰერკულესი, უძლეველი მძლეთამძლეველი მეფეთა შორის და მზისა ქვეშე!

იგლოვე, სახლო სადავითოვ!

აქამდე მეფე ერეკლე, მტერთა ჩვენთა მყირვალი, ლაშქრიდა სამთა ქვეყანათა: ოსმანთა, სპარსთა და კავკასიანთა; დღეს კი მარტოდმარტო ილაშქრებს იგი ციურ მნათობთა წინააღმდეგ. ჰერკულესი და აქილევსი მოკვდავნი იყვნენ, ხოლო ესე, პატრონი ჩვენი, მეფე უკვდავი, უკვდავითა ძალითა სძლევდეს ციურთა ძალთა და აგრე განვლოს სამყარონი ცათა.

ნათესავნო ქართლოსიანნო, თუმცა დააკლდით მამასა და სახსოვარსა მეფე-პატრონსა, გარნა კმაროდა თქვენს სადიდებლად საქმენი მისნი: ვიდრემდის ცოცხლობდა, ადიდა სახლი ქართლოსიანთა. ადიდა გვარი ქართლოსიანთა, ადიდა სიმხნე ქართლოსიანთა და აღვიდა ანგელოსთა ღვთისა თანა, — გარნა აქაცა და მუნ ცოცხალ არს იგი.

რად სტირით ძენო, ობოლნო მამისაგან, ან შენ, სახლო სადავითოვ?!

დიდი მეფის ალექსანდრესაგან დიდებულო სახლო, თეიმურაზ პირველისაგან ამაღლებულო სახლო, წმიდისა ქეთევან დედოფლის სისხლით ცხებულო სახლო, შენს კედლებში სანატრელი მეფე თეიმურაზ და დედოფალი თამარ ერეკლეს შობაზე იხარებდნენ. შენს საწოლში ერეკლეს სადღესასწაულო შობას ადიდებდნენ, შენს მეჯლისში ერეკლეს ყმაწვილკაცობა ქვეყანას აკვირვებდა, მისი. სიჭაბუკე ქვეყნის ძლიერთ სჯაბნიდა; შენს მეჯლისში ერეკლეს ტახტზე ჯდომა იხილვებოდა, იმისი ხელმწიფურ-დარბაისლური ხუმრობა მიმოითქმოდა, მისი მრავალსაგალობელი სადღეგრძელო ისმოდა.

რად სტირი, სადავითოვ სახლო?!

თუ ოსმანნი შეჰბედავენ შენს საყდარსა სამეფოსა, ნურას ინაღვლი, ოღონდ ერეკლე სიმრთელით ბრძანდებოდეს. მან ხომ ხერთვისის და ასპინძის სისხლში ნაწრთობი ხმალით ხვანთქარს სპარსეთის ხელმწიფე ქარიმ-ხანთან საჩივარი მიაწერინა: —მეფე ერეკლე სარათის ქვეყნებს მართმევს და შენ დაუშალეო. ქარიმ-ხან იტყო-

და: „მეფე ერეკლე ასეთი რაჰ ბრძანდება, რომ ხვანთქარი ჩემთან საჩივლელად დაამუხლაო!“ და მაშინვე უძლეველობის ნიშნად სახელმწიფო ხმალი მოართვა.

რად სტირი, სადავითოვ სახლო?!

თუ სპარსნი შეჰბედავენ შენს უმაღლეს ტახტს, ნურას ინაღვლი, ოღონდ ცოცხლობდეს საუკუნოდ ყოველ მეფეთა შარავანდედი — მეფე ერეკლე. მან ხომ საქართველო ნადირ-აეშარისგან გამოიხსნა. ხოლო აზატ-ხან ათასი ერთით გააქცია. პრუსიის მეფე ფრიდრიხ მეორემ ასე დაწერა: „ევროპაში მე ვარო და აზიაში — ერეკლე, ქართველ-გეორგიანთ მეფე“.

რად სტირი, სადავითოვ სახლო?!

ვინემდის მეფე ერეკლე საქართველოს მხედრობას წინ მიუძღვის, ვის შეუძლია შენი დამარცხება?! ვიდრემდის ერეკლეს სახელოვან სასახლეს დიდი რუსეთიდან ლაშქარი გამოჰყავს, ვის შეუძლიან შენი დამდაბლება?! როდესაც მეფე ერეკლეს ბედნიერი დროშა გაიშლება, დაღესტანელნი ლაშქრად მორბიან, ოვსნი და ჩერქეზნი მეფე ერეკლეს წინ სისხლის დათხევას ხალისობენ.

რად სტირი, სადავითოვ სახლო?!

- როცა მეფე ერეკლეს ბედნიერ ტახტზე ჯდომა გეღირსა, ყოველს წინა საუკუნეზე უფრო იდიდე, უფრო ამაღლდი, უფრო გაბედნიერდი; ცანი ქუხილით გრგვინავდნენ შენი ძალმოსილების წინაშე, სფერა დედამიწისა თრთოდა შენს ფერხთა ქვეშე.

მაგრამ, ვაი თუ შენი დიდება, მეფე ერეკლე, საფლავად მიეცვალოს! ვაი თუ საქართველოს საფარველად გარდახურული ერეკლეს დროშის კალთები აგვეხადა! ვაითუ ზეცამდე ამაღლებული მისი თავი და დედამიწაზე დაუტეველი მისი მზერა საფლავის სიღრმემ ჩაიმარხოს.

ის ძლიერი თვალები, რომელთა ზევით ახედვა ცაებს აჰკეცავდა, ძირს დახედვა დედამიწას გულს გაუხსნიდა, სფერა ქვეყნისა ერთს გუგაში გარეშეეცვა და ცასა და დედამიწას ორ ფურცლად კითხულობდა, — ვაითუ საკვდავად დაერულოს!

ვაითუ უძლეველი ხელები, რომლისაც ხმლის ვადაზე დადება სიკვდილს მახარობლობდა, ტრფიალთ სატკივრად გულს დაჰკრეფოდეს!

ვაითუ ის მაღალი და ზეცას ანგელოზთა საბწიგნობრო სახელი „მეფე ერეკლე“, რომელიც ცის კალთებზე იწერებოდა და ქვეყნის მპყრობელთა ხელმწიფეთა ძილს უკარგავდა, — ამ სადღესასწაულო სახელის ცოცხლად მოხსენიებას საქართველოს ეკლესიები მოჰკლებოდეს!

ცა და ქვეყანა მეფე ერეკლეს მახსოვარი არიან; მზე და მთოვარე იმის ბედნიერ ლაშქრობებში ხანდაზმულნი არიან; დღისით მზე იყო მეწინარე სარდალი და ღამით მთოვარე; ესენი ერეკლეს გამარჯვებულ დროშას წინ მიუძღოდნენ; მტერთა სისხლით შეღებილი მთა და ბარი ერეკლეს სახელს მოუთხრობენ...

იგლოვდი, დედამიწავ, რამეთუ სიმდიდრე გრძნობადთა და საცნაურთა — მეფე ერეკლე — შენს სიღრმეში ჩაჰფარე!

განკრთი, განცვიფრდი, სტიროდე, ცაო, რამეთუ შენი მნათობვარსკვლავთა მხედველი მეფე ერეკლეს უმაღლესი თვალები საუკუნოდ დაბნელდა!

დაბნელდი, მზეო, რამეთუ დაბნელებით შეგიძლია იჭირისუფლო, რამეთუ მზე მიწიერი ღამიანის ქართლისა — მეფე ერეკლე — შენს ბრწყინვალებას ვეღარა ჰხედავს!

დავაკლდით ერნი ქრისტიანენი მეფეს, პატრონს და საზოგადო მამას. დავსტირით ძლიერსა და მხნე მამაკაცსა. აღარა გვყავს მეფე ერეკლე: თავი — გამგებელი ერისა, ხელი — მზრდელი ობოლთა, მკლავნი — მომგერიებელნი მტერთა...

სად არის, ხელმწიფევ, შენი ხელმწიფური განგება?! სად შემოიხსენ ხმალი, რომლის გამარჯვებანი რიცხვით ხსოვნას ასცილდა?! რად შემოსწყერ სახელოვანსა დროშას, რომლისაც ჰაერში მომცურავი კალთები ქვეყანას აჩრდილებდა... სადაა მეფე, რომლის უძლეველობის ამბავი ზეცის კალთებზე იბეჭდებოდა?!

რად ადიდე, ხელმწიფეო, სახლი უმაღლესი, თუკი მას საუკუნოდ დატოვებდი?!.. სად ამიწებ გვირგვინოსან შენს უმაღლეს თავს?! სად გიწყვია უქმად ეგ ძლიერი ხელები, რომლითაც ცაში ფრინველთ ფრთას შესტაცებდი?! რად ასწავლე საყვარელ ქალებს საქალო კრძალულება, თუკი თმაგაშლილთ ატირებდი?! რად გაალაღე გული ლომებრთა მემკვიდრეთა, თუკი სიმყარე უძლეველი მოეშლებოდი?! რად გვასწავლე მხედრული ვაჟკაცობა, თუ შენს წინ სისხლს არ დაგვაქცევინებდი?!

მომკალით და მეფე ერეკლეს უმაღლესის ცხედრის ფიცრად დამდევით, რომ იმისი სანატრელი კუბო ჩემს გულზე იდგეს, მეფე ერეკლეს ძლიერი ტანი ჩემს გულზე ირღვეოდეს...

ხელმწიფევ მფლობელო, საზოგადოვ მამავ, მეფევ ირაკლი! ვის მივსცე შენი უმაღლესის თავისა და ტანის ტრფიალება?! ვის დროშას ვემსახურო?! ვინ შევიყვარო?! ვისთვის მოვკვდე?! ვისთვის ვიცოცხლო შენს უკან სიცოცხლე საზრახავად განმწარებულმან?!"

ორმოცი დღის გლოვის შემდეგ საქართველოს უკანასკნელი დიდი ხელმწიფის ცხედარი თელავიდან მცხეთაში გადაასვენეს.

სვეტიცხოველში, საქართველოს სამეუფო პანტოფორიონში, დიდი ვახტანგ გორგასალის გვერდით დაკრძალეს „ცხელი გული საქართველოისა“.

კრწანისიდან მცხეთისაკენ სამას არაგველთა აჩრდილნი მიეშურებოდნენ.

პატარა კახთან სათათბიროდ მიისწრაფოდნენ...

მინაწერი

განვლო სამმა წელმა.

აღესრულა საქართველოს უკანასკნელი დიდი ხელმწიფის ნაოცნებარი:

დალეწილი გველისპირულებით, დაფხრეწილი დროშებით, გვემული და გალეწილი სხეულით, მაგრამ გაუტეხელი გულით და შეუმუსვრელი სულით — ქართველი ხალხი შეერთო „დიდსა საძმოსა“, „დიდსა რუსეთსა“.

საქართველო ახალი, დიდი ისტორიული სამანიდან იწყებდა ცხოვრებას.

. . . . . .

ზზემ გამოანათა და მცხუნვარედ დააცხრა სისხლით დაორთქლილ დედამიწას.

მამულიშვილთა სისხლი აკრიფა.

აკრიფა და შესვა დიდი, „მზიური წყურვილის“ დასარწყულებლად.

შესვა, რამეთუ მზის სხივებად გარდასახული სისხლი ქართველთა ისევ ქართულ მიწაზე გადმოღვარა საქართველოს ასაღორძინებლად...

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

მარიუსი და სულა

გვ. 5. ნ ე პ ო ტ ი ზ მ ი — თანამდებობის პირთა მიერ თავიანთი ნათესავების, ახლობლების მფარველობა; „ნათლიმამობა", „მამიდაშვილობა".

კ ო რ უ ფ ც ი ა — თანამდებობის პირთა, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა მოსყიდვა; თანამდებობათა ყიდვა-გაყიდვა.

წ ი გ ნ შ ი გადმოცემული ამბები მთლიანად „ქრისტეს დაბადებამდე", ანუ ძველი წელთაღრიცხვით მოხდა, ამიტომ ყოველ თარიღთან დაკავშირებით ამის მოხსენიება ავტორს საჭიროდ აღარ მიაჩნია.

ძ მ ე ბ ი ტ ი ბ ე რ ი უ ს დ ა გ ა ი უ ს გ რ ა კ ხ უ ს ე ბ ი — სახელოვანი სახალხო ტრიბუნები, რეფორმატორები, დემოკრატიული მოძრაობის ბელადები. ისინი მიზნად ისახავდნენ განადგურების გზაზე დამდგარი წვრილი და საშუალო რომაული მიწათმოქმედებისა და გლეხობის ძველ უფლებებში აღდგენას. ტ ი ბ ე რ ი უ ს ი სახალხო ტრიბუნად გავიდა 133 წელს და გაატარა კანონი მიწათმფლობელობის მაქსიმუმის შესახებ: ერთ ოჯახზე არა უმეტეს 1 000 იუგერისა (ერთი იუგერი — 250 კვ. მ.); ხოლო გადარჩენილი მიწათა ფონდი უნდა განაწილებულიყო გაღარიბებულ აგრიკოლებზე (გლეხებზე) — თითოეულ ოჯახს 30 იუგერის რაოდენობით. ასეთმა კანონმა გამოიწვია სენატორთა და მსხვილ მიწათმფლობელთა სასტიკი რეაქცია. მათ ტიბერიუსს ბრალი დასდეს ერთპიროვნული „ტირანიის" დამყარების ცდაში და მოკლეს. გ ა ი უ ს გ რ ა კ ხ უ ს ი სახალხო ტრიბუნად იყო 123—122 წლებში. მან მთლიანად აღადგინა უფროსი ძმის მიწის რეფორმა და, ამას გარდა, გაატარა მთელი რიგი ახალი კანონებისა (პურის შესახებ, სასამართლოს შესახებ, „პროვინცია აზიის" შესახებ, კოლონიების დაარსების შესახებ). გაიუსიც დაიღუპა რომის არისტოკრატიულ ოლიგარქიასთან და სენატთან ბრძოლაში (122 წ.).

ს ე ნ ა ტ ი. (Senatus; სიტყვისაგან senex — მხცოვანი) — რომის რესპუბლიკის უმაღლესი პოლიტიკური ორგანო; ფორმალურად — სათათბირო, მაგრამ ფაქტიურად საკანონმდებლო ორგანო. მისი უმაღლესი ძალაუფლება განსახიერებული იყო ე. წ. „სენატის მოწონებაში" (auctoritas senatus), რაც იმას გულისხმობდა, რომ სახალხო კრებისაგან მიღებული კანონი ძალაში არ შევიდოდა, თუ მას ჯერ სენატი არ მოიწონებდა. სენატი იყო მაღალი არისტოკრატიისა და მდიდარი ნობილიტეტის ინტერესთა გამომხატველი და ქომაგი. იგი შედგებოდა სამასი სენატორისაგან, რომელთაც ხშირად „სამშობლოს მამებს" (patres patriae) უწოდებდნენ.

გვ. 6. პ ო პ უ ლ ა რ ე ბ ი (სიტყვისაგან populus — ხალხი) — სახალხო ფენები, — ყველა ვინც არ შედიოდა არისტოკრატიაში.

მ ხ ე დ ა რ თ ა წ ო დ ე ბ ა (ordo eguitum) — მდიდარი ფინანსისტები, ფუ-

ლადი მეურნეობით, ვაჭრობით, მევახშეობით გამდიდრებული რომაელები. „მხედრები“ პოპულართა მარჯვენა ფრთას წარმოადგენდნენ და რადიკალურ-დემოკრატიულ ძალთა წინააღმდეგ ბრძოლაში უფრო ხშირად არისტოკრატიას ემხრობოდნენ.

ი მ პ ე რ ი უ მ ი (imperium) — უმაღლესი პოლიტიკური ძალაუფლება მთელი სისრულით (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სამოსამართლო, სამხედრო და ა. შ.).

გვ. 7. კ ო ნ ს უ ლ ი (consul)— უმაღლესი აღმასრულებელი სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლების მეთაური. ყოველწლიურად ირჩევდნენ ორ კონსულს. კონსულატი იყო კოლეგიალური ორგანო. ისინი ერთიმეორესთან შეთანხმებით ხელმძღვანელობდნენ უმაღლესი სამოქალაქო კანონმდებლობის ცხოვრებაში გატარებას, ხოლო ომის შემთხვევაში სარდლობდნენ არმიებს. ომის დროს კონსულებს უფლება ჰქონდათ რომაელი მოქალაქის სიკვდილით დასჯისა (jus vitae ac necis). იგივე უფლება ჰქონდათ ქალაქს გარეთ მშვიდობიანობის დროსაც.

პ ა ტ რ ი ც ი უ ს ი (patricius) — კეთილშობილი, არისტოკრატი.

გვ. 8. ც ე ნ ზ ო რ ი ((censor) — ჩვეულებრივ ირჩევდნენ ორ ცენზორს ხუთი წლის ვადით. ისინი აწარმოებდნენ აღწერას ქონებრივი ცენზით, ადგენდნენ მოქალაქეთა სიებს ტრიბების (ოლქების) მიხედვით, ასევე აღგენდნენ სენატის სიას სენატორთა პატივისა და დამსახურების მიხედვით. ცენზორთა უფლებაში შედიოდა კონტროლი მაგისტრატების (მაღალი თანამდებობის პირნი) მოქმედებაზე; ცენზორები ხელმძღვანელობასა და კონტროლს უწევდნენ, აგრეთვე, რომაელთა მთელ მორალურ-ზნეობრივ ცხოვრებას (cura morum — ზრუნვა მორალზე).

პ უ ბ ლ ი უ ს კ ო რ ნ ე ლ ი უ ს ს ც ი პ ი ო ნ ი — დიდი რომაელი სარდალი, რომელმაც დაიპყრო (კართაგენელებს წაართვა) ესპანეთი (210—205 წ.წ.) და აფრიკაში დაამარცხა კართაგენის გენიალური სარდალი ჰანიბალი (201 წ.). ამ გამარჯვებისათვის მას „აფრიკელი“ (Aphricanus) უწოდეს.

ნ უ მ ი დ ი ა — ქვეყანა აფრიკაში, კართაგენის სამხრეთ-დასავლეთით (ამჟამად ალჟირის აღმოსავლეთ ნაწილში). ადრე ნუმიდია კართაგენის მოკავშირე იყო, მერე მას გადაუდგა, რომს მიემხრო და მისი ვასალი გახდა. ასეთი მორჩილებისათვის მან მიიღო სახელწოდება — „მოკავშირე და მეგობარი რომაელი ხალხისა“.

პ უ ბ ლ ი უ ს კ ო რ ნ ე ლ ი უ ს ს ც ი პ ი ო ნ ე მ ი ლ ი ა ნ ე — დიდი რომაელი სარდალი, უფროსი სციპიონის შვილობილი და მემკვიდრე (შვილი იყო ლუციუს ემილიუსისა: ამიტომ აქედან — ზედსახელი ემილიანე). მან დაანგრია კართაგენი (146 წ.) და ნუმანცია, ესპანეთის ჯანყების ცენტრი (133 წ.). ამ გამარჯვებისათვის მას შეარქვეს „აფრიკელი“ (Aphricanus) და „ნუმანციელი“ (Numanticus)

გვ. 11. დ ე ც ე მ ვ ი რ ნ ი — დეცემვირატი — კომისია ათი კაცის (desem — ათი Viz — კაცი) შემადგენლობით.

პ უ ბ ლ ი კ ა ნ ე ბ ი (publiconi, სიტყვისაგან publicus — სახელმწიფო საკუთრება) — კომპანიონები (ჩვეულებრივ. მხედართა წოდებიდან), რომლებიც ხელისუფლებასთან გარიგებით სახელმწიფოს წინასწარ უხდიდნენ ამა თუ იმ პროვინციიდან ასაღები ხარკის საფასურს და შემდეგ მათზე „მიყიდული პროვინციების“ უკონტროლო და უგანაჩენო ექსპლოატაციას ეწეოდნენ.

კ ო მ ი ც ი ა (comitia), სახალხო კრება, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო რომის რესპუბლიკაში.

გვ. 12. ს ა ხ ა ლ ხ ო ტ რ ი ბ უ ნ ი — ხალხის ინტერესთა დამცველი უმაღლესი მაგისტრატი. პირველად ირჩევდნენ ორ ტრიბუნს, შემდგომ — ათს. არჩევა ხდებოდა ერთი წლის ვადით. სახალხო ტრიბუნის პიროვნება და სახლ-კარი ხელშეუხებლად და წმიდათაწმიდად (sancta sanctorum) ითვლებოდა. სახალხო ტრიბუნის ყველაზე დიდი უფლება იყო „ვ ე ტ ო“ (veto) — ვკრძალავ, რის ძალითაც მას შეეძლო გაეუქმებინა (აეკრძალა) ყველა კანონი და განკარგულება, რომელიც კი ხალხის ინტერესებს დაუპირისპირდებოდა. ამასვე უკავშირდებოდა სახალხო ტრიბუნის „უფლება ჩარევისა“ (ius interecessionis). მასასადამე, შეეძლო ჩარეულიყო ყველა პოლიტიკური ორგანოსა და მაგისტრატის საქმიანობაში, გარდა დიქტატორისა და ცენზორისა. ამას გარდა, სახალხო ტრიბუნს მაგისტრატის დაპატიმრების უფლებაც (ius prensionis) — ჰქონდა. ტრიბუნის ყველა ეს უფლება მოქმედებდა მხოლოდ ქალაქ რომის შიგნით, ხოლო მის გარეთ ტრიბუნის უმაღლესი რწმუნებანი ძალას კარგავდნენ.

გვ. 13. მ ა ვ რ ი ტ ა ნ ი ა — ქვეყანა აფრიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (დღევანდელი ალჟირი და მაროკო).

გვ. 15. ო პ ტ ი მ ა ტ ე ბ ი (სიტყვისაგან optimus — საუკეთესო) — წარჩინებულნი, არისტოკრატები. როგორც კონსერვატიული ძალა, ოპტიმატები უპირისპირდებოდნენ დემოკრატ პოპულარებს. ოპტიმატთა ხელისუფლების დასაყრდენი იყო სენატი.

გვ. 16. ლ ე გ ა ტ ი (legatus) — ამ შემთხვევაში მთავარსარდლის მოადგილე, სხვა შემთხვევებში: ელჩი, პროვინციის მმართველი პრეტორის მოადგილე.

გვ. 17. პ რ ო ვ ი ნ ც ი ა (prowincia) — რომის მიერ დამარცხებული, დაპყრობილი და დახარკული ქვეყანა; ამის მიხედვით, სახელწოდებანი: „პროვინცია აფრიკა“, „პროვინცია აზია“, „პროვინცია მაკედონია“, „პროვინცია ეგვიპტე“ და ა. შ.

გვ. 21. კ უ რ ი ა (curia) — სენატის შესაკრები ადგილი.

ე დ ი ლ ი (aedilis) — ერთ-ერთი მაღალი მაგისტრატი (თანამდებობის პირი). ედილებსაც ირჩევდნენ ერთი წლის ვადით. მათ უფლება-მოვალეობას შეადგენდა: ქალაქში წესრიგზე ზრუნვა (cura annonae), ბაზრების მოწესრიგება და სანახაობათა მოწყობა (cura ludorum).

პ რ ე ტ ო რ ი და პ რ ე ტ უ რ ა (praetor, praetura). პრეტორი თავისი მდგომარეობით კონსულის შემდგომ მეორე ადგილზე იდგა და კონსულის უმცროს კოლეგადაც (collega minor) ითვლებოდა. პირველად ირჩევდნენ (აგრეთვე, ერთი წლის ვადით) ორ პრეტორს, შემდეგ კი მათი რიცხვი თექვსმეტამდე გაიზარდა. პრეტორთა მთავარი ფუნქცია იყო უმაღლესი სამოსამართლო წარმოების ხელმძღვანელობა. პრეტორები ეწოდებოდათ, აგრეთვე, რომის ხელისუფლების სახელით წარგზავნილ პროვინციის მმართველებსაც. აქედან: პ რ ე ტ უ რ ი ს მიღება ნიშნავდა რომელიმე პროვინციის მმართველობის მიღებას.

გვ. 24. პ რ ო ლ ე ტ ა რ ე ბ ი და ლ უ მ პ ე ნ პ რ ო ლ ე ტ ა რ ე ბ ი, სახელწოდება „პროლეტარი“ მოდის ძვ. წ. მე-6 საუკუნიდან, როცა მეფემ სერვიუს ტულიუსმა თავისი რეფორმით რომაელი მოქალაქენი ქონებრივი ცენზის მიხედვით დაყო ხუთ კლასად. იმათ, ვინც „კლასებს ქვემოთ“ (infra classem) აღმოჩნდნენ, ე. ი. არავითარი ქონება არ გააჩნდათ, ეწოდათ „პროლეტარები“ (proletarii) სიტყვისაგან proles, რაც „შთამომავლობას“ ნიშნავს (აქაოდა, რაკი

შვილები და შთამომავლობა გააჩნიათ, მაშასადამე, „ქონება“ მაინც აქვთო).

ლუმპენპროლეტარიატი იყო დეკლასირებულ, ზნეობრივად დაცემულ უქონელთა მასა, რომელიც თავის კლასობრივ და მოქალაქეობრივ ინტერესებსა და უფლებებს (მაგალითად, პოლიტიკური უფლება ხმის მიცემისა) ჰყიდდა ყოველდღიურ ლუკმაზე, ქრთამზე; მისი მთავარი პრინციპი ასეთია: ვინც მეტს აჭმევს და ასმევს, ხმასაც იმას მისცემს. რომში ლუმპენპროლეტარიატი წარმოშვა სამეურნეო ცხოვრებაში მონის შრომის დამკვიდრებამ. იაფფასიანმა მონის ხელმა თავისუფალი რომაელი მიწათმოქმედნი სამეურნეო ცხოვრებიდან გამოდევნა, უმიწაწყლოდ დატოვა და უქონელ „პროლეტარულ“ მასად აქცია. პოლიტიკურ-კონსტიტუციური უფლებების მქონე ლუმპენპროლეტარიატი სახელმწიფოსაგან მუქთად მოითხოვს „პურსა და სანახაობას“ (panem et circenses) და ხმასაც იმას აძლევს, ვინც ამ ლოზუნგს „პოლიტიკურ სავაჭროზე“ უკეთესად შეასრულებს.

პროვინციალები — ასე ეწოდებოდათ რომის მსოფლიო სახელმწიფოში შემავალ პროვინციათა მცხოვრებლებს; ყველას უკლებლივ, ვინც ცხოვრობდა რომსა და იტალიას გარეთ.

გვ. 25. რომაული არმია (ცალ-ცალკე ორივე კონსულისათვის) შედგებოდა ორი ლეგიონისაგან (legio), ლეგიონი — ათი კოჰორტისაგან (cohors — თითოეულში 600 მეომარი), კოჰორტა — სამი მანიპულისაგან (manipulus — თითოეულში 200 მეომარი), მანიპული — ორი ცენტურიისაგან (centuria — თითოეულში 100 მეომარი).

სამხედრო ტრიბუნი (tribunus militum) — ლეგიონის მეთაური. ყოველ ლეგიონთან იყო ექვსი სამხედრო ტრიბუნი, რომლებიც რიგრიგობით მეთაურობდნენ.

ცენტურიონი — (centurio) ცენტურიის (ასეულის) მეთაური იყო.

კვესტორი (questor) — ერთ-ერთი მაღალი მაგისტრატი, რომელიც განაგებდა ფინანსებს, სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალს და არქივებს. სულ ირჩევდნენ (აგრეთვე ერთი წლის ვადით) ოთხ კვესტორს. კვესტორი ბრძოლის ველზე განაგებდა არმიის ხაზინას, აჯამებდა ბრძოლის შედეგებს, იბარებდა, ახარისხებდა და ანაწილებდა ნადავლს. იმავე დროს, კვესტორი იყო კავალერიის უფროსი და მთავარსარდლის ერთ-ერთი მოადგილე.

გვ. 29. გეტულები — აფრიკის მომთაბარე ტომები; ცხოვრობდნენ ნუმიდიისა და მავრიტანიის სამხრეთით.

გვ. 32. ინსიგნიები (insigne — ნიშანი) — უმაღლესი ხელისუფლების ან დამსახურების აღმნიშვნელი ნიშნები, ატრიბუტები. ტრიუმფატორის ინსიგნიებში შედიოდა მოოქრული ეტლი ოთხი თეთრი ცხენით, მოქარგულ-მოხატული ტოგა (toga picta), პალმის რტოების გამოსახულებიანი ტუნიკა (tunica palmeta) და ოქროს გვირგვინი (corona traumphalis).

გვ. 36. კანდიდატი (candidatus — თეთროსანი) — ის, ვინც კონსულად გასვლას აპირებდა, სახალხო კრების წინაშე უნდა წარმდგარიყო ქათქათა თეთრი ტოგით (toga canolio). სიმბოლურად: კონსულობის მოსურნე ისეთივე სპეტაკი უნდა ყოფილიყო, როგორც მისი თეთრი ტოგა.

გვ. 44. კონსულის ინსიგნიები — თორმეტი ლიქტორი — მხლებელნი, მცველნი და მისი ბრძანებების აღმსრულებელნი, რომელთაც ხელთ უპყრიათ ფასცები (fasces) — წკეპლების კონები; ქალაქს გარეთ და ომის დროს

ქალაქშიც ფასცებში ჩადებული (securis—ნაჯახი), როგორც სიმბოლო მოქალაქის სიკვდილით დასჯის უფლებისა. ლიქტორები კონსულს სამსახურის დროს წინ მიუძღვიან, ხოლო დასვენებისას — უკან მოჰყვებიან. კონსულს წამოსხმული აქვს ძოწის არშიიანი ტოგა (toga praetocta); სახელმწიფო საქმეთა გარჩევისას ზის სპილოს ძვლის სავარძელზე (sella curulis).

გვ. 54. ძ უ მ გ ე ლ ი — რომაელთა საღვთო ცხოველი იყო, რადგან ლეგენდის მიხედვით, რომის დამაარსებელნი, ტუუპი ძმები, რომულუსი და რემუსი, მგლის ძეძუნაკამნი იყვნენ.

გვ. 87. დ ი ქ ტ ა ტ უ რ ა (dictatura) — საგანგებო (ექსტრაორდინალური) მაგისტრატურა, როცა სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლება მთელი თავისი სისრულით (imperium summum) გადაეცემოდა ერთ კაცს, დ ი ქ ტ ა ტ ო რ ს. დიქტატურის გამოცხადების მიზეზი უნდა ყოფილიყო რაიმე საგანგებო მდგომარეობა: დიდი საგარეო საფრთხე (მტრის შემოსევა), შინაგანი აშლილობა, აჯანყება, შიმშილობა და სხვ. დიქტატორის ინსიგნიები იყო: ძოწეული ტოგა (toga purpurae) სპილოს ძვლის სავარძელი (seela curulis) და ოცდაოთხი ლიქიორი ხელში ნაჯახიანი ფასცებით. დიქტატორის სრული ერთპიროვნული გამგებლობა, სრული მონოპოლია საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სამხედრო და სამოსამართლო ხელისუფლებისა, ფაქტიურად რესპუბლიკის უარყოფას წარმოადგენდა. ამიტომ დიქტატურის ვადა მკაცრად იყო განსაზღვრული ექვსი თვით.

ს ა მ ა ს-ს ა მ ა ს ი

გვ. 204. პ ო ლ ი ს ი — „ქალაქს“ ნიშნავს, მაგრამ ძველ საბერძნეთში ყოველი ქალაქი იმავე დროს ცალკე დამოუკიდებელი სახელმწიფოც იყო (ქალაქ-სახელმწიფო). ყოველ მათგანს თავისი საკუთარი სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ორგანიზაცია ჰქონდა. პოლისში შედიოდა არა მარტო საკუთრივ „ქალაქელი“ მოსახლეობა, არამედ მის გარშემო ოლქის ყველა სასოფლო დასახლებაც, მაგალითად, ათენის პოლისში შედიოდა მთელი ატიკის მოსახლეობა, სპარტაში— ლაკონიის მოსახლეობა, თებეში — ბეოტიის მოსახლეობა და ა. შ.

ა ვ ტ ო ნ ო მ ი ა — საკუთარი კანონმდებლობა (გინა კონსტიტუცია).

ა ვ ტ ა რ კ ი ა — „თვითდაკმაყოფილებას“ ნიშნავს; იგულისხმება საკუთარი, „თვითდამაკმაყოფილებელი“, სამეურნეო-ეკონომიური ცხოვრება.

ა თ ე ნ ი — საბერძნეთის პოლისთა შორის ყველაზე მოწინავე ქალაქ-სახელმწიფო შუა საბერძნეთის ერთ-ერთ ოლქში — ატიკაში. ქალაქის ცენტრში აღმართული იყო აკროპოლისი, ციხესიმაგრე და პოლიტიკურ-რელიგიური ცენტრი სახელგანთქმული პართენონის ტაძრით. ათენის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი წყობილება ძველი მონათმფლობელური დემოკრატიზმის ნიმუშად ითვლება. ათენის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო იყო ეკლესია — სახალხო კრება. უმაღლეს საბჭოსა და სასამართლო ორგანოს წარმოადგენდა არეოპაგი— უხუცესთა საბჭო, რომელიც სათათბიროდ იკრიბებოდა არესის (ომის ღმერთი) ბორცვზე (აკროპოლისის მთავარ შესასვლელთან) და ამიტომაც ეწოდებოდა ამ პოლიტიკურ ორგანოს არეოპაგი. უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებას განახორციელებდა კოლეგიალური ორგანო არქონტატი — ცხრა არქონტის შე-

მადგენლობით: არქონტი-ეპონიმი (უფროსი, რომლის სახელითაც აწარმოებდნენ წელთაღრიცხვას), არქონტი-ბასილევსი (რელიგიის მოწესე-მეთაური), არქონტი-პოლემარქოსი (მხედართმთავარი) და ექვსი არქონტი-თესმოთეტი (სამოსამართლო საქმეთა განმგებელნი). დიდი უფლებები ჰქონდა სტრატეგოსთა კოლეგიას ათი სტრატეგოსის (სარდლის) შემადგენლობით. ისინი ცალკეულად სარდლობდნენ ცალკე ფილედან (ოლქიდან) გაპოყვანილ ლაშქარს, ხოლო ბრძოლის ველზე რიგრიგობით მთავარსარდლობდნენ მთელ არმიას.

გვ. 205. ს პ ა რ ტ ა — მეორე დიდმნიშვნელოვანი ქალაქ-სახელმწიფო ათენის გვერდით. მდებარეობდა პელოპონესის (სამხრეთ საბერძნეთი) სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქში—ლაკონიკაში (აქედან—„ლაკონიური“), მდინარე ევროტის ზემო წელზე. სპარტას მეორენაირად ლაკედემონი ერქვა. სპარტის პოლიტიკური წყობილება თვითონ სპარტელებისათვის დემოკრატიული იყო, ხოლო დანარჩენი მოსახლეობისათვის (მონა-ჰილოტები და პერიეკები) ოლიგარქიული. სპარტელთა (ანუ როგორც თვითონ ეძახდნენ — „თანასწორ სპარტიატთა თემის“) უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენდა აპელა — სახალხო კრება. მის გვერდით იყო უხუცესთა საბჭო გერუსია — ოცდარვა გერონტის (გერონტი-მხცოვანი) შემადგენლობით. ცალკე არსებობდა სამეთვალყურეო-საკონტროლო ორგანო ეფორატი, ხუთი ეფორის შემადგენლობით. აღმასრულებელ ხელისუფლებას სათავეში ედგა ორი მეფე. ესენი მშვიდობიანობისას იყვნენ უმაღლესი მოსამართლენი და რელიგიის მეთაურნი, ხოლო ომის დროს — მთავარსარდალნი. მეფეთა უფლებები სპარტაში ძალიან შეზღუდული იყო აპელის, გერუსიისა და ეფორატისაგან. ისინი თვითონ გერუსიის წევრები იყვნენ. სპარტელები რიცხვით მცირენი იყვნენ (9—10 ათასამდე) და შვიდჯერ მეტ ლაკონიელ მოსახლეობაზე ბატონობდნენ. ამას ისინი ახერხებდნენ ძლიერ სამხედრო ორგანიზაციაზე დაყრდნობით. სპარტელთა ცხოვრება სიყრმიდან სიკვდილამდე მთლიანად სამხედრო ყაიდაზე მიდიოდა. სისასტიკით სახელგანთქმული „სპარტანული აღზრდაც“ სწორედ უაღრესად დახელოვნებული მეომრების აღზრდას ისახავდა მიზნად. ასედაც იყო: მთელს მაშინდელ ბერძნულ სპარტელები ყველაზე საუკეთესო მეომრები იყვნენ, — მცირენი, მაგრამ უმაღლესად ბრძოლისუნარიანნი.

გვ. 208. ჰ ა რ მ ო დ ი ო ს ი დ ა ა რ ი ს ტ ო გ ე ი ტ ო ნ ი — ათენის სახალხო გმირები, ჭაბუკები, რომლებიც შეეწირნენ ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლას. იმჟამად ათენში მბრძანებლობდნენ ცნობილი ტირანის, პისისტრატეს ვაჟები — ჰიპია და ჰიპარქე. 514 წელს (ძვ. წ.) მაო წინააღმდეგ მოეწყო შეთქმულება ჰარმოდიოსისა და არისტოგეიტონის მეთაურობით. მოახერხეს მხოლოდ უმცროსი ტირანის, ჰიპარქეს მოკვლა. ხოლო ჰიპია შეთქმულთ სასტიკად გაუსწორდა. მისი ბრძანებით ჰარმოდიოსი და არისტოგეიტონი წამებით დახოცეს. 510 წელს ათენელებმა ტირანია მაინც დაამხეს. ჰიპია სპარსეთში გაიქცა. ათენელებმა ჰარმოდიოსსა და არისტოგეიტონს აკროპოლისზე ძეგლები აუგეს. მათი სახელები თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლოებად იქცნენ; მათზე მღეროდნენ, ლექსებს წერდნენ, მსხვერპლსა სწირავდნენ.

გვ. 216. პ ი ს ი ს ტ რ ა ტ ი დ ე ბ ი — პისისტრატეს ძენი, იგივე ჰიპია და ჰიპარქე.

„ა რ ა ს რ უ ლ ფ ა ს ო ვ ა ნ ი მ ო ქ ა ლ ა ქ ე“ — ასეთად თვლიდნენ მას, ვისაც ორივე მშობელი წარმოშობით ათენელი არ ჰყავდა.

ა კ ა დ ე მ ი ა — ლეგენდარული გმირის, აკადემოსის სახელობის ბაღი ათენის ჩრდილო-დასავლეთ გარეუბანში, ჭადრებისა და ზეთისხილის მშვე-

ნიერი ხეივნებით. აქ შემდგომში თავის მოძღვრებას ასწავლიდა ფილოსოფოსი პლატონი. პირველი „აკადემიკოსებიც" სწორედ პლატონის მოწაფეები იყვნენ.

ლ ი კ ე ი ო ნ ი — აპოლონ ლიკიელის სახელობის ბაღი ათენის ჩრდილო-აღმოსავლეთ გარეუბანში. აქ შემდგომში თავის მოძღვრებას ასწავლიდა არისტოტელე.

გ ი მ ნ ა ს ი ო ნ ი — სასწავლებელი ძველ საბერძნეთში. აქ სწავლობდნენ სრულუფლებიანი ბერძნები 16-დან 18 წლამდე (დაწყებითი სწავლების შემდგომ). სწავლა სახელმწიფოს ხარჯზე იყო. იწყებოდა ფიზიკური აღზრდით და სრულდებოდა მეცნიერება-ხელოვნების დარგთა შესწავლით.

კ ი ნ ო ს ა რ გ ი — ჰერაკლესადმი მიძღვნილი ადგილი ათენის ჩრდილო-აღმოსავლეთ გარეუბანში (ლიკეიონის მეზობლად); აქ იყო ერთ-ერთი გიმნასიონი.

გვ. 219. ჰ ო პ ლ ი ტ უ რ ი ლ ა შ ქ ა რ ი — მძიმედ შეიარაღებული ქვეითი ჯარი. ჰოპლიტი-მეომარი აღჭურვილი იყო შუბით, მახვილით, ფარით, მუზარადით, ჯავშნით, სამკლაურებითა და საბარკულებით. საუკეთესო ჰოპლიტურ ლაშქრად ითვლებოდა სპარტელთა ჯარი.

ჰ ე ლ ი ა ს ტ ი — მოსამართლე.

გვ. 224. მ ო გ ვ ე ბ ი — სპარსელი ქურუმები.

გვ. 247. ა მ ფ ი კ ტ ი ო ნ ე ბ ი — რელიგიური კავშირის, ამფიკტიონიის წევრები, რომელთა ფუნქციებში შედიოდა უფლებათა და ქონებათა დაცვა და ცალკეულ რელიგიურ დღესასწაულთა ორგანიზაცია.

გვ. 249. ტ ე ლ ა მ ო ნ ი და ა ი ა ქ ს ი — მამა-შვილი, კუნძულ სალამინის ლეგენდარული მეფენი და სახელოვანი გმირნი. ტელამონი თავის ძმასთან, პელევსთან ერთად არგონაველთა კოლხური ლაშქრობის მონაწილე იყო, აიაქსი კი შემდგომ ტროას ომში მონაწილეობდა თავის ბიძაშვილთან, პელევსის ძე აქილევსთან ერთად.

შ ი ნ ა ა რ ს ი

მარიუსი და სულა

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

მარიუსის არწივები

თავი პირველი. „იუგურთას ომი“

ნეპოტიზმი და კორუფცია 5
იუგურთა 8
ომის დასაწყისი 12
„არაჩვეულებრივი მეტელუსი“ 15
სოფელი „ახალკაცი“ 19
„ბედისწერა“ სოფელი კაცისა 25
იუგურთას აღსასრული 28

თავი მეორე. „დიდი გერმანული საფრთხის პროლოგი“

„ჩრდილოელ ბარბაროსთა“ პირველი გამოსვლა 33
სექსტიუსის წყლები 36
ვერცელე 40

თავი მესამე. გრაკხუსთა ეპიგონები

მარიუსი, სატურნინუსი, გლავცია . 43
მარკუს ლივიუს დრუზუს უმცროსი . 49

თავი მეოთხე. „მოკავშირეთა ომი“

როგორ დაიწყო ეს ომი 54
ომის მსვლელობა 57
ომის დასასრული 59

თავი მეხუთე. აღმოსავლურ-პონტოური საფრთხე

რომი „მოკავშირეთა ომის“ შემდგომ . . 62
პონტოელნი 64
მითრიდატე ევპატორი 67
„მითრიდატული ომის“ დასაწყისი . . . 71

თავი მეექვსე. „საპრიზო ბრძოლა“

„საპრიზო ბრძოლის“ წინადღე . . 80
მარიუსის ახალი მოკავშირე . . 83
მგელთა ბუნაგი მგლებისაგან აღებულია! 87
რომი „რომაული ომის“ შემდგომ . . 89
დიდი კაცის ნამსხვრევი დიდი ქალაქის ნანგრევებზე . . . 91

ნაწილი მეორე

სულას აპოთეოზი

თავი პირველი. სულა აღმოსავლეთში

ატიკა 96

ქერონეა 104

ორქომენი 108

პირველი „მითრიდატულის“ დასასრული . 110

სულა აზიაში 117

თავი ᲛᲔᲝᲠᲔ. მარიუსის მეშვიდე არწივი

„ქვა ვინც ისროლა...“ . . . 120

სისხლიანი არწივი . . . 122

მარიუსის სიკვდილის შემდეგ . 128

თავი მესამე. სულას დაბრუნება

„აღმოსავლური კვერთხით“ . . 131

. „ან ახლა, ან ვერასოდეს!“ . . 135

თავი მეოთხე. „ბედნიერი დიქტატორი“

„ნამდვილი სულას“ დასაწყისი . 140

„ჯალათი ბიჭუნა“ . . 142

„ნამდგვილი სულა“ . . . 145

„საწუთროსა დაუწყნარდეს“ . 156

ნაწილი მესამე

სულას აღსასრულიდან პომპეუსის ტრიუმფამდე

ლეპიდუსი . 161

სერტორიუსი . 163

სპარტაკი . . 168

ისევ მითრიდატე . 174

რომაელები და სომხები . 180

რომაელები და ქართველები . 184

რომაელები და ალბანელები . 188

მიითრიდატეს აღსასრული . 189

პომპეუსის ტრიუმფი . 195

სამას-სამასი

წიგნი პირველი

სამასი სპარტელი

თავი პირველი. თერმოპილეამდე

„მიწა და წყალი“ . . . 203

მარათონი . . . 206

მილტიადეს აღსასრული 213
თემისტოკლე და არისტიდე 216
თავი მეორე. თერმოპილე
ქსერქსე . . 222
როგორ მოდიოდნენ აზიელები 224
როგორ ხვდებოდნენ ევროპელები 226
ჯარი გროვდება . . . 229
პირველი სისხლი ზღვაზე . 231
ბრძოლა არტემისიონთან 232
ორი ბანაკი თერმოპილესთან 234
პირველი სისხლი ხმელეთზე 237
აპოთეოზი . . . 239
თავი მესამე. თერმოპილეს შემდგომ
სპარსელები ჰელადის გულში 246
სალამინი . 247
სალამინის შემდგომ . 253

წიგნი მეორე

სამასი არაგველი

თავი პირველი. კრწანისამდე
ორი რეალობა . . . 259
თოფის გასროლა სასახლის აივნიდან 262
„ნუ ჰყოვნი, მეფეო!“ . . . 264
იქედნე 273
საბედისწერო წლის დასაწყისი . 277
ტრაგედია ახლოვდება . 280
თავი მეორე. კრწანისი
შვიდი სექტემბერი 284
რვა სექტემბერი . 286
ცხრა სექტემბერი . 288
ათი სექტემბერი . 290
აპოთეოზი . . 295
თავი მესამე. კრწანისის შემდგომ
Vae victis! . . 307
ისევ სამასნი . . 310
იქედნეს აღსასრული 313
პატარა კახის აღსასრული 318
შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი 326